

საქართველოს განმაფნერ - 2016



თუმცოდას და
ხელმისამართის მი
მიმდევარი
„მარტინ“

ძ მ კ ბ ა უ რ ა

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ირაკლი შამათავა

პროექტის კორედიციატორი
ნატა აბრამაშვილი

დიზაინერ-დაგენერატორი
თამარ ტყუაბლაძე

ISBN 978-9941-0-8563-5

603აცია ქართულ სალიტერატურო და სახელოვნებო სიცრცეში

ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი“, თავისი ფორმატით, ქართულ სახელოვნებო სივრცეში ერთგვარ ნოვაციას წარმოადგენს და ხელოვნების არაერთ სფეროს აერთიანებს.

სხვა კონკურსებისგან განსხვავებით, თბილისის საკრებულოს ეგიდით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო, ყოველგვარი ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე.

ნიშანდობლივია, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში განიხილებოდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში შექმნილი საავტორო ნაწარმოები, რაც თავისითავად უზრუნველყოფდა ახალი ნაწარმოებებისა და ნიჭიერი ავტორების აღმოჩენასა და გამოვლენას. კონკურსანტს ნებისმიერ თემატიკაზე, თითო ნომინაციაში, მხოლოდ ერთი ნაწარმოების წარდგენა შეეძლო. სწორედ ბარიერების არარსებობა აძლევდა ხელოვანს კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობას.

კონკურსის გამარჯვებულებს გადაეცათ კონკურსის პრიზი (სიმბოლო, XII საუკუნის არტეფაქტის - ხობის - გამოსახულების სტილიზებული ვარიანტი), რომელიც სპეციალურად „თბილისისთვის“ მოქანდაკე გია ჯაფარიძემ შექმნა.

გამარჯვებული ავტორებისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დააწესა ფულადი პრემია, ხოლო მხარდამჭერმა სპონსორებმა გამოჰყვეს მრავალფეროვანი საჩუქრები.

ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი“ ქართულ სახელოვნებო სივრცეში, თავისი არსით, მართლაც, უმნიშვნელოვანესი წამოწყებაა. ვფიქრობთ, მისი ყოველწლიურობიდან გამომდინარე, გავზარდოთ ნომინაციები, რაც მის მასშტაბურობას მეტად შეუწყობს ხელს.

კრებულში გთავაზობთ ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი“ 2016 წლის ნომინირებულ და გამარჯვებულ ნაწარმოებებს.



გიორგი ალიბეგაშვილი
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



ლიტერატურისა და ხელოვნების კონცერსი „თბილისი“ - ახალი სიტყვა თანამედროვე სახელოვნებო სიცრცეში

ყველაფერი ერთი პატარა იდეით დაიწყო, თბილისს ჰქონოდა მრავალდარგოვანი კონკურსი, რომელიც არა მხოლოდ ლიტერატურას, არამედ ფოტოგრაფიას, არქიტექტურას, ფერწერას, მუსიკას, ქანდაკებასა და სხვა სახელოვნებო სივრცეს მოიცავდა.

სწორედ ამ მიზნით, 2015 წლის დასაწყისში, თბილისის საკრებულოს ინიციატივით, ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი “თბილისი” დავაარსეთ, რაც განაპირობა ადგილობრივი ხელისუფლების სურვილმა გავაძლიეროთ - თბილისის, როგორც კულტურის ცენტრის როლი.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსი „თბილისი“ დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს და მისი მიზანია შემოქმედებითი აქტივობის ხელშეწყობა, ხელოვანთა

შორის ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება, ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენა და წახალისება, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დანერგვა და საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება.

თავდაპირველი იდეის ხორცესხმისთვის მაქსიმალურად ვიშრომეთ და შედეგმაც არ დააყოვნა. კონკურსი, თავისი მასშტაბითა და მრავალფეროვანი ნომინაციებით, დღესდღეობით მართლაც უპრეცედენტოა. ესაა მცდელობა, ერთიან სახელოვნებო-სალიტერატურო დისკურსში გავაერთიანოთ კულტურის სხვადასხვა მიმართულება და პროფესიონალი ჟიურის მეშვეობით გამოვავლინოთ ტალანტები.

კონკურსის დადებით მხარეს წარმოადგენს ბარიერების არარსებობა. ვცდილობთ საკონკურსო წინადადებით დავაინტერესოთ აფხაზი და ოსი თანამემამულები და შევქმნათ დამატებითი წამახალისებელი პრიზები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვისაც.

2016 წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან და დიასპორის სამინისტროსთან გავაფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რათა შესაბამისმა სამინისტროებმა უზრუნველყონ სკოლის მოსწავლეების, მწერლების, მხატვრების, მოქანდაკეების, არქიტექტორებისა და ქვეყნის გარეთ მცხოვრები შემოქმედი ადამიანების კონკურსით დაინტერესება.

ამდენად, ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურს „თბილისის“ უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ ერთ კულტურულ-შემოქმედებით ფორმატში მოხდეს ძველი და ახალი თაობის იდეოლოგიური გაერთიანება.

თამარ ტალიაშვილი
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე

ს
ი
მ
რ
ა
ნ
ო

პროგა

ბაზო კვირტია.....	8
თეა თოფურია	16
გურამ მეგრელიშვილი	30
მაკა ლდოკონენი.....	50
ვანო ჩხიკვაძე.....	76
ცირა ყურაძეშვილი	100
მირიან რჩეულიშვილი.....	120
ნატო დავითაშვილი.....	144
რუსულან რუხაძე.....	166

შიურის საეპიდური პრიზი

შორენა ლებანიძე.....	178
----------------------	-----

ესე

ლიზი ბუდალაშვილი.....	198
ელიზაბედ ფირცხალავა	200
სოფიო ჭელიძე.....	203

პრეზი

ბათუ დანელია	206
როინ აბუსელიძე.....	208
გენრი დოლიძე	210
ნინო სადლობელაშვილი	211
მანანა ჩიტიშვილი.....	214
ეკა ქევანიშვილი	220
ლელა ცუცქირიძე.....	222

უ ც ც ჩ ლ ც

სიმღერა

- 224 ნინო ჩაჩავა
226 გიორგი ვარსიმაშვილი
228 ეკა კახიანი, ნინი ბადურაშვილი

ფირრერა

- 230 ლიკა შხვაცაბაია
231 დიმიტრი დუმბაძე

ქანდაკება

- 233 გენადი ზაქარაია

ფოტოსალონება

- 234 სალომე ბენდელიანი
235 ანი ნიქაბაძე
236 ლიზა ოსეფაიშვილი-ნემცოვა

არაიოეპტურა

- 238 გიორგი მოსულიშვილი
240 გოგა ჩხეტია
242 ლევან მუშკუდიანი, გაგა კიკნაძე

ავტორთა შესახებ

ფოტოკოლაზი



პამპის ნამცეცი

31

დეკემბერია. საღამო. მე მზად ვარ. წუცას ველოდები – ჩემს ცოლს. გვერდით ოთახში ბებიაჩემი და ბაბუა-ჩემი სხედან დივანზე. ისინი მე მელოდებიან. ერთად უნდა წავიდეთ. ერთმანეთს რაღაცებს უყვებიან. ბებიაჩემი პატარა გოგოსავით კისკისებს. ბაბუაჩემი დროდადრო ჩემკენ გამოაპარებს თვალს. რაღაცნაირად მიყურებს. ვერ ვხსნი, რანაირად. გარეთ ბარდის. საოცრად თოვს. მესამე დღეა უკვე ტემპერატურა მინუს 10-დან მინუს 12-მდეა. აქ ასეთი ყინვა არავის ახსოვს დღემდე. თოვლი კი განუწყვეტლად მოდის. არაამქევენიურად. ზღაპრულად. სიცივეც ეგეთია – ზღაპრული და თითქოს მითიური. გაუნძრევლად ვდგავარ. ველოდები წუცას. უნდა წავიდე. შორს ვარ წასასვლელი, მაგრამ ისე მიმეჩქარება, რომ თოვლი და ყინვა კი არა, ქვეყნიერება რომ თავზე მემხობოდეს, ვერაფერი შემაჩერებს. საითაც უნდა წავიდე, ვისთვი-საც უნდა წავიდე, ვისთანაც უნდა მივიდე, ის მაძლევს ძალას, რომ ყინვასაც გავუძლო, თოვლის ბარდნასაც, ჩემს დაღლილობასაც და კიდევ ბევრ რამეს, რომელიც გზადაგზა ამედევნებას

დამიკარგავს, სულმთლად გამასავათებს. მაგრამ არა უშავს... აი, ახლა გამოვა ნუცა და ჩვენც წავალთ. თბილი პალტო მაცვია. ქუდი ხელში მაქვს ჩაბლუჯული და ფანჯარას ვუყურებ. ყვითლად განათებულ ქუჩაში თოვაა. გასაოცარი. შეუსვენებელი. ჩემთვის უზომოდ სევდიანი, თორემ ისე ძალიან მხიარული. ეზო ბავშვებს აქვთ აკლებული. ახალ წლამდე რამდენიმე საათი რჩება. შორიდან გოგო-ბიჭების ურიამული აღწევს. გვერდითა ოთახისკენ ვიხედები – ბებია და ბაბუა ჩუმად სხედან. მე მიყურებენ. მელოდებიან. ხმას არ იღებენ. მალე წავალთ-მეთქი, ხმადაბლა ვეუბნები. მიყურებენ, ნაკვთი არ უტოკდებათ სახეზე. ნუცა გამოდის საძინებლიდან. ნელი ნაბიჯით მიახლოვდება. თვალები ამოლამებული აქვს. თითქოს წვეთი სიცოცხლე არ შერჩენია სხეულში. იმას, რაც უნდა გამატანოს, ხელსახოცებში გადახვეულს მიწვდის. ვართმევ და პალტოს გულის ჯიბეში ვიდებ. გულს ქვემოთ, ნეკნთან, ადგილი მითბება.

- საბა სად არის? – ხმადაბლა ვეკითხები.
- ტელევიზორს უყურებს...
- ეზოში არ უნდა ჩასვლა? არ უთხოვია?..
- არა. აქ იყოს. გაციცდება. შენ რას იზამ?..
- მე?..
- ხო.
- მე... ალბათ დავრჩები... შენ როგორ გირჩევნია?
- არ ვიცი...
- არ იცი?.. კარგი, კარგი... ნუცა... საბა გაიგებს, ცოდოა... მოდი ჩემთან... ნუ ტირი, გთხოვ... თუ გინდა, არ დავრჩები და დავბრუნდები, თორმეტამდე. გინდა?..
- არა. დარჩი. შენ არ გინდა, რომ დარჩე?..
- მინდა. ძალიან მინდა! მაგრამ თქვენთანაც მინდა. არა! კარგი, დავრჩები. ხვალ დილით დავბრუნდები. ახლა წავალ. კარგი?
- წადი.
- დამპირდი, რომ ალარ... საბა ცოდოა... თან ახალი წელი მოდის... მპირდები?..
- წადი. დაგაგვიანდება.
- მპირდები?..
- წადი. ვეღარაფერს გაყვები. დაგაგვიანდება.

* * *

წვიმებამდე თოვლში მივდივართ: მე, ბებიაჩემი და ბაბუაჩემი. ჩემი შარვალი მუხლებამდე თოვლითაა გათეთრებული. ფქვილივით მშრალი თოვლით. მივდივართ. ჩუმად. ნინ მე მივდივარ, ფეხქვეშ თოვლი ჭრაჭუნობს. უკან ბებია და ბაბუა მომყვებიან. ბაბუას ბებიასთვის ხელი ჩაუჭიდია. ერთმანეთს ეხმარებიან. ახლა უკვე თან ყინავს, თან თოვს, და თან ქარბუქია. სუნთქვას არ გაცდის – პირდაპირ სახეში გაყრის ცივ და მსუსხავ ფიფქებს. დროდადრო უკან ვიხედები – რამე ხომ არ უჭირთ-მეთქი. მაშინვე იჭერენ ჩემს მზერას და ორთავე გაბადრული ამომხედავს – ნუ გეშინია, ჩვენ არაფერი გვიჭირს, მოგყვებითო.

* * *

გურამი. ბაბუას გურამი ერქვა. გურო. აპრილის შუა რიცხვები იყო, აღდგომამდე ათიოდე დღით ადრე. ჩავაკითხე თავის სახლში. თბილისთან ახლოს, საბაღე დასახლებაში ცხოვრობდა. საკუთარი ხელით აშენებულ სახლში. ნაკვეთის დაბარვაში დამეხმარეო, შემომითვალა და ჩავედი. ახლაც თვალწინ მიდგას, იმ დღეს, მოსაღამოებულზე, უცრად როგორ გაფუჭდა ამინდი, გადაშავდა ცა, ამოვარდა ქარიშხალი და თავსხმა წვიმა დაუშვა. დავყარეთ ბარები, გამოვაბოტეთ ხნულებში, გამოვვარდით ორლობებში და სულ კისრისტებით გამოვიქეცით სახლისკენ. ბაბუა მიყვიროდა ტელეგრეიკა წამოიფარე თავზეო. მერე ორთავე ვიდექით მეორე სართულის გადახურულ პარმაღზე, სიგარეტს ვაბოლებდით და წვიმას ვუყურებდით. კიბის ქვეშ, საქათმეში შეყუული ვარიების კუთვა ისმოდა. აბრიალებულ ღუმელზე დადგმულ ტაფაზე კარტოფილი იწვებოდა, ჩაიდანში წყალი დუღდა. ქარი გლეჯდა და წენავდა ყველაფერს. ბაბუა წუხდა, სულ დააყრევინა ამ შობელძალლმა ხეებს ყვავილებით. მერე ისევ ვიდექით გადახურულ პარმაღზე და ისევ ვაბოლებდით – ოღონდ, უკვე მთვრალები. ღამდებოდა. აღარ წვიმდა, მაგრამ ქარიშხალი ისევ ანგრევდა ირგვლივ ყველაფერს. ქალი როდის უნდა მოიყანოო, – უცრად მკითხა გურომ. მე რა ვიცი-მეთქი... საკუთარი სიმთვრალით, სიგარეტით და ცუდი ამინდით ვტკბებოდი. მა ვინ იცის? მე ვიციო?! არ უნა დააგვიანო ქალის მოყვანაო. ჩემი ოქრო იყო გურო... ახლა აგერ მომყვება, ბებიაჩემზე ხელჩაკიდებული. ამ მუხლამდე თოვლსა და ყინვაში თხელი შარვალ-პიჯაკი აცვია, ფეხზეც თხელი, საშემოდგომო ფეხსაცმელები, და მოდის ეგრე. გაოცებული ვარ, მაგრამ არაფერს ვეუბნები.

* * *

ლილი. ბებიაჩემი. სკოლიდან შინ მოვყავარ. თავის სახლში. მე პატარა ვარ – მეორე ან მესამე კლასში. კინოთეატრია ლილის სახლთან ახლოს. უნდა ჩავუაროთ. დარბაზის შენობას გვერდზე პაერგამზოვის უზარმაზარი თუნუქის მილი ჰქონდა. როცა გამწოვის აგრეგატი ჩართული იყო, დიდი ხმა ჰქონდა. ამ ხმის მეშინოდა და რომელიაც ცხოველს ვადარებდი ხმას. ლილის უყვარდა, როცა ამაზე ვლაპარაკობდი – შეშინებული და აღტაცებული, ერთდროულად. მზე და

მთვარე ამოსდიოდა ჩემზე, ისე ვუყვარდი. ახლა ჩემ უკან მოდის. ამ თოვაში, ყინვაში, ქარბუქში, თხელი საზაფხულო კაბა და ღია სანდლები აცვია. მოდის, მომყვება. ბაბუასთან ერთად, გზას მოიკვლევს წვივებამდე თოვლში და ხმას არ იღებს. არც მე ვეუბნები არაფერს. რა უნდა ვუთხრა?.. არ ვიცი. ნუცას გამოტანებული – ის, რაც გულისჯიბეში მიდევს, გაცივდა. აღარ არის თბილი. წამდაუნუმ ვისინჯავ გულისჯიბეს – ხომ არ ამომივარდა... ლილის ჩემს შეყვარებულებზე ვუყვებოდი. ყველა შეყვარებულის ისტორია იცოდა – საბავშვო ბალიდან უნივერსიტეტის პირველ კურსამდე. ლილის ისეთი შარმი ჰქონდა, იმდენი წიგნი ჰქონდა წაკითხული, და ისე მიყვარდა... ახლა უკან მომყვება, და საოცარი თვალები აქვს. შეგეშინდება, ისეთი სხვანაირად ლამაზი. ამიტომ ვერ ვუყურებ. უბრალოდ ვიცი, რომ თავისი საზაფხულო სანდლებით, გურისთან ერთად, თოვლში გზას მოიკვლევს. უფრო სწორად – ჩემს გაკვალულზე მომდევს. ლილი სიგიურემდე მიყვარს!

* * *

ნუცა ოთხვალა საკაცეზე წევს და ჰოსპიტლის დერეფნის ლუმინესცენციურ ნათურას უყურებს. როგორ ხარ-მეთქი, -ყოველ წამს ვეკითხები. ვგრძნობ, რომ სისხლისგან ვიცლებიო. მეძინებაო. მორიგე ექთანი უყვირის, არ გაბედო დაძინებაო. მე მორიგე ექთანს ვუყვირი, რაღას ელოდებით, რატომ არ შეგყავთ საოპერაციოში, კვდება გოგო-მეთქი. სისხლს და ანესთეზიოლოგს ველოდებითო. საბა სად არისო? – ნუცა ჩუმად მეკითხება. უკვე მეასედ. დედაშენთან არის-მეთქი. ხო, კარგიაო. მერე მიღიმის. უხმოდ. ნუ იღიმი-მეთქი, ვცოლდები. რატომო? იცი თვითონაც-მეთქი. რა უნდა ვიცოდე, უბრალოდ გიღიმიო. არ არის ეგ მარტო ღიმილი და ნუ იღიმი-მეთქი, – ლამისაა მაჯები დავიჭამო. უეც-რად კარი მჭახედ იღება და განყოფილების დერეფანში გიუივით შემორბის მორიგე ანესთეზიოლოგი, უკან ექთნები მოყვებიან სისხლით სავსე პოლიეთილენის პაკეტებით ხელში. საკაცეს ჩააფრინდებიან და ადგილიდან მოწყვეტით ნუ-ცას საოპერაციოსკენ მიაგორიალებენ. დერეფნიდან გასვლისას, კარის ჩარჩოს საშინლად ეჯახებიან. ვამე! – ყვირის ნუცა. ფრთხილად!!! ფრთხილად!!! ფრთხილად!!! – ნუცასკენ გავრბივარ, მაგრამ ისინი მასწრებენ – ნუცა გაჰყავთ. იქვე ვიკეცები, კედელთან: ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად... ღმერთო... ნუცა...

* * *

გური ისე გარდაიცვალა, ისე იტირა ლილიმ და ისე დაკრძალეს, რომ ვერ ვნახე. ვერ ჩამოვედი. 2008-ის აგვისტოს იმ მძიმე დღეებში ხდებოდა ეს ყველაფერი. მე ოში ვიყავი. იქაურობა ვერ დავტოვე, ვერ წამოვედი. გურის დაკრძალვაზე ძალიან ცოტა ხალხი მოსულა. ვის ეცალა გურის დასაფლავებისთვის – ხალხი დაზაფრული ისხდა სახლებში და ტელე-ვიზორს იყო მიჩერებული. გარეთ გამოსვლის ყველას ეშინოდა. დაკრძალვისას, იმ მომენტში, კუბო რომ უნდა ჩაესვენებინათ სამარეში, რუსულ თვითმფრინავს გადაუფრენია ზედ სასაფლაოს თავზე. ამომხტარან საფლავიდან მესაფლავები

და უკანმოუხედავად გაქცეულან. მეზობლის ბიჭებს ჩაუსვენებიათ საწყალი გურო, და მიწაც იმათ მიუყრიათ. უკან მივიხედავ თუ არა, მაშინათვე დაიჭერს ჩემს მზერას და მიყურებს – სხვანაირად. ვერ ავხსნი, როგორ... მიცვალებულისთვის ჩემი ხელით არჩეული შარვალ-პიჯაკი და ფეხსაცმელი ჩაუცმევიათ, რომელიც ჩემი ქორწილისთვის ვუყიდე გუროს.

* * *

ყინავს. თავზე მათოვს. ჰოსპიტლის გაჩახჩახებულ შენობას ვუყურებ. ვუახლოვდები. ახალ წლამდე ორიოდე საათი რჩება. უკან ვიხედები – გურო და ლილი მომყვებიან, მიყურებენ. ისევ წინ ვიყურები, მივდივარ. ლილი გუროს სიკვდილის შემდეგ, სამ წელიწადში გარდაიცვალა. ისიც ზაფხულში. მე და ნუცამ შევმოსეთ მიცვალებული. თხელი, საზაფხულო კაბა და ღია სანდლები ჩავაცვით. ცოტაც, და ჰოსპიტალში შევალ. ორივე ხელში ტკბილეულით, საჩუქრებით სავსე პარკები მიჭირავს – ექიმებისთვის, ექთნებისთვის. დღეს ხომ 31 დეკემბერია... უკან ვიხედები... გურო და ლილი აღარ მომყებიან... ადგილზე ვშეშდები. გული ისე მიცემს, ლამისაა ამომივარდეს. წამოდით!.. რატომ გაჩერდით?! ხმას არ მცემენ. დგანან გაუნძრევლად და ათოვთ. არ ვიცი, რა ვქნა... მივბრუნდები და გზას ვაგრძელებ. ისევ ვჩერდები. ვტრიალდები. ისევ დგანან. ოღონდ უფრო შორს არიან. ათოვთ. ქარბუქი ლილის ზაფხულის კაბას უფრიალებს. მიყურებენ. სიცივისგან და მღელვარებისგან მთელი სხეული მიკანკალებს. გზას ვაგრძელებ. ისევ ვჩერდები და ვტრიალდები. აღარ დგანან... აღარსად ჩანან. თავისით გადმოცვენილ ცრემლებს პარკებიანი მუჭით ვიშორებ, გულისჯიბეში იმას ვისინ-ჯავ, რაც ნუცამ გამომატანა და ჰოსპიტლის შენობაში შევდივარ. ლიფტთან დაცვის თანამშრომელი მაჩერებს.

- სად მიბრძანდებით?

- მეოთხეზე.

- რომელზე?

- მეოთხეზე.

ლიფტის კარი იღება. ვიღაცები გამოდიან.

- არ შეიძლება.

- რატომ არ შეიძლება?

- დამთავრდა უკვე პაციენტების ნახვის საათები.

- გამორიცხულია რომ არ ვნახო. თან, აი...

ტკბილეულით და საჩუქრებით სავზე პარკებს მის ცხვირამდე ვწევ.

- ეს რა არის?..

- საჩუქრები და ტკბილეული გოგოებისთვის. ექიმებისთვის, ექთნებისთვის. დღეს ხომ ოცდათერთმეტია...

- მომეცით და მე გადავცემ.
- არა. თქვენ არ გადასცემთ. მე უნდა გადავცე. და ამის გარდა, ესეც უნდა შევიტანო...
- გულისჯიბიდან ნუცას გამოტანებულს ვიღებ, ხელსახოცებს ვაშორებ და ვაჩვენებ. დაცვის თანამშრომელი მაშინათვე უკან იხევს.
- მიპრძანდით. ოღონდ დიდხანს არ გაჩერდეთ.

* * *

პერინატალურ განყოფილებაში გოგოებს – ექთნებს და ექიმებს სულ ფერად-ფერადი წვიმებით, ქალალდებით, საახალწლო სათამაშოებით მოურთავთ კედლები, კარადები, კუვეზებიც კი, სადაც უდღეური ახალშობილები წვანან. ზოგს სძინავს, ზოგს ექთანი აჭმევს, ზოგი ტირის, და ახალშობილის ხმა ინკუბატორიდან ყრუდ მოისმის. ზოგი კარგად სუნთქავს, ზოგი – ჩქარა. წრიპინებს ან ტონალურ სიგნალს გამოსცემს უამრავი აპარატი, დანადგარი. ხათუნა – ჩემი პატარა ლილის ექიმი ერთ-ერთი კუვეზისკენ მიმიდვის, სადაც ყველაზე მეტი აპარატი მუშაობს. ვჩერდები. მძინარე, ციცქინა ახალშობილს დავყურებ. ცრემლები თავისით მცვივა. ლოყაზეც კი არ ჩერდება – პირდაპირ იატაკზე ცვივა. თითქოს თვალებიდან ხტებიან.

- ძალიან გთხოვთ, ნუ ნერვიულობთ.
- არ ვნერვიულობ...

ცრემლებს კი არ ვიწმენდ, ვიგლეჯ სახიდან.

- ისეთი სანერვიულო აღარაფერია. დღევანდელმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ გულზე ბოტალის სარქველი დაიხურა. მარჯვენა ფილტვმა გაშლა დაიწყო და მუცლის ღრუში პერიტონიტის ნიშნები აილაგა. გადაეცით თქვენს მეუღლეს, რომ არ ინერვიულოს, და თქვენც აღარ ინერვიულოთ ასე ძალიან.

- აი, ეს გამომატანა ნუცამ...
- პალტოს გულისჯიბიდან ბავშვის საჭმლის ბოთლს ვიღებ. ბოთლში ორასიოდე გრამი რძეა.
- მეტი ვერ შეძლო...

- არა უშავს. დღეს დიდხანს ჰქონდა თვალები გახელილი. მერე ნეკა თითზე ხელი მომიჭირა. ისეთი მოშვებული და მისავათებული აღარ არის, როგორიც პირველ დღეებში იყო. ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება. ახლა ცოტა ხანი დაგტოვებთ. მერე კი, უნდა წაბრძანდეთ, არ შეიძლება...

- რომ დავრჩე, ხათუნა ექიმო?..
- სად?!

- დერეფანში ვიქწები, ან კიბის უჯრედში დავდგები...
- რატომ? რა საჭიროა?..
- იმიტომ, რომ... არ მინდა, რომ...
- რა არ გინდათ?..

ხათუნა ექიმს სახეზე ღიმილი გადაურბენს.

- არ მინდა, რომ ახალ წელს მარტო შეხვდეს... არც მე და არც ნუცას!

ახლა უფრო თავდაჯერებული ვარ.

- თქვენ იცით, ჩვენ აქ როგორ ვხვდებით ახალ წელს?
- როგორ?..
- როგორ?.. ყველანი ერთად!..

ხათუნა ექიმს თვალები უწყლიანდება. მე თვალს ვარიდებ, გვერდზე ვიხედები.

- ახლა ცოტა ხანი დარჩით, შემდეგ კი წაბრძანდით. ძალიან გთხოვთ. ოჯახში გელოდებიან.

ხათუნა შებრუნდება და მიდის. ვხედავ, როგორ იწმენდს ხელსახოცით ცრემლებს.

ლილის ვუყურებ, ვუყურებ, ვუყურებ. სძინავს. ძალიან ციცქნაა. ერთი ბეწო თითზე პულსის და წნევის მარეგულირებელი სარჭი უკეთია. გულმკერდზე, მუცელზე, რაღაცები აქვს დაწებებული, კაბელით რომ გრძელდება და სხვადასხვა, მონრიპინე, მოციმციმე აპარატს უერთდება. პანაზინა მკლავზე დრენაჟი აქვს ვენაში შეერთებული. ველოდები, იქნებ გამიმართლოს და თვალი გაახილოს. არ ახელს. ჩუმად პირველ ახალ წელს ვულოცავ და ვშორდები. მორიგე ექთნებს და ექიმებს წინასწარ ვულოცავ ახალ წელს და გასასვლელისკენ მივდივარ. ყველანი მაცილებენ, საჩუქრებისთვის მადლობას მიხდიან. კარში გასვლისას, ხათუნა ექიმი მრავალმნიშვნელოვნად თავს დამიქნევს, მეც იგივეთი ვპასუხობ და გამოვდივარ...

გარეთ ისევ ქარბუქია. უარესად თოვს და ყინავს. ვჩერდები. ირგვლივ მიდამოს ვათვალიერებ. ლილი და გურო არსად ჩანან.

- „ღმერთო...“
- „ნუცა, მოვდივარ! და რომ იცოდე, რამდენი რამე უნდა მოგიყვე!..“
- „და რომ იცოდე, რა მომაქვს შენთვის...“

ტაქსიში ვზივარ. შინ მივდივარ. ჯიბიდან გადაკეცილ ხელსახოცს ვიღებ. ვხსნი. ბამბის პანაზინა ნამცეცს დავყურებ. კარში გამოსვლისას, ხათუნა ექიმმა ჩამჩურჩულა, დღეს მთელი დღე მარჯვენა ხელში ჰქონდა ლილის ჩაბლუჯულიო... მის ციცქნა ხელს აპყვა საიდანლაც და ეჭირაო. მერე გაუვარდაო. შეგინახეთო. როგორ მოიფიქრა?..

ბამბის პატარა ნამცეცი...

- ახალ წელს ხომ სახლში შეხვდები, ოქროკაცო?..

მძღოლს მხარზე ხელს ვადებ.

- არა, ჩემო ძმაო. ვერა. ტაქსოკომპანიის მანქანაზე ვზივარ და მორიგე ვარ...

- მორიგე ხარ?.. აი, ახლა ხომ მივალთ ჩემს სახლთან...

- დიახ?..

- ჰოდა, რომ მივალთ, ამოდი ჩემთან და ერთად შევხვდეთ ახალ წელს. მერე ისევ გააგრძელე მუშაობა.

- ვაიმე, ვაიმე! ღმერთმა ამრავლოს თქვენნაირი ხალხი! დიდი მადლობა, შენი ჭირიმე! რას ამბობთ?!

- მე სერიოზულად გეუბნები. დააყენე მანქანა და ავიდეთ ჩემთან...

- ჩათვალე, რომ ამოვედი! დიდი მადლობა, ჩემო ძმაო! გაიხარე და გამრავლდი!

მანქანას ჩემს კორპუსთან აჩერებს.

- ესე იგი, არ ამოხვალ?..

- ვერ ამოვალ, შენი ჭირიმე, მაგრამ ჩათვალე, რომ ვიყავი და დამილოცნია შენი ოჯახი, სულით და გულით!

- რა გქვია, მეგობარო?

- თამაზი. თაზო.

- თაზო, მე იცი ახლა რა მიმაქვს სახლში?..

- არ ვიცი?..

მძღოლი დაბნეული მიყურებს.

- აი...

პალტოს ჯიბიდან გადაკეცილ ხელსახოცს ვიღებ.

- რა არის ესა?..

მძღოლი მიამიტურად მეკითხება.

- ბამბის პატარა ნამცეცი...

მძღოლი დაბნეული მიყურებს. ოდნავ შემკრთალიც. ვეხვევი, ვკოცნი, ახალ წელს ვულოცავ და მანქანიდან გად-მოვდივარ. სადარბაზოსკენ მივრბივარ. ტაქსი ადგილიდან არ იძვრის. ზურგსუკან, ტანით ვგრძნობ, ვხედავ, თაზოს გაოცებულ სახეს.

- ხო, თაზო. ბამბის პატარა, ციცქანა ნამცეცი...

თაა თოვლია



მამლუქი

სლი ბეგ, ალი, ალი ბეგ...
ისკანდერი მანჯლრევს. მერე ფეხმორთხმით ჯდება.
ჩაფიქრებულია.
— ხომ გითხარი, თუ ვინმე არ მოკვდა, არ გამაღვიძო-მეთქი.
— მოკვდა, ალი ბეგ.
— ვინ?
— ჯემალ ხანის ბავშვი, პატარა.
— რომელი ძიძა მე მნახე. მეომარი თუ მოკვდა ვინმე?
— დიდი ფრინველი მოვიდა და ბავშვი თავის ბუდეში წაიღო.
—
— ფაშა ამბობს, დემონი იყოო. ამბობს, რომ დემონები გვებრძვიან.
— კიდევ რას ამბობს ფაშა?
— ფაშას შენი ნახვა უნდა, ალი ბეგ.
დიდი დარბაზი მწვანე აბრეშუმით აქვთ მორთული, ხალიჩები

ერთმანეთზეა გაფენილი. სარკმლიდან სამი ვარსკვლავი იყურება, პატარაა, სამ ვარსკვლავზე მეტი არასდროს ჩანს. აბრეშუმს ადუღებულ წყალში ღებავენ.

— ოსმალებს მოვერიეთ, ალაპი შეგვერია. მაგრამ ახლა გულმოსულია ალაპი, დემონები მეომრებს გვიხოცავენ, გუშინ დემონმა ბავშვი წაიღო.

მე უცნაური სენი მჭირს, ერთდროულად ბევრი სხვადასხვა ნივთის აღქმა არ შემიძლია. აზრი გამირბის. ჩემს ოთახში საწოლიც არ მიდგას, მხოლოდ ყველაზე აუცილებელს ვტოვებ. ფაშას ვუსმენ და თან თვალში მწვანე აბრეშუმი მეჩირება. ფაშა მეუბნება, რომ მეომრების გახშირებული სიკვდილი და სხვა უცნაურობები ალაპის რისხვის ნიშანია. მე ვფიქრობ, რომ აბრეშუმი ცხელ წყალში გამოყავთ. როდესაც აბრეშუმს აკეთებენ, ყველაფერი იორთქლება. ძაფები გავარვარებულია. აბრეშუმის ხელოსნები დიდხანს ვერ ცოცხლობენ.

- ალი ბეგ, დემონი უნდა მოძებნო.
- უსხეულო სულთან მე რას გავაწყობ?
- ადამიანების რომ არ ეშინოდეს, არც დახოცავდა.

მერე ამ ძაფებს ღებავენ და ზოგიერთისგან ხალიჩებს ქსოვენ. მუსლიმი ქალის ხასიათს მისი მოქსოვილი ხალიჩით იცნობ. მუსლიმი ქალი მთელი დღე ქსოვს, მთელ თავის ვწებას ხალიჩაში დებს. ამ იატაკზე ხუთი ხალიჩაა გაფენილი, არჩევა რომ შემეძლოს, იმ ქალთან დავწვებოდი, რომელმაც მეორე მოქსოვა, მოიისფრო, პატარა ხაზებითა და ფიგურებით. ასეთი ხალიჩის მქსოვ ქალებს ალერსიც ასეთი აქვთ, ყველა ნაკვთს გითვლიან.

* * *

ისკანდერი ისევ ჩემს ოთახში ზის. ხან იატაკს უყურებს, ხან — მე. მზერა არ ეცვლება. როცა მე მიყურებს, გეგონება, ისევ იატაკსაა მიჩერებული.

- შენ რომ უსხეულო იყო, ისკანდერ, ჩემი რატომ შეგემინდებოდა?
- მე არც ახლა მეშინია შენი, ალი ბეგ.
- დემონებთან ომს გვავალებს ფაშა. გათენდება და გავიდეთ მეჩეთში. ვინმე ჩვენზე ჭკვიანს ვკითხოთ.
- ახლავე გავიდეთ, ხალხს თვალში არ შევეჩირებით.
- გათენდეს, ისკანდერ.
- რადგან დემონებს დამე უყვართ?
- არა, მე მიყვარს, როცა თენდება.

ისკანდერს ჯერ კიდევ სტამბოლის ბაზრობიდან ვიცნობ. ბოძზე მიბმული პატარა ბიჭი ხალხს დასიცხული თვალებით ვათვალიერებდი, როცა მუშტარი მომიახლოვდა. ისკანდერი უკვე ნაყიდი ყავდა. აქლემზე გადაკიდულ ხურჯინში იჯდა და ორი კვირის დაუბანელი ხელებით ხმიადს ღოლნიდა. ისკანდერს ვუყურებდი და არც გამიგია, ჩემში რამდენი გა-დაიხადეს. ახალმა პატრონმა ხურჯინის მეორე თვალში ჩამსვა, უცნობ ენაზე ლაპარაკობდა და აქლემს მიერეკებოდა.

— შენზე ამბობს, ამისგან კარგი მამლუქი დადგებაო, — მითხრა ისკანდერმა.

მე ხურჯინში მოვიკუნტე და ჩემებინა.

დიდ წიგნებს ტყავის სუნი ასდის. მოლა ზის და არაფერზე ფიქრობს. მისი მზერა ისეთივეა, როგორც ისკანდერის, როდესაც ის იატაკს უყურებს. ადამიანის ფიქრების გამოცნობა ძალიან ადვილად შეიძლება, უბრალოდ უნდა დააკ-ვირდე მის გამომეტყველებას, სახის ნაკვთებს, ხელების მოძრაობას და ეს ყველაფერი ნაცნობ და გულწრფელ ადამი-ანზე გადაიტანო. მე როგორც წესი, ისკანდერზე გადამაქვს, რადგან ისკანდერი ან არასოდეს მატყუებს, ან არასოდეს ყოფნის იმის მოხერხება, რომ მომატყუოს. ისკანდერს კარგად ვიცნობ.

— დემონს ლოცვის ეშინია, ჩენ ვილოცებთ, დამითაც. ადრე თუ გვიან დაგვტოვებენ. არაფერი იდარდოთ, ალი ბეგ.

მოლას გაშეშებული სახე აქვს და ჩემს მიღმა იყურება. როცა ისკანდერს ასეთი სახე აქვს, უბრალოდ უნდა, შიში არ შეიმჩნიოს. მოლასაც ალბათ ეშინია.

— არა მგონია, ღამე ლოცვა კარგი იყოს, მაინც ყველა გაიგებს და ყველას ეცოდინება, რომ რაღაც საფრთხეს ვგრძნობთ.

— ისედაც ყველამ იცის, რომ ხალხი იხოცება. დემონს ლოცვის მეტი არაფერი დააფრთხობს. ეშმაკს ხელი და ფეხი არა აქვს, აიღე წყალი და ქვას დაასხი, დასველდება და ისევ გაშრება.

რატომლაც ჩემი ცხენი მიდგას თვალნინ. ფიქრების გასაფანტად თავს ვაქნევ და მეჩეთიდან გამოვდივარ.

სისულელეა ეს ყველაფერი.

კედელი საწოლიდან სამ მეტრშია. მურით ორი წერტილი მაქვს მონიშნული. როდესაც ვფიქრობ, მათ ვუყურებ, აზ-რების მოკრებაში მეხმარება. ერთი წერტილი მაღლაა თვალის სიმაღლეზე, მეორე უფრო დაბლა, ისიც თვალის სი-მაღლეზე, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ვზივარ.

ახლა ვზივარ და დაძაბული მივჩერებივარ. ისკანდერი ჩემს უკან ზის, თვალებში რომ არ გამებლანდოს.

— დემონების მოხმობა მარტო ძალიან ძლიერ ჯადოქრებს შეუძლიათ, — მესმის ზურგსუკან. ისკანდერმა იცის, რომ დემონების და მსგავსი სულების მაინცდამაინც არ მჯერა. ისკანდერი ხშირად ამბობს, რომ ურწმუნო ვარ, — ნაგიბ ხანი თავად ვერ მოუხმობდა დემონებს, უნდა გავიგოთ, ვის დაავალეს.

— და როგორ უნდა გავიგოთ? — ირონიულად ვამბობ. ისკანდერი მართალია, არ მჯერა დემონების. მეომრებს, როგორც წესი, ისევ მეომრები ხოცავენ.

ისკანდერი ჩუმდება. უდაბნოდან ლომის ღრიალი ისმის.

* * *

შარშან ანტილოპების მთელი ჯოგი უდაბნოდან გადაიხვენა, ლომები დაიმშნენ და სოფლებში ხალხს ესხმოდნენ თავს. ფაშამ მასაების ორი ჯგუფი დაიქირავა, თითო მკვდარ ლომში ლეოპარდის სამი ტყავს და მეოთხედ ტომარა მარილს იძლეოდა. ათი ლომი მოკლეს და ჯუნგლებში დაბრუნდნენ, მეტი ტყავი და მარილი აღარ უნდოდათ. გაძვალ-ტყავებული ლომები ისევ სოფლებს უვლიდნენ გარშემო...

— ალი ბეგ, შენ წახვალ და ლომებს დახოცავ.
— ჯობს, ისევ მასაებს შევაძლიოთ რამე ძვირფასი, მე ლომებზე ნადირობის არაფერი ვიცი.
— მასაებს ვერცხლი და ფარჩა რად უნდათ, აღარც მარილი. ვერ დავხარჯავთ და აგვიორთქლდებაო. მასაები უკვე გაბრუნდნენ.

ერთი სოფელი მთლიანად იყო დაცლილი. ყველა სახლში რიგ-რიგობით ვათევდი ლამეს იმ ფიქრით, რომ ლომები თავს დამესხმებოდნენ. ხმალი და დანა მუდმივად თან მქონდა. ორი მოვკალი.

იასმინი მეოთხე ლამეს მოვიდა. ლამის თენდებოდა, გაღებულ კარში ქალი რომ ჩადგა.

— ვინ ხარ?

— ეს ჩემი სახლია.

ჩადრი არ ეფარა, არც ჩემს დანახვაზე აუფარებია. ზიზლით მიყურებდა.

— ქურდი ხარ?

— ლომებს ვხოცავ. რატომ დაბრუნდი? აქ სახიფათოა.

დაჯდა, კარგად შემათვალიერა და მერე გაიცინა.

— რატომ ხოცავ ლომებს, იასმინი ხომ ქრისტიანები არ არიან!

იასმინი არ ქსოვდა ხალიჩებს. არ მიკითხავს, მაგრამ ალბათ არასდროს მოუქსოვია. მის სახლში ხალიჩები არ ეფინა. იასმინს მე ვუყვარდი, თითქმის მეც მიყვარდა და სანამ ჩვენ გვიყვარდა, სოფლები ლომებმა აიკლეს.

- უნდა წავიდე.
- არ წახვიდე, ალი ბეგ.
- შენც წადი. აქ სახიფათოა. ან საერთოდ რატომ დაბრუნდი?
- სახლში დავბრუნდი.
- ამ სახლში? აქ თაგვების ნაცვლად ლომები და მორიელები დარბიან.
- ყველა ბრუნდება სახლში. შენც დაბრუნდები.
- ჰოდა, მივდივარ კიდეც, ოღონდ შენც წადი.
- ალი ბეგ, რამე თუა ისეთი, რაც ძალიან გიყვარს?
- როგორ არ არის.
- მეც ასე მიყვარხარ.
- ვიცი, მაგრამ...
- რატომ მომკალი, ალი ბეგ, მე ხომ ლომი არ ვიყავი...

* * *

ისკანდერი სადღაცასაა გადაკარგული, რამდენიმე დღეა არ გამოჩენილა. ჯემალ ხანის სახლიდან უცნაური ხმები აღწევს. მკვდარი ბავშვის დედას, ლატიფანს შინ ვეღარ აკავებენ.

ისკანდერი შუადღისას მოვიდა, პატარა თვალები აქვს, ჩაისფერი.

- ლატიფან ხანუმი სახლიდან ეპარებათ ხოლმე, ხეებზე მიძვრება და ბუდეებში ბავშვის ჩონჩხს ეძებს. ბანგით აბრუებენ, თუ გრძნობაზე მოვიდა, მაშინვე გარბის. ალბათ, მასაც დემონი შეუჩნდა.
- რაღა დემონი გინდა, თუ შვილს ფრინველები დაგიძიძგნიან, — ვეუბნები ზიზლით.

ისკანდერი გაჩუმებულია.

- სად იყავი?
- ვფიქრობდი, ალი ბეგ.
- მერე, რა მოიფიქრე?
- ტყვეები უნდა ვნახოთ, მათ ეცოდინებათ, ვინ ყავს ნაგიბ ხანს ასეთი სასწაულმოქმედი.
- ჩვენ არა გვყავს ტყვეები, ისკანდერ, დაგავიწყდა? ყველა დავხოცეთ.
- ჩვენ დავხოცეთ, მაგრამ სხვებს არ დაუხოცავთ.

მე გულსგარეთ ვუსმენ. ხმები დადის, რომ ფაშა სადღაცას ორმოცდაათამდე ტუსალს მალავს. სინამდვილე არავინ იცის, არც — მე.

- ასეც რომ იყოს, ფაშა მაინც არ გვეტყვის.
- ფაშას არც უნდა ვკითხოთ.
- აბა, სად გინდა ამ ხალხის ნახვა?
- ხალხი იქაა, სადაც საჭმელია.
- სამზარეულოში, ისკანდერ?
- დემონივით დამცინავი ხარ, ალი ბეგ. მე იმის თქმა მინდა, რომ თუ ტუსალები მართლა სადმე არიან, ვიღაც ისეთიც იქნება, ვინც მათ პურს და წყალს აწვდით.
- ისკანდერი ისევ რამდენიმე დღით გადაიკარგა.
- ჯემალ ხანს შენი ნახვა უნდა, — მითხრა წასვლამდე.

* * *

- ჯემალ ხანი ახალგაზრდა ბიჭია, თვრამეტი წლის. წინ და უკან დადის და თავის მაღლა აწევის ეშინია.
- ლატიფანი ისევ გაიპარა. საჭურისები გავაგზავნე, ვერ პოულობენ. დემონი დაეუფლა მის სულს.
 - საცოდავი ქალი ალბათ ჭკუიდან შეცდა, სადმე უდაბნოში ტანსაცმელშემოფხრენილი დარბის. საჭურისებიც იმიტომ გააგზავნა, რომ მისი სახე კაცმა არავინ დაინახოს.
 - მოძებნე, ალი ბეგ, — ჯემალ ხანი ერთიანად წითლდება. მე თავს ვუხრი და მივდივარ.

* * *

- ლატიფანს მესამე დღეს გადავაწყდი. ერთ მაღალ ხეზე იჯდა განენილი. უკან ვერ ჩამოდიოდა. ასე კატებს ემართებათ ხელმე.
- საჭურისი ვარ, ხანუმ, — ვიცრუე.
 - ხმა არ ამოულია.
 - მაღლა აძრომა დავიწყე. როგორც იქნა მივაღწიე ქალამდე. ცახცახებდა და ცდილობდა, დაბლა არ ჩაეხედა.
 - კისერზე ხელები მომხვივე და თვალები დახუჭებ.
 - ზურგზე ამეკრო, მთელი ტანით ვიგრძენი ახალგაზრდა გოგოს შიშისგან გაოფლილი სხეული. ხელები დამიბუჟდა. ნელა ჩამოვედი ხიდან.

მიწაზე დადგა ფეხი თუ არა დაბარბაცდა. როგორც ჩანს, უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც ხეზე იჯდა. ლამაზი სახე ქონდა. ალბათ უყვარდა ჯემალ ხანს. ალბათ გაუჭირდა ჩემი გამოგზავნა.

- ხომ მართლა საჭურისი ხარ? — კიდევ იკითხა, როცა დაინახა, რომ ვაკვირდებოდი, მერე წელს ქვევით გაექცა თვალი.
- კი, — ისევ ვიცრუე.
- წყალი მომეცი.

წყალი და პური მივეცი. ხარბად ჭამდა. მერე უცებ წამოვარდა და გაიქცა. მკლავები მოვხვიე, რომ როგორმე გამეკავებინა. ცხენზე შევაგდე და თვითონაც შევჯექი.

ლამემ გზაში მოგვისწრო. ჩამოვედით. ცხენი და გოგო ორივე ხეზე მყავდა მიბმული. არ გამძალიანებია. სანამ დამე-ძინებოდა, ლატიფანის ჩუმი ღილინი ჩამესმა:

„რაც მოიტანა აღმოსავლეთის ქარმა,
გავატანე აღმოსავლეთის ქარს.
რაც მოიტანა დასავლეთის ქარმა, დავიტოვე.
ჩემი ბავშვი ჩიტებმა გაიყვეს.
თივის ბუდე და თიხის ბუდე ჩემი შვილის ზენრებია.
ჩემი ბავშვი ჩიტებმა გაიყვეს და ერთად გაფრინდნენ“...

* * *

ისკანდერი რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა და ხის ქერქი მოიტანა.

- ფაშას მზარეული ამ ხის ქერქებს ყოველდღე ამზადებს და სადღაც მიაქვს. ვის შეიძლება ასეთი საზიზლრობა აჭამო?
- მტერს, — დავუდასტურე მე, — ერთხელ მაინც გაყევი უკან, სად მიდის?
- ისკანდერმა თავი დააქნია და მერე სარკმელში გაიხედა.
- იქ, — კლდეზე მანიშნა.
- კლდეზე კაცი როგორ უნდა დამალო?
- სამი დღეა მანდ დავდივარ, არავინ დამინახავს. ალბათ, გამოქვაბულია შიგნით. ალი ბეგ, გახსოვს იმ კლდიდან წყარო გამოდიოდა, ახლა აღარ გამოდის.
- ცხელი ზაფხულია, დაშრებოდა.
- ალბათ, იყენებენ ამ წყალს.

- თუ ასე გვინდია, მაშინ იმასაც დააკვირდი, მზარეული სად შედის.
 - ისკანდერი ახლა ორი დღის მერე მოვიდა.
 - კლდის მარცხენა ფერდობზე გამოქვაბულის ყელია. თოკის გარეშე ვერ ჩავალთ.
 - ის სპილოსავით მზარეული თოკით ჩადის?
 - საჭმელს აწვდის თოკით.
- შუალამისას გავედით...

* * *

აუტანელმა თავის ტკივილმა გამაღვიძა. ასე ხშირად მემართება. მგონია, თავში რაღაც მიზის. ერთხელ, უდაბნოში თითისტოლა, ყავისფერი მწერი დავინახე, ბევრი ფეხებით. მაშინვე ეს საოცარი ტკივილი გამახსენდა. მეც რაღაც ამდაგვარი მაქვს თავში, უამრავი ფეხი აქვს. ხან გაჩერებულია, ხან ტვინის ერთი ადგილიდან მეორემდე გადაირბენს. იმდენად მტკივნეული არაა, რამდენადაც ამაზრზენი, მწერის საცეცებს თითოეული უჯრედით ვგრძნობ და ერთიანად მაკანკალებს. უამრავი ნახარში მაქვს დალეული. არაფერს უშველია. დარწმუნებული ვარ, რომ როდისლაც, როცა მინაზე მეძინა, ის მწერი თავში შემიძვრა და მას შემდეგ იქაა. ვერ გამოდის. რაზა მეუბნებოდა, რომ შეუძლებელია ადამიანის სხეულში რომელიმე მწერი გაჩერდეს. რაზა ექიმბაშია, ომებში თან დაგვყვება და დაჭრილებს უვლის. ამას რომ მეუბნებოდა, მე ცხენიდან ჩამოვარდნილი, მინაზე ვიკლავნებოდი ტკივილისგან, ის კი თავზე მადგა. შორიახლო ჯერ კიდევ იბრძოდნენ.

- დაჭრილი ხარ, ალი ბეგ?
 - თავში მწერმა გაირბინა.
 - ადამიანის სხეულში მწერი ვერ ჩერდება.
 - ჭიები ხომ ჩნდებიან მუცელში.
 - მუცელი ეშმაკისაა, თავი — ღმერთის. როგორია ის მწერი?
 - ცერისსიმსხო და ბევრი ფეხებით.
 - ტვინია თვითონ ეგეთი, ალი ბეგ, წვრილად დაქსაქსული. სისხლი აწვება და მაგას გრძნობ.
 - ამ მწერის გამო არ შემიძლია ყველაფერი ერთად დავინახო.
- რაზამ შემომხედა.
- შენ ხომ გხედავ, შენს გვერდით ცხენია. ორივეს ერთად ვერ გხედავთ, ან — შენ, ან — ცხენს.

იქვე ოსმალის ცხედარი ეგდო. რაზამ ხმალი დაკრა თავზე, მერე ამ თავიდან სისხლიანი, დაკლაკნილი მასა ამოილო და დამანახა.

- ტვინი ასეთია, ალი ბეგ. ეს გავს შენს ტკივილს?.
- მე თვალი მოვარიდე, რომ გული არ ამრეოდა.
- გავს.

* * *

მზე ნელა ამოდიოდა. ჩემი სარკმლიდან მზე და მდინარე ჩანს. მზის ამოსვლას მანამდე ვუყურებ, სანამ მიწას არ აცილდება. მდინარესთან ბეჭემოტები წვანან. ხანდახან, ისინიც იღვიძებენ და დგებიან. მიყვარს, თუ ბეჭემოტმა მზე გადაკვეთა. ახლაც ერთი წამოდგა და პირდაპირ მზისკენ დაიძრა ზოზინით.

- ალი ბეგ, ჩქარა...

ქვეყანა რომ გაწყდეს, თვალს ვერ მოვაშორებ. „რამე თუ არის ისეთი, რაც ძალიან გიყვარს“... ბეჭემოტი შუა გზაზე შეჩერდა და ხმამაღლა დაიღრიალა.

- მზე მიწას აცდა. ორი თითის დადებაზეა ცაში ასული.

- ალი ბეგ, ალი!

სარკმელს თვალს ვწყვეტ და იქითკენ მივდივარ, საითაც ხმაურია.

იასმინსაც ასე ვუყვარდი.

მინარეთის ქვეშ ხალხია შეყრილი. მოლა ქვევით დგას დაბნეული. მინარეთიდან ქალის ხმა ისმის.

- ალაააააააააააააა! ჩემი ბავშვი ჩიტებმა გაიყვეს და ერთად გაფრინდნენ...

* * *

რაზამ შუშის ჯამი და ხის პატარა ყუთი მოიტანა. ყუთში ცოცხალი მორიელი იჯდა. მორიელი იატაკზე გადმოაგდო, სანამ გაქცევას მოასწრებდა, ჯამი დააფარა თავზე.

- აი, ნახავ, ალი ბეგ, დიდხანს ვერ იცოცხლებს. მწერები ვერ ძლებენ დახურულ ადგილას, ვერც შენს თავში გაძლებდა. მორიელი კედლებს მიაწყდა, მე ისევ ამენვა შუბლი.
- მე არც ერთი მტერი არ მომკლავს, გარდა ამის, — ვამბობ ჩუმად, — რა შეგიძლია გააკეთო?
- ვერაფერი, — რაზა თითქმის არხეინად ამბობს, — შენ მამლუქი ხარ, ორად გაყოფილი ადამიანი და გონებაც ორად გაქვს გახლეჩილი. თუკი ოდესმე სახლში დაბრუნდები... — თან იცინის.

მე განზე ვიხედები. ფაშა არასოდეს შემელევა, ეს ზუსტად ვიცი.

* * *

— ნაგიბ ხანს ძლიერი ჯადოქარი ყავს, სალილი. დედამისი ორი წელი იყო მასზე ორსულად. პირველი სამი თვე მარტო ბალახს ჭამდა, მომდევნო სამი თვე — მარტო ხარის ხორცს, სამი თვე — ფრინველის ხორცს, სამი თვე — წყალში ჩალბობილ პურს, სამი თვე — უმ ქერს... სალილი ძალიან ძლიერია. სალილს თუ უნდა, ერთი შელოცვით ისე დაგვაცლის ხელ-ფეხს, როგორც კიბორჩხალას აცლიან საცეცებს, სანამ იხარშება.

მოხუცი ძლივს ლაპარაკობდა. ისკანდერმა წყალი მისცა. გამოქვაბულში სამოცამდე ტყვე ჰყავდათ დაბმული, რკინის ჯაჭვებს აჩხარუებდნენ და თვალებით გვჭამდნენ. მოხუცი სალილზე ლაპარაკობდა: სალილმა მკვდრები გააცოცხლა და ისევ დახოცა; სალილმა ქარს დაუძახა, სალილს ორმოცი ცოლი ჰყავს, ოთხმოცამდე შვილი და ყველა მისი ბავშვი მუნჯია.

რამდენჯერმე დამესიზმრა ის გამოქვაბული...

— სულწართმეული იყო, — თქვა ისკანდერმა, როცა ისევ კლდეზე ამოვედით.

მე შევხედე.

— გონზე არ იყო, ალი ბეგ. არ იცოდა, რას ლაპარაკობდა.

თავიდან მეგონა, რომ საჭმელი აგიუებდათ. ორი დღე ხის ქერქებს ვხარშავდი ჩემს ოთახში და ვჭამდი. საშინელება იყო, მაგრამ ჭკუისთვის არაფერი დაუკლია, უბრალოდ, ბოროტდებოდი.

— შეიძლება მართლაც არსებობს სალილი. თუ ადამიანი ასეთი ცნობილია, ორმოცი ცოლი და ოთხმოცი ბავშვი ჰყავს, ადვილად ვერ დაიმალება.

ისკანდერი აიმრიზა, სალილის ძებნა დროის კარგვად ეჩვენებოდა.

* * *

ისევ მოლასთან ვზივართ, იგივე ტყავის სუნში. მოლა ფიქრობს. როდესაც ისკანდერს თავი ასე გვერდულად აქვს ჩაქინდრული, მას უბრალოდ უნდა, მოშორდნენ.

— ჯადოქრები ალაპის ძალასთან ვერაფერს გააწყობენ, ალი ბეგ. ჩვენ ვილოცებთ.

რატომ მახსენდება ჩემი ცხენი რამდენჯერაც აქ შემოვალ? ალბათ ტყავის სუნზე, უნაგირიც ტყავისაა და მასაც ასე-თი სუნი ასდის, როდესაც მთელი დღის ჭენების შემდეგ ოფლისგან სველდება.

ოთახში ვბრუნდები და ვცდილობ, აზრები მოვიკრიბო. ისკანდერმა ერთი ქალი მოძებნა, სალილის სახლში მსახურად იყოო.

ქალი ერთიანად ჩადრშია შეფუთული, მარტო თვალები უჩანს.

— სალილი დიდი ბატონია, ალი ბეგ. მდიდარი და გავლენიანი. ბევრი ამბობს, რომ დიდი ძალაც აქვს, მე არ ვიცი. არ მინახავს, ბატონს რამე უჩვეულო გაეკეთებინოს, არც სხვებს უნახავთ. მე მგონია, რომ ბატონი ავადაა და ყველა მისი ბავშვიც ავადა.

- თუ სალილი ჯადოქარი არ არის, მასზე ასეთი ხმები რატომ დადის?
- არ ვიცი, ალი ბეგ, ალბათ, შიშისგან. ხალხს ეშინია სალილის, მისი სასახლის...
- რა ხდება სასახლეში?
- სიჩუმეა. ოთხმოცი ბავშვი ცხოვრობს და ბგერაც არ ისმის. როცა ბავშვებს რაღაცა უნდათ, მოდიან და გიყურებენ. ხალხს ძალიან ეშინია.
- ისკანდერი ქალს აკვირდება. ის მიდის.
- ხომ ვამბობდი, რომ სალილის ძებნა არც ლირდა.

* * *

პარასკევს ორმოცდაათამდე ადამიანი გარდაიცვალა. გვამები დარბაზში ესვენა. ჭრილობები არ ეტყობოდათ. თითქოს, ყველას ერთდროულად გული წაუვიდაო.

- მოკვდა მორიელი? — თქვა ჩემს უკან ვიღაცამ.
- რაზა იყო.
- იმ დღესვე.

გარეთ გამოვედი და მდინარეს გავუყევი. ჭალაში ბეჟემოტი იდგა. პატარა თვალებით დამაკვირდა, მერე მდინარეში შეტოპა და ჩაწვა.

* * *

თავი! სანამ ტკივილი არ გადავა, გონს ვერ მოვდივარ ხოლმე, მაგრამ როცა მოვდივარ, ისკანდერს ყოველთვის ძალიან შეშფოთებული სახე აქვს.

- უკეთ ვარ, — ვეუბნები და ფეხზე ადგომას ვცდილობ.
- წყალს ადამიანის ძვლები მოყვება, ალი ბეგ.

იატაკზე დაბჯენილი ხელი მიშეშდება. ისკანდერი შუშის თვალებით მიყურებს, ხელში ძვალი უჭირავს, ნეკნს გავს.

- ჭაში იყო.

გარეთ გავდივართ. ქალაქში სულ რამდნეიმე ჭაა და ყველა ერთი და იგივე მიწისქვეშა წყაროდან ივსება. სათლით ამოღებულ წყალს ძველები, ჭუჭყი და ტანსაცმლის ნაფლეთები ამოჰყვა. ახლა წვიმების სეზონია. წყალს ალბათ რაღაც შეერია, მაგრამ ასეთ სიღრმეში არასოდეს არავის ვმარხავთ.

— ჭებს არ გაეკაროთ, — ვამბობ ხალხის გასაგონად, — წყალი სხვა ქალაქის ვაჭრებისგან იყიდეთ, ვისაც ყიდვა არ შეგიძლიათ ორჯერ აადუღეთ დალეგამდე.

ხალხი უკმაყოფილოდ დუდუნებს.

სახლში ვბრუნდები. ჭები თუ ვერ გავასუფთავეთ ყველას აყრა მოგვიწევს, ამას მერჩივნა მართლა დემონების ხრო-ვას გადავწყდომოდი.

— საღამოს წყაროს სათავესთან ავიდეთ. — ვეუბნები ისკანდერს.

თავს მიქნევს, უგუნებოდაა, თვითონაც ხვდება დიდ უბედურებას ვართ გადაყრილნი.

ჰერო აგრილდა თუ არა გარეთ გამოვედით. დაახლოებით ვიცი, მიწისქვეშა წყარო სად იწყება. წვიმამ ისევ დასცხო. მუხლამდე ტბორში ვდგავარ და აქეთ-იქით ვიყურები. ჩემი საქმე ხმალი და ცხენია, რა გავიგო მიწის ქვეშ რა ხდება.

— შეხედე, ალი ბეგ!

ჰორიზონტს გავყურებ, ჩვენსკენ ვიღაც ქალი მორბის, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ქალაქიდან აგვეკიდა. აქოშინებული გვიახლოვდება და ხელისგულზე დადებულ ძვირფას საყურეს გვაჩვენებს.

— ეს ჩემს ქალიშვილს ეკეთა, როცა დავმარხეთ. დღეს წყალს ამოჰყვა.

— სად მარხია შენი ქალიშვილი?

— სასოწარკვეთის მიწაზე, სულ განაპირას.

* * *

სასოწარკვეთის მიწა უდაბნოს კლდიანი ნაწილია. ასე ქვია, რადგან აქ თუ დაიკარგე, ვერავინ გშველის. აქ ხშირად მოდიან თვითმკვლელები და დილით მათ მორიელებისგან დაკბენილს ან ნადირისგან დაძენილს პოულობენ. ვინც აქ კვდება, აქვე მარხავენ. ხალხს სჯერა, რომ თვითმკვლელის საფლავი სახითათოა.

სასოწარკვეთის მიწაზე წასასვლელად ისკანდერი საგულდაგულოდ ემზადება. მორს არაა, მაგრამ აუცილებლად შეიარაღებული უნდა იყო, ხელნაწერი რუკები და ტანსაცმელი, საკვები უნდა გქონდეს. წყალიც. წყლის საყიდლად ერთი ქისა ფული გავატანე. ვაჭრებსაც უთავდებათ და ოქროს ფასი ადევს.

დილით აქლემებით გავედით.

ამ მიწას საფლავები არ ეტყობა, თუმცა ზუსტად ვიცი, სადაც ახლა ვდგავარ, იქ აუცილებლად ვინმე იქნება ჩამარხული. რამდენიმე ჩონჩხი აქა-იქ არის გაბნეული. მიწა სველია. წვიმებმა ალბათ მთელი ეს ქვიშა ბამბასავით გაჟღინთა და დაალბო. წყაროს სათავედან აქამდე საკმაოდ შორი მანძილია, მაგრამ როგორც ჩანს, მიწისქვეშა ნაკადმა მიმართულება მართლაც შეიცვალა. ისკანდერი თავს ურნმუნოდ აქნევს.

— მიმართულება რომ შეეცვალა, ჭებში წყალი დაშრებოდა. მე მგონია, რომ აქ რაღაც სხვა წყარო გაჩნდა, ის ძველ წყაროს უერთდება და მთელი ეს საწამლავი ქალაქში ჩააქვს.

იქაურობას გონებაარეული ვუყურებ. არ მინდა შეტევა დამეწყოს. აქლემზე ვჯდები და ისკანდერს ვანიშნებ, უკან მომყვეს. მზის ჩასვლის მიმართულებით მივდივარ. ამ მიწებიდან ქალაქამდე ეს ყველაზე მოკლე გზაა. შარშან ანტილოპების ჯოგი უდაბნოდან გადაიხვეწა და გაძვალტყავებული ლომები ცარიელ სოფლებს ანიოკებდნენ... იასმინი აქ ვიპოვე ორი დღის ძებნის შემდეგ. აქვე დავმარხე. წესი არ არის თვითმკვლელების ხალხთან ახლოს დამარხვა. თვითმკვლელის საფლავი სახიფათოა, მისგან დარდი და სასონარკვეთა, ბოლმა და ბრაზი მოდის. თვითმკვლელი მამლუქივთაა, ის საკუთარ თავს კარგავს და ცივსისხლიანი მკვლელი ხდება.

— თვითმკვლელის საფლავი ხალხს წამლავს, — ამბობს ისკანდერი.

* * *

ფაშა წინ და უკან დადის თავის მწვანე აბრეშუმებში. შეშლილს ჰგავს. მე ნახევრად გაღებული თვალებით ვიყურები. როდესაც ისკანდერი ასე იყურება, მას უბრალდო ჩემი ეშინია. მეც ახლა საკუთარი თავის მეშინია.

— ოსმალებმა უკვე იციან, რომ ნახევარი ქალაქი წყლისგანაა მოწამლული, მეორე ნახევარი უწყლოდ იხრჩობა. დღეს თუ არა ხვალ დაგვეცემიან.

არ დაგვეცემიან, — გულში ვფიქრობ, — უბრალოდ ალყაში მოგვაქცევენ და დაგვიცდიან, სანამ ჩვენით არ ამოვწყდებით.

— გალავნები უნდა გავამაგროთ, — ვამბობ ხმამაღლა.

ფაშა ხელს იქნევს და მიშვებს.

* * *

მთავარი კარიბჭე სამი თვის შემდეგ, დამე შემოანგრიეს. ბევრი იყვნენ, უფრო სწორედ, ზუსტად იმდენი რამდენსაც ვვარაუდობდი. ოთხი საათი გაუჩერებლად ვიბრძოდით. შემდეგ ისკანდერმა სადღაც შენობაში შემათრია. დაჭრილი ვიყავი. სანამ ხალიჩაზე ვეგდე გლეხის ტანსაცმელი შემომაჩეჩა.

- გადაიცვი, ალი ბეგ. ქალაქს არაფერი ეშველება. თუ გლეხი ეგონები, შეიძლება არ მოგკლან.
- დატოვე და წადი, ისკანდერ. ჩავიცმევ.
- მოგეხმარები, ალი ბეგ.
- გაიქეცი, ისკანდერ, აქ დარჩენა სახიფათოა.

ისკანდერი მიდის. მე გონება მებინდება. ხალიჩა ერთიანად სისხლითაა გაუღენთილი, თითქოს ზედ ხარი დაუკლავთო. ტანსაცმლის გამოცვლა მოვახერხე და კედელს ხელის ფათურით გავყევი. დიდხანს არ მივლია, თავში რაღაც ფეხსახსრიანი გამოცოცდა. ფაშა ალბათ მოკლეს, თუ გადავრჩი, შემეძლება სახლში დავბრუნდე, ნამდვილ სახლში, იქ ავად ალარ ვიქნები, — გავიფიქრე სანამ გონებას დავკარგავდი.

* * *

- ვინ ხარ?
 - ალი.
- რამდენიმე ოსმალი თავზე მადგას და მათვალიერებს.
- დაჭრილი გლეხია, ბაზარზე ერთ ოქროსაც არ მოგვცემენ.
 - არ ღირს თრევად, — უდასტურებს მეორე.
 - რას ფიქრობდი, ცოცხალს რომ ტოვებდი? — ვიღაც მესამეს ეკითხებიან.
 - ვუმკურნალებ და კარგ ფასად გავყიდი, — დარწმუნებით პასუხობს ის. შემდეგ ჩემთან მოდის და ბეჭებს მიმოწმებს. ტკივილისგან ღმუილს ვიწყებ.
 - ამისგან კარგი მამლუქი დადგება.

გურამ გაგრალიშვილი



ალტერნატიული საქართველოს ამბები

(ნაწყვეტი)
მედიას ცრემლები

Ωუნაუს გუჩიევიჩუსი სვანეთში, ნაშთქოლში გავიცანი იმ წელს, მსოფლიო ფოლკლორიადა რომ ჩატარდა მესტიაში. როგორც ყველა ბალტიისპირელი, იუნაუსიც ვიკინგების შთამომავლებისთვის დამახასიათებელი ფლეგმატურობით მიყვებოდა თავისი ოჯახის ამბავს. მარტოხელა მამა იყო და უკურნებელი სენიორ დაავადებულ შვილს უვლიდა. ქალიშვილი ჰყავდა, რვა წლის ოქროსფერობითი ინგრიდე, რომელიც სვანეთში მოგზაურობისას თან ახლდა. მოგზაურობა არც ერქვა მის მშვიდად გაშმაგებულ ხეტიალს ბერძნებან უშგულამდე. ძველი Land Rover უქირავებია ზუგდიდში და მერვე თვე იყო ყველა სოფელი ფეხდაფეხ მოეარა საიდუმლოს ძიებაში, როგორც თავად ეძახდა ამ ამბავს.

სანამ მთავარ სათქმელს მოვყვებოდე, ფოლკლორიადაზეც შეიძლება ცოტას თქმა. 2016 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „მო-

წელს მასპინძელი ქვეყნის სტატუსით ვიყავით და სვანეთში იმაზე მეტი ტურისტი იყო, ვიდრე ეს ერთ პატარა კუთხეს შეუძლია დაიტიოს.

მახსოვეს, 2015 წელს, ლატალიდან თბილისში მოვდიოდით, მღვდელმონაზონი დაგვემზავრა, ფეხით დადიოდა ქართული ეკლესია-მონასტრების მოსალოცად, გზაში ასეთი რამე თქვა: სვანეთში მილიონი ადამიანი ცხოვრობდა სტრაბონის აღწერითო. შევეკამათე, მილიონი კაცი როგორ დაეტეოდა ადგილას, სადაც ციხე-კოშკი დგას სულ რაღაც 1000-მდე-მეტი. მხრივი აიჩინა, ასე წამიკითხავს.

ახლა კი სვანეთში კარტოფილის დასათესი ადგილი აღარ იყო, მხარე ერთი თვით მხოლოდ იმ ტურისტებისთვის დარჩა გასნილი, ფისტივალისთვის რომ ჩამოდიოდნენ მსოფლიოს ყველა ნაკანობი თუ უკანობი კუთხიდან.

მე ჩემ მეგობართან, ლევან ხორგუანთან დავრჩი. ნაშთქოლში მამაპაპისეულ მიწაზე ისეთ კარგ აღგილას ედგა კოხ-ტა სამი სახლი, უკითხის გერც ინატრუბდი, უშბის გამთენისას შეთვალიერების მსურველი, ადამიანი.

ხეობა კერძო მანქანებისთვის დილის 8 საათიდან საღამოს 11-მდე დაკეტილი იყო, მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობდა. ეს გავითვალისწინე და სვანეთში გადავფრინდი. იუნაუსი სწორედ მაშინ გავიცანი, ლევანმა საკუთარ ეზოში რომ მანქანა გააჩირქებინა.

ჭალარეშერეული კაცი იყო, ალბათ ერთი ხნის ვიყავით. ისეთი გამოხედვა ჰქონდა, როგორიც მხოლოდ ფანატიკოსებს და რაიმე დიდი იდეით შეიყრობილ ადამიანებს აქვთ. მოკლედ, ოქროს საწმისის ლიგანდას მიყვებოდა.

ბევრნაირი ვერსია მომისმენია ოქროს საწმისის მითზე, კოლხეთის დაბლობიდან დაწყებული, შორაპნის ციხით გაგრძელებული და ყაზახეთის რომელიდაც სოფლით დამთავრებული, მაგრამ იუნაუსის მონაკოლმა კი მაინც გამაოცა. გუჩიერვიჩუსი ლატვიაში იშვიათი წიგნების მაღაზიის გამყიდველი ყოფილა. როგორც ყველა ბიბლიოფილი, ისიც შანსს არ უშვებდა ხელიდან უნიკალური გამოცემა არ დაეგემოვნებინა, ასე წაუკითხავს National Academy of Sciences 1956 წლის გამოცემა, სადაც მედეას მითის სამეცნიერო კვლევის შესახებ იყო მოთხოვილი. კვლევის ავტორები მაქს ბირნშტაილი (Max L. Birnstiel) და კენიჩი ფუკუი (Kenichi Fukui) იყვნენ. ერთი უჯრედისა და განვითარების ბიოლოგიის მეცნიერებათა პროფესორი, მეორე კი ფუნდამენტური ქიმიის დოქტორი გახლდნენ. იუნაუსს ეს კვლევის ადამიანურ ენაზე

ჰქონდა გადაწერილი და ჩემისთანა ყოვლადარასამეცნიერო ენით მეტყველ კაცსაც კი არ გაუჭირდებოდა წაკითხვა იმ ვერსიისა, რასაც ზემოთხსენებული პატიოსანი გვამები გვთავაზობდნენ.

იუნაუსი ალტკინებული გვიყვებოდა მე და ლევანს კვლევის ინოვაციურობასა და უნიკალურობაზე, უკვირდა საქართველოში რატომ არავინ ინტერესდება მედეას ფენომენითა და ოქროს საწმისის რაობითო. ისეთი გათავისებული ჰქონდა საკითხი, ისეთი ნიუანსები იცოდა, სასიამოვნოდ გაკვირვებულები დავრჩით. რომ შეგვატყო ცალი ყურით არ ვუსმენდით, თავისი ჩანაწერების გაზიარებას დაგვპირდა. შევთანხმდით, რომ საღამოს E-mail-ით გამომიგზავნიდა ნაშრომის „კონსპექტს“ და ორი დღის მერე, როცა ის უაძლიდან გუჯეჯიანებთან სტუმრობის შემდეგ დაბრუნდებოდა, მაზერში, კაფეში „სამი სავარძელი“ შევხვდებოდით და ყველა კითხვაზე გაგვცემდა პასუხს.

ჩანაწერები მართლაც შეთანხმებულ დროს გამომიგზავნა. რუსული ინგლისურით იყო დაწერილი. ასეთ ინგლისურს ვეძახი წინადადებების სპეციფიკურ წყობას, რაც რუსულენოვან ადამიანებს ახასიათებთ ხოლმე.

ტექსტის შესავალი ნაწილი იძერიაზე, კავკასიურ რასაზე და საქართველოს ტერიტორიის ლანდშაფტურ თავისებურებებზე იყო. სწორედ აქ წავიკითხე პირველად, რომ კავკასიის ამ ნაწილში იმაზე მეტი ენდემური ჯიში და სამკურნალო მცენარეა, ვიდრე მთელ ევროპაში ერთად აღებული. ავტორები ჰავისა და ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათის ურთიერთკავშირზეც წერდნენ. წყაროებში მოყვანილი ჰქონდათ არა მხოლოდ სტრაბონის ან იოსებ ფლავიუსის, არამედ მოვსეს ხორენაციისა და ალა ალ-დინ ათა მალიქ იბნ მუჰამად ჯუვეინის ნაშრომები თუ ჩანაწერები, მეტიც, ყველაზე საინტერესო იყო 1979 წელს, ედუარდ შევარდნაძის დაკვეთით, მაშინდელი KGB CCCP (საბჭოთა სუკი)-ის ოფიცრების მიერ ჩატარებული კვლევა, რაც ფორმალურად მიზნად ისახავდა შეესწავლათ დანაშაულთა სტატისტიკა საქართველოს ყველა კუთხეში და ამის საფუძველზე დაედგინათ და დაეხარისხებინათ დანაშაულის ტიპობრივი რისკები აღნიშნული მხარეების მიხედვით. რეალურად, ამ უკანასკნელ ნაშრომს (წიგნის ავტორების ვარაუდით) მიზანი ჰქონია კიდევ ერთხელ და საფუძვლიანად გამოეკვლიათ ის ფუნდამენტური განსხვავებები, რაც 80 000 კვადრატული კილომეტრის ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს შორის იყო (იუნაუსს გამუქებული ჰქონდა ყველა წინადადება, სადაც სვანები იყვნენ მოხსენიებულნი).

ნაშრომის შემდეგი ნაწილი სამეფოს აღწერა იყო. განსაკუთრებით საინტერესო იყო მოსახლეობის ჩაცმულობა ჭამის თავისებურება (ნახსენები იყო ბავშვთა მსხვერპლად შენირვის რიტუალებზეც). მეცნიერები ამტკიცებდნენ, კოლხიდას ტერიტორიაზე ოთხ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ტომები ცხოვრობდნენ.

საინტერესო იყო მეფის საზაფხულო, ზამთრის და მთავარი სასახლეების აღწერა.

ყველან, სადაც სამეფო დარბაზებს ახსენებდნენ, მინიშნება იყო განსაკუთრებულ ბაღებზეც - მედეას ბაღებზე, რომლებშიც, ისტორიულობების მონაცემებით, იმდენი სახის სურნელი ტრიალებდა, რომ გამოუცდელი ადამიანი შეიძლება ტრანსმისი ჩავარდნილიყო და შიმშილისგან სული ამოხდოდა.

აღნერილი იყო სამეფო კარიც, რომელიც მეტად უცნაური მმართველობის სისტემით გამოირჩეოდა - მეფეს და დედოფალს თავისი უშუალო ქვეშევრდომები ჰყოლიათ, რომლებიც მხოლოდ მათ მმართველს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ მთლიან სახელმწიფოს მაინც მეფე, მამაკაცი მართავდა.

სამეფო კარის სიმდიდრე ზღაპრულად იყო დახასიათებული. ქალაქებში ღვთაებების უზარმაზარი ოქროს ქანდა-კებები იდგა. ისტორიულების აღნერით, ქალაქის წყალმომარაგების სისტემა და გარე აბანოები ყველა დიდ და მცირე ქალაქში მოიპოვებოდა, მდიდარ მოქალაქეებს კი მცირე აბანოები მდიდრული სახლის შიგნითაც ჰქონიათ, სადაც მე-დეას ცნობილ ბალებში დაკრეფილ სამკურნალო მცენარეებს წყალში ურევდნენ და მათი წყალობით, ახალგაზრდობას ინარჩუნებდნენ.

ის ნაწილი, სადაც მედეას ბალების შესახებ იყო მოთხრობილი, იუნაუსს ასევე გაემუქებინა. წარმოვიდგინე მის პი-რად ბლოკნოტში რა ჩანაწერებს გააკეთებდა. როგორც სჩანს, ხალხური მედიცინით იყო გატაცებული.

თავიდან ჰამაკში წამოწლილმა გასართობად დავიწყენ ნაშრომის კონსპექტის კითხვა, მაგრამ გასაოცარი სიმდიდრის აღნერამ შემიყოლია. ისე დაბრულდა ვერც შევამჩნიე. ლევანი საკუთარ სასტუმროში იყო წასული, ტურისტები წყლის ტემპერატურას უჩიოდნენ და ხელოსნებთან დასალაპარაკებლად თავადვე წავიდა. სვანების ეს თვისება პიროვნულად იურთიერთონ ადამიანებთან, ყოველთვის მომწონდა.

მოსალამოვებულზე მაზერში ლუდის დასალევად წავედი. უშბის ძირში, კაფეების ქუჩაზე ქურასბედიანების საო-ჯახო რესტორანი „ოქროს 10“ თითქმის ცარიელი იყო. მენიუს გადავხედე, თბილისი გამახსენდა, მათი პირველი რესტო-რანი „ბარბარესთან“, სუფთა ჰაერივით რომ შემოვიდნენ დედაქალაქში. მენიუში ლუდი ვერ ვიპოვნე და მერელა გამახ-სენდა, სვანეთში სოლიდარობის მისაბაძი სტანდარტი რომ იყო დამკვიდრებული. რესტორნებში ლუდს ვერ დალევდი, ლუდხანაში ყავას. გამახსენდა როგორ მიმითითა ქუჩის მეორე მხარეს ერთმა სვანმა გოგომ ღიმილით, აი იქ აკეთებენ მაგარ ყავას და ფუნთუშებიც ძალიან მაგარი აქვთო. მაშინ გამიკვირდა, ცოტა გავბრაზდი კიდეც, მერე მივხვდი, რომ ეს ურთიერთსოლიდარობის აქტი იყო მიზეზი, ზღვის დონიდან 1700 მეტრზე კაფეების ქუჩაზე რომ ვიჯექი და ვერ გა-დამეწყვიტა, ლუდის დასალევად გადავსულიყავი ქუჩის მეორე მხარეს, თუ გამერისკა და ერთი მაგრად მეჭამა.

ბოლოს მაინც შევუკვეთე. შემწვარი ქვირითი წინაკით და 1 ჭიქა ხიხვი.

ღვინო მალევე შემომელია, ოფიციანტმა თავადვე მირჩია, გეტყობათ ისეთ რამეს კითხულობთ, ჭიქებით დალევა ძვირი სიამოვნება იქნება, ბოთლი შეგვიკვეთოთ. ვერ შეედავებოდი.

იუნასს არგონავტების ვინაობა და მარშრუტი უცნაურად, მოკლე წინადადებებით, ან მინიშნებებით ჰქონდა დაკონ-სპექტებული. მაგალითად: 28 კაცი. კოლხეთამდე 22-ნი მივიდნენ. იასონი - სახელი ნიშნავს მკურნალს. დავალებაზე მიდის არა მამის, არამედ მისი ტყუპისცალის პელიუსის დავალებით? რატომ? (იხ. ილიადა და ოდისეა XII, 72). საინ-ტერესოა რომ, პირველად მასნავლებელმა ქირონმა მოუთხრო მას კოლხეთის შესახებ. ნუთუ მედეა არ იყო პირველი? პელიუსი ავალებს იასონს დააბრუნოს(!!!) კოლხეთიდან ოქროს საწმისი. რას წინავს ეს? ჰიპსიპილას ფენომენი. ორი

შვილი. პარალელები. აქ დარჩა ის 6 კაცი? ჰიპერიპოლას ამბავიც ტრაგიკულია. იასონს დასდევს ეს წყევლა გააუბედუროს საკუთარი ქალები?

რატომ თანხმდება აიეტი ოქროს საწმისის მიცემას (პირობით, მაგრამ მაინც)? რატომ არ დახოცა არგონავტები? სად ცხოვრობდა იასონი? რატომ ღალატობს მედეა მამას და ძმას?

აღნერილი იყო ასევე ქვაბული, სადაც ოქროს საწმისი ინახებოდა. როგორც მივხვდი, ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იუნასისთვის, რადგან ყოველი სიტყვა გამუქებული ჰქონდა და მიწერილი იყო უამრავი კომენტარი). აღნერის მიხედვით, ქვაბული სატახტო ქალაქიდან შორს, მაღალ მთაში იყო გამოკვეთილი. კომენტატორი რამდენიმე ვერსიას ასახელებდა: სვანეთი, ხვამლის მთა და ხეესურეთი. ბოლო ვარიანტს თავადვე გამორიცხავდა, როგორც ჩანს მოინახულა ეს მხარე და დაადგინა, რომ იმ დროინდელ ეპოქაში, ძლევამოსილ აიეტსაც კი გაუჭირდებოდა კოლხეთიდან დაეცვა ხევსურეთის მხარე. ხვამლის მთის ამბავი დეტალურად იყო განხილული, მეტიც, ჩანართებში მთის ფოტოები, ტოპოლოგიური რუკა და ნიადაგის კვლევაც გვხვდებოდა. იუნასი წიგნის ავტორებს ეთანხმებოდა, რომ ხვამლის მთაც გამოსარიცხი ვერსია იყო, სულ მცირე იმიტომ, რომ დაცულობის თვალსაზრისით, ნაკლებად სანდო იქნებოდა, ასევე, მნიშვნელოვანი საბუთი იყო ხვამლის მთის ბართან სიახლოვე, რაც ისტორიკოსების წყაროების დეტალური შესწავლით, გამორიცხული იყო - გველეშაპის მიერ დაცულ ქვაბულამდე მისასვლელად, იასონმა 10 დღე იარა!

როგორც იტყვიან, ყველა გზა სვანეთის მაღალ მთებამდე მიდიოდა და ალბათ იუნასიც ამიტომ გამოუყვა ამ მხარეს, მაგრამ რას ეძებდა? მძიმედ დაავადებული შვილის თანხლებით? უკურნებელი სენის წამალს? 21-ე საუკუნეში, მსგავსი პრიმიტიული არქეტიპული შეხედულებები სასაცილოდ ჩანდა, მითუფრო, რომ ლატვიელი ჭკვიანი კაცი ჩანდა და არც ფსიქიური აშლილობის ნიშნები ეტყობოდა, მაინცდამაინც.

ჩანაწერებმა, თავისი არაორდინალურობის გამო ისე ჩამითრია, შემწვარი ქვირითი ხელუხლებლად გაცივდა. მიმტანი გულწრფელად შეწუხდა, როცა თეფშის გამოსაცვლელად მოსულმა ლამაზად გაფორმებული კერძი ფერშეცვლილი ნახა. „არ მოგეწონათ, ბატონო?“ – მკითხა და როცა გულწრფელად ვუპასუხე, უბრალოდ ვერ მოვიცალე-მეთქი, დამიჯერა, კერძის გამოცვლა მირჩა და ამჯერად უფრო მსუბუქი, გამომცხვარი ხახვის ბურთულების მოტანას დამპირდა. გამიჭირდა მეპასუხა, რომ წასვლას ვაპირებდი, ამასობაში რესტორანი ხალხით გავსებულიყო და კითხვაზე კონცენტრირება გამიჭირდებოდა. არ ვაწყენინე და ახალი კერძი თვალმოუხუჭავად გადავსანსლე.

გამოსული ფეხით დავუყევი ნაშთქოლისკენ მიმავალ გზას. ისევ არგონავტებზე ვფიქრობდი. რა არის მითოლოგის მთავარი სახესიმბოლოები? გველეშაპი, ძლევამოსილი მეფე, რაინდი, მასზე შეყვარებული ქალწული. თავად ოქროს საწმისი რას ნიშნავს? მომისმენია ვარაუდი, რომ არაფერი განსაკუთრებული საიდუმლო ამ ცხვრის ტყავში არ ყოფილა, კოლხებმა ოქროს მოპოვების უძველესი ტექნოლოგია იცოდნენ და ამიტომაც იყვნენ მდიდრები. და სად გაქრა ეს ოქრო? თუ იაზონმა საწმისი წაიღო, ოქრო ხომ დაგვრჩა? იქნებ შუასაუკუნეების ალექიმიკოსების მითის არ იყოს, რკინის გადაქცევა ვიცოდით ოქროდ და ესაა მთელი საიდუმლო? და რა შუაშია აქ საწმისი? ტყავი?

მაზერიდან ნაშთქოლამდე 10 წუთის სავალია, მე კი ბევრი რამ გამახსენდა, ოდესლაც აფეთქებული საყდრისის მაღაროც და ოთარ ჭილაძის რომანიც. ვინ იყო ფრიქსე, ვინ იყო აიეტი, მზის შვილი თუ ხალხის ცრურნმენებითა და გაუნათლებლობით ღვთაების დონემდე აყვანილი მეფეები?

ლევანი დაბრუნებულიყო. ცხელი კუბდარი, ან როგორც სვანები გამოთქვამენ „კუბდა(ა)რი“ დამახვედრა. უარის თქმა მომერიდა და სულის შებერვიდან შებერვამდე, მოკლედ ვუყვებოდი წაკითხულზე. ლევანი, როგორც ყველა სვანი, მაგარი მომსმენია. დიდი სისულელეც რომ უთხრა, აზრს არ გაგანყვეტინებს. არასოდეს მომისმენია სვანეთის კავშირზე არგონავტებთანო, სერიოზული სახით მითხრა, როცა ამბავი მოკლედ მოვუყევი.

გვიან ღამემდე იუნაუსზე ვლაპარაკობდით. ის, რაც შვილებს ეხება, ლევანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავია, ადამიანურად, გულთან მიიტანა სასოწარკვეთილი მამის ბოლო ცდა უკურნებელი სენით დაავადებული ქალიშვილის წამალი აქ, საქართველოს მთიან კუთხეში ეპოვნა. მე ვუთხარი, რომ ვაპირებდი, მეორე დღეს, როცა ლატვიელს ვნახავდი, პირდაპირ მეთქვა, რომ მისი ძიება წყლის ნაყვაა და დაფუძნებულია ორი, იქნებ არცთუისე კვალიფიციური მეცნიერის თეორიაზე. ვიცი ასეთი წიგნები როგორც იწერება. როდესაც ადამიანი რაიმე ხელჩასაჭიდსა და მნიშვნელოვანს ვერ ქმნის, იწყებს შეთქმულების თეორიებისა და მეტატყუილი ვერსიების დამაჯერებელ პლატფორმაზე გადაყვანას. ასეთ გამონაგონს ხომ უფრო მეტი მკითხველი და მოამაგე ყავს ხშირად, ვიდრე რეალურს? იუნასი ტიპური ბიბლიოფილი იყო, ასეთ ადამიანებს ხომ რეალობის გამონაგონისგან გარჩევა ძალიან უჭირთ. საკმარისია საინტერესო და ახალი წაკითხონ, რომ მთელი არსებით ამ წაკითხულით ტკბობას მიეცემიან ხოლმე და ძნელია მათი დაბრუნება რეალურ გარემოში. გუჩიერიჩუსი სწორედ ასეთი „მსხვერპლი“ იყო. განწყობის ცნობილ თეორიას თუ მოვუხმობთ, ის საკუთარი მშობლის ინსტიქტის მონა გახდა, როდესაც სასოწარკვეთილმა შვილის გადარჩენის უკანასკნელი, დამარცხებისთვის განწირული იმედის ძიება დაიწყო საქართველოში.

ლევანმა მთხოვა ლატვიელისთვის მსგავსი არაფერი მეთქვა და მთხოვა ისეთი სახით, მივხვდი, რომ დიდი უნამუსობის ჩადენას ვაპირებდი. ცხადია დავეთანხმე. სამ დღეში დედაქალაქში ვბრუნდებოდი და ამ ამბავთან ჩემი შინაგანი ბმაც წამიერად დამთავრდებოდა, რატომ მეთქვა „ელიოზისთვის“, რომ ის ტყუილად ეძებს ნატვრის ხეს? განა თავად ხეა ამ ამბავში მთავარი?

ისე დავიძინე, გადანყვეტილი მქონდა კითხვა აღარ განმეგრძო, მაგრამ ვისაც წიგნი მტრად არ მიაჩნია, დამეთანხმება, რომ დაწყებული ნაწერის ხელიდან გაგდება ისეთივე რთულია, როგორც მისი აღება. დილის ქაფქაფა რძისა და ცხელი ფუნთუშების მერე, პირველი რაც გავაკეთე ლეპტოპი გავხსენი და კითხვა განვაგრძე.

პირნშტაილსა და ფუკუუს ევსტატი თესალონიკელის, იოანე ანტიოქიელის და სხვა მოაზროვნების ვერსიებიც დეტალურად ჰქონდათ განხილული. ოქროს მოპოვების უძველეს ტექნოლოგიებთან ერთად, ვარაუდი, რომ საწმისი ეს იყო მსოფლიოს პირველი დამწერლობა, ან მსოფლიოს უძველესი რუკა დედამიწის ზედა და ქვედა შრეების შესახებო, მცდარად მიაჩნდათ და ამაზე (შესაძლოა ორიგინალში ვრცლად აქ კი) მხოლოდ გაკვრით ეწერა.

შემდეგი საფეხური აიეტი იყო. დეტალურად იყო აღწერილი მისი წარმომავლობაც და გარეგნობაც. წიგნის ავტორები განსაკუთრებული ინტერესით იმ რიტუალებს განიხილავდნენ, რომელიც არგონავტიკაშიც წერია - გველეშაპის კბილების დათესვა და იქიდან ჯარისკაცების აღმოცენება, ადამანტის გუთანი, მოხვნის რიტუალური სიმღერა და სხვა. იუნაიუსს აქაც, გამუქებული მხოლოდ ის სიტყვები ჰქონდა, რომელიც აღმოცენებას, ხელახალ დაბადებას უკავშირდებოდა (მინანერებში ვედურ სახესიმბოლოებთან კავშირი იყო ხაზგასმული). მხატვრულად იყო აღწერილი ვაზის ფორმის ოთხი წყარო, რომლიდანაც ღვინო, ზეთი, რძე და წყალი მოედინებოდა (იუნაიუსის კომენტარი სასაცილოდ მომეჩვენა, ხარჯი ნაკლები იქნებოდა, ოქრო ბევრი ჰქონდათ და ტურისტებს კი მეფე აიეტის ბრძანებით უბრალოდ მსხვერპლად სწირავდნენ).

შემდეგი თავი უშუალოდ მედეას ეძღვნებოდა. აქ ავტორების აზრი ორად გაყოფილიყო (რაც თავისთავად უცნაური და საინტერესო მომეჩვენა საგამომცემლო თვალსაზრისით), ფუკუი მედეას უკიდეგანო სიმშვენიერებზე წერდა, ბირნ-შტაინი კი მის გარეგნულ სიმახინჯეზე. (ეს განსხვავება სქოლიოში იყო გამოტანილი, როგორც მივხვდი) გუჩევიჩის ს მედეას გარეგნობა იმდენად არ აინტერესებდა, როგორც მისი ასაკი, რომელზეც წიგნის ორივე ავტორი თანხმდებოდა, რომ 90 წელზე მეტი იყო. ამ ფაქტზე ლატვიელს რამდენიმე ცნობილი ისტორიული თუ თანამედროვე ადამიანის შესახებ არსებული ინფორმაცია მიეწერა და ხაზგასმით ჩანაწერი თავისთვის გადაემონმებინა მედიკოსებთან რამდენად რეალური შეიძლება ყოფილიყო ეს ამბავი. როგორც ჩანს, უჯრედზე მომუშავე მეცნიერებს ეს საკითხი არ აკვირვებდათ, უბრალოდ ისინი ცდილობდნენ ვერსიების დონეზე ემსჯელათ რა იყო მედეას უშრეტი ახალგაზრდობის მიზეზი, მისივე ბალებში მოკრეფილი საოცარი, ჯადოსნური მცენარეების ნაყენი თუ რამე სხვა.

მოულოდნელად თხრობა მიმართულებას სრულიად იცვლიდა და ავტორები ყოვლად უინტერესო რამეზე წერდნენ (უცნაურად, იუნაიუსს ესეც დეტალურად აღეწერა). დაწყებული შუასაუკუნეების ალქიმიკოსებით, ოქროს საწმისის კვალს რომ სხვადასხვა დროს შემოყოლიან ვაჭრებისა თუ მოგზაურების საბურველში გახვეულნი, დამთავრებული ჰიტლერისა და თავად საბჭოთა კავშირის მეცნიერების ცხოველი ინტერესით მიეკვლიათ იმ ადგილისთვის, სადაც საწმისი შეიძლება ყოფილიყო. ქართველებისთვის კარგად ნაცნობ ტიმ სევერიზზე მხოლოდ გაკვრით ეწერა, დაინტერესებულ პირთა სიაში იყო მისი სახელი და გვარი.

ვრცლად და ამომწურავად იყო აღწერილი ყველა მარშრუტი, რაც სხვადასხვა მეცნიერთა ჩანაწერებიდან თუ დღიურებიდან შემონახულა და საკითხით დაინტერესბულ პირთა სია იყო მხოლოდ 12 გვერდი.

სალამოს ფოლკლორიადის დასკვნითი კონცერტი იყო, გაცდენა უხერხულიც კი იქნებოდა, ჩემთვის ძალიან ახლობელი ადამიანები მდეროდნენ. ნაწერის კითხვა აქ შევწყვიტე და ლევანთან ერთად მესტიაში გავყევი ავტობუსს.

კაი ხნის დაწყებული იყო. უშუალოდ სცენასთან მისვლა შეუძლებელი იქნებოდა და მოშორებით დამონტაჟებულ მონიტორთან გავჩერდით. რუსი ტურისტები იდგნენ და ცეკვავდნენ. ეკრანზე სლოვენიური ანსამბლი მღეროდა. ადრე

ვერასოდეს ვარჩევდი სლოვაკეთს სლოვენისგან, როგორც ლიტვას ლატვიისგან, უკრაინას რუსეთისგან და ყირგიზეთს ყაზახეთისგან, მას მერე რაც ყველა ამ ქვეყანაში ყოფნა მომიწია, მეტ-ნაკლებად გავერკვიე კიდეც.

სლოვენიელები ქართველმა მოცეკვავებმა შეცვალეს. „შავნაბადა“ ბოლოს გამოდიოდა, ჯერ ცეკვის „შეჯიბრი“ იყო და დასასრულამდე კაი სამი საათი იყო წინ. ერთი ხანობა ვინანე კიდეც, ლეპტოპი რომ არ წამომიღია, სადმე კაფეში დავჯდებოდი ჩემთვის წყნარად და წავიკითხავდი საწმისის ამბებს. ისტორიაზე მეტად, ინტერესი იუნაიუსის ჩამოსვლის მიზანმა აღმიძრა. ხომ არის ასეც? გადაეკვეთები რამეს და ეს რამე შენი ცხოვრების წამიერი, მაგრამ მაინც ნაწილი ხდება.

მოუსვენრობამ გამაღიზიანა, გაღიზიანებული ადამიანი კი ძალიან კრიტიკულია. არ მომენტონა ქართული ანსამბლის ცეკვა, მომეჩვენა, რომ სოლისტი გოგო წაკლებად გახსნილი იყო რაჭული ცეკვისთვის ვაჟი კი ზედმეტად აქტიური. ქართული ცეკვის მთავარი ღირსება მიმიკებსა და შეძახილებში არაა, ორივე მხოლოდ დანამატი და შემავსებელია მთავარის - მოძრაობისა, სადაც პლასტიკა და დინამიკა ერთმანეთს ორგანულად ავსებს. როგორც ვთქვი, გოგო ზედმეტად დაძაბული იყო, მივხვდი, რომ აქ ეჭვიანობის ამბავი იყო. სავარაუდოდ, მისი ქმარი ან შეყვარებული კულისებში ან მუსიკოსებს შორის იდგა. რაც უფრო აქტიურად იკლაკნებოდა სოლისტი ბიჭი, მით უფრო იკეტებოდა სოლისტი გოგო. რაჭული ცეკვა, სხვა ქართული ცეკვებისგან განსხვავებით, არა ქალის და კაცის თანასწორობაზე, არამედ ქალის შეფარულ დომინანტიზმეც კი მიუთითებს. ამას იქნებ ისტორიული საფუძვლები აქვს (ცნობილია, რომ რაჭულ ოჯახში ოჯახის თავი ქალი უფროა, ვიდრე კაცი) ან უბრალოდ ასე მოხდა, ასე ცეკვავენ რაჭულს?

მომდევნო ნომერი „ხორუმი“ იყო და შემოვარდნილმა ტალღამ რამდენიმე წუთით სრულიად დამავიწყა „ოქროს საწმისიც“ და საკუთარი თავის არსებობაც. „სუხიშვილები“ ცეკვავდნენ. ამ ანსამბლისა და „ერისონის“ დაპირისპირებაზე კარგი ხუმრობა დადიოდა ადრე - „Coca Cola“-“Pepsi“-ვით არიან, საკმარისი ერთმა წაიბორდიკოს, ბაზარს უმაღვე მეორე დაეპატრონებაო. ეს ადრე იყო ასე, დღეს უკვე ამ ორთან ერთად რამდენიმე ძალიან მაგარი ანსამბლი ქმნიდა ამინდს. ორგანიზატორებს ყველა მოწვეული ვერ ეყოლებოდათ და დღეს სწორედ „სუხიშვილები“ წარმოადგენდნენ საქართველოს.

„ჯდომასასვენოზე“ აღტკინებული რუსი ტურისტებიც კი გაჩერდნენ, ხოლო როცა ხორუმმა „ჩოქმალულა“ გააკეთა, ერთ-ერთს Mamა დარაგა ისე გულწრფელად აღმოხდა, რომ მეც და ლევანმაც ერთდროულად გავხედეთ. „ხტომგასმურა“, „ბუქნბრუნი“, „ხლართულა“,

„წანოლა“, „წიხლურა“, საზვერავი“, „შვილდსაკრავი“ და ეს ჩვენი ძვირფასი ტურისტები გახელდნენ. ისევ ცეკვა, უფრო სწორად კი, როკვა დაიწყეს და ჩემმა ცნობიერებამ, ერთმანეთში აზელილი ნასვამი ადამიანებიდან ისევ აიეტის დროში გადამაგდო.

ფერხული დასრულდა თუ არა, უგანდელი მოცეკვავები გამოვიდნენ და მიზეზი მომეცა ლევანისთვის სახლის გასაღები გამომერთმია. შეწუხდა, მეც წამოვალო, მაგრამ ვთხოვე დარჩენილიყო, დაძინება მინდა და მარტო ყოფნა მირჩევნია-მეთქი.

უკანა გზაზე მიმავალ ავტობუსს ნახევარი საათი ველოდე და როგორც იქნა ნაშთეოლში დავბრუნდი.

საკუთარი თავი რომ დამერწმუნებინა, თითქოს წასაკითხად კი არა, დალლილობის გამო დავტოვე კონცერტი, გა-დავწყვიტე იმ დღეს არ გამეხსნა ლეპტოპი და დავწოლილიყავი. ასეც მოვიქეცი, მაგრამ ძილს ვერაფრით დავუმეგო-ბრდი და ორი საათის წრიალის მერე ისევ კითხვა გადავწყვიტე.

იაზონისა და მედეას უეცარი შეყვარების ამბავს წიგნის ავტორები ასე აღწერდნენ - ეს არ იყო არანაირი ზებუნე-ბრივი „ღმერთების დახმარება“, ეროსს აქ არ უაქტიურია. იაზონს ჰქონდა რაღაც სითხე, რომლის ტანზე წასმისას, ქალები მასზე ჭუუს კარგავდნენ. ეს მოხდა ლემნოსზეც, ეს იყო იაზონის მთავარი იარალი, რითაც ის ქალებზე ძალაუ-ფლებას მოიპოვებდა.

ამის შემდეგ, წიგნის ავტორები პირდაპირ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ციტირებას ახდენდნენ, იუნაუსაც ციტატა მოყავდა:

„როცა საზარელმა გველეშაპმა დაუძინარი თვალებით იხილა მომავალნი, გრძელი კისერი წინ წამოსწია და შემაძრ-წუნებლად მორთო შეივილი; მდინარის გრძელმა ნაპირმა და ვრცელმა ჭალამაც გამოსცეს ხმა. იგი გაიგონეს იმათაც, ვინც ტიტანური აიადან ძალზე შორს ცხოვრობდნენ, კოლხეთის მინაზე, ლიკეს (ძირულას) შესართავთან. [ლიკე], როცა ხმაურა მდინარე არაქსა დაშორდება, წმინდა ტალღებს ფაზისს უერთებს, შემდეგ კი ეს ორი მდინარე, უკვე გაერთიანებული, კავკასიის ზღვას შეედინება. შიშისაგან გაიღვიძეს მეძუძურმა დედებმა და შეშფოთებულებმა ხელები მოხვიეს შეი-ვილის გამო აკანკალებულ ჩვილებს, რომელთაც არტახებში გაკრულთ ეძინათ, ვით ცეცხლწაკიდებული ტყის თავზე იკლაკნება კვამლის ურიცხვი გრაგნილები, რომლებიც მრგვალ წრეებად შეკრულნი განუწყვეტლივ მიემართებიან ზემოთ ერთმანეთზე მიყოლებით, ისე დაკლაკნა მაშინ ურჩხულმა გამხმარი ქერცლით მოფენილი უთვალავი რგოლი“ (თარგმანი აკაკი ურუშაძისა) შემზარაობა ადგილისა, სადაც გველეშაპი ვერძის ტყავს იცავდა, თვალწინ დამიდგა.

ციტატა კი გრძელდებოდა: „იასონი შიშით მიყვებოდა ქალწულს. [მედეამ] უთხრა ჭაბუკს არ მიახლებოდა გველე-შაპს, სანამ ახლად მოჭრილ ღვიის შტოს შეურეველ ჯადო-წამალში არ ამოავლებდა, მაგრამ იასონმა ვერ მოითმინა მუხაზე ჩამოკიდებული ვერძის ტყავის დანახვაზე და საბედისწერო ნაბიჯი გადადგა...“

„და ესვენა უსულო იასონი მინაზე. გველეშაპი კი ცეცხლოვან ენას ჰყოფდა და ჰაერს სიმყრალით ავსებდა...“

კონსპექტი ამით თავდებოდა. ეს არ იყო ვერსია, რომელიც წაგვიკითხავს, ეს საერთოდ არ იყო ვერსია. იაზონი მოკვდა. თუ იაზონი მოკვდა, არგონავტების მითს აზრი ეკარგებოდა, თუ არგონავტების მითს აზრი ეკარგებოდა, გაუგე-ბარი ხდებოდა ლატვიელის მონაყოლი ამბავი მედეას ცხოვრებაზე კორინთოზე, სადაც ეჭვიანობით დაბრმავებულმა ქმრის, იაზონის გასამნარებლად შვილები დახოცა. როდესაც ნაშთეოლში, ორი მუხის შორის გაბმულ ჰამაკში ვიჯექი, იუნაიუსი კი ხის სავარძელში მოკალათებულიყო, სწორედ იმას მიმტკიცებდა, რომ მედეას შვილები კორინთელებს არ დაუხოცავთ და რომ ევრიპიდეს, სინამდვილეში არაფერი გამოუგონებია, მხოლოდ სიმართლის ნაწილი დამალაო.

აზრთა თავმოყრა რთული გამიხდა. ახლა მჭირდებოდა ვინმე, ვისაც დაველაპარაკებოდი, მაგრამ ლევანი გვიან დაბრუნდებოდა, სამეზობლოში კი არავის ვიცნობდი. ჯერ მაზერში, ყავის დასალევად წასვლა გადავწყვიტე, მერე ესეც დამეზარა, დედაქალაქში დავრეკე მეგობართან და სრულიად უაზრო საუბარი გავუბი საფეხბურთო მატჩზე, რომელიც წინა თვეში გაიმართა. ერთი სიტყვა არ მიხსენებია არგონავტებზე, ოქროს საწმისზე. ნახევარი საათი ვისაუბრეთ და დავემშვიდობე.

ღამით შვილების მკვლელი ყველაზე ცნობილი კოლხი ქალი დამესიზმრა. სიზმარი არც იყო ალბათ, ჩემმა არაცნობიერმა აზროვნებითა და ფიქრით დატვირთული დღის ემოციები სიზმარში გაშალა. ტვინმა მედეა საშუალო სიმაღლის შავგრემან ქალად მომივლინა (ალბათ ეს მარია კალასის რემინისცენცია უფრო იყო). მახსოვს, რატომღაც ჩემთვის გავიფიქრე, რომ ამ უბედური ქალის ზოდიაქოს ნიშანი უეჭველად მორიელი იქნებოდა და ის დაიბადებოდა ოქტომბრის თვეში. მამის, ძმის, სამშობლოს, შვილების ლალატი სიყვარულის გამო, სიყვარულის, რომელმაც საბოლოოდ მაინც უღალატა, განა რა შეიძლება იყოს ამაზე მეტად ტრაგიკული?

მერე პელიასის სასახლე დამესიზმრა, სადაც კოლხი ქალი მეფის ასულებს არწმუნებს ქალღმერთი ვარ, ადამიანის მკვდრეთით აღდგენა შემიძლიაოთ. მდუღლარე წყალში ბებერ ცხვარს აგდებს და ბატკანი ამოყაეს. შვილები მამას დანით ანაკუნებენ და მედეა ყინულივით ცივი, შურისმაძიებელი სახით უყურებს მისი საყვარელი კაცის ბოროტმოქმედ ბიძას.

სიცივემ გამაღვიძია. ტანსაცმლიანს მეძინა ღია ფანჯარაში. სვანეთში ზაფხულშიც კი ცივა ღამით, განსაკუთრებით, როცა დღეს კაბა დაუგრძელდება.

უთენია ავდექი. უშბის წევრზე მზე თამაშობდა. რა შეიძლება იყოს იმაზე მშვენიერი, ვიდრე უშბაა? ამაყი, ცივი ქალწული. იქნებ სულაც არაა ქალწული და პირიქით, სვანური შუასაუკუნეების კოშკებივით ფალოსური სიმბოლოა, მასკულანური ძალისა და კულტურისთვის საფუძვლის მიმცემი? ღმერთმა იცის.

ამაოდ ველოდე იუნაუსს. აღარ გამოჩენილა. საერთოდ აღარ გამოჩენილა, რადგან მისი დატოვებული მანქანა გამქირავებელი კომპანიის თანამშრომელს წაუყვანია აგვისტოს ბოლოს.

მას მერე რამდენჯერმე ვიყავი სვანეთში. თეთნულდიდან შხარამდე მოვიარე სოფლები.

ყველგან ვკითხულობდი უცნაურ ლატვიელ კაცს, სასიკვდილო სენით დაავადებულ ქალიშვილთან ერთად რომ მოგზაურობდა. ყველგან იცნობდნენ ამ უცნაურ ადამიანს, მაგრამ ბოლოს როდის ნახეს და სად, ვერ იხსენებდნენ.

რა არის საინტერესო წიგნის ბოლო ამოხეულ გვერდებზე საშინელი?

იმედგაცრუება!

იავნანა ლელქაშების სიღრმიულო

1 დღე: ჩადრი

სტუმრებს აეროპორტში ვხვდებით. ჩემი აეროპორტში მისვლა ყოველთვის გინებასთან ასოცირდება, რადგან ყოველთვის ვიგინები. და ვიგინები იმიტომ, საერთაშორისო ფრენები ყოველთვის შუალამითაა. არ ვიცი რამდენი ბარგი ექნებათ, ამიტომ მანქანით მივდივარ ახალი აეროპორტის სადგომზე. ყურადღებით ვინიშნავ სადგომის სართულს და მონიშნული ადგილის ნომერს „სართული მინუს 4, ადგილი 212“, მას მერე, რაც ორი თვის წინ ჩემ მანქანას სამი საათი ვეძებდი, ჭკუა ვიხმარე და შოთა რუსთაველის სახელობის რეკონსტრუირებულ აეროპორტში ლამისაა ჯიპიესით მოვნიშნო ხოლმე ადგილი, სადაც მანქანას ვაჩირებ.

აეროპორტს ჯვრის ფორმა აქვს როდესაც ზევიდან გადმოხედავ და ყველა ჩამოსული ტურისტი ამას აღნიშნავს, ვიცი ეს ბალდადელი გადამლები ჯგუფიც იმავეს მკითხავს.

ჩვენი თარჯიმანი, სოფო მესხი გამუდმებით ამთქნარებს. არაფერი მეჯავრება იმაზე მეტად, როცა ქალი ამთქნარებს და პირზე ხელს არ იფარებს. ფრენა იგვიანებს და აეროპორტის წიგნის მაღაზიაში შევდივარ. აეროპორტზე და ზოგადად ქვეყანაზე საუკეთესოდ სწორედ წიგნის მაღაზიის არსებობა და ზომა მეტყველებს. ამ მხრივ განსაკუთრებული გერმანული აეროპორტებია.

ახალი გამოცემების სტენდს ვათვალიერებ. რა უფრო სამწუხაროა ნეტავ, როცა წიგნის მაღაზიაში შენ წიგნს ვერ ნახავ თუ ყოველთვის ნახავ?

ტურისტულ გაიდებს ვყიდულობ და სტუმრებიც გამოდიან 18 Gate-დან.

ორი პერატორი, რეჟისორი და ორიც ქალია, ალბათ მსახიობები. ერთ-ერთს ჩადრი უკეთია. ჩადრიდან შავი აღმოსავლური თვალები მათვალიერებს. ქალების გარდა ყველას ხელს ვართმევ. სოფო გამოცოცხლდა, ალარ ამთქნარებს. ბარგი მანქანასთან მიგვაქვს და ველოდები როდის იკითხავენ „ამ აეროპორტს მართლა ჯვრის ფორმა აქვს თუ მოგვეჩვენა?“

ვთავაზობ მსუბუქად წავიხემსოთ, მაგრამ ყველანი უარზე არიან. რეისი ძალიან გაიწელა და ძილი ურჩევნიათ, დილიდან ქართლში, ქარელის რაიონში, მდინარე ძამას ხეობაში მივდივართ.

ეროვნული კინოცენტრიდან დამირეკეს და მთხოვეს ბალდადელ სტუმრებს დავხვედროდი, რაღაც სამდლიანი გადაღება აქვთ.

სასტუმრო მცხეთის გასასვლელშია. ყველას ვაპინავებ და სახლში ვბრუნდები შხაპის მისაღებად. როცა საათს ვნახულობ, ძილს აზრი ალარც აქვს. ჩადრიანი ქალი მახსენდება და რატომლაც წარმომიდგენია, რომ სქელი ტუჩები და დიდი თეთრი კბილები ექნება.

სოფო მესხს ვაღვიძებ და ჩვენ ბალდადელ გადამლებ ჯგუფს ვაკითხავ.

როგორც ჩანს მათაც არ დაუძინიათ.

დილის 7 საათია. მცხეთის გასასვლელში Rombouts-is Cofee Bean-თან ვჩერდებით. იქვე ადგილობრივი გლეხი ქალი ცოცხალ ყვავილებს ყიდის. რამდენიმეს ვყიდულობ და სოფოს ვაწვდი - დანარჩენებსაც გადაეცი, ვამბობ. ჩემგან სო-

ფოსტვის ყვავილების ყიდვა ირანის გაქრისტიანებაზე დიდი სასწაულია, მაგრამ ამჯერად ეს ყვავილები ჩადრიან გო-
გოს ეკუთვნის.

რეიისორი რაღაც საინტერესო ამბავს გვიყვება თავისი ქვეყნის ისტორიიდან და გზა უცბად მოკლდება. ქარელში
ხალხმრავლობაა. მახსენდება, რომ ამ დღეს „ქარელობაა“. ქუჩები სავსეა ინდური ტანსაცმლით. მას მერე, რაც ქალა-
ქის ერთ ნაწილში ინდუსტბი დასახლდნენ, ქარელი უფრო ჭრელი გახდა, ვეულისხმობ, ჩაცმულობას. ინდუსტბმა ენა
ადვილად აითვისეს და თავდაპირველი მტკიცნეული დაპირისპირებების მიუხედავად, ახლა მეტნაკლებად მშვიდად
თანაცხოვრობენ ადგილობრივებთან. მათი ჩასახლება დოპინგივით აღმოჩნდა - ქარელელები გამოფხიზლდნენ და
მუშაობაში ეჯიბრებოდნენ ინდუსტბს, რამაც საბოლოოდ ქვეყანა ახეირა.

ქალაქის გასასვლელში, ძამას ხეობის გზაზე ძერას ქანდაკება, ქალაქის სიმბოლო დგას. საინტერესოა რატომ
დგას ქალაქის სიმბოლო გასასვლელში და არა შესასვლელში? იქნება ადგილობრივებისთვის შესასვლელი სწორედ
მეორე მხარე?

ქარელის ცენტრში რამდენიმე სპეც ფორმაში გამოწყობილ ადამიანს გხედავ. ისინი სისუფთავის დამცველები, თუ
რაღაც ამდაც გვარი არიან. ეს სამსახური თავის დროზე ზესტაფონის გამგებელმა შექმნა, იდეა იმაში მდგომარეობდა,
რომ ყველა ზესტაფონელს, იყო ის პოლიციის უფროსი თუ სკოლის მასწავლებელი, რამდენიმე თვეში ერთხელ საზო-
გადოებრივი ადგილის სისუფთავის კონტროლი (იგულისხმება დალაგებაც და სხვისი გაკონტროლებაც) ევალებოდათ.
ამ სამსახურის შექმნა, პრინციპში ვალიაროთ, მოტყუებით, რეფერენდუმის საფუძველზე მოხდა, სანამ მოსახლეობა
გაერკვა ხმა რას მისცეს, ქალაქის სისუფთავის დაცვაზე ზრუნვა მოუწიათ, ისინი, ვინც უარს იტყოდნენ სამსახურზე,
ხელფასის 22 % ეჭრებოდათ მთელი წლის მანძილზე და ეს თანხა ისევ ქალაქის კეთილმოწყობას ხმარდებოდა. მახსოვეს,
ერთხელ სიგარეტის ნამწვი გადააგდეს ჩემი მანქანიდან და როგორ დაგვედევნა სამი ზესტაფონელი, სანამ საკუთარი
ხელით არ აალებინეს „დამნაშავეს“ ნამწვი, არ მოგვეშვნენ.

ვვარაუდობ, რომ ზესტაფონის გამგებელმა სამსახურის ადგილი შეიცვალა, ქარელელებს ადვილი დღე არ დაადგებათ.

ძამას ხეობის დასაწყისში უზარმაზარი ბანერი დგას, რომელიც გვაუწყებს, რომ შევდივართ დაცულ ტერიტორიაზე.
ხეობის უკანა ნაწილი ჩაკეტილია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ეს მიწები რუს-ურბნისის ეპარქიას გადასცა
და 12 მონასტერი ახლა ქალებისთვის ხელმიუნვდომელია, მეეჭვება ჩვენ სტუმრებს მონასტრების ნახვა სურდეთ, ჩვენი
მარშრუტი ბატეთის ტბისკენაა.

გზა იდეალურად სწორია. აქ თოვლის ჩამოყრა ადრეულ შემოდგომასაც იცის ხოლმე. ახლა მშვენიერი ამინდია.
ხეები ალისფრად ანთია და სოფლები ალაგ-ალაგ კვამლი ამოდის. ინფრასტრუქტურის და რელიგიური ტურიზმის
განვითარებამ სოფლის მთელი მუდამი გააქრო. გაზიფიკიაციის შედეგად ადგილობრივები ცეცხლს იშვიათადლა ანთე-
ბენ, ისიც ძირითადად მცირე საოჯახო სასტუმროებისა და რესტორნების მებატრონები.

მას შემდეგ, რაც ხეობის ნაწილი სამონასტრო დაცულ ტერიტორიად გამოცხადდა, რელიგიური ტურიზმით დაინტე-
რესებული ადამიანები აქაურობას მოაწყდნენ. ეპარქიის სურვილის მიუხედავად (მთლიანი ხეობა დახურულ ტერიტო-
რიად გამოცხადებინათ), მოსახლეობამ არ დატოვა მშობლიური სოფლები, მეტიც, ბევრი ვისაც აქაურ მხარეში ძირი
ჰქონდა, დაბრუნდა და მცირე საოჯახო სასტუმრო სასაუზმე ან რესტორანი გახსნა.

სოფელ ზღუდერში ვჩერდებით. რესტორნის მეპატრონე შორიდან მიქნევს ხელს. მანქანიდან გადმოვდივარ და ვე-ძახი „დარაისომ ხორზ!“

ხაბიძები და წახარაჯინები ისეთი ცხელია, ზამთარში ერთოთახიან ბინას გაათბობს. რესტორნის მეპატრონე ბოდიშობს ცუდი Wi-Fi-ს გამო, მაგრამ ინტერნეტისთვის არავის სცხელა. ყურადღებით ვაკვირდები ჩადრიანს, ჭამისას მაინც დავინახავ მის პირისახეს. გოგო მშვიდად ზის, თავი ოდნავ დაუხრია და თეთვზე დადებულ ხაბიძებინას დასცეკე-რის. რამდენიმე წუთი ვაკვირდები, მერე ლაპარაკში ვერთობი და ჩადრიანის სახე ისევ დამალული რჩება ჩემთვის. სოფელ გვერდინეთთან რამდენიმე წუთით ვჩერდები, მდინარის მეორე ნაპირზე ლამაზი მონასტერი დგას, მონასტრის ირგვლივ კი პატარა ორსართულიანი კოტეჯებიანი მცირე დასახლებაა. „ეს ადგილი ახლახანს ააშენეს!“ - ვეუბნები რეჟისორს, „აქ ადრე ნასოფლარი იყო, ახლა სულიერი აშლილობის მქონე ადამიანების სანატორიუმია. ის ტაძარი, რასაც ხედავთ, ასევე ძველი ტაძარია, მანდ ახლა დედათა მონასტერია და ძირითადად სწორედ მონაზვნები უვლიან ავადმყოფებს.“

ოპერატორი კამერას რთავს და შორი ხედით იღებს მიდამოებს.

„ჩვენი დანიშნულების ადგილამდე შორია?“ - მეკითხება უჩადრო გოგო.

„არა, შვიდ-რვა კილომეტრში გადავუჩვევთ და მერე ახლოსაა“, - ვპასუხობ.

ეს შვიდი-რვა კილომეტრი ძალიან იწელება. გზაში რამდენჯერმე ვჩერდებით. ოპერატორი დეტალურად იღებს მი-დამოებს. მე ვცდილობ ტყუილ-მართალი ერთმანეთში შევაზავო და რაც კი ლეგენდა გამიგონია, ისტორიულ ფაქტებად ვასალებ.

„აქეთ ერთი სოფელია, ამ სოფელში ეკლესია დგას. თურმე სადღაც სხვა სოფელში და-ძმას ერთმანეთი შეუყვარდათ, მაგრამ გამხელის შიშით გაიქცნენ და ამ მიდამოებში ჩამოვიდნენ, ნახეს ტაძრის მოძღვარი და სთხოვეს მათთვის ჯვა-რი დაეწერათ, რომ ღმერთის წინაშე მაინც გამართლებულიყვნენ. როცა ხუცესმა ჯვრის წერა დაიწყო, საკურთხეველი შეტრიალდა და მას მერე ამ ეკლესიას უკუღმა ტაძარი ეწოდება!“

„საკურთხეველი რა არის?“ - ოპერატორი კითხულობს. სოფო საკუთარი ინიციატივით უხსნის, სახეზე ირონიული ღიმილი აქვს. არაფერს ვიმჩნევ და გზას განვაგრძობთ.

გადასახვევთან ნიშანი დგას. ნიშანზე წერია, რომ აქედან სამონასტრო ტერიტორია იწყება, რომელიც სახელმწიფოს მიერაა დაცული და რომ ამ ტერიტორიაზე ქალების შესვლა იკრძალება. სოფო კმაყოფილი სახით კითხულობს და თარ-გმნის. მახსენდება სინას მთა, სადაც ერთად ვიყავით გადამდები ჯვუფი. მაშინ იქაურმა გიდმა აღტაცებით მოყვა, რომ სწორედ ამ მთაზე გადასცა ღმერთმა ათი მცნება მოსეს. სოფომ სიცილი დაიწყო. ერთმა მუსლიმმა ტურისტმა ძალიან იწყინა: „თუ თქვენ არ გჯერათ, სასაცილო არაფერია იმაში, რისიც ბევრს სწამს!“ მაშინ ეს რეპლიკა სალაპარაკოდ იქცა, განიხილავდნენ ისლამურ რადიკალიზმსა და ფუნდამენტალიზმს. ველოდები, რომ სოფო ახლაც რამეს ჩაიქირქილებს, მაგრამ კომენტარს არ აკეთებს, ეტყობა სინას გამოცდილებამ თავისი შედეგი გამოიღო. ქვათეთრიდან მომლოცველ-ტურისტთა ავტობუსი ჩამოდის. ძირითადად სლავური გარეგნობის ხალხია. ხელს გვიქნევენ. ხელს უქნევთ.

ბატეთის ტბამდე გზა ისევ ალაგ-ალაგ გაფუჭებულია (ეს გზა სამჯერ გაკეთდა ბოლო ორი წლის განმავლობაში, მაგრამ უშედეგოდ. მცოცავი მიწის გამო, უზარმაზარი ნახეთქები ჩნდებოდა), მაგრამ ეს ხელს არ უშლის უამრავ დამ-

სვენებელს რამდენიმე დღე სრულ სიმყუდროვეში გაატაროს. ტბასთან მობილური კავშირიც კი შეგნებულად ჩახშობილია. გარე სამყაროსთან წვდომა მხოლოდ ხაზის ტელეფონით შეიძლება, რომელიც კომპლექსის დარაჯთან, კობასთანაა. (კობა ცალკე ფენომენია, მას წლებია ვიცნობ, ბოლო ორი წელი კლასელები ვიყავით. ამ გადაკარგულ ადგილას სამუშაოდ წავიდა მხოლოდ იმიტომ, რომ წიგნების საკითხავად მეტი დრო დარჩენოდა და რაც მთავარია, უოლდენივით, სახელმწიფოსთვის გადასახადების გადახდაზე უარი ეთქვა).

ჩვენ წინასწარ დაჯავშნილ ორ კოტეჯში ვთავსდებით. ორივე დასახლების განაპირასაა, სამხრეთ აღმოსავლეთის მხარეს, სადაც ჭაობის ნაწილია.

ადრე ბნელდება და ყველა ჩვენ-ჩვენ ოთახებში ვიკეტებით. რომელიღაც ოპერატორი საშინლად ხვრინავს. გარეთ გავდივარ და კობას ჯიხურში ვატარებ არ საათს. მპირდება, რომ ხვალისთვის კარავს მათხოვებს - სადმე ტყის სილრ-მეში დავიძინებ.

2 დღე: ბავშვი

ლამე თითქმის არ მეძინა. უთენია ვდგები და ტბაში ვბანაობ. წყალი იმაზე თბილია, ვიდრე ოქტომბერში უნდა იყოს, მაგრამ იმაზე ცივი, ვიდრე ჩემი სხეულია მიჩვეული. კობას ჯიხურში არაყს ვსვამ და ცოტა აზრზე მოვდივარ.

კოტეჯებიდან ხალხი გამოდის. ზოგი ვარჯიშობს, ზოგი კაფეში კრუასანს და ყავას მიირთმევს, ზოგი ჩადრს არ იშორებს აქაც.

რეჟისორი და ოპერატორები ტყიდან გამოდიან. როგორც ჩანს, ისინიც ადრე ადგნენ.

კობას ჯიხურიდან გამოვდივარ და ხელს ვუქნევ. ცივმა წყალმა და არაყმა თავისი ქნეს, ორი ღამის უძილობა სადღაც გაქრა. სოფო არ ჩანს, დარწმუნებული ვარ სძინავს. შენიშვნის მიცემას აზრი არ აქვს. ვცდილობ ჩემი და მათი ინგლი-სურის მარაგით რაღაც გასაგები გამოვადნო. ვთანხმდებით, რომ საუზმის მერე დახურულ სამონასტრო ტერიტორიას დავათვალიერებთ. სოფო არ მჭირდება - იქ ქალებს არ უშვებენ.

საუზმისას პატარა გოგონა მოდის ჩვენ მაგიდასთან და მთხოვს მუხლებზე დავისვა. თავზე ხელს ვუსმევ - ამერიკა-ში ცხოვრების მერე, უცხო ბავშვების მოფერებას გადავეჩვით. მეგუნა ჰქვია და დედასთან და დედასთან ერთად ის-ვენებს, ასე ამბობს. ცოცხალი ბავშვია. დარბაზს ვათვალიერებ და დედამისს ვეძებ თვალებით. მხოლოდ ჩვენ და ორი მხცოვანი წყვილია. ალბათ ვერანდაზე თუ სვამენ ყავას.

პირველად ძამას ციხეს ვნახულობთ. ციხე საბოლოოდ რესტავრირებულია. მახსოვს არასამთავრობო ორგანიზა-ციების პროტესტი, როცა ბერებმა თვითნებურად გადააკეთეს ციხე-სიმაგრე. ახლა აქ დიდი სამონასტრო კომპლექსია ევროპული ტრაციდიების დარად. ვუყურებთ ამ უზარმაზარ ციხე-მონასტერს და რეჟისორი ამბობს „უმბერტო ეკოს რომანები მახსენდება“. მე კი მახსენდება გადმოცემა, როგორ იგერიებდა ჯიუტი გიორგი მეშვიდე თემურ ლენგს 7 დღე ამ ციხიდან, რომელსაც ახლა მძოვრეთის ციხე ქვია. ანუ მზოვრეთის ციხე. საზვერე. ძველმა ქართველებმა ეს ადგილი საზვერების გავლას დაუკავშირეს.

ბერები გადალების უფლებას არ აძლევენ ოპერატორს. რეჟისორი საოცრად მორჩილი ადამიანია, არც ცდილობს გააპროტესტოს, ითხოვოს ან რაიმე გზა გამონახოს გადასაღებად. უკან ვპრუნდებით ხელცარიელები. მე ვთავაზობ შორიდან მაინც გადაიღონ ციხე. რეჟისორი უარს ამბობს.

აბუხალოს სკიტეში ორი ბერი ცხოვრობს. ერთმა გერმანული იცის, როგორც ჩანს ერთ-ერთმა ოპერატორმაც. მასა-ლას ბლომად აგროვებენ. “Are you satisfied?” - ვეკითხები რეჟისორს და ალმართულ ცერა თითს მაჩვენებს.

ძაძვის მონასტერი ჩემზეც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. აქამდე არასოდეს მინახავს ეს ადგილი. სანამ ოპერატორები იქაურობას იღებენ, ადგილობრივი ბერები საკუთარ საკალმახეშივე დაჭერილ კალმახს გვინვავენ. ასე, ფეხზე მდგომარე ვჭამთ უსიტყვოდ. ერთ-ერთი მორჩილი მეკითხება „ესენი მართლა მუსლიმები არიან?“ „რა ვიცი, იმედია არ იტყუებიან!“ - ვპასუხობ სიცილით. „აქ ერთხელ იყო ერთი მუსლიმი“ - ამბობს მონასტრის კეთილმოწესე, ულალთმიანი ბერი ისე, თითქოს რაიმე განსაკუთრებული მომხდარიყოს. რეჟისორი კითხვის თვალებით მიყურებს, მაგრამ მე სულ სხვა რამეს ვუთარგმნი. გამობრუნებულები გვიანდა ვხვდებით, რომ ვიღაც გვაკლია. ეს ერთი ოპერატორია. მონასტრისენ მიტრიალებულებს მორჩილი და ოპერატორი გზაზე გვხვდებიან. არ ვიცი რა ენაზე, მაგრამ საუბრობენ. როგორც აღმოჩნდა, ოპერატორი მცირე ტაძარში დაგვრჩა გარედან ჩაკეტილი.

ქოზიფაში დაბინდებამდე მისვლას ვასწრებთ. აქაურობაც მომლოცველი ტურისტებითაა სავსე. პირველივე ამბავი ცუდი გვხვდება - ქოზიფას ცნობილი ბიბლიოთეკა დამწვარა. წიგნების დიდი ნაწილი ვერ გადაარჩინეს. მიზეზს არც ვეკითხულობ. აქ დაცული უნიკალური საღვთისმეტყველო და საეროც წიგნებს მაინც აღარაფერი ეშველება. რვა წლის წინ, ქოზიფაში სწორედ წიგნის გამო მოვხვდი - ჩემმა კლასელმა კობამ მონასტრის ბიბლიოთეკას უნიკალური წიგნი გადასცა საჩუქრად. ორი სიტყვით წიგნზეც შეიძლება თქმა: 1766 წელს გამოცემული ტრაქტატი იყო, რომელიც რომში დაიბეჭდა „საქრისტიანო მოძღვრება სიმბოლოებით დარიგებული კარდინალ ბელარმინოსაგან და გადმოთარგმნილი პატრი ბერნარდო მარიამისაგან ნეაპოლელისა, კაპუჩინი, მქადაგებელი და მღვთისმეტყველი, იტალიანურის ენისაგან მხედრული ქართულითა ენითა.“ ილუსტრაციები საკმაოდ უხარისხო, მაგრამ თავად წიგნი როგორც ჩანს მნიშვნელოვანი იყო.

წიგნს მეტად უცნაური ბედი ჰქონდა - მონასტრის ბიბლიოთეკაში მოხვედრამდე, ის ერთ გადამდგარ გენერალს ეკუთვნოდა. კობა ამ გენერლის სახლის დარაჯი იყო. წლების წინ, როდესაც ქვეყანაში არეულ-დარეულობა სუფევდა. რამდენიმე არალეგალურად მოვაჭრე კოლექციონერს წიგნები და სხვადასხვა ძვირფასი ანტიკვარული ნივთი ჩამოართვეს. როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, ნივთების დიდი ნაწილი მაღალჩინოსან პოლიციელთა სახლებში აღმოჩნდებოდა. როგორც ჩანს, კახეთის ერთ-ერთ სოფელშიც ასე მოხვდა უზარმაზარი ბიბლიოთეკა, რომელსაც სახლის მეპატრონები დიდ ყურადღებას არც აქცევდნენ. ჩემი კლასელი დარაჯად მუშობდა დასახლებაში, სადაც გადამდგარი გენერლის სახლიც იყო და სწორედ ამ სახლიდან მოიპარა ეს უნიკალური წიგნი და 1802 წელს, მოსკოვში გამოცემული ქართული ბიბლია. ბიბლია რომელიდაც ტაძარს გადასცა საჩუქრად, პატრი ბერნარდოს წიგნი კი ქოზიფაში ერთად წავიდეთ. მაშინ მქონდა ცდუნება, გაგვეყიდა ეს ძველი და უნიკალური წიგნი, მაგრამ ჩემმა კლასელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, როგორც ჩანს სულ ტყუილად.

წიგნზე წანაწერი იყო - დიაკონი ივანე 1832. 1832 სავარაუდოდ წელს ნიშნავდა, დიაკონის ვინაობა კი ვერ დავადგინეთ (ზოგის ვარაუდით ეს ის ივანე იყო, სოლომონ დოდაშვილის თაოსნობით გახსნილ პირველ ქართულ წიგნის მაღაზიას

რომ პატრონობდა). გენერლის სახლიდან ამ ორი წიგნის მოპარვის მესამე დღეს, კახეთი დაისეტყვა. სახლში, სადაც წიგნები ინახებოდა, ჭერი ჩამოიქცა და მთელი ბიბლიოთეკა განადგურდა.

„უბედურების მომტანი ქალებივით, ხომ არსებობენ უბედურების მომტანი წიგნებიც?“ - ვფიქრობ და უკანა გზაზე გუნება მოშესამული ვბრუნდები.

ტბასთან ჩოჩქოლი გვხვდება. სოფო აღგზნებული მიყვება, რომ ტბაში ბავშვი დაიხრჩო. დილით ნანახი პატარა გოგონა მახსენდება და უმისამართოდ ვპრაზდები. როგორც ჩანს სხვა ბავშვი იყო, რადგან ბიჭის სახელს იმეორებენ. დამსვენებლებზე ცუდად მოქმედებს მომხდარი და მათი დიდი ნაწილი იბარგება.

კობა ტბასთან დგას და პოლიციელს ესაუბრება. მე თვალს მარიდებს, თითქოს თავს იდანაშაულებს მომხდარში. ჩადრიანს ვეძებ, მაგრამ არსად ჩანს. ასეთ მძიმე მომენტებში, ყოველთვის მაინტერესებს იმ ქალების რეაქცია, ვინც მომწონს. ლამდება და კოტეჯებში ვნაწილდებით.

გვიან კობასთან შევდივარ. მომხდარზე ხმას არ ვიღებთ არც ერთი. ჩაის მასმევს და განაპირა კოტეჯის გასაღებს მიწვდის: - „დაპატიჟებული ხარ!“

იმედი მაქვს დღეს მაინც დავიძინებ ადამიანურად.

3 დღე: ჩადრი, პავაზი

შუალამით ქალის კვნესა მაღვიძებს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ხმა გვერდით ოთახიდან მოდის. ფრთხილად ვდგები და თითის წვერებზე შემდგარი ოთახებს ვათვალიერებ. ხმები აღარ ისმის. ვწვები, მაგრამ ვეღარ ვიძინებ, აივანზე გავდივარ სიგარეტის მოსაწევად. ტბა ვერცხლისფერია და საშიში. არასოდეს მომჩვენებია ეს ტბა საშიში, ახლა კი მეჩვენება.

ლელქაშების მხარეს ქალის ლანდი ჩანს. კარგად ვერ ვარჩევ ვინაა. ასოციაციები მომდის ბავშვობაში, სოფელში მოსმენილ ამბებთან - ალი, როკაპი, კუდიანი, ჭინკა. არც სპილენძისფერი თმა აქვს ვისაც ვხედავ იმას და არც რკინის კბილები. კანი კი უბზინავს და ფეხებთან კაბა უგდია. პატარა, გამობერილი მუცელი აქვს. მუცელზე ხელს ისმევს. თითქოს რაღაცის გამოდევნას, გამოფეხეას ლამობს. ისე ვუახლოვდები, ვერც ვხვდები. ქალი აღარ ჩანს. ინტერესი უფრო მიღრმავდება და თითქმის სირბილით ვუახლოვდები ტბას, სადაც ქალი წევს, ფეხები გაჩაჩეული აქვს და თითქოს მშობიარობს. მუცელზე ისევ ხელს იჭერს. ფეხის ხმაზე გამომხედავს და თვალები მეცნობა, მხოლოდ თვალები. უკან გამოვრბივარ. კოტეჯში ვიყეტები და დილამდე ვეღარ ვიძინებ.

გამთენისას სოფო მიკაკუნებს კარზე. სტუმრები გველოდებიან, მათი ფრენა შუადლისასაა. საუზმეზე უარს ვამბობ. ყველანი ჩვეულებრივ იქცევიან. მსახიობი გოგო ფოტოსესიაზეა ტბის პირას, გვერდით ჩადრიანი უდგას. სამივეს თვალს ვარიდებ და მანქანაში ვჯდები. თბილისამდე კიდევ ორჯერ ვჩერდებით. მე მანქანიდან არ გადმოვდივარ. სასტუმროსთან ვტოვებ სტუმრებს და ადმინისტრატორს ვთხოვ შუადლისას ტაქსი გამოიძახოს მათვის. ფულს ვუხდი და დაუმშვიდობებლად მივდივარ სახლში. ერთი გამოძინება არ მანყენდა. ჩუქუ-ჩუქი ტური

ეს იმ წელს მოხდა, ჩემმა თანამშრომელმა პროტესტი რომ გამოთქვა, ელტონ ჯონთან ერთად ბორჯომის ახალგარე-მონტებულ „სერნი ვანებში“ არ ჩავალო. და რომ იქვე დაპატიმრეს.

მაშინ სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან სტუმრები მყავდა, ბაკურიანში ვიყავით დასასვენებლად, მე ვიყავი დასასვე-ნებლად და წიგნის საკითხავად, თორემ ისინი ციგიდან და თხილამურებიდან არ ჩამოსულან.

ბაკურიანი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ძალიან განვითარდა, გაიზარდა და ინფრასტრუქტურულადაც დაიხვენა. მახსოვს, ადრე, ნორმალური სასტუმრო სანატრელი იყო, ახლა კი საოჯახო “Mini hotel”-ებითა და “Hostel”-ებით გაივსო იქაურობა. სახელმწიფომ იაფი კრედიტის პროგრამა შეიმუშავა, მოსახლეობას შეთავაზა (პრინციპში, აიძულა კიდეც) კომუნისტურ ეპოქაში აშენებული სახლები დაენგრიათ ან თანამედროვე კონსტრუქციაში მოეყვანათ, სახლები ორ ფერში - აგურისფრად ან შავად გადაახურინა, მისცა სამოც წლიანი (1 %-იანი) სესხი და წაუყენა პირობა, უახლოესი ათი წლის განმავლობაში, საქართველოს მოსახლეობაზე ნახევარ ფასად გაექირავებინა სასტუმროები. მახსოვს, მაშინ ამ ამბავს დიდი აუკინტაჟი მოყვა, არასამთავრობოები პრესკონფერენციებს მართავდნენ - თავისუფალ ბიზნეს ატერიორებენ, ბაზარი ასე ვერ განვითარდება, მაგრამ ორმა წელმა სხვა შედეგი აჩვენა - შიდა ტურიზმი განვითარდა, საშუალო სოციალური ფენის მოსახლეობამ ბოლო ოცი წლის მანძილზე მგონი პირველად მისცა თავს საშუალება დასასვენებლად კურორტზე წასულიყო. ფულის ამგვარმა შიდა გადანაწილებამ გამოიწვია ის, რომ ბაკურიანის მოსახლეობა 13 ჯერ გაიზარდა, ადგილობრივებმა ფინანსურად ამოისუნთქეს, გაიხსნა წიგნის ორი მაღაზიაც კი (თავისუფალი თანხის არსებობამ საშუალება მისცა ამ ტიპის ბიზნესსაც განვითარებულიყო). თავის მხრივ, ბაკურიანელებს წლიდან წლამდე თავის მხრივ დაგროვილი დანაზოგით, ზღვისპირეთში დასვენება შეეძლოთ და ასე შემდეგ.

ბაკურიანი ის პატარა დაბა აღარ იყო, წლების წინ, საღამოობით ოც წუთში ფეხით რომ შემოვურბენდი ხოლმე, მოსახლეობის მცველობა ზრდამ ბაკურიანს თავის გარეუბნები გაუჩინა - მუხერის დასახლება, ფაბრიკის უბანი, გაზაფხულის ქუჩა, თავტიტველა და ასე შემდეგ. ზოგადად, კურორტებზე დასვენებისას, მე ასეთ გარეუბნებს ვირჩევ ხოლმე, კერძო სასტუმროთ და წყნარი გარემოთ, მაგრამ იმ წელს, სტუმრების ხათრით, სათხილამურო ტრასასთან ახლოს დავბინავდით.

ჩვენი სასტუმრო ავსტრიელებმა ააშენეს, ისევე როგორც ბორჯომის პარკთან „საათის სასტუმრო“, როგორც მას ადგილობრივები ეძახდნენ. თავის დროზე, ეს სასტუმრო („Mukheri Volkano“) აქაური ინფრასტრუქტურიდან ისე იყო ამოვარდნილი, როგორც ჩოხის ქამარზე დაკიდებული I-Phone-ი, მაგრამ მთლიანად ბაკურიანის განვითარებამ ყველაფერი შეცვალა და ახლა, ერთ რიგით, მაგრამ ძალიან გემოვნებიან „Hotel“-ში ვისვენებდით.

სასტუმრო „Mukheri Volkano“ გირჩის მურაბის ქარხნის დირექტორის ვასო ხეთაგაშვილის საკუთრება იყო. წლების წინ ვასოს დახლი ჰქონდა ბაკურიანის ცენტრში და სახლში, ცოლისა და სიდედრის მოხარშულ ოჯახურ გირჩის მურაბას ყიდდა, მერე კაცს ტვინი რომ გაგინათდება თუ რაღაც ახალი რომ დაიწყება, მცირე საწარმო გააკეთა, ახლა კი იმ-სელა ქარხანა ჰქონდა, ცალკე უბანიც კი აშენდა მომსახურე პერსონალისთვის.

ვასო ძირითად დროს სასტუმროში ატარებდა, ძველი ყაიდის კაცი იყო, კილოც კი ისევ ბაკურიანული ჰქონდა და სტუმრებს ყოველთვის თვითონ ემსახურებოდა. დროების ცვლილებამ ის კი ასწავლა, რომ მასპინძლობა მხოლოდ ხაშლამა და მწვადი არ იყო და სერვისს თავისი წესები ჰქონდა, მაგრამ ფამილარობას ვერ გადაეჩვია. ერთხელ ისეთი

დაჰკერა ბეჭებზე ხელი ჩემ იაპონელ კოლეგას, რომ ამ უკანასკნელს სულ დაავიწყდა წერაც, კითხვაც და მგონი საკუთარი ეროვნებაც კი, არადა ბევრი კი არაფერი — ვასოს ვუთხარი, იაპონელი მწერალი მყავს სტუმრად, ბრონქებისა და ფილტვების სამკურნალოდაა ჩამოსული და მოთხოვბას წერს ბაკურიანზე-მეთქი.

როცა „Check-in“-ს ვაკეთებდით, ვასო მოვიკითხე. გამიკვირდა სასტუმროში რომ არ იყო. რაც ქარხნის მართვა შვილებს გადააბარა, ცოლთან ერთად სასტუმროს არასოდეს სცილდებოდა. სამწუხაროდ, ცუდი ამბავი დამახვედრეს, ვასო მაისში გარდაცვლილიყო.

ბაკურიანიდან ბორჯომი რაღაა, უფრო ახლოსაა ვიდრე გლდანიდან ფონიჭალა, განსაკუთრებით თუ ახალი გზით მიდიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც „კუკუშკით“ ვიმგზავრეთ. „ჩუქუ-ჩუქუ ტური“ ასე ქვია ახლა ელექტრო მატარებელს, რომელიც მხოლოდ ზამთარში აღარ დადის და ბაკურიანიდან ბორჯომამდე 43 წუთი ჭირდება. ამ ელექტრო მატარებელზე ბაკურიანის ერთადერთი ფერადკანიანი მოსახლე - ტაირონ სკოტ ჯეიმსი, მეტსახელად „სიძე“ მუშაობს. ტაირონი ექვსი გოგოს მამაა, მეტსახელიც ამიტომ შეურჩიეს და არა იმის გამო, რომ ბაკურიანელი ცოლი ყავს, როგორც მე მეგონა თავიდან. ტაირონის ცოლიც აფროამერიკელია, რვა წლის წინ საქართველოში დასახლდნენ და შუათანა ქალიშვილის ჯანმრთელობის გამო ბაკურიანში სახლი იყიდეს. ჯესიკას „bakery“ აქვს ბაკურიანის ცენტრში და სხვა გემრიელობებთან ერთად ტრადიციულ ამერიკულ „Twinkies“-ებს აცხობს. და უკვე ისეთი პოპულარულია, რომ ამ „Twinkies“ ის დაგემოვნების გარეშე ბაკურიანის დატოვება ეგვიპტიდან სინას მთის ნახვის გარეშე წამოსვლა ან ვევედან ჩაპლინის ქანდაკების უნახავად დაბრუნების ტოლფასია. მეტიც, ჯესიკას „Twinkies“ სასტუმროებს ღირსშესანიშნაობებში შეყავთ და ქალაქის მერი „ბაკურიანობას“ უზარმაზარი „Twinkies“-ის გაჭრით ხსნის (ლამის).

ბორჯომი ზამთარში არ მინახავს და შესაბამისად, არც მიყვარდა. სტერეოტიპული წარმოდგენა, თითქოს მსგავსი კურორტები მხოლოდ ზაფხულობითაა კარგი, წამში იმსხვრევა, როცა „სერნი ვანებისკენ“ მცირე ზომის ელექტრომობილებით მისეირნებ და დათოვლილი ტყის მასივის ქვეშ თავი ძლევამოსილი არარაობა გვონია.

„სერნი ვანები“, როგორც მას დღემდე ქვია, წინა ზაფხულს გაიხსნა საზეიმოდ და ის ერთმა ადგილობრივმა ბიზნესმენმა დააფინანსა. ორი მოზრდილი და ორიც მომცრო ზომის აუზები ბილეთის ფასის მიუხედავად, ზამთარშიც და ზაფხულშიც სულ სავსეა და როგორც ვიცი, მეპატრონემ რამდენჯერმე მიმართა ქალაქის ადგინისტრაციას თხოვნით, ნება დართოს აუზით სარგებლობის ფასი კიდევ გაზარდოს, რომ მომხმარებელთა რაოდენობამ მცირედად დაიკლოს. აუზები ბორჯომის „ჯემალ ქარჩხაძის სახელობის“ სკოლის გახსნას დაემთხვა. ეს სკოლა დღეს-დღეისობით ყველაზე მაღალრეიტინგული და შესაბამისად, ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირველი კერძო სკოლაა, სადაც ბავშვები კვირის ხუთ დღეს სასწავლებლის ტერიტორიაზე ატარებენ და მხოლოდ ორი დღე ბრუნდებიან მშობლებთან. სკოლის გახსნაზე ბორჯომის პარკში მატისიაჟუმ (Matisyahu) იმღერა და სწორედ ამ დღეს მოხდა, ჩემი თანამშრომელი რომ დაიჭირეს, „სერნი ვანებზე“ ყვირილი ატეხა, ელტონ ჯონთან ერთად აუზში არ ჩავალო. ეს „ელტონ ჯონი“ კი არც მეტი, არც ნაკლები სკარლატის საუკეთესო ცოცხალ შემსრულებლად აღიარებული ვლადიმერ პოროვიცის შვილი, კუზმა პოროვიცი (მამაზე არანაკლებ ნიჭიერი პიანისტი). რას იზამ, ასეც ხდება ხოლმე - მამა პოროვიცი მთელი ცხოვრება

იმას ამტკიცებდა, ჰომოსექსუალი არ ვარო (თუმცა მისი ცნობილი ხუმრობა: „არსებობენ ებრაელი პიანისტები, ჰომოსექსუალი პიანისტები და ცუდი პიანისტები“ გახდა მიზეზი იმისა, რომ ცნობილმა ებრაელმა შემსრულებელმა სამწლიანი ელექტროშოკური თერაპიის კურსები გაიარა მიჩიგანის საუნივერსიტეტო კლინიკაში) და შვილ ჰოროვიცთან ერთად კი აუზში ჩასვლაზე უარი თქვა ლექსო ბურდულმა, ვისი თქმითაც: „ელტონ ჯონი ხარ, გოროვიცი თუ თვითონ სკარლატი, თუ პიდარასტი ხარ, პიდარასტი ხარ მაინცო“.

მოკლედ, ბორჯომი ზამთარშიც საოცრება ყოფილა. თოვლმა კიდევ უფრო მეტად გამოაჩინა ამ პატარა ქალაქის მთავარი ხიბლი - მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის არქიტექტურის ჰარმონიული შერწყმა მეთვრამეტე საუკუნის და-საწყისის ავსტრიულ დიზაინთან და ეს ყველაფერი ნახევრად ველურ, ჯერ კიდევ მოურჯულებელ ქართულ ბუნებაში.

ბორჯომი მე მაინც განსაკუთრებულად მიყვარდა ყოველთვის, ჯერ ის რად ღირს ტყეპარკში უნიკალური ქვა რომ აღმოაჩინეს და შტუტგარტში, ნათლობაში ამ ქვის სადღეგრძელო რომ დალიეს გერმანელებმა. ქვა კი ერთი ჩვეულებრივი (ერთი შეხედვით ალბათ) ქვა იყო, მაგრამ ისეთი დაფერილობის, რომ დედამიწაზე არსებული ყველა ფერის ყველა ტონალობა ზედ ეტეოდა. ქვა იქით იყოს და ნალვლის ბუშტის ამოჭრას რომ მიპირებდა ერთი თურქი ექიმი და მერე ექთანმა რომ გადამარჩინა (დაილოცოს იმისი დედაც, მამაც და მონაგარიც), შენო, შვილო, საქართველოდან ხარო, რას დაეხეტები ალთა-ბალთას და წვეპი სკალპელის ქვეშ, მე თვითონ ნალვლის ბუშტის მწვავე ანთება მქონდა ისეთი, ხასიათში გადამეზარდა ლამის და თქვენთან რომაა კურორტი „ბალდაჯანა“ თუ რაღაც ეგეთი, ჩადი და გამორეცხვები გაიკეთე, თუ არ გიშველა შენი ხმალი, ჩემი კისერიო.

ზღაპრებში რომ ხდება ხოლმე, კეთილი ბერიქალები რომ გამოეცხადებიან პროტაგონისტს, ეგრე მოხდა ზუსტად. „ბალდაჯანაში“, ანუ ბორჯომში, ყოფილ მეოთხე სამმართველოს ტერიტორიაზე ორმა ხელკანკალა კეთილმა ბებომ ისეთი ჯადოქრობა ჩამიტარა, თურქეთის კლინიკებს ორი-სამი ჩემნაირი მოწმე გაკოტრების პირას მიიყვანდა.

მეოთხე სამმართველო ერთი ხანობა საქართველოს არცონისე შორსმჭვრეტელმა მთავრობამ ვიღაც უცხოელს მიყიდა, მერე რაღაც საქველმოქმედო ფონდივით გაკეთდა და ხალხმა პირადი შენატანის ხარჯზე დაიბრუნა ტერიტორია. ახლა იქ ბალნეოლოგიური დისპანსერია, გარედან რომანოვების დროინდელი კედლებით, შიგნიდან კი ულტრათანა-მედროვე დონის აპარატურით. მახსოვს, ამ ძველი შენობის დანგრევას აპირებდნენ და შვეიცარიილმა არქიტექტორმა გაოცებით იკითხა, უკეთესის აშენებას რას გეგმავთო. რომ უთხრეს რაღაც შუშებიან, ახალი დიზაინის შენობის დადგმას ვაპირებთო, თურმე სიცილით მოკვდა ქალი - თქვე ოჯახაშენებულებო, ჩვენო, სადმე ძველი ქვა გვაპოვნინა, ეგრევე ლეგენდას ვუქმნით რომ პაციენტ-ტურისტს თანხის გადახდა გაუადვილდეს - თავი მომაკვდავად კი არა, დამსვენებლად იგრძნოს და თქვენ რა ჯანდაბა გეტაკათო. მეო, მომტყდეს ორივე ხელი თუ ამ ძველი შენობის დანგრევაზე თანხმობა ვთქვა და ვინმე უნამუსო თქვენში მოძებნეთ, გეყოლებათო. მოკლედ, თავიდან კი იყო-მითქმა-მოთქმა, თავის მატორზე ვერაო, ბებია ყავდა მაგას რუსიო, შურთ შვეიცარიილებს ჩვენიო და იქამდეც კი მივედით - მგონი რომანოვების გადარჩენილი წევრის ანასტასიას და მისი შვეიცარიაში დაბადებული შვილის, ნიკოლაის შვილია ეს ქალიო, ვამბობდით ჭორად თუ მართლად, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა, რომ რუსეთის იმპერატორის დროინდელი შენობები დარჩა, მეტიც, ტერიტორიაზე მსგავსი დიზაინისა და კონსტრუქციის რამდენიმე დამხმარე შენობა ჩაიდგა და ახალი კლინიკა გაიხსნა.

კლინიკა რა დასათვალიერებელი იყო და სტუმრებს შევთავაზე ბორჯომის ხეობის უძველეს მონასტრებს განახებთ-მეთქი. ჩემი ჩანაფიქრი კონკრეტული და მზაკვრული კი იყო (ჩემი სომეხი სტუმრისთვის ქვაბისხევის წმინდა მარიამის მიძინების ტაძარი და მასში გამოსახული შოთა რუსთაველის და დედამისის, იას ფრესკები მინდოდა მენახებინა), მაგრამ კეთილშობილური მინარევებიც ჰქონდა, მას შემდეგ რაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებით, დიდი ქალაქების ყველა ტაძარს დაეკისრა რეგიონებში ე.წ. სამეურნეო ტაძრების შენახვა და მოვლა-პატ-რონობა (სხვათაშორის, იდეა ჩემ მეგობარს, მღვდელ ლევან ალადაშვილს ეკუთვნოდა და მდგომარეობდა შემდეგში: დიდი ქალაქების ტაძრები ეკონომიკურად და ხშირ შემთხვევაში, მორალურადაც - ნირვა ლოცვების ჩატარებით, ეზო-კარის მოწესრიგებით, სოფლებში და განსაკუთრებით მაღალმოთიან რეგიონებში ერთ კონკრეტულ ეკლესიას ეხმარებოდნენ. ეს ე.წ. „მოძმე ტაძრები“ ინსტიტუტი ძალიან დიდი დახმარება აღმოჩნდა არა მხოლოდ ეკლესიების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენახვა-მოვლის მხრივ, არამედ მიმდებარე სოფლების გამოცოცხლებასაც ხელი შეუწყო, რადგან ნირვის ჩასატარებლად ჩასულ ქალაქელ მღვდელს ხშირად ქალაქელი მრევლიც მიყვებოდა, ნირვის მერე ტრაპეზზ კი ამბებისა და ცოდნის გაცვლა-გამოცვლა სდევდა თან), ქვაბისხევის ეკლესია კი ქართველი ავტორებისთვის განსაკუთრებული მოვლის და ზრუნვის ადგილად იქცა. ქრისტიანი თუ მუსლიმი, ბუდისტი თუ ათეიისტი მწერლები თავს ვალდებულად ვთვლიდით ხოლმე, ნელინადში ერთეულ მაინც დიდი შოთას ფრესკა გვენახა და მცირე შესანირითაც მონასტერს დავხმარებოდით (ქართველი აზერბაიჯანელი მთარგმნელის ოქტაი ქაზუმოვის იდეა იყო ამ წესის ტრადიციად გადაქცევა). მოკლედ, ვიფიქრე ორ კურდლელს ერთად დავიჭრ-მეთქი, მაგრამ სტუმრებს დაეზარათ, ზოგს თოვლმავალით სიარულის შეეშინდა, ზოგს შოთა რუსთაველის ფრესკის ნახვის, ზოგსაც უბრალოდ ბაკურიანში დაბრუნება და სრიალი ერჩივნა.

გვიანობამდე ისევ ბორჯომის ქუჩებში ვიხეტიალეთ. ვსვით უზომოდ ბევრი მოცხარის ჩაი და ვჭამეთ დინდგელიანი ჭურჩელები. ვუსმინეთ ბევრ ფალიაშვილს კლასიკური მუსიკის კაფეში და საერთოდ არ ვუყურეთ ჩემი საყვარელი რეჟისორის ლანს ფონ ტრიერის ახალ ფილმს (ახალი უცხოური ფილმების პრემიერა საქართველოში, ტრადიციულად ჯერ ბორჯომში ტარდებოდა და შემდეგ დანარჩენ კინოთეატრებში).

დარწმუნებული ვარ, მე ჩემს გზაზე რომ წავსულიყვავი და ისინი ბაკურიანში მარტოს გამეშვა, პალესტინას ისრაელი მაინც არ აღიარებდა, მაგრამ ასეა ხოლმე, როცა სტუმარი გყავს და ქართველი ხარ, იდაყვზე ვერ იკბენ, უნდა შეეგური იმას, რომ შეიძლება მოგინიოს ყველა საქმის გადადება, შეიძლება ფეხმძიმე ცოლი მარტო და ტაქსით გაუშვა სამშობიაროში, გადადო წინა საღამოს ჩასაბარებელი სტატიის საბოლოო ვარიანტი ან სულაც გააცდინო პლენარული სხდომა იმიტომ, რომ სტუმრებს პატივი სცე და კმაყოფილი გაუშვა სახლში, მერე კი მთელი თვე იმართლო თავი ცოლთან, სამსახურში და შეიძლება სახელმწიფოს წინაშეც კი, რომ სხვანაირად არ შეგეძლო, რომ „ასე მოხდა, ასე გამოვიდა“.

მე კი არც ფეხმძიმე ცოლი მყავდა, არც სტატიის ბოლო ვარიანტი მქონდა ჩასაბარებელი და საერთოდაც, დრო მქონდა იმაზე მეტი, ვიდრე ბაბუაჩემის მამას, დიმიტრის აქვს ახლა შორაპნის სასაფლაოზე. დავრაზმე ჩემი აზერბაიჯანელ-სომხური დელეგაცია, ჩავსხი ტაირონ სკოტ ჯეიმსის ელექტრო მატარებლის ბოლო რეისზე და გავუყევით 1982 წელს კარპენტერის ფილმ „რაღაც“-ასავით დათოვლილ მთებს უკან, ბაკურიანში.

ზოგი სტუმარი მარგებელიაო, დაჯდები შენთვის თბილ ნომერში და წაიკითხავ მაინც წიგნებს.

მაკა ლდოკონი



ოცილან ოცდაათამდე ცხენკუდა

ყოველწლიურად სიმსივნით დაავადებული უამრავი ბავშვი ტოვებს დედამიწას. ჩეენ მათ არ ვიცნობთ, თუმცა, საკმარისია მსგავს ამბავს ყერი მოვკრათ, გული გვეწურება, თვალზე ცრემლი გვადგება, ძერე კი ვცდილობთ სწრაფად დავითიწყოთ მოსმენილი, ქატოსავით ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით გავგ ზავნოთ.

მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ უკანასკნელ დღემდე გააღა-
მაზონ ამ ბავშვების ცხოვრება და რას აღარ იგონებენ: სპეციალურ ცენტრებში დო-
ნორი გოვონება და ქლუბი საჯუთარ თბას გზავნან, ქიმითურიასაცავლილი ბავშვე-
ბისთვის პარიკები რომ დამზადდეს. თბაგაცვენილ გოვონებს უძნელდებათ სარკეში
უერება და ცვლილებების აღქმა, არ სურთ სხვებს დაენახონ და საკუთარ თავში
უფრო მეტად იკეტებიან.

რამდენ რამეზე ფიქრი გვმართებს და რა უმნიშვნელო დუტალებით შეგვიძლია
დახმარება.

მინიშნებები სარჩევის მაგივრად:

გაიდსია – უხვნალექიანი, წვიმიან-აგურისფერი ქალაქი სუბლიმუ-
რი ეფექტებით;

დალილა – ქართველი პოეტი დალილა გოგია, წითელი შუქი ჩვენს
რომანში;

სლაიმალი – მთავარი პერსონაჟი;
მეგობარი ქალი – სლაიმალის მეგობარი ქალი ცხრა სექტემბრამდე;
ტასება – ქალი, რომელიც ცხრა სექტემბერს ქალაქმა სლაიმალს გაუგზავნა;
დილა – გოგონა პოსპიტალში (სლაიმალის უმცროსი ძმისშვილი);
მისისმოცვისბუჩქი – სკოლის მარადიული მასწავლებელი;
უცება – სლაიმალის რძალი;
ელპი – სლაიმალის უფროსი ძმისშვილი;
ჰიგრომეტრი – ტენიანობის საზომი ხელსაწყო (გაიდსის სავიზიტო ბარათი);
მალკოვი – სლაიმალის ძმა;
ჰეკი – ცხენკუდების დალაქი.

* * *

Ωერი და ამინდი ქუჩებს, შენობებსა და მის ბინადრებს პაზლის დეტალივით ზუსტად თუ ერგება, ქალაქის განუყოფელ ატრიბუტებად იქცევა. მაშინ გამვლელი, სტუმარი თუ ადგილობრივი გულითადად აღიარებს, რომ „ნამდვილად აგურისფერია ამ ქალაქისთვის ზედგამოჭრილი და წვიმიანი ამინდი მისაღები,“ - როგორც ამას გაიდსის შემთხვევაში ამბობდნენ.

გაიდსის ერთგვარი ახირება შემოდგომის უგულებელყოფა იყო - დიახ, აგვისტოს პირდაპირ ნოემბრის მიწურული ებმოდა. „შლოპანციდან ჩექმაზე გადავდივართ!“ - წუწუნებდა დალილა, უფრო სწორად, ცხრა სექტემბერს, დილაადრიან, სოციალურ ქსელში, საკუთარ კედელზე წერდა. ორიგინალური სტატუსი ძალდაუტანებელ მოწონებას იმსხურებდა (სიტყვას „ძალდაუტანებელი“ კი ხაზგასმა სჭირდება, ვინაიდან იმ ეპოქის ცხრა სექტემბერი იდგა, მოწონების გამოხატვა ადამიანებში თვალის დახამხამებასავით შეუმჩნეველ ქმედებად რომ ქცეულიყო).

დალილას სტატუსი გაიძულებდა თბილი ტანსაცმლის ყუთი ანტრესოლიდან ჩამოგელო და საკუთარ თავს ზამთრის მოახლოვებაში გამოსტყოდომოდი. და მაინც, შალის პულოვერებთან შეხება ორას ოცი ვოლტის ეფექტით გივლიდა სხეულში. უნებურად გახსენდებოდა დამკრძალავ პროცესიას შეჩეხებული როგორ აუჩქარებ ხოლმე ნაბიჯს და გონებაში ჯიუტად იმეორებ: „ჯერ არა, ჯერ ადრეა!“

დამკრძალავი პროცესისგან განსხვავებით, შემოდგომის დასაწყისში დაფიქსირებულ თოთხმეტი გრადუს ცელსიუსს ვერავითარი აჩქარების ძალით ვერ გაერიდებოდი. თან, წვიმის გულითადი მასპინძელი გაიდსია ისე მშვენდებოდა, თანამოქალაქეები მოღალატედ ჩაგთვლიდნენ ქოლგას მომლიმარი სახით თუ არ გაშლიდი და სველ ქუჩებს აკურატულად ჩაცმული, ენთუზიაზმით სავსე არ გაუყვებოდი.

რაც შეეხება პოეტ დალილას, ამ რომანის პერსონაჟი როდია. დალილა ორიგინალური სტატუსით გაიდსის კლიმატს, უღალი თმით კი მის განწყობას პაზლის მიმანიშნებელი დეტალივით ერგება. დალილა საკუთარი ლექსებითურთ ორიენტირია - წითელი შუქი, რომელიც წესების დარღვევის ხასიათზე გაყენებს და იქ გადაჰყავხარ, სადაც მორჩილად უნდა იდგე. სხვა გზა არ გრჩება, თუ წვიმიანი ქალაქი გაიძულებს მზით გარუჯული სხეული ქეშმირის ქსოვილში მაშინ დამალო, როდესაც სიშიშვლე სურს.

ფერებს თუ ალარ ემორჩილები, წესები ირღვევა და ესეც გაიდსის ერთგვარი ახირება გახლდათ.

„ორივეს ერთნაირი ჭოგრიტი აქვს“

სლაიმალი მანქანას ქოქავს, საქარე მინაზე საწმენდების რიტმულ მოძრაობას თვალს ადევნებს. წვიმები დაიწყო, - ფიქრობს და მოდუნებული სხეული სასიამოვნო შეხებას ჰგვრის. თავი გაიდსის ღირსეულ მოქალაქედ თუ მიგაჩინა, სწორედ ასეთი კეთილგანწყობით უნდა შეხვდე წვიმას.

სლაიმალი საქარე მინაზე საწმენდების რიტმულ მოძრაობას თვალს ადევნებს და შეფაქის „სტამბოლელი ნაბიჭვარი“ ახსენდება – ახსენდება წიგნის პირველსავე გვერდზე გალანდული წვიმის გამო.

- სტამბოლის წვიმა კი არ ჩამორეცხს, ცოდვებით ავსებს ქალაქს. ჩვენ კი წვიმა ფიზიოლოგიური ხსნარივით გვასაზ-რდოებს, წვიმს, ნიშნავს რომ გაიდსია ადგილზეა, მოძრაობს, არ ცხრება! – გონებაში წარმოსთქვამს სლაიმალი და აღელვებისგან ისე წამოიმართება, საქარე მინას შუბლით ეჯახება.

დიახ, წვიმიანი გაიდსია არ ცხრება, როგორც ეს სლაიმალის მეგობარ ქალს დილაობით სჩვევია. ამ ჩვევის დამსახურებით სლაიმალის სხეული ფორმას, ფსიქიკა წონასწორობას, ტესტოსტერონი სათანადო დონეს ინარჩუნებს. ამგვარად დარეგულირებული სტატიკურ-დინამიკური მდგომარეობა სლაიმალს ტოლერანტულს ხდის. საბოლოოდ კი კეთილგანწყობილი სლაიმალი გადიზიანების გარეშე შესცეკრის მეგობარი ქალის ბადისებრი კოლგოტების გამომწვევ, ლაქის პლატფორმიან ფეხაცმელთან უგემოვნო შეხამებას; ამავდროულად, კეთილგანწყობილი სლაიმალი აუღელვებლად გასცეკრის ქალაქს, მოხდენილად რომ ატარებს უთავბოლო წვიმას სახურავებსა და ქუჩებში.

მეგობარიქალი ხუთი წელია ჰყავს. თუმცა, ცხრა სექტემბერს, ზმნა „ყოლ“ მეტი სიზუსტით წარსული დროის ფორმაში გაუღერდება: წვიმა შუქნიშნის ფერებს გადღაბნის, წესებს დაარღვევს, უღალთმიანი ტასება დაძრული მანქანის წინ გადაირბენს, სლაიმალი უკანასკნელ მომენტში შეძლებს დამუხრუჭებას, ვინაიდან წვიმასავით გამჭირვალე ქოლგას შეფარებული, აწონილი ქალის თმა გაიდსის აგურისფერი სახურავების ფონზე თითქმის არ მოსჩანს, ოცდამეხუთე კადრივით ელავს და სუბლიმურ გზავნილებს ტოვებს.

სლაიმალი მხოლოდ დღის ბოლოს, სახლში დაბრუნებული მიხვდება, რომ წვიმასავით გამჭირვალე ქოლგას შეფარებული, აწონილი ქალის თმა მთელი დღე თვალწინ ედგა.

მთელი დღე.

მთელი დღე კი სლაიმალმა მონიტორის წინ საპასუხისმგებლო გამოთვლებში, შესვენებაზე ყავის ეფექტის მოლოდინში, ტელეფონის ყურმილთან რძლის სევდიანი ნაამბობის მოსმენაში გაატარა. საზრუნავითა და წვიმით გაჯერებულ დღეს სლაიმალის ქვეცნობიერმა უცნობი ქალის მისაღებად გასაოცარი მზადყოფნა გამოავლინა. ის, რაც გაიდსიამ ოცდამესუთე კადრის ეფექტით შესთავაზა, სლაიმალმა უყოყმანოდ აირჩია.

„ორივე თევზს ელოდება“

სლაიმალი თვლიდა, რომ უდალთმიანსა და აწონილს კვლავ იქ შეხვდებოდა, სადაც ცხრა სექტემბერს დალანდა, ვინაიდან ერთი ლამით თავშექცეულ ქალს არ გავდა, სტაბილურობის განცდას იწვევდა. ალბათ დილაადრიან დგებოდა, ყოველი წამი განერილი ჰქონდა და დაგვიანება მიუღებელ საქციელად მიაჩნდა. მსგავსი განმარტებები არაფრით ესადაგებოდა „ძეველ“ მეგობარქალს - საწოლიდან ზლაზვით წამომდგარს, შუადღეზე ნახევრადჩაცმულს, საღამოხანს ქუჩაში გაღწეულს, სიგარეტის კვამლით გაუდენთილი საპარიკმახეროებისა და პაბების ერთგულ კლიენტს. რთული იყო „იმ“ ქალის კანისა და თმის ღამეული გაიდსიდან გამორჩევა. „ის“ ღამის ქალაქის სარეკლამო რგოლივით დაგორავდა სლაიმალის მოგონებებში.

მეორე დღეს უდალთმიან-აწონილი ქალი მართლაც იქ გამოჩნდა, სადაც სლაიმალი ელოდა, „დათქმულ“ დროს საქარე მინაზე მოსრიალე ჯოხებს შორის დალანდა: კაკაოსფერი, კოჭებთან შევიწროებული, მაღალქუსლიანი შუზებით, პესკა კოლგოტებით, ყვითელი შიფონის მუხლებამდე გოფრირებული, ტრაპეციის ფორმის ქვედაბოლოთი, წელზე ტყავის ქამრით მოჭერილი, ანგორის ძაფით ნაქსოვი ყავისფერი ჟაკეტით, აქეთ-იქით სავარცხლებით ანეული, ხეული თმით, პოლიეთილენის ქოლგითა და უზარმაზარი ყვითელი ჩანთით, მთელ ცხოვრებას რომ ჩატევ. ზურგსუკან დამუხრუჭებულ საფრთხეებს არაფრად აგდებდა, წინ, მსუბუქად მიჰქროდა, წითელ სახურავებს სწვდებოდა და ფერებგადღაბნილ ქალაქს ერწყმოდა.

სლაიმალმა აგურისფერი თმა გულში ჩაიკრა, თვალდახუჭულმა გამოიცნო სუნამო - „მოსკინოს ჰიპი ფიზი“, ცოტაც და თბილი ფეხსაცმელის მიუხედავად გაყინული, პესკაკოლგოტიანი ტერფი თბილი მტევნებით დაუსრისა - „ქალბატონი ბოვარიდან“ გამოყოლილი ვნებისამშლელი პასაჟი მოირგო. მოუწდა რაღაც ეთქვა, ბაგეები აამოძრავა, თუმცა ჯერ არ იცოდა ქალს ტასება რომ ერქვა, სათქმელი გადაყლაპა და ... მანქანა დროულად დაამუხრუჭა.

თვალი რომ გაახილა, ყვითელი შიფონის, მუხლებამდე გოფრირებული, ტრაპეციის ფორმის ქვედაბოლო ავტობუსის კარში შეფრიალდა.

მანქანაში ოცნება სახითათოა, - წითელი შუქივით აინთო უცნობი ლექსის სტრიქონი და სლაიმალმა თვალები მოისრისა.

ათი სექტემბერი გაცნობის და ადევნების დღე არ ყოფილა. სლაიმალი ჰოსპიტალში, რძლის სევდიანი ხმით მოყოლილი ამბის მთავარ გმირთან, დილასთან მიიჩქაროდა.

დილა - გაიდსის წვიმასავით ყურმილიდან გადმოღვრილი ცრემლების მიზეზი იყო. დილას განსაცდელი სლაიმალს დაწყებითი კლასების დამრიგებელს, მისისმოცვისბუჩქს აგონებდა, თითქოს საჩვენებელი ჯოხით ხელში თავს დასდგომიდა და გამოსწორებისკენ მოუწოდებდა, უკეთესი საქციელისკენ სლაიმალთან ერთად მთელ მის ოჯახს: ძმას, რძალსა და დილას უფროს დაიკო ელპისაც კი უბიძებდა. ავადმყოფობა არა მხოლოდ პაციენტს, მის გარშემომყოფებსაც გარდასახავს ხოლმე, უკეთეს ადამიანებად აქცევს, უკეთესი ადამიანი კი სამყაროს უხდება.

სლაიმალი მთელი გზა გულში ესაუბრებოდა პატარა დილას: პირობას დებდა, რომ უფრო გულისხმიერი, მოწყალე და დამნდობი გახდებოდა (თავმდაბლობა და სისადავეც არ აწყენდა).

მაგალითისთვის:

A. ამიერიდან ავტობუსით ივლის (მიუხედავად იმისა, რომ სამსახურამდე გზას გაიმრუდებს). გაცილებით ადრე ადგება და ამ ხერხით უფრო დიდხანსაც იცოცხლებს (ბოლო დროს მათ ოჯახში სიცოცხლეს ფასი დაედო). სლაიმალს დიდი ხანია ავტობუსით არ უმგზავრია, დილამ კი ყველაფერი იცის საზოგადოებრივი ტრანსპორტის შესახებ და საყვარელი ბიძისთვის სასარგებლო რჩევებს არ დაიშურებს. თავის მხრივ, სლაიმალი წესებს ზედმინევნით შეასრულებს: უღალთმიან, აწონილ ქალს ავტობუსის კიბეზე ასვლის დროს ხელს შეაშველებს, გზას დაუთმობს, გათავისუფლებულ ადგილზე მიუთითებს, დაჯდომას შესთავაზებს ხოლმე. გემოვნებით ჩაცმულ, ნაცრისფეროთვალება სლაიმალს ისიც უსათუოდ შენიშნავს, როგორც დილამ შენიშნა თავის დროზე სლაიმალის აკურატულობა. „ბიძია, შენ დღეს გაიდსის მოედანზე, დიდ ვიტრინაში გაუნდრევლად იდექი და ვერ დამინახე!“ - სამი წლის დილას მიგნებას ოჯახის წევრები ხარხარით შეხვდნენ (ეს ადრე იყო, ჰოსპიტალამდე, მაშინ დილას ოჯახის წევრებს გულიანი სიცილი არ უჭირდათ).

სლაიმალი წესებს უბრუნდება:

B. მაშასადამე ყოველდღე ავტობუსით ივლის, უღალთმიან, აწონილ ქალს ფეხდაფეხ აედევნება, გალანტურად მოიქცევა, მალე ქალიც შენიშნავს, რამდენიმე კვირაში გაუღიმებს კიდეც. ერთხელაც, ნაბახუსევ სლაიმალს გამბედაობა მოემატება და მისალმების ნიშნად თავს დაუკრავს, რამდენიმე დღეც და მის გვერდით, ახლადგათავისუფლებულ სკამზე (რატომაც არა!) ჩამოჯდომასაც შეძლებს. ქალი კი სტანდარტულად, ფანჯარაში ცქერას და გაიდსის ქუჩებში ახალი აღმოჩენების კეთებას როდი დაიწყებს, თვალებში გამომცდელად ჩახედავს, მერე კი მუხლებზე ჩამოდებულ თითებს შეუთვალიერებს.

„გვერდიგვერდ სხედან“

სლაიმალი ახლადგათავისუფლებულ სკამზე ჩამოჯდა, ქალმა ფანჯარაში ცქერას თავი დაანება, თანამგზავრს თვალებში გამომცდელად ჩახედა და მუხლებზე ჩამოდებული თითები შეუთვალიერა. სლაიმალმა ავტოპუსიდან ჩასულ ჟღალომიანს თვალი აღარ გააყოლა, ჩაჟყვა და ხელებავი გამოსდო. ტასებას გარუჯული კანის რეცეპტორებმა ტვინის ნახევარსფეროებამდე უმოკლესი ბილიკები გაკვალა და უკანა გზაზე მიკროსკოპულ ბორცვებად მოეფინა სხეულს.

* * *

ქალი მზად არის უზარმაზარი ჩანთა მოისროლოს, ქოლგაც ზედ მიაყოლოს, მობილური გათიშოს, სამსახური დაივინყოს. ასე იქცევიან ჟღალომიანები, „მოსკინო ჰიპი ფიზი“ რომ ასხიათ - ფორმალობას მომავლისთვის გადადებენ და სქოლიოში ჩასატან განმარტებას სათაურში თუ არა, პირველსავე აბზაცში გააუღერებენ.

- მე ტასება მქვია... თქვენ?
- სლაიმალი...როგორც იქნა!
- ანუ?
- თქვენი სახელი და ხმა გავიგე. ხმა ერიკ სატის „ნოსიენივით“ მომაკვდინებელი გაქვთ.
- და სახელი?
- ცოტა არ იყოს, დამაფრთხო.
- მე თქვენ მიყვარხართ, სლაიმალ.
- ...
- დუმილი, ბადე, ლოდინი, თოლიების მშიერი ხმები, თევზი იქაა!
- კარგი ლექსია და პასუხიც. უფრო სწორად, თქვენი ალიარება ზედმინევნით დროულია. „თქვენს“ უკვე „შენ“ აჯობებს, არა?
- შენ გადაწყვიტე.
- სიმართლე ვთქვა, განვიცდიდი, მეშინოდა, ეს წუთი რომ მოაღწევდა, გულმა არ მიმტყუნოს-მეთქი, რაც არ უნდა იყოს, ორმოცდაორი წლის მამაკაცი ვარ და რამდენიმე კვირა მოზარდი ბიჭუნასავით დაგდევთ... დაგდევ! რაზე აღარ მიფიქრია ამ ხნის მანძილზე: სტენტზე, შუნტზე...
- სლაიმალ!

- მართალია, ეს ზედმეტია.
- ექიმი ხარ, სლაიმალ?
- თქვენ?.. შენ?
- მე? აპ, არა, რა სისულელეა, აბა როგორ, ექიმები საზოგადოებრივი ტრანსპორტით დადიან სამსახურში?.. ყოველ შემთხვევაში, გაიდსიაში ასე არ ხდება!
- მე თუ დავდივარ?
- ჩემ გამო დაიწყე ავტობუსით მგზავრობა, სლაიმალ?
- დუმილი, ბადე, ლოდინი... მმმ... მეტი ვერ დავიმახსოვრე.
- თოლიების მშიერი ხმები...
- ყველაფერს უსწრაფესად ალაგებ საჭირო ადგილას, ტასება, ვგრძნობ, რომ სისხლის ფორმულაც ნორმაში ჩამიდგა.
- წესით, აი, ახლა უნდა მეთქვა, რომ მიყვარხრ, სლაიმალ, წელან ავჩქარდი.

* * *

სატინის ყვითელ თეთრეულთან ლოყით შეხებისას, სისუფთავისა და სიგრილის ფონზე მეტი სიმძაფრით იგრძნობა „მოსკინო პიპი ფიზის“ არომატი, დახვენილი ალერსი კი გიუსტავ ფლობერის გმირებს გახსენებს.

- ერიკ სატის რომელ „ნოსიენს“ გულისხმობდი, სლაიმალ?
 - პირველს. რა თქმა უნდა, ნომერ პირველს. ასე მოგწონს, ტასება?
- უღალთმიანი ქალი გრძელი თითებით ქუთუთოებს ეხება. ასე კარგია, თავს აქნევს და თვალის დახამძამებაში მოდის ზამთარი.

„ბადე – გადაგდებული“

რას ნიშნავს „ნოსიენ?“ ეტიმოლოგია უცნობია, უფრო სწორად, ავტორის გამოგონილი სიტყვაა. გამოგონილი სიტყვით დასათაურებული ქმნილება კი, როგორც წესი, ავანგარდულია, დროს უსწრებს, რის გამოც ნებისმიერი ქალაქი სათანადოდ ვერ იღებს და ეს გაიდსისა ახირება არ გეგონოთ.

გაიდსისგან უგულებელყოფილი სამი თვე კი ზოგჯერ მთელ ცხოვრებას იტევს. თითებს შორის წვიმასავით გაცრილი დღეები მიწაზე ეშვება, ფეხქვეშ მიედინება და მსოფლიო ოკეანეს ერთვის.

ნოემბრის მიწურულიდან ტასებას ყოველდღე შეეძლო სიყვარული, შეუმჩნევლად ტოვებდა კრიტიკულ დღეებს,

სლაიმალთან ერთად შესრულებული ნებისმიერი კომპოზიცია კადენციით სრულდებოდა, უხვი ნალექი მკერდს უვსებდა, მხოლოდ წითელლაქწასმული ფრჩხილები და უღალი თმა გამოვიდა მწყობრიდან.

ფრჩხილები ძირში დაიჭრა, მერე უფრო მოზრდილი მაკრატლით შეიარაღებული სარკესთან მივიდა. სარკემ სლაიმალის სახლის ფანჯრები და აგურისფერი სახურავები აირევა. თოვლი ჯერ ალაგ-ალაგ ფარავდა გაიდსის ფერს. გაურკვეველი მიმართულებიდან მოსულმა სუბლიმურმა გზავნილმა ტასება აიძულა თმას არ შეხებოდა, აბუსალათინის ზეთს თალგამის ზეთი შეურია და თმის ძირებში შეიზილა.

თალგამზე ზღაპარი გაახსენდა. დაჯდა, მუხლებზე ხელები დაიწყო, როგორც ბალში სხდებდნენ ხოლმე და პატარა გოგონასავით მოჰყვა:

კატა ძალლს, ძალლი გოგონას, გოგონა ბებიას, ბებია ბაბუას, ბაბუა თალგამს, ქაჩეს, ქაჩეს, ვერ მოქაჩეს...

სლაიმალი გვიან დაბრუნდა. ცალყბად იღიმოდა. სამუშაო მაგიდას მიუჯდა, ვარდისფერი კონვერტი დაყნოსა, გაჭრა, წერილი ამოილო, კითხვა დაიწყო, თვალები გამჭირვალე სითხით აევსო, ტასებამ თვალის მორიდება არჩია და თმის ჩამოსაბანად გასწია.

ქლები, „მოსკინო ჰიპო ფიზის“ არომატით თავს მხოლოდ იმ შემთხვევაში იკავებენ, თუ საქმე მეგობარი მამაკაცის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს ეხება. ისინი მოთმინებით ელიან საშვს, რომელიც შესაძლოა ვერასდროს მიიღონ. ტასება ფოტოსურათებიდან იცნობდა სლაიმალის ძმის ოჯახს. პირველად რომ ნახა, სლაიმალის ძმა ეცნო კიდეც:

- ეს კაცი მანიაკია, სლაიმალ!

-ჩემი ძმა? ის ყველაზე უწყინარი არსებაა დედამიწაზე.

- შეიძლება სხვას მივამგვანე. ავტობუსში, სანამ შენ გამოჩნდებოდი, ეს კაცი დამსდევდა, ჰო, რა გაკვირვებული მიყურებ, ამეკიდა! დიახ, შენსავით ამეკიდა, სიყვარულით მიმზერდა, მაგრამ კიდევ რაღაც უნდოდა, რაც ვერ გამოვიცანი.

- გამორიცხულია, ეგ მალკოვი არ იქნებოდა.

- შენ რომ გამოჩნდი, თავიდან ის მეგონე, დიახ, მალკოვი მეგონე, არც ვიცოდი შენს ძმას ასეთი სახელი თუ ერქვა, თუმცა მალკოვი იყო თუ სლაიმალი, იგივე თვალებით მიყურებდი. შენ უბრალოდ ტანსაცმელმა გაგყიდა, შენ სხვაგვარად გეცვა, იქცეოდი, მოკლედ, არ ვიცი ეს რა იყო.

„როდის გამაცნობ შენი ძმის ოჯახს, სლაიმალ?..“ ნებისმიერი ქალი ასე გააგრძელებდა დიალოგს, მარამ „მოსკინო ჰიპო ფიზის“ არომატი ნებისმიერს არ მოსწონს. თუმცა ახლა, შხაპის ქვეშ, აბუსალათინისა და თალგამის ზეთით გაპოხილ ტასებას, წყლის ჭავლთან შერეული, საყვარელი სუნამოს სურნელი გულს ურევს, გამალებით ფიქრობს ვარდის-ფერ კონვერტზე, სლაიმალის ამღვრეულ დუმილზე, მკერდზე ქაფიანი ღრუბლის შეხებაზე სხეულში დენი უვლის და მზად არის იკივლოს.

- სლაიმალ! როგორ შემაშინე, სლაიმალ! აქ რას აკეთებ?
- უნდა გამათბო, ტასება, შხაპი ორივეს გვეყოფა! რამდენი თმაა, რა ხდება?! თმა გცვივა? ამდენ თმას წყალს როგორ აყოლებ?
- მეც ახლახანს შევამჩნიე.
- რა უსამართლობაა, რომ იცოდე.
- რა გჭირს, სლაიმალ?
- ერთ გოგონაზე ვფიქრობ, დილა ჰქვია. მიტრიალდი, ზურგზე ქაფს წაგისვამ.
- უცნაური სახელია დი-ლა.
- დილა რომ გაჩნდა, დილას მამა კავკასიაში მუშაობდა. ერთ-ერთ იქაურ ენაზე დილა განთიადს ნიშნავს და ცოლს შემოუთვალა ეს სახელი დაარქვიო. მგონი, წონაში იმატებ, ტასება.
- ალბათ ლამაზად თენდება კავკასიაში... ვიმატებ?!
- შეიძლება მომეჩვენა, მე ასეთი უფრო მომწონხარ, არ იდარდო.
- მამშვიდებ კიდეც, მაგრად მომიმატია!
- ყველგან ლამაზად თენდება, ტასება, მხოლოდ დილასთვის ასე ალარ არის. პირსახოცი მომაწოდე. თმას რომ გაიშ-რობ, გამოდი, ჩემი ძმის ოჯახზე გიამბობ. რას შვრები, „მოსკინოს“ რას ერჩი?

-გულს მირევს, სლაიმალ, უნდა გადავდვარო.

საკანალიზაციო სისტემაში მოხვედრილ სუნამოზე ფიქრობს, როგორ ერევა ყვითელი, არომატული სითხე აყრო-ლებულ მიღებს, მაინც ვერ იშორებს მის სურნელს, უნიტაზს ისტერიკულად რეცხავს, მოზღვავებულ ნაღველსაც შიგ ანთხევს, რეცხავს, ჰაერს გამალებით ყნოსავს, მერე ჰიგიენურ ჰაკეტებს ყუთიდან ყრის, ყუთში სუნამოს ცარიელ შუ-შას ტენის, ურნაში აგდებს. პირსახოცით სწრაფად იშრობს თმას, სააბაზანოს იატაკის ფილები თმის ღერებით იფარება, გამოცდილი თვალით ადგენს რომელი რამდენინჩიანია, ჰიგრომეტრისთვის რომელი გამოდგება. თითქოს არცერთი. იქნებ მხოლოდ უვარების თმისგან თავისუფლდება და არც ისე ცუდად არის საქმე. ამას ხვალ გაარკვევენ, თმის მორიგი პარტიის ჩასაბარებლად რომ გასწევს გაიდსის გარეუბანში, თმის ჰიგრომეტრების მწარმოებელ ქარხანაში.

ჰიგრომეტრები გაიდსის სავიზიტო ბარათია, სწორედ აქ, დედამიწის ზურგზე ყველაზე ჭარბნალექიან ქალაქში მზადდება ჰაერის ტენიანობის საზომი საუკეთესო ხელსაწყოები. ნესტის მატებასთან შესაბამისად მეტალის ჩარჩოზე გაჭიმული, გამომშრალი თმის ღერის სიგრძე იცვლება, ისარს ამორავებს და ჰიგრომეტრის ციფრებლატზე საჭირო ნიშნულთან აფიქსირებს. ხელსაწყოების გასამართად კი მხოლოდ ჟღალი, რვიდან ათ ინჩამდე სიგრძის თმაა გამოსადე-გი, დიახ, ჟღალი თმის ღერი ყველაზე მგრძნობიარეა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დავიდარაბა უნდა ტრიალებდეს იქ, საიდანაც სათავეს იღებს?

ტასება მეათე წელია თმის საუკეთესო მიმწოდებლად ითვლება, სწორედ აქედან მიღებული, დამატებითი შემოსავლით ახერხებს სკოლის ბიბლიოთეკარისთვის ხელმისაწვდომ ფასზე გაცილებით მეტი გადაიხადოს ტანსაცმელში, ძვირფასი სუნამოებითა და აქსესუარებით გაანებივროს საკუთარი თავი. თუმცა, ახლა, როდესაც თვალსა და ხელს შუა თმის უძვირფასეს ღერებს კარგავს, რატომღაც არ დარდობს, ნებისმიერ სუნამოს ოზონით გაჯერებულ ჰაერს ამჯობინებს, რაც შეეხება ტანსაცმელს, სლაიმალის სააპაზანოს ხალათში ყველაზე კომფორტულად გრძნობს თავს, „მგონი მართლა ვსუქდები“, საჩვენებელი თითოთ ხახას ეხება და სანამ კუჭის წვენს არ ამოიღებს, ისტერიულად რეცხავს უნიტაზს. მერე ტუალეტის მაგიდაზე გაბნეულ ჰიგიენურ ჰაკეტებს უბრუნდება, ერთად აქუჩებს, მაგრამ ხელიდან უვარდება: „ლმერთო ჩემო, რამდენი ხანია არ დასჭირვებია? რამდენიი? კალენდარი სად არის? ამ დაქცეულ ქალაქში თვეებს ხომ ვერ ენდობი! სლაიმალ! შენ კიდევ იტყვი რომ ექიმი ხარ, ვერაფერს მიხვდი! სლაიმალ?!“

- ტასება, როგორც ვატყობ მანდ ჩაგებინა. მე გავრბივარ! მალკოვს სასწრაფოდ უნდა შევხვდე!
- სლაიმალ, დაიცადე! მართლა მოვიმატე, სლაიმალ, და ამის მიზეზი ვიცი!
- დავბრუნდები და აგნონი, ძვირფასო, მერე ვისაუბროთ, არ იდარდო, თავს გაუფრთხილდი!
- რას? თმას? თმას გავუფრთხილდე?

მომაკვდინებელი ხმით კივის, ფანჯრებისკენ გარბის და პირსახოცწაკრული თავით მინას ეყრდნობა. სიგრილე აცხ-რობს, ჰაერში კანტიკუნტად მოფარფატე ფიფქებს მზერას აყოლებს და ცდილობს ბავშვისთვის ახალი, სრულიად უცხო სახელი გამოიგონოს. მაგრამ ღირს კი? გაიდასია როგორ შესვდება, როგორ მიიღებს? რატომ განიცდის სლაიმალი დი-ლაზე? ნეტავ რა სჭირს დილას? იქნებ მის უცხო სხეულივით სახელში იმაღება უბედურების მიზეზი?

ჩვეულებრივ სახელს დაარქმევს, ყველაზე ჩვეულებრივს, არც გაჩენის დღეს დაგეგმავს, ექიმებს არც გაუტკივა-რებაზე დათანხმდება და არც საკეისრო კვეთაზე. წყლებს დალვრის, ტკივილი რომ მოუვლის, ერიკ სატის ნოტებზე იკივლებს, მენჯებს გახსნის და ამქვეყნად ყველაზე დიდ სიამოვნებას მიიღებს, როდესაც ჰატარა, უღალი ბუსუსებით დაფარული თავი მისი საშოდან გამოაღწევს.

„ერთის ბადე ძალიან ახლოსაა, მეორისა კი ძალიან შორს“

ათ სექტემბერს, ელპის და დილას დედა საყვარელ კაფეში იჯდა. აქ შემოსვლა მისთვის ერთგვარ რიტუალად ქცეული-ყო, გაიდსის რამდენიმე უბანში ეგულებოდა ფილიალები და გულგრილად ვერცერთს ვერ ჩაუვლიდა. დამათრობელი სურნელი, მის გემოვნებას მორგებული კერძები, სისუფთავე – საკმარისი არგუმენტები იყო კეთილგანწყობისთვის. იქაური ყავის პირველივე ყლუბი ენთუზიაზმით ავსებდა, იჯერებდა, რომ ცხოვრებას უკეთ გაუმკლავდებოდა და გა-ცრეცილი იმედის ნაკუნის ახალ-ახალი ფერის ძაფით კემსვას იწყებდა.

დილაადრიან უფროსი ქალიშვილი წარმატებული უფროსკლასელების დაჯილდოების ღონისძიებაზე დატოვა. საყვარელი კაფეც იქვე, ქუჩის გადაღმა აღმოჩნდა. ყავა წინ დაიდგა, არომატი ხარბად შეისუნთქა და თვალები დახუჭა. პატარა დილაზე ფიქრი კატეგორიულად არ უნდოდა, როგორც გამწყრალი დიასახლისი ცელქ კატას, ისე დევნიდა უმცროს ქალიშვილს წარმოსახვიდან. ხანგრძლივი ძალისხმევის შემდეგ თვალწინ ელპი დაუდგა, აკურატული, გემოვნებიანი, მოწესრიგებული, სლაბიმალივით პრაგმატული და ამავე დროს მგრძნობიარე. დიდი გოგონაა, სულაც არ სჭირდება გაცილება და მიკითხვა, მაგრამ, როდესაც მალკოვი ქალაქში არ არის, მეუღლეს სთხოვს გოგონების მიმართ გაორმაგებული ყურადღება გმოიჩინოს და ისიც თანახმაა, მით უმეტეს მას მერე, რაც ელპი დაქალიშვილდა და მამაკაცები მზერას აყოლებენ ქუჩაში.

კაფეს მოპირდაპირე მხარეს, ქუჩაზე ჩოჩქოლია, აჟიტირებული მშობლები ხმამალლა საუბრობენ, ერთმანეთში ირევიან. „ძნელი წარმოსადგენია, ასეთი უწესრიგო და უდისციპლინო ადამიანების შვილები როგორ არიან საუკეთესო მოსწავლეები“, - გაიფიქრა უცებამ და შხამიანი ტრიქოცისტი სწრაფად დამალა, ყავის პირველი ყლუპი მოსვა. „რა გაეწყობა, ესოდენ ჯანმრთელ მალკოვს და უცებას ხომ გაუჩნდათ სუსტი და უმწეო დილა. ისევ დილა!“ კიდევ ერთი ყლუპი, ძალისხმევა და წუხელ ნანახი, მაკოტო სინკაის ახალი ანიმე ახსენდება, უყურებდა და ელპის განსხვავებულობაზე ფიქრობდა, იმედი მიეცა, რომ ელპი უსათუოდ იპოვიდა თავისნაირს, წიგნებისა და გამოთვლების მოყვარულს. ელპის არ გაუჭირდებოდა ცხოვრება. ელპი, ელპი, ელპი!

ელპის წარმატებები იმდენად ჩვეული გახდა, სათანადო ყურადღება მოაკლეს თითქოს. თუნდაც ახლა, მართალია იმ მშობლების გვერდით დგომა ეთაკილება, მაგრამ როგორი სიხარულისა და სიამაყის განცდა ეუფლება, ალბათ ცამდის იფრენდა დილას განსაცდელი ბეკარის ნიშანივით ნახევარი ტონით დაბლა რომ არ აჟღერებდეს მის ემოციებს. კიდევ ერთი ყლუპი და ცრემლები ახრჩობს, გულში მადლობას უხდის და ეფერება ელპის, მალკოვი რომ დაბრუნდება, დეტალურად მოუყვება, როგორი გაულამაზა ათი სექტემბრის უმძიმესი საათები უფროსმა ქალიშვილმა. მოუნდა რამე ეყიდა ელპისთვის ან სულაც სადმე დაეპატიუა, მერე რა, რომ დღეს „ამის დრო“ არ არის? ელპისთვის განკუთვნილი განცდები რატომ უნდა ჩაახშოს?!

როგორც კი რამდენიმე დაჯილდოებული მოსწავლე გამოვიდა, უცება აჩქარდა. ყავის ჭიქა გამოცალა და მიუხედავად ოპტიმისტური განწყობისა, ახალი ფერის ვერცერთი ძაფი ვერ მოიძია დილასთვის - იმედის უკანასკნელი ნაკუნი საბოლოოდ შემოერლვა. გაიდსის აგურისფერ შენობებზე თითქოს მხოლოდ მისთვის გამხელილი სუბლიმური გზავნილი ამოიკითხა, რომელიც აუწყებდა, რომ დილას არაფერი გადაარჩენდა. თავისდა გასაკვირად, მზადყოფნაში აღმოჩნდა და ქალაქის გამოტანილი ვერდიქტი გასაოცარი სიმშვიდით მიიღო. მთავარი იყო, მოზღვაუბული კოფეინის ფონზე გაკეთებული აღიარება არავისთვის გაემხილა, იმედებში აჰყოლოდა დანარჩენ ოთხს: ქმარს, მაზლს, უფროს და პატარა ქალიშვილს.

უცებამ ქუჩა გადაჭრა და მშობლებში გაერია, მალე ელპიც გამოჩნდა, აღელვებულმა გამოარღვია მშობლების კორდონი.

- დედა, აქ ხარ? დედა, კიდევ კარგი იქ, შლაგბაუმთან არ დამხვდი. იცი იქ რა ხდება? არ მესმის რატომ შემომეხვია ამ-დენი უცნობი, პირდაპირ დამეძგერნენ, მანვებოდნენ, დისტანციის დაცვა მათთვის სრულიად უცხო ცნება! მითხარი, მხოლოდ ჩვენთან ხდება ასე? შენ გინახავს აფრიკაში, აცრების რიგში როგორ დგას ხალხი? გინახავს! რა თქმა უნდა, გინახავს და მოხიბლულხარ. ჩვენ რა გვჭირს? „გილოცავ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო სიამაყევ, ჩემო სიხარულო!!!“ ამას სახლში ვერ ეტყვიან შვილებს? რა საჭიროა ემოციების აფიშირება? ვერ ვიტან სხვის დასანახად წარმოთქმულ ფამილარულ ტექსტებს. სალამოს სოციალურ ქსელში თავიანთ დიპლომებს გამოფენენ, ლაიქების შეგროვებას დაიწყებენ, მომინონები, მოგინონები. ნეტავ სინამდვილეში რა მოგვწონს? ვხვდებით კიდეც როგორ გავაუფასურეთ ეს „მოწონება“ და მეტი დამაჯერებლობა რომ შევმატოთ ნათქვამს ახალი უაზრო გამოთქმებით ვამტკიცებთ: „ოღონდ მართლა!..“

- ელ-პი-დე!

- ბატონი!

- ყველა შენ გიყურებს.

- ძალიან კარგი, იქნებ რამე გაიგონ! იქნებ აღარ დამალაიქონ, შეიგნონ რომ არ არის აუცილებელი ყველაფერზე ცერის მაღლა აწევა!

- გინდა ტარტზე დაგპატიუო? ტარტი ნაღების კრემით და მოცვის კენკრით არ გინდა?

- რა სისულელეა, რა დროს ტარტია! მერე დილა? საერთოდაც არ მესმის აქრატომ ხარ, დედა? მე მარტო ვერ წამოვიდოდი? ან სლაიმალი ვერ მომაკითხავდა?

- ელპი, მე... შენი სიხარულის გაზიარება მსურდა. იცი... ასეთ მძიმე წუთებში მოცემული შანსით დაუფიქრებლად ვისარგებლე, იქნებ გაიგო და მაპატიო.

- დედაა! ნამდვილი მონსტრი ვარ, შენ უნდა მაპატიო, ჭკუიდან გადამიყვანეს იქ! მოიცადე... სლაიმალი მირეკავს, მოიცადე. ალოო! ხო, სლაიმალ, კარგი, კარგი... დედა, სლაიმალი უკვე ჰოსპიტალშია, დილა ჯერ არ გადაუყვანიათ პალატაში. მოგაკითხავთ, თუ გინდათო.

- არ შეაწუხო, რა სისულელეა, უკვე ტაქსის ვაჩერებ.

-არა, სლაიმალ, ტაქსიში ვსხდებით, მალე მოვალთ... დილასთან უჩვენოდ არ შეხვიდე. მოიცა, დედა, არ გააჩერო, დედა, ტარტი მერე იყოს და აი, იქ, „კოჰინორის“ მაღაზიაში შევიდეთ, მე გიყიდი საჩუქრად აკვარელის ფანქრებს. ახალ ფერებს აგირჩევ.

-კარგი, თანახმა ვარ.

- დედა, რატომ არ ხატავ აკვარელით, ფანქრებს რატომ ამჯობინებ?

- ნაკლები დრო და ადგილი სჭირდება ფანქრებს, ელპი.
- დედა, შენ ყველაზე კომპაქტური ადამიანი ხარ, ვისაც ვიცნობ. სლაიმალი მეუბნება, რომ მალკოვი უცებას გარეშე მთელ ქალაქში ნაწილ-ნაწილ მოიფანტებოდა.
- მთელ სამყაროში.
- ხოოო... მამა ბოლო დროს უშენოდ მოგზაურობს. იცი, ასე მითხრა, არ მეგონა, როდესაც პარიზს ვნახავდი, დედაშე-ნი არ მეყოლებოდა გვერდითო.
- როდის გითხრა?
- დილით მომწერა.
- მე არ შემხმიანებია დღეს.
- შენ მიწერე რამე?
- არა.
- ჰო და, ნუ გწყინს. ისიც შენსავით განიცდის. აი, ამ ორ მწვანე ფანქარს გყიდულობ, და ესეც იყოს, თითქოს მწვანეა და თითქოს არა.
- თეთრიც მინდა.
- თეთრსაც ვამატებ. აგურისფერი აღარ იყიდო, წაილო ტვინი აგურისფერმა!
- კარგი, გავედით, ტაქსის ვაჩერებ, ელპი!
- დედა, იცი, მინდოდა დღეს მე, შენ, სლაიმალს და მამასაც, აქ რომ ყოფილიყო, ყველას თმა გადაგვეპარსა, მერე ყვავილები დაგვეხატა თავზე და ისე დავხვედროდით ჩვენს თმაგაცვენილ დილას.
- როგორ მოიფიქრე?
- ეს მე არ მოვიფიქრე, არსებობს ასეთი სოციალური ვიდეორგოლი, ქალს ქიმიოთერაპიის კურსის შემდეგ, სოლი-დარობის ნიშნად თავგადაპარსული დაქალები ხვდებიან და ... ოოო, დედა, რა გატირებს?.. დედააა!.. გეყო!
- რა საოცარია, რატომ ადრე არ თქვი. ეს უნდა გაგვეკეთებინა.
- ვაპირებდი, მაგრამ დილამ გამოსაშვები საღამოსთვის ვარცხნილობა ამირჩია და მთხოვა, როცა სალონში წახვალ, მეც თან წამიყვანეო. უარს ხომ ვერ ვეტყოდი, ხომ ვერ მოვატყუებდი! თმა რომ გადამეპარსა, დილას არჩეული ვარცხ-ნილობის სამყოფი გაზაფხულამდე ნამდვილად არ ამომივიდოდა. მოკლედ, რაც არის არის, ასე მოხდა! ისევ სლაიმალი რეკავს... მოვედით, ბიძიაა!
- აქ გააჩერეთ, ნუ მოაბრუნებთ, ჩვენით გადავალთ, მადლობა. წამოდი ელპი, ცოტა ფეხით გავიაროთ.

უცეპა თითქოს გზას ძალით იგრძელებს, რამდენიმე ნაბიჯით მეტს გაივლის ჰოსპიტლამდე და მერე მივა. მერე სულ იქ იქნება. დედა-შვილი კაპიუშონებში მაღავს თმას, ამას სინქრონულად აკეთებენ, შეთანხმების გარეშე და გაკვირვებულები უყურებენ ერთმანეთს ცრემლიან თვალებში, ორივეს ეუხერხულება გრძელი ცხენკუდები - ერთს ულალი, მეორეს წაბლისფერი.

- გოგოებო, სად ხართ ამდენ ხანს?
- სლაიმააალ!
- სლაიმალ, როგორ ხარ?
- აბა, თქვენი ამბები მითხარით? რაზე ჭორაობთ? წვიმა შეწყდა და ეს კაპიუშონები რატომ წამოგიხურავთ?
- დამაჯილდოვეს, სლაიმალ, დედას ფანქრები ვუყიდე, შენ რა გიყიდო, მითხარი? ნუთუ ამქვეყნად არაფერი გინდა? ყველაფერი გაქვს?
- არა, არც ასეა საქმე. მაგალითაად ... ჭოგრიტზე უარს არ ვიტყოდი.
- ჭოგრიტი?
- სლაიმალ, რას დაეძებ? აღიარე!
- მართლაც, რას დაეძებს სლაიმალი?
- ჭოგრიტს თუ მიყიდით, მივაგნებ და მერე უსათუოდ გაჩვენებთ, გოგონებო.
- სლაიმალ, დღეს შენი და მამას ყოფილი მასწავლებელი შემხვდა, მოიცა, გავიხსენო, სესილიი... გვარი არ მახსოვე.
- მისისმოცვისბუჩქი.
- რა-ა? ასე ეძახდით?
- ცოცხალია?
- ყველაზე მეტად ცოცხალი დედამიწის ზურგზე!
- ეტყობა, მოცვის ჩაის დამსახურებაა, ძალიან უყვარდა. დილით ვფიქრობდი მაგ ქალზე, რატომდაც გამახსენდა.
- დაჯილდოვების დროს, ჩემი გვარი გაიგო, მოვიდა და ორივე მოგიკითხათ, შენ და მამა. რომლის შვილი ხარო, მკითხა, მაღკოვის-მეტქი, რომ ვუპასუხე, ორივე კარგი ბიჭი იყო, მაგრამ მამაშენის ტვინში სრულიად ამოუხსნელი ქიმიური რეაქციები ხდებოდაო. მე კი პირიქით მეგონა, სლაიმალ, შენ უფრო მაგარი მეგონე.
- რა სისულელეა, ელპი, მე ავანტიურისტი ვიყავი და დავრჩი კიდეც ავანტიურისტად, ისე დავამთავრე სამედიცინო უნივერსიტეტი, ექიმიც ვერ გამოვედი, ჯანდაცვის მართვის მეტი ვერ გავქაჩე. მაღკოვს კი, ხომ ხედავ, სად აღარ იწვევენ. მამაშენი საუკეთესო ქიმიკოსია მსოფლიოში.

- ქიმია დღეს აღარ ახსენოთ, რაშიც ქიმია გაერევა, არაფერი ვარგა, არც ჰაერი, არც საკვები, არც ნიადაგი. შიშის-მომგვრელი და შემზარავი ტერმინია. ხომ ხედავთ?! დღეს უსაყვარლეს და უსათნოეს დილასაც მისწვდება და ყველაზე ლამაზ ულალ თმას გაუნადგურებს...

- გეყო ელპი, დღეს შეურაცხადივით იქცევი! სლაიმალ, მალკოვი შეგეხმიანა?

- არა, უცება, დღეს რა უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის. არა!.. შენც არ დაელოდო დღეს მისგან არაფერს. შევეშვათ. ჩვენ ერთად მაინც ვართ, ჩვენს ქალაქში ვართ. მალკოვს დღეს ყველაზე მეტად უჭირს.

„ქოგრიტში სხვადასხვა მხარეს იყურებიან“

გაიდსიაში მალკოვი ორ კვირაში დაბრუნდა.

გაიდსია მალკოვისთვის აგურისფერითა და გადაუღებელი წვიმით ტკბობას დიდი ხანია აღარ ნიშნავდა. საღამოებს პოსპიტალში, დილასთან ატარებდა, სამსახურში იშვიათად შეივლიდა, ქალაქში ხეტიალს დაეჩვია, თითქოს, ვიღაცას დაეძებდა, ყველას აკვირდებოდა, გამვლელ-გამომვლელს ლამის ქოლგის ქვეშ უძვრებოდა.

ახალ წლამდე რამდენიმე კვირით ადრე დილამ საახალწლო სურვილები ჩამოწერა, წერილები ვარდისფერ კონ-ვერტებში ჩადო, მერე მამას, დედას, დას და ბიძიას გადასცა.

მამას გლობუსს და ზედ დასამაგრებელ პატარა წითელ დროშებს სთხოვდა. მალკოვი, რა თქმა უნდა, უყიდდა, მაგრამ სრულიად სხვა საჩუქრის მირთმევაზე ოცნებობდა. საქმე მეუღლესა და ქალიშვილებს თუ ეხებოდა, მალკოვი მიზნის მისაღწევად მონდომებას არ იშურებდა და უსათუოდ აღწევდა კიდეც. იყო იშვიათი გამონაკლისებიც, დახმარების გარეშე ფონს რომ ვერ გავიდოდა, ასეთ შემთხვევაში უსათუოდ სლაიმალს ურეკავდა.

ძმები, როგორც წესი, ერთ ამოჩემებულ პაბში ხვდებოდნენ ერთმანეთს. იქ ისეთი ტოსტები ეგულებოდათ, როგორსაც მალკოვის და სლაიმალის დედა საუზმეზე, სკოლაში წასვლის წინ უმზადებდა ბიჭებს. ერთმანეთთან არასდროს უღიარებიათ იქაური ტოსტების სიყვარული, უთქმელადაც ხვდებოდნენ სინქრონული არჩევნის მიზეზს. სამაგიეროდ, პირველივე ლუკმიდან მოყოლებული, კმაყოფილების ისეთ უცნაურ შორისდებულებს გამოსცემდნენ, ისეთი გაურკვეველი ასოთშეთანხმებები ამოსდიოდათ პირიდან, ქალალდზე გადმოტანა რომ შეუძლებელია.

ხვენეშას რომ მორჩნენ და ტოსტებს მუსრი გაავლეს, მალკოვმა გულმოდგინედ მოიწმინდა პირი და რაღაცის თქმა დააპირა. მერე გადაიფიქრა, მეორე ხელსახოცი გაშალა და ოფლიან შუბლზე მიიღო. ისევ გააღო პირი, მაგრამ ვერც ამჯერად თქვა რამე. ახალ ხელსახოცს დასწვდა, თვალებზე მიიღო და დაასველა.

სლაიმალი გვერდით მიუჯდა და მხარზე მოეფერა. ნაცნობი მიმტანი ძმებს მიუახლოვდა, დამწუხრებული სახით დილას ამბავი იკითხა, ბიჭებმა თავები გააქნიეს და სანამ ის მაგიდას აალაგებდა, ჩუმად ისხდნენ.

-დილასნაირი ჟღალი თმა ელპის გარდა ბევრს არვის აქვს გაიდსიაში, არა, სლაიმალ?

- ალბათ.

- თუმცა დილას კულულები ჰქონდა, ელპის კი დედასავით სწორი თმა აქვს. მოკლედ გაიდსიაში დილასნაირი ჟღალი და ხვეული თმა არავისზე მეგულება. არა, სლაიმალ?

- ალბათ.

- შეუღებავი, ბუნებრივი თმა მაქვს მხედველობაში, ჯერ ჭალარაც რომ არ გარევია. ხომ გესმის?

- მესმის.

- იცნობ ვინმეს ეგეთი თმით?

- რა ხდება, მალკოვ, გამოძიებას ატარებ?

- საქმე იმაშია, რომ დილასნაირი თმით გაიდსიაში კიდევ ერთი ქალი მეგულებოდა, სლაიმალ. ავტობუსში ვემგზავრებოდით ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ რაც ქალაქში დავბრუნდი, ვეღარსად ვნახე, როგორც ჩანს ძველი მარშრუტით აღარ დადის. არადა, სტაბილურობის განცდას ბადებდა, უსათუოდ დილაადრიან დგებოდა, ყოველი წამი განერილი ჰქონდა, დაგვიანება მიუღებელ საქციელად მიაჩნდა, დროის ფასი იცოდა. ჩემს არყოფნაში, არ ვიცი სად გაქრა, სად აღარ დავეძებ და ვერ ვპოულობ. როგორც ჩანს, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, აბა სხვა რა უნდა ვიფიქრო?.. დასანანი იქნება ასეთი ძვირფასი თმა ახლა სამარეში თუ დევს.

- შეიშალე ხომ, მალკოვ? საბოლოოდ შეიშალე!

- სლაიმალ, მისმინე, ერთი საიტი ვიცი, კონექტიკუტის შტატის მოხალისეებმა დააარსეს. დილასნაირი ბავშვები, გარდა იმისა, რომ ცუდად არიან, ტკივილი ანუხებთ და თავს ათასი უბედურება ატყდებათ, ქიმიოთერაპიის შემდეგ თავიანთი გარეგნობის გამო დამატებით სტრესში ვარდებიან. ჩვენ გვიჭირს ასეთი დილას ყურება და წარმოიდგინე, თავად როგორ განიცდის.

- მართალია, ეს მშვენივრად მესმის, მაგრამ კონექტიკუტის მოხალისეები რა შეუაშია?

- მოკლედ, კონექტიკუტის შტატში არის ორგანიზაცია, რომელსაც საიტზე დილასნაირი ბავშვების ფოტოები უდევს, ამ ბავშვებს დონორი ქალები ან მოზარდები გოგონები თავიანთ თმას უგზავნიან, კონექტიკუტში კი პარიკებს უფასოდ ამზადებენ, უფრო სწორად, ფულს სპონსორები იხდიან. ბავშვებს სტრესის გადალახვაში ეხმარებიან. წარმოიდგინე, სლაიმალ, გოგონას სარკეში ჩახედვა აღარ უნდა, საკუთარ თავს ვეღარ ცნობს და მისთვის რამხელა საჩუქარი იქნებოდა, ოციდან ოცდაათამდე ცხენის კუდი...

-ანუ?

-„ოციდან ოცდაათამდე ცხენისკუდა“ ასეთია საიტის დევიზი. ამ რაოდენობის თმაა საჭირო ერთი პარიკის დასამზა-დებლად, ბავშვის ასაკს გააჩნია, დილას ოცდაორიც ეყოფა, ჩემი აზრით.

- დილას უკვე უთხარი?

- არა, დილამ არაფერი იცის, ჯერ ის ქალი არ მიპოვია და არც ვიცი სად უნდა ვეძებო. დროც ცოტა მაქვს, როგორც ვატყობ, თუმცა ამაზე ფიქრი არ მინდა. დროის აღრიცხვას აღარ ვაწარმოებ. შემეძლო, რა თქმა უნდა, საიტისთვის დილას ფოტო გამეგზავნა, მაგრამ რა გარანტია მაქვს, რომ ასე მალე გამომეხმაურება ვინმე. თან ახალი წელი კარს მოგვადგა, დრო ჩემს საწინააღმდეგოდ მიედინება, უცებას არაფერს ვუმხელ, მაგრამ ზუსტად ვიცი, აქ, გულში ვიცი, რომ ბევრი არ დაგვრჩა... სთხოვე, ხელსახოცები მოგვიტანონ... ის ქალი კი, სლაიმალ, ისეთი გულისხმიერი ჩანდა, დარ-წმუნებული ვარ, უარს არ მეტყოდა. დასანანია ცოცხლი თუ აღარ არის.

- ანუ დილამ პარიკების შესახებ არაფერი იცის? საოცარია! იცი, მალკოვ, საახალწლოდ პარიკი მთხოვა, მე მეგონა გამოიგონა-მეთქი, მომწერა, მეზობელ პალატაში ერთ გოგონას ზუსტად ისეთივე პარიკი გამოუგზავნეს, როგორი თმაც უწინ ჰქონდაო.

- ანუ პარიკი შენ გთხოვა? ჩემგან გლობუსი და წითელი დროშები სურს...არ მიკვირს, მე ხომ გოგონებს მუდამ პრაქ-ტიკულ, საჭიროებიდან გამომდინარე საჩუქრებს ვყიდულობდი, შენ კი ანებივრებდი, სლაიმალ. ასე რომ, ბუნებრივია, პარიკის შოვნას შენგან უფრო ელის, ხომ ხედავ, მეც შენ დაგირეკე საშველად.

- მალკოვ, შენ საუკეთესო მამა ხარ დედამინის ზურგზე, მე კი მეტიჩარა, თავის წარმოჩენის მოყვარული კაცი, ადა-მიანებს თავგზას რომ ურევს და შეცდომაში შეჰვავს. მსგავსი აზრი თავში არასდროს მომსვლია, არასდროს მიფიქრია თმებზე ამ ასპექტში, არადა, ქალი, რომელსაც შენ დაეძებ, მესამე თვეა სახლში მყავს.

- არ მესმის?

-ახლა წავალ, საშხაპეში დავტოვე, მელოდება და ერთი სული აქვს, ყველაფერს როდის ვუამბობ. შენ არაფერზე იჯავრო, მალკოვ, ყველაფერს მოვაგვარებ. დამშვიდდი, ნუ აღელდი, იმ ქალს ტასება ჰქვია და ჩემი... მოკლედ მალე ყველაფერს გეტყვი. მიმტანს ვთხოვ, პიტის ჩაი მოგიტანოს, ცოტა დამშვიდდი და მერე წადი, მე გავრბივარ, ძმაო.

„ერთისთვის მიქცევაა, მეორესთვის მოქცევა“

- ტასება, ის კაცი, ჩემამდე რომ აგეკიდა ჩემი ძმა ყოფილა და მართლა მანიაკი აღმოჩნდა, ოღონდ კარგი გაგებით.

- როგორ? ანუ შენი ძმა მართლა მანიაკია?

- რაღაც ასპექტში მანიაკია, ვინაიდან ის შენი ორგანოთი იყო დაინტერესებული.

- ორგანოთი?

- უფრო სწორად სხეულის რაღაც ნაწილით.
- ნუ მაშინებ, სლაიმალ, ჩემთვის არ შეიძლება. წონაში იმის გამო ვიმატებ, რომ...
- ტასება, მე მინდა ჩემი ოჯახი გაგაცნო. ჩაიცვი, ჰოსპიტალში წავიდეთ.
- ოჯახში ყველანი ექიმები ხართ?
- არა, ექიმი არცერთი ჩვენგანი არ არის.
- აბა, ყველა ავადმყოფია?
- არა მხოლოდ დილაა ავად. აი, ნახე, ეს კონვერტი გახსენი და წაიკითხე. დილა ჩემი ძმისშვილია. კარგი გაგებით მანიაკი ძმის შვილია.
- ...
- დილა უმცროსია ...
- დამაცადე სლაიმალ, ვკითხულობ.
- ვჩუმდები ... უფროსს ელპის ვეძახით, დედაჩემს ელპიდე ერქვა და...
- სლაიმალ, ორი წუთი დამაცადე.
- მე შენგან შვილი მინდა, ტასება.
- ...
- ორი შვილი!
- რა საოცარი ბავშვია! რა ფერი თმა ჰქონდა დილას?
- ზუსტად ისეთი, როგორიც შენ, და ამ თმის გამო დაგდევდა თურმე მალკოვი.
- და მერე შენ გადმოგაბარა ეს საქმე?.. სლაიმალ, ჭკუიდან ნუ შემშლით!
- გადმომაბარა? ვერ ვხვდები რას ამბობ... არა, რა სისულელეა, რა გადმომაბარა, ეს დღეს შევიტყვე, საერთოდ არც გვიფიქრია...
- ერთისთვის ძალიან ახლოს, /მეორესთვის ძალიან შორს, /არა ბადეში./ ორივე თევზს ელოდება...
- სულ მინდა გკითხო, ვის ლექსებს ყვები ხოლმე, ტასება?
- დალილას ლექსებია. კიდევ ერთი უღალთმიანი ქალის ატეხილი აურზაურია.
- უნდა დაიჯერო, რომ მალკოვს ჩემთვის არაფერი გადმოუბარებია, სრულიად არაფერი!
- იცი, სლაიმალ, ერთხელ, ერთ პატარა გოგონას ჩემი თმა გავუგზავნე, მისი დონორი გავხდი. მე ვხვდები რასაც

მთხოვთ, „ცხენკუდების“ შესახებ მსმენია, მაგრამ, სლაიმალ, ის გოგონა მალე გარდაიცვალა, ძალიან განვიცადე და მას მერე ამ საქმეს შევეშვი. თუმცა ახლა შენ ხარ...

- ტასება, დილასაც არ უწერია დიდი ხნის სიცოცხლე, მაგრამ ახალი წელს ჩვენთან იქნება და უნდა გავახაროთ. დაგვეხმარე, გთხოვ, ძალიან ცოტა დრო გვაქვს. მალკოვი მთელი სამი თვე დუმდა და გაიდსის ქუჩებში დაგეძებდა. დღეს იმედი გადაეწურა და როგორც იქნა სათქმელი ამოლერლა.

- სამი თვე დამეძებდა?.. და მე სად ვიყავი ეს სამი თვე?

- ჩემს სახლში, ჩემს მანქანაში, ჩემს საწოლში.

- მერე კალენდარზე კარგად უნდა დავთვალო, სლაიმალ, ყველაფერი დავთვალო და შენი დახმარება დამჭირდება, მაგრამ ახლა... ზუსტად ვიცი ვისთან უნდა მივიდეთ. ცხენკუდების დამზადებას გამოცდილი სტილისტი სჭირდება, სლაიმალ, გასაგზავნად განკუთვნილი სპეციალური კონვერტი და პოლიეთილენის პარკიც ვიცი სად უნდა შევიძინოთ. სანამ ჩავიცვამ, შენებს დაურეკე, აი, სალონის მისამართი, იქ მოვიდნენ და თმის შეჭრის პროცესს დაესწრონ, ძალიან ამაღლვებელი მომენტი იქნება და მათ გაამხნევებს, მერნმუნე. იმედი მაქვს, საკმარის სიგრძეს მოჭრიან, მთავარია დილას ეყოს. დამამშვიდებელი წამომიღე, სლაიმალ, ფეხმძიმებზე უკუჩვენების გარეშე იყოს, კარგად დააკვირდე.

- კარგი, საყვარელო, ახლავე ელპის დავურეკავ და ის ყველაფერს თავს მოაპამს. დამამშვიდებელიც უნდა მქონდეს, მაგრამ... ფეხმძიმებისთვის უკუჩვენება „ცხენისკუდებთან“ რა კავშირშია?

- ფეხმძიმობა „ცხენისკუდებთან“ კი არა, შენთან კავშირშია და შვიდ თვეში ბავშვი გვეყოლება.

- ანუ შვიდთვიანის გაჩენას აპირებ?

- არა, უფრო სწორად იმედი მაქვს, ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის... დარეკე შენებთან?.. დროზე უნდა დარეკო, მე მზად ვარ... ასე ნუ მიყურებ, სლაიმალ, გზაში ყველაფერს აგიხსნი. მაშინ, ავტობუსიდან რომ ჩამოხვედი, გაცილებით სწრაფად აზროვნებდი. მაგრამ არაფერია, როგორც ჩანს, დილას გამო ხარ ასე, ბუნებრივია, მეც სულ ვცახცახებ, ძვირ-ფასო. დამამშვიდებელი მომეცი.

- უკუჩვენება არ აქვს, აიღე.

- როგორ გამოვიყურები? შენებს ხომ არ დავაფრთხობ?

- მშვენივრად, ათასჯერ უფრო მშვენივრად!

- იქ ფოტოები გადავიღოთ ყველამ ერთად, ჩემი თმის სამახსოვროც იქნება. ხომ იცი, მალე მელოტი გავხდები, მზად ხარ ამისთვის?

- მელოტი რატომ გახდები?

- სლაიმალ, ელპის დაურეკე, გთხოვ, სანამ მთელი თმა გამცვივდა!

„ერთისთის თევზი ძალიან ახლოსაა, მეორესთვის ძალიან შორს.“

- თითქოს, ერთმანეთი არ გვყოფნის სამყაროში, დავეძებთ უცხოპლანეტელებს. უცხოპლანეტელები დაეძებენ...
- დაგვეძებენ ჩვენ.
- არა, სლაიმალ, უცხოპლანეტელებიც დაეძებენ უცხოპლანეტელებს. მათ არ იციან არავითარი „ჩვენ.“
- მით უარესი მათთვის, - სლაიმალმა ბოკლებში წითელი ღვინო ჩაასხა და ტასებას გვერდით დაჯდა.
- მე ამიერიდან მესამედი ბოკალი დამისხი ხოლმე, „ექიმო!“
- რა მემართება! ვერ ვეგუბი, რომ ფეხმძიმედ ხარ, არაუშავს, თანდათან გამოვსწორდები!
- სლაიმალი ტასებას ახლადდასრულებულ კომპოზიციას დააცექერდა.
- ნარმოიდგინე, სლაიმალ, უცხოპლანეტელი დაეძებს უცხოპლანეტელს და აგნებს. ამ შემთხვევაში გვაგნებს ჩვენ!
- ანუ „ჩვენ“ კი არა, როგორც შენ ამას ამბობ, არამედ, ჩვენ! ხვდები?
- რა თქმა უნდა ვხვდები.
- რას ხვდები, აბა?
- ვხვდები, რომ ცოლი მართლა ფეხმძიმედ მყავს... მძიმედ მყავს!
- სლაიმალ, მისმინე, თორემ ვერ გაიგებ რა დავხატე.
- ანუ, ეს ნახატია?
- აპლიკაციაა, კი ბატონო. ვაგრძელებ: ანუ, უპმ მოგვაგნო ჩვენ.
- უპ რაღაა?
- უცხოპლანეტელი, სლაიმალ, უცხო-პლანეტელი უ.პ. ნახე, აქ, სათაურთან წერია მოკლე აღნიშვნა „უპ“ და ხომალდ-ში ზის ტიპი, ვინც მოგვაგნო. გვაკვირდება! მაგრამ გვაკვირდება უცხო თვალით. მას არ ესმის ჩვენი ენა, ვერ არჩევს რა არის ჩვენი საკუთარი და რა შეძენილი, ანუ სხეულს ვერ არჩევს ტანსაცმლისგან. ხომ გესმის?
- კი, როგორ არა, მე მესმის, აი შენი უპ კი გონზე არაა.
- მართალია. უპ უბრალოდ ზის თავის ქვაბში თუ თეფშში, რაც გინდა უწოდე, და გვაკვირდება. რას ხედავს?
- რას ხედავს?
- ჰო, რას ხედავს? ნარმოიდგინე, შენ ხარ უპ, არ იცი არც ენა, არც სუნი, არც გემო, არაფერი არ იცი და გვაკვირდები ჩვენ.
- ანუ მე არანაირი „ჩვენ“ ან ჩვენ აღარ ვარ?
- არა!
- ვარ უპ და არ ვარ გონზე.
- მართალია!

- გადმოასხი ეგ ორი მესამედი ლვინო ჩემს ბოკალში და დავფიქრდები.
- მიირთვი, ძვირფასო, თუმცა, არ მგონია, ამან გიშველოს. კარგი, მე აგიხსნი. უპ ხედავს მხოლოდ ერთ რამეს, ეს ტიპები (ანუ ჩვენ) დავდივართ, დავდივართ და დავდივართ!!!
- ანუ დავდივართ. ეს სულ გზებია?
- ასეა, ეს სულ გზებია და მთავრი სწორედ გზებია ჩვენს ცხოვრებაში!
- გზები და შეხვედრები!
- ბრავო, სლაიმალ, სწორედ შეხვედრები. ჩვენ დავდივართ ამ გზებზე დღე და ღამე, დავდივართ, დავდივართ და ვხვდებით ერთმანეთს, ვხვდებით, ვჩერდებით, ვშორდებით, დავდივართ, ისევ ვხვდებით. ანუ, დავდივართ რომ შევხვდეთ! „ო, რა საოცრებაა!!!“ - ფიქრობს უპ (ნახე, ეს მისი ფიქრებია და ღრუბელში ჩავწერე). მან არ იცის, რომ დედამიწა ჰქვია ჩვენს პლანეტას და ის გვარქმევს ახალ სახელს.
- რა სახელს? ანუ შენ უპ-ის ენაც იცა?
- ამას აქ არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. უპ გვარქმევს შეხვედრების პლანეტას!!! ტ-დმ, ლალააა! ხედავ, აქ ცენტრში ბურთი ჩავაკარი, მწვანე-ცისფერი, ეს დედამიწაა და ანერიაა... ხედავ რა დავაწერე (დავაწებე, უფრო სწორად)?
- ჰო, ვხედავ.
- რა არის?
- ცოტა უხამსად უდერს... შპ
- შეხვედრების პლანეტა - შპ, უხამსობა რა შუაშია? ანუ ეს უპ გვაკვირდება. ამ შემთხვევაში ავიღე ჩვენი თავები. მაკვირდება მაგალითად მე. ხედავ, ეს მე ვარ წითელი თმებით, ქოლგით. მე დავდიოდი, დავდიოდი, დავდიოდი. ეს წითლები ჩემი გზებია, მერე ამედევნა მალკოვი, აი, ხედავ, ეს შენი ძმაა, ხომ გავს?
- მაგრად!
- მერე მალკოვი ქრება, შემხვედრ გზაზე მოდიხარ შენ, ნახე, რა ბიჭი ხარ, ულამაზესი! მერე ჩვენ ვხვდებით, ვხვდებით, ვხვდებით. უპ გვიყურებს და თანდათან მაგრად მოვწონვართ. უფრო და უფრო რწმუნდება, რომ რასაც მიაგნო (ანუ დედამიწას) უეჭველად შპ-აა. მერე შენც დადიხარ, ხვდები ელპის, დილას, დილას ექიმებს, უცებას. ნახე, უცება, თავის საყვარელ კაფეში დავსვი!
- მაგარია!
- მერე ისევ ჩნდება მალკოვი, დადის, დადის, დადის მარტო და ვერავის ვერ ხვდება. რაღაც მომენტში უპ-ს ეჭვი ეპარება, დაგვარქვას თუ არა შპ (ხედავ, ახლა კითხვის ნიშანია ღრუბელში)? და აი, ევრიკა, თქვენი შეხვედრა ტოსტების კაფეში, ხედავ, შენ და მალკოვი ხელგადახვეულები ხართ.
- უმაგრესია! ანუ უპი დარწმუნდა, არა?
- თითქმის, ეს გარდატეხის დღე იყო!

- მართლაც რამდენი რამე მოხდა დღეს. მოიცა, ახლა მე გავაგრძელებ, ეს შენ ხარ, ხომ ასეა? ჩემი ხალათი გაცვია, ჰაჲაა! სასწორზე დგახარ, რა აწერია სასწორს? ასიი? თქვი, რომ მაგარი ვარ. ჰა-ჰააა, ვაგრძელებ: ვარდისფერი პირ-სახოცი გიჭირავს, ეს კი...

- ოოო! რა ვარდისფერი პირსახოცი, სლაიმალ, მოიცა, ეს დილას ვარდისფერი კონვერტია!
- ა, ხო, ხო, რამ გამომაშტერა, ეს ხომ დილას ვარდისფერი კონვერტია და ეს რა დაიწებე თავზე?
- ეს თმაა, ნახე, უკნიდან რომ მოქაჩავ, ძვრება.
- გცვივა ანუ!
- არაა! რა შუაშია ახლა აქ ცვენა, სლაიმალ? ანუ მალე მოვიჭრი (შეხედე, ძვრება) და ამ დიდ კონვერტში ჩავდებ (ხედავ, გადადის).

- ვაუ, რა პერფორმანსია! ბრავო!
- მაცადე, გავასწორო. ავრიე ყველაფერი, შენი სულსწრაფობის გამო. მოკლედ უკან ვბრუნდები. უპ ზის და ფიქრობს ჩვენი პლანეტის სახელზე. აქ შენ ბრუნდები მალკოვისგან, ვხვდებით, მე ვკითხულობ დილას საშობაო სურვილს (ვარდისფერი კონვერტიდან ვიღებ), მერე ვრეკავთ, ვრეკავთ, ვრეკავთ და მერე იწყება სუპერ შეხვედრები: მალკოვი აკითხავს უცებას კაფეში, ერთად სვამენ ყავას და ტირიან.
- რა მაგარია! ეს ელპია?
- ხო, ელპიც მიდის კაფეში და ხვდება მშობლებს. ჩვენ ვყიდულობთ სპეციალურ კონვერტს ცხენკუდებისთვის და მივდივართ ჰეკთან ცხენკუდების საპარიკმახეროში. ნახე ჰეკი?
- ჰეკი დიდად არ მომენტია.
- შენ სტერეოტიპებით აზროვნებ და იმიტომ. უპ კი ყვიყურებს, მისთვის ყველა ერთნაირი ვართ, გიუდება ჩვენს შეხვედრაზე, იმიტომ რომ ჰეკი ყველას ეხვევა და კოცნის, ვინც მასთან მიდის.
- ზედმეტად ფამილარულია ეგ შენი ჰეკი.
- ჰეკი ყველას კოცნის და ეხვევა, იმიტომ რომ... სლაიმალ, მეტს ნუ დალევ, გთხოვ... იმიტომ არის ჰეკი ფამილარული, რომ მასთან მიდიან ადამიანები, რომლებმაც სხვა ადამიანების დახმარება გადაწყვიტეს და ეს მას აბედნიერებს. და საერთოდაც, მგონი ჰეკისნაირების გამო დაარქმევს უპ ჩვენს პლანეტას შპ-ს!
- ანუ, ჩვენი შეხვედრები წყალში გინდა ჩაყარო?
- შენზეა დამოკიდებული.
- მე გისმენ, ძვირფასო. აი, ბოკალს გვერდით ვდებ და გისმენ.
- გრძელდება სუპერ-შეხვედრები: ჰეკის საპარიკმახეროსკენ მოდიან მალკოვი, უცება და ელპი. საპარიკმახეროში ვხვდებით ჩვენ ოთხნი.

- რატომ ოთხნი? ჩემებს ორნი დავხვდით, მე და შენ.
- ჰეკი?
- ხო, ჰეკი, კი ბატონო, მაშინ სამნი.
- ვერ ხედავ, ხომ? პატარა ბაია ჩემს მუცელში, ნახე, შეხედე, აქ ჩავხატე, ჩავაწებე.
- რა მაგარია, ჩემი შვილის პირველი ექო.
- ჩვენი შვილის?
- ხომ, ჩვენი! და ეგ რომელი „ჩვენია?“
- ისე ექოსკოპია როდის უნდა გადავიღოთ, კარგი გამახსენე.
- მალე, რაც შეიძლება მალე და მაგ ამბავზე ცალკე აპლიკაციები უნდა გააკეთო, ოღონდ ჰეკების, და უპშპ-ების გარეშე!
- კარგი. ვაგრძელებ: მაშ ასე ვხვდებით ოთხნი, მოდიან სამნი!
- ოთხს პლუს სამი, სუპერ და აქ რა ხდება? ეს მელოტი გოგო ვისია? ვიციი, არ მითხრათ, ჩემი ტასებაა, ჩემი ასი კილო ტასებაა.
- ხო, აქ უკვე მელოტი ვარ, მელოტი, მსუქანი და ფეხმძიმე, შეხედე. და უცებასთან ერთად მივდივარ კაფეში. ცოტა ხანში შენ, მალკოვი და ელპიც მოდიხართ, ვხვდებით (ვხვდებით!) და შამპანურს ვხსნით. ნახე დავაწუნე წყალი და გაიდლაბნა წარწერები, ანუ შამპანურის წვეთების ეფექტი შევქმენი! ეს უპ ზემოდანაა, ცეკვავს და გვარქმევს შპ-ს. ეს კიდევ ჰეკია, ეგეც ცეკვავს. ერთად ცეკვავენ რა.
- ანუ ჰეკი იცნობს უპ-ს?
- იცი, ჰეკი თვითონაც უპ-ია უბრალოდ არ იცის.
- გასაგებია! ჰო, მართლა, არ ვხუმრობ, ახლა ყველაფერი გასაგებია. უპ-ს და ჰეკს ერთი გზა აქვთ, ანუ ერთი ხომალ-დი წაიყვანთ ბოლოში, მშვენიერია, მომწონს (სადმე ეგეც მიახატე). და აქ რა ფარდაა (ჩემი ცხვირსახოცის ფაქტურას ვცნობ, არ ვიმჩნევ)?
- აჰააა! ტა-და-და-დააამ! ფარად იხსნება (ხო, შენი ცხვირსახოცი დავჭერი) და მოჩანს მომავალი. შენ მიდიხარ დილასთან და მიგაქვს ეს აპლიკაცია. დილა საწოლზეა წამომჯდარი და როგორ მოსწონს, ხედავ?
- მაგრად! წარმოვიდგინე კიდეც! და ეს თეთრხალათიანი გოგო კარების უკან?
- ეს ექთანია, ნახე, კარი მოძრავია, არ ჩანს, მერე იღება და შემოაქვს ამანათი.
- ამანათი?
- ნახე, უკნიდან მოქაჩე, აი, ასე, ამანათი იხსნება დააა, დ-დმმმ! რა ამოდის?
- აი მესმიიის, პარიკი დილასთვის! ეს მართლა შენი თმისგან არის? მინიატურული პარიკი გააკეთე?
- დიახ, დიახ, დაცვენილი თმები მოვაგროვე სახლში!

- საოცრებაა!
- იცი, სლაიმალ, უნდა დავამთხვიოთ და იმ დღეს მიიტანო ეს ნახატი, როცა პარიკი ჩამოვა.
- ხო, აბა რა, რომ ზუსტად ასე მოხდეს ყველაფერი.
- ასეც მოხდა.
- ასე მოხდა და ასე რომ დასრულდეს ყველაფერი. მე მივუტან და ბოლოში რომ გავალთ, დილა ამოიღებს მინი პარიკს და ამანათსაც იქვე მოიტანენ! ბრავო, ტასება, მშვენიერი იდეაა!
- ნეტავ მართლა გვიყურებს უპ, როგორ ფიქრობ?
- მე ვფიქრობ ჩვენზე, ანუ ჩვენ, ადამიანები ვინ ვართ? ვართ არსებები, რომლებიც დადიან იმისთვის რომ შეხვდნენ. ადამიანები ხვდებიან და ეს არის მათი მთავარი დანიშნულება! შენ საოცარი დედა იქნები, ტასება!

„კამათი დიდი ხანია დაასრულეს მანძილსა და დროში“

- გოგონაა.
- ხომ არ ვცდებით? კარგად დავაკვირდეთ.
- გეუბნები, გოგონაა!
- ოდნავ გაადიდე.
- დააკვირდი, როგორი გამოკვეთილი კონტურებია. ნამდვილად გოგონა გეყოლებათ.
- კიდევ ერთხელ უნდა დავრწმუნდე.
- სლაიმალ, ექიმი შეანუხე.
- დიდი ამბავი, ერთ მერხთან ვისხედით ექვსი წელი და მეც ბევრ რამეს ვუძლებდი.
- ჩემო პატარა გოგო, გაიცანი, ეს მამაშენია, ბოლო დროს ნერვებმა უმტყუნა, მაგრამ ასეთი კარგი ბიჭი მეორე არ დადის დედამიწის ზურგზე.
- მართლაც გოგოა. ყოჩალ, ტასება!
- დილას და ელპის უნდა შევატყობინოთ, გაუხარდებათ.
- ახლავე დავურეკავ.
- ნუ ჩქარობ, მე და ელპი დღეს ჰიგრომეტრების ქარხანაში მივდივართ და იქ ვეტყვი, შენ კი დილასთან ჰოსპიტალში წადი და სთხოვე, სახელი შეურჩიოს.
- მშვენიერი აზრია! კი მაგრამ, ჰიგრომეტრების ქარხანაში რა გინდათ?

- ელპის ჩემი „ბიზნესი“ უნდა გადავაბარო. გოგონას საოცარი თმა აქვს და ჩაბარებს ხოლმე, ამიერიდან ტენიანობას მისი თმით გაზომავენ.

სლაიმალმა ტასებას მელოტ თავზე ხელი გადაუსვა და გულში ჩაიკრა.

„ახლა ზრდილობიანი ღიმილით ერთსადაიმავეს ფიქრობენ ერთმანეთზე“

ზამთარში გაიდსიაში წვიმის წვეთები ფაფუკ ფიფქებად იქცევა. ზამთარს „შეციებული წვიმის“ ხანად მოიხსენიებენ. წვიმის შხაპუნს მიჩვეულ გაიდსიელებს სიწყნარე ეხამუშებათ, ცდილობენ სმენა დაძაბონ, ფიფქების სახურავთან და ფანჯრებთან შეხების ხმა დააფიქსირონ, საფუძვლიანად რომ დარწმუნდნენ „წვიმის“ არსებობაში, ვინაიდან, თუ წვიმს, მხოლოდ იმ შემთხვევაშია გაიდსია ადგილზე, მოძრაობს და არ ცხრება.

არ ცხრება, ისევე როგორც, მშობლების გული შვილების სიყვარულში. ამ დაუცხრომლობის წყალობით კი დაულალავად ითვლიან დღეებს, კვირებს, თვეებს. ცხრა თვე, ანუ გაიდსიურად ერთი წელი ჩანასახისთვის მთელი ცხოვრებაა, მთელი ჩაყურყუმალავებული ცხოვრება დედის სხეულში. თოვლით შენიდბული წვიმა და აგურისფერი კვლავ პაზლის დეტალივით ესადაგება გაიდსის უბნებს, მოსახვევებს, ჩიხებს და სასაფლაოსაც კი, სადაც ისე კარგად ისმის ფიფქების დაცემის ხმა, რომ სმენის დაძაბვაც არ გჭირდება.

წინ შავ პალტორებში გამოწყობილი სლაიმალი და ტასება მიდიან, ტასებას თავზე ახლად ამოწვერილი წითელი თმა მინავლებული ცეცხლივით ანთია, წითელ ნაქსოვ კაბაში გამობერილი მუცელი მხოლოდ ორ ღილზე იძლევა პალტოს შეკვრის საშუალებას.

მათ უკან ელპი მიდის, ცდილობს ფეხი აუბას ბიძას და ბიცოლას. ხან საგრძნობლად ჩამორჩება, ხან ლამის ზედ ემხობა ორივეს. არეული ნაბიჯი არეულ ფიქრებს მოჰყვება, თუმცა ფეხმძიმე ქალისთვის ფეხის აბმაც არ არის იოლი საქმე. სლაიმალი და ტასება ხშირად ტრიალდებიან ელპისკენ, ხელების გაშვერით სთავაზობენ წინ იარეო, ის კი თათმანიან მტევანს უარის ნიშნად აქეთ-იქით აქნევს და ჯიუტად ჩერდება. ზოგჯერ უნდება გაიქცეს და ტასებას ზურგიდან ჩაეხუტოს. მისი უზომოდ მადლიერია იმ მაჟორული დღიდან მოყოლებული ჰიგრომეტრების ქარხანაში რომ გაატარეს, თითქოს თავიდან გადააფასა ყველა ფერი და გაიდსიურ აგურისფერს კვლავ სათანადო ადგილი მიუჩინა. წარმოიდგენს, გამოსაშვები საღამოსთვის ვარცხნილობის ასარჩევად დილას ნაცვლად ტასება რომ მიჰყავს, თუმცა არა - კარგად უნდა დათვალოს. ცხრა თვე ზუსტად ივნისის ბოლოს გავა და შესაძლოა ბავშვი სწორედ გამოსაშვები საღამოსთვის მზადების პერიოდში გაჩნდეს. რა მოსაბეზრებელია ეს აკვიატებული გამოთვლები, ელპის ნორმალურად ოცნების საშუალებას რომ არ აძლევს! დედასთან ერთად წასვლა აჯობებს, დედა ნებისმიერ საქმეს გადადებს ელპის გულისთვის და იქნებ, ცოტათი გახალისდეს კიდეც. ელპი უკან იხედება, დედა მარტო მოდის, მამა ჩამორჩენილა, მუხ-

ლებიდან თოვლს იფერთხავს, როგორც ჩანს, ცოტა ხნის წინ წაიპორძიკა და დაეცა, ამიტომ არის, რომ დედა სიცილს ძლივს იკავებს, ხელთათმანი აუფარებია პირზე. რა კარგი შესახედები არიან და რა ცუდია, ამ კადრის დაფიქსირება რომ არ შეუძლია ელპის, ეუხერხულება დილას დაკრძალვაზე მობილურის ამოლება. ეს თითქოს დედას პირველი ღიმილია და ელპი ცაში იყურება მადლიერების ნიშნად.

სლაიმალი და ტასება ჩერდებიან, დანარჩენებს ელოდებიან. ელპი პატარა გოგონას წარმოიდგენს მათ გვერდით და მოინონებს – მოინონებს გულითადად, ძალდატანების გარეშე, კიდევ ერთხელ მიაჩირდება ცას და ჯიბეში ცერს მაღლა სწევს.

ყველა დარწმუნებულია, რომ გოგონა იქნება, რას დაარქმევენ, ისიც გადაწყვეტილია. დილას სთხოვეს სახელი მოგვიფიქრეო, ის კი შეჰპირდათ დავწერ და ვარდისფერი კონვერტით გამოგიგზავნითო. დიდხანს ელოდნენ სასურველ გზავნილს, თუმცა ხელმეორედ თხოვნა ვეღარ შეჰპედეს. გუშინ ექთნებმა დილას ლეიბის ქვეშ ვარდისფერი კონვერტი იპოვეს წარწერით სლაიმალს და ტასებას. ფურცელზე მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა - დილა.

კიდევ ვერ გარკვეულან, რამ უფრო დაწყვიტათ გული, დილას გარდაცვალებამ თუ იმ ფურცელზე დაწერილმა ერთმა სიტყვამ, დილას გულში ჩაღვრილი განცდები რენტგენის სხივივით რომ გაამუქა.

ცოტა ხანში ყველა ერთ რიგში დგება. ისევ ხუთი ვართ, ფიქრობს ელპი, ტასებამ გადაგვარჩინა, მერე გამობზეკილი მუცელი თვალში ხვდება და თავიდან ითვლის: ერთი გამოგვაკლდა, ორი დაგვემატა. ლოყები უწითლდება, საკუთარი ფიქრები უხერხულობაში აგდებს: რა სულელი გოგო ვარ, აღარ მინდა ფიქრი, აღარ! აღარ! ნუ ფიქრობ, ელპი! მამას ხელს ჰკიდებს, მაგრად უჭერს, მკლავზე ედება და მალკოვის ბუკლეს პალტოს ბურთულებს ლოყას უხახუნებს.

ტასება დილას შუბლსა და ატლასის ბალიშზე დაფენილ უღალ კულულებს დასცერის, უკვე მეორედ კრძალავს საკუთარ თმას. გაიდსის აგურისფერი სახურავები თოვლს დაუფარავს, თავადაც არაფერი შერჩენია თავის გამოსადები, არც მსუბუქად სიარულის ძალა შესწევს, შენობებს სიმაღლეში რომ გაეჯიბროს, მაგრამ გაზაფხულზე, წყლად რომ დაიღვრება სამყარო, რამდენი რამ მოვა და ამოვა. უბრალოდ, ახლა, გულმოდგინედ დააკვირდება შუქნიშნის ფერებს, ვინაიდან მეტი სიფრთხილე მართებს.

თანხმობის ნიშნად ტასებას მუცელზე ბორცვივით ამოიპერება პატარა კიდური და ეს უჩუმარი მოქმედება უცნაური ძალით მიიზიდავს ოთხივეს თვალს. სლაიმალი, ელპი, ტასება, მალკოვი გარს შემოეხვევიან ტასებას მუცელს და ამ მიკროსკოპულ ბორცვზე ყველასთვის მოიძებნება ხელისშესახები ადგილი.

ციდან კი თეთრ ფონზე ექვსი ლაქა მოჩანს: დედა, მამა, და, ბიძია, ბიცოლა და ბიძაშვილი.

გაიდსია კი ზოგჯერ გაზაფხულსაც ტოვებს და თებერვალს ივნისი ებმის, ასე თუ გაგრძელდა, მისი ბინადრები ას წლამდე თავისუფლად მიაღწევენ და, როგორც ყოველთვის, სიამოვნებით დაემორჩილებიან გაიდსის ახირებებს.

ტექსტში და ქვესათაურებად გამოყენებულია ნაწყვეტები დალილა გოგიას ლექსიდან „ორინი“

3160 ჩხილაძე



ქულა

გონა ეს ვეებერთელა რკინის ყუთი ადგილზე ზრიალებდა, ხრჭიალებდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, სხვა ყველაფერი კი გარბოდა — ბუჩქები, ხეები, ცაზე მიმობნეული ღრუბლის ნაფლეთები, ჯერ ნელა, ტაატით შორდებოდნენ, მერე აუჩქარეს, გამაყრუებელ დაგადუგში მოკურცხლეს მაღალი ძაბვის ბოძებმა... გათავდა ლიანდაგს ადევნებული ბუჩქნარი და ახლა გვალვით გადატრუსული მინდორი გამოჩნდა, მერე გაბერნებული, კუზიანებივით წახრილი ვაშლის ხეების ბალები... მინდორი და ბალებიც გარბოდნენ, ქარსაცავის, ალაგ-ალაგ, მოჭრას გადარჩენილ ჭადრებსაც და სამანქანე გზისპირებზე მიტოვებულ დამწვარ-დაბუგულ სამხედრო ტექნიკას, ცეცხლის ალით გალოკილ ავტომანქანების ჩონჩხებსაც ფეხი აედგათ... გარბოდნენ, გარბოდნენ და ვერ გაეგო, იქ, იმ უბედურებისაკენ რა უნდოდათ, საიდანაც თვითონ გამოიქცა.

სამვაგონიანი სექცია მძიმე-მძიმედ შეღოლდა მორიგ ბაქანზე, შეყავნყალდა და შედგა.

კარი გაიღო. სულ რამდენიმე ხელბარგიანი ქალი და ბავშვიანი კაცი ამოვიდა.

— დედა, რამხელა! — ხელჩანთა ფერდთან მიიხუტა წინ მომავალმა ქალბატონმა, თითქოს ქულა ჩანთის წასართ-მევად ებდლვნებოდა.

— რა ლამაზია! — გაუცინა ბავშვმა და მოსაფერებლად ხელი გაიწოდა.

კაცმა, ცოფიანი არ იყოს, ხომ ხედავ სახე როგორ აქვს აფცქვნილიო, გოგო უკან დასწია.

— რატომ, მამა, რატომ?

— რა ვიცი, შეიძლება მძიმე ავადმყოფობა სჭირს.

— მძიმე? — ბავშვს უკან დარჩა თვალი.

ყველა მოერიდა, ტამბურიდან შეიღალნენ ვაგონში და მოზრიალე კარი მიიკეტეს.

ისევ მარტო დარჩა, კუთხეში მიკუნჭული.

არაფერიც არ სჭირს. ჯანმრთელზე ჯანმრთელია. დაფუფქული სახე კი მდუღარე წყლის ბრალია, მაგრამ ვის უთხ-რას ან როგორ გააგებინოს.

როგორც ბევრი სხვა რამ, ადამიანებს აღარც მანანნალა ძალლები უკვირდათ მატარებელში — სოფელი, თავისთავის გამოკვებაც რომ უჭირდა, ნაგაზებს ქალაქს უგზავნიდა. უცხო გარემოში მოხვედრილი, დაბნეული მყეფრები ტამბურ-ში ან ვაგონის სკამებქვეშ გალურსულები ელოდნენ, ვიდრე გამყოლი ჯოხით არ ჩამოივლიდა და ქალაქის სადგურში არ ჩამორეკავდა.

ზოგი თუ ფეხის დაბაკუნებაზეც ძირს ჩამორბოდა, ზოგიც გაჯიუტდებოდა, უკმაყოფილო ღრენით იგერიებდა გამყოლის ჯოხს.

ვაგონებიდან ჩამოყრილები, ალალბედზე გარბოდნენ, ემატებოდნენ მოხეტიალე, სანაგვე ურნებთან შექუჩებულ ხროვებს.

იქაც არ იყო იოლი ადგილის დამკვიდრება, სანაგვემდე მისვლის უფლება ბრძოლით უნდა მოეპოვებინათ, სუსტი და უგერგილო მანანნალებშიც იჩაგრებოდა.

განსაკუთრებით ოთახის ნაპატიებ, მოფერებაში გაზრდილ ძალლებს უჭირდათ.

ქულაც, თუ უკანასკნელ ხანებს არ ჩავთვლით, იმ ბედნიერთა შორის უნდა გვეგულისხმა, მოფერება, ყურადღება და საჭმელი რომ არ აკლდათ.

ახალთვალახელილი ლეკვი იყო, მწყემსებმა, ეკლესიის წინამძღვარს, მამა პავლეს რომ აჩუქეს — მთის სოფელში, წირვის შემდეგ, მანქანაში მჯდომ მღვდელს კალთაში ჩაუსვეს, თეთრი, ღუნღულა, დაბურთული.

— ეს კიდევ ამის „სოსკაა“, — ჩაუდგა თავჩობანმა საწოვარიანი რძის ბოთლი.

— რძეს მიირთმევს?

— მაშა, ჯერჯერობით სხვას არაფერს გეახლებათ, ცოტა ხანში შეიძლება შრატში პურიც ჩაუგულოთ.

- რა ლამაზი და ფუმფულაა!
- მერე ნახეთ, მამაო, რამხელა გახდება, ცხენიდან კაცს ჩამოიღებს... სუფთა ქართული ჯიშია, ჭკვიანი, დამჯერე, პატრონისა და ფარეხის ერთგული.
- როგორ თრთის და კანკალებს, არა, ნამდვილი თეთრი, ქათქათა ბამბის ქულაა, — ხელები მუცელთან ამოუწყო ლეკვს.
- მალე შეგეჩვევათ და თქვენზე მეტად არავინ ეყვარება.
- დაგლოცოთ ღმერთმა, დიდი მადლობა.
- როგორ გეკადრებათ... ცოტა ხანს რძე არ მოაკლოთ და მერე თუ გინდათ ქვას დალეჭავს! — მხარზე ეამბორა და გამოეთხოვა.

მთელი გზა მღვდელი ლეკვის და ლეკვი მამაოს ხელისგულების სითბოს გრძნობდა. სითბო და თავისებური სურნელი ანაფორის კალთებს, სახელოებს და ხელებს რომ უდიოდათ, მაშინვე ძვალ-რბილში გაუჯდა, განსაკუთრებულ სიამოვნებას მღვდლის კალთაში ხელის ნებზე თავმიღებული გრძნობდა და ამ სურნელით სასიამოვნოდ გაბრუებული იძინებდა ხოლმე.

ცოტა რომ მოიზარდა, მამაოს ურჩიეს, ყურები დააჭერით და უფრო ავი გაიზრდებაო.

ამის სიავე რაში მჭირდება, პირიქით, თვინიერი და ყველას მოყვარული მინდა იყოსო. თვითონ აბანავებდა, ვარცხნიდა, გაჩეჩილი მატყლივით რომ აფუვდებოდა, ნახე რა შესაფერისი სახელი მოგიძებნე, მართლაც ქულა ხარო.

ესეც არ სცილდებოდა, თავისებურად ეფერებოდა პატრონს.

ზოგჯერ ეთამაშებოდა, დაემალებოდა, თავს აძებნინებდა.

სადა ხარ, ქულა, დამენახვეო, დაუძახებდა მამა პავლე და როდის, როდის, საწოლის ქვემოდან ან კარადის უკნიდან გამოძვრებოდა, თან უჯველად რაიმეს გამოათრევდა, დალრღნილ ჭილობის ნაჭერს თუ ოთახის ფეხსაცმელს.

დატუქსავდა, თითს დაუქნევდა მღვდელი, ახლავე თავის ადგილზე დადეო და ესეც ნადავლს უკან მიათრევდა.

როცა მოიზარდა, მამაოს კელიის წინ, შემოლობილში მიუჩინეს ბინა.

თანდათან დაუმსხვილდა ტორუბი, უკვე მამაოს ხელისგულს ფარავდნენ და, როცა აეტოტებოდა, შეაპარპაცებდა ხოლმე.

თვალები შერჩა ძველებური, ნათელი, გულუბრყვილო. საკმარისი იყო მღვდელს შუბლი შეეკრა და ქულაც მოიწყენდა, მკერდზე მიაყუდებდა ხვედასავით თავს და ზურგზე გადასმულ მამა პავლეს ხელს გაუტვრინდებოდა, ნაცნობი სურნელით ტკბებოდა.

ქულას ბედნიერება სულ რამდენიმე წუთში დაინგრა.

ჯერ შორიდან, სოფლის განაპირა, ფერმების მხრიდან მოისმა აფეთქებების ხმა, მერე რაღაც თითქოს ზედ ყურან გასკდა და მაღლა ბურთივით აისროლა. გონს რომ მოვიდა — იწვოდნენ ჭერჩამოქცეული კელიები, ციდან ისარივით დაშვებული თეთრი ნათება მიწაზე ცოდვის კითხვას ატრიალებდა, ირგვლივ, თვალის დახამხამებაში, ყველაფერი ნაცარტუტად იქცა...

მტვერში, კვამლსა და ორომტრიალში ვიღაცამ შემოღობილის კარი გამოგლიჯა, ჩქარა, გამოდი, თავს უშველე, ქულაო. მამაო იყო.

ქულაც გამოვარდა. გარბოდა ყველა, კვალში მისდევდათ აფეთქებების ხმა და ცეცხლი და ესეც გაიქცა.

კვამლსა და აურზაურში მამაოსკენ გზა ვეღარ გაიგნო, ვეღარ დაინახა, დაკარგა კვალი. ეკლესიის ობესთან რუზე გადებული ბოგირი გადაირბინა და დაღმართზე დაეშვა.

სოფლის სკოლის ფეხბურთის მოედანზე ჭურვებით დათხრილი ორმოები ხრჩოლავდნენ, იქითაც, ერთმანეთს მიბ-მულ ბალ-ვენახებსა და საყანე მინდვრებში, ცეცხლი ბუგავდა გვალვით ჩამხმარ ბალახს.

გარბოდნენ ადამიანები და ქულაც გარბოდა. თან გაფაციცებული ნაცნობ ანაფორას დაექებდა, მაგრამ მღვდელს თვალი ვეღარსად მოჰკრა.

მერე თავზემოთ გადაიქროლეს შავმა ჩრდილებმა, გადასერეს ველი და ყველანი მიწას დაეფინენ.

ცეცხლის ნიაღვარი გაუთიბავი ბალახიდან ახლა გაფიცხებული, ბოხოხებივით დამხობილი ბულულებისაკენ გასრი-ალდა, მარჯვნივ და მარცხნივ გაიშალა, აბობოქრდა, ყველაფერს მოედო. წითელი ალი გაქცეულებს ფეხდაფეხ მოსდევ-და და უკან გადაშავებული ველი რჩებოდა.

ნიავის ძვრა არ იყო.

დახუთულ ჰაერში კვამლი გაუნძრევლად იდგა.

ვიღაც, მტვერსა და ნაცარში ამოგანგლული, ამაოდ ჩასძახოდა მობილურ ტელეფონს.

გვერდით, კვამლისა და დამწვრის სუნში, კიდევ რაღაც გამორჩეულად ყარდა — ქულას სიახლოვეს პირქვე ჩამხობი-ლი კაცი ხაოდა, ფეხზე გადახსნილი არტერიიდან ჯერ კიდევ მოსჩქეფდა სისხლი და მიწაზე მუქად დედდებოდა.

ოხშივარის სუნმა გააღიზიანა.

უკან გახოხდა.

შორიახლო ისევ ამოხეთქა წითელმა ნიაღვარმა. აქეთ დარჩენილ საურმე გზისპირა ყამირს მოედო, ატკაცუნდა, რკა-ლივით მოღუნული წამოვიდა, მინდვრის შუაგულისკენ დაიძრა, თითქოს თავზევით მობორიალე ურჩხულების ნამოქმე-დარი უნდა წაეშალა, მიყრილ-მოყრილი ხელბარგი და დაფლეთილი ადამიანების „ნივთმტკიცება“ მოესპო.

ქულა ახლა საწინააღმდეგო მხარეს გაიქცა.

გულის ამოვარდნამდე ირბინა.

მოწყურებული დამშრალ არხში ქინქლადახვეულ გუბეს დაეწაფა.

ასეთ ამღვრეულ წყალს აკადრებდა მამა პავლე?

არხიდან ამოვიდა.

ხილის ბაღში საყარაულო ფიცრული იდგა.

ფიცრულის აღმოსავლეთით, ჩრდილიან კედელთან, ერთი იღლია თივა ეყარა.

მიწვა და გადაქანცულს მალე ჩაეძინა.

საჭმლის სუნმა გააღვიძა.

გათენებულიყო.

სუნს ყნოსვა-ყნოსვით მიჰყვა.

ხილის ბაღს პატარა, საყანე მინდვრიდან ფლატე აცალკევებდა.

მინდორზე კარავი გაეშალათ. იქვე საველე სამზარეულოს ქვაბები ქშინავდნენ. ზარფუშიდან ორთქლი ამოდიოდა. ამ ქვაბების ამოფუვენილმა სუნმა მიიტყუა ქულა.

ქაფქირიან მზარეულს წინ დაუცუცქდა.

პირი თავისთავად გაელო და ნერწყვმომდგარს ენა ლაშებზე ჩამოუგრძელდა.

— შენ აქ საიდან გაჩნდი? გშია? — მოხედა ულვაშა მზარეულმა.

ქულამ თვალები დაახამხამა.

— ცოტა ხარშვა აკლია, მაგრამ მგონი მაინც არ დაიწუნებ, შენი კბილების პატრონს ამ ძვალის დამუშავება არ გაგიჭირდება! — ქაფქირმა ხორციანი კოჭის ძვალი წინ გაუგორა.

საჩუქარი დაითრია და ქულა მუშამბა გადაფარებული, სასადილო მაგიდის ქვეშ შეძვრა.

წამოუწვა. ის იყო წინგაშვერილ თათებში მოქცეულ ძვალს ხორცი აასვლიპა, რომ ირგვლივ ჩოჩქოლი ატყდა და თითქმის ერთდროულად, მის გარეშემო, ჭვინტმაღალი, კირზის ბათინკები დამწკრივდნენ.

მაგიდა ახმაურდა, თუნუქის ჯამებს კოვზები შეესივნენ, ვიღაცები თავშეუკავებელი ხრუპუნით ნოქავდნენ წვნიანს, მაგიდის ქვეშ კი, ქულას ირგვლივ თავმოყრილი, პატრონების ემოციებს აყოლილი ბათინკები ტოკავდნენ, ცმუკავდნენ, თითქოს ადგილს ვერ პოულობდნენ.

ქულამ ვეღარ მოითმინა და ძვალს აუტეხა კნაწა-კნუნი.

მარილიანმა ძვლის ქონმა სასიამოვნოდ ჩაულბო ყელი.

უცებ მაგიდა გაჩუმდა, მერე მუშამბის გვერდებმა აიწიეს და რამდენიმე წყვილმა თვალმა შემოიჭყიტა.

ვაჲ, ამას აქ რა უნდაო, ბათინკებმა ფერდები მოუსინჯეს.

განსაკუთრებით შუათანამ, სხვებთან შედარებით უფრო აგრესიულმა, სხვადასხვა ფერის ზონარიანმა ბათინკის ჭვინტმა ივაუკაცა, პირდაპირ ცხვირში დაეჯახა და ძვალი გააგდებინა.

დანარჩენებიც აიჯაგრნენ, მისკენ იწევდნენ, ნაყამირალს ამტვერებდნენ.

ბათინკებს და ბათინკის ყელში ჩატანებულ ყვითელ-მწვანე სამხედრო შარვლებს ოფლის, ვაქსის და კიდევ რაღაცის გულისამრევი სუნი ასდიოდათ.

გვიანდა მიხვდა, ამის მსგავსი სუნი იქ, მინდორში შეიგრძნო პირველად, დაფლეთილ კაცს რომ უნვა გვერდით – გა-დამსკვდარი კიდურის ძარღვებიდან სისხლმა და ოხშივარმა რომ იფეთქა.

ბათინკები ყაყანებდნენ, ბრაზდებოდნენ, იღრინებოდნენ, იმუქრებოდნენ. საკბენად იწევდნენ, თითქოს ადამიანები კი არა, ესენი უხათქუნებდნენ მუშტებს — „ჭერი“ ზანზარებდა და დამფრთხალი, მოკუნტული ქულა ლამის მუშტისტო-ლა გახდა.

აქამდე არ იცოდა, რატომ უნდა შინებოდა ადამიანების. მათგან მოფერების, თბილი ხელისგულებისა და ალერსიანი თვალების მეტი არაფერი ახსოვდა. ახლა კი შემოარტყეს ბულდოგის ცხვირიანი ბათინკების ალყა, რომელიც ხან დავი-წროვდებოდა, ხან გაიშლებოდა, მერე, ის, აგრესიული ადგილიდან მოწყდა და პირდაპირ მუცელში დაეტაკა.

ქულას წემუტუნი ამოხდა.

სუფრა წამით გაყუჩდა.

ვიღაცამ ისევ შემოიჭყიტა, ქულამ მტვრიანი, ბათინკის პატრონის ოფლით გაზინზლული სახე და ვიწრო თვალები დაინახა. სახე დაიღმიტა, ცოტაც და გადასკდებოდა დოლისპირივით პრიალა, კანგადაკრული პროფილე.

კაცმა რაღაც უყვირა.

ქულა გასაქცევად წამოვარდა, მაგრამ საითკენაც მიაწყდა, ბათინკები მიეტივნენ, არ გაუშვეს, აპურთავეს. მაგიდასთან მყოფებს ვიღაცამ დაუძახა.

ერთხელ, მეორედ.

ბათინკები გარეთ გაცვივდნენ.

ბული თანდათან დაიწმინდა.

მალე ჭურჭელი და სკამები ხმაურით წამოკრიფეს, მაგიდაც აკეცეს, სადღაც წაათრიეს.

ქულა, ნაბეგვი და მტვერში ამოგანგლული, ადგილზე დარჩა.

ახლა რომ მამა პავლეს ამ მდგომარეობაში ენახა, იცნობდა?

ქულას მხოლოდ მოფერება შეეძლო.

ეჰ, მამაო, რა იცოდით ღრენა და კბენაც თუ დასჭირდებოდა თორემ სხვანაირად გაზრდიდით.

არ ახსოვს ამ მდგომარეობაში რამდენ ხანს იყო.

— წამოდი, ცუგა! — ვიღაცამ ქეჩო მოუქექა და ასადგომად უბიძგა.

ქულა კაცს აედევნა.

უფრო უხილათოაო, ჩაილაპარაკა თანამგზავრმა, საყანე გადაიარეს, გაუკაცრიელებულ სოფლის გზას უგანეს და ხილის ბალში გადავიდნენ.

კარგა ხანს მიდიოდნენ.

— ეს საიდანდა მომიყვანე? — შეიცხადა ჭიშკარში ჩამდგარმა ქალმა.

— ნახე, როგორი ჯიშიანია.

— შენ და შენი ძალლები!.. ნეტა ჯიშის რა შეატყვე!

— ნახე როგორი კბილები აქვს, ძალლი კი არა, ლომია, ლომი!.. საპონი და თბილი წყალი მოიტა!.. — აიკეცა პერანგის სახელოები.

— ეხლა მაგის ბანაობის დროა? სახლი ლამის თავზე დაგვამხეს... მოცვივდნენ, ყველაფერი გადააქოთეს... ჩამორჩე-ნილ ჯარისკაცებს ეძებენ... აგე, ჩიკორაანთ უბნისკენ ისვრიან!.. — მოტანილი წყლის ქეთლი ხელში შეაცივდა.

კაცმა რაღაც ჩაიბურტყუნა და ქულას დაბანას შეუდგა.

მალე ბაკის მხრიდან ვიღაცამ დაიძახა.

ღობესთან წელში მოხრილი, ბავშვური გამომეტყველების ჯარისკაცი იდგა.

შეშინებული თვალებს აცეცებდა, მომდევდნენ და გამოვექეციო.

რეზერვისტი იყო, ხეირიანად ავტომატიც არა მჭერია, მანქანებიდან ხიდის გადასაკეტად რომ ჩამოგვყარეს, გუშინდ-ლამდე აღარავის მოვუკითხივართ.

ვისაც როგორც შეგიძლიათ, თავს უშველეთ, ალყაში ხართო, შემოგვითვალა გუშინ უფროსმა და უთავბოლოდ და-ვითანტეთ, გზა ვიცოდით თუ კვალი, აქამდე ხილის ბალში, ბულულში ვიმალებოდიო...

— აქეთ, შვილო, აქეთ! — ვითომ რას გაილექსე, რა დროს მაგების მოყოლაონ, კაცმა მორყეულ მესერის ფიცარს მუშტი დაჰკრა. ფიცარი ხრჭიალით გაძვრა და ჟანგიანი, ჩატეხილი ლურსმანი თან გაიყოლა, — შემო!

— შემოვეტევი?

— ეგრე ხარ დამფრთხალი, თაგვის სოროშიც თალხნად იქნები! — დაიხარა და შემოძრომაში მიეხმარა, - ქალო, შარ-ვალ-ხალათი უნახე, ფორმაში რომ იპოვონ, ხო იცი რასაც უზამენ!.. შედი სათონეში და ტანსაცმელსაც შემოგანვდი!

ბიჭი უკარო სათონეში შევარდა და ალიზის კედლის უკან აიტრუჭა.

— რა გინდა, ადამიანო, აღარ უნდა მოისვენო? აქ რო მოაგნონ, მერე ჩვენ კარგს დაგვაყრიან?

— მოსახდენი მოხდება... რა ვქნა, ჩვენი შვილების ტოლაა, იმათ რომ ვინმემ კარი მოუკეტოს...

— ნეტავ სად არიან, მოუკვდეთ დედა! — მუხლები გამოითქვითა ქალმა და ტანსაცმლის მოსაძებნად შინ შევიდა.

წყალგადავლებულ ქულას წუწები ჩამოეწურა და ბეწვი თეთრი მატყლივით აუბზინდა.

ახლა რომ ენახა, უეჭველად იცნობდა მამა პავლე და არც მკერდში ჩასახუტებლად შეეზარებოდა.

თუთის ქვეშ ჩაკუნტულს ქუთუთოები საძილედ დაუმძიმდა, რომ ჭიშკართან ჩოჩქოლი ატყდა — ჭვინტგამურულმა, ნაცნობმა ბათინკებმა კუტიკარი ლამის შემოამტკვრიეს.

დერეფანში გამოსულ ქალს შარვალ-ხალათი ხელებში შეაცივდა.

კაცს ფერმა გადაპჰრა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია — არ ეგონა, ხელმეორედ თუ მოვიდოდნენ.

ძალლს მაღლა არ აუხედავს, მხოლოდ გიგანტური ხოჭოებივით დაბორიალებულ ბათინკებს მისჩერებოდა, ბათინკები ღრიალებდნენ, იგინებოდნენ, ჰაერში ისროდნენ... მალე კიდევ უფრო დაჩიავებულ-დაპატარავებული ბიჭი სათონედან გამოათრიეს და იქვე, კედელთან მიაყუდეს.

აკი არავინა გვყავსო, ეს იმ სხვადასხვა ზონარიანმა იკითხა, ქულას ფერდები რომ გაუერთიანა და ახლა კაცს დაეტა-კა მუცელში, მერე, დაკუნტულს ბათინკის პატრონმა ნიკაპთან მუხლისთავი ამოჰკრა და უკან გადააგდო.

კაცმა რომ წამოინია, სახე აღარ ეტყობოდა. გადმობრუნებული ქუთუთო მაინც ასწია და კედელთან ჩაკეცილ ბიჭს გახედა.

ბევრი დრო არა გვაქვს, ორივე მივახვრიტოთო.

აივანზე ქალი ხაოდა.

გაჩხაკუნდა საკეტები, კაცს მშიერი ნადირების კბილის კანკანი ჩაესმა, სისხლის სუნს რომ იკრავენ და ადგილიდან წამოვარდა.

რისთვის, რატომ უნდა დამხვრიტოთ, რა ვიცი, სათონეში როდის დაიმალა, ამ ძალლის ლეკვს რატომ უნდა შემწიროთ, შემოხვეული ფორმიანების წრიდან გამოვარდა, კედელზე მიყუდებული სახრე აიტაცა და კედლის ძირში ჩაქცეულ ბიჭს ზურგზე თეთრი მტვრის ზოლი მიახატა.

ტკივილისა და მასპინძელის გამყიდველი ბუნებისაგან გაოცებულმა ბიჭმა შეჰყვირა.

კაცმა, სახრე, ახლა წვივებში დაუნაცვლა.

სიკვდილის წინ „ლეზგინკა“ მოუხდებაო, ხარხარებდნენ ბათინკები, ეზოში დაგუბებულ ქულას ნაბან, ტალახიან წყალში დაჭყაპუნებდნენ, სანახაობით ტკებოდნენ.

კიდევ, კიდევო, აქეზებდნენ კაცს და ისიც დაუნდობლად ურტყამდა, მერე სახრე მოისროლა, ახლა ყელში წასწვდა დასახრჩობად, ბიჭს სარმა გამოჰკრა და ზემოდან მოაჯდა.

ეზოს „ბეტეერი“ მოადგა.

რა ხდებაო, იკითხა ხუფიდან ბიუსტივით ამოსულმა წითურთმიანმა ოფიცერმა.

უთხრეს რაც ხდებოდა.

ოფიცერმა გადმოხედა სისხლსა და მტვერში ამოგანგლულებს.

წამოდით, თავი დაანებეთო.

აბუზლუნდნენ უკმაყოფილო ბათინკები.

გაუმეორეს ბრძანება.

რა ექნათ.

ადგილზე დატრიალებულმა „ბეტერმა“ მტვერი და ნამწვის სუნი დატოვა.

ეზო დაცარიელდა.

ქალმა ხავილი შეწყვიტა.

შეურაცხოფისაგან კრიჭაშეკრული კაცი წამოჯდა.

ბიჭიც.

მასპინძელმა გულისჯიბედან სიგარეტი ამოილო.

რეზერვისტსაც მიაწოდა.

არ ვეწევიო, ხელი აუკრა ნაწყენმა და ფურთხს სისხლი გადმოაყოლა.

გონსმოსული, დერეფანში მუხლმოკვეთილი ქალი, როგორც იქნა წამოიკავა და დოქით წყალი მოიტანა — ღმერთო, ეს რა გადავიტანეთო, დაადევნა დოქიდან გადმოჩქეფილ წყალს.

— აბა, რა კაცი ხარ, სროლა შენ არ იცი, არ ეწევი, შიშით გული გეპარება... ომში ვინ გამოგაგზავნა, იმ ჩემი ცოდვით სავსემ? — ახლოს მიუჩირდა, ხელი მხრებზე მოხვია და თავისიკენ მიიზიდა, — ძალიან გატკინე, შვილო?

ბიჭმა ვერ გაიგო, კაცი უცებ რად დაუტკბა, მაგრამ მოფერებამ მაინც გული აუჩუყა, სისხლიანი ნიკაპი და ხელები აუცახცახდა.

— განა მე კი მინდოდა, გული მეგლიჯებოდა, მეგონა საკუთარ შვილსა ვცემდი, მაგრამ ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ხომ იცი, რაც მოხდებოდა... ეს ბანდიტები არ დაგვინდობდნენ!.. — მუხლისთავებზე ამობრუნებულ გაშლილ ხელის-გულებს დახედა, მერე ორივე სახეში ღონივრად შემოირტყა, აქვითინდა.

ქულა ახლოს მიუჩირდა, დიდრონი თავი მხარზე თანაგრძნობით ჩამოადო.

ავიშვიშებულმა ქალმა ბიჭს ტანსაცმელი წინ დაუყარა.

— კაცო, რა გინდა, რატომ არ გასვენებს გამჩენი, ჩვენ კიდევ შარი გვინდოდა? — თვითონაც ატირებულმა მუხლისთავები გამოითქვითა, — რომ შემოუშვი, არ იცოდი სამხედროებს როგორ დასდევენ? გარეთ, სადმე მაინც დაგემალ!

— მაგ ლაპარაკის დროა? — ეს ძალლიშვილები შეიძლება ისევ მობრუნდნენ... აგე, შვილო, ისევ უკან გაძვრები და პირდაპირ დაუყვები... სულ ბალებია... გზაზე არ გახვიდე, სადაც მოძრაობაა...

ბიჭი უაზროდ უქნევდა თავს, ეგრე ვიზამო და ქალის მოტანილ ტანსაცმელს იქვე იცვლიდა.

დიასახლისმა გაზეთში გადახვეული შოთის ნატეხი და ყველი ხელში ჩაუდო.

— წყენა არ გაიყოლო, ბიჭო!

მოხრილი რეზერვისტი ამოტეხილ მესერში გაძვრა.

ქულამ ცოტაზე გააცილა და უკან მობრუნდა.

ბიჭი თვალს მოეფარა.

ქალმა და კაცმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და აივანზე ასულები შინ შევიდნენ.

სათონის ჩრდილში მიწოლილი ქულა დახურულ კარს მისჩერებოდა.

ქალი და კაცი ცოტა ხანში გამოვიდნენ.

მოზრდილი ხელჩანთები ეჭირათ.

კაცმა ბარგი დადგა და მესერს მიმდგარმა დაიძახა:

— თომა, ჰაი, თომა!

ხეებში ჩამდგარი ბელეტაჟიდან ვიღაც გამოეპასუხა.

ჯოხს დაყრდნობილმა მოხუცებულმა ტოტებდაშვებულ ვაშლებქვეშ კოჭლობით გამოიარა.

— მართალი ხარ, უნდა წახვიდეთ! — უთხრა მოახლოებისთანავე.

— რა ვქნათ, ესენი, ხო იცი რა ძუძუნანოვებიც არიან, არ მოგვასვენებენ... ქალმაც, სადაც სხვები ჩვენც იქაო... თვალი აქეთაც გეჭიროს.

— მეჭირება, მაშ რას ვიზამ.

— აბა, კარგად მენახე.

— კეთილად გევლოთ!

გამობრუნებულმა ქულა დაინახა, მომლოდინე თვალებით რომ მისჩერებოდა, თითქოს ეკითხებოდა მე რას მიპირებო.

— ესეც... კეთილშობილი სისხლის ნაგაზია, ცოდვაა... სად წავიყვანო, თორემ...

— მაგასაც მივხედაგ! — დააიმედა მოხუცებულმა, — მოდი, ცუგა, მოდი!.. მაშ კეთილშობილი, არა? ასეთი ადამიანი აღარ არის და ცხოველი...

— სწორედაც ცხოველებში უფრო შემორჩა ჯიშიც და ჯილაგიც... აბა, ჩვენს პატრონებს რა ეტყობათ ან ერთი ან მეორე!.. ბედის ანაბარად ამ კაციჭამიებს შეგვატოვეს... ფუი...

— მაგათ ნულარ გამახსენებ, სამუდამოდ ჩაეწერნენ საქართველოს მტარვალების სიაში... საკენწლაო ბურთებად გვაქციეს... მთელი სიცოცხლე რუსულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი... ამას როგორ ვიფიქრებდი, რომ რუსი ტანკებით შემოგვივარდებოდა! — სათვალიანმა მოხუცებულმა ხელი ჩაიქნია და სახლისკენ წაჩანჩალდა.

ვიდრე ეზოდან გავიდოდნენ, კაცმა ქულასთან ჩაიმუხლა.

— რა ვქნა, სხვა გზა არა მაქვს, მარტო გტოვებ! — ყელზე შებმული ტყავის საყელო, სტუმრად მყოფმა უცხოელმა მამა პავლეს რომ აჩუქა, ერთი ნაჭდევით მოუხალვათა და წავიდნენ, გაჭრიალდა ეზოს კუტიკარი.

ჩამოვარდა სიჩუმე. დაცლილი სახლების, კარ-მიდამოსი, ბაღჩებისა და ბაღების, სოფლის სალაყბოების შემაშფოთებელი დუმილი გამეფდა, რომელიც თან თითქოს ხმაურობდა, მოსვენებას უკარგავდა.

ქულას შორიახლო, პურის ნატეხთან მოზრდილი წყლის ჯამი იდგა.

ვერ გაიგო როდის დაუტოვეს.

ან ვინ — ქალმა თუ კაცმა.

იქნებ ორივემ, ერთდროულად, შეთანხმებულად, რომ ერთხანს თავი გაიტანოს, შიმშილით სული არ ამოხდეს.

ქულამ კუტი თათით თავისკენ მიიწია, მაგრამ პირი ალარ დაუკარებია, მოწყენილი გვერდით მიუწვა.

მთვლემარეს ეგონა თავი მამა პავლეს ხელისგულზე ედო და მომფერებელ, ენამოჩლექილ სიტყვებს ისმენდა.

ამ სიტყვებს, თავად ვერასოდეს ვერ გაიმეორებდა, მაგრამ რბილი, დამყვავებელი ხმის დუდუნი ყურთასმენიდან არ გამოსდიოდა.

გახსენებამ გული აუჩქროლა, აუტანლად შეაწუხა სიჩუმემ და მარტოობამ, იმ ხელისგულებზე მოუნდა ერთხელ კიდევ ჩამოედო თავი და მერე თუნდაც სული დაელია.

ანგმუტუნდა, მკერდიდან გაბმულმა ყმუილმა ამოხეთქა, მოთქვამდა, მაგრამ ვინ იყო მისი მომსმენი და ჯავრის გამზიარებელი.

როდის-როდის მეზობლად კარი გაჭრიალდა.

ბერიკაცი გამოეხმაურა, რა იყო, ცუგა, რა დაგემართაო.

გაყუჩდა.

ჭრიალზე მიხვდა, რომ კარი დახურეს.

გაბმული ჭრიჭინი ყველა მხრიდან ისმოდა. სიბნელეში კუთავდნენ კალიები. ხან რომელიმე ღამის ფრინველი დაბურული კაკლის ხიდან გადმოიძახებდა.

ხმის ნაწყვეტებს დუმილი შთანთქავდა ხოლმე, საფენივით ცხელი ღამე ისრუტავდა.

დილით, ბერიკაცმა, აგლეჯილი მესერიდან ალუმინის ჯამი გადმოდგა.

ქულამ მადლიერი თვალები შეანათა და შრატში ჩამბალი პურის ჭამას შეუდგა.

ბებრული, დამჭკნარი ხელი ზურგზე ეფერებოდა.

ეზოში ვიღაცები შემოვიდნენ.

გაეხარდა, იქნებ პატრონები დაბრუნდნენო.

ბერიკაცს ახედა — სათვალის სქელ ლინზებზე არეკლილმა ზიზღიანმა მზერამ მიახვედრა, რომ სახლს არასასურველი სტუმრები მოადგნენ.

— ჭამე, ცუგა, ჭამე! — ვითომ ყურადღებას ნუ მიაქცევო, თავი ჯამისკენ დაახრევინა.

მოახლოებულმა, ნაცნობმა, სხვადასხვა ფერის ზონრიანი ბათინების სუნმა ყნოსვა გაუღიზიანა.

თვალი ააყოლა მუხლებთან სამხედრო შარვალგამობერილ, დაგვაჯულ ფეხებს, სახელოაკეცილ, წითურბალნიან, გარუჯულ მკლავებს.

მაშ გაგვასწროო, თავი დანანებით გადააქნია, ყვრიმალებგამოზიდულმა ვიწროთვალებამ, ეზოში გაბმული სარეცხის თოკი ჩამოწყვიტა და ქულას საყელოზე შეაბა.

— Куда везете? — ჰერიკაცმა.

— Куда надо!

— Собака наша собственность! — ар ცხრებოდა მოხუცი.

— Была ваша, старик, была! — დაცინვით მიუგდო და ძალლი თავისკენ გაიწია.

ვერ გაგატანთო, მოხუცი დაჭიმულ თოკს ჩაებლაუჭა.

უკან დაიწიო, ახლა უკვე ქართულად დაუტია და ხელის ტყვიამფრქვევის საკეტი გააჩხაკუნა:

— ვერ გაიგე, აქურობაც და ეს ძალლიც ახლა ჩოფურასია!

ქულა მოძალადეს მორჩილად გაჰყვა.

ბანაკში მიიყვანეს. დაცემულ მინდორზე კარვები მოემატებინათ და ერთის ნაცვლად ახლა ორი სასადილო მაგიდა დაედგათ.

უღალწვერა მზარეულს გაეხარდა ქულას დანახვა, კარვის პალოზე გამობმულს ისევ ხორციანი ძვალი მიართვა.

ამ ძალლთან რაღაც გულუხვობო, შებდვირა ჩოფურამ.

ჩემი წილიდან ვუმასპინძლდები, თქვენ არაფერს დაგაკლებთო, ამანაც მიუგდო უკმეხად.

მეორე დღეს, ნასადილევს, ბანაკს სამხედრო მანქანა მოადგა. მანქანიდან ყურებაცქვეტილი ავჩარკა გადმოიყვანეს. ავჩარკის პატრონები ჩოფურასთან ერთად გვერდზე მიდგნენ, ცოტა ხანს ითათბირეს და ვიღაც მესამეს ჩააბარეს სანაძლეოზე დადებული ფული.

მავთულხლართების ღობის გაჭიმვაზე მომუშავე ჯარისკაცებმა საქმე აღარ გააგრძელეს, თავი კარვების ბოლოზე მოიყარეს და წრე შეკრეს.

ჩოფურამ ქულა აუშვა, ყურები მოუხეშა, აბა მიდი, ივაჟკაცე, თუ არ გინდა სიცოცხლეს გამოესალმოო.

ძალლები ჯარისკაცების წრეში სტვენით შეაგდეს.

ქსი, ქსიო, ორივეს ჯერ პატრონები აგულიანებდნენ, მერე ისეთი გნიასი ატყდა, ყურთასმენა აღარ იყო.

ქულამ ვერ გაიგო, რას თხოულობდნენ მისგან ჩასასტვენად პირში თითებჩადებული, ლოყადაბერილი, თვალებ-გადმოკარკლული სახეები. ყველანი შემლილივით გაჰყვიროდნენ, იფიქრებდი, ჭკუიდან გადასულები, ძალლები თუ არაფერს იზამენ, თავად დაერევიან ერთმანეთსო.

სისხლნანას სამხედროებს თუ არაფორმალ მოხალისეთა ჯგუფებს ომის გაგრძელება, ხორცის გლეჯა და კბენა-ლრენა სწყუროდათ, რადგან ეშხში რომ შევიდნენ და „გემო“ გაუგეს, ომი სწორედ მაშინ შეწყდა. სანახაობა ერთგვარად დაუკებდათ, დაუცხრობდათ დაუკმაყოფილებელ უინს.

როგორც კი ქულას პირისპირ დარჩა, გამოცდილმა, განვრთნილმა ძალლმა უცებ აუღო ალლო შექმნილ სიტუაციას, უკანა ფეხები ლონივრად გაუსვა მინას და ჯერ გარეშემო შემოურბინა, მერე კბილებდაკრეჭილი ლრენით მიუხტა.

ქულამ უკან დაიხია, წამით ისევ შეათვალიერა წითელი ბუშტებივით ერთნაირად გაპერილი სახეები და შემოჯარულ სეირის მაყურებლებს მიაწყდა.

ვიღაცამ წიხლი უთავაზა, ისევ წრეში შემოაგდო.

წამით გულხელდაკრეფილ, უღალწვერა მზარეულს თვალი მოჰკრა. კაცი რაღაცას ანიშნებდა, მაგრამ ვიდრე მიხვდებოდა, რას, ავჩარკამ ახლა უფრო ლონივრად მოფხოჭნა მინა, პირდაღებული ხელმეორედ ეცა და ქულას ყური ყბებ-ში მოიქცია.

ტკივილმა გაამნარა, მაგრამ მოძალადე ვერაფრით ვერ მოიცილა.

გერმანული ნაგაზი გამეტებით თავს მინაზე ახეთქებინებდა და ბოლოს დააგდო, წამოდგომა არ აცალა, ახლა მეორე ყურში ეცა, სული არ მოათქმევინა, აგორავა, დაასისხლიანა.

გააშველეთ, მოკლავსო, დაიძახა მზარეულმა.

მოკლასო, — გამოუტანა განაჩენი განაწყენებულმა ჩოფურამ.

პატრონებმა ავჩარკა ძირს გართხმულ ქულას ძლივს მოაცილეს, — ისევ იწევდა, ხელიდან უსხლტებოდა ჯარისკაცე...

შუამავალმა ნიძლავის ფული ავჩარკის პატრონებს გადასცა და ისინიც ძალლიანად მანქანისკენ წავიდნენ.

გაცოფებულ ჩოფურას მზარეულმა გაარიდა ქულა.

ეპ, ცუგა, ცუგა, ვერ მოგვივიდა კარგი საქმე, ლამაზი ყურები როგორ დაგიმახინჯესო, ჭრილობები მობანა, კარვიდან მაღამო გამოიტანა და ნაიარევებზე წაუსვა.

ყოველდღე, მოხალისე „შურისმაძიებელთან“ ერთად, ჩოფურა ბანაკიდან გადიოდა და გვიან ბრუნდებოდა. პალოზე გამობმულ ქულასთან გავლისას არ ავიწყდებოდა ბათინკის ჭვინტი რომ ეთავაზებინა.

ნაგაზს, მის დანახვაზე, გული ყელში ებჯინებოდა, შეშინებული უკან-უკან იხევდა, მაგრამ ყელზე შებმულ თოკს სად გაექცეოდა.

ჭრილობებმა მოშუშება რომ დაიწყეს, ჩოფურა ახირდა, კიდევ უნდა შევაბრძოლო და თუ ისევ წააგებს, შუბლი გავუ-ხვრიტოვო.

ცოდვაა, მოეშვიო, სთხოვა მზარეულმა.

ჩემია და რასაც მინდა იმას ვუზამო.

სანაძლეოს შუამავალმა ორივე მხრიდან ფული ჩაიბარა.

ქულამ, როცა იგრძნო რამდენიმე დღის წინანდელი ამბავი მეორდებოდა, უკან-უკან დაიხია, მოიკუნტა, აწკმუტუნდა, თითქოს ივედრებოდა, თავი დამანებეთო.

ჩოფურამ თოკიდან ახსნა და წამოსაყვანად საყელოში ხელი ჩაავლო.

ქულა გაუძალიანდა.

ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბებთან გავლისას, გამწარებულმა ჩოფურამ ყურიანი თუნუქის ტოლჩა მდუღარეში ჩაა-ჭყაპუნა და წყალი სახეში შეასხა.

ძალლის ყმუილი ცას შესწვდა.

რას შვრები, შე უღმიერთოვო, დაუტია ვიღაცამ.

ქულამ ერთ წამს ვეღარაფერი დაინახა.

მზარეულმა ცივი წყალი გადაავლო და კანი ლამის სულ ჩამოეფცევნა.

ქუთუთოები ძლივს ასწია.

ნელ-ნელა დატრიალდნენ კარუსელივით ადამიანების სახეები, მათ შორის მოქცეული წრე და გაავებული, ქულას მომლოდინე ავჩარკა.

ყველაზე გვიან ჩოფურა დაინახა.

არა, ჯერ ჭვინტები, საცხის და ოფლის სუნად აყროლებული, სხვადასხვა ფერის ზონრიანი ბათინკები, მუხლებთან გამობერილი შარვალი, გაპრიალებული ნახევარ სახე და ბოლოს ზიზღიანი, ირიბად გაჭრილ ფოსოებში ჩამჯდარი თვალები.

ბათინკები აქოთებულ, საავაცო გზაზე ნათრევ ფეხებს რომ ემსახურებოდნენ, ახლაც უღრენდნენ, ემუქრებოდნენ.

ქულასაც თანდათან აემღვრა თვალები, გაახსენდა ყველაფერი, მიძინებულმა ინსტიქტმა მოულოდნელად გაიღვიძა, ზიზღმა ზიზღლი შობა, გულმუცელში დაგუბებული მრისხანება მთელ სხეულში გაუჯდა, აჯაგრა, იგრძნო ენერგიით დაბურთული ვეება თათები, აქამდე ამოუთქმელი ყეფა ტალღასავით ყელში მოაწვა, მოაწვა და ისეთმა ავისმომასწავლ-ბელმა ბუხუნმა ამოხეთქა, ნახეთ, რეები სცოდნიაო, გაიკირვეს ჯარისკაცებმა.

ძალის მოზღვავებამ მთელი სხეული შეკრა, შეადუღაბა, როგორც ავჩარკამ, ჩამხმარი ყამირი თვითონაც უკანა ფე-ხების ღონიერი გასმით აამტვერა.

ქულას „მეტამორფოზამ“ ახლო მდგომებს უკან დაახევინა, მხოლოდ ჩოფურა არ განძრეულა, ხელში გამომწვევად ატრიალებდა საკეც, ორპირად ალესილ დანას.

აბა, ეციო, წააქეზეს ძალლები აქეთ-იქიდან.

გამარჯვებაში დარწმუნებული ნაგაზი თამამად წამოვიდა.

ქულამაც წაინია, მაგრამ უცებ გეზი შეიცვალა და, მოულოდნელად, ავჩარკას მაგივრად, ჩოფურას ეცა — ჯერ ერთი ბათინკი გაგლიჯა, მერე წაფორხილებულ კაცს მეორე ბათინკის ყელში ჩააფრინდა, ყბები მაგრად მოუჭირა და კბილებ-მა კოჭის ძვლები „გაიარეს“.

დაბნეულმა ჩოფურამ დანის დაქნევა ვერ მოასწრო, ქულამ ფეხქვეშ მიწა გამოაცალა.

თითქოს ხელებში ხელყუმბარა აუფეთქდაო, კაცის ყვირილი მოწყვეტით რიყის ქვაზე დარტყმულმა კეფის ხმამ გადაფარა.

ჩოფურამ გონება დაკარგა.

აირია მონასტერი, ვისაც რა მოხვდა, იმას დაავლო ხელი.

ავჩარკა დაადევნეს, გაუქსიეს გამოქცეულ ქულას, ახლადგავლებულ მავთულხლართს რომ გადაევლო და თავდაღმართზე დაეშვა.

ლობეს ავჩარკაც გადაახტა.

ქულამ თანდათან სირბილი შეანელა, ახლოს მიუშვა დადევნებული ნაგაზი, მიუშვა და, ნახტომისათვის გამზადებულს, უცებ მიუპრუნდა, ყელში წასწვდა, ჰაერში ატაცებული ავჩარკა ძირს აღარ დაუშვა, ვიდრე ახროტინებულ მდევარს ფეხები მოწყვეტილივით არ მოემჩვარა და თავი გვერდზე არ გადაუვარდა.

მიწაზე როცა დააგდო, ნაგაზი უკვე სასიკვდილოდ ხრიალებდა.

მავთულხლართებს მომდგარი, საკუთარი ხელით აგებულ ბარიერს იქით მომწყვდეულები ბობოქრობდნენ. ვიღაცამ ავტომატიც დააგრიალა, მაგრამ ქულა უკვე შორს იყო, ატეხილი ჯაგები და ბუჩქნარი იფარავდა.

საიდანლაც ექიმიც გამოჩნდა.

არ გაანძრიოთო, სახეზე საფენი დააფარა გონდაკარგულ, ქვა-ლორლში ნათრევ ჩოფურას.

— ქართულ ნაგაზთან ხუმრობა არ შეიძლება! — ჩაილაპარაკა მზარეულმა.

— მაგდენი საიდან იცი, ბიძაჩემო? — გამოსცრა ჩოფურას თანაგუნდელმა.

— ვიცი, ძმისშვილო, ვიცი! — მზარეულის მოხდილი ჩაჩი ისევ თავზე დაიმხო.

ექიმმა, ჯარისკაცების დახმარებით, ჩოფურას დაგლეჯილი ბათინკები გააძრო. მეორე ფეხი რომ აუწიეს, წვივს ქვე-მოთ, ძვალდამსხვრეული ტერფი ულონოდ დაეკონწიალა.

— რკინის მკვნეტელი ყოფილა! — გაიკვირვა ექიმმა.

ხომ გესმითო, ნიშნის მოგებით გადახედა ჯარისკაცებს მზარეულმა და იქაურობას გაერიდა.

შუაკაცმა უბიდან ფული ამოილო, ვეღარ გავიგე, სანაძლეოს თანხა ვის ეკუთვნისო.

მაგას კითხვა უნდა, ამისთანა ძალი მოგვიყლესო, ფულის აჩენჩხილი ბლუჯა ხელიდან წაგლიჯეს ავჩარკას გამნარებულმა პატრონებმა.

ნარბენმა ქულამ ღამე მიტოვებულ საყარაულოსთან გაათენა.

დაფუფქული თავ-პირი არ აძინებდა, არ აძინებდა აქამდე უჩვეულო განცდა, ფორიაქი.

რა ერქვა ამ ყველაფერს სახელად, იქნებ თავის უმნეობაზე გამარჯვებულის სიამაყე?

ბოლო დღეების სატანჯველომა ხომ ქულა თითქმის თავიდან შობა!

დრო და დრო ვარსკვლავებით გადაჭედილ ცას შეპბუზუნებდა ხოლმე და თვალს ისე გაუშტერებდა, თითქოს იქიდანაც ვიღაც ეპასუხებოდა.

დილით ისევ ალალბედზე დაადგა გზას.

ბოლოს შამბითა და ნარეკალით დაფარულ, გაუქმებულ მატარებლის ლიანდაგთან აღმოჩნდა.

ბალახგადავლილი ბეტონის განძელები მიწას დაეფარა, უანგმოდებული რელსებიც, აგრე უკვე მერამდენე წელი იყო, უქმად ეყარნებ მზისგულზე, თოვლსა და წვიმაში.

საიდანაც ქულა გამოიქცა, იქით მატარებელი აღარ მიდიოდა, ბოლო გაჩერება, ბაქანითა და ბეტონის ფილებით მოყუდროებული პატარა მოსაცდელით, რამდენიმე ვაგონიანი სექცია რომ ჩამოდგებოდა ხოლმე, აქედან შორს აღარ იყო.

მოსაცდელი და ბაქის წინა მოედანზე, წყალთა მეურნეობის ადმინისტრაციული, ორსართულიანი შენობა, გადავლილი ბრძოლების დროს, ყუმბარმტყორცნებს სანახვროდ დაწყრიათ.

ქვა-ღორღისაგან განმენდილ ლიანდაგზე ცოტა ხანი იყო, რაც მატარებელს მოძრაობა განეახლებინა — ჩოჩიალ-ჩოჩიალით მოღოლავდა ქალაქიდან, სოფელ-სოფელ მგზავრებს არიგებდა, მერე აქედან აკრეფდა ქალაქში მიმავლებს და ისევ უკან ბრუნდებოდა.

ქულა მოსაცდელის წინ შეჩერდა. მოსაცდელს და ლიანდაგს ლამიანი, დამშრალი არხი ესაზღვრებოდა. გაღმა სოფელიდან ხელკალათებითა და ჩანთებით მომავალი მგზავრები არხზე გადებულ ბოგირზე გადმოდიოდნენ.

რკინიგზის გასწვრივ გვალვას ბუჩქნარზე ფოთოლი მოეჭმუჭნა, წითლად მარტო ასკილი ღუოდა.

მატარებელი ნელა, გამაფრთხილებელი კივილით შემოდგანდგარდა.

ლიანდაგებზე განოლილი ვაგონების მუხლუხო თითქოს შეიკუმშა და შედგა.

შაოსანმა ქალმა თანამგზავრი ქულასკენ მიახედა, დაცარიელებული სოფლებიდან, ზოგჯერ, მატარებლით ქალაქ-ისკენ მხოლოდ ძალები მგზავრობენო.

ძალლებს მატარებელში რა უნდათო.

ან უპატრონოებია ან პატრონიანი, მაგრამ რომ ვეღარ ინახავენ, დასხამენ ვაგონებში და ქალაქში უშვებენო. იმიტოა, ქუჩაში ვეღარ გაივლი, გაავებულმა ხროვებმა აიკლეს იქაურობაო.

წამოდი, შენ კი არ გინდა ქალაქის ნახვაო, გაეხუმრნენ და ქულაც, მათ კვალდაკვალ, ვაგონის კიბეზე შეხტა. ბინდდებოდა, განათებულ, ხალხმრავალ სადგურში როცა შევიდნენ.

ვაგონებიდან მგზავრები ჩამოიკრიფნენ.

აქაც შეუძახეს, ჩამოდი, თორემ მატარებელი უკან წაგიყვანსო და ესეც, სხვებთან ერთად, ფართე, ფილაქნიან ბაქანზე აღმოჩნდა.

ახლა საით წავიდეს — დაიბნა ქულა.

სადლაც ზარი წკრიალებდა. ბაქანის გადახურულ ჭერზე წათურები ბრწყინავდნენ. მოსაცდელიდან გამოსული მგზავრები პირველი ლიინდაგის გასწვრივ გროვდებოდნენ. დასავლეთის მხარეს, აწონილი სემაფორები წითელ-მწვანე თვალებს აპაჭუნებდნენ.

აქ რაღაც განსხვავებული ხდებოდა. ადამიანებს სხვადასხვანაირად ეცვათ, არც მძიმე ტექნიკა დაგრუხუნებდა და არც ვინმე ვინმეს ემუქრებოდა, თითქოს სხვა სამყაროში მოხვდა, დაიბნა, აქეთ-იქით მიაწყდა, კიდევ უფრო გაუცხოებულმა და მოუხეშავმა ერთბაშად გზა ვერ გაიგნო.

თავისი აღნაგობით ყველას ყურადღება მიიქცია.

„ნამდვილი გოლიათია!“

„მეცხვარის ძალლია!“

„არ იკბინება?“

„არა, მაგრამ ახლა ვიღაა თავის ჭკუაზე, მაინც მოერიდე!..“

მგზავრები აღტაცებას ვერ მალავდნენ, თან მაინც ფრთხილობდნენ, შორიახლო უვლიდნენ.

„უჩხუბია, თავ-პირი დაფლეთილი აქვს“. „

„ეტყობა — ახლა ყველა ჩხუბობს“...

ბოლოს, სადგურის უკან, ჩაბნელებულ მოედანზე აღმოჩნდა.

სწყუროდა, შიოდა, ვერ გარკვეულიყო ამ უცხო გარემოში რა უნდა მოემოქმედა.

იმის გამო, რაც ჩაიდინა, განსაკუთრებული პატივისცემის ღირსი კი იყო, ყვავილებით თუ არა, ორთქლავარდნილი ცხვრის კანჭით მაინც უნდა დახვედროდნენ, მაგრამ ვინ იცოდა, ანდა ვის აინტერესებდა მისი საქმენი საგმირონი.

შორიახლო, პურის საცხობთან სანაგვეს მიესეულ ძალლებს ვიღაც ჯოხით დაერია.

დაწიოკებული ფინიები უკან გამოცვივდნენ. მის დანახვაზე შეჯგუფდნენ, ცნობისმოყვარე თვალებით მიაჩერდნენ განსხვავებული აღნაგობის ქულას. მერე გაბედეს, მიუახლოვდნენ, ყნოსავდნენ, გარეშემო უვლიდნენ.

ფინიებს შორის მოქცეული დიდი წყალწყვის ხომალდივით დაიძრა და დანარჩენებიც აედევნენ.

მოედნიდან ვიწრო ქუჩაზე გავიდნენ. ქუჩისპირზე ჩარიგებული, განათებული ჯიხურები ამაოდ ელოდებოდნენ მუშტარს.

ერთ-ერთთან ორნი იდგნენ და ლუდს პირდაპირ ბოთლიდან სვამდნენ.

— ყველაფერს ეშველება და ამ ძალებს — არა! — ჩაილაპარაკა უკმაყოფილო გამყიდველმა, — შეხედეთ, ეს გო-ლიათი აქამდე არ მინახავს, ეტყობა ახალია!

ორივემ ერთდროულად მოხედა ქულას და მის გარეშემო აცმუკებულ მანანნალებს.

— ჰო, ახალია! — გვიან-გვიან გამოეპასუხა მარჯვნივ მდგომი.

ბოთლიანად მიუახლოვდა, ქულასთან დაცუცქდა და კარგად შეათვალიერა.

— რა იყო, ცუგა, რა დაგემართა, საიდან გადმოიხვეწე... ფარას მგლები ხომ არ დაეცნენ, მაგარი ნაომარი ჩანხარ... გშია? თან ამაყი ხარ და არ გინდა გაამუღავნო, არა?.. სიამაყე კარგია, მაგრამ ღირსება და ცარიელი კუჭი რომ ვერ რიგ-დებიან? ერთი ეგ ძეხვი ჩამოწყვიტე! — დაუძახა გამყიდველს.

— ძეხვი არა!.. მეცა მშია, მაგრამ ვის შევჩივლო!

— ჩამოწყვიტე-მეთქი!.. დაიკარგეთ აქედან! — დაუტია დანარჩენ მანანნალებს.

— მერე საფასურს ვინ გადამიხდის? — აჭაჭყანდა გამყიდველი.

— ვინ და მიქელგაბრიელი... მე, სხვა ვინ გადაგიხდის!

— ეს ლუდიც ნისიაზე მიგაქვს და... კარგი, რა მახო, მაგ მანანნალას თუ ძეხვი არ მიართვი...

— მანანნალა კი არა, შენზე და ჩემზე კეთილშობილია.

— აბა, რას ამბობ, ძალლი, კაცო?

— ჰო, ძალლი!.. ერთხელ მაინც, შენს თვალებში, ამისთანა ჭუკიანი გამოხედვა რომ დავიჭირო, მამაძალლი ვიყო, თუ მაგ ჯიხურის ნაცვლად, ძვირფას მარკეტში არ გამოგჭიმო!.. მოიტა-მეთქი!...

— მერე, როდის გადაიხდი?

— როცა მექნება!.. ხო იცი, ტყუილი არ ვიცი!

— ტყუილი არ იცი, მაგრამ არც იძლევი, და...

— კიდევ რამდენი დამრჩა?

— ოცდათხუთმეტი ლარი...

— ჰოდა, ეგეც მიაწერე, დალოცვილო!

— ნუ იცი ვირზე შეჯდომა, მახომ გითხრა, გააკეთე! — დაუტია ახლა მეორემ და კაუჭზე დაკონწიალებული ძეხვი თვითონ ჩამოწყვიტა, — ისე, რაც ჯიხური გახსენი, სულ ასე ჰქოდია და შეიძლება აწყინოს კიდეც, — ისიც ძალლთან დაცუცექდა.

— მაშინ ჯერ თვითონ გაასინჯე, — გაეცინა მახოს.

— მაშაყირებთ? — იწყინა გამყიდველმა.

— ჰო, ეგრეა... ცუგა, დანარჩენებს რომ არ ვაყურებინოთ, წამოდი ჩვენთან! — თავიანთი ლუდის ბოთლებიც წამოკრიფეს და ქულას წინ გაუძღვნენ.

— სად მიგყავს, მახო, მაგის შენახვა ადვილი გვონია? შენსავით „კილკასა“ და წინაკის წნილზე კი არ გადაივლის.

— შენ დარდი გაუშვი! — მიაძახა მახომ.

— მე კი გავუშვებ, მაგრამ... — გამყიდველმა თითო საფეხქელთან დაიტრიალა...

სადგურის მოედნიდან ყოფილ უნივერმალის შენობასთან ჩაუხვიეს, კიდევ უფრო ბნელი ქუჩით აღმართი აიარეს და ჩიხში შევიდნენ.

დაბალ, მესერშემორტყმულ ეზოში, ძველი, წაფერდებული ბელეტაჟისკენ რიყის ქვებიანი ბილიკი მიდიოდა.

ბელეტაჟამდე, ხელმარცხნივ, ხარახურით გამოტენილი ფარლალალა ფარდულიც იყო.

მიხომ კარში ჩატოვილი გასაღები გადაატრიალა.

— დაგრჩა, გასაღები?

— ვითომ არ იცი ეს სახლი რომ არ იკეტება... ასე იყო ჩემი მშობლების დროს, ასეა ახლაც...

— მაშინ სხვა დრო იყო, ძმაო, ახლა ხელი რომ დაგრჩეს გარეთ, იმ ხელს მოგაჭამენ.

— თუ მახოს გამძარცვავი ვინმე გამოჩნდება, ღმერთმა შეარგოს.

შუშაბანდში ჩამრთველს ხელი აჰკრა.

იქაურობა განათდა.

ხელმარცხნივ, უკანა ოთახში შესასვლელ კარამდე, ძველებური, კაკლის ხის ვებერთელა მაგიდა გახიდულიყო. კარს იქით ტახტზე, ლოგინი რომ აკოკოლავებულიყო, წესით მახოს უნდა სძინებოდა. ტახტს აქეთ — გაზქურა, კუთხეში ფერადი ტელევიზორი და იმის გვერდით „ზილის“ მარკის ხანდაზმული მაცივარი იდგა, რომელიც, დრო და დრო, ისე ამოიხვნებდა, თითქოს რაღაც უსიამოვნო ამბავი გაახსენდაო.

მახომ და მახოს სტუმარმა ბოთლები ხილის ნაფცქვენებიან მაგიდაზე დადგეს.

— ეხლავე, ძმაო ნიკოლოზ, ეტყობა უბნის შალმანის პურისმჭამელი ბიჭები იყვნენ... წავლენ და გადასაყრელად ნაგავს მე მიტოვებენ... — მაგიდა გადმოასუფთავა და ტაბურეტზე ჩამოდგმულ ემალის ქვაბს თავი ახადა, — პურისთ-

ვის ხელი არ უხლიათ... ლოთებს პური რად უნდათ!.. მთლად ახალი არ არის, მაგრამ ამბობენ, კუჭისთვის უკეთესიაო... ესეც ცოტა ყველი... ძეხვს დავჭრი... მგონი, ჩვენი ცუგა ცოტას მაინც გვიწილადებს!

— დაჯექი, არ გვინდა.

— თუ არ აითვისეს, აქშნაფსიც მეგულება, — გამოაღო მაცივრის კარი და დანაკლულებულ, მაღლა აწეულ ლიტრიანს სინათლეზე გახედა, — ბიჭებს დაულევიათ... უნამუსიათ და ნახევარზე მეტი დაუტოვიათ... ესეც დანა... ცუგა, სადა ხარ, შემოდი!

ქულა კართან იდგა.

მასპინძლის თხოვნაზე, შემოსვლის ნაცვლად უკან დაიხია.

— შემო-მეთქი!.. კეთილი იყოს შენი ფეხი!.. ჩემს ძმაკაცებს არ გავხარ? თავპირისმტვრევით სახლში მიცვივიან... ხე-დავ, როგორი მორიდებულია? წელან არ მიხუმრია, არაკაცი ვიყო, ამის კეთილშობილება თუ ჩვენი ქალაქის მოქალაქეების ოთხმოცდაათ პროცენტს ჰქონდეს.

— ოთხმოცდაათი ნამეტანია.

— ეგრეა და რა ვქნა! აქეთ მოპრძანდი, ცუგა!.. სახელის თქმა მაინც შეგეძლოს, — პური და ძეხვის ნაჭრები თეფშზე დაულაგა და შუშაბანდის კუთხეში დაუდგა.

ქულა შემოვიდა.

ჯამში წყალი რომ ჩაუსხა, სინათლეზე მერელა დააკვირდა.

— ნახე, სახე რა დღეში აქვს!

— ჟო, კანი აქვს ამძვრალი, — თავ-პირი დაუთვალიერა ნიკოლოზმაც.

ქულა აუჩქარებლად იღეჭებოდა, პირში გერმანული ნაგაზის სისხლის ამაზრზენი გემო თანდათან უქრებოდა.

— თავშესაფარში ხომ არ წავიყვანო, კარგი კინოლოგი გვყავს, მიხედავენ...

— აბა, აბა, საძალე არ გამაგონო!

— რა გინდა, რას ერჩი, ხომ ალარ ვხოცავთ, მიგვყავს, ვკურნავთ და ვპატრონობთ... აბა კარგი იყო, მთელი ქალაქი აკლებული რომ ჰქონდათ და თოფებით დასდევდნენ.

— მაგ გაპირადასტებულ საძალლეში რა უნდა... რაც მანდ ხდება, კიდევ თოფებით დევნა სჯობია.

— შენ თუ რამე აიხირე... კვებავენ, უვლიან...

— ყვერებს რომ აცლიან, ეგ არაფერი.

— აბა, როგორ გინდა, იმდენი ძალლია, თუ გამრავლდნენ, ქალაქს წალეკავენ.

— ვითომ კასტრაცია უკეთესია?

- გამოსავალია!
 - მერე, ქრისტიანული მორალი?
 - ერთი საწყალი ფიზიკოსი ვარ, რომელიც იძულებულია საძალლეში დამხმარე ფერშლად იმუშაოს, შიმშილით სული რომ არ ამოხდეს... მორალისას ვინ რას მეკითხება.
 - საქმეც მაგაშია, რომ არ გვეკითხებიან... ხვალ რომ ჩვენც დაგვკოდონ, ალბათ, აღარც ამაზე გაგვიჩნდება პროტესტის გრძნობა.
 - ალბათ...
 - მერე, ამიტომ ვიწვალეთ? ეს არის დემოკრატიის მონაპოვარი?
 - დამისხი, რა, ერთი ჭიქა და უნდა წავიდე, დილაზე ადრე ვარ ასადგომი.
- მახომ ბოთლს საცობი მოხსნა.
- არ დალევ?
 - არა, აწრიხევში ვიყავი და მამა პეტრეს პირობა მივეცი, ერთ თვეს მაინც სასმელს არ გავეკარები-მეთქი... წესით ლუდიც არ უნდა დამელია... ნახე, ჩაეძინა! — მიახედა ქულასკენ, ბოლომდე პური და ძეხვიც რომ არ მოეთავებინა, ბომბორა თავი წინგაშვერილ თათებზე ჩამოედო და თვალები მაგრად მოეხუჭა, დიდი, უმწეო ბავშვივით არის!.. მაცივარი ტელევიზორისკენ ,ოვნიოთ და ჭილოფს დავუფენ.
 - ქულას თავისი „კუთხე“ მოუწყვეს, ნიკოლოზმა ერთი ჭიქა გამოცალა და წამოდგა:
 - წავედი.
 - რადგან არ იშლი... ისე, კინოლოგს, ჩაძინებულ ძალლს დასაკოდად რომ დაუწვენთ, ნუ იფიქრებთ, რომ მაინცდა-მაინც დიდ სიკეთეს სჩადიხართ... მაგ საკითხზე არის განსხვავებული აზრიც...
 - ევროპელ მეგობრებს განსხვავებული აზრი ნაკლებად აინტერესებთ.
 - ჰოო, ეგ მინდოდა გეთქვა... ახლა თავისუფალი ხარ ჯარიდან! — დაარტყა მხარზე ხელი და კარისკენ უბიძგა.
 - შენს ადგილზე დალევას არ მოვეშვებოდი.
 - რატომ?
 - მაშინ უფრო საინტერესოდ აზროვნებ.
 - შეაყოლე, შეაყოლე!.. ისე, მართალი ხარ, თქვენი გაძლება ფხიზელს გამიჭირდება...
 - ქულა ძილში შფოთავდა, პატარა ფაჩუნზე წამოჯდებოდა, ყურმიგდებული გაისუსებოდა.
 - მახომიალებული ტახტიდან დაუყვავებდა ხოლმე და ქულაც მშვიდდებოდა, ისევ თავმიდებული გაინაბებოდა.

ჩაძინება მასპინძელსაც გაუჭირდა, მარტოხელა, ორმოც წელს გადაცილებული კაცი, კარგა ხანია „დოპინგის“ გარეშე ვეღარ იძინებდა. იფიქრა, ერთ ჭიქას ჩავცხებ და მოვისვენებო, მაგრამ მამა პეტრე დაუდგა თვალწინ და ცდუნებაზე უარი თქვა.

გამთენისას ჩათვლემილი გააღვიძეს კიდეც.

ეზოში ოთხი თვალებდასიებული უბნელი თანამეინახე იდგა.

შუშაბანდს ქულაც აებლოტა და იმანაც გახედა.

მახოს რაღაც გაახსენდა, ოთახში შევიდა, ძველი, დაფუთფუთებული ალბომი გადაფურცლა, ერთ-ერთი ამ ოთხთა-განის პასპორტის სურათი მოძებნა და შუშაბანდში, სკამზე გადაკიდებულ, გაცრეცილი პიჯაკის მარჯვენა ლაცკანზე ქინძისთავით მიამაგრა.

— რა მოკრძალებულები გამხდარხართ, აღარ შემოდიხართ?

— მერე ეგ თავბოხვერა არ გვიკენს? — ჰკითხა რობემ.

— მე თუ ვეტყვი — არა...

ფეხაკრეფით შემოლაგდნენ, მაგიდასთან ჩარიგდნენ.

— რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, როცა უჩემოდ შემოხვალთ და დალევთ, ნაგავს ნუ დატოვებთ-მეთქი... აქაურობა ბუზით იყო სავსე.

ეს ერთხელაც გვაპატიე, დავთვერით და დაგვრჩა, სხვამხრივ ხომ ყველაფერი წესრიგში იყოვო.

რაც მაცივარში დავტოვე დაგილევიათ და შეგიჭამიათ...

არაო, ეტყობა სხვებმა დაათოხლავეს, ჩვენ ჩვენი სასმელით და პურმარილით მოვედით, ბოლოს ცოტა არაყის ბოთლს მოვაკელით, საყოვლადნმინდაო აღარ დაგვრჩა და მაშ, რა გვექნაო.

— ახლა, ალბათ, რაც დატოვეთ იმის ასათვისებლად მობრძანდით!

— ომ, მახო, რა ხარ, რა ხარ, შენ ხომ ვერაფერს გამოგაპარებთ, მოხალისდნენ და მაცივარს მოწყურებული თვალები მიანათეს.

— ვიდრე გეგულებათ, ხომ არ მომასვენებთ, ბარემ გამოიღეთ და ჩაცეცხლეთ! — დართო ნება.

— ჯიგარი ხარ, მახო, დაგვცოფავ, გაგვთათხავ, მაგრამ გული აუნონავი ოქრო გაქ, — გახალისდა რობე.

არაყის ბოთლი შეაჯანჯლარა და სინათლეზე გახედა.

— არ გვეტყვი, გუშინ მთელი დღე სად დაგვეკარგე?

— საქმეზე ვიყავი, ერთ ტიპს ფული ჰქონდა ასაღები და იმის ამოსაღებად გავყევი გლდანში.

— კარგი ფოდრათი იყო?

- არა უშავს.
- შენი წილი?
- ხუთასი ლარი... კოსტუმის მარჯვენა გულისჯიბეში დევს.
- რობერ ჯიბე მოსინჯა.
- ვაჲ, აქ რომ არა ჩანს?
- სხვა ჯიბეებიც ნახე...
- ყველა ინტერესით მიაჩერდა.
- არც სხვაგან არის, მახოჯან...
- კარგად ნახე!
- აბა შენცა ხარ რა!.. მე და ჯიბეში ფულს ვერ მივაგნო?
- რა ვიცი, ალბათ, მატარებელში ვინმე შენნაირმა მაწაკმა ამომაცალა.
- მახოც იქნება ვინმეს ფული ამოაცლევინოს!.. კაცო, ვაი, ვაი, ვაი, — შუბლში ხელი შემოირტყა რობერ, — ეს ახალ-გაზრდა ვინ არის? — დააკვირდა ლაცანზე მიმაგრებულ სურათს.
- ახლობელია... გუშინ დავკრძალეთ!
- თბილისში?
- ჰო, თბილისში.
- მერე არ უნდა გეთქვა? წამოვიდოდით, დაგაფასებდით!
- არაყი ჩამოასხეს.
- აბა, ღმერთმა შეიწყალოს... რა ერქვა?
- რობერტი, რობე.
- ვაჲ, ჩემი სახელი რქმევია... აცხონოს ღმერთმა! — შუბლზე ხელმეორედ გაიწკაპუნა აცახცახებული თითები და ჭიქა ყელში გადაუშვა, — ეგ ცუდი ამბავი მომხდარა... გუშინწინ რატომ არაფერი გვითხარი-მეთქი.
- მაშინ ცოცხალი იყო.
- როგორ, ასე მალე დამარხეს?
- ეგრე მოითხოვა საჭიროებამ.
- აფსუს... რა დაემართა, სვამდა? — ცერი ამოისვა უპესთან.
- არა, წვეთს არ იკარებდა.

აბა, რამ მოკლაო, ოთხივემ ისეთი გაოცებით გაშალეს ხელები, თითქოს მარტო დალევის გამო იხოცებოდნენ ადამიანები და მერე ერთხმად ყველა არამსმელს ნიშნი მოუგეს, ხომ შეუდგა თქვენ მცდარ თეორიას წყალი, ყველაფერი ისე ხდება, როგორც დაბადებისთანავე უფალი დაგანერს შუბლზეო.

— ჩვენ ეტყობა არტოს გამოხდილი ლარიანი არაყით სიკვდილი დაგვანერაო, — თქვა ერთმა.

— აბა, აბა, ეგ არაკაცი ნამდვილად კარბიდზე აყენებს... ისე, მაინც გამოვიხედე თვალებში, — რაფაზე მიყუდებულ სარკეს ჩახედა რობემ, — აპა, ამ ერთსაც დავახურდავებ და გავიმართები წელში... ჰო, ჰო, გააცოცხლა ჯიგარი, ბიჭები... ერთი აქეთ მოიწი, — სთხოვა პიჯაკმოსხმულ მახოს, — კარგად დავაკვირდე... მაშ რობერტი ერქვა, არა, მამის სახელიც ჩემი ხო არ ჰქონდა?.. ეე, ვერან, ვინ შენი ახლობელია... **ΤΥΠΤΟ**, იბიონამატ, ეგ ხო მე ვარ!

— საიდან, შენ ცოცხალი ხარ, ეს კიდევ...

— ახლა აჩმახებ! — ჩაილაპარაკა ნაწყენმა და ისევ დააკვირდა, — ნამდვილად ჩემი ფოტოა, — ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, ჯეელობაში მეტრიკისთვის თუ რაღაც ჯანდაბისთვის გადამაღებინეს, — კიდევ კარგად დააკვირდა, — რა დრო გასულა, პროშლი ვეკ!.. სად ნახე, მომეცი, შევინახო, როცა დავიბრიდები, უნდა დავიბარო, ეს სურათი გაადიდონ, კარგად გამოვიყურები!

— მაშინ სვამდი?

— მაშინ ვეწეოდი!

— პლანსაც?

— პლანს — არა, პაპიროსი კი... დავიბადე თუ არა, აკუშერკამ მაშინვე „კურორტნი“ მგლიჯა ტუჩებში.

წასასვლელად წამოიშალნენ.

ქულა კარის ზღურბლთან უკანა ფეხებში ჩაჯდა, მთელი გასასვლელი ჩაფარა და სტუმრების მსვლელობა გამაფრთხილებელი ყეფით შეაჩერა, თან მასპინძელს გახედა, თვალებით „ჰკითხა“, როგორ მოვიქცეო.

აქედან გარეთ რომ არ გვიშვებს, მეცხვარის ნაგაზია თუ სამთავიანი ცერბერიო, ერთმანეთს მიაწყდნენ დამფრთხალი სტუმრები და მახომ ქულას უთხრა, ამათ ისეთი ცოდნა გამოამჟღავნეს, რომ უნდა გაატაროო.

ქულა მორჩილად გვერდზე გადგა.

ცირა ყურაბვილი



სახვეველი

(ნოველების კრებულიდან — „უამსა თამაშობისასა“)

ი, ქალი, — ამბობს ბიძინა მეფუტკრე, ხბოშუბლას ხვიარებით შემოგარსულ ჭიშკართან შეყოვნებულ ქალებთან. დედა იცინის. ემალის ჩაიდნის ცხვირზე ჩამოცმულ ალუმინის ჭიქაში, რომელიც უფრო მამაკაცის წვერსაპარსი ფუნჯის ასაქაფებელს ჰგავს, წყაროს წყალს ასხამს და ქალებს აწვდის, თან რაღაცას ეუბნება ხალისიანი, მკვეთრად მელოდიური ხმით. ეს სიმკვეთრე აქამომდე მაცბუნებს და ვერაფრით შევეჩვიე. ნახევრად სველი კაბა აცვია, ჭალის ბილიკებზე დამწდარი. ოქტომბრის 22 დგას. ჩვენ ცხელ ასფალტზე მზეში გამომშრალტარიან და აფურფუტებულ სახოპავ ბადეს და თევზიან ტომსიკას მივაცანცალებთ ფეხშიშველნი.

ტომსიკით კალმახი მიგვაქვს. დედამ დაიჭირა, ნახეთ როგორ: სათავიდან დაუყვა ჩქერში თევზაობით; ჩვენც უკან მივდევთ ხუთნი. თვითონ გამართული, ჩქერში დაღმა წინწინ მიინევს, თან ოთკუთხა სახოპავ ბადეს უსვამს. ჩვენ უკან მივყვებით, ალოპიანებულ ლიპებზე ფეხი გვიცურდება, ნიკაპამდე წყალში ჩახრილებს დედის სველი

კაბის ბოლოებთან სრიალა ხავსებით, წვრილ-წვრილი ნიუარებით და გვერდელა ღორტავებით, ჩვენ რომ ღორტაფებს ვეძახით. დაფარული ქვები ხელიდან გვისხლტება. ქვებს ადგილს ვუნაცვლებთ, წყობას ვუცვლით, ამას „ქვების ან-გრევას“ ვეძახით. სიცივეში ფეხის თითებმა მოულოდნელი დაკრუნჩხვაც იცის, აქ ხომ გვერდიგვერდ სამი ყინულივით ცივი წყარო ჩამოედინება, თუმცა ოქტომბერია, უნდა შეთბეს, მაინც ყინულივითაა. ამ ელვისებური დაკრუნჩხვის არ გვეშინია, მიჩვეულნი ვართ, ფეხის თითები თავისით აიშვებს. დედა თვითონაც ანგრევს და შლის სილა-ქვის წყობას, რა-საც ხან ერთი ფეხით მისწვდება, ხან – მეორით და მოულოდნელად კალმახს ამოზიდავს ბადით. უსწრაფესად აიჭრება ბადეზე დიდი თევზი და მისი წითელი წინწკლები ჩვენს განცვიფრებულ თვალებში გამოცეცხლილ ნაპერწკლებს გაე-თამაშება. ავარდება და ისევ სახოპავს დაასკდება, ისევ ავარდება და ბადის ხავსისფრად გახუნებულ ქსელს დაეხეთქე-ბა. ეს არის მდინარის „მხეცის“ თავგანწირული კვეთება გადარჩენისთვის. გული ამოგვივარდება შიშით, ეს ათასგან დაკერებული და მაინც უამრავგან გახვრეტილდაძონდილი ბადე არ გაგლიჯოს და ისევ ჩქერს არ მისცეს თავი. მერე ვის-წავლით, ბიჭები ისწავლიან თევზის სხვაგვარ დაუფლებასაც, ნაპირზე ისვრი, მოწყვეტით დააგდებ და დაარეტიანებ... და ვითომ თევზის დარეტიანება გოგოს საქმე არ იყოს... და აი, დედას ცალი ხელით ბადის ტარი მაღლა უჭირავს, რო-გორც დროშის ჯვარედინად მოხრილი ტარი, მეორე ხელით ქვემოდან მიუწყვდევია ჩამოზნექილი ბადის ხავსისფერ ქსელში გახვეული წითელხალება დიდი თევზი როგორც დროშის კუდი – ჩვენი ხტომაა და სიხარულია? ენით უთქმელი!

მერე ამ სახოპავ ბადეს, ანთუ საბას თქმით, სახვეპელს მზის გულზე მივაგდებთ და სასადილო მაგიდას მოუთმენლად მივესევით დედის ხელებს მიდარაჯებული თვალებით. ონკანიდან წყალი თქრიალით გადასდის დედის ხელის მტევნებს, წველა ყველს და ჩვენი ნაკვეთის შეწითლებულ პომიდვრებს. კალმახს ვინ მოუცდის, ბავშვები ვართ, უგნურები და ჯერ თევზის ჭამა არ გვიხარია.

დედა იმ სალამოს თავისი ფეხით წავა საავადმყოფოში, უფულოდ, ერთი კილომეტრის მოშორებით და იმშობიარებს ისე, როგორც ითევზავა, როგორც მორჩიავს და აკრავს, როგორც მღერის თავისი მკვეთრად მუსიკალური ხმით, რო-გორც ლექსებს უთეთორებს დიდ, მუყაოსყდიან რვეულში მამაჩემს, როგორც აიძულებს ძე ღმერთს, გაშალოს თავისი დალურსმნულმტევნებიანი მკლავები და მაღლიდან აკურთხოს ჩვენი ბავშვური ტერფებით გადატკეპნილი და ამით გადახრიოკებული ეზო, რომელზეც კოლინდარმა ფესვი ვერაფრით მოიდგა.

- აი, ქალი! – მერამდენედ იტყვის ბიძინა მეფუტკრე, ხბოშუბლას მოიისფრო მტევნებით დაძანძულ თავის ჭიშკართან.
- აბა, თქვენ ხართ ქალები, ერთი შვილი ძლივს გაგიჩენიათ?

ეროდი და დიანოსი

ეროდი და დიანოსი – ასე უწოდებს დედა, როგორც ადრე გაუგონია, როგორც ეძახდნენ ალბათ ძველად. არც იროდი-ონი ან ჰეროდე, არც დიონისე ან რა ვიცი... ასე: ეროდი და დიანოსი. ჩამოსულა რაჭიდან სესიკა ჭელიძე, მწარე მუშა, როგორც დღესაც ეძახიან მიწის მოყვარულ, მოჭირნახულე მუშაკს. დასახლებულა ქუთაისის მაზრაში, ბალდათის საბოქაულო ცენტრში, საირმისაკენ მიმავალი გზის სიახლოვეს. მაშინ მთელი ეს ზედა მხარე გოგოძეებისა ყოფილა, ქვედა მხარე კოპაძეებისა. თავისი შრომით და ოფლით სესიკას შეუსყიდია მიწები გოგოძეებისგან, ცოლად შეურთავს თავად დგებუაძის ქალი და დაუსახლებია ამ მიწებზე ორი ვაჟიშვილი – ეროდი და დიანოსი. ეროდის ჯერჯერობით ნუ მოვიხსენიებთ, დაე, მისმა დამაშვრალმა სხეულმა წყნარად განისვენოს ჩვენი წაბლარა ყანის თავზე გაშლილ სა-საფლაოზე, ხოლო სულმა კეთილად იმოგზაუროს ნათლის სამეუფოში. დიანოსი მოვიხსენიოთ. ისიც არ გამოაკლდეს კურთხეულ ნათელს! ამ დიანოს ეყოლა შვილები: სილიონი, სიმონი, სამსონი, მიხაკო, აბესალო და დები მათი (დები ასე, უსახელოდ). სილიონს ეყოლა ოლდა. ოლდას ეყოლა თინა, სოსო, მაჩანია, პავლე და მარო. ვეფხვაძეები. პავლეს ეყოლა სოსო, ამირანი და დავითი. სამსონს ეყოლა ლევანი, ვარლამი, გიგლა და სონია. აბესალოს ეყოლა ნინა, ანიკო, თამარი, დავითი, ნიკოლოზი და სერიოზა. მიხაკოს ეყოლა მარუსია, თინა, ბიჭიკო და ოთარი. სიმონს ეყოლა ელენე, ვასილი, ივანიკა (გარდაიცვალა ოთხი-ხუთი წლისა) და პავლე, რომელსაც ეყოლა დედაჩემი; წავიდა ომში, დაიკარგა. დაკარგულიც არ ეთქმის, ამაზე სხვა დროს. და ამიტომ დედა უმადლის სესიკა ჭელიძეს, რომ ჩამოვიდა რაჭიდან ამ ბალნარ ადგილას, დაესახლა, იშრომა, აქვე გააჩინა ვაჟები: ეროდი და დიანოსი, რომლის ერთ შტოსაც – დიანოსისას ჩამოჰყვა თვითონ (დედაჩემი) და აქვე გვშვა ჩვენც. ჩვენს სახლს ზემოთ მარაოსავით იშლება ჭელიძეების ეზო-კარმიდამოები.

– ვარლაამ, ვარლაამ! – ეს დედაჩემია. ისე მკაფიოდ ისმის მისი ხმა ორლობიდან, ჩვენი სახლის მოშორებით, თითქოს ეზოდან იძახდეს.

– შედი, გოგო, შედი, ზედ, ოლონდ არაფერი მოიწიო, – პასუხობს ვარლამ ბიძია დედაჩემს.

მისია გვერდნითელი მსხლის ხე, რომელიც ეზოს ქვემოთ, ორლობებში უდგას. თიბათვის ბოლოს, ქველთობისას ჩატყ-ბება მისი წვენით სავსე, დიდრონი, ყვითელი და გვერდებშენითლებული ნაყოფი. ჩვენ, პატარებს, ხილი-ხმილი-ტკბილი გვაკლია. ეზოს

გვერდით მხოლოდ მცირე ყანა-ვენახი გვაქვს. ზაფხულის ხვატში წყნარად ირხევა სიმინდის ყვავილ-ქოჩოჩი, ყურძე-ნიც შეთვალულია, კიტრებიც არის ხარდნებზე აკრულ-მიკუნტულები, მხოლოდ ხეხილი არ გვაქვს, ხილი-ტკბილიც ხომ გვინდა? და დასტაცებს დედა ხელს ემალის ძრომოუანგულ ლაგვინს, მისი სახელურის ღრჭიალ-ღრჭიალით გადავა ორ-ლობები. მაშინ არ იტყვის და რომც თქვას, რას გავიგებთ, – პატარები ვართ?! გულისკანკალით გავა გვერდნითელი მსხლის ტოტებზე, მსხმოიარე ხის კენწეროში მოექცევა. იქვე, მის თავზე, მაღალი ძაბვის სადენიც გადის, ამიტომ

ხეს არავინ არ ეკარება, ვარლამ ბიძია დარში ჩამოცვენილ ნაყოფს მობოჭავს, სხვა ვინ გაბედავს თავზე ხელი აიღოს და ხეზე ავიდეს? ეს ძაბვა კიდეც გაახმობს ხეს სულ ცოტა ხანში, მოჭრიან, ცეცხლს შეუკეთებენ. ახლა კი ქარი არხევს გვერდწითელ მსხლის ხეს, შრიალებს და ჭრიალებს ხე, დედა საჩქაროდ სწვდება ყვითელ ნაყოფს, ხორცო ცვარი ასხამს, საჩქაროდ ყრის ემალის ლაგვინში. ფეხქვეშ ტკაცუნით ტყდება წკირები, ქარი არხევს მაღალი ძაბვის სადენსაც და აპა, უნდა შეეხოს ხის ტოტს და დედა ასწრებს ქარს ჩამოკრეფას, ასწრებს შიშს, სახელოთი ხვითქის მოწმენდას, ასწრებს ჩამოსვლას, ჩვენზე ზრუნვას, ასწრებს სიცოცხლეს. ასწრებს პატარა, სულ პატარა, შვიდი-რვა წლისა, ავადმყოფ და მშიერ დედას ღამის ბნელში, კოპაძეების ვამლის ხეზე გულისკანკალით დაუკრიფოს მკვახე ნაყოფი და შინ ფრთასხმული გამოექანოს, რომ გადარჩა, რომ ვერავინ დაინახა, ვერ მოჰკრა თვალი. ასწრებს ფრანგული ენის გერმანელ მასწავლებელს, ვერა ჰელცმანს, ანბანის საჩვენებელი ჯოხი – თითა მწარედ ჩაარტყმევინოს თავში, რადგან უპატრონოა, სუსტია და სწავლაშია ჩამორჩენილი. ასწრებს მშიერს გული შეუწუხდეს და გადაიქცეს ზევით, სამსონ ჭელიძისას, მანიჯარ ბებიას მაგიდის ფეხებთან, სადაც ისედაც ათევს ღამეს, რადგან დედამისი, იგივ ჩემი ბებია. ზუგდიდის ბაზარს არის წასული სიმინდის ტარანზე გასაცვლელად და როგორ დატოვა ასე პატარა, ასე უმწეო როგორ დატოვა?! და ის მაინც ასწრებს სიცოცხლეს, რადგან ცხოვრება განა მარტო საწუხარია, ის მანიჯარის დიდი მჭადიდან მოტეხილი ტკბილი და მაღლიანი ნატეხიც არის! კი, ვაიეთიც აქ არის და თავს დაჰყურებს ვაიეთის მთა, მაგრამ აქვეა თენებოურის მთაც და თენდება სახალისოდ, ხალისიანად და ახლო-მახლოც სიხალისოურს ეძახდნენ საყდარს, ესახლებოდა როცა სესიკა, მერე ეროდი და დიანოსი. ჭელიძე-ჭელტვაც – ესე არს კაცი, რა საქმესა ხალისიან, ზედიზედ იქმდეს. გინა ესრეთვე ალერსით შეაყუაროს თავი თვისი უაღრესსთა და ზედაზედ იახლოს (საბა) და მიჭელტვაც ეს არის ალბათ, ჭელიძესთან ყოფნა მოგანდომოს. და შენ, მკითხველო, გუნებაში რომ გაგელიმა წმიდა ოთხთავის მსგავს დასაწყისზე და რომ ელოდი ამ ურიცხვი სახელებიდან ორ ხასიათს გამოვდერწავდი – ეროდისას და დიანოსის. და რომ გვონია, ხასიათი თუ არ გამოკვეთე, ცოტას ნიშნავს გახსენება მართალ კაცების. შენ რას დაეძებ, თავს მიიბრუნებ, როცა სულს მომთხოვს მოგონილი ხასიათები და ყველა სიტყვა, რაც არ იყო პო, პო და არა. და შენ არ იცი, ამ მონათხობში როგორ ვიშვები ხელახალი და ვიბადები და არც ის იცი, თანალმობის სევდა შენც რომ გამკობს, შენც რომ გშვენის ჩემო მკითხველო.

სურათები

წითლად ანათებს ნათურა. ეს ძველი ფოტოფარანია. წითელი ნაჭრით ჩამოვბურეთ. ახლა უანგით ამოჭმული ნაწილურებიდან ნათურის სპექტრი ვეღარ გამოკვესავს, ვერ გადაურბენს ფირებს, ფოტოქაღალდებს. ვერც მამა-შვილის ხასიათს წაახდენს. გრილია გასამუღავნებელი ხსნარის მომჟავო სუნით გაჟღენთილი პატარა სარდაფი. ახალი ფოტოქაღალდების შეკვრას გამადიდებლის სადგარსა და მაგიდის ზედაპირს შორის ვაცურებთ – გარედან უნებართვოდ

შემოქრილი სხივებისგან ვიცავთ. მკერდითაც ვეფარებით, ვიცავთ სიცოცხლეს; ის აქ, ამ პლასტმასის ჯამებში უნდა ჩაისახოს. ეს გაწყობილობა ამ ცოტა ხნის წინ ერთად გავმართეთ, მამამ დინჯად, მე აჩქარებით და სულმოუთქმელად. უკან მამის ძველპალტონამოსხმული სარდაფის კარია, ოღროჩოლრო თაღით, მკილისგან სანახვროდ დაფქვილი. სარდაფის ჭერი, იგივ სასტუმრო ოთახის იატაკიც მკილისგან არის დაფქვილი. ყვითელი „ფქვილი“ ციურ მანანასავით გვეფრქვევა თავს, ეს – იატაკზე თაგვებივით ცქრიალით გადაირბინეს ჩემი პატარა ძმების ფეხებმა. დირესა და დირეს შუა ნამგლის პირია შეცურებული. იატაკის რყევაზე ნამგლის ტარი მოზიდულივით ქანაობს. ქანაობს სამჭედურებიც, იგივ წილკავები, ისინი დირესა და დირეს შუა არიან გაჩრილები. ღორჯოზე სათევზაო კავი თხილის ტოტისგანაა, ტაფელაზე და ქაშაპზე – ლერნმისა და ბამბუკისა. მათ ჩვენ თავზემოთ ძუაზე გამობმული ნაღვინარი ბოთლის ყელიდან ამოგდებული კორპისგან გათლილი ტივტივები, ტყვიის ბურთულა საძირავები და ნემსკავები უკონნიალებთ. არ ვიფრთხილებთ და, თმებში შეიძლება გაგვებურდოს. ამ ნემსკავებს საბა ანკასებს უნდოდებს, ანკასები კი ანკესებია. წილკავები მათი ტარია. სამჭედურია მთელი ეს ასხმულგამართულობა. სარდაფში მიწა მოტკეპნილია. აღმოსავლეთის კედელთან ტყემლით და საწებლით სავსე ბოთლებია წაფერდებული. მიწის სიგრილე ასე უკეთ მოიცავთ. იქვე კომპოტებით მუცელგამოვსილი, თუნუქის სახურავებით დაბეჭდილი მიწის დერგებია. აქაც სიფრთხილეა საჭირო, შეიძლება უნებურად ფეხი გაპკრა – გაბზარო. ბოკა სკამებზე ვსხედვართ. ტანდაპალ მაგიდასთან ფოტოგამადიდებლის თაღი კეფებს გვითვალიერებს, სადგარზე გაფენილ თეთრ ფურცელზე გამოსახულ ნეგატივებს შევხარით. ფირები პატარა, შავი პლასტმასის კასრუკებში გვაქვს ჩახვეული. გამადიდებლის რენტგენგავლილი ფოტოქაღალდები გასამუღავნებელი ხსნარით სანახვროდ დაფარულ პლასტმასის ჯამებშია ჩაცურებული. დავხედავთ – შევაჯანჯღარებთ. დროდადრო პინცეტითაც ამოვწევთ ქაღალდის სველ, პანია კუთხეს და ჰო, ღმერთო, მაღალო! ამ დროს ამონივერება მკრთალად, მსუბუქად, სახე-გამოსახულებად და შევცქერით რა სიხარულით, როგორ ამოდის, როგორ ივსება, რა სრული და გამოხატული ხდება. ჩვენზე სამჯერ მეტად თუ ხარობდა მამა ამ სახეების ბუნებითი გამოკვეთისას. პალტომოხურულ კარს მიღმა სხვა სიცოცხლეა, ზაფხულის ხვატში დედა ჭყინტი სიმინდის ტაროებს არჩევს, მწვანე ფუჩეჩს ფხრინინით აცლის, ჩემი და-ძმები თამაშობენ წყნარად და აუმღვრევლად, ჭრიჭინები რიტმულად და გამოზომილად აჭრაჭუნებენ ფრთებს. მე და მამა კი ვსხედვართ გრილ სარდაფში, ჩემი დის წითელი სატინის პერანგით დაბურული ფარნის შუეზე, დავცქერით ოთხეუთხა, პარალელურად ამობურთული ხაზებით დანაოჭებულ პლასტმასის დიდ ჯამებს და ვხარობთ. უძირო ჭიდან ამოდიან ნაცნობი და საყვარელი სახეები. მე ვფიქრობ ამ სახეებზე ფაქიზად. აქ ორნი ვართ. მოძღვარი და მოწაფე, ოსტატი და შეგირდი, დინჯი და სულმოუთქმელი, მამაჩემი და მე. აქ ჩვენით იბადება სიცოცხლე.

უჯრულა თავშალი

დაგვხვდა სიბერემოვლილი მამიდა გადაპრიალებული სახის კანით, ცისფრად მოჟუჟუნე თვალებით, სუფთა და კრიალა ხელ-ფეხის ფრჩხილებით. ეგ იყო მხოლოდ, თითქმის ყველაფერი დავიწყნოდა თავის ცხოვრებიდან. რომ მეკითხა, იქნებ გახსენებოდა კიდეც – უბელო ცხენს რომ აჭენებდა სიყმანვილისას და ეს ამბავი უანგმოკიდებულ საკეტებსაც გაუღებდა ბავშვობის სხვა მოგონებებსაც. აი, ზეკრის გოგირდის აბანოები, კვერცხისგულისუნიანი აბაზანებით, გოგირდოვანი წყლების ჩატუნით, აბაზანაში ნეტარ გალალალებით, უცაბედი ელდით – ორთქლიანი ნაკადის ნჩერევა აბაზანაში შემოგლინავს უხსენებელთა. მიგრებ-მოგრეხა მათი, კლაკვნა, ანდა ლივლივი თან გადაჟყვება ნაკადს ქალთა ნაპან-მწიკულში. აბანოს თავზედ წამოდგმული ხის სასტუმრო, ხის იატაკით, ხის კედლებით, სახურავი – კეცის ლორფინის, აყალო მინისფრად გახუნებულ, მიჯრით მიწყობილ კრამიტებისა. გადასავლელი იქვე ბოგირზე, ლაშურას თავზე, მერე საცალფეხო გზა, თუ ბილიკი, შეღმართი, ფიჭვის კორომი სისვისფერი ბუმბლით მოსილი. კრიალა ცა, ფიჭვების სუნთქვა, წაბლი და ძელქვა, განთიადის იალეკიალი, მაჩქათელებით მფეთქავი და ტოტიდან ტოტზე მხტომიალა თრითინების ფუმფულა კუდით ატაცებული. ფერდზე ქოხოლა, მათი ქოხოლა, თუ ქოხირა, ქოზე უფრო ღარიბული რაღა იქნება. ქვემოთ, დაბლობში, კაკლის ხეები, ღელე ლაშურა, შექრის ხეებით ჩაკარგული, გადაფარული. ამ ღელეში თავს იხრჩობდა ბებიაჩემი. აქვე, ლაშურას მეორე მხარეს წყარო ბაბუაჩემ მალაქიასი, ასეც იყო ამოკვეთილი, სანამ ლაშურა გადაშლიდა მკლავთა გადასმით. – „მალაქიას წყარო“, „წყარო მალაქიასი“. შემორჩებოდა გარეშემოს „მალაქიას ნაყანები“, „მალაქიას ნიგვზები“, „მალაქიას ხეხილი“, პიტუნი, თუ პიტუნი, პიტო ხე და ახალნერგი, აპიტონიკებდა, რგავდა, გადარგავდა, უფრო სწორად, სხვისაში რგავდა სხვისთვის, რგავდა, ტოვებდა, იძენდა – ფანტავდა, პოულობდა – კარგავდა, საკუთარი საზოგადო ეგონა, ბაბუაჩემ მალაქიას, ნიადაგ ბახუსს შეთამაშებულს – საზოგადო კი ისეც საზოგადო იყო. აი, ბებიაჩემი ლაბანია – აქეთ, ოჯინჯარზე დაკიდებულ ქვაბთან მოტრიალე, იქით მაგრობალი დედლებით გარსმოხვეული ჯიჯლაყას, ქათანაცერას, სუქანას, თუ მოლოქას მხალს კეპავს ხის მოზრდილ გობზე. თუ ოჯახისთვის, თუ დამსვენებელთა პირის გემოსთვის გახურებულ კეცებზე დაყრილ მუგუზლებზე თვალებამომწვარი. ახლაც თავს გადასდებს და დამსვენებელთა მჭადების ცხობით ფულს შეამატებს თავის ზანდუქს, წითლებს, თუმნიანებს. ახალი სახლი უნდა ბებოს, აღარ უნდა ძველი ქოხირა. ამის მერეა, ლაშურას რომ მიაშურებს, მიექანება. რა ერქვა იმ კაცს? ვისზეც ეჭვობსმერე ბებია, დირექტორი და დიდკაცი იქაურობის, ვთქვათ, თვითონ ის არ შეპარულა იმ ქოხირაში ბებოს ფულისთვის, ცოტაა განა, ვინც მონუსხა დიდკაცის სიტყვამ და სხვისი ცოდვით სული დაუწვა? თავს იხრჩობდა ლაშურაში, რას დაიხრჩობდა, ზაფხულში კოჭზე თუ შემოგწვდება. გაზაფხული თუ იყო მაშინ, აბომბორებულს, აბორგებულს გამოსტაცეს ბებიაჩემი. და მერეუსამართლო სასამართლო, მეთაკილე მოსამართლით, თანამშრომლებით, რას იპოვიდა იქ სამართალს მართალი ქალი? მხოლოდ ზეცაა, ჩვენი კოშკი სადაც იდგმება. და აი, მამა, პატარა, სახემოთხუპნული, შავთვალა ბიჭი, აბანოს სარკმელს აბლოტებული, მოჭვრიტინე ცხელი წყლის ორთქლში გახვეული დედაკაცე-

ბის. აი, მამიდაც, მაღალი და ჭრელთვალა გოგო, მკერდზე ნაწნავით, მუქარანარევ დაძახილით: „ძირს ჩამოდი, ბიჭო, გუჯია!“ და მერე მისი მონაყოლი: „ვერ ჩამოვსხი, აბანოის კარნიზს ვერ ჩამოვფხიკე გუჯიე!“ და იქნებ დედას ეძებდა ბავშვი, ბებიაჩემი ლაპანიაც მოიცლიდა, თბილ აბაზანას მიაკითხავდა. არც მას აწყენდა გოგირდოვან წყალში ქანება, დამსვენებელთა მჭადების ცხობას სიცოცხლეს ხომ არ ანაცვალებდა? ზეკრის ცხოვრება, აბანოების კვერცხის-გულისსუნიანი წყლების ჩქაფუნში, წიფლისების, ფიჭვების და ნიგვზების სუნში. ხმელ შამბკაჭაჭში, თუ კაჭახუნში. თბილად ჩაცმულ, ნებიერად მოსეირნე დამსვენებლებთან, ფიჭვის ხეებქვეშ „ჩაკარტიჩების“ მსურველთათვის ერთი „აბრაშკა ფოტოგრაფი“ ხომ აქაცა ჰყავთ, გრძელფეხებიან, ბორდოს30 ფერ პლუშით მოფუთვნილ ყუთში თავშერგული, რომ თითო ჩიტი გამოუფრინოს. და პარჭუკებით მოფუთფუთე დამსვენებლებთან, ცეცხლზე შეხუნხვლულ ხორცის სუნში, ირგვლივ გაფანტულ, კეცზე დამწვარ წაბლისა და ნიგვზის ნეშმი, ვინ და საიდან არ იყრიდა თავს გოგირდის აბანოებზე და ინტერესსაც რა გამოლევდა მათდამი მკვიდრი გოგონას მიერ! დაბადებული აბანოებთან, გათხოვილი იქვე, მაღალმთიან სოფელში, როცა ჩვენსას ჩამოვიდოდა, მთის მკაცრ ცხოვრებას დაგვიხატავდა, კლდის ტინებიდან როგორ ცვიოდა, იჩეხებოდა ხეობაში მათი ხარ-ძროხა. აქედან მახსოვს სიტყვა – „ზარალი“ და მერე ჩვენს წარმოსახვებში, დალრღნილ კლდებზე, კლდებანარაზე თუ კოლოფებზე (ამ მხარეში ხომ კლდოვან მთას კოლოფიასაც უწოდებენ) დაბაკუნობდნენ მისი თხები კუნტრუშ-იბეკით და სასანაულით მაინც კოლოფებზე რჩებოდნენ, მსხვილფეხა კი ღრეში ცვიოდა. მიკითხვ-მოკითხვის, ბარგის ამოლაგების შემდეგ მამიდას ყველანი აბანოში მივყავდით. უგოგირდო აბანოში. და ეს „აბანო“ ბავშვის ისეთ მონინებულ გრძნობას აღძრავდა, როგორც „კანტორა“, ანდა სიტყვა „კოპერატივი“. იქ, ვინრო, მაღალ, ორთქლით დანამულ კარადებქვეშ ქოშები ეწყო, სააბანოვე ხის ქოშები, აქა-იქ ზონარანყვეტილიც, უნდა გეპოვნა საღი ქოში, სიხარულით აღმოგეჩინა, რომ საზოგადო აბანოს ნამდვილ წევრად გეგულვა თავი და დამტკბარიყავ იმ სურნელით, აქაფებულ მარწყვის საპონს რომ სდიოდა მამიდის ხელში და წლების მერე აღმოგეჩინა, მეზობელი ქალიშვილის ხელში დანახულ პაწია ბალიშს (ის არ ისვამდა მარწყვის საპონს, ბალიშს ხვრეტდა და გამოწურულ სურნელოვან, აქაფებულ სითხეს თავზე ისხამდა?!!) ერქვა საუცხოო სიტყვა „შამპუნი“. დაგხსომებოდა იმ თაღებში საუბრის ექო, ცხელი წყლის ორთქლში მკრთალად მჩანი თეთრი ქალები. რომ ვბრუნდებოდით აბანოდან წითელ ლოყებით და მის შავწითელმწვანე თავშალს ქარი არხევდა, ვხვდებოდი, აბანო იყო ბევრად მეტი მამიდასათვის, ვიდრე უბრალოდ ტანის დაბანა. ასე იყო მთელი ბავშვობა. კიდეც გაშლიდა თავის რვეულებს, დედას მისცემდა – ეს ცოცორების წააკითხეოდა და ვკითხულობდი მამიდის ნაჯაფ თითებით შექმნილ მიამიტობას. მას ხომ უფრო მეტი უნდოდა, ვიდრე ხვნა, თესვა, მთის სოფელში ძროხების მწყემსვა. და გავაგრძელებ: „თბილი წინდები, სვიტრი ვუყიდოთ, მოვინახულოთ, აპა, ფული, კიდევ რა უყვარს მამიდას, თუ გაიხსენებ?“ – მითხრა ჩემმა ძმამ. ღამდებოდა, როცა „ცივები“ ავიარეთ. დათოვლილი იყო გზა, ხოლო ის ადგილი, რომლისთვისაც „ცივები“ შეერქმია მთის სოფლის მოსახლეობას, მოყინული. ხეობაში მდინარე ხანისწყალი მოსჩერეფდა. ძველ მანქანაში ბენზინის მძაფრი სუნი იდგა, მთის სოფლის გზებზე საჯაყჯაყოდ მართლაც გამძლე ავტომობილი გვექირავა. საბარგულში ტომარა ფქვილი, ზეთიანი ბიდონები, მაკარონები და ვერ-

მიშელი, შაქარი და ტკბილეული, თბილი ჩასაცმელი გველაგა. მამიდის მოსანახულებლად ხელდამშვენებული მივდიოდით. ვფიქრობდით, ასე ერთჯერადად გადაგვეხადა სიკეთე ჩვენი ბავშვობის იმ უთვალავი დღეებისათვის, როცა მამიდა მტვრიან შარაზე ჯაყჯაყა ავტობუსიდან ჩვენთვის ბარგს ჩამოდგამდა. ამ ბარგს ჭიშკრიდან სახლამდე ნელ-ნელა აკლდებოდა სიმძიმე: ტყის შავ, თუ მაზუთნასმით საგანგებოდ გაშავებულ გოჭს საღორეში უთავისუფლდებოდა ადგილი, აკრიახებულ, ფეხებგაკრულ ქათმებს საქათმეში. კვახებიანი ტომარა სარდაფში რჩებოდა, დანარჩენ ბარგს – პარკი ლობიოს, ხმელ ლობიოს, თაფლიან ქილებს, სულუგუნს, მჭადის ფქვილს ჩემი და ჩემიდედმამიშვილების მრავლობითი მზერა ზვერავდა. მამიდის სიკეთემ ხომ მთელი ბავშვობა სული ჩაგვიდგა, ავდრიანი დღეები მოგვიმზიანა. მაგრამ მას უკვე დავიწყნოდა ეს ყველაფერი, მხოლოდ მცირეოდენი რამ ახსოვდა ჩვენი და მისი ბავშვობიდან. იჯდა საწოლზე ვარდისფრად აღუებული, ლამის უნაოჭო ღანკვებით, და მაინც ისე, როგორც პატარა, მოხუცი ჩიტი, სუფთა, კრიალა ხელფეხ-ფრჩხილებით, სიბერისმომვლელ შვილრძალნაგრამდახვეული. მეხსიერების ძველ ზანდუკიდან გაუჩხრეკლად ამოჰქონდა ჩვენი სახელნართაულები, მამის მიერ შერქმეული და მამიდისვე მომგვანებული: ჩემთვის – ცოცორეი და პაატასთვის – პატატულეი. მას უკვე აღარ ადარდებდა ფქვილი, ზეთი და შაქარი, არც რამ ქვეყნის სიდუხჭირე, გულში იხუტებდა ჩვენგან მიძღვნილ უჯრულა თავშალს, გვიყურებდა და მღეროდა.

ცყალდიდი

ხელისგულისსიფართე ეზო გვაქვს, ხომ ვთქვი, ხრიოკი, მწირი და მყარად დატკეპნილი. არა, არ გვყოფნის, განვრცობა სჭირდება ჩვენს სახტომ-სათამაშო ადგილს და აი, წყალჭალაც აქვეა, ჩვენი ბავშვობის მდინარით. ვიწრო ბილიკით დავეშვებით ჭალაში, ჯერ გვირილიან მინდორზე გავიკუნტრუშებთ, მერე დამრეც ფერდს ჩავუყვებით და თხმელის ბუჩქნართან მოვიჩრდილებთ. თხმელა ამოყრილა მდინარის ნაპირას, ნაცრისფერი ლიპების ახლო-მახლო, სილაქაში და მის სუსტ, თხელ, დრეკად ტოტებს მობანავეთა სველი პირსახოცები, პატარა საცვლები გადაჰვენია. ნიავი არხევს ამ სუსტ ტოტებს და ქანაობენ მასზე საცვლები, როგორც სიცოცხლის ჩუმი დროშები. ნაცრისფერ ლიპებზე მდინარის პანია კაპილარები გადმონაწილებულა, ამ კაპილარებში ჟრუანტელივით გაირბენენ ლიფსიტები და მზის გულზე გამთბარ ლიპე-გუბეში ვერცხლის გლინივით ჩაიპავიან. ამ თბილ წიაღმის სხვა არსებებიც იჩეკებიან – წერტილთავა კუდიანები, ეს წერტილები გუბეებში დაქრიან და კუდებს იქნევენ. ჩემი პატარა ძმები მათზე თითო იშვერენ და ამბობენ: ე, ე, თავკომბალები! უფრო პანაზინები დედის კალამსაც ამოჰყვებიან ლურჯ მელნით სავსე თეთრ სამელნიდან, ლექსის პწკარებში ალაგ-ალაგ ტოვებენ კუდებს, ამ დროს დედა ლექსებს „უთეთრებს“ მამას მაღალ უურნალში. მიჯრით ჩაწყობილ, ბასრი ნატეხებით ამონვერილ ნაცრისფერი ლიპებიდან ხის ბოგა-ხიდია გადებული. ჩვენ გადავირპენთ ამ ნატეხებზე ფეხშიშველნი, ბოგა-ხიდზეც გადვიცანცალებთ. წყლის ჩქერში დედა ჩამდგარა, ხის ბოგა-ხიდს ხელებით ეჭიდება, სველი თხელი თმა თავზე მიჰკვრია, ჩქერი აქანავებს, არბილებს და თევზივით მოქნილს აჩენს მის ტანს და კაბას. და

აპა, ხიდიდან ჩვენც ჩავხტებით მის სიახლოვეს, შეშინებული სველ კაბაზე დავეკიდებით, რომ ჩქერმა შორს არ გაგვის-როლოს და გაგვიტაცოს. დედა ცალი ხელით ბოგას ეჭიდება, მეორე მაჯა ჩვენი წყალმაშველია, ტანს წყალში აცურებს თევზივით. მისი კაბა წყალში იზმორება, როგორც მძინარე გაღვიძებისას. ქარი იტაცებს წყლის შეფეხბს, სველ კაბის სუნსაც და ბრუვდება ჰაერი ამ გრილი სუნთქვით. ხიდქვემოთ ჩქერი ჩქარია, ძალზე ჩქარია ჩქერი, სხლტება, მიფრი-ნავს. თუ დაყვინთავ, ხიდქვეშ გაძვრები. მაგრამ ხიდქვეშ ძრომიალს ჩვენ ჯერ რას შევძლებთ? ჯერ დედის მაჯას და მის კალთას ვებლაუჭებით. ეს ხიდი, ჩემი სიზმრების შტრიხი, ოდესმე ბერვის ხიდად ქცეული. მასზე გადვივლი, თუკი შევძლებ, ამ სამყაროდან თავდაღწეული. გაღმა ხის სახერხი ქარხანაა, ფიცრით ფარლალად შეჭედილი. ქარხნის მუშები ხიდის ბოლოს, ნაპირთან პურმარილს შლიან იშვიათად, უფრო საღამოს, ნამუშევარზე, ნახერბეფრქვეულ, ჩა-ხუჭუჭებულ მკერდს ჯერ წყალზე ჩამოიბანენ, მერე გაღვანლვალდებიან კიდეც მდინარეში ნაცრისფერი, თითქმის მუხ-ლამდე დაშვებული ფარფალია საცვლებით, სწრაფად გასცურ-გამოსცურავენ, რადგან ქალთა საბანაოა, თუმც ხიდი მათი ნამუშავევია... მოვა წყალდიდი, გაიტაცებს ამ ბოგა-ხიდს და მეტად აღარც გააკეთებენ, დაენანებათ შრომა წყალ-ნასალებად. ქარხანაში ლიანდაგებია, მასზე ვაგონეტები დგას მოჭრილ ხეთა გადასაზიდად. ასე გადააქვთ დასახერხი ფიჭვი და ნაძვი. ეს ხეები ფიცრად იქცევა, სიცხეში შრება, მზე აცხუნებს, საკმევლის სუნი ეფინება მდინარის ნაპირს. საკმევლის სუნი და თევზის სუნი. მერე მივხვდებით, ქრისტეს მდინარეა ეს მდინარე, მან შეგვითვისა, ის გვიფარავს თავის წიაღში. უქმე დღეებში, როცა მუშები ისვენებენ, ვაგონეტებს ჩვენ მოვახტებით, ერთ-ერთი ზურგიდან მოგვაწვე-ბა, გრიხინით გარბის ვაგონი მოკლე ლიანდაგებზე – სახერხი ქარხნის ერთი თავიდან მეორემდე. ქარხნის ირგვლივ, ღია ცის ქვეშ ფიჭვის და ნაძვის შორომთანა ხეები წვანან, ვითარც მაღალი ქალიშვილები. ჯერ ბავშვი ვარ და მაინც ასე ტრაგიკულად ვიაზრებ მოჭრილ ხეთა

ბედს. ქარხნის მუშები ფიცრებად ხერხავენ ქალიშვილებს, მდინარის ნაპირს გადმოსწვდება ნახერხის ზვინი. ძველს ახალი ემატება, მზე, წვიმა სწვავს, გადაანითლებს ამ მაღალ ზვინს, ძველს ახალი ემატება. მოწითალო-აგურისფერს მოთეთრო-კრემისფერი დაათოვს, მსუბუქი, საკმევლის სუნით გაუდენთილი. ჩვენ ვხტებით ამ ნახერხში, გამოვექა-ნებით ქარხნის ეზოდან ხუთნი, მორიგეობით დავიკრავთ ფეხს ეზოს ნაპირას, მდინარის უკბილო პირით ჩამოკერილ კბოდეზე და ჩავეშვებით ფუმფულა ჭურში. ტანზე ხოჭოც მოგვეტანება, მსუქანი, შავი ლაფნიჭამია, ფუნაგორიად რომ სახელსდებენ შინაურები. ფუნაში არა, ნახერხში უყვარს მასაც გორვა თუ კოტრიალი, ან ლაფნის ნამცეცებს თუ მისტი-რის, ხმამაღალი ბზუილით რომ დააცხრება ნახერხის გროვას. ნახერხადქცეულ მაღალ ქალიშვილების გვერდით, ჩვენს დიდ ქვასთან, სანახევროდ რომ წყალში ჩაფლულა, ბაბო ბებოს შვილიშვილი წევს, მშრალ ლიპეზე ქათქათა პირსახოც-გაფენილი, პირისახეც თეთრი ქსოვილით შეუბურავს, მზეს ეფიცხება. მას ნანა ჰქვია, სანახევროდ თბილისელია. ისე მაღალი და ჩამონაკვთულია მისი ტან-ფეხი, ბავშვის უნებურ მონიწებას იწვევს. ის ხომ მაღალი ქალიშვილია. და თუ მოჭრილ ნაძვებს, ფიჭვებს არ შევადარებ, პირველად ვხედავ მზისგულზე ასე მწოლ გოგოს. სხვა გოგონები არასოდეს წვანან ნაპირზე, მორიდებულად სხედან თხმელისქვეშ, ან ლიპებიდან პიწყად ჩაჰყოფენ ფეხს მდინარეში. ფეხის წვერით

აქაფებენ ტალღებს, იცინიან და მალულად მზერას ელიან. მერე გამოვლენ ქარხნის მუშები და იმ ადგილას, სადაც ნანა იწვა, პურმარილს გაშლიან. მანამ კი ნახერხს ჩამოიბერტყენ გულმკერდის ნაცრისფერი ხავსიდან, წინ წაშვერილი ხელებით, ნაცრისფერი, ფართალია საცვლებით, წყალში შეცურდებიან. მათ ნამუშაკევ ბოგა-ხიდსაც მოეჭიდებიან შეძახილებით, ყვინთვითა და წყალში დგაფუნით. წყალდიდი მოვა, მაინც მოვა მერე წყალდიდი და გაიტაცებს ამ ბოგა-ხიდს, მეტად აღარც გააკეთებენ, დაენახებათ შრომა წყალწასალებად. გათქეშდება და წყალდიდი მოვა, ნაცრისფერ ფლატეს მოადგება გულამლვრეული, ღრიალით მოაქვს. მაღალ სოფლიდან, მთებიდან დაშვებისას მოხელთებული, ოფლით და ჯაფით ნაწყობი და ნაგროვები მთელი ხე და ტყე, ზოგჯერ თავთხელშიც შემოაგდებს, დაატრიალებს და აქ უნდა იმარჯვოს ვინმემ, კაუჭი მოსდოს, ნაპირისკენ შემოითრიოს მორი, როგორც ვეება ლოქო. შემა გვჭირდება, ჯერ ცისფერი ალი არ ანთებულა ამ ჭალისპირზე, გზების გასწვრივ მხოლოდ ლამპიონები ანათებენ. ძველი, ათასგან სპირალგადაბმული ელექტროქურა – დიასახლისის ჯოჯოხეთი და ისიც, ალუმინის მოკაუჭებული სათბურა, წყლით საკასე ემალის ლაგვინს რომ აცხელებს, სახითათოა, თითს მიაკარებ – დაგაურუალებს. ამას ბუხარი სჯობს, ვინ დაინუნებს ბუხარში ნამზადს, ახლაც კეცში არ ხაფხაფობს დედის ხელით დაკრული ხაჭაპური? მეორე კეცში წინილაა შენითლებული და მაგიდაზეც ნივრის, მკვახე ყურძენ-ისრიმის და მაყვლის წვენით სანახევროდ მომთავრული თასია, შემწვარი წინილა რომ ჩაარბილოს, ჩააბუქბუჟოს. არც სტუმარია, არც არაფერი, მაგიდის გვერდით მდგომი ტაბლის სტუმრებიც ჩვენ ვართ და მასპინძლებიც. მაგრამ ვჩეარობთ, ნებისად და გუნებისად არაფერს არ ვჭამთ, ვჩეარობთ ჭამისას, რადგან ათასი საქმე გვიცდის გარეთ: კოლოფების და ჭიების ძებნა ანკესებისთვის, ერთი ჩვენგანი ტყემლის ხეზეც უნდა აცოცდეს, იქიდან ჩანს მდინარის ფერი, ამღვრეულია თუ დაინმინდა? ამღვრეულია? და იყოს, მერე ამღვრეული, ჩვენ რას შეგვიშლის? ნაპირზე მაინც შეიძლება თამაში, ცქერა, როგორ აგორებს ხანისწყალი აყალოფერად შელებილ ტალღებს და მერე ერთხელ, დიდობაში ეს მდინარე დამესიზმრება, ოღონდ ფართო, ზღვადქცეული, მასზე წვრილ ხიდით, უნდა გადვიდე ამ ხიდეზე გულისკანკალით. უნდა გადვიდე და გადავალ... დაწმენდილზე, კი სულ ტაატით ჩამოივლიან კამერებით დიდი ბიჭები, ტრაქტორის საბურავებიდან გამოხსნილ შავ, გახეთქვამდე დაბერილ კამერებზე მეფეებივით ნებიერად მიწოლილები, ოღონდ მათ „ტახტრევნებს“ სული რომ არ გამოეპაროთ, დაზიანებულ ადგილებზე რეზინის ოთკუთხა ნაჭრები აქვთ გადანებილი და მუზეუმის დაყოლებიდან „კოპაძეების საბანაოს“ მოიზომავენ, „სვანიძეების ორემსა“ და სათავესაც ჩამოსცდებიან, შემდეგ წყაროებს, სადაც დედაჩემი პომიდვრებს რეცხავს ჩვენთვის, რომ ყველსა და პურს მივატანოთ მდინარეზე მოშიებულთა. ყოველ საღამოს ემალის ყვითელ ჩაიდანსაც ავსებს წყაროს წყლით... რეზინის მრგვალ, გასკდომამდე გაბერილ „ტახტრევნებზე“ ნებივრად მინდობილებს ჩამოატარებს მდინარის წყალი „ქალთა საბანაოზეც“, სადაც ჩვენ ვართ, ჩვენგან „ბიჭების საბანაოს“ ჩაცურდებიან, მეტზე არ სწვდება თვალსაწიერი, იქით რა ხდება, ჩვენ აღარ ვიცით, იქით მიდის, შორს მიდის და თვალთაგან იკარგება ჩვენი მდინარე.

მენამული მაგროლია

წითელი ხიდის თავში, ხიდს ქვემოთ, ფისონის პირას, გაბაშვილის გორას გადმოსახედზე, ბარქაიების ეზოში მენამული მაგნოლია ამოზრდილა, ფესვებით მდინარის გულს ჩასჭიდებია, სიმაღლით ხიდსაც ამოსცდენია და კიარ დგას, სიცოცხლის ხედ მკვიდრად ბინადრობს. გაზაფხულზე, სითბო და ტენი ერთად მოეძალება თუ არა, ის მოგრძო ყვავილები მენამული სისხლ-ხორცით დაიტენება, საკმევლის სურნელით აივსება, გაიშლებ-გაბუჟუშდება და ხე კი არ ჰყვავის, თითქოს მთელი ქალაქის თვალწინ მენამულვარსკვლავიანი კარავი დასცა პირველმქნელმა-მოსავანებლად. ისე მფეთქავი, ალერსიანად მოყვავილე ხდება ამ მზისქვეშ, როგორც სულის მობერვა ლუთისა მიერ კაცთა მომართ. ფისონიც ხომ ამასვე ნიშნავს, ამ მადლფენას, ანაც სხვაგვარად, სტუმართ საჭურვლის დაცვა-შენახვას. ბარქაიების სახლის მეორე სართულიდან ქალი ჩამოდის – ქრისტინე და მენამული მაგნოლიის ქვეშ გაბმულ მავთულზე თოვლივით უმტვერო თეთრეულს აფენს. საბნის თეთრ საპირეთა გაღელილი გულები მდინარის გრილ სუნთქვას ისრუტავენ, მუცელში იმწყვდევენ, კვიტაისის ქარებით ორსულდებიან, დაკუდნულ-ბოლომოფცებინილ დედლების ყრუ კუთვასა და გაბმულ კაკანში ქარებს ასდევ-ჩასდევენ მარადისი ფრიალ-ფრიალით. ეზოში ონკანი დგას, ვითარც იაკობის ჭა, თუმც ლითონის მილია უბრალოდ მიწიდან ამომართულ-ჩამოკაუჭებული, ინდაურის თავ-ნისკარტ-ჩიჩახვივით. თუ უწყლობაა და ეს ხშირად ხდება, მთელი უბანი ამ ონკანით სულდგმულობს, აქ გამუდმებით არის წყალი და ოფლმოდენილ, მოწყურებულ მგზავრს შეუძლია ითხოვოს – „მასუთ მე წყალი...“ აქ იყრიან თავს საშინაო ხალათებით, თუ პიჟამებით, ფოსტლების ნელი ფლატუნით, მასლაათით და ემალის სათლების რაკუნ-რაკუნით. საჩქარო არაფერია, ხვალინდელი დღეც ამ კვირისაა და ონკანიდან კარგა მოცილებით, ნაბიჯზე მაინც იჭიმება მწყურვალთა რიგი, რადგან ყველაფერს მოიკლებს ადამიანი, წყალს ვერ მოიკლებს თუმც „ყოველი, რომელი სუმიდეს წყლისა ამისგან, სწყუროდის კვალად“... წითელ ხიდს აქეთ, ყოფილ ბერიას ქუჩის დასაწყისში ეგუდიელ თავდიდიშვილის სახლია, ტანდაბალი, მკვირცხლი იერის რკინის ხელოსნის, ნიკელის საწოლების ხარატის. გასაბჭოების ტალღას ქვედა სართული ხელიდან გამოუცლია ხელოსნისთვის და იქ დასუფთავების ტრესტისთვის მიუჩენიათ ბინა, მეორე სართულზე, კი ცხენი გაჭენდება, ხუთი ოთახის ბარი-ერი რომ არ აკავებდეს. ეზოც დიდია, უამრავი სათავსოთი და რკინის მასალა – იარაღით. ქუჩის ეგუდის ვაჟის, მაისე თავდიდიშვილის ოთახის ფანჯრები გადაჰყურებს. 21 წლის მაისე ფრონტზე დაღუპული, მაგრამ მამას არ სჯერა მისი გარდაცვალების ამბავი, ამიტომ ათნლეულებია, მაისეს ოთახს არავის აკარებს. ოთახის მოსახმარისად აქ კარს ვერავინ შეხსნის, ხელუხლებელია, ისევეა განყობილი, როგორც მაისეს ომში განვევამდე იყო: მის შუაგულში დათვისფეხებიანი ძველებური საწერი მაგიდა დგას, მაგიდაზე თეთრხელსახოცგადაფარებული საბეჭდი მანქანაა, აღმოსავლეთით, კედლის გასწვრივ ეგუდის მიერ გამოხარატებული ორი ნიკელის საწოლი დგას, იქვე თავთით ძველებური „შიფანერკა“ – კაკლის ხის მოჩუქურთმებული, მუქი ყავისფერი კარადაა, რომლის თარო-საკიდებზე ეგუდის ცოლს – მირიამ-დებორას ათნლეულობით მზეუნახავ-გამოუმზეურებელი შიფონის კაბები, თუ სხვა პენიანი ტანთსაცმელი მოუთავსებია, პირადი

ნივთებისთვის მიუჩენია ადგილი. 14 წლამდე იერუსალიმში გაზრდილი, ივრითის კარგად მცოდნე, განათლებული ქალის გემოვნებით აღბეჭდილა ეს ნივთები, თუმც მათი სილბო და ფერადოვნება ფრონტზე წასულ და ვერ დაბრუნებულ შვილზე მგლოვიარე ქალისთვის სამუდამოდ გახუნებულა. დასავლეთის კედელთან მონმობის კიდობნის მსგავსი, კაპლის ხისგან დამზადებული და სპილენძის ფირფიტებით შემკულ-მოჩუქურთმებული კიდობანი დევს, რომელშიც მაისეს საკონცერტო ტანსაცმელი ინახება. კიდობანს დიდი გასაღები აქვს, გადაატრიალებ თუ არა, მელოდია ახმიანდება, ამიტომ მას „მომღერალ კიდობანს“ არქმევენ ოთახში ჩუმად შეპარული ეგუდის შვილიშვილები. მასზე მწვანე ხავერდის-ყდიანი დიდი საოჯახო ფოტოაღბომი დევს. აი, მაისეც, ქუთაისის ფილარმონიის ადმინისტრატორი, კონფერანსიეც – საჭიროებისას – უდრტვინველ თვალთა მზერით, დატეხილი წარბებით, წითური, ტალღისებურად გადავარცხნილი ქოჩითა და მოკლედ დაყენებული წითურივე ულვაშით. კიდობანში მისი ან უკვე დაუქმებული სამოსი ინახება: თეთრი პერანგები, თეთრი ხელთათმანები, მეზღვაურის „მატროსკა“, ფრაკი, ბაბთა, ცილინდრი, ხელჯოხი... და ამ ყველაფერს ზემოდან უზარმაზარი ჩინური ლამფა გადმოჰყურებს. ასე უნდა იყოს, ასეც არის... მაგრამ ახლა ვიღაც დახრილა დათვისფეხებიან საწერ მაგიდასთან და ხელნანერს უკირკიტებს, დროდადრო საბეჭდ მანქანასაც უკავუნებს. პატარა გოგონები კარის ღრიფიმალოდან გაფაციცებით ადევნებენ თვალს უცხო კაცს ხელის მოძრაობებზე, მის წერაბეჭდვას, იმასაც, ხელის ერთი მოსმით როგორ მოხვეტმოკუჭავს ნაწერ ფურცლებს და სანავე ყუთში ჩაუშვებს. გოგონები ბებია-ბაბუის საუბარსაც აყურადებენ უნებლიერ. – ბორისა ოთახი ნახევრად სარდაფია, მირიამ, მზე არსაიდან უდგება, ისედაც არ აქვს კარგი ჯანმრთელობა, აქ იმუშავებს, ხოლმე, მაისეს ოთახში, თან ივრითის სრულყოფილად შესწავლა-შიც დაეხმარები, „ვეფხისტყაოსანს“ ისე ვერ თარგმნის, ხელშეწყობა სჭირდება. საღამოა. ღია სარკმლიდან მეწამული მაგნოლიის სუნთქვა მოაქვს კვიტაისიოს, საწერ მაგიდაზე „ვეფხისტყაოსნის“ ფურცლებს და თარგმანის ხელნაწერებს აშრიალებს, წინასწარმეტყველთა და მახარებელთა პირისპირ გარინდულ მთარგმნელს ჰყოფს და აშორებს ხილულისგან, მეწამულ კარავში აბინადრებს. – ბორის გაპონოვი ყოფილა, ეს კაცი! – კარის ჭუჭრუტანასთან ეჩურჩულება უფროსი გოგონა დაიკოს. ბულვარს გადმოღმა, არქივთან, „მსახიობთა ტირიფის“ ქვეშ, სპექტაკლიდან თავისუფაალი მესხიშვილის თეატრის მსახიობი ქალები – მარი, თინათინი, შურა, ნინა და თამარა „ტაბურეტებზე“ ჩამომსხდარან, საუბრობენ, ტკარცალებენ, აქვეა მაისეს დაც-რუთი, თოჯინების თეატრის მსახიობი, სხვებიც ნელ-ნელა ემატებიან, აქეთ მოიჩქარიან განზე დაჭერილი, თუ იღლიაში ამოდებული თავთავიანთი „ტაბურეტებით“. ხანგადასულ ტირიფს გრძელი თმები დაუშვია და სანახევროდ უმაღლავს კიდეც ტაბურეტებზე მსხდარ ქალებს გამვლელ-გამომვლელთა მზერას. თეატრის უკანა მხარეს, კულტურის სახლიდან დოლ-აკორდეონის ხმა ყრუდ გამოისმის. ოპერის მხრიდან მოცეკვავე და ქორეოგრაფი დავით უშვერიძე გამოდის ქალების თანხლებით აზიაცკებსა და ბლუზაში გამოწკეპილი, ხელში ბოხოხით, ხანჯალი აკლია, ცერებზე რონინით კი ისედაც მოდის. კვიტაისქარი აშრიალებს მეწამულ მაგნოლიას. სისხლხორცით დატენილი მეწამული ყვავილები მკრთალდებიან, ილევიან, იშრიტებიან და სტრიქონებად, ფოტოსურათებად, მოძრავ და ხმოვან კადრებად სხეულდებიან. ფისონი გამოედინება ღვთის ბალიდან, რწყავს ფესვებს მეწამული მაგნოლიისას; ფერავს, აპრიალებს, ინახავს სტუმართ საჭურველს და სტოვებს სევდას გადაყვავილებულ თაობებზე.

საცურაო აუზი

მიცურავს ვითომ. მხარულით. ჯერ ერთ მკლავს მოუსვამს ატალახებულ წყალს, მერე მეორეს. ფეხის თითებით აუზის ფსკერს ებლაუჭება და წყალტალახში იზიზნება, უფრო იმღვრევა აუზის წყალი, მაინც მიდის, მკერდით მიარ-ღვევს ამ წყალ-ტალახს. მკლავებს კი უსვამს, მიცურავო. აუზი, ასე, ლამაზად რომ წარმოვთქვათ, იმისია, თორებ განიერი და გრძელი წყლიანი ორმოა უფრო. წყალზემოთ მხოლოდ თავი უჩანს. მიდის, მიარღვევს შეჯიბრებისთვის ამ სახელდახელოდ მოწყობილ აუზის ტალახიან ტალღებს. გვიანი გაზაფხულია, სპორტული და კულტურულ-შემოქ-მედებითი დათვალიერებების სეზონი იხსნება ჩვენს დაბაში. სხვა სოფლებიდანაც ჩამოსულან აქ შეჯიბრის მონაწილე-ნი. თავზე ვადგავართ ყველანი აუზს, სხვა უკეთესი შესაქცევარი რა უნდა იყოს გვიან გაზაფხულს, ცივ დღეს, ცივ დღეს, რაღაცნაირ ცივს. და ცურავენ შეჯიბრების მონაწილენი. აიმღვრა, ატალახდა აუზის წყალი, ის ხომ სახელდახელოდ გათხრილ-მოუპირკეთებელია, პირდაპირ მინა- ტალახზე დაასხეს წყალი. ამ ტალახში უნდა იცურონ, იქვე მდინარე კი სუფთა არის. და მიდის კაცი, ღრმა ორმოში მიაპობს ტალღებს, მიცურავს ვითომ... და სანამ ვითომ მიცურავს კაცი... აი, ყანიდან დავბრუნებულვართ შინ, გრძელი გზიდან, ლაფოიანი ორლობიდან მშობლებს მოვყევით. ჩვენზე უფრო პა-ტარები – პატა და ვარაზი, შინ დატოვეს, ამ ლაფიანში მხოლოდ მოზრდილები წაგვიყვანეს. იქ რა შეგვეძლო? ძროხას მოვქაჩავთ, წკეპლას მოვცხებთ, როცა ყანაში ხვატი დადგება და მშობლებს წყალი მოსწყურდებათ, წყაროდან წყალს მოვარბენინებთ, ყავისფერ წებოვანს ჩამოვნინვნით რამდენიმე ბარისპირ მინას. დიდი საქმის შემამსუბურებელია რამ-დენიმე პატარა ხელი, ეკალას დუყებს გამოიყოლებს გზისპირებიდან წაჭრის ჩანთებით, ჯიჯლაყას და ქათანაცერასაც – დედის ხელით დაკრეფილს, პომიდვრების ჩითილებისთვის რამდენიმე ხარდანსაც წამოვაფორთხებთ, პატარა იღლი-ებით დავიჭრთ. აკაციის ხარდნებს წვრილი კუდები ლაფოში დასთრევთ, მერე ეს ლაფოც შრება ნელ-ნელა, აკაციის ყვავილებით მოიფინება და რჩება, როგორც წაფეხურთა მუზეუმი, მუზეუმ-ქალაქი, დიდპატარა წაფეხურთა, ნაჩლიქა-რების. მზე აქვავებს წაფეხურთ სიღრმეს. და ხსოვნაში რჩება მხოლოდ წაფეხურთა მუზეუმქალაქი, თიხის ქალაქი. მერე ორლობებ ძალლების შელავდავებით და სახლში ვართ უკვე. ამ პატარებს კი ეს რა გული ამოუსკვნიათ? აპაპაპაპა და ამოისვრიან პატარეს მუცლიდან ქუთუთოებჩანითლებულნი. პაიმე, კოკორინები დაუკლავს ვირთხას. ან ვირთხას, ან სინ-დიოფალას! კვატის ჭუჭულით, კოკორინებით, ყვითელი ღრუბლის ფთილებით, ყელგამოჭრილ ღრუბლის ფთილებით მოფენილია, დათოვლილია მინა სახლუკან, ტირიან როგორ, გულს იგლეჯენ ჭუჭულებისთვის და ეს გულებია მერე – ერთი დაკლული კომანში და ერთიც აქვე, დიმნას ციხის ფერდობქვეშ ფეთქავს. თუმც უფროს ქალებს ხელად გვავი-წყდება პატარათ ცრემლი, ტყემლის ხეებზე ანაგროვებ თაფლისფერი წებოს ბურთებით უძაფო კოჭებს მივიწებებთ ტიტველ ქუსლებზე; ამ ხის კოჭებით, თავმობრტყელებულ, თავბოლოერთნაირადგამოვანილ ხის კოჭებით გავიღლიდ-ით სულ პრანკა-პრუნკით, ქუსლებზე რომ გვამაგრდებოდეს, ჩვენ ხომ ერთი სული გვაქვს, თუნდ რამდენიმე სანტი-მეტრით ავცილდეთ მინას! და მიდის კაცი, ღრმა ორმოში მიაპობს ტალღებს, მიცურავს ვითომ... აბრეშუმის მური გვყავს

სახლში, წვრილი, წვრილი, როგორც ქვირითი. მალე ჭიებად იქცევიან, ჩელტებზე გავლენ და მალე თეთრად დააბარდნის გვიმრის ჩელტებზე, ბჟოლის ფოთლებს დავეძებთ ყველგან მეზობლებში, ყანებში თუ ჭალისპირებზე, სულ მალეა, რამ-დენიმე კვირა სჭირდება და გადავსხამთ ოთახებიდან, თეთრად მიბარდნილ პარკს გამოვართმევთ გამხმარ გვიმრებს, ტომრებს გავავსებთ ამ საშუალი, თეთრი პარკებით, დომფალებიც აქვს გამორეული, მათაც შევკრებთ სხვა ტომსიკაში, ამ შენითლებულ გვიმრებს კი დავწვავთ. დედის სურათი – უამრავი თეთრი პარკი წინ გორად უდგას, პარკის ჩაბარების პუნქტში მამა თუ უღებს. დედას თმა აქვს მოკლედ, გადაპარსულზე წამოსული, ეკლებივით წამოწვეტილი. შინ კი ბებიას უჭირს დგომა, იატაკზე მორებივით ჩააცურებს ფეხს და ჩაჯდება, ღია კარიდან ეზოს გასცექრს. „ერფუთი“ არის თურმე ერთი, მასში წერია, ოცი წლის მერე ეს ქვეყანა გადაბრუნდება, სუ, ჭიშკრიდან ვიღაც იძახის, ვებლაუჭებით, ვეპანკურებით ბებიას მკლავებს, ვიქაჩებით, ვიძარლვებით, ჭიებივით ვიწელებით, რომ წამოვმართოთ, მუხასავით წამოვაყენოთ. პენსიის დამტარებელია, მაღალი და გამხდარი კაცი და ბებია გაზეთებში მოხუც კაცის ვეება და ლოყებგაფუყუნებული სურათი როა, მასზე ეტყვის ამ პენსიის დამტარებელს: „ეს ლეონიდე კაი კაცია“ და ყავისფერი თითებით, მეზობლების ყანა-ბოსტანში ირემასათვის ბალახკალამასთხრით გადასერილ თითებით უწყისების უხეშ, მოყავისფრო ფურცელზე, სადაც წაქცეული, უფრო კი გვერდზე გადაყანთრული მარგილებივით მიწყობილია ასობგერები: – მარიამ შალამბერიძე – 18 მანეთი – მას ბოლოში ჯვარს დაუსვამს გაუბედავად. საღამოა და დედა მოსულა. მერე ირემას მიაბამენ ბოსლის კოჭებზე, ასე წველიან ის და დედა გაჭირვებულად, აიწყვეტს მერე ირემა და უიმე, დედაია, რძეს დააქცევს წიხლისკვრით და გაგიუებული აქეთ-იქით ეხეთქება. რა უცნაური ძროხები გვყავს ჩვენს ბავშვობაში, რა ერთმანეთზე უარესები?! და მიდის კაცი, ღრმა ორმოში მიაპოს ტალღებს, მიცურავს ვითომ. ტაძარი არა, ეკლესია კარმიგდულია, კლუბია, კლუბი და ის ღვთაებრივ წაგებობად წარმოგვიდგება. მონაწილენი ანგელოზურ იერს იძენენ, არამინიერ სახეებით როცა დასჭექენ: „პარტიააა, პარტია..., დი-დე-ბა პარტიაას! და ეს სცენა, დარბაზი მაღლდება, როგორც ეკლესია, როგორც ტაძარი. მერე ყოველი წარდგენილი გუნდი გვერდითა კარიდან თავის წაკადს გამოშლის ეზოში. მე მამიდაშვილს ვეძებ, ის სოფლის გუნდის ხელმძღვანელია. უკვე წარმოადგინა კონფერანსიერ მუდერი, არტისტული ხმით: „წითელიხვის ქალთა გუნდი“, ხელმძღვანელი წარგიზა ხეცურიანი. ეს ჩემი მამიდაშვილია, იგი გუნდის ხელმძღვანელიც არის, სოლის-ტიც, ფანდურზეც უკრავს, პიანინზეც. და დათვალიერების ამ დღებში ეს პატარა ტანის ქალუკა სხვაგვარი შარავანდით იმოსება ჩემს თვალში. ეკლესია ამ დროს, როგორც ვთქვი კარმიგდულია. მერე მოგვიანებით დავინათლებით ყველანი, პაატა მიგვიძლვება მამა დავითთან, ბურჯანაძესთან. მოგვნათლავს მამა დავითი წყნარ და მლოცველების გარეშე არსებულ ტაძარში და დავეშვებით ბონდის ხიდზე განათლულები. ზესთა სოფელთან მოკავშირე ჩვენს ბონდის ხიდზე, ხანისწყლისა და საკრაულას შერთვის ადგილას, ნაცრისფერი ლიპების თავზე. ჯერ კი, მირონი არა გვცხია, რა ერქვა იმ მღვდელს? კირილეს განათლული ვართ მირონუცხებლად. თვითონ კირილეც ხელდაუსხმელი მღვდელი არის ჯერ. ჯერ პური გვაქვს და მჭადი, კონცერტები გვაქვს, აბანო გვაქვს, სპორტული ჭიდილები იმართება ჩვენს სტადიონზე, სხვა რაღა უნდა გვინდოდეს, აბა! მიცურავს კაცი, ვითომ. ფეხით მიდის და მიარღვევს ტალახიან

წყალს, ნიკაპამდე რომ შემოსწვდენია. გადაღმით კი გოგონების ფეხბურთია სტადიონზე, ჩემი დაც თამაშობს, ასდევს სტადიონის მაყურებლები: მიდი, მიდი! ჩქარია, ბურთს ფეხით ათამაშებს, კენკავს. თუმც ეს მერეა, მერე. მანამდე პაატა და ვარაზი ჭიდაობენ კლასიკურ ჭიდაობაში, პაატა იგებს, ის სულ იგებს, ეს მდინარეც გამოვეზრდის და გამოვწვრთნის ყველას, პაატას უფრო, ვარაზის და იმედას უფრო. უმარტივეს საბაგიროსაც ამ მდინარეზე გამართავს იგი, ბაგირზე ოთხუთხედ რკინის მავთულს ჩამოჰკიდებს, ფეხებით ზედ დაადგება, ხელებითაც ჩაეჭიდება და ჰერი! – მდინარის შუაწელზე, მეორე ნაპირას, მავთულბადის საამქროში, აქედან იქით, იქიდან აქე.

კაცი კი მიდის, მიაღწია აუზის ბოლოს. აპა, ბრუნდება, მოალაჯებს ჭუჭყიან წყალში, თავს გადახრის და მკლავს მოუსვამს, მოცურავს ვითომ, ყველაფერი ვითომ და ვითომ...

ბებია საკურთხის სუფრას ამზადებს, ჯერ ცომს მოზელს, გუნდებს მოხელავს ხაჭაპურისთვის, ყველიანი კოკრებისთვისაც, კეცში ამყოფებს დახვეულებს, ხილფაფიანებს, პატარა, მრუდე ნაჭრებად დაჭრილთ, და აპა, სანამ სადმე წავა და დიდხნობით დაიკარგება, ჩაგვიყლაპავენ, დაგვიკარგავენ მისი ძმისშვილი, სანათესაო, როგორც დედას ეკარგებოდა მთელი ბავშვობა. დამახსომდება ასე მზრუნველი, კეცზე გამომცხვარ ხვეულ ნამცხვრებით, საკურთხის მაგიდის ქვეშ დაჩირქილი მძიმე ფეხებით, კეცის ნატეხზე მიმობნეულ ნაკერჩელებზე აბოლებულ ფიჭვის საკმევლის სუნში. შინმოუსვლელ, ომში დაკარგულ ბაბუის ბარობაზე დარჩენილი ერთი ცრიანტელა გოგოს – დედაჩემის დედობის ვერშემგრძნობი – ჩემი ბებია. სტალინის ქვეყნის შვილი ბებია, ომის წლებში სტალინისვე კმაყოფაზე მყოფი ბებია, ომის წლების სიმძიმილის ვერ შემცნობი ბებია, რადგან, დახვრეტილ-გასახლებულთა წილ სტალინი მოდიოდა შინმოუსვლელთა ოჯახებში თეთრი კიტელით, მოდიოდა „დაჭვირთული“, მოჰკონდა დოში, ყოველ თვეში და ყოველ წელში, სულუგუნი და ფქვილი და ტყბილი, ორცხობილები, შოკოლადის დიდი ფილები. მოუკლებელი საჭმელ-სასმელი და დედა მაინც მშიერი იყო მთელი ბავშვობა, სხვის სახლში, სხვისი მაგიდის ქვეშ იშლიდა საგებს. მანიჯარის მჭადი არჩენდა, მანიჯარის მჭადის ნატეხი. მის სახლის ბოძებს ამძიმებდნენ ფქვილით სავსე ტომრები თურმე, პური კი მაინც არცხებოდა დედაჩემისთვის. გასახლებაც ხომ უნდოდათ ისევ „ახლობლებს“, რომ მერე მიწა იმათ დარჩენიდათ, ისიც პატარა, ჩაებლაუჭა ბალდათის მიწას, რომ ჩვენ ვეშვით ამ მიწა-წყალზე. ალბათ იმიტომ შეიკივლა ზარდაცემულმა პატარა გულმაც: „უიიი, მოკვდა, სტალინი მოკვდა!“ შეიკივლა, შეიტირა პატარა გულმა. არ იცოდა, რა იცოდა, ვინ გაუმხელდა... ჩვენც ვინ გვიმხელდა, ზეციური პურით, ლავაშით უკანა ტანი გამოწმინდეს როცა პატარებს, დღესაც ასეა, პატარების ღვთიურ პურით ტანის ჩაბანვა, ზეცამაც მიტომ დაიხურლა, წავიდა ზევით და კიდევ უფრო დაშორდა მიწას. კაცი კი მოდის, თავგამეტებით გამოარღვევს ტალახიან წყალს... მოზიდა ტანი, ამოიმართა ოცი წლის ან ოცდაათის იქნება ალბათ. ვიცინით. ბავშვები ვართ, კაცებია, ქალებია, დიდებია, პატარებია. რა უცნაური კაცი არის, ფეხზემდგომელას რა უცნაური ცურვა სცოდნია?

ქვესადგური

ჭიშკარგადალმა, ჩვენი ქუჩის მეორე მხარეს, ლეთოდიანთა სამოსახლოს ზედა კუთხეში ქვესადგური დგას. აგურ-აგურ დაშლიან მალე. ქვესადგურს სხვაგან გადაიტანენ, მოშორებით, წისქვილთან წამომართავენ პატარა კოშკურას, იქ მიუჩენენ ადგილს ძირსდაყრილ ნივთებს: ვეება გენერატორს, შავპლასტიმასისტარიან ჩამორთველ-გამომრთველებს, რკინის საჰაერო სარკმლებსაც ჩასვამენ, რკინის ჩარჩოში გამოამწყვდევენ, მერე მზეც შეიხედავს მასში, ქარიც იქმინებს. იმ სადენებსაც, რომელთა განმხოლოებაზე ჩვენი ოჯახების განათების ბედი ჰკიდია, მიატყუპებს ერთმანეთს და იქუხებს კიდეც, როგორც სჩვევიათ ქვესადგურებს მოკლე ჩართვისას. საღამობით, უამინდობისას, ქარ-წვიმისას, ქარიშხლებისას, რომ იქუხებს და ელვასავით გადააწვიმს მიდამოს ნათელს. ქვესადგურში ვართ. აგურ-აგურ გამოგვაქს იგი. მამა და დედა ძალაყინებს მიუმარჯვებენ ამ დროგადასულ, უამგადასულ შენობის კედლებს, აგურებს შორის ფაფადქცეულ უძველეს დუღაბს. შენობის რღვევა დაინყება, აღდგება ბული, აიშლება, კუდს მოიქნევს და ჰაერში დატრიალდება მტვრადქცეული კირნარევი სილა-ცემენტი, კველბებად, კოტროშებად დაცვივდება ალაგ-ალაგ დანესტიანებული ძველი დუღაბი, აფათურდებიან, თვლემისგან გამოერკვევიან ზანტი მორიელები, მათთვის ახალი ერა იწყება და ჩვენც, ბავშვებიც, შევაბიჯებთ ნანგრევთა ბურში. ირღვევა ძველი ქვესადგური. აგურ-აგურ გამოგვაქს იგი. ჩვენს სახლს დამატებითი ოთახები უნდა მოვადგათ. ბევრნი ვართ და სივინროვეა. ბალავერი ჩასხმული გვაქს და აგური გვესაჭიროება. მთავრობას, როგორც ვთქვი, ძველი ნაშენები აღარ სურს, ქვესადგური სხვაგან გადააქვს. იციან, ჭიანჭველებივით შევესევით სამუშაოს, აგურს აგურზე არ დავტოვებთ და ამად მამას და დედას მიანდობენ მადლიან საქმეს. ისინიც ძალაყინებს მიუმარჯვებენ ამ უამგადასულ, დროგადასულ შენობის კედლებს. ავმოძრავდებით, საქმეში ჩავრთავთ ბორბლიანებს, რაც კი მოგვეპოვება, ბალის ურიკებს, მამის ხელით ჩემი პატარა ძმებისთვის დამზადებულ ხის ავტოებს – თოკეამობმულ საზიდავ-საგორავებს. ამათზე ვანტიობთ მენამულ აგურს, ფირფიტებივით, კეცებივით დათხელებულს, ქარწვიმისგან, ყინვა-თოშით გულგამოხრულს და გამოჭმულს, კიდეებმოცვეთილს, აფურფუტებულს, თუმც პატარა ხელებისთვის მაინც უმძიმესს. წყობილ-წყობილა ვაწყობთ, ვინდომებთ, მიგვაქს ნელ-ნელა, ჩიკინ-ჩიკინით. ჭიშკარგადალმა ქუჩაც ჩვენია – ავტომობილი იშვიათად გაივლის და გაიხმაურებს. ავიტანთ, გავცლით, უკან ვბრუნდებით, სადაც უკვე ქვესადგურის ნანგრევებია.

იშლება ძველი, ინგრევა ძველი ქვესადგური, ახლის კოშკურას წისქვილთან წამომართავენ, დოლაბის ხმაურში, სარეკელას რიკრიკში. ქვემოთ წისქვილია, მის თავზემოთ – სასაფლაო, ქვემოთ – ცოცხლები, ზემოთ – მიცვალებულები. წისქვილი ფქვავს საფლავებს, საფლავები აბრუნებენ დოლაბებს, როგორც ბუნების წესია. პირიქითაც ხდება, საფლავები ფქვავენ წისქვილებს, წისქვილები აბრუნებენ საფლავთა ქვებს. დრო კი გადის და... ქარწვიმისას, ქარიშხალისას, მოკლე ჩართვისას, შიშველ სადენებს უამინდობა რომ დააწყვილებს, იქუხებს მძლავრად, გადაადენს მიდამოს ნათელს და მისი ექო ერთნაირად მიუვარდება დაბლა წისქვილს და მაღლა საფლავებს. შუქი აინთება ჩემი სულის კუნ-

ჭულებშიც და გამოჩნდება დედა: აი, აქ, პატარაა, შვიდი-რვა წლისა, ბიძაშვილის სახლშია, იატაკზე ზის და რადიოს უსმენს. ომი დამთავრებულა, რადიოში სიმღერებია, სიმღერებს უსმენს გაფაციცებით. მამა არ დაუბრუნდა. სამი წლის პატარას ხსოვნამ მხოლოდ ეს სურათი შემოინახა – ღვინით სავსე დოქი შემოაქვს სამზადში მამას და მაგიდაზე დგამს. ესაა სულ, რაც მამის სახეს წარმოუდგენს. და აი, ომის დამთავრების შემდეგ მისგან პირველი სამკუთხა წერილი ჩნდება – „როგორ ხართ?“ – ამბის გაგებას წაგინიცვად ეშურება ფრონტზე წასული. პასუხსაც სწერენ, მაგრამ რას? იქნებ რამე როყიოს, ცოლ-შვილმა ხომ წერა-კითხვა არ იცის, შვილმა – გასაგები მიზეზის გამო, ჯერ პატარაა, ცოლმა იმის გამო, რომ ტყისპირზე, მხოლოდ ძროხების მწყემსვა-სიყრუეშია გამოზრდილი, არვინ ასწავლა, არვინ უბიძგა სასწავლებლად, თვითონაც არ მოინდომა ალბათ, ძროხების დევნა და სახრე არჩია წიგნს და საწერკალამს. ჯვარს დასვამს ახლა ხელმოწერის წაცვლად, ეს იცის, დაუსვამს ჯვარს და პასუხიც ეს არის. ასეც სჯობს, დასვას ჯვარი და გაგზავნოს. აზრი აქვს, რაღაცას ნიშნავს ქმრისთვის ცოლის მიერ გაგზავნილი ჯვარდასმული წერილი, მაგრამ არა, პასუხის დასაწერად სხვას მოიწვევენ, ვის? ვიღაცას, არ ახსოვთ მერე, ვერ იხსენებენ და აწერინებენ მთელი ომის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, ერთადერთხელ სამკუთხა კონვერტით მიღებული წერილის პასუხს. რას სწერს, მიდი და გაიგე, შიგ ვერ ჩაგიხედავს, რომც ჩაიხედო, რას გაარკვევ. მერე ხვდებიან, ზედმეტი პასუხისმგებლობით შეცყრობილ „მალე მნე-რალს“ არაფერი გამორჩება – სიზუსტით ამცნობს: უფროსი ვაჟი – ნოდარია ხომ გარდაეცვალა, სახლში მარტოდ დარჩენილმა სკამი მიიღვა კარადასთან, არაყი დაისხა ჭიქაში და თოთო წაწლავები იმით დაიწვა, უმცროსიც – ქერა ტატუნიაც იმის გზას მიჰყვა, წითელამ იმსხვერპლა და პავლუშას ოთხ დანატოვარზე ორი დაურჩა, ესეც მარტივი არით-მეტიკა და ფრონტიდანაც, პავლეს მხრიდან, სადაც ალბათ ციდან ქუდები უკვე ჩამოთოვს – ცაში ასროლილი ხაკის-ფერი ქუდები, რადგან ომი უკვე დამთავრდა, დუმილი მოჰყვება წერილს პასუხად, მეტი წერილი აღარ იქნება, ვერც მამა, ვერც ელექტროდენი, ველარც რადიო შემოაგნებს ობლის სახლის კარს. და ზის დედა მეზობელ ბიძაშვილის იატაკზე, უსმენს რადიოს იატაკზე და ამ ფანერკამიერული ყუთიდან ყოველ ჯერზე ახალ სიმღერას ელოდება, თავაწეული, ყელმოღერილი, რადიოსკენ პირმიეცეული, დაძაბული, ათრთოლებული ისე, თითქოს თვითონაც ასრულებს იმ სიმღერას, თვითონაც მღერის. ისიც არ აწილებს: „თქვენ ახლა მოისმენთ სიმღერას „იმერული მგზავრული“... ამის და ამის შესრულებით... და დედას უკვე აღარაფერი აკლია, ყველაფერი აქვს, ყველაფერი ჰყავს, ეს ჯადოსნური ყუთი თავს ვერასდროს ვერ დაიმაღავს, დედა მიაგნებს, დაჯდება მის ქვემოთ იატაკზე და ყურს მიაპყრობს მის ხმიანობას. საღამოს დედას დედა დაუბრუნდება სიმონიკა გოგონის ოჯახობიდან, სიმონიკა ელქსელების მთავარი ბუღალტერია, მის „ოჯახობას“ ეხმარება საოჯახო საქმეში, სიმონიკაც არ რჩება ვალში ომში დაკარგულის ოჯახს და ელექტროდენს უფასოდ შეაყვანინებს. ესეც იქნება: შუქიც შემოვა, რადიოც იმღერებს, სიხარულიც იქნება, წუხილიც და ათასი რამეც... და ჩემი მოგონებებიც აიკინძება ერთიმეორის მიყოლებით. მე ხომ უკვე ჩემს თავს ვუთხარი, ტყუილები არ მოვიგონო, ლიტერატურის კალთას ცრუბენტელა შვილები არ გამოვაბა... ბაზრის შესასვლელთან მარო ბაჩანეიშვილის დაბალჭერიანი წაგრძელებული სახლია, აქ მამას კაბელი გაჲყავს, ახალ ელექტროგაყვანილობას აკეთებს. ქალი, მარო, მინებს

წმენდს. წმენდს, წმენდს, კანკალი გაუდის გაკრიალებულ მინებს, იქვე მისი გოგონა თამაშობს პლასტმასის ტლანქი და დაუხვენავი სათა მაშოებით. გოგონა ჩემი კბილაა და მისი სათამაშოები ჩემსას ჰგავს, დაუხვენავია ჩვენი სათამაშოები, ვერ გაარკვევ რა ჩაუფიქრებია მის შემქმნელს, ან თოჯინების ფაბრიკას: ამ პლასტმასის გუნდის მრავალმხრივი გამოყენება? ფანტაზის განვითარება? მაგრამ პატარა გოგონას რაგვარი სიყვარულით არის მოცული ეს პლასტმასის ტლანქი არსებები, როგორ ვუფრთხილდებით და ვუალერსებთ, დილით რომ ბუხრის რაფაზე ჩავნკაპავთ, საღამოს საწლოში, ჩვენ გვერდით საბანს ამოვუგებთ, ემანდ, საბანი არ დაგვიცურდეს და ეს პლასტმასის ჩვილები არ გაგვიყინოს. ქალი კი, მარო, წმენდს, წმენდს და დაუსრულებლად წმენდს სარკმლის მინებს. მე რას ვაკეთებ? ხანდახან მამას ჭიქა წყალს მივაწვდი, ან გადახსნილი ჩანთიდან, რომელსაც მამა „საკვირიაჟს“ ეძახის, ხელსაწყოებს მივაწოდებ, ვუყურებ, კედლიდან ჭერზე როგორ მიისწრაფვის თეთრი სადენი, როგორც ცაში გაჭრილი რაკეტა, ეს სადენიც თითქოს „ისრიპიტელია“, კუდიდან თეთრ ბოლს ტოვებს. ეს „ისრიპიტელი“ მალე ჭერიდან გადმოეკიდება, ზედ შავი პატრონა მიემაგრება, ნათურა ჩაეხრახნება შიგ, მამის ხელები მიიმწყვდევენ შუაში და განათდება ნათურაზე მამის თითები. ისეთი ნათლით შეიმოსება მის გარსზე, თითქოს ნათურაა მამის ხელები. მამის ხელები აშუქებს, ეს ერთი წამი დროში გადავა, აინთება და განათდება ჩემი გულიც. ეს მოგონება ბრჭყალს გამოსდებს მეორეს, კვლავ აინთება და გამოჩნდება: ზაფხულის ხვაჭში საბავშვო ბიბლიოთეკაში მივპარკუნობთ სახლიდან სამნი, აფთიაქთან ატმისსურნელიანი ბუსუსა ხე ყვავილობს, დაბლა დაუხრია ტოტები და მოვარდისფრომოყვითალო ბუმბულა ყვავილებზე ფუტკრებს ისევს, აფრკვევს ტკბილ სურნელს, ჩვენ კი, პატარა გოგონიკები, წიგნებისთვის მივეშურებით. აყვავებულ ხის მახლობლად აფთიაქია, აფთიაქს აქეთ ბიჭიკო გელცმანის ქოხია. ქოხთან ბიჭიკო გელცმანი გარინდულა, ხელში ჯამი უჭირავს, ცალ მხარზე პიჯაკი ჰქიდია. მის წინ უშველებელი ნაგაზი რგოლს დაარიჩხინებს გრძლად გაბმულ მავთულზე. ბაზარს გადავჭრით, რაიკომის შენობას წინ ჩავურბენთ და ბიბლიოთეკაც იქვეა. პირველ სართულზე, დაბლა, სადაც ცად აწვდილი თაროებია, წიგნის თაროებს მივადგებით თიკნებივით, თავალერილნი ვათვალიერებთ, პანია თითებით ვეხებით ულაზათო ფერებით მოხატულ წიგნებს. ამ დროში ხომ ფერადები სანატრელია, მხოლოდ შავთეთრი, ან შავწითელი ტონები სჭარბობს. ბიბლიოთეკარის თითები ფორმულარს ავსებენ, სტაფილოსფრად დაფერილი გრძელი ფრჩხილები ჩხაკა-ჩხუკით მიჰყებიან უკან კალმის წვერს, მრგვალი, დოქივით მუცლიანი ასო-ბეგერებით ივსება პატარა ბარათი, მერე ეს ბარათი წიგნის ჯიბაქს ჩაეხუტება. ეს მთელი სპექტაკლია, სტაფილოსფრად დალაქულფრჩხილებიანი თითების სპექტაკლი. მხოლოდ ფრჩხილები... მასზე თვალთვალში არც ქალის ფერადი ზედატანი და კოხტად შემოსალტული ქვედაბოლო ჩანს და, არც ის, როგორ მიკელანობს ცამდე აწვდილ თაროთა შორის, დაბრუნებულ წიგნებს ძველი ადგილი რომ მიუჩინოს. ჩვენ კი გაცვეთილ ფერად წიგნებს ვიხუტებთ გულში ისე, როგორც ბარათი შეიფარა წიგნის ჯიბაკმა და ჩაიხუტა. ისევ გადვირბენთ იმ ქუჩაზე, საიდანაც მოვედით, გზადაგზა ფერად წიგნის კითხვა-თვალიერებით. ატმისსურნელიანი ბუსუსა ყვავილები ტკბილად ფშვინავენ და რაღაც აქვთ საერთო ამ ფერად წიგნებს და ატმის სურნელს. აფთიაქს იქით, ბიჭიკო გელცმანის მაღალი, დახვეწილი ფიგურა ჩანს თავის ქოხთან, უზარმაზარი ქოფაკი რგოლს დაარიჩხინებს

გრძლად გაბმულ მავთულზე. ბიჭიკო გელცმანს ხელში ალუმინის ჯამი უჭირავს, შავი პიჯაკი მოტეხილ ფრთასავით ჰკიდია ცალ მხარზე, დგას გარინდული, თითქოს რაღაცას აყურადებს. ატმის სურნელა ხე კი ყვავის, ყვავის და ყვავის. კვლავ განათდება და გამოჩნდება: ივერ მებადური და ბიძინა მეფუტკრე ილანდებიან სათავის ჯებირთან, სასროლი ბადეები ჯებირზე უდევთ, ბადეების ჯიბეებში ხავსი და ხის წირებია გამოჩრილი, ჯებირზე ნაცნობი და უცნობი ჩრდილები დაეხეტებიან, ლილოლოიან მინდორსაც ეცემა მათი ჩრდილი. ჩვენ წყაროსთან ვართ, ხე-ბუჩქნარით შემობუ-რულში წყარო მიჩუხუხებს, ყინულის ნაკადებს მიაცურებს და მოყვითალო ხავსგადაკრულ ლიპეზე გადაედინება, გა-დაეკიდება ხანისწყალს და თავს არ ანებებს. ამ წყაროს გვერდით მეორე წყაროა, მის იქით კიდევ მესამე წყარო, სამთა წყაროა – მაცოცხლებელი. ეს მერე გადაემტერებიან ამ წყაროებს, ხე-ბუჩქნარს, თხმელებს გაჩეხავენ, გზას გაიყვანენ, დაშრება კიდეც წყაროები, მხოლოდ ხსოვნა შეირჩენს იმ დაბურულს, მხოლოდ სიგრილის ყნოსვა ან სადმე თვალმოკრუ-ლი ყვითელი ემალის ჩაიდანი. წყაროსთან ვდგავართ, დედას წითელფოთლიანი თეთრი კაბა აცვია, ბამბის თეთრი თავ-საფარი აქვს წაკრული, შუბლს ზემოთ და საფეთქლებთან ჯეჯილივით უჩანს მოკლედ წამოზრდილი თმა. მე ცალი ხე-ლით დედის მხარს ვარ ჩაბლაუჭებული, მეორე ხელი დის მხარზე მიდევს, მოკლე შარვალი მაცვია და თმა, პატარა კიკი-ნა უკან მაქვს გაკრული შავი რეზინით. დედა მეზობლის ქალებს ესაუბრება. აი, ეს ქალებიც: მარგალიტა, ნატალია და ოლია. ჩემი და-ძმები დახრილან და რაღაცას აკვირდებიან, მე კი უფროსებს ვუგდებ ყურს. სულ ასეა მთელი ბავშვობა, სულ ის მაინტერესებს, რაზე საუბრობენ, რას ამბობენ უფროსები. კადრს გადმოლმა მამა დგას, ის იღებს ამ ფოტოს. ის აქვავებს ამ წუთს, ქარვაში დებს და ინახავს იმ დროისთვის, როცა ქარვას მე მივადგები, გადავადნობ და გულისკენ დავძრავ. ინგრევა ძველი ქვესადგური, ახალი შენდება. დრო გავა, არც მასზე შეჩერდება მზერა დიდხნობით. აიშლები-ან, ბუდეს მომლიან, სულ სხვა ქვესადგურებს გადაუფრენენ, თავს შეაფარებენ, უფრო მაღლებს, კოშკისებურებს, ფრთებს შეანუცილებენ უცხო ცის ქვეშ, მაღლივ ქვესადგურებთან, სულს მოითქვამენ, თვალს წყალს დაალევინებენ. უკან დაურჩებათ ძველი ქვესადგურები – დაბლები, შეუხედავები... მე კი, საითაც წავალთ, იქით წამომყვებიან ჩემი ქვე-სადგურები, სულ ავტობუსის გასწვრივ ირბენენ, ფეხდაფეხაც ირბენენ ჩემ გვერდით და ბონკოშიც გადამყებიან, იქ, წისქვილებთან თავიანთ ხმებს შეიძენენ, ბონკოც ხომ იმერეთია და: „რამდენჯერ ხარ აქანე ფეხით არებული, სა იყო, ამისთანა გატკვარცალებული გზაი შენ რომ დარბოდი აქანე, მაშინ დენი ანათებდა, მურადია? სა იყო დენი „ია აია“ – ს რომ სწავლობდი, სა იყო ნათურა? სა იყო დენი? ნავთი იყო და ჭრაქი იყო, ლამპა იყო, შვაცეცხლი იყო, პეტერე ღუმელი გვქონდა, ბუხარი გვქონდა, ნაცარში რო ჭადს აცხობდნენ რავარი იყო? დანაყულ ქინძს გადოუსობდი და რაფერი გემ-რიელი იყო. ჩვენ დღეს გვიკვირს, აპა, მურიკელა! მიაწყდა ჩვენი ხალხი სხვის ალაგეს, პრჭყვიალეები უკვირს. არაფერი არ მიკვირს, სახლში მეტლახიც ქე მაქ დაგებული, მარა არ მიკვირს, სოხანე მეტლახს არ სჯობდა, ბიო? რავარი ცივია „მეტლახი“, რაფერი თფილია, სოხანე... უკვირს ზოგიერთს, გადეიკარქება თვალითგან და უკვირს აპრჭყვიალებული.... რაია პრჭყვიალა? რაი ყრია პრჭყვიალეებში. ცხოვრებამ ჩვენ თვალწინ არ ჩეიარა, მურადია? ამას ყველაფერს ხო უნდა გათვალისწინება, ჩეიარა ცხოვრებამ, ბიო...“

გოჯილა

ოსტატმა ზონარი მოსწია და შეგირდმა დააშენა. ერთი ქვა ოსტატის, ერთი ქვა შეგირდის. ერთს რომ ოსტატი დაა-შენებს, ზონარს მოსწევს – ეს ძველებური ტელეგრამაა, მყისიერი შეტყობინება ტექსტის გარეშე, მოძღვარ-შეგირდის კურთხევანით გამყარებული. გაღმა ფერდზე შეგირდმაც ერთი ქვა უნდა დააშენოს საყდრის ბალავარს. ერთი ქვა ოსტა-ტის, ერთი ქვა შეგირდის, ორი საყდარი ორ მახლობელ ადგილას – ასე ყვება გორის ფერდის საყდრის ლეგენდა. დინჯია ოსტატი, წლებგამოვლილი, დაკვირვებულმზერიანი, რუდუნა მკლავით. სულსწრაფია შეგირდი, სული ყელში ამოსდის. სიჩქარეში თვალი უტყუვდება და ხელი უცუდდება. ერთს რომ ოსტატი დააშენებს და ზონარს მოსწევს – ჰარიქა, არ მომასწროსო, შეგირდი ორ ქვას დააშენებს ერთად. სულსწრაფია შეგირდი, ლეგენდის დასრულებას თუ ელტვის. ოსტა-ტის სანახევროდ მოყრილი საყდარი, შეგირდსაყდრის დასრულება უხარის. სულსწრაფად ნაშენები მიწყივ დაინგრე-ვა, ქვა ქვაზე აღარ დარჩება. შეგირდის საყდრის ნამუსრევი სიძველის მაძიებელ შეგირდთ აოცებთ, ოსტატზე უფრო ოსტატურიც ჰგონიათ ალბათ, მაგრამ შეგირდი როდი არი ოსტატზე მეტი. დღესაც ასეა, არაფერი არ იცვლება ამ ცის-ქვეშეთში, ყველაფერი მხოლოდ მძიმდება. ახლაც მოსწია ბრძენმა ოსტატმა ზონარი, მაგრამ შეგირდი შლეგიანია, ერთს რომ ოსტატი დააშენებს, ჰარიქა, არ მომასწროსო, ხუთს შეგირდი დააშენებს, ხუთ ქვას ერთად. სულსწრაფია, სული ყელში ამოსდის. მოზვერს რომ აბუზარა შეუძვრება კუდქვეშ და დაარბენინებს ქაჯიანივით, ღობეყორეს ისე ანყდება. ციხე-გოჯს ვამენებო, კოშკს, გოდოლს. არადა, გოჯილაა, ბავშვების ნათამაშები, ნაქურჩლით ნაგები. ჯერ ორი ნაქურ-ჩალი, მეორე წყება ჩამკეტი, მესამე წყება პირველის გასწვრივ, მეოთხე წყება ისევ ჩამკეტი. ასე კოკოლავდება ნაქურ-ჩლის გოჯილა, კოკოლა, ხუხულა. გრიგალს რად ელტვის, ანდა ქარის გამოქანებას, დაუნიავებს ნელი სიონ ნიავი და ძირს დააფენს მთელ ამ კოკოლას. ეჭ, რა ძნელია შლეგიანის ხელში ცხოვრება?! თვალებადქცეული მამა წევს. ის უკან აღარასდროს მოპრუნდება, შესვენებულთა რიგებში გადავა მალე. მე ვიხრები მისი განწმენდილ-გაპატიოსნებული სახისკენ და ვეუბნები: არ შეშინდე, გზად ანდრია შემოგხვდება და ის გაგიკლევს. მამა აღარ მოქაჩავს ზონარს. მისი ყველა ქვა დაშენებულია, მის თარაზოში ზეთის ბურთულა აღარ იძვრის, აღარ მიმოდის. მისი შვეული ლაროთი შვერ-ილს დაკიდებული აღარ ქანაობს. შესვენებულთა რიგებში გადავა მამა. მასაც შეიწოვს ოშადინე, გააქრობს მასაც და გორის ფერდის საყდრის ლეგენდა გამეზრახება, სად დავაშენე ერთად ორი ქვა.

მირიან რჩეულიშვილი



გეგი

(ნაწყვეტი მოთხრობიდან — „დიდი ზღვის სანაპირო“)

„აჟა, ესერა, მე გამცნებ შენ: განძლიერდი და მხნედ იყავ, ნუ შეძრნუნდები, ნუცალა გემინის. რამეთუ მე შენთანა ვარ, უფალი დმერთი შენი, ყოველსა ადგილსა, სადაცა წახვიდოდი.“

0ავჩალუნულმა ჩაამთავრა ბიბლიის კითხვა, წიგნი დახურა. შემდეგ თავი ასწია და შუშაბანდიდან შემოსულ მზის სხივებს მოუხუჭა თვალი. მხურვალება ლოყაზე ცხელი თაფლივით მოედო და ცოტა ხანს გააყუჩა.

მეგი მღვდელი იყო. მამამისის დანატოვარი მამულების უმეტესობა გაყიდა და ერთი დაფაცხავებული ეკლესია ააშენა. კედლებზე ზოგან ფანერები, ზოგან ფარდები ჰქონდა აკრული, მაგრამ მზის სინათლე წერტილებად აქა-იქ მაინც შემოდიოდა. ეგონა ფული უკეთეს მასალაზე ეყოფოდა, მაგრამ - არ ეყო. ქალია, ქალაქში ბინძურმა მუშებმა რაღაცა მოატყუეს ალბათ, მერეც უნიათოდ ურაკუნებდნენ ჩაქუჩებს. სანაპიროზე ფული იყო მთავარი, მეგის კი სულაც არ ჰქონდა მდიდრული იერი და აბა მისი კეთილი ზრახვები ვის რაში აინტერესებდა?

მაგრამ მაინც შეძლო. მეგი ახლა უკვე აშენებულ ეკლესიაში იდგა, ცოტა ნერვიულობდა, ოდნავ ხელიც კი აუკანკალდა, ქადაგებისთვის ემზადებოდა. მისი მრევლი სულ რამდენიმე ადამიანისაგან შედგებოდა: ლოთი ილია, რომელიც შუადღის გაუსაძლის სიცხეს თავს ეკლესიაში აფარებდა, რადგან სხვაგან უკვე ყველგან კარი ჰაკეტილი, მეგის მეზობლის ბავშვი ჰენრი, რომელსაც დედა ყველგან უშვებდა, ოღონდ სახლში არ მისულიყო, მეტად უცნაური შუახნის ქალბატონი ლაურა, რომელიც გამუდმებით თავის ქმარზე საუბრობდა და ყოველთვის მდიდრულად იყო გამოპრანჭული და კიდევ ნებისმიერი ვიგინდარა, ვინც ქუჩიდან აქ შემოხეტებოდა.

თავიდან ქალაქშიც და სოფელშიც ცუდი ხმა გაუვარდა. მეგის ნაგებობა ბაბილონის შორიახლოს იყო, სოფლიდან წამოსული თვალს ვერ მოაცილებდი, ისე მედიდურად მოჩანდა გორაკზე შემდგარი ფიცრული ეკლესია. გვერდით მდგარი ხმელი მუხის ტოტები თითქოს მზრუნველობით თუ ბოროტებით ჰქონდა გადაფოფრილი - გააჩნია, როგორი თვალით შეხედავდი. ქალაქისკენ მიმავალი გლეხები ერთს გვარიანად გადაიფურთხებოდნენ ხოლმე ეკლესის მხარეს და ისე აგრძელებდნენ გზას. ქალაქგარეთ გამოსული ელიტური საზოგადოება კი საერთოდაც არ იმჩნევდა და თვალს არიდებდა ამ სიმახინჯეს. ქალაქში ამბობდნენ, რომ მეგი ლესბოსელი და ნამუსახდილი ქალი იყო, რომელიც თავისინაირების მოგროვებას ამ ქოხმახში აპირებდა და ეკლესის ფორმაც იმიტომ მისცა, რომ თავისი გულგრილობისა და უზრდელობისათვის კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი. კაცებს დიდად არ ადარდებდათ მეგის ეკლესია, სხვა საქმეებით იყვნენ გართული. აი მათი ცოლები კი ბოლმით სკდებოდნენ, რომ ეს უსირცხვილო ქაჯი ერთი ხელის მოსმით წამოაჯდათ თავზე. თანაც რაო, მღვდელი ვარო? ჭორები ვრცელდებოდა და ზიზღი ტრიალებდა, მაგრამ ყოველივე ამით ისევ თავად იხრჩობოდნენ. მერე, როგორც იქნა, დიაკონ ალექსანდრომდეც მივიდა ეს ამბავი და მრევლი გასუსული ელოდა, რა ღონეს იხმარდა მათი სულიერი წინამძღოლი.

მეგიმ ეს ყველაფერი იცოდა: ისიც, რომ დღე-დღეზე ეკლესიის კარს შეიძლება გაველურებული ბრბო მისწყდომოდა და კაცმა არ იცის, რას ჩაიდენდნენ. ამიტომ უფრო მეტი უნდა ექადაგა, მეტი ხალხი მოეზიდა, თუ მომხვდურებს ბევრნი დახვდებოდნენ, იქნებ გაენებებინათ თავი, ან თავის დაცვას მაინც შეძლებდა მრევლი. გულსა და გონებაში ქაოსი უტრიალებდა, ხოშხოშელა წაბლისფერი თმა წელან რომ შეიკრა, ისევ მხრებზე ჩამოეშალა. მრევლი კი უკვე შეკრებილიყო და თავიანთ ადგილას ისხდნენ.

იატაკზე დაგდებულ ილიას ჰენრი წამოჯდომაში მიეხმარა, მანაც როგორდაც თავი გაასწორა და ბოთლით ხელში გაშეშდა. ქალბატონმა ლაურამ საქციელი შეუქო პატარა ჯენტლმენს და თავის გვერდით შესთავაზა ადგილი. რამდენიმე სოფლელ ქალსაც მოეყარა თავი მეგის ეკლესიაში, განაბულები აცეცებდნენ თვალებს აქეთ-იქით. მეგიმ მბზინვარე თმა ისევ შეიკრა და სტუმრებს წარუდგა.

ყველას მიესალმა, დალოცა და ქადაგებას შეუდგა. ყველა განაბული უსმენდა. მისი ქრისტე ბევრად უფრო სხვანაირი იყო, ვიდრე მათ წარმოედგინათ. მეგის სიტყვები სილალითა და სიყვარულით ივსებოდა, ის არ საუბრობდა მიმტევებლობაზე, ანდაც ბოროტებასთან ბრძოლაზე. არც ჭკუას არიგებდა ვინმეს, არც კაცობრიობის ცოდვებზე ამახვილებდა ყურადღებას. მის ბიბლიურ ცოდნას რაღაც განსხვავებული ელფერი დაჰკრავდა, მეგის ბაგედან სიმშვიდე და

სიმყუდროვე მოედინებოდა. მიმტევებლობა ჭეშმარიტი ქრისტიანის აუცილებელ საქმიანობად კი არ გაასაღა, არამედ მოაზროვნე ადამიანის ფუნდამენტურ ჩვევად. მისეული სარწმუნოება არ იყო შორს, მასთან მისასვლელი გზა ტანჯვის ხიდზე არ გადიოდა, არამედ პირიქით, ძალიან ახლო და ხელჩასაჭიდი ჩანდა.

დასასრულს, აქა-იქ შეიმჩნეოდა ტკბილად მომლიმარი სახეები, ქალბატონმა ლაურამ მადლობაც კი გადაუხადა მეგის. დანარჩენები ოდნავ დაბნეულნი წამოდგნენ, წაბარბაცდნენ, თავი დაუკრეს მღვდელს და ბარბაცითვე გავიდნენ ეზოში. მეგი ქალბატონ ლაურას გაუძღვა კარისაკენ და მრევლთან გამოსამშვიდობებლად ეზოში გავიდა. ყველას პამფლეტები დაურიგა. ზოგმა გამოართვა, ზოგმა - არა, ქალებმა: ამას სახლში ვერ მივიტანთო, ერთმა კაცმა შემოუღრინა კიდეც და მეგიც ისევ ეკლესიაში შებრუნდა. კარი მიხურა, ურდულით გადარაზა და თვალებდახუჭული მიეყრდნო კედელს. უნდოდა ღრმად ჩაესუნთქა, იმის იმედით რომ მთელი ტკივილი და ნერვიულობა ამოსუნთქვას გაჰყვებოდა თან, მაგრამ წინა რიგებიდან შრიალი მოესმა. წინ წაინია ფეხაკრეფით და კედლის ჭრილიდან შემომავალ შუქზე კაცისა და ქალის ფორმები დალანდა. მიუახლოვდა, ორნი ერთმანეთს კოცნიდნენ, ისიც დაინახა, რომ რამდენჯერაც კაცი კაბის ქეშ შეყოფილ ხელს გაატოკებდა, ქალიც იმდენს წამოკვენესებდა ხოლმე და მერე სიცილს აგრძელებდა.

- უკაცრავად... - ხმა ჩასწყდომოდა მეგის - ...უკაცრავად-მეთქი!

კაცმა ერთი გამოხედა ღიმილით და ისევ გააგრძელა თავის ქალბატონთან თამაში.

- შეწყვიტეთ ახლავე! - ეკლესიაში მრისხანედ დაირხა მეგის ხმა. - დაუშვებელია ამგვარი საქციელი!

- აქ რა... მართლა ეკლესია გაქვთ? - ამრეზით ამოხედა მამაკაცმა.

- აბა, თქვენ რა გეგონათ?!

- ჩევნ გვითხრეს საროსკიპოაო - სულელური ღიმილით უპასუხა ქალმა.

- ახლავე დატოვეთ აქაურობა! - დაიყვირა მეგიმ, განზე გადგა და კარისკენ მიუთითა.

- და რომ არ დავტოვოთ რა? - დამსკდარი ტუჩებიდან ჩაბუდებული ზიზლით გამოცრა კაცმა და მზით გადამწვარი სახე მიუშვირა მღვდელს. რაღაც ბნელი და ღვარძლიანი ბოლმა ამოდიოდა ამ კაცის თვალებიდან.

მეგი გაშრა, გაიყინა, თითო ისევ კარისკენ ჰქონდა გაშვერილი. წაბლისფერი ხოშხოშელა თმა ნელა ჩამოეშალა მხრებზე და მათზე არეკლილი მზის ბზინვარება უცნაურად მოუხდა ანყლიანებულ შავ თვალებს, ოფლმოდენილ ტუჩის კიდეებსა და სწორ გრძელ ცხვირს, რომელიც კარისკენ გაშვერილი თითივით მკაცრად ედგა სინათლით ავსებულ სახეზე. დაიბნა. ნამდვილად არ იცოდა, ახლა რა უნდა ექნა. შეეშინდა. სუნთქვა უჭირდა. მაგრამ კაცმა თავი დახარა, წამოდგა, თავისი ქალბატონიც ძალით წამოკვენა და გასასვლელისკენ გაემართნენ.

როცა გავიდნენ, მეგი შეეცადა თმები ისევ შეეკრა, მაგრამ ტოტები ხელიდან უსხლტებოდა, მზეც უცნაურად დაადგა თავს, ჩაიკეცა, სახე ხელისგულებში ჩარგო და აქვითინდა. მერე საკუთარ თავზე გაბრაზდა და უფრო მეტად ატირდა. როცა დამშვიდდა, თვალები ანაფორით მოიწმინდა და სახლში დაბრუნება გადაწყვიტა. ეკლესიიდან გამოსული შეკრთა, რადგან წელანდელი ურცხვი სტუმარი კიბეზე დახვდა ჩამომჯდარი. გვერდით ჰენრი მისჯდომოდა და რაღაცას ებასებოდა:

- ...სოფლის დუქანი უნდა გადაწვათ - ურჩევდა ბიჭუნა.
- ჰო? - სრული სერიოზულობით ეკითხებოდა უცხო.
- კაცები იქ აღარ წავლენ, მამაჩემსაც აღარ დაუძახებენ, ისიც აღარ დათვრება და მე და დედას აღარ გვცემს. მე თვითონ გადავწვავდი, მაგრამ ნავთი ვერაფრით ვერ ჩავიგდე ხელში.
- ასე ძალიან გინდა იმ დუქნის გადაწვა? - სტუმარმა მხარზე ხელი დაადო ჰენრის.
- კი. მერე ჩემი დაც აღარ მცემს.
- მენი და რატომ გცემს?
- მეუბნება, მამას ჰგავხარ და შენც ისეთი გაიზრდებიო - თავჩალუნული ბურტყუნებდა ჰენრი.
- გონია, დუქნის გადაწვა საქმეს უშველის?
- რამდენს მალაპარაკებთ! გადაწვავთ თუ არა?
- კარგი, - უცნობმა ხელი მოაშორა ჰენრის მხარს - ვხედავ, სერიოზულ კაცთან მაქვს საქმე. დეტალებზე უნდა დავილაპარაკოთ.
- ფული ჯერ არ მაქვს, მაგრამ დიდი კაცი რომ გავიზრდები, აუცილებლად გადაგიხდით.
- მჯერა შენი. ხვალვე, არა?
- ჰო.

- კარგი, ხვალ მზიანი დღე იქნება. სიცხე დააჭერს. ცეცხლი ადვილად წაეკიდება. მაგრამ ხალხი ჩაქრობას შეეცდება. მაშინ მე იმათ სახლებსაც უნდა წავუკიდო ცეცხლი, რომ ყველანი დაიფანტონ და ყველამ თავის კარ-მიდამოს მიხედოს, ისე რომ დუქნის დარდი არავისა ჰქონდეს. მაგრამ მედუქნე და მისი მსახურები ხომ მაინც თავისას შეეცდებიან. გამოდის რომ მედუქნე უნდა დავაბა. მაგრამ მედუქნე კაი ჯანიანი კაცია, თან მსახურებიც არ დამაცდიან, გამოდის რომ მსახურები უნდა დავხოცო. თანაც სოფელში მხოლოდ ერთი წყლით სავსე ცისტერნა დგას. ხანძარი რომ გაჩაღდება, რიგში ჩამდგომი არავინ იქნება. წავა ჩხუბი და დავიდარაბა, ვინ იცის, იქნებ ვიღაცებმა ერთმანეთი დახოცონ კიდეც. სიცხეც თავისას იზამს, ცეცხლი სახლებიდან ეზოებზე გადავა, ეზოებიდან მამულებზე. ეს ხალხი თავშესაფრისა და ლუკმა პურის გარეშე დარჩება. ნავთს მოგცემ, სოფელში რომ დაინახავ გაჩაღებულ ცეცხლს და ანიოკებულ ხალხს, მაშინ წაუკიდე დუქანს და მეც მალე მოვალ. ოღონდ სროლა თუ დაინყეს, მინაზე დანექი და ჩემ გამოჩენამდე თავი არ ასწიო. თუ მოკლულს დაინახავ ვინმეს, იმასთან მიხოხდი და გვამს მოეფარე. ხვალ მზის ამოსვლაზე დავიწყოთ, რას იტყვი, აბა?

ჰენრის ცრემლები გადმოსცვივდა, მაგრამ მაინც თავს იკავებდა ტირილისგან.

- აღარ გინდა დუქნის გადაწვა? - ჩაეკითხა სტუმარი.
- დუქნის კი, მთელი სოფლის არა. - ცრემლებს იწმენდდა ჰენრი.
- ვაჲ, მასე არ გამოვა, ხო გითხარი. ჩაქრობენ.
- აბა რა ვქნა?

- პატარა ცეცხლიდან დიდი წარმოიშვება, იქიდან უფრო დიდი, და გაიზრდება და გაიზრდება, სანამ ყველაფერს არ გადაწვავს თავის გზაზე. ბოროტებას ბოროტებით ვერ მოერევი - სტუმარი უკვე თავისთვის ბუტბუტებდა. მერე ისევ ჰენრის გახედა - ...ეკლესიაში რისთვის დადიხარ?.. წადი და ილოცე. ღმერთს შეეხვენე.

- მთელი წელია ვეხვენები. - ახლა უკვე ლაპალუპით მოსდიოდა ცრემლები ჰენრის.

- ეცადე უფრო გულწრფელი იყო.

კაცმა მოიხედა, მეგი შენიშნა. ცოტა ხანს უყურეს ერთმანეთს, მეგი შეკრთა, ჰენრი წამოხტა, შერცხვა მისი ცრემლიანი სახე რომ დაინახეს და დალმართზე სირბილით დაეშვა. ახლა მეგიმ მოისვა სახეზე თითები, თვითონაც შერცხვა ცრემლების.

- ტირილი სირცხვილი არაა. - უთხრა სტუმარმა.

- ჴო, ქალებს მეტი რა შეუძლიათ... - ირონიულად უპასუხა მეგიმ. - საროსკიპოო, არა? მტირალა მღვდლის სახელიც გამივარდება ახლა...

- კაცებიც ტირიან - ისევ გამოხედა უცხომ - ადამიანს თუ გტკივა, ამაში სასირცხვილო არაფერია.

- რა გქვიათ?

- კოლტონი. კოლტონ უაითი.

- კოლტონ უაითი? ის კოლტონ უაითი? - ჩაეკითხა მეგი.

- არა მგონია, ვინმეს ჩემზე ბინძური სახელი ჰქონდეს სანაპიროზე.

- აქ ასე იციან. რასაც ხალხი ლაპარაკობს ყველაფერი მართალი კი არ არის.

- როგორ არა, ზოგი არის, ზოგი არა... - გაბზარულმა ღიმილმა გაპკრა კოლტონს სახეზე.

- ავხორცი და მკრეხელი რომ ხარ, თავად ვიხილე. ეჭვი მეპარება მაგ ტყვია-წამალს სილამაზისთვის ატარებდე. საშიში ადამიანი ხარ, კოლტონ. ხალხს შენი ეშინია.

- თქვენ? თქვენც გეშინიათ? - კოლტონი წამოდგა, ერთი საფეხურით დაბლა იდგა მაგრამ მაინც მღვდელზე ბევრად მაღალი იყო, ლამაზი კაკაოსფერი პიჯაკი კოხტად ედგა მსხვილ მხრებზე, სახიდან მრისხანება არ შორდებოდა.

- კი. მე ძალიან მეშინია თქვენი - ძლივს ამოიკნავლა მეგიმ და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან. - აქ რისთვის მოხვედით?

- რა ვიცი... - გაელიმა კოლტონს - ...გასართობად.

- მაშინ რატომ ალარ მიდიხართ? - წელანდელივით გაბრაზდა მეგი.

კოლტონი გაშეშდა. კი იცოდა, რატომაც დარჩა, მაგრამ ვერცერთი მიზეზი ვერ ამოთქვა. მეგის სილამაზემ მოხიბლა, მისმა უმწეო სიმამაცემ, შეებრალა კიდეც, შეეცოდა. შეეშინდა - ველურ ხალხს ყელში რომ ამოუვიდოდა, როგორ ამოანთხევდნენ თავიანთი უბედობისგან დაგროვილ ბოლმას ამ პატარა ქალზე. მეგის ასეთი თამამი საქციელი და ქედმალ-ლობა მშვიდად ნამდვილად არ ჩაივლიდა.

- რატომ? - თავისთვის გაიმეორა კოლტონმა, მეგიმ თითქოს იგრძნო კოლტონის თანადგომა - რა ვიცი აბა... შენ რატომ გინდა მღვდლობა?

- მე ბავშვობიდანვე სხვანაირად მესმოდა ბიბლია. ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდი უფროსებს. მაგრამ ვერ ვბედავდი რაიმეს თქმას. ღმერთმა იმისთვის გამაჩინა, რომ ხალხს მისი სიტყვა გადავცე. ყოველთვის ეს მაღლვებდა და სხვა რამის კეთებაზე არც არასდროს მიფიქრია. შენ?

- რა მე?

- რისთვის გაგაჩინა ღმერთმა? - ჩაეკითხა მეგი.

კოლტონი შეტრიალდა. გორაკის ძირას სოფელს გადახედა, შემდეგ სანაპიროს ნაწილსაც შეავლო თვალი, გარშემო მიმოიხედა, მხრები აიჩეჩა, ხელებზე დაიხედა:

- მეტოქე სჭირდებოდა ალბათ - ისევ გაეცინა კოლტონს.

- ნუ მკრეხელობ! - გაუბრა ზდა მეგი - როცა აქ ხარ, ნუ მკრეხელობ!

- ბარემ ჯვარზე გამაკარით, დედაო!

მეგის ოდნავ გაელიმა მაგრამ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. კოლტონიც სწორედ ამ სანუკვარი და ამოუცნობი სიმშვიდით ტკბებოდა, რომელიც სულ უფრო ნაზად იქარგებოდა მღვდლის სახეზე. თითქოს ქალის სული მთლიანად ნეტარების ბურუსს მოეცვა. მზისფერ თვალებში სიცოცხლე უდუღდა, ბრჭყვიალა მზე სულ უფრო მეტად დასთამშებდა ხასხასა თმებზე, ხმა კი ათასი ზღვის სიღრმითა და მომნუსხველობით ჰქონდა შერბილებული.

- ბავშვობაში ჩემი ძმა ერთ ზღაპარს მიყვებოდა ხოლმე - განაგრძო კოლტონმა, როცა ორივენი კიბეზე ჩამოსხდენ - უფლისნული გადაწყვეტს სახელმწიფოში ყველაზე ლამაზი ქალი მოიებნოს და ცოლად შეირთოს, რათა თავისი მდიდრული სასახლე უფრო მეტად დაამშვენოს და მოსიყვარულე მამასაც გული გაუხაროს.

ამიტომ თავიდან, უამრავ დიდგვაროვან და კეთილშობილ ოჯახს ესტუმრება, სადაც მართლაც ულამაზესი ქალიშვილები ჰყავდათ გასათხოვარი. მაგრამ ყოველთვის, როდესაც მსტოვარს გააგზავნიდა ამბის გამოსაძიებლად, აღმოჩნდებოდა რომ ყველა ოჯახს რაიმე დიდ ცოდვაში ედგა ფეხი. ქალიშვილები უწესოები იყვნენ, მათი ძმები ლაჩრები და ნათესავები მოღალატენი.

თავის ერზე გულგაცრუებულმა უფლისნულმა გადაწყვიტა უფრო შორს, სხვა ქვეყნებში წასულიყო. ბევრი იარა, თუ ცოტა, ერთ დღესაც მსტოვარმა ამბავი მოუტანა, რომ მათ შორიახლოს უზარმაზარი კოშკი ნახა. ბოლო სართულზე კი მთელ სამყაროში ყველაზე ლამაზი და კეთილშობილი ქალი ცხოვრობდა. მაგრამ კოშკს უზარმაზარი დრაკონი ჰყავდა მიჩენილი და ახლო არავის უშვებდა.

უფლისნულიც მაშინვე გაემზადა და დრაკონთან საბრძოლველად წავიდა. კოშკთან მისულმა ფანჯარაში შენიშნა ულამაზესი ქალი, რომელიც გაფითრებული იცქირებოდა ქვემოთ. უფლისნული შეებრძოლა დრაკონს და დაამარცხა კიდეც. მაგრამ როდესაც კოშკის კარები შეამტვრია, დაფეთიანებული ქალი თვალებაღვარებული მივარდა დრა-

კონს და მუხლებზე დაემხო. ისეთი ხმით ტიროდა, რომ შორიახლო სოფლებიდან ხალხმა დაიწყო შეგროვება. დაბნეული უფლისწული სულელივით შეჰყურებდა უცნაურ სურათს.

- რაშია საქმე? - ჰკითხა ქალს - რატომ ტირი?

აღმოჩნდა, რომ ქალი დრაკონზე იყო შეყვარებული. შეშინებული კი კოშკიდან სწორედ იმიტომ იყურებოდა, რომ არ უნდოდა, მისი შეყვარებული მოეკლათ. ბევრი ეძახა უცნობ მეომარს, ბევრი უყვირა, მაგრამ ბრძოლაში გართულს, ვერაფერი გააგებინა.

უფლისწულს თავზარი დაეცა. გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნებულიყო და სამუდამოდ დაევიწყებინა ყველაფერი, რაც თავს გადახდა. მოგზაურობაში დიდი დრო გაატარა და სახლში დაბრუნებულმა შენიშნა, რომ მამამისის ბრწყინვალე სასახლე მხოლოდ გარედან ჩანდა ლამაზი, შიგნით ბოროტი და გაიძვერა ხალხით იყო სავსე. თავად მამამისიც არ იყო საუკეთესო მეფე და უამრავი საშინელი საქმე ჰქონდა ჩადენილი. როცა სარკეში ჩაიხედა, იმასაც მიხვდა, რომ უაზრო ახირების გამო თავისი ქვეყანა და ხალხი რამდენიმე წლით მიეტოვებინა.

ამ ზღაპრით ჩემს ძმას უნდოდა ერთი რამე აეხსნა ჩემთვის: ყველაფერი ისეთი არაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. არც სამყაროა ისეთი, როგორსაც ხედავ და არც შენ ხარ ისეთი, როგორიც გვინია. - ახლადა შეამჩნია კოლტონმა, რომ მეგის მის მხარზე ჩამოედო თავი და თვლებმდა. - არც მე ვარ საშიში და არც შენ ხარ ძლიერი.

- ჭკვიანი ბიჭი ყოფილა შენი ძმა - თავისთვის ჩაიბუტბუტა მეგიმ.

- ჰო. - დაეთანხმა კოლტონი და თვალებში ჩააცქერდა მღვდელს.

- საღამოვდება უკვე, დროა სახლში წავიდე - გაელიმა მეგის.

- ჰო. დროა. - ღიმით დაუკრა თავი კოლტონმა - მეც ჩავალ სოფელში, ღამის გასათევს მოვძებნი.

- ხვალ დაესწრები ქადაგებას?

- ალბათ, კი - ტკბილად ჩასჩურჩულა კოლტონმა, სახე ახლოს მიუტანა და რბილ ტუჩებზე ნაზად აკოცა.

მეგი წამოდგა, ვითომც აქ არაფერიო და სახლისაკენ დაეშვა.

კოლტონი სოფლის დუქანს ლამიანად მიადგა. ხურდა ფული ბარზე დაყარა და კათხა ლუდი მოითხოვა. მაგიდის ბოლოში მჯდარი მსუქანი, ბინძური კაცის დაუინებულმა მზერამ კათხის ჩაცლა არ დააცადა. მსუქანას ოფლისგან ერთ-მანეთზე შეწებებული წვერი, მთელ სახეზე რგოლებად დახვეოდა. აქა-იქ გაჭაღარავებული ხუჭუჭა თმაც ჯაგარივით ეყარა თავზე, დიდი შუბლი ჩაშავებულ და ამოღამებულ თვალებს უჩრდილავდა. მზეზე დაწითლებული კისერი მოეშიშვლებინა და ბოტოტა თითებს ყელზე ისვამდა. კოლტონმა კათხა დადგა და ისევ ბარმენს მიუბრუნდა:

- ღამის გათევა ხომ შეიძლება თქვენთან?

ბარმენმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და კიბეზე მიუთითა, რომელიც მეორე სართულზე ადიოდა. კოლტონს უნდოდა სმა გაეგრძელებინა, მაგრამ იმ კაცის მზერა მოსვენებას არ აძლევდა.

- რაო - გასძახა კოლტონმა - რას მომჩერებიხარ?

- არა, არაფერი - უპასუხა ღიმილით - რაო მღვდელმა ქალბატონმა, ვარგა რამედ? კოლტონმა კათხა მოიყუდა, დაცალა და კიბისაკენ გაემართა.
 - ...საათში მაინც რამდენს იღებს არ იტყვი? არა მგონია იაფი დაჯდეს... ფული ჯანდაბას, თუ ღირს გადავიხდი, მა-გრამ ის მაინც ხომ უნდა ვიცოდე, ჩემ ცოლს ჯობია თუ არა. - თავს არ ანებებდა კაცი.
 - ბორის, შენ ცოლს ყველაფერი ჯობია, რასაც კი გული უცემს! - გასძახა ვიღაცამ.
 - რა იყო, ენა ჩაგივარდა თუ იმ ქალში ჩაგრჩა? - მკლავში სწვდა კოლტონს - ან ფული რაზე გადავყარო, როცა მე და ჩემს ძმაკაცებს შეგვიძლია ავიდეთ და ჩვენი ისედაც გავისწოროთ?
- კოლტონმა იდავყვში სტაცა ხელი და ისე ამოუტრიალა, რომ ძვლები სულ ტკაცატებულით დაულენა. მეორე ხელით კეფაში სწვდა და თავი ისე არტყმევინა, სანამ ცალი თვალი და კბილები არ დაატოვებინა მაგიდაზე. მერე ხელი შეუშვა და ბორისიც უგონოდ გაიშხლართა კოლტონის ფეხებთან, მანაც ზედ გადააბიჯა და დასაძინებლად წავიდა.
- მეორე დღეს ადრიანად გაემართა ეკლესისაკენ. ეზოში დიაკონი ალექსანდრო შენიშნა, რომელიც მეგის უყვიროდა და რაღაცას ეჩჩუბებოდა. ნაბიჯს აუჩქარა, არც გაუგია რას ლაპარაკობდნენ, ალექსანდროს ქერიში ხელი სტაცა და თავისკენ მოატრიალა. დიაკონს განცვიფრებით დაეჭყიტა თვალები:
- ... შენ? - ძლივს ისუნთქავდა ჰაერს - შენ? შენი ხელიც ურევია ამაში?!
 - ჩემი ხელი ახლა შენს სიფათში აირევა - სხვათაშორის მიუგდო კოლტონმა.
 - არ შეიძლება ქალი იყოს მღვდელი! - წელანდელი გამნარებით გაჰკიოდა ალექსანდრო - ან ვინ აკურთხა? ვინ მისცა უფლება? ეს მხოლოდ მკრეხელობა და ღვთისგმობა! ვისაც მოეპრიანება ყველამ ეკლესია უნდა ააშენოს?!
 - ბევრს იცნობ სანაპიროზე, ვინც ეკლესია ააშენა? - კითხვაზე კითხვით უპასუხა კოლტონმა.
 - გამომიხვედი შენც ჭკუის კოლოფი! - ალელვებული იქნევდა ხელებს დიაკონი - ეს შენობა... უნდა დაინგრეს და ამ ქალმაც ანაფორა უნდა გაიხადოს. - დიაკონმა წინ წაინია, მაგრამ კოლტონმა ხელი ჰკრა და უკან დააბრუნა.
 - როგორ ბედავ, სასულიერო პირს ხელით შეეხო?! - ალშფონთებული იმეორებდა ალექსანდრო - ...როგორ ბედავ?! ახლავე მომეცალე გზიდან!
 - შენ არც ამ ეკლესიას შეეხები, არც ამ ქალს. - ალექსანდრომ ისევ წინ წაინია და კოლტონმაც ისევ ჰკრა ხელი. - ახლა ადგები, გაბრუნდები, და ისევ იმ სოროში შეძვრები, საიდანაც გამოძვერი.
- ალექსანდრო გამნარდა, გაგულისდა, სისხლი მოაწვა და თვალები გადმოეკარკლა. ბრაზით უცახცახებდა მთელი სხეული, მუჭებშეკრული ტორტმანებდა ერთ ადგილას, ბოლოს დაიღრიალა და მარჯვენა მუშტი კოლტონს მოუქნია, მაგრამ მის მუშტს კოლტონის მუშტი შეხვდა და ტკივილისაგან გამნარებულმა წრეზე დაიწყო სირბილი. ხმაურზე ათიოდე კაცი მოგროვდა ეკლესიასთან.
- წყეულიმც იყავ კოლტონ! წყეული!.. - ყვიროდა დიაკონი და ლოყებზე სიმწრის ცრემლები ჩამოსდიოდა. გულის-ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოაძვრინა, ხელზე დაიხვია, თავიც მოთოკა და ხელები ეკლესისკენ გაიშვირა: - ვინაიდან შე-

მოგვეპარნენ ზოგიერთი; უღმერთონი, გარყვნილებად რომ აქციეს ჩვენი ღვთის მადლი და უარყოფენ ჩვენი ერთა-დერთი მპრძანებელისა და უფლის, იესო ქრისტეს წესს, რადგან იქცევიან ისევე, როგორც სოდომი, გომორი და მათი მოსაზღვრე ქალაქები, მათსავით მემრუშენი და უცხო ხორცს ადევნებულნი, ან უკვე საუკუნო ცეცხლით დასჯილნი და ნიმუშად დადებულნი! იგივე მოგელით თქვენ! ან და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამინ. ...მე დავბრუნდები, კოლტონ!

გამნარებული დიაკონი გაბრუნდა და სწრაფი ნაბიჯით ჩაიარა დაღმართი.

- რატომ ვეზიზღებით ასე? - გაფითრებული იდგა მეგი.

- რა ქნას... - შემოტრიალდა კოლტონი - მღვდელი რომ იყო, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვისება უნდა გაგაჩნდეს: თავდაჯერება და თავმდაბლობა. უბრალო კაცისთვის, ამ თვისებების შეთავსება უფრო რთულია, ვიდრე ნემსის ყუნწში გაძრომა.

მეგის კოლტონის სიტყვა მოეწონა, მაგრამ მაინც წარბშეკრულმა ახედ-დახედა. თითქოს ანიშნა, შენც თავმოყვარეობა გძალავს, თუ თავი მასზე მეტი გვინიაო. მერე ხალხს მიუბრუნდა და ყველა ეკლესიაში შეიპატიუა. ქადაგებას კოლტონიც დაესწრო. ოღონდ კართან იდგა, ჩრდილში, მრევლისგან მოშორებით. საუბრისას მეგი ხშირად გახედავდა ხოლმე კოლტონს, რომელიც ყველაზე მეტი გულისყურით ისმენდა მშვენიერი ქალისგან წარმოთქმულ ღვთის სიტყვას. მაღალი წვრილი ფანჯრიდან თეთრად იჭრებოდა უდაბნოს მზე და თოვლივით ეფინებოდა მეგის თეთრ ანაფორას. ყველა გასუსული უსმენდა. რამდენჯერაც მეგი კოლტონს მიაშტერდებოდა, თვალები ისეთი ღრმა და მრავლისმეტყველი უხდებოდა, ხალხს ეგონა, სწორედ ახლა ჰკარნახობს ქრისტე ღმერთი ყოველ სიტყვასო.

- ...ჩვენ უნდა ვიწამოთ ღმერთი. - ამბობდა მეგი - ვიაროთ იმ გზით, რომელიც მან გავიკვალა. რატომ არის ამდენი უბედურება და ტკივილი ჩვენს სანაპიროზე? რატომ გაქვთ ნანამები სახე თქვენ და თქვენს მეზობლებს? რატომ ივსება ჩვენი სოფლის დუქანი ყოველდღე ისეთი ადამიანებით, რომლებიც მზად არიან თავიანთი შრომით მოპოვებული უკანასკნელი გროშები სასმელში გადაყარონ? ისინი მთელი დღე წვალობენ, შრომიბენ, ხნავენ და თესავენ, იმისათვის, რომ დღის ბოლოს რამდენიმე საათით დაივიწყონ თავიანთი გაჯანჯლებული ცხოვრება. ვერცერთი თქვენგანი ვერ დააღწევს ამ სიმახინჯეს თავს, თუ ღმერთისკენ არ მიბრუნდება. ალბათ იყითხავთ - ჩვენ რა შუაში ვართ, ხომ მოვედით ეკლესიაშიო. ხომ დავდივართ ყოველდღე და ხომ ვაღიარებთ იესო ქრისტეს, ჩვენს მხსნელსო?

მაგრამ ეს მხოლოდ თვალთმაქცობაა. თქვენ საკუთარ თავებს ატყუებთ. ან ატყუებთ, კი? გულის სიღრმეში ყველამ კარგად ვიცით, ვინცა ვართ. ნებისმიერ უღმერთო ადამიანზე საშიში, ფარისეველი ადამიანია, რომელსაც ღმერთის ადგილი ვერ უპოვია ცხოვრებაში, და ეკლესიაში მხოლოდ თავის საკანტუროდ მოდის. ხოლო აქედან გასული, ისეთივე ცოდვილი და სამყაროს სიტკბორებისაკენ მიდრეკილია, როგორიც მანამდე იყო. ჩვენ ხელახლა უნდა აღმოვაჩინოთ ღმერთი და ვიწამოთ მისი. თქვენ აღიარებთ ღმერთის არსებობას, მაგრამ ეურჩებით მას და არ ცხოვრობთ იმ წესით, რომელიც მან დაგვიტოვა. ეს სამყარო მართულია ღმერთის მიერ, ყოველივე ტკივილი და ტანჯვა, რაც ცხოვრებაში დაგმართვიათ, მხოლოდ და მხოლოდ იმის ბრალია, რომ თქვენ ღმერთი განდევნეთ თქვენი ცხოვრებიდან.

როდესაც ბაგებს ვხსნით, ვამბობთ რომ გვწამს მისი, გარეგნულადაც - ვლოცულობთ, ვგალობთ, აღსარებას ვაპარებთ. მაგრამ შინაგანად? ისე ვიქცევით, თითქოს წმინდა წერილის შესახებ არაფერი ვიცოდეთ. სწორედ ესაა ჩვენს სანაპიროზე ხალხის უბედურების უდიდესი წყარო. ჩვენ ჩვენდაუნებურად მივატოვეთ ღმერთი. - ჩაამთავრა მღვდელმა.

ხალხი ოდნავ შეშინებული და შერცხვენილი უყურებდა მეგის. ის კი მედიდურად იდგა, თავდაჯერებული და თავმდაბალი.

- და ბოლოს - გააჩერა ფეხზე ძლივს წამომდგარი მრევლი - მინდა დიაკონ ალექსანდროზეც ვთქვა ორიოდ სიტყვა: შეუძლებელია, ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანი სიძულვილით იყოს სავსე. თუ ადამიანი ნებისმიერი სახის სიძულვილს ქადაგებს, ანდაც ღვთის რისხვით გვაშინებს, მას არაფერი აქვს საერთო რელიგიური ცხოვრების წესთან. ამით ის არც თავის თავს ეხმარება, არც გარშემომყოფებს, არც სოფელს და არც ქვეყანას. დაიმახსოვრეთ, ის ვინც სიძულვილს ქადაგებს, რაღაცა არმიის შეკვრას ცდილობს, თქვენ კი არავის სათამაშო ჯარისკაცები არა ხართ!

მზე უკვე ჩადიოდა. მეგიმ პამფლეტები დაარიგა. ამჯერად ყველამ გამოართვა. მაღლობზე სასიამოვნო ნიავი წამოვიდა ზღვიდან, სახლში წასვლას არავინ ჩქარობდა. ყველამ თავისი წილი საგზალი ეზოში გაშალა, ერთმანეთს თავიანთ გასაჭირს უყვებოდნენ. თითქოს სანაპიროზე პირველად გამოეცნაურა ხალხი ერთმანეთს. კოლტონი განაბული იჯდა და უსმენდა ახალ ნაცნობებს. მეგი რაღაცას ყვებოდა თავის მამაზე, მაგრამ კოლტონს სიტყვა არ გაუგია. ჩამავლი მზეც კი ვერ ახებებდა თავს მის ქათქათა ანაფორას და თეთრ კბილებს, მზისგან შეწითლებულ ლოყებს რომ უმშვენებდა. წაბლისფერი თმა ისევ ჩამოეშალა, მაგრამ საუბარში გართულს აღარ შეუმჩნევია. კოლტონს მოსწონდა, როცა მეგი ნეკა თითოთ ისწორებდა თმას. მისთვის მხოლოდ ეს მოძრაობაც ძალიან ბევრს ნიშნავდა.

- კოლტონ... თქვენ კოლტონ უაითი ბრძანდებით, არა? - უცბად გამოაფხიზლა ქალბატონი ლაურას შეკითხვამ. მის მედიდურ იერში ოდნავი უხერხულობა იპარებოდა, რადგან მინაზე მჯდომი არც თუ ისე კომფორტულად გრძნობდა თავს. ნება-ნება აბოლებდა სიგარეტს და დროდადრო ბუმბულს ისწორებდა ქუდზე.

- დიახ, მემ, გახლავართ - თავი დაუკრა კოლტონმა.

- თქვენ ხომ ომის ვეტერანი ხართ! ძალიან ბევრი მსმენია თქვენზე.

- ეჭვიც არ მეპარება, მემ.

- შენ ხარ უაითი? - თავი წამოყო ლოთმა ილიამ. კოლტონმაც თავი დაუკრა.

- ილია, როდის უნდა შეეშვა ლოთობას? - უსაყვედურა ლაურამ, როცა მისი სიმყრალე ეცა.

- ლოთობას?.. რა ლოთი მე ვარ. ლოთი რომანტიკოსი უნდა იყოს. მე რომ მართლა ლოთი ვყოფილიყავი, აქამდე თავს მოვიკლავდი, რომ მერე ხალხს სინანულით გავეხსენებინე. - ილიამ ისევ მოიყუდა ბოთლი.

- თქვენ ხომ გმირი ხართ, ბატონო კოლტონ - განაგრძო ქალბატონმა გლორიამ - აქ რამ მოგიყვანათ?

- ვეტერანი და გმირი ერთსა და იმავეს არ ნიშნავს, მემ.

- უკეთესი მმართველობა გვჭირდება ჩვენ. ქალაქის მერმა აუცილებლად უნდა იცოდეს თქვენ შესახებ. თქვენნაირი ადამიანები დაფასებას იმსახურებენ, და არა სოფელ-სოფელ ხეტიალს.

- მე ისევ ისე ვცხოვრობ, როგორც აქამდე ვცხოვრობდი, მემ. ერთ ადგილას არ შემიძლია დიდხანს გაჩერება.
- წესიერ მოქალაქეს სურს პატივი მიაგოს, ვეტერანს, რომელმაც სიცოცხლე გასწირა საშობლოსათვის. - ისევ წამოყო თავი ილიამ.

- საბედნიეროდ, ბატონ კოლტონს არ მოუნია სიცოცხლის გაწირვა და საღ-სალამათი დაბრუნდა.

- ცდებით, ქალბატონო გლორია - ბოთლი დაეცალა ილიას - ომიდან ცოცხალი არავინ ბრუნდება.

- ომი ყოველთვის შეცდომაა. - თქვა კოლტონმა - ჩვენ რომ ნორმალური მმართველობა გვქონოდა, საერთოდაც არ მოგვინევდა სახელმწიფოსთან ბრძოლა. სამწუხაროდ, მხოლოდ ვეტერანებმა იციან, რომ ომს ყოველთვის მშვიდობიანი მოლაპარაკება სჯობს. მხოლოდ ვეტერანმა იცის, რა ძვირი ჯდება ქვეყნის არასწორი პოლიტიკა. ჩვეულებრივმა ხალხმა კი მარტო ის იცის ერთმანეთს როგორ გაეჯიბრონ, ერთმანეთი როგორ დაამარცხონ, გლადიატორებივით ცხოვრობენ. გლადიატორთა არენაზე აშენებული ჯერ არავის არაფერი უნახავს. მე და ჩემმა ძმამაც ბრძოლის მეტი არაფერი ვიცოდით.

- თქვენ ხომ ორთაბრძოლაში მოწინააღმდეგის ლიდერი დაამარცხეთ. სხვანაირად ომი შეიძლება ვერც მოგვეგო - აგრძელებდა ლაურა.

- მე რა... ომი ჩემმა ძმამ მოგვაგებინა. მე ჩვეულებრივი მეომარი ვიყავი ბრძოლის ველზე.

- თქვენმა ძმამ... - ლაურამ შიშით გადახედა მეგის - თქვენს ძმაზეც ბევრი მსმენია. ოღონდ კარგი არაფერი მახსენდება, სამწუხაროდ.

- როცა ადამიანი ყურადღების ცენტრშია, დანარჩენებსაც ერთი სული აქვთ თავიანთი ბინძური ხელები მას შეაწმინდონ. - უპასუხა კოლტონმა.

- ამიტომაც ვიკრიბებით აქ - ჩაეჭრა მეგი. - ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ხალხში სიკეთემ დაისადგუროს.

კოლტონმა თავი დაუკრა. წამოდგა, მუხასთან გადაჯდა და ქუდი თვალებზე ჩამოიფარა. მეგი თვალს ადევნებდა. კოლტონის სიარულის მანერა დაიმახსოვრა, ხელების მოძრაობა, მსხვილი მაჯები ჰქონდა, ძლიერი თითები, გადატყავებული იდაყვები და ხელის ზურგები. მძიმე ნაბიჯებით დადიოდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს გარშემო სულიერი არა ჰყოლოდა არავინ. სახე შექმუხულს, თითქოს ჩამავალი მზეც კი თვალებში აჭყიტებდა. აი, თვალები კი სრულიად სხვა სამყაროდან იყურებოდნენ. მეგიმ აშკარად იგრძნო, თუ როგორ იმოქმედა მისმა ქადაგებამ ხალხზე, მაგრამ კოლტონს თითქოს არაფერი უგრძვნია. მასზე თითქოს არაფერი მოქმედებდა. თითქოს მას უკვე ყველა პასუხი ხელში ეჭირა, ან პირიქით, ყველა კითხვა, მაგრამ პასუხები არსად არ ეგულებოდა. თავმდაბალი არ იყო, მაგრამ არც ამაყი, არც გულადი მეომრის იერი დაჲკურავდა, მაგრამ ლაჩარს ნამდვილად ვერ დაარქმევდი. მეგი დაჲუნებით ცდილობდა, მაგრამ კოლტონის ადგილს მრევლში ვერსად ვერ პოულობდა. კოლტონი კაცი იყო. ძლიერი კაცი. ისეთი, როგორიც მეგის არასოდეს უნახავს. იქნებ ისეთიც კი, როგორიც მამამისი არასოდეს ყოფილა. მეგის ეგონა, თუ ეჩვენებოდა, რომ სანაპიროზე ყველა კაცი ან მამამისისნაირი იყო: გლეხი, ბეჩავი და საწყალი, ან კიდევ ბოროტმოქმედი და გაიძვერა.

კოლტონი კი თავისი ხასიათითა და იერით გამხმარ მუხას ჩამოჰვავდა, თავისი უსიცოცხლო და მსხვილი ტოტები რომ გადაეფოფრა ეკლესიაზე.

პიკნიკი დამთავრდა. ნელ-ნელა ყველა წავიდ-წამოვიდა. მეგი სათითაოდ გამოემშვიდობა ყველას, მერე კარზე მი-ყუდებული ცოცხი აიღო და ეკლესიაში შევიდა. კოლტონმა თვალი გააყოლა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. სოფელს გასცეკროდა შორიდან. აქედან ხალხი არ ჩანდა. წარმოიდგინა, ვითომ სოფელში არავინ ცხოვრობდა. ვითომ გზაზეც არავინ მიმოდიოდა. ქალაქიც შორს მიჩუმათებულიყო. უდაბნოს ყრუ ექს ნიავი ზღვის ტალღებში ფანტავდა. არავინ არ არსებობდა, არც არავის უარსებია. არც ომში ყოფილა კოლტონი, არც ადამიანი შეხვედრია აქამდე არას-დროს. სძულდა საკუთარი თავი, მარტომბაზე ოცნება სიამოვნებას რომ ანიჭებდა. მძიმედ დაარტყა ნაფაზი, სიგარეტი დააგდო, ფეხით გასრისა და ეკლესიაში შევიდა.

მეგი საკურთხეველთან იყო. ღონივრად იქნევდა ცოცხს და ცდილობდა კოლტონზე არ ეფიქრა. იმედი ჰქონდა, რომ კოლტონი უკვე წავიდოდა. მაგრამ ეშინოდა, ნუთი-ნუთზე კარი რომ შემოეღო. კოლტონმაც შეაღო. კარის ხმაზე მეგი გაშეშდა. თვალები დახუჭა. ეგონა, კოლტონი ჯერ კიდევ მოშორებით იდგა და ვერც კი გაიგო, ისე მალე აღმოჩნდა მის მკლავებში. კოლტონმა წელზე მოხვია ხელები, შემდეგ მკერდზე, მისი ქათქათა მხრები კოლტონის უდაბნოსფერში ჩაიკარგა. მეგი მის სუნთქვას გრძნობდა ყელში, მის სქელ ტუჩებს, ბასრ წვერს თავის ლოყაზე. მთელ ზურგში ურუან-ტელმა დაუარა. გულისცემა სუნთქვას არ აცდიდა.

კოლტონმა მხრებზე დააწყო თავისი მძიმე ხელები, ნელა მოატრიალა, ცერით ლოყაზე მოეფერა, ტუჩებზე აკოცა, თითქოს მეგის სახე და სხეული მთლიანად ჩაიკარგა კოლტონის ხელებში. მანაც თვალები განაბა და თხელი თითებით კოლტონის ლოყებს ჩაეჭიდა. მძიმე ხელები მთელ ტანს იპყრობდნენ, მეგის ეჩვენა, რომ მთელი სიმხურვალე რაც გარეთ იდგა, ახლა მის სხეულში ჩაბუდებულიყო. კოლტონს შავად ჩაქუფროდა თვალები, როგორც შეპყრობილს, თუ გარეულ მხეცს.

- აქ არა... - ძლივს ამოთქვა გულამოვარდნილმა მეგიმ.

მაგრამ კოლტონმა ერთი ხელის მოსმით შემოაცალა ანაფორა და სხვა ყველაფერიც. მეგი მიხვდა, რომ უკვე არანაირი ბარიერი აღარ არსებობდა მათ შორის. თხელი თითები მთელი ძალით ჩაჭიდა ზურგზე და თვითონაც გამალებული კოცნიდა ყელში. სცადა მისთვის პიჯაკი გაეხადა, მაგრამ, თითქოს კოლტონმა არ დააცადა. ეჭვების გასაქარვებლად ძლიერად შემოეკრა ფეხებით კოლტონს. მეგიმ მალე მისი გამალებული გულისცემაცა და აჩქარებული სუნთქვაც შეიგრძნო თავის ტუჩებსა და სხეულში. ის კვლავაც არ იხდიდა ტანზე, მხოლოდ ღილები ჰქონდა ჩახსნილი და მკლავები აკაპინებული. კოლტონის ტანი ისევე მოძრაობდა, როგორც მისი მძიმე ხელები; ნელა, დინჯად და მძიმედ, თითქოს მისთვის დრო არ არსებობდა და რასაც ახლანდელი ერქვა, ქალის ბრჭყვიალა თმასავით, ყველაფერი მკლავზე ჰქონდა დახვეული. მეგის მოეჩვენა, თითქოს სიშიშვლეში მიატოვეს. მაგრამ მზესავით მცხუნვარე მკლავები ნეტარების აბლაბუდასავით ჰქონდა შემოხვეული. ტანის დაძაბულობითა და ღელვით, თითქოს ჩანჩქერად მიედინებოდა სადლაც, და ბოლოს სიამოვნება ერთბაშად მოაწყდა დიდი ზღვის აქაფებული ტალღებივით.

ორივენი სკამზე წამოწვნენ, მეგიმ ანაფორა მიიფარა, კოლტონი თითქოს თვლემდა. ცოტა ხანს მიყუჩდნენ. მეგი ეკლესიის გუმბათში გამოპარულ სინათლის სხივს აშტერდებოდა. მოგონებებს მიეცა და მერე კოლტონს ჰკითხა:

- როგორ მიხვდები, რომ ქალი მართლა შეგიყვარდა? - ბავშვური ღიმილი დაუდიოდა სახეზე მეგის.
- არ ვიცი. - კოლტონმა ხელი ამოიდო თავქვეშ - მაგას ვერ მიხვდები. ეგ, ალბათ, უბრალოდ, უნდა იცოდე.
- რატომ არ გაიხადე წელა? - უცბად შეეცვალა სახე მეგის, ჭერში იხედებოდა, მხოლოდ ერთხელ გააპარა თვალი კოლტონისკენ და ისევ მაღლა აიხედა.

- ა... არ ვიცი. - დაიბნა კოლტონი.

მეგი წამოდგა, სწრაფად ჩაიცვა და გასასვლელისკენ გაემართა.

- გაგაცილებ - გასძახა კოლტონმა.
- არა, იყოს. - მოკლედ მოუჭრა მეგიმ და ეკლესიიდან გავიდა.

ცოტახანში კოლტონიც წამოდგა, პიჯაკი გაისწორა, შარვალი შეიკრა, საკურთხეველზე ჯვარს შეხედა, პირჯვარი გადაიწერა და ეკლესიიდან გამოსული, ისევ სოფლის დუქნისაკენ დაეშვა. ხვალ მოვლენ შენს წასაყვანად. - გაფითრებული მისჩერებოდა ძმას.

მეორე დილით ისევ ადრიანად ავიდა ეკლესიასთან. მეგი უკვე იქ იყო, ეზოში იდგა გაფითრებული. კოლტონმა ახლადა შეამჩნია, რომ ეკლესიის გუმბათი გადმოქცეულიყო. მის დანახვაზე მეგი ოდნავ შეტოკდა, ისევ გააგრძელა თავისი საქმე. მერე ცოცხი გვერდით გადადო და კოლტონს მიუახლოვდა.

- დიაკონის წამოქმედარია, ზუსტად ვიცი - თქვა მეგიმ.
- ჰო, ეჭვიც არ მეპარება - დაუდასტურა კოლტონმა.
- არ ვიცი, რა ვქნა... - სახე აემლვრა მეგის. - სად მაქვს ამის ფული - სახეზე ხელები აითარა მეგიმ, ცრემლები მოინინდა და ისევ კოლტონს მოუბრუნდა - გუშინდელივით ალარ მოიქცე, არასოდეს. მე არ მომექცე ასე. - მეგიმ ხელით ანიშნა კოლტონს, რომ იქ გაჩერებულიყო, სადაც იდგა. კოლტონი დამორჩილდა.

- მე წასვლა მომინევს - თქვა მან.
- რა? - მეგის თავზარი დაეცა - ახლა რა გითხარი, ვერ გაიგე?

კოლტონი სიტყვებს ვერ პოულობდა. მეგის მოეჩვენა, თითქოს ამ კაცმა გახევებული დგომის მეტი არაფერი იცოდა. დღეს დილით თითქოს მთელი სამყარო ჩამოექცა თავზე და თავად უფალმაც კი მიატოვა.

ქალბატონი ლაურა ქოშინით ამოვარდა აღმართზე, უამრავი ხალხიც ფეხდაფეხ მოჰყვა.

- დედაო, მეგი... - ძლივს ითქვამდა სულს - მე.. მე არ ვიცოდი, რა მექნა.
- დაწყნარდით, ლაურა - მეგიმ ცრემლები მოინინდა, სახეზე ხელები მოისვა და ხალხს წინ გადაეღობა.
- რა გინდათ? - დაიყვირა მან - რატომ არ დაგვანებებთ თავს?!

- რა გვინდა?! - გაისმა დიაკონი ალექსანდროს გამკივანი ხმა, ცოტა ხანში კი თვითონაც გამოეყო ბრძოს - ღვთის რისხვა დაგტყვდომიათ თავს! თქვენ უფალი განარისხეთ! - მერე კოლტონს მიუახლოვდა და ხმადაბლა უთხრა - ხომ გითხარი, დავბრუნდები-მეთქი.

- ჩვენ აქ კოლტონისთვის მოვედით, მამაო! - გაისმა ბრძოდან. კაცებს კვლავაც არ ადარდებდათ მეგი და მისი ეკლესია.
- მაგ ქალმა თუ უფალი განარისხა, ჩვენ ნულა ჩავერევით! - დაიძახა ილიამ.
- მართალია! ჩვენ აქ კოლტონისთვის მოვედით!
- ...და რა დაგიშავათ კოლტონმა? - ალექსანდრო შურისძიების უკანასკნელ იმედს ჩაებლაუჭა.
- რა აღარ! ჩემი მეზობელი დაასახიჩრა! ჩემ შვილს სოფლის გადაწვას დაპირდა და ჩემ წინააღმდეგ აამშედრა! მღვდელი გაგვიუპატიურა! მეტი რაღა უნდა ექნა?

ბოლო ფრაზამ ყველა გააჩუმა, კოლტონი სიძულვილით აივსო, უნდოდა სათითაოდ მოეგრიხა ყველასთვის კისერი. ხელი რევოლვერისკენაც წაიღო, მაგრამ უცბად გაშეშდა. მეგის მიაშტერდა. მის ხელში იყო კოლტონის ბედი. მეგის რამდენიმე სიტყვას შეეძლო ეს ხალხი უკან გაებრუნებინა, ალექსანდროსთვის სიმართლე ეთქვა.

- ეს მართალია, დედაო? - მოტრიალდა დიაკონი.
- მეგიმ კოლტონს გადახედა. ცოტა ხანს უყურა. ამ კაცის თავი და ბოლო ისევ გაუგებარი იყო. ერთი რამ კი დაიჭეშ-მარიტა - კოლტონი კეთილი კაცი არ იყო.

- თუ კოლტონს წაიყვანთ - უთხრა დიაკონს - მე და ჩემს ეკლესიას გაგვანებებთ თავს?

ალექსანდრო ცოტა ხანს იდგა ჩაფიქრებული, ბოლოს გადაწყვიტა, რომ სანაპიროზე კოლტონი უფრო დიდი საფრთხე იყო, ვიდრე მეგი და მისი ეკლესია. როგორც მწყემსს, საკუთარ ხალხზე უნდა ეზრუნა პირველ რიგში. გულზე დაკიდული ჯვარი ხელისგულში მოიქცია, ძლივს გაუსწორა მეგის თვალი და პირობა მისცა:

- ვფიცავ, რომ დღეიდან არცერთი სულიერი აღარ დაარღვევს თქვენი და თქვენი ეკლესიის სიმშვიდესა და პატიოს-ნებას. და წყეულიმც ვიყო, თუ ეს პირობა დავარღვიო!

- მაშინ წაიყვანეთ.
- დიაკონმა ხელით ანიშნა კაცებს, ისინიც კოლტონს მისცვივდნენ, ერთი-ორი კარგად მოსდეს, გაკოჭეს, ძელზე გააკრეს და დროგზე დადეს. მეგი დასისხლიანებულ კოლტონს მიუახლოვდა, თვალები ისევ ცრემლებით ევსებოდა:

- რატომ არ გაიხადე პიჯაკი? - ჰერთხა მეგიმ.

- არ მინდოდა ჩემი იარები დაგენახა. - კოლტონმა თვალის გასწორება ვერ შეძლო.

მათრახის ხმას ცხენის ჭიხვინი მოჰყვა და დროგი რიხინ-რიხინით დაეშვა დაღმართზე. სოფელი მალე უკან დარჩა. მზე დინჯად ჩადიოდა, გუმბათჩამოშლილი ეკლესია კი სრულიად შეუმჩნევლად იდგა გორაკზე. მეგის ისევ ჩამოეშალა წაბლისფერი თმა, გაბრუნდა. ეკლესიასთან მდგარი ხმელი მუხის ტოტები კიდევ დიდხანს აგონებდნენ კოლტონის მკლავებს.

საუპრეზი

ქალაქიდან გამოქცეულები აღმოსავლეთით, კალოს მთებისკენ გაემართნენ. დაღამებამდე იარეს ხრიოკზე. ფრიდ-რიკს მთებში ეგულებოდა მეფე, უნდოდა თავად ენახა, სანამ ჯერ კიდევ ჰქონდათ დრო. გუსტავოს ეს ყველაფერი არ ეჯერებოდა, უბრალოდ, სხვა წასასვლელი აღარ გააჩნდა.

ფრიდრიკი საღამოს ბინდში მიმოდიოდა და ცეცხლთან მჯდარ ძმასა და მღვდელს ყარაულობდა. ტრიალზე ისხდნენ მშვიდად, ზუსტად არც კი იცოდნენ თავიანთი ადგილ-სამყოფელი. ზღვიდან წამოსული სველი ნისლი სქლად გადმოდებოდა გორაკებსა და გამხმარ ხმელეთს. კოლტონმა ჯოხით წაკვერჩხალი გაჩხრიკა, გვერდზე ჩამომჯდარ გუსტავოს გახედა, რომელიც დასისხლიანებულ ხელს იხვევდა:

- რნმენამ მიგატოვა, მამაო? - სიცილით გასძახა თავის მხსნელს.

გუსტავომ ამრეზით გადმოხედა, მერე ისევ ხელის შეხვევა გააგრძელა და სიცილი აუტყდა. ლალად იცინოდა, თავის-თვის, თითქოს სიხარულით.

- მხოლოდ ბრიყვი იტყოდა მაგას, რაც შენ თქვი - ღიმილი არ შორდებოდა გუსტავოს სახეს - უგუნურთ ჰგონიათ, რომ რწმენაში განმტკიცებული ბედნიერი და გასხივოსნებულია, რომ მას ტყვია არ ეხება და ხმალი არა ჭრის. თითქოს მას ყველა კითხვაზე აქვს პასუხი და უვნებელია ამ სამყაროში. უფალს მინდობილი მსგავსია კლდისა - არ შეირყევა, იდგომება უკუნისამდე. კლდეს თუ მძიმე ტალღა მიაწყდა, მე თუ ხელი გამეჭრა - ეს იმას არა ნიშნავს, რომ რწმენამ მიმატოვა, ან მე მივატოვე ის. ჭეშმარიტი რწმენა იძულებულს ხდის ადამიანს კეთილი საქმე აკეთოს, მიუხედავად იმისა, ამით სარგებელს მიიღებს თუ სატანჯველს. მე სწორედ რწმენამ და არა შენი ძმის ჯადოქრობამ, მაიძულა, შენი წარწყმედილი სული ჩამომეხსნა სახრჩობელიდან. მაგრამ, რადგანაც წარწყმედილი ხარ, შენი ცოდვები ჩემზეც გადმოვიდა. ეს უბრალოდ ჩემი სხეულია, რომელსაც დიდად არ ვუფრთხილდები, რამეთუ დროებითია და ადრე თუ გვიან, უფლის გზაზე მდგარი, მაინც მივატოვებ მას. ბევრს ალბათ ისიც უკვირს, ასე ღრმად მორწმუნე კაცი, მღვდელი, ხმლით რად დადისო, მე კი მათ ყოველთვის ერთსა და იმავეს ვპასუხობ: ომში მებალედ დგომას, ბაღში მეომრად ჯდომა სჯობია. სანამ მიწაზე ვარ, ხორციელ კაცთა კანონები ჩემთვისაც ისეთივეა, როგორიც უფლის კანონები ანგელოზთათვის სამოთხეში. მე ისევე ვესწრაფი ზეცას, როგორც უფლის სიყვარული კაცთა მოდგმას.

- და ახლა რაღას იზამ, როდესაც უკვე ზურგი აქციე ხალხს? - კოლტონს წარბი არ შეტოკებია და წელანდელივით ცეცხლში ურევდა ჯოხს.

გუსტავოს გაახსენდა, თავისი პირველი გამოსვლა სანაპიროს ეკლესიაში. დიაკონ ალექსანდროსთან ერთად დილით ადრე მისულიყო, გზად ისევ ტკბილ მუსაიფში იყვნენ გართული. მაშინ გუსტავოს განსაკუთრებით მოწონა ალექსანდროს გულუბრყვილობა და უმი ღიმილი, რომლის მიღმაც თითქოს რაღაცა იმალებოდა, მაგრამ მისი თვალები მაინც გულჩვილობასა და ბავშვურ სიყვარულს აფრქვევდნენ გარშემო.

კვირა დილით მართლაც საკმაო ხალხი მოგროვდა ეკლესიაში. გუსტავონ ხარბად ისუნთქავდა ჰაერს, რომელიც ნამიანი გაზაფხულის ყვავილოვან სურნელებს აგონებდა. სტუმართმოყვარე და მეგობრული ღიმილით ესალმებოდა ხალხს. ზოგიერთს გამოელაპარაკა კიდეც. მრევლი კეთილად განეწყო მის მიმართ, ზოგიერთი, ვისაც ქალაქში მომხდარი ამბავი გაეგო, მაინც ეჭვის თვალით უყურებდა.

დიაკონმა ყველას თავი დაუკრა, შემდეგ თავისი ადგილი დაიკავა, ხალხს კიდევ ერთხელ მიესალმა და დასხდომა სთხოვა. ყველას მადლობა გადაუხადა მოსვლისთვის და თბილად მოიკითხა. მერე ხმას რიხი შეპმატა, ღმერთს თაყვანი სცა, მადლობა გადაუხადა მშვიდობიანი დღის გათენებისთვის და ძმის გამოგზავნისთვის, გუსტავოს სახით.,

- მამა გუსტავო გუშინ გავიცანი - კეთილი ღიმილით ამცნობდა ალექსანდრო მრევლს - მაგრამ სანამ ეკლესიდან ჩემს სახლამდე მივიდოდით, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით. თითქოს ის ყოველთვის ჩემი უფროსი ძმა იყო, რომელიც უმცროსს ჭკუას დაგარიგებს და შეგაგულიანებს. შენს ყველა შეკითხვას ისეთ პასუხს გასცემს, იფიქრებ, მცოდნია აქამდე ყველაფერიო. მშობელივით გიბატრონებს და ჩუმად იამაყებს შენით... ბევრი რომ არ გადავაჭარბო... გთხოვთ, მამა გუსტავო...

ალექსანდრომ თბილი უესტით მოიხმო მღვდელი. გუსტავომ მუჭები შეკრა, ნელა წამოდგა და მსუბუქი ნაბიჯებით გაემართა მეგობრისკენ, თავი დაუკრა, შემდეგ ხალხს მოუბრუნდა და ღიმილით მიმართა.

- დიდება უფალს და მის ძალას, რომ ჩვენ ერთად შეგვყარა აქ. დიდება მის ძლევამოსილებას, რომელმაც უხილავი ძალებით მაინც შეაკავშირა ერთმაენთთან ჩვენი ხალხები და დიდება მის ნებას, რომელმაც არ გაჰყარა ჩვენი გზები, მიუხედავად ტრაგიკული ომისა და სისხლისღვრისა, რომელსაც ახლო წარსულში მოვესწარით.

- დიდება უფალს! - გაიმეორა ხალხმა და გუსტავოსთან ერთად გადაიწერა პირჯვარი.

- ჩვენდამი მისი სიყვარული უსაზღვროა, არ არსებობს არცერთი საზღვარი, ოკეანე, მთები და მთაგრეხილი, რომელიც მას წინ აღუდგება. მძიმე წუთებშიც კი უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ არასოდეს ვართ მარტო. თუნდაც ყველამ მიგატოვოთ, გახსოვდეთ, რომ მისი სიყვარული თქვენ აჩრდილივით მუდამ თან დაგყვებათ, ყველამ რომ გილალატოთ, მისი სიყვარული მარად თქვენში იქნება. ყოველი თქვენგანი უფალს დაბადებიდანვე უყვარს, დაე თქვენც მისკენ მომართეთ თქვენი სული და სრული არსებით შეიყვარეთ თქვენი ღმერთი. ამინ!

- ამინ! - გაიმეორა ხალხმა.

- ღმერთის სიყვარული სასწაულს სჩადის, და ამის მოწმენი გუშინ თავად გავხდით მე და დიაკონი ალექსანდრო. სანამ ძმებივით დავმოყვრდებოდით, მის ყელზე მახვილი მქონდა მიჭერილი, მაგრამ ღვთის ჩანაფიქრი ასეთი არ იყო და დღეს ორივეს საღსაღამათს გვხედავთ - ძმობილებს. ცხოვრებისეული უკულმართობანი, სამწუხაროდ, ხშირად სძალავს ჩვენს უფლისადმი სიყვარულს, რადგან ბოროტი საქმე სწრაფადვე არ ისჯება, ამიტომაც ბედავს ზოგი კაცი ბოროტების ჩადენას. მაგრამ განსაცდელს ვერავინ გაექცევა ... - გუსტავომ ახლალა შეამჩნია, რომ მახვილის ხსენებაზე

ხალხი შეიშმუშნა და ახლა მამა გუსტავოს შეიარაღება უფრო აინტერესებდათ ვიდრე ქადაგება. მღვდელმა დიაკონს გადახედა, ის კვლავაც კმაყოფილი ღიმით გარინდულიყო. - ...გასაგებია, როგორც ჩანს, თქვენ გიკვირთ, რატომ დადის მღვდელი იარაღით?! მაშ მე გაგიმეორებთ: რამეთუ სწრაფადვე არ ისჯება ბოროტი საქმე, ამიტომაც ბედავს ზოგი კაცი ბოროტების ჩადენას. ღმერთს მინდობილ ადამიანს, არ უნდა აღელვებდეს ამქვეყნიური ბოროტებანი. ღვთის ძალა განუსაზღვრელია და კეთილ საქმეში განაფულ კაცს არ უნდა აშინებდეს ის, ვინც ქვეყნად ამ ძალას ატარებს: „...რადგანაც ის ღვთის მსახურია თქვენდა სასიკეთოდ. მაგრამ თუ ბოროტს სჩადიხარ, გეშინოდეს, ვინაიდან ტყუილად როდი არტყია ხმალი, არამედ იმიტომ, რომ ღვთის მსახურია, რისხვით შურისმგებელი ბოროტმოქმედთა მიმართ“. - გუსტავომ ზურგიდან დააძრო მბზინვარე მახვილი და ყველამ დაინახა, როგორ უდარდელად ეჭირა ორმხრივ ბასრი პირი მღვდელს შიშველ ხელში და წვეთი სისხლი არ ჩამოსდიოდა მაჯაზე. - ღვთის სიყვარული მახვილია, რომელიც კი არ ჭრის, არამედ კურნავს! კი არ ანგრევს, არამედ აშენებს! ძალა, რომელსაც ღმერთის სიყვარულში იპოვით, დაგეხმარებათ დაივიწყოთ ის, რაც უკან მორჩა თქვენს ისტორიას, და მიელტვოთ ყოველივეს, რასაც გპირდებათ მომავალი!

კოლტონის სიტყვებმა გამოაფხიზლეს მოგონებიდან:

- და ახლა რაღას იზამ, როდესაც უკვე ზურგი აქციე ხალხს? - კოლტონს წარბი არ შეტოკებია და წელანდელივით ცეცხლში ურევდა ჯოხს.

- რწმენა იმავეს მომიწოდებს: დავივიწყო ის, რაც უკან მომრჩა, და ვისწრაფოდე ყოველივესკენ, რაც წინ მომელის.

კოლტონს აღარაფერი უთქვამს, მინაზე განვა და თვალები მოხუჭა.

სალამოს ჩამოქუფრული სიცხე გუსტავოს ტანსაცმელში ატანდა და მწარედ ჩხვლეტდა. მზის შორეული სხივები გვერდებს უცნაურად სწვავდა და უხარშავდა. წვრილი გრძელი ნემსებივით ერჭობოდა ადუღებული სიმები ხერხემალში და მინაზე გაშოტილი ვერაფრით ვერ მშვიდებოდა. ბორგავდა, ტრიალებდა, ხან კეფას მინაზე ურტყამადა, მაინც ვერ ისვენებდა. ძმებისკენ გახედვა არ უნდოდა. ფრიდრიკის თავქვეშ ხელები ამოედო და ცაზე ვარსკვლავების გამოჩენას ელოდა. გუსტავომ ველარ მოითმინა, ისევ გადმოტრიალდა, ფრიდრიკს მიაშტერდა, მაგრამ ვე შეჰედა და კოლტონს ჰკითხა:

- კი მაგრამ... რატომ წამომიყვანეთ? ხომ შეგეძლოთ თქვენ გაქცეულიყავით? მე რაღაში დაგჭირდით?

- ეგ ამასა ჰკითხე - კოლტონმა ქუდი უფრო მეტად ჩამოიფხატა თვალებზე, ერთი ამოიხვენება და ფრიდრიკზე მიუთითა.

გუსტავოს საშინლად არ უნდოდა ფრიდრიკთან დალაპარაკება. ისედაც არ ეპიტნავებოდა გარშემო დატრიალებული ამბები, გრძნეულ ჯადოქრებთან დამეგობრება და საუბარი მითუმეტეს. გახედა ფრიდრიკს, მაგრამ საკუთარი შეკითხვა უკვე თითქოს უაზრობად მოეჩვენა. ვერ გაბედა, ვერ მოიფიქრა. თითქოს ძმების თვალში სულელის შთაბეჭდილებას ტოვებდა და სირცევილმა შეანუხა. ისევ გადაბრუნდა და თავი იდაყვზე დაიდო. მთელი სხეულით გრძნობდა მინის მხურვალებას, მიზიდულობას, თითქოს უხილავი ძაფები უდაბნოს სიმშრალეს მღვდლის სხეულში აკერებდნენ.

- მე არ წამომიყვანიხარ არსად. - ნელა დაიწყო და პირამომშრალი აგრძელებდა ფრიდრიკი - შენ თავად წამოხვედი. მე უბრალოდ გიბიძგე. როცა თოკი გადაჭრი, შენ იქ უკვე აღარ გედგომებოდა. მაგრამ ჩემთვის მთავარიც სწორედ

ეს იყო. შენ ადრე სხვების პასუხებს მცემდი, სხვების ნათქვამებს მიმეორებდი. იმათი პასუხები მე ისედაც ვიცი, არაერთხელ მომისმენია აქამდე. მაგრამ როდესაც თოკი გადაჭერი, ვიფიქრე, აი ახლა უკვე საკუთარი პასუხები ექნება-მეთქი. უზენაესი არსების შეყვარება, რომელმაც შენი ავკარგიანობისა ყველაფერი ხუთი თითივით იცის და თავად მარადმყოფი, მარადარსი და ყოვლისშემძლეა, მე თუ მკითხავ, არც თუ ისე რთული საქმეა. მაგრამ ბევრად უფრო რთულია შეყვარო ადამიანი - უმეცარი, მარად ცვალებადი, წუთისოფელს გამოკიდებული და საცოდავი, როგორებიც სინამდვილეში ვართ. შენ უფლის ერთპიროვნულ სიყვარულს უღალატე, და მისი შემოქმედების შეყვარებისკენ გადმოდგინაბიჯი. ეს კი ერთ რამედ ღირს.

გუსტავოს ჩაეძინა.

ძმებს შეეძლოთ უდაბნოში ისე ეარათ დღეების განმავლობაში, რომ ხმა-კრინტი არ დაეძრათ, მაგრამ გუსტავო ამ ყოფას არ იყო ჩვეული. ყოველთვის, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მას ეკითხებოდნენ, მას უსმენდნენ, მისგან სწავლობდნენ. ხალხს უფრო მეტი უნდოდა გაეგო ღმერთის შესახებ. და თუ ვინმე ურწმუნო შევდებოდა, მასთან პაექრობასა და კამათს კიდევ სულ სხვა ხიბლი ჰქონდა. თანაც, გუსტავო ყოველთვის გამარჯვებული ჩაამთავრებდა ხოლმე ამგვარ დისკუსიებს და სულ უფრო მეტი ხალხის სიყვარულსა და მონინებას იმსახურებდა. მიაჩნდა, რომ მის სახელს ქრისტე ადიდებდა და თვითონაც, იმავეთი პასუხობდა. იცოდა, რისთვის ცხოვრობდა და ბოლოს რა ელოდა.

მაგრამ იმ წუთიდან, როცა ამ მიწაზე დადგა ფეხი, ყველაფერი შეიცვალა. მალე ყველაფერი თავდაყირა დადგა. რწმენას ნამდვილად არ მიუტოვებია, პირიქით, რაც ფრიდრიკს გადაეყარა, დარწმუნდა რომ ქრისტეს სიყვარული არც თუ ისე მარტივი საქმე ყოფილა და საკუთარი ადრინდელი დამოკიდებულება ზედმეტად ამპარტავნულიც კი მოეჩვენა. ძმების გვერდით თავს თითქოს დამცირებულად გრძნობდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ძმები ულირსები კი არა, თავმ-დაბლები იყვნენ და გუსტავოსაც ისე ექცეოდნენ, როგორც უბრალო ადამიანს.

- ჰა, აბა, რამეს არ იტყვით?! - ვეღარ მოითმინა მღვდელმა.

ძმებმა გუსტავოს შეხედეს, მერე ერთმანეთს გადახედეს და ისევ გააგრძელეს სიარული.

- გინაა ეს მეფე რომ მოდის, რა მეფეა, საიდანა? - აგრძელებდა გუსტავო.

ფრიდრიკი შედგა, კოლტონს ანიშნა, აქ შევისვენოთო, მანაც ხურჯინი მოიხსნა და ცეცხლის ანთება დაიწყო.

- მეფეა რა... მოდის. - სხვათაშორის თქვა ფრიდრიკმა.

გუსტავო მიხვდა, ფრიდრიკი არც პირდაპირ ლაპარაკობდა, არც შეფარულად ან ჭრელად. ფრიდრიკი მოვლენებს მათი შინაარსის მიხედვით ალიქვამდა. თუ სწორად დაუსვამდი შეკითხვას, შეიძლება ბევრი საინტერესო პასუხი მიგეღო. მაგრამ თუ ასე პირდაპირ მიახლიდი სისულელეს, ექოსავით, ისიც შესაბამის პასუხს მოგახლიდა უკან.

- მაშინ... ვინ არის მეფე? - ცხოვრებაში პირველად დასვა გუსტავომ ისეთი შეკითხვა, რომელზედაც აქამდე ეგონა, რომ პასუხი დაბადებიდანვე იცოდა.

- ამ სასოწარკვეთილ ხალხს ვინც ძალიან რომ სჭირდება ისაა.
- რატომ? - გუსტავოს არ უნდოდა ფრიდრიკს საუბარი შეეწყვიტა.
- რატომ? მე გეტიუვი რატომ - კოლტონმა ცეცხლი გააჩაღა, გუსტავოს შეხედა, ანითლებულ სახეზე ალმური ასდიოდა - იმიტომ რომ ეს ხალხი საღად ვერ აზროვნებს, აზრი ბოლომდე არ მიჰყავთ: ...იმაზე არავის უფიქრია, თავისუფლებას როგორ უნდა გამკალავებოდნენ! ამ მინაზე საბოლოო შედეგზე არავინ არა ფიქრობს. მარტო ერთი აენთონ რაღაცისთვის და დარბიან ქეციანი ძალლებივით!
- ეს იმიტომ, რომ ცოდნა არა აქვთ - თქვა გუსტავომ და მიხვდა, რომ სულ უფრო მეტი საკუთარი პასუხები უჩნდებოდა. ისინი არც სემინარიაში მოესმინა და არც ბიბლიაში წაეკითხა. - ეს ცოდნა ჩვენ გვაქვს, ჩვენმა სამეფომ იცის, როგორ უნდა იმართოს სახელმწიფო.
- ცოდნა არა ჩემი ფეხები აქვთ. - ისევ ჩაეჭრა კოლტონი - თქვენ ტრადიცია გაქვთ - ტრადიცია სხვა რამეა.
- ტრადიცია ცოდნიდან მოდის. - გუსტავოს ეგონა კარგად საუბრობდა, მაგრამ გონიერაში ის აზრიც უღიტინებდა, რომ მისი ყოველი წინადაღება შეიძლება მცდარი ალმოჩენილიყო, რადგან ისინი სულ ახალი გამოჩეკილი იყვნენ. თუმცა ამის გამო არ აპირებდა მათ შეკავებას, პირიქით, მზად იყო ყველა ბარტყი გადაესროლა ბუდიდან და ენახა, ერთი მაინც თუ შეძლებდა აფრენას.
- თუ ტრადიცია ცოდნიდან მოდის, მაინც ისე გამოდის, რომ ეგ ცოდნა თქვენ არ გაქვთ. შენ ამბობ, რომ ტრადიცია ცოდნის შედეგია, მაგრამ ცარიელი შედეგი არაფერს არ გვაძლევს. - სიტყვები აებნა კოლტონს.
- ...ჩემ ძმას იმის თქმა უნდა - ფრიდრიკი ჩაერთო საუბარში - რომ არ შეიძლება ასობით წლის წინანდელი მეთოდებითა და ტრადიციებით, დღეს, ასჯერ უფრო რთულ ცხოვრებასთან შეჭიდება.
- ბიბლიაში წერია, რომ დედამიწაზე ყოველივე შერყვნილია და შეუძლებელია მათკენ გქონდეს გული, რამეთუ შხამშია ამოვლებული. მხოლოდ ქრისტე უნმინდესი და სრულყოფილი, რომელსაც უნდა ესწრაფოს ადამიანი. მხოლოდ მისი ხელით დასმული ხელმწიფე ჭეშმარიტი მეფე, რომელიც თავის ხალხს გაუძლვება.
- ერთიანობა ერთი კაცის ძალაუფლებაზე თუა დამყარებული, ის აუცილებლად დაინგრევა. - თქვა კოლტონმა - აკი შენი უფალიც კი სამსახოვანია, ჩვენ ერთ კაცს ამდენს რატომ ვავალებთ?
- გუსტავოს შესცივდა, უცნაურად იცოდა ხოლმე სანაპიროზე ჩამოლამება. ერთ წუთში რუხი ნისლი მოიცავდა არე-მარეს და ორი ფეხის ნაბიჯზე არ ჩანდა არაფერი. მხოლოდ ქარი და მტვერი ტრიალებდა მათგან შორიახლოს.
- რა უცნაურია ეს თავისუფლება. - ხელებს ითბობდა გუსტავო. - რა უცნაურად იყენებთ თქვენ ორნი. დადიხართ სა-დაც გინდათ, აკეთებთ რასაც გინდათ, ლაპარაკობთ რასაც გინდათ. კანონი თქვენთვის არ არსებობს, რჯული თქვენთვის არ არსებობს...
- თავისუფლება რაც გინდა იმის კეთება არაა. - თავი გადააქნია ფრიდრიკმა - თავისუფალი მაშინ ხარ, როცა იმას აკეთებ, რაც შეგეფერება.

ხრიოკ მიწაზე განილილ გუსტავოს ძლივს ჩაეძინა. ორი დღე ფორიაქისა და ხეტიალის შემდეგ ძლივს შეძლო ამოსუნთქვა. თითქოს ძმებსაც შეეჩინა მდნავ. მერე რა, თუ მათ თავს რაღაც ეშმაკისეული ტრიალებდა, ხშირად მაინც უწყინრები ჩანდნენ. აქამდე თუ გაჭრილი ხელი მაინც სულ იარაღისკენ გაურბოდა, ცოტა ხნით დაივიწყა ზურგზე აკიდებული ფოლადი და გულზე ჩამოკიდული ჯვარიც, მთელი ცხოვრება ზიდავდა და ყველაზე მძიმე სწორედ ამ რამდენიმე დღის ნინ რომ გამხდარიყო. თითქოს საკუთარი სიტყვები თვითონვე შეისმინა და ამქვეყნიურ ნივთებს განუდგა ცოტა ხნით.

ალისფერი ვარსკვლავებით აჭრელებულ ცას, გარშემომდგარ სიცხის ჯანლს და მინავლებულ ცეცხლს თვალი მოუხუჭა და ჩაეძინა. თვითონ ეგონა, რომ სულ რამდენიმე წამით ჩათვლიმა, მაგრამ როცა გვერდით მჯდარი, თავჩაღუნულ ფრიდრიკს ახედა, მიხვდა, რომ აშკარად დიდი დრო გასულიყო. ფრიდრიკი მის გვერდით მიწაზე იჯდა, იდაყვები მუხლებზე ჩამოეწყო და თავჩაღუნული, სიცხისგან დამსკდარ მიწის კლაკნილებს მისჩერებოდა.

- ხანდახან ალბათ... - დაიწყო ფრიდრიკმა - ...ხანდახან ალბათ გინდა, რომ გაიქცე. ფიქრობ ალბათ, რა მინდა ამ ურჯულოებთან, რა მინდა ამ მტვერში, უდაბნოში, ან ამ მიწაზე საერთოდ.

- მე გამომაძევეს, - გააწყვეტინა გუსტავომ, - მე ჩემი ნებით არ ჩამოვსულვარ. და რა მაგალითი მივეცი ხალხს? მღვდელმა ხალხი სიყვარულით უნდა შეკრას და გააერთიანოს, გააგებინოს, რომ ერთმანეთის სიყვარულზე ძვირფასი არაფერი გააჩნიათ. უდიდეს ძალას სწორედ ერთმანეთის სიყვარულში მოიპოვებენ. ჩემთან კი საბოლოოდ ყველამ სიძულვილის გამო მოიყარა თავი. მე თითქოს ყველას ვუჩვენე, რომ შენ და შენს ძმას ზურგი გაქციეთ. ან მე ვინ მეკითხებოდა, მაგრამ მაინც გაგრიყეთ. დაგიპირისპირდით. ჩემივე დინების საწინააღმდეგოდ წავედი, ჯერ რომ გაგრიყეთ და მერე რომ თქვენთან ერთად გამოვიქცი. რას იფიქრებს ხალხი? აღარაფერი ყოფილა წმინდაო, არ იტყვიან? ამ ძმებმა მღვდელიც კი თავიანთ ჭკუაზე წაიყვანესო, არ იტყვიან? როგორ უნდა გავაგებინო მათ სიყვარულის პირველადი განმარტება? მერე რა თუ ურჯულოები ხართ, თქვენც ამ მიწას ეკუთვნით, თქვენც ამ ხალხს ეკუთვნით, თქვენც ერთ-ერთი მათგანი ხართ, არც მეტი, არც წაკლები. მაგრამ ახლა ვინდა მომისმენს? ...არ ვიცი. „მიუხედავად იმისა რომ სიკეთე მინდა ვაკეთო, ბოროტება ყოველთვის თან მდევს.“ უკვე ძალიან ბევრი რამ აღარ ვიცი. და აღარც მღვდელი ვარ ამიერიდან - გუსტავომ თეთრი საყელო მოიძრო და ქვიშაში მოისროლა.

- რატომ გამოგაძევეს? - ჩაეკითხა ფრიდრიკი.

- პირველადი სიყვარული მათაც ვერ გავაგებინე. მართალია, წიგნებში კითხულობდნენ და ყოველდღე ლოცულობდნენ, მაგრამ ღმერთზე მეტად მაინც საკუთარი თავები უყვარდათ.

- ჯერ კაცი რომ გიყვარდეს და მერე ღმერთი? - ახლად ამოწვერილი მზის მოწითალო სინათლე აირეკლა ფრიდრიკის თვალებმა.

გუსტავომ ამრეზით გახედა მოსაუბრეს. ფრიდრიკი წამოდგა, ნელი წაბიჯით წავიდა თეთრი საყელოსკენ, ქვიშიდან ამოიღო, მოტრიალდა და გუსტავოს ნინ დაუჯდა.

- კეთილიცა და ბოროტი საქმეც ერთი წყაროდან მოედინება. ორივე ადამიანის სურვილს ემსახურება, რომ თავისი შინაგანი ნაკლი გამოასწოროს.

- მე ყოველთვის სიცოცხლე მწყუროდა, ხალისი, სხვებისა თუ საკუთარი. მინდოდა, ყველას ერთად ეგრძნო და განეცადა ეს არაჩვეულებრივი სამყარო, რომელიც მამაზეციერმა მოგვცა. მაგრამ ადამიანები თავკერძები არიან, მაინც იმის იქით ეპოტინებიან. იმქვეყნიურისკენ უჭირავთ გაუმაძღარი თვალი. მაინც სამოთხე ესიზმრებათ, თითქოს ამ ქვეყანას უკვე მოიმწვანილეს სიცოცხლე და აღარ ეპიტნავებათ!..

ფრიდრიკს ჯიუტი ღიმილი არ სცილდებოდა სახიდან. ხელი გულზე მიიღო, რაღაც მოსინჯა ტანსაცმელში, მერე პერანგიდან კარტი ამოაცურა. ორ თითში ეჭირა და გუსტავოს ცხვირწინ უტრიალებდა. კარტზე მუქი ფერებით მზე იყო გამოსახული. მუქ ლურჯ ფონზე პატარა თეთრი წერტილები იყო დაწინწელული, შუაში კი მრგვალი მზე წითელ-ყვითლად ათამაშებდა კარტის კიდეებამდე გატყორცნილ წვრილ სხივებს.

- სულიერი წინამძღოლის მოვალეობა ხალხისთვის საამური არაკების მოყოლა არა. მისი მოვალეობაა ხალხს სიმართლე უთხრას. ქრისტე ისეთივე ხალხმა გააკრა ჯვარს, როგორებიც ჩვენ მოვიტოვეთ უკან. ვინ არიან ისინი? გლეხები, ხელოსნები, მეთევზები - ისეთივე უბრალო ადამიანები, როგორც ათასი წლის წინათ იყვნენ. შენ შენი სიმართლის გწამს და ნუ გვონია, რომ რადგანაც სხვანაირია, აუცილებლად წარწყმედილი უნდა იყოს. ქვეყანას წმინდა წიგნები კი არა, ხალხი განაგებს. რწმენა არარაობაა ხალხის გარეშე. - ფრიდრიკი ისევ მზიან კარტს ატრიალებდა თითებში.

- ...შენ და შენი ფანდები, ფრიდრიკ - გუსტავო ალმაცერად უყურებდა ფრიდრიკის კარტს.

- ჭეშმარიტებას დამაჯერებლად სწორედ ფანდები ნათლავენ. - ტკბილად ჩაიღიმა ფრიდრიკმა.

გუსტავომ მთელი გზა ლოცვაში გაატარა. ჯვარი მუჭით ეჭირა, ხან ზედ დაჰყურებდა ხან თვალებს ხუჭვდა და სიარულში ლოცულობდა. ძმები ისე მიაბიჯებდნენ თითქოს არც არაფერი ესმოდათ. ორივე მზერაგაშეშებული თითქოს მექანიკური მანქანებივით მოძრაობდნენ. როგორც იქნა ერთ ადგილას გაჩერდნენ დასაძინებლად, ცეცხლი აღარ დაუნთიათ.

შუაღამისას მძინარე გუსტავომ მარცხენა ხელზე რაღაც იგრძნო, თითქოს გავარვარებული ხმალი გაუყარეს მაჯაში, იდაყვიდან მხრამდე აუსვეს, ბეჭები ჩაუსერეს და მარჯვენა ხელის მაჯამდე ჩაუსსნეს ჭრილობა. მართალია, ტკივილი არ უგრძვნია, მაგრამ მალე ამ შეგრძნებამ მთელი მისი სხეული მოიცავა. გიუივით წამოიჭრა ფეხზე, თვალებიც თითქოს ყვითლად უღუოდა, თავი ვერ შეინარჩუნა და უძლურებისგან მუხლებზე დაემხო. მთელი არსება ამ ბასრი სინათლით ჰქონდა დახანჯლული და შებოჭილი. თვალები ძლივს გაახილა და უდაბნოში მის წინაშე თეთრად გაქათქათებული, ჰაერში მოლივლივე სხეულისებრი სტრუქტურა დაინახა. ანთებული თვალებიდან გუსტავოს ცრემლები წასკდა, ისევ ჩაღუნა თავი და სიმწრით დაიწყო მოთქმა. პატიებას სთხოვდა, ცრემლები ჩანჩქერივით წამოუვიდა თვალებიდან, მუხლებზე დამხობილი გრძნობდა, რომ ამ მიწაზე თვითონ იყო უფასური. მთელი ცხოვრება, ბავშვობიდან მღვდლად კურთხევამდე, თვალინი გამოესახა ერთ სიბრტყედ, ყოველი ცუდი საქმე რაც კარგი ეგონა, ყოველი კარგი საქმე, რაც ცუდად მიაჩნდა, სიამაყე და ორპირობა, რომელსაც დაბადებიდან მის არსში გაედგა ფესვები და მიხვდა, რომ მათ შე-

დევებს ვერასდროს გამოასწორებდა. ვერც სიკვდილს ნატრულობდა და აღარც სიცოცხლე უნდოდა, არ იცოდა რა ექნა, რით გაემართლებინა თავი მის წინაშე მოლივლივე ნათელ სრულყოფილებასთან. საშველს ვეღარსად ხედავდა, უმნერ ბავშვივით იცრემლებოდა და ყოველ წამს პატიებასა და შენდობას ითხოვდა. ქმნილება მიუახლოვდა, მის გონებას ნათელი მოჰყვინა და თავის აწევა სთხოვა. მამა გუსტავოც დამორჩილდა, ცრემლებიც თითქოს შეუწყდა და აღარც თვალები ეწვოდა ცეცხლისგან.

- სანამ მე შეგინდობდე - გადასცა ქმნილებამ - შენ შეუნდებ საკუთარ თავს?

ზღვასავით აღელვებული სიყვარულისა და იმედის ტალღა გუსტავოს ყელში მოაწვა, და ის იყო კვლავაც ტირი-ლი უნდა გაეგრძელებინა, რომ ქმნილების უკან, მასავით აალებული კოლტონი დაინახა. იმასაც ხელები უღვიოდა და თვალები ცეცხლით უბრდღვიალებდა, ოღონდ არა ყვითლით, როგორც გუსტავოს, არამედ სიცივის დარი მჭახე თეთრით, ქმნილების ენერგია კი მის გარშემო სისხლისფერ წითელში გადადიოდა. გუსტავომ ყოველივე თავისი განც-დილი, კოლტონის გაბრდვიალებულ სულის სარკეშიც დაინახა, მაგრამ ძალა და თავმომრეობა, რაც მის სხეულსა და ქათქათა თვალებში იდგა, ვერაფრით გაეგო საიდან იღებდა სათავეს. ხან ერვენა, კოლტონს თითქოს წვრილი სიმებით ალისფერი ვარსკვლავები ანვდიდნენ ნაპერნკლებს, ხანაც - თითქოს ეს სიმები გულსა და გონებაში ჰქონდა ამოტვი-ფრული, და ასე ახერხებდა ქმნილების წინაშე ფეხზე დგომას. როგორც იქნა უაითი თავის იარაღს დასწვდა, ხასხასა არსებას მიუშვირა და პირდაპირ გულში დაახალა. ისიც გოდებით დაიმსხვრა და ნაცრად გაიფინა მათ ფეხებთან.

გუსტავოს ცივმა ოფლმა დაასხა. ყბა ჩამოუვარდა. ვეღარ გაეგო, ამიერიდან ღვთის რისხვის უფრო უნდა შეშინებო-და თუ კოლტონისა. მან კი ხელი გამოუწოდა წამოსაყენებლად და მხიარულად გადაულაპარაკა:

- ამის ძმაკაცს ბოლოს სამი დღე დასჭირდა დასაბრუნებლად, არა მგონია ახლა ამდენი დრო გვქონდეს.

გუსტავოს ხმა არ ამოუღია. არც კოლტონს დალაპარაკებია, ლოცვაც არ გახსენებია, როცა დილის მზე ამოინვერა. გაფითრებული მიაბიჯებდა და თავდახრილი ძმების ნაკვალევს მიჰყვებოდა. ნაშუადლევს დაეწია კიდეც.

ფრიდრიკს ამოფარებული გუსტავო შორიდან შიშით ადევნებდა თვალს მოშორებით მოსიარულე კოლტონს. ვერც ფრიდრიკს უბედავდა რაიმეს თქმას. ვერ გაეგო, გუშინდელი მართლა მოხდა თუ სიზმრად ნახა. ფრიდრიკი, ჩვეულე-ბრივ, გაყინული სიფათით მიაბიჯებდა წინ. თითქოს არაფერი ენახოს. ან იქნებ მართლაც არაფერი ენახა. ან გუშინ, თუ მართლა მოხდა ის, რაც გუსტავომ იხილა, მაშინ სად იყო ფრიდრიკი? ან იქნებ ისევ ფრიდრიკის რინები იყო ეს ყველაფერი? სიცხისგან რეტდასხმულ გუსტავოს სულ უფრო უჭირდა აზრების დალაგება. არასოდეს უგრძვნია თავი ისე უმნიშვნელოდ, როგორც ახლა, ძმებთან გატარებული რამდენიმე დღის შემდეგ. მტარვალ ძმებს გუსტავო თითქოს წრუნუნასავით ჰყავდათ გამოჭერილი და ერთმანეთში ათამაშებდნენ. მღვდელს ეგონა ერთხელაც ეშვებს ჩასობდა რომელიმე და გადასანსლავდა.

„არა“ შემოუძახა თავის თავს. გუსტავო წრუნუნა არ იყო. გუსტავოს ღმერთი უყვარდა და თუ მის სიყვარულსაც აქა-მდე არ მიუტოვებია, არც ახლა მიატოვებდა. განსაცდელში ჩავარდნილს გაუკვირდა კიდეც, რომ დაივიწყა სულინმიდა, რომელიც მარად გვერდში ედგა. ჰოდა რიღას შიში უნდა ჰქონოდა? ორი მანანნალა ავაზაკისა?

- „...ასე დავალნიერ თავი ლომის ხახას. უფალი დამიხსნის ყოველი ბოროტი საქმისაგან.“ - ღიმილით ჩაილაპარაკა გუსტავომ და დამტკბარი სახე მზეს მიუშვირა.

- რაო? - გამოხედა ფრიდრიკმა.
- ბიბლიიდანაა. - ღიმილითვე შეაგება მღვდელმა.
- ა... - ამოიხვნეშა ფრიდრიკმა და განაგრძო გზა.
- რა ჭირს შენს ძმას? - გუსტავო ცდილობდა ლალად ელაპარაკა, მაგრამ შიშნარევ გაურკვევლობას მაინც ვერ უმალვადა ფრიდრიკს. სახეზე გამკრთალმა ღიმილმა ლოყები დაუწიოდა. თითქოს უკვე ისწავლა როგორ აელაპარაკებინა ფრიდრიკი.
- რას გულისხმობ? - ჩაეკითხა ფრიდრიკი.
- მართალი გითხრა, ზუსტად არც ვიცი. მაგრამ... საიდან გაჩნდა ის ბოროტება, მუდამ რომ მოედინება მისგან? აი, დახედე - გუსტავომ ხელები გაუშვირა - აი, ამ ხელებში ვგრძნობ კოლტონის სულის ძრწოლას და გვემას. ჩემი მახვილი ყინულივით ცივდება მის მოახლოვებაზე. რომ ვუყურებ, თვალი მიბნელდება. მკვლელი, სისხლის მოყვარული, სიტყვაძნენი და პირმყრალი. რატომაა ასეთი?

- შენ გონება არასწორად გიმუშავებს და ამიტომ არასწორ კითხვებს სვამ. - ფრიდრიკმა ზუსტად ისეთი სილალით შეაგება სიტყვები, როგორითაც გუსტავოს უნდოდა წელან საუბრის წამოწყება - თუ ხედავ, რომ ადამიანი ბოროტებას ანთხევს, ეს მაინცდამაინც იმიტომ კი არა ხდება, რომ თვითონაა ბოროტი. კოლტონის სიტყვები და საქმეები, როგორც ნებისმიერი ჩვენგანისა, მხოლოდ იმ სამყაროს ირეკლავს, რომელშიაც თვითონ ცხოვრობს, მეტი არაფერი.

თავი - [მეფესთან შეხვედრა]

როგორც იქნა ერთი მთა დაძლიერ, ცხელი მტვერი და მდუღარე მიწიდან ადენილი ალმური ყურებს უცობდათ, თვალებს უბრძანებდათ, გონებას ურევდათ. ყოველი გამოსახულება უცნაურად იზლაზნებოდა გარშემო: მათი სხეულებიც მზით ალივლივებულ მთებსა და მწვერვალებში.

დაღმართს დაუყვნენ სირბილით და როცა ვაკეზე ჩავიდნენ, თითქოს მცხუნვარება და ცხელი შტორმი სადღაც გაქრა, სხვა მთის კალთაში გადაინაცვლა, მთის მწვერვალზე მხოლოდ ყავისფერი მიწა ტრიალებდა წრიულად. სამმა ერთმანეთს გადახედა, ერთი ამოისუნთქეს და მალევე შენიშნეს მოშორებით მდგარი შავი ფიგურა. კოლტონი მისკენ დაიძრა, მაგრამ გუსტავომ შეაჩერა. მახვილი დააძრო და ასე გაუძლვა ძმებს წინ.

ნელ-ნელა მიუახლოვდნენ, დახრილ ფიგურას ხელები მიწაში ჩაერგო. მათი მოახლოება რომ იგრძნო, წამოდგა. ღამესავით შავი, მსხვილი კიდურები ზანტად აამოძრავა, ორი კაცის სიმაღლის იყო. საშინელ სანახავს: ფერდებზე ეშვები ამოსვლოდა, წვრილი მაჯები იდაყვებთან უზარმაზარი კუნთებით მთავრდებოდა, მხრებზე კი თვალებიდან გადმოსული მკლავის სისქე რქები შემოხვეოდა და ხელში ხმლებივით მოემარჯვებინა. მაზუთისფერი კანი გარემოს წამლავდა და ძვლებზე უდუღდა აქა-იქ. გალაჯული წვივებალესილი ფეხებით მყარად იდგა მიწაზე.

- მე ვარ თქვენი მეფე - ათას ცეცხლში გამოტარებული ხმითა და ღრჯიალით წარმოთქვა ურჩხულმა - იმ ხალხის მმართველი, რომელმაც მომიხმო ამქვეყნად. მე, ერთი ვიქები თაყვანცემული. და თქვენც, მოდით და მეცით თაყვანი, რადგან ამ მიწაზე მე ვარ მეფე, მე - ერთი!

- ...ანგელოზი უძლვება ჩემს სხეულს - გუსტავომ მაგრად ჩაჭიდა მახვილს ორივე ხელი და ჯიქურ გაიწისკენ, - ხოლო უფალი გონებას, ძე, მამა, და სულინმინდა მიმიყვანენ ყოველ ხალხთან, ვინც მტრად მევლინება და ჩვენ მოვსპობთ მათ. თაყვანს არა ვსცემ მათ დმერთებს და არცა ვემსახურები იდესმე. არცრა მათს საქმეზედ მოვცდები, არამედ ჩავშლი და დავლენავ მათ მიერ აღმართულ სვეტებს. თუ ირწმუნებ და აღასრულებ ყოველივე ამ უფლის სიტყვას, თავად უფალი ღმერთი, ჩვენი ზეციერი მამაც კი მტრულად მოეკიდება ჩვენს მტერს და იბატონებს მათზე, ვისაც ბატონობა ეწადათ ჩვენზე!

მზის ბაცმა სხივმა ღრუბლისა და მიწის კორიანტელი გააპო და გუსტავოს ხმალში დაისადგურა. მანაც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მზით გაკაშკაშებული მახვილი მოიქნია და მეფეს აძგერა. ის კი გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილას. მერე ცალი ხელით სინათლით გაჟღენთილი ბასრი პირი გამოიძრო, მეორე გუსტავოს სტაცა თავში, ჰაერში ასწია, ღონივრად მოიქნია და მღვდელი თავის მახვილიანად ფეხებთან მიუგდო ძმებს.

- მე ვიცოდი, რომ თქვენ მოხვიდოდით - ურჩხულმა ძმებზე მიუთითა - ვხედავ, სინათლის გმირიც თან წამოგიყვანიათ. კაცს, რომელსაც ჰქონია, რომ გიცნობთ და კვლავაც სჯერა, რომ საკუთარ სულს იხსნის. მაგრამ მან ხომ არ იცის, რა ცეცხლი გიზგიზებს თქვენს გულებში. გულებში, რომელთა გამალებულ ცემას ჩემს მუშტში ვგრძნობ. მეფემ ჭრიალით შეკრა მუშტი და ძმებსაც გული შეეკუმშათ - მან ხომ არ იცის, რომ გულის გულში, ჩვენ სამივეს ერთი რამ გვინდა, ჩვენ სამივე ერთი და იგივე ვართ!

მეფე შებრუნდა, ჯერ წელში მოიხარა, მერე გაიმართა და მთელი ძალლონით რქები მიწაში ჩაარჭო.

- და, დღეიდან დაიწყოს მოკვდავთა სამყარომ დროის ათვლა, ამიერიდან შეწყდეს ურჩ ბავშვთა ქედმაღლობა, რომლებიც ჯიუტად ცდილობდნენ ღმერთების ცეცხლის სათავისოდ მოთვინიერებას. პატივმოყვარეობით დაბრმავებულებმა, ნაძარცვ ცოდნაზე ააგეს თავიანთი სახელმწიფოები. დაე, იმავე მიწით გაითელონ, რომელზეც ასე ამაყად დააბიჯებენ დღემდე!

მიწა შეიძრა, ფერდობს გადაღმა მტვერი უცნაურად ამოვარდა, უზარმაზარი მთა მიწაში ჩაიშალა, იქიდან ამომართულმა კლდემ მალე მზის მცხუნვარე ბურთულას მიადო წვერი და გუსტავოს გაოგნებული სახე დაჩრდილა. მათ წინაშე უზარმაზარი, ქვის გიგანტი იდგა, ისინი კი, ჭიანჭველებივით, უმწეოდ შეჰყურებდნენ ზეცაში აჭრილ კლდეკაცს. მეფე ნელ-ნელა წამოდგა, თავის ქმნილებას ახედა და თქვა:

- კლდეკაცს იმ ადამიანის სულს ჩავუდგამ, რომელმაც პირველმა უღალატა მეფეს.

ყბადაღებულ გუსტავოს ფრიდრიკისაკენ გაექცა თვალი, შიშისაგან რომ იცინოდა და შუბლზე ცივი ოფლი ასხამდა. მანაც გადმოხედა მღვდელს და აკანკალებული ხმით გაეხუმრა:

- სამყარო უფრო დიდია, არა? ვიდრე შენი წარმოდგენები ღმერთზე.

ნატო დავითაშვილი



ნაცყვეტი რომანიდან „აიას გზა“

შემთხვევა მთებში

ამჯერად სანადიროდ დალი იყო წასული. ცვატა და თეკლა მორიგეობდნენ, ხან ერთი ტოვებდა ოკშე და მთებში მიდიოდა, ხან მეორე. ასე აია ციხე-ქალაქში მარტო არ რჩებოდა. პირობა ჰქონდათ დათქმული, სამ დღეზე მეტხანს გარეთ არ დარჩენილიყვნენ.

რაც დრო გადიოდა, აია წიგნსაცავიდან სულ უფრო იშვიათად გამოდიოდა. ისიც მაშინ, კითხვისგან თვალები ძალიან რომ აეწვებოდა, ველარაფერს ხედავდა და ცრემლად იღვრებოდა. მაშინ მიაკითხავდა თეკლასა და ცვატას. თუ ორივე დახვდებოდა, ხომ კარგი, თუ არა-და, რომელსაც გადააწყდებოდა, როგორც პატარა ბავშვი, ამბების მოყოლას ისე სთხოვდა. თავდაპირველად აიას დაუინება ორივეს ეუცხოვა, ან ამდენი გასახსენებელი და სათქმელი რა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ აიას ჩანითლებული თვალების შემხედვარენი, მაშინვე

თანხმდებოდნენ, ოღონდ ქალიშვილი, სულ ცოტა ხნით მაინც, წიგნებს მოსწყდომოდა და დაესვენა. მერე ასეთი საღა-
მოები თავადვე მოეწონათ, გონებაში სულ უფრო ღრმად დაიწყეს ქექვა და რა არ აღმოაჩინეს. თავადაც უკვირდათ,
ნუთუ ეს ჩვენ გადაგვხდა, ან ვინმე მოგვიყვა და ვიცოდითო. საკუთარი მოგონებები უკვირდათ, ზოგი უხაროდათ
კიდეც, ზოგმა ძველი დარდი და ჭრილობა შეახსენათ. აია ერთნაირი ინტერესით ისმენდა ყველაფერს. სანამ ბოლომ-
დე არ გაიგებდა ამბავს, მთხოობელს არ მოეშვებოდა. ბოლოს თეკლას იმდენად სიამოვნებდა ასეთი შეხვედრები, აიას
სტუმრობას მოუთმენლად ელოდა, თუმცა შეხვედრის დასასრულს აუცილებლად დააყოლებდა: დამღალე, აია, ამდენი
ყველა დალს ერთად არ აქვს მოყოლილი.

აია მაშინაც წიგნსაცავში იჯდა, დილაადრიანად ცვატა რომ ეახლა და ცოტა ხნით დაეთხოვა. თეკლა ნადირობიდან
დათქმულ დროს არ დაბრუნებულიყო და მის მოსაძებნად წასვლას აპირებდა.

- რამდენი დღეა, რაც წასულია? — დაინტერესდა აია.
- მეხუთე დღე გასრულდა.
- ნუთუ ხუთი დღის განმავლობაში არ მინახავს თეკლა? — გაიკვირვა აიამ, — თითქოს გუშინ არ ვნახე? შეიძლება
მეშლება, გუშინნინ.
- არა, ეს დღეები საჭმელი მე შემომქონდა.
- არც კი შემიმჩნევია, — შეცბუნდა აია, — ხუთი დღე, — ჩაილაპარაკა თავისთვის, — ხუთი დღე ნადირობისთვის
დიდი დრო არ უნდა იყოს. ასე არაა?
- ასეა, ხუთი დღით კი არა, ხალხი ხუთი კვირითაც მიდის სანადიროდ, მაგრამ ჩვენ პირობა გვქონდა, სამი დღისთ-
ვის არ გადაგვეცილებინა.
- მეც წამოვალ, — აიამ წიგნი სწრაფად დახურა და ფეხზე წამოიჭრა.
- არ ვიცი, რა გიპასუხო, შენი მარტო დატოვება მეფიქრება, მაგრამ წაყვანაც არ მინდა. მეშინია, რამე ხიფათს არ
გადაგყარო.
- რა ხიფათზე ლაპარაკობ?! პირველად გავდივარ მთებში თუ რა? ამ წიგნების გადამკიდე, მგონი, მწიგნობარი გგო-
ნივარ, გადაგავიწყდა დალებთან გაზრდილი რომ ვარ და იარაღი და ნადირობა ჩემთვის უცხო არ არის.

- არა, არ დამვიწყებია...
- დამელოდე, — თქვა აიამ და კარისკენ გაემართა.
- მაშინ სწრაფად! — სიტყვა გააყოლა მონადირემ ქალიშვილს.
- ამას მოვიშორებ, — ტანსაცმელზე ანიშნა აიამ და გზა კაბის ფრიალით გააგრძელა.

რამდენიმე წუთში თეკლას მოსაძებნად გამზადებული აია ცვატას ოკშის შესასვლელში ბოლთას სცემდა. მონადირე
იქით იგვიანებდა. აიას თუ საკუთარი თავის გარდა არაფერი ეკითხებოდა, ცვატამ ჩასარაზი ჩარაზა, დასაბინავებელი

დააბინავა. განსაკუთრებული გულმოდგინებით წიგნსაცავისა და აიას კარი შეამონმა, ხომ კარგად არის დაკეტილიო. მერე ორი დღის საგზალი და წყალი აიღო და სანოვაგის შესანახი სენაკის კარის ურდულებს კლიტები დაადო. გასა-ლებები ქამარზე ჩამოიკიდა და გასასვლელისკენ გასწია. ოკები დაცულ ციხედ ითვლებოდა, არც მტრის სიმრავლით გა-მოირჩიოდა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა.

— აიას საყვედურის თქმა უნდოდა, სად იყავი აქამდეო, მაგრამ, როცა ცვატამ მათარა და საგზალი გაუწოდა, შერცხვა — მიხვდა, როგორ ბავშვურად მოიქცა, როგორ არაფერზე იზრუნა.

— გმადლობ! — თავდახრილმა თქვა აიამ და ცვატას ზურგჩანთა ჩამოართვა. — მთავარ კარიბჭეს მე დაკეტავ, შენ ნინ გამიძეხი, — გამოასწორა საქციელი ქალიშვილმა.

— კარგი. მოძრაობაში ხელს კი შეგიშლის, მაგრამ კარგი ქენი, რომ წამოიღე, — ხმალზე მიანიშნა ცვატამ აიას, გასაღები გაუწოდა და დაწინაურდა.

ოკებში ამოსვლის პირველ დღებში ცვატას თეკლას გვერდით ცხოვრება ცოტა გაუჭირდა. კი ახსოვდა, დალი რომ იყო, თან დალების დედოფალი და არც ღონე აკლდა, არც მოხერხებულობა და არც მთებში ცხოვრების გამოცდილება, მაგრამ ცვატასთვის მაინც ქალი იყო და ხშირად მისთვის ხელის ნაშველებას ცდილობდა. თან ერიდებოდა, არ ეგონოს, ამით ჩემს რაიმე უპირატესობაზე მივანიშნებო. კიდევ ერთი ეკალი ხინჯად ჰქონდა გულში ცვატას: მის წინ ხომ კაცთ-მოძულე დალი იდგა, ვაჟ შვილსაც კი გასაზრდელად რომ არ დაიტოვებდა. აიასთან ერთად გატარებული საღამოების გარდა ერთმანეთს ბევრს არ ელაპარაკებოდნენ, სიტყვას თუ ეტყოდნენ კანტიკუნტად, ისიც აუცილებლობის შემთხ-ვევაში. თუ ცალ-ცალკე მდუმარებაში ყოფნა ერჩიათ, აიას თანდასწრებით თავისუფლად საუბრობდნენ, ხანდახან ხუმ-რობდნენ კიდეც.

— საით წავიდეთ? — იკითხა აიამ და ღრუბლებში ჩაკარგულ მთებს მიმოავლო თვალი.

— ჩრდილოეთისკენ! — დაფიქრების გარეშე უპასუხა ცვატამ.

— რა იცი, რომ იქით წავიდოდა? დაიბარა, თუ წაკვალევი შეამჩნიე?

— მე იქით წავიდოდი, — ცვატამ მხარზე მშვილდი შეისწორა და ბილიკს შეუყვა, თუ იმასაც ბილიკი ერქვა — ერთი ფეხის დადება მოსწორებული, წვრილი ზოლი მიუკერდა ფერდობს.

მზე კარგა ხნის ამოსული იყო, მაგრამ ღრუბლებს მიღმა იმალებოდა. სასიარულოდ შესანიშნავი ამინდი იდგა, ჩრდილში სასიამოვნოდ გრილოდა. ასეთ მშვიდ დღეებს მგზავრები ნატრობდენ ხოლმე. ირგვლივ ისეთი სიწყნარე იყო, მხოლოდ ცვატასა და აიას ნაბიჯების ხმა და მომდერალი კლდეების ყრუ ზუზუნი ისმოდა. მშრალი ამინდები იდგა. ხრამებში ჩაკარგული მდინარეც გალეულიყო და ოკშამდე ხმას ვეღარ აწვდენდა.

გზადაგზა ცვატა ჩერდებოდა და იქაურობას ყურადღებით ათვალიერებდა, — იქნებ დალის დატოვებული სულ უმ-ნიშვნელო კვალი მაინც ეპოვა. მერე — თეკლაო, ხმამაღლა დაიყვირებდა, ექოს ჩაწყნარების შემდეგ მცირე ხანს პასუხს ელოდებოდა და რომ ვერ იღებდა, გზას აგრძელებდა ისევ. მთელი დღე ასე იარეს. სადაცაა მოსალამოვდებოდა.

— წესით ამაზე შორს არ უნდა წასულიყო, — თქვა ცვატამ და დასასვენებლად ჩამოჯდა. მათარას პირი მოხსნა და ცოტაოდენი წყალი მოსვა.

— თუ მართლა ამ მხარეს წამოვიდა, — ცვატას ნათქვამს დააყოლა აიამ.

— მზის ჩასვლამდე თუ ნიშანი ვერ აღმოვაჩინეთ, უკან გავბრუნდეთ.

— არა, მე ეს არ მითქვამს, — მონადირის უეცარი გადაწყვეტილებით შეცა აია, — გავაგრძელოთ გზა, არ დავლლილვარ.

— მაშინ, ამ ფერდობს ავივლით თუ არა, ქვაბულებია, იქამდე მივიდეთ და ღამეც იქ გავათიოთ, — მარჯვნივ გაიშვირა ხელი ცვატამ, — სადაცაა უღელტეხილი დაიწყება. წესით და რიგით, თეკლას სადმე ახლოს უნდა შეესვენა. დილიდან კი ნადირს დაზვერავდა.

აია თვალის ცეცებით მიუყვებოდა გზას. იქნებ სადმე თეკლას დატოვებული სულ უმნიშვნელო ნიშანი მაინც დაელანდა. თუ რამე კვალი დარჩა, იქ უნდა ყოფილიყო, ამ ხუთი დღის განმავლობაში წვეთი არ ჩამოვარდნილა და ნიაღვრები ვერ ჩარეცხავდა. რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თეკლამაც ეს გზა აირჩია. აიას შარვლის თასმებზე ძეძვი გამოედო და შეუხსნა.

— დამელოდე! — გასძახა ცვატას და თასმების შესაკრავად იქვე ჩამოჯდა. თვალი მოფუთფუთე ჭიანჭველებისკენ გაექცა. რაღაცას მიათრევდნენ. მწერს არ ჰქოვდა. აიამ პატარა ჯოხით მწერების გროვა გაფანტა და კაკლის ლებანი შერჩა.

— ცვატა! — დაიყვირა მთელი ხმით.

— გელოდები, გელოდები! — შემოჰყვირა მონადირემ.

— მოდი!.. ნახე, რა ვიპოვე! — აიამ მინიდან ლებანი აიღო, ხელის გულზე დაიდო.

— რა იპოვე?! — ფეხი აუჩქარა ცვატამ.

— ამას აქ რა უნდა? — ლებნიანი ხელი გაუწოდა აიამ ცვატას, — ჭიანჭველები მიათრევდნენ.

— კაკლის ლებანია!

— ჰო, ლებანია და აქ რა უნდა? გარშემო ერთი კაკლის ხეც არაა.

— შენ როგორ იპოვე? სად დაინახე?

— ძეძვმა დამიჭირა, ჩავიმუხლე და დავინახე, ჭიანჭველები როგორ მიათრევდნენ. თეკლას უნდა დავარდნოდა, აქ სხვა ვინ უნდა ყოფილიყო.

— ეს ძეძვი და ლებანი, უცნაური დამთხვევაა. ასე არ ხდება ხოლმე, — ცვატა ლებანს უყურებდა და დაჯერება უჭირდა.

— გეთანხმები, ასე არ ხდება, უფრო ზუსტად, თითქმის არ ხდება. ეს გამონაკლისად ჩავთვალოთ. ხომ არ დაგავიწყდა, ჩვენ იქ მოკავშირე რომ გვყავს? — მიწას ფეხი დაჰჰურა აიამ.

— მართალი ხარ. დამავიწყდა, ჩემი თანამგზავრი რომ იროელია. ასეა თუ ისე, ეს ლებანი კარგი ნიშანია, თეკლას სადღაც ახლოს გაუვლია და ჩვენც სწორი მიმართულება შეგვირჩევია, — მხარზე მეგობრულად დაჰკურა ხელი ცვატამ აიას და გზა არჩეული მიმართულებით გააგრძელეს.

მღვიმეში რომ შევიდნენ, უკვე ბნელოდა. გზად შეგროვილი ფიჩით კოცონი დაანთეს და მსუბუქად ივახშმეს. ცვატამ კიდევ ერთხელ რამდენჯერმე დაიძახა თეკლას სახელი, არავინ გამოპასუხებიათ. მთელი დღის სიარულისგან დაღლილ აიას მაშინვე ჩაეძინა. ცვატამ კიდევ დიდხანს იფხიზლა და უფრო უძილობისგან და ბორგვისგან დაღლილს გამთენისას ძლივს ჩაეძინა.

ასეთი შემზარავი სიზმრები აიას არასდროს ენახა. თეთრ მგლებზე ამხედრებული როკაპები ესიზმრა, თავადაც მგელზე იჯდა, მხოლოდ დიდ, ლაპლაპა მენამულბენვიან მამბერს მიაქროლებდა და ავსულებს კვალში ედგა. როცა დაენია, როკაპებს ტყეში ჩაძირულ მინდორში კოცონი აენთოთ და მის გარშემო ფერხული გაეჩალებინათ. ცეცხლის გარშემო დაჰკეროდნენ და თან გაჰკიოდნენ. მამბერი როკაპებისკენ იწევდა, აია ძლივს აჩერებდა. ავსულები ძალიან ბევრნი იყვნენ და ერთი მგელი, თუნდაც მამბერი და ერთი აია, ვერაფერს გახდებოდნენ. ცეკვას რომ მორჩნენ, როკაპები კოცონის გარშემო დასხდნენ. თითო-თითოდ დგებოდნენ, უბიდან რაღაცას იღებდნენ და ცეცხლში აგდებდნენ. ყოველი ასეთი ჩაგდების შემდეგ კოცონი სიმაღლეში იმატებდა, ცეცხლის ალები ტყის თავზე დანავარდობდნენ. აიამ ვერ გაარჩია, რას ყრიდნენ ავსულები კოცონში. უკანასკნელმაც ისროლა და ცეცხლი ბურთად შეიკრა, ცაში აიჭრა და ტყის თავზე გასკდა. ცეცხლის ალები ფთილებად ეცემოდა ტყეს, ყველაფერს ცეცხლი მოეკიდა. მამბერს ხანძარმოდებულ ტყეში მიაქროლებდა. მგელს ტორებზე თითქოს ნალები ჰქონდა დაკრული, მინაზე მიკარებისას ისეთ ხმას გამოსცემდა. ამ ხმამ გამოაღვიძა. ჯერ კიდევ ბნელოდა. კი ელვიძა, მაგრამ მამბერის ფეხის ხმა მაინც ჩაესმოდა. ჯერ ეგონა, სიზმრიდან გამოყოლილიაო, მერე რომ მიაყურადა, ცხადშიც გარკვევით გაიგონა. ისე ისმოდა, თითქოს ვიღაც ქვაზე აკაკუნებდა. ხმა ხანდახან იმდენად ძლიერდებოდა, თითქოს მათ მხოლოდ ერთი კედელი ჰყოფდა. ცხადში კაკუნის გაგონებამ აიას ნანახი საშინელება მაშინვე მიავიწყა, თუმცა, მიუხედავად მღვიმეში ჩამქრალი კოცონისა და სიცივისა, შუბლზე სიზმრისეული ხანძრის სიმხურვალისგან გამოყოლილი ოფლის წვეთები ჯერ კიდევ არ შეშრობოდა.

- ცვატა! — შეანჯაღრია მონადირე აიამ.
- რა მოხდა?! — მყისვე წამოიჭრა კაცი.
- მოუსმინე! გესმის?
- მმმ... — დაფიქრდა ცვატა, — აკაკუნებენ.
- ჰო, აქ ვიღაც არის! მოიცა... — მიაყურადა აიამ, მოეჩვენა, უბრალო კაკუნი არ იყო და მსგავსი ადრე მრავალჯერ გაეგონა.
- რა იყო?

— მოიცა... მოიცა... — გააჩერა ქალიშვილმა.

ცვატა გაისუსა და პასუხს დაელოდა. აიას კაკუნი რაღაცას ახსენებდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო. ჯერ იფიქრა, იქნებ იმ ბგერებს ჰგავს, მომღერალი კლდეები რომ გამოსცემდნენო, მაგრამ მალევე მიხვდა, ის არ იყო. კაკუნს თავადაც აჰყვა, — ტაკ, ტაკტაკტაკ, ტაკ, ტაკტაკ, — აიამ თვალები დახუჭა და გონებაში რამდენჯერმე გაიმეორა, მაგრამ მაინც ვერაფერს მიამსგავსა.

— ჰეი, გაიღვიძე! — შეუძახა ცვატამ.

— მითხარი რამე? — მსწრაფლ გონს მოეგო აია, — გავიღვიძო? ჰო, გავიღვიძო! მივხვდი, რა ხმაა!

— რას მიხვდი, აბა?

— კამარაში, დალებთან, ამ კაკუნის მსგავსად მაღვიძებდნენ და ტყეში მიმოფანტულ გოგოებსაც ასე გვაგროვებდნენ. საადლაც ახლოს თეკლაა, ეტყობა ხმას ვერ იღებს. ჩვენი ძახილი გაიგო და კაკუნით გვეპასუხება.

— ან მამაშენი გვიხმობს, — არც ეს გამორიცხა ცვატამ, — ასეა თუ ისე, ხმას უნდა მივყვეთ! აი, ირიჟრაჟა უკვე, გზას გავუდგეთ, — დაფაცურდა მონადირე.

ხმის მიყოლა ბევრად რთული აღმოჩნდა, ვიდრე ცვატასა და აიას წარმოედგინათ. ხან რომ ეგონათ, დაბლიდან ისმისო, ცოტას დაეშვებოდნენ თუ არა, კაკუნი ზემოდან მოდიოდა. ცვატა კლდის ზედაპირს ყურს ადებდა და სწორი მიმართულების პოვნას ცდილობდა. მონადირეს ნადირივით მახვილი სმენა ჰქონდა. ხმას კი არა, ჰაერის უმნიშვნელო შერხევასაც კი გრძნობდა, მაგრამ ამჯერად გაუჭირდა. კაკუნის სიხშირემაც იკლო.

— ალბათ ხელი დაელალა, — დაასკვნა აიამ, — უნდა ვიჩქაროთ! ნამდვილად ცხვირწინ მესმოდა, მაგრამ აქ კლდეში შესასვლელი ნაპრალი არსად ჩანს.

კლდეებზე ცოცვა-ცოცვაში და ნაპრალების თვალიერებაში მზე კარგად ამოიწვერა, ცოტაც და შუადღეც გადავიდოდა, მაგრამ ძებნას შედეგი ჯერ არ გამოელო. ხმაც აღარ გამეორებულა, მიწყდა. ცვატა და აია ხან სად მიაყურადებდნენ და ხან სად, მაგრამ საგულისხმო ვერაფერი გაიგონეს.

— თეკლა! თეკლა! — გზადაგზა გასძახოდა აია დალს, მაგრამ პასუხი არსაიდან ისმოდა.

— იმის ოინები არ იყოს, — ხელით მინისკენ ანიშნა აიას ცვატამ, — ისიც ხომ იქაა? იქნებ გონებას გვიბნევს, არ უნდა, რომ გზა გავაგრძელოთ.

— აღარ ვიცი, რა ვიფიქრო! — შეწუხებული ხმით თქვა აიამ, — ჩემს თავს ზემოთ შვერილი რომაა, იმას თუ შემოვულით, თორემ სხვაგან ახლომახლო ყველგან ვიყავით.

შვერილის უკან მომცრო შეღრმავება დახვდათ, ორივე რომ ჩამოჯდებოდა, ისეთი. მის იქით სხვა გასასვლელი არ იყო.

— დღეს თუ ვერ ვიპოვეთ, ოკში უნდა დავბრუნდეთ, — უთხრა ცვატამ აიას.

- რას ამბობ, ნახევარი დღის უშედეგო ძებნამ იმედი როგორ გადაგინურა? იქნებ დაჭრილია და ჩვენს შველას ელის?
- გაცხარდა აია.
- მოიცა... მოიცა!.. — დაამშვიდა მონადირემ ქალიშვილი, — ოკშამდე მიგაცილებ და მაშინვე გამოვბრუნდები, ძებნას მარტო გავაგრძელებ. შენი მოცდენა არ მინდა, თეკლასაც არ ესიამოვნებოდა, რომ გაეგო, წიგნების კითხვის ნაცვლად მთებში როგორ დადიხარ.
- ეს აღარ მითხრა, — იწყინა აიამ. ქალიშვილს იმის გაფიქრებაც არ უნდოდა, თავად წიგნსაცავში მშვიდად მჯდარიყო, როცა თეკლას ასავალ-დასავალი არ იცოდა. დალები ერთმანეთს ჭირში არ ტოვებდნენ და არც არასდროს ღალატობდნენ.
- ... — უსიტყვოდ დაეთანხმა ცვატა.
- ცვატა, მოდი, სულ მაღლა ავიდეთ და კლდეს თავზე მოვექცეთ. იქნებ იქიდან იყოს ჩასასვლელი, — შესთავაზა აიამ.
- ამისთვის მთას უნდა მოვუაროთ. ციცაბოზე აქედან ვერ ავალთ. ასე მაღლა კი რად უნდა ასულიყო, თუ რამე არ მისდევდა, ან თავად არ იდგა კვალში, — ბჭობდა მონადირე.
- სადმე ხვითოს ქვით მოთამაშე კლდის დედოფალა ხომ არ დალანდა და იმას გაჰყვა?
- არა. წყლიდან ასე შორს დედოფალა ვერ მოალწევდა. ერთი გზის გასაყარი გავიარეთ. იქ დავბრუნდეთ, — აიასთვის მოულოდნელად თქვა მონადირემ.
- კი მაგრამ, ხმა? კაკუნი ხომ აქ გავიგეთ? უმჯობესია, ზევით ავიდეთ და იქიდან კლდის შიგნით შესალწევი გზა მოვიძიოთ.
- ხანდახან მთაში წყლის წვეთი ქვას ისე ეცემა, ექო ისე აზვიადებს მის წკაპუნს, კაცს ქვეყნის დაქცევა ეგონება.
- მაგრამ შეუძლებელია, ის კაკუნი, რაც მე გავიგონე და შენც მოისმინე, შემთხვევით დამთხვეოდა დალებთან გაგონილს.
- ერთი მაღლა აიხედე, — ხელი გაიშვირა ცისკენ ცვატამ, — აი იმ ღრუბლის ქულას შეხედე, ზუსტად ჩვენ რომ შემოგვცერის, რას გაგონებს?
- რას მაგონებს და ადამიანის სახეს, მოხუც წვეროსანს ჰეგავს, მაგრამ ეს სულ სხვა შემთხვევაა. ისე მიხსნი, თითქოს ბავშვი ვიყო, — უკმაყოფილოდ გახედა აიამ ცვატას. მონადირემ ქალიშვილს თვალი აარიდა.
- ერთ ხანს ჩუმად ისხდნენ. აია ზევით ასვლაზე ფიქრობდა, ცვატა უკან გაბრუნებაზე. გონებაში გეგმებს აწყობდნენ, მაგრამ ერთმანეთს აღარაფერს ეუბნებოდნენ. სიჩუმე ისე გაიწელა, აიამ ხმალიც კი ამოიღო და მიაყურადა.
- ამას რაღას უსმენ? — გამოერკვა ფიქრებიდან ცვატა.
- ეს განსაკუთრებული ხმალია. მისი გამოყენების დრო რომ მოდის, პატრონს თავად უხმობს.
- ახლა რას გეუნება?

— ჩუმად არის, არ მეძახის... მაგრამ ეს რა ხმაა!.. — დაძაბა სმენა აიამ. ცვატას რომ შეხედა, მიხვდა, მასაც ესმოდა, — მონადირეს სახეზე გაკვირვება აღბეჭდოდა.

უეცრად ქარი ამოვარდა და მოწმენდილ ცაზე ისეთი გრგვინვა გაისმა, თითქოს მიწა შუაზე გაიპო და ყველაფერი ამობრუნდა. მთა შეზანზარდა და არადაარ გაჩერდა. ცვატამ აიას ხელი სტაცა და ქვაბულის სიღრმისკენ უბიძგა. რყევა რამდენჯერმე ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, თავი ძლივს შეიკვეს, რომ არ გადაცვენილიყვნენ. ირგვლივ ყველაფერი იქ-ცეოდა, მთები ნაპრალებად იბზარებოდა და სკდებოდა. თავდაპირველად ორივეს მიწისძვრა ეგონა, მაგრამ იმდენ ხანს გაგრძელდა, ისეთი ხმაურითა და ღრიანცელით, ორივე მიხვდა, ბუნება არაფერ შუაში იყო. ბუნება თავად იყო ბრძოლის ველზე მოხვედრილი და დაზარალებული.

— ჩამეჭიდე, ჩამეჭიდე! — უყვიროდა ცვატა აიას.

აია თავს ძლივს იკავებდა, თავადაც მიწის სტიქიონად რომ არ ქცეულიყო და იმ საზარელ ბრძოლაში არ ჩაბმულიყო, რომელიც მის ფეხებზე, მის გარშემო მძვინვარებდა. ეს აზრი ყოველთვის ანუხებდა. ფიქრებშიც კი უჭირდა იმის წარმოდგენა, რომ ერთხელაც ლილეს გვერდით არ დადგებოდა და სამსალასთან ბრძოლაში განზე გადგებოდა, შორიდან დაუწყებდა ცქერას და მამას მარტოს დატოვებდა. და ამის მერე ცხოვრება ჩვეულებრივად უნდა გაეგრძელებინა. ამის გაფიქრებაც კი ზარავდა, მაგრამ ზუსტად იცოდა, მაინც ასე მოიქცეოდა, რადგან თავად ლილემ ასე დაიბარა. აიას მიწის სტიქიონად ქცევა აუკრძალა და სამსალასთან საბრძოლველად სხვა გზების ძიება დაავალა. აია მიზეზს ვერ ხვდებოდა, რუფიაც არაფერს ეუბნებოდა. ქალიშვილს ლოდინისა და სხვა გამოსავალის ძებნის მეტი არაფერი რჩებოდა.

როცა ყველაფერი ჩაწყნარდა და აიამ და ცვატამ მიმოიხედეს, იქაურობა ვერ იცნეს: მთები ბელტების გროვებად ქცეულიყვნენ, სიმწვანის ნასახიც არ ჩანდა. თითქოს უშველებელ გოლიათს მიწა ბარით ამოეტრიალებინა. ერთდერთი ის მთა იდგა უწინდებურად, რომელსაც აია და ცვატა თავს აფარებდნენ.

— როგორ ხარ? — ჰერითხა ცვატამ აიას.

აიას პირი მტვრით ავსებოდა. ერთმანეთს მიწებებული ტუჩები ძლივს გახსნა, მაგრამ ხმა მაინც ვერ ამოილო და მხოლოდ თავის დაკვრით ანიშნა, — რა მიშავსო. ცვატამ მათარა გაუწოდა. ქალიშვილი წყალს ხარბად დაეწაფა.

— კაკუნი მხოლოდ ჩვენს აქ შესაკავებლად ისმოდა!

— ჰო, მამაშენმა ჩვენი თავი არ დაანება სამსალას. იქნებ თეკლაც სადმე ასეა გამოკეტილი?

— შეიძლება და ამიტომაც დაიგვიანა.

— ლილეს ნიშნების ამოკითხვა უნდა ვისწავლოთ, — ცვატა ძირს იხედებოდა და ჩასასვლელ გზას არჩევდა, — მგონი, აქაურობის მიტოვების დროა. ყველაფერი ჩაწყნარდა.

— დროებით ჩაწყნარდა, — დააყოლა აიამ.

- ჩავიდეთ თუ არა? — ცვატამ გადაწყვეტილების მიღება აიას დაუთმო.
- ჩავიდეთ. ამ ძალის გამოვლენის შემდეგ სამსალა ერთხანს სუსტად იქნება. გამოსაცოცხლებლად დრო სჭირდება, სტიქიონი ამით განსხვავდება სტიქიისგან, იღლება.
- უკან გავპრუნდეთ, ხომ?
- კი, ახლა თეკლას ძიებას აზრი არა აქვს. თუ ცოცხალია, თავად დაპრუნდება.
- სიარული ჭირდა. შემოვლითი გზების ძებნის რამდენჯერმე მთავარ მიმართულებას ასცდნენ და კინალამ სულ სხვა, ოქშის მოპირდაპირე მხარეს გადავიდნენ. სალამომდე ისე იარეს, ნაცნობი ვერაფერი დალანდეს. მზის დახმარებით თუ ხვდებოდნენ, საით უნდა ნასულიყვნენ, თორმე ამოტრიალებული ლოდები და ჩამონგრეული კლდის ზედაპირი მგზავრებს აღარაფერს კარნახობდა. ისეთ გამოცდილ მონადირესაც კი, როგორიც ცვატა იყო, გზის გაგნება უჭირდა. მხოლოდ მესამე დღეს დაპრუნდნენ შინ. ოქშის კარიბჭეს რომ აღებდნენ, ზემოდან თეკლამ გადმოხედა.
- როგორც იქნა, მშვიდობით დაპრუნდით! — სიხარულს ვერ მალავდა დალი.
- რა მოხდა, სად იყავი?! — დაპრუნებულებმა კითხვებით აავსეს თეკლა.
- სანადიროდ წავედი, ვითომ არ იცით? — თითქოს არც დაუგვიანიაო, ისე უპასუხა თეკლამ.
- და რატომ დაიგვიანე, ამ ციკნის მონადირებას ამდენი დრო უნდოდა? — ჰერთხა ცვატამ.
- მერე მოგიყვებით, ახლა მოგხედავთ, ფეხზე ძლივს დგახართ, — დაფაცურდა თეკლა.
- იმ დღეს აიას წიგნსაცავში არ შეუხედავს. თეკლასთან და ცვატასთან გაატარა. სულ მამაზე ეფიქრებოდა. დარდთან და მწველ გრძნობებთან მარტო დარჩენა არ სურდა, თან თეკლას მონაყოლიც აინტერესებდა.
- დამშეულებს თეკლა განსაკუთრებულად გაუმასპინძლდა. სანელებლებიან ღვინოში შენახული აქნილი ნანადირევი სასწრაფოდ შეწვა. დარბილებული ხორცი მალევე გამზადდა და ისეთი სუნი დაატრიალა, აია და ცვატა თავს ძლივს იყავებდნენ, პირი რომ არ დაეწვათ და გულის გასაგრილებლად ცივ ღვინოს მიეძალნენ. გამზადებულ ხორცს თეკლამ მთაში სახელდასელოდ მოკრეფილი კენკრისაგან დამზადებული საწებელი მოასხა და სუფრაც გაშალა. დაქანცულებზე ღვინომ ბევრად ადრე იმოქმედა, ვიდრე დანაყრდნენ. ორი-სამი ლუკმის შემდეგ აიაცა და ცვატაც უკვე ნელ-ნელა ჭამდნენ და სადილს გაციების საშუალებას აძლევდნენ.
- აღარ მოყვები, სად დაიკარგე? — ჰერთხა ცვატამ თეკლას, რომელიც მათ წინ იჯდა, მოსადილებს შესცეკროდა და თავად ორიოდე ლუკმაც არ გაეწინება.
- ცვატა, არ დამიჯერებ, რასაც ახლა მოგიყვები! — დაიწყო სახეგაბრნყინებულმა თეკლამ.
- მოყევი... დიდი ვერაფრით გაგვაკვირვებ, ჩვენც დაუჯერებელი ამბავი გადაგვხდა! — ნიშნის მოგებით უპასუხა ცვატამ.

- მოკლედ, სანადირო ადგილებს მშვიდობიანად სავარაუდო დროში მივაღწიე.
- სადაც აპირებდი, იქით წახვედი? ლურჯი ტბებისკენ? — დააზუსტებინა ცვატამ.
- კი. სხვაგან რატომ წავიდოდი? ასეთი პირობა არ გვქონდა დადებული?
- მერე?
- მერე უცნაური ნაფეხურები შემხვდა. ჯერ დათვის მეგონა, ზომით კი ჰეგავდა, მაგრამ დათვის არ იყო. მერე ვიფიქრე, ეს რა მოზრდილი ჯიქი ყოფილა მეთქი... — თეკლამ მოყოლა შეწყვიტა და ცვატას თვალი თვალში გაუყარა.
- მერე... მერე... — დაინტერესდა ცვატა. პირისკენ წალებული ლუკმა ისევ ჯამში ჩადო.
- მერე ის, რომ ნაფეხურების პატრონის მოძებნა გადავწყვიტე და კვალში ჩავუდექი. არ მითხრა, თითქოს შენ სხვაგვარად მოიქცეოდი. ვიფიქრე, ერთი დღე აქეთ, ერთი დღე იქით. დათქმული სამის ნაცვლად წალების ან თუ გამოვა-მეთქი.
- ოთხზე მეტდღიანი გამოგივიდა, ამის გამო შევშოთდით, — ჩაერია საუბარში აიაც.
- მოიცა აია, ჯერ მომისმინე. კვალმა მთელი დღე მატარა. ხან ვკარგავდი და ხან ისევ ვპოულობდი. ბოლოს ერთ დიდ გამოქვაბულთან მივედი. სიმართლე გითხრათ, ცხოველს არც ველოდი, უფრო ავსულთა მსახური მეგონა. ამის გამო უფრო ვერ ვანებებდი თავს. გამოქვაბულში პირდაპირ არ შევედი. დაველოდე. ადრე თუ გვიან ხომ გამოვიდოდა. მთვარიანი ლამე დადგა. გამოქვაბულიდან კი ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. ისიც კი ვიფიქრე, ვინ იცის, სულ ტყუილად ვარ ჩასაფრებული-მეთქი. ლამე იყო, მაინც ვერსად წავიდოდი და ისევ ფხიზლად ყოფნა ვარჩიე. რამდენ ხანს ვიყავი ასე, არ ვიცი, მთვარე ზედ თავზე წამომასკუპდა. უეცრად ღრიალი მომესმა.
- გამოქვაბულიდან? — ჩაეძია ცვატა.
- კი, გამოქვაბულიდან!
- მერე? — პასუხის მოლოდინში ცალი წარბი აუთამაშდა ცვატას. აიამ მონადირეს შეხედა და მისი ფიქრების გამოცნობა რთული არ იყო.
- და ისიც გამოვიდა! ნიავი სახეში მცემდა. წინ წავინიე, — თქვა თეკლამ და წამოდგა. ხელით სილუეტი შემოხაზა. თითქოს რაღაცას ეფერებოდა, ისე ნელა მიუყვებოდა კონტურს. — მთვარის შუქზე მის ბეწვს ვერცხლისფერი დაჰკრავდა, მაგრამ შავი ზოლები მაინც კარგად ემჩნეოდა. ვეებერთელა იყო, დიდებული. ისე ნაზად გაიზმორა, მის ტანს სულ არ შეეფერებოდა. მე ვერ მგრძნობდა. გინდაც რომ ვეგრძნე და შეტევაზე გადმოსულიყო, ხელს არ გავანძრევდი.
- რატომ? მოგნუსხა? — ჰეკითხა ცვატამ.
- არა, ჩემთვის არც შემოუხედავს, — თეკლა მაგიდას დაუბრუნდა. — მასზე ხელს როგორ აღვმართავდი, სად ის და სად მე?! ჩვენ ორიდან ამ მინას მისი სილამაზე და დიდებულება უფრო დაამშვენებდა, ვიდრე ჩემი. მე მისი მეტოქე არ ვიყავი.

— მართლა წარმოუდგენელს ჰყვები! — დაეთანხმა თეკლას ცვატა, — აიასაც ვეუბნებოდი, ნეტავ ზოლიანები კიდევ არსებობენ, თუ სულ გადაშენდნენ-მეთქი. მერე რა მოხდა, მერე!

— არც არაფერი. გათენებას დაველოდე, ეს ციკანი მოვინადირე და ოქშისკენ გამოვწიე. ვალიარებ, გზადაგზა ფეხს ვითორევდი, იქნებ მისთვის ან მისი ნაკვალევისთვის თვალი კიდევ მომეურა. ყველგან ის მელანდებოდა. ყველა გაფაჩუნებას ვაყურადებდი და უსაფრდებოდი. ამიტომაც ასე შემაგვიანდა. სულ ესაა. ცვატა, ვიცოდი, მიზეზის გაგების შემდეგ დაგვიანებას გამიგებდი.

— ჰო... — ამოიოხრა ცვატამ, — მესმის შენი, მესმის...

— თქვენ რაღა საოცრება დაგემართათ? — იკითხა თეკლამ და გრძნობებისგან გათავისუფლებულმა სადილობას მიხედა.

— ჩვენ? ისეთი არაფერი, — უპასუხა აიამ, — სამსალასა და ლილეს ორთაბრძოლას გადავეყარეთ.

— რაო?! — ლუკმა ყელში გაეჩირა თეკლას.

აიამ ყველაფერი დაწვრილებით მოჰყვა: როგორ გაიგეს კაკუნი, როგორ გაახსენდა კამარა, როგორ შერჩნენ პატარა ქვაბულს და გარშემო რა უბედურება ტრიალებდა. თეკლა გაოგნებული უსმენდა.

— მაპატიეთ, კარგად არ მოვიქეცი! არ უნდა დამეგვიანა! არ უნდა დამვიწყებოდა, აქ რისთვის ვარ! — თხრობის და-სასრულს მხოლოდ ეს თქვა თეკლამ.

კიდევ ბევრი ისაუბრეს და სანამ კარგად არ შემოაღამდათ, არ დაიშალნენ. ბჭობდნენ, ვარაუდებს გამოთქამდნენ. სინამდვილეში რა მოხდა, არც ერთმა არ იცოდა, თუმცა იმაზე კი თანხმდებოდნენ, ცვატა და აია სამსალასგან ლილე იროელმა დაიცვა, შვილი ბნელთმეუფეს არ დაანება. როგორ, რის ფასად — ამაზე საუბარს სამივე გაურბოდა, განსაკუთრებით აია. აია ცვატასა და თეკლას დაემშვიდობა და დასაძინებლად გასწია.

— წადი შენც, დაისვენე, დაიძინე, აქაურობას მე მივალაგებ! — შესთავაზა თეკლამ ცვატას.

— ადვილი სათქმელია — დაიძინე! — ჩაილაპარაკა მონადირემ, — ისედაც უძილობა მკლავდა. ახლა ეს ოხერი ფიქრები მომასვენებენ, რომ დავიძინო?

— ჯობდა, არ მომეყოლა, — დამნაშავესავით თქვა თეკლამ და ცვატას გვერდით ჩამოუჯდა.

— მონადირისთვის წამებაა, ხეობის იქით ზოლიანი ელოდებოდეს, კლდეებში თავისუფლად დანავარდობდეს, ის კი კოშკში იყოს გამოკეტილი, — მწარედ ამოიოხრა ცვატამ.

— შენ წანახი მაინც არ გყავს, მე კი ცხადში და სიზმარშიც მელანდება, — თავისი გასაჭირი შესჩივლა თეკლამ, — ამიტომაც ვერ მოვითმინე და გაგაგებინე. თუმცა, თავს პირობა მივეცი, კრინტი არ დამეძრა.

ცვატამ დალს გახედა. კარგა ხანს მიშტერებოდნენ ერთმანეთს. თეკლამ მონადირის თვალებში სასონარკვეთილება

ამოიკითხა, ხაფანგში გაბმული ნადირის გამოხედვა ჰქონდა. რა ეთქვა, რით შეემსუბუქებინა მონადირის ხვედრი დალს, როცა იმავეს განიცდიდა და თავად შესაგულიანებელი იყო — ოქში სამუდამოდ არ ხარ გამოკეტილი, შენს კამარას მალე დაუბრუნდები.

- წავედი! — სიჩუმე ისევ ცვატამ დაარღვია და ზანტად წამოდგა.
- სად? — შეშფოთებულმა გააყოლა მზერა თეკლამ.
- დასაძინებლად. იქნებ სიზმრად მაინც ვნახო!
- აპა... — შვებით ამოისუნთქა ქალმა. რატომლაც ელოდა, ცვატა იარაღს აისხამდა და ოკში დატოვებდა.
- სხვაგან სად? — უიმედოდ ჩაიქნია ხელი მონადირემ.
- ცვატა, სიზმრად ზოლიანს თუ ნახავ, მეც იქვე ახლოს, ლოდს ამოფარებული ვიყავი. არ დაიზარო, გადმოიხედე!
- სიტყვა გააყოლა თეკლამ.

ამბები კაისას სიზმრებიდან

მხოლოდ სულიერი ბრძოლის უკიდურეს მიჯნაზე მისულები ხედავენ სხვა სამყაროებს და მათ შორის იმდენად გაცრეცილ ზღვარს, რომ ერთი ნაბიჯი კმარა გადასასვლელად, ნახევარი კი — ორივეში სასიარულოდ, — ერთხელ დაწერა კაისამ და თვლა არ ჰქონდა, მერამდენედ კითხულობდა აია. კაისას ჩანაწერებიდან ეს მისთვის ყველაზე მეტად ახლობელი და გასაგები სიტყვები იყო. რამდენჯერაც „ცხადში ნანას სიზმრებს“ გადაშლიდა, პირველად აუცილებლად თავფურცელზე ამ წანამძღვარს მიადგებოდა. მერე ალალბედზე გადაფურცლავდა და კითხვას იწყებდა. ჩანაწერების გაგება უჭირდა. სიზმრებს სულ არ ჰგავდა. ნანასი ამბების ნაცვლად კაისა გამოცანებითა და ქარაგმებით წერდა. ხანდახან თითქოს ლექსებს ამბობდა, მაგრამ არც მთლად ლექსები იყო. აია ხვდებოდა, მთავარი სიტყვები კი არ იყო, არამედ ის, რაც მათ უკან იგულისხმებოდა, მაგრამ სიტყვები და მათი წყობაც არანაკლებ იზიდავდა. კაისას ჩანაწერებს წიგნსაცავის ერთ წიგნს ვერ შეადარებდა. კაისასთან აია სტრიქონებში როგორც ლაბირინთში, ისე იკარგებოდა და გვერდიდან გვერდამდე არათუ გამოსასვლელს ვერ პოულობდა, შესასვლელის ადგილმდებარეობაც კი ავიწყდებოდა. ასე მაგალითად, კაისა წერდა: სიბნელეს მხოლოდ სიბნელეთა ერთობამ მიანიჭა თავისუფლება და გახდა უთვისებოო. რა უნდა ყოფილიყო უთვისებო სიბნელე, ან მანამდე რა თვისებები ჰქონდა, — ამაზე არაფერი ეწერა, ვერც აია ხვდებოდა. ასეთი ქარაგმის ამოიკითხვის შემდეგ მთელი დღეები მის ამოხსნაზე ფიქრობდა და სხვა წიგნების კითხვას გულს ვერ უდებდა, არადა, წასაკითხი რამდენი იყო თაროებზე შემოწყობილი, ზოგიც შეკვრებად დალაგებული. ასეთი

სამი შეკვრა იპოვა აიამ. წიგნსაცავის ბოლოში, სკივრში ეწყო. ალბათ კაისამ მათი დასახარისხება ვეღარ მოასწროო, გაიფიქრა და გადაწყვიტა, უახლოეს მომავალში მათვის ადგილი თავად მიეჩინა.

აიამ ახლაც ალალბედზე გადაშალა კაისას „ცხადში ნანახი სიზმრები“. ისეთი ადგილი შეხვდა, რაც აქამდე არ წაეკითხა. კაისა სიმღერას ელოდა. დასაწყისში მორიდებულად, შეფარვით ითხოვდა. მერე მორჩილი, მაგრამ ბედს-შეურიგებელი ადამიანის ხევნასავით ისმოდა მისი სიტყვები, რომელიც დასასრულისკენ განწირულ კივილად გადაიქცა. ბოლო სტრიქონებში კი კაისა დანანებით ამბობდა, რომ ვერც ერთი ბგერა ვერ შეარხევდა მის გრძნობებს, გონებასა და სულს, რადგან გედს უკანასკნელი სიმღერა მრავალი წლის წინ უკვე ემღერა, ნისლში გაფანტულ ბგერებს კი უკან ვერავინ ვეღარასდროს დააბრუნებდა, თავად გედის ძვლების ფერფლი კი დიდი ხანია ზღვის სიღრმეებს შერეოდა.

— ვერ გავიგე! — წამოიძახა აიამ, — არარსებულსა და გამქრალს როგორლა ელოდება, — ამიხსენი, კაისა, ამიხსენი! — ქალიშვილმა ისე მიმოავლო თვალი ოთახს, თითქოს პასუხს სიცარიელისგან ითხოვდა. კარში კი თეკლა დახვდა. დალს ხელში გრაგნილები ეჭირა.

— რა ვერ გაიგე? — იკითხა თეკლამ.

— მომისმინე! — აიამ კაისას ჩანაწერი ხმამაღლა წაიკითხა, — ვერ ვხდები, კაისა რას გულისხმობდა.

— იქნებ არც არაფერს გულისხმობდა, — თეკლამ გრაგნილები აიას მაგიდაზე დაალაგა.

— რას ჰქვია, არაფერს გულისხმობდა? — დალის პასუხი გაუკვირდა აიას და ახსნის მოლოდინში სმენად იქცა.

— სიზმრად მოსმენილის მოსმენას ცხადშიც წატრობს, — აუხსნა დალმა.

— ეს გასაგებია, — თქვა იმედგაცრუებულმა აიამ. თეკლასგან ბევრად უფრო სერიოზულ ახსნას ელოდა.

— შენ კი ამბობ, ვერ გავიგეო, — გაუცინა თეკლამ და მოტანილი გრაგნილებიდან ერთ-ერთი მაგიდაზე გაშალა.

— ეს რა არის? — აიამ ხაზებს თითო გააყოლა.

— მე და ცვატა ოკშის ლაპირინთებს ვსწავლობთ. სულ ქვედა სართულზე ვაპირებთ ჩასვლას. საოცრებებს ყვებოდნენ ბოლო სართულის შესახებ. სამწუხაროდ, ოკშის ნახაზებში მისკენ მიმავალ გზას ვერ მივაგენით და გადავწყვიტეთ, თავად გამოგვეკვლია.

— დრო კი გაქვთ თავზე საყრელი, — აია თეკლასა და ცვატას ძალისხმევამ დიდადაც არ დააინტერესა. მისთვის მთელ ტკიშვი ერთადერთი დარბაზი იყო მნიშვნელოვანი — წიგნსაცავი, და ისიც მისი ოთახის გვერდით იყო. — შენ ფიქრობ, რომ კაისა მხოლოდ სიზმრებს აღწერს და მეტს არაფერს? — ისევ ძველ ფიქრებს დაუბრუნდა აია.

— ვერაფერს გეტყვი. ამაში დამრიგებლად და დამხმარედ არ გამოგადგები.

— თეკლა, შენ ხომ იცნობდი კაისას? მის შესახებ მომიყევი რა, — გრაგნილები გვერდზე გასწია აიამ.

— ვიცნობდი... თუმცა, უმჯობესია, თუ ვიტყვით, ვიცნობ! — თეკლამ შუბლი შეჭმუხნა, თვალები მოჭუტა და თავი უკან გადასწია.

- რას იხსენებ? — გვერდით მიუჯდა აია თეკლას.
- პირველ დღეს — გონებადაკარგული კაისა კამარაში რომ მოიყვანეს. იმ დღეს გაქცევა გადავწყვიტე, — ჩაეცინა თეკლას, — ძიძასაც გამოვუტყდი, იმან დედაჩემს მოახსენა. დედოფლის ქალიშვილი ვიყავი, თან სუსტი ჯანმრთელობის და ამ სიტყვებისთვის არ დამსაჯეს.
- სად? რატომ? — დაინტერესდა აია.
- იმ მხარეში მინდოდა გაქცევა, სადაც ისეთ ლამაზ კაბებში ჩაცმული გოგოები ცხოვრობდნენ, როგორიც კაისას ეცვა. მანამდე კაბაში გამოწყობილი ქალი არასდროს მენახა.
- თეკლა, რას ამბომ?! — აუტყდა სიცილი აიას, — ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი.
- აბა?! დალების მომავალ დედოფალს ეს ფიქრები არ მეკადრებოდა! კაისა სულ ავადმყოფობდა, სიარულიც არ შეეძლო. ხელში აყვანილს გამოიყვანდნენ გარეთ და სკამზე დასვამდნენ. ის კი სადღაც შორეთში იცქირებოდა და არაფერს ამბობდა. დალ გოგოებს ხომ არაფრის გვეშინოდა, მაგრამ კაისას მიმართ უცნაური რიდი გვქონდა. ჩვეულებრივი ადამიანი არც გვეგონა, გრძნეულს ვადარებდით. ისე, ჰქონდა გრძნეულივით გამჭოლი მზერა. ჩვენ გვეგონა, თვალი თვალში რომ გაგვეყარა, მაშინვე მოვინუსხებოდით.
- ბოლომდე ასე გეშინოდათ?
- სხვებს ჰო, მე კი არა. ყველაფერი შეიცვალა, როცა კამარაში მეორე გონდაკარგული მოიყვანეს.
- მამაჩემი! — დაასწრო აიამ.
- ჰო, მამაშენი. ლილე და კაისა მაშინვე დამეგობრდნენ, მე ლილესთან ვმეგობრობდი და კაისაც უფრო ახლოს გავიცანი.
- და მიხვდი, გრძნეული რომ არ იყო.
- საშიში გრძნეული არ იყო, — შეუსწორა თეკლამ, — წავალ ახლა. ამ გრაგნილებს აქ შევინახავ. ოკშის ჯურლმულებამდე რომ ჩავალნევთ, მერე შენც ჩაგიყვანთ. საღამომდე აღარ შეგანუხებ. ახლა გზების გამოსაკვლევად წავალ, — დალმა თავისუფალი გრაგნილი აიღო და გასასვლელისკენ გასწია.
- თეკლა, რაღაც მამცივნებს, იქნებ შენი ბალახებით ნაყენი მომიხარშო? დიდი დრო ხომ არ უნდა. მოამზადე და დატოვე. ნუღარ მოიტან. მე გამოვალ და დავლევ.
- კარგი, — თავი დაუქნია დალმა აიას. მერე გრაგნილები იმ თაროზე შეალაგა, სადაც აია მისთვის და ცვატასთვის საინტერესო წიგნებს აგროვებდა და წიგნსაცავიდან გავიდა.
- კარი ღია დამიტოვე! — გასძახა აიამ.
- აია ისევ კაისას სიზმრებს მიუბრუნდა. ბოლოსკენ გადაშალა, დასასრულამდე სადღაც ათი ფურცლით წინ და კითხვა დაიწყო. შესცივდა. მოსასხამში გაეხვია, ღია აივანზე გავიდა და მზეს მიეფიცხა. ესიამოვნა. ოკშის ძირში მოქცევა

ტალღებს ძველებურად აზვირთებდა და კლდეებზე თეთრ ქაფს ტოვებდა. აიამ წიგნი მოაჯირზე დადო და ზღვას ჩახედა. წყლის ხმაური, სურნელი, სიო — ყველაფერი თავისკენ ეძახდა, იზიდავდა. წინააღმდეგობის განევა სულ უფრო მძიმე ხდებოდა. წამიც და აია თვალუწვდენელ ლურჯ სივრცეს შეუერთდებოდა. ხელები თავისით წამოიშალნენ და შემთხვევით მოაჯირზე შემოდებულ წიგნს გადაეყარნენ. აიამ კაისას ჩანაწერების დაჭერა ძლივს მოასწრო, ზღვაში რომ არ გადავარდნილიყო. გონის მოეგო. დაბლა აღარ ჩაუხედავს. წიგნი აიღო და იქვე ისე დაჯდა, ფურცლებს სხივები არ დასცემოდა და თვალი არ მოსჭროდა. ახლა ზღვის შეუილი იავნანასავით ჩახესმა, რული მოეკიდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და დამახსოვრებული ადგილიდან გააგრძელა კითხვა. „წლებით ნაშენი გალავანი ბავშვობამ გამოარღვია და წარსული ცხადად იქცა. მერე რა, რომ იმ გალავნის ლოდები ჩემი წლები არაა, არც ის ბავშვობაა ჩემი, მაგრამ ისე ცხადად ვხედავ და ვგრძნობ, შეიძლება, ის მოგონებები ასეთი სიზუსტით თავად პატრონმა ვერ ამოქექოს. თავდაპირველად თუთა მეგონა. ის დაქროდა ნიავზე სწრაფად, მას შეეძლო თევზივით ცურვა. რამდენჯერ თვალებზე ხელი ამიფარებია, როცა ჩანჩქერს წყალივით გადმომყოლია. მგონებია, მორევი გადაყლაპავდა, მაგრამ უვნებლად ამოსულა. ამიტომაც ვფიქრობდი, რომ თუთას ბავშვობა მსტუმრობდა. შევცდი. თუთა წყალივით იყო, მაგრამ თავად წყალი არასდროს ყოფილა. ნიავივით მოუსვენარი იყო, მაგრამ მასავით უხილავად არ უქროლია. არც ქარი ყოფილა არასდროს. მწველი მზერა ჰქონდა, მაგრამ თავად ცეცხლი არასდროს ყოფილა. ყოველთვის ადამიანი იყო. ის ბავშვი კი თავად გახდა ჰერი, როცა ხიდიდან გადაეშვა და თავად გახდა წყალი, როცა ზღვის სიღრმეებში მოხვდა. ის ბავშვი სტიქიებს არ ჰგავდა, თავად იყო სტიქია“, — წერდა კაისა.

— ეს ხომ მე ვარ! — წამოიძახა აიამ და გაოცებისგან წიგნი ხელიდან გაუვარდა. მაშინვე აიღო და ძვირფასი საჩუქარივით გულში ჩაიკრა. — ჩემზეა! — თქვა და კითხვა სასწრაფოდ გააგრძელა.

„მისმა უღალმა თმამ დამაბნია. ბავშვობაში ასეთი არ ჰქონდა. თვალებით ვიცანი, — აიამ თმაზე ხელი მოისვა, რომელსაც თეკლას რჩევით ფერი შეუცვალა, მოწითალო შეფერილობა მისცა, — ჩემი ცრემლიანი მფარველის გვერდით იდგა. ცრემლებისგან ქალს სახეზე ერთ მხარეს ღასჩენოდა. ცრემლი კი სდიოდა, მაგრამ არ ტიროდა.“ — ნეტავ, ეს ცრემლიანი ქალი ვინ უნდა იყოს, — ჩაფიქრდა აია, — თეკლა ან თუთა, — მხოლოდ ეს ივარაუდა და ცუდად ენიშნა. უსიამოვნობ შეიშმუშნა.

შემდეგ კაისა ბნელ დღეზე, მძინარე წყალზე და მტრად მოსულ დაუპატიიჟებელ სტუმრებზე წერდა და მასპინძელს მათ ბრძოლაში ჩარევას უკრძალავდა, ურჩევდა, საერთოდ დამალულიყვნენ. აიამ კიდევ რამდენიმე გვერდს გადაავლო თვალი და თეკლას მომზადებული ნაყენის დასალევად წავიდა. ვერ გადაეწყვიტა თეკლასთვის წაკითხულის შესახებ მოეყოლა თუ არა. სტიქიონებად ქცევის უნარს საიდუმლოდ თვლიდა. ასე იყო ლილესგან დარიგებული. არც არასდროს უნდა გამოეყენებინა და არც მოეყოლა. თუმცა თავად ლილემ დაარღვია წესი, ეს აიას მეტ თავისუფლებას ანიჭებდა, მაგრამ მამასთან შეთანხმების გარეშე მაინც თავს იკავებდა. რაც გერგეს გაუმხილა, ისიც საკმარისზე მეტად მიაჩნდა და ხანდახან წანობდა კიდეც.

აიამ თავი შეუძლოდ იგრძნო. აღარ აციებდა. ახლა პირიქით — გულზე ცეცხლი ეკიდა, სიმხურვალე ყელში აწვებოდა. ძლივს წამოდგა. ნაყენის დალევას ისევ წამოწოლა ამჯობინა. თავის ოთახში შევიდა, კარი ლია დარჩა. საწოლზე მიწვა.

- აქ ხარ? — შემოესმა თეკლას ხმა.
- აქ ვარ! — გაბზარული ხმით თქვა აიამ.
- რა მოგივიდა? ავად გახდი? — ფეხს აუჩქარა დალმა.
- ჰო, მგონი. ახლა მცხელა, შუბლი და კისერი მეწვის. რა კარგია, რომ თვითონ მოხვედი.
- დალიე ნაყენი. დღეს დაისვენე, იწექი, — თეკლამ აიას გავარვარებულ შუბლზე ხელი დაადო, — ახლავე მოვალ!
- თქვა და ოთახიდან გავიდა.
- უკან ღვინონარევი წყლით სავსე თასით დაბრუნდა. ნაჭერი დაასველა და აიას შუბლზე დაადო.
- კარგია! — ესიამოვნა აიას, — სად უნდა გავციებულიყავი? სულ წიგნსაცავში ვარ.
- ეს დღეებია ხმალსაც ხშირად ცდიდი, — შეუსწორა თეკლამ.
- ჯერაც არ მივარჯიშია! — თავი გააქნია აიამ, — შენ ხომ არ გაციებულხარ, ჩემთან ერთად არ იყავი? მე რაღა მომივიდა.

- დამშვიდდი. ხდება ხოლმე, — დალმა ქალიშვილის შუბლიდან ნაჭერი აიღო, გაანიავა და ისევ დაადო, — ეს ნაყენი ხვალისთვის ფეხზე დაგაყენებს. აი, ნახავ!
- უკვე მიშველა მგონი, ისე აღარ ვხურვარ, — დასამშვიდებლად გაულიმა აიამ, — დაგიჯერებ და დავისვენებ.
- დაიძინე! ერთი შენი თვალები დაგანახა, ხორბლის მარცვლებივით დაგიპატარავდა. მე აქ დავჯდები.
- რად მინდა, მიხედე შენს საქმეს, — დაითხოვა აიამ თეკლა.
- კარგი, გავალ, მოისვენე! რომ გაიღვიძებ, დარჩენილი ნაყენი დალიე.

ცვატას გული დასწყდა, თეკლასთან ერთად ოქშის ლაპირინთების გამოკვლევა რომ გადაიდო. ეს ერთადერთი საქმიანობა იყო, რომელიც მონადირეს ოქშის მოსაწყენ ცხოვრებას აძლებინებდა. თავად ვერ ხვდებოდა, რა უფრო იტაცებდა — გზების კვლევა და კიბეებზე დაგებული ხაფანგების აღმოჩენა, — აქამდე ხომ მხოლოდ თავად აგებდა, თუ მრავალწლიანი მონადირული, მარტოსული ცხოვრების შემდეგ თანამგზავრთან ერთად, თუნდაც ქვის კიბეების, ავლა-ჩავლა. ლაპირინთების კვლევის დაწყების შემდეგ ცვატასა და თეკლას სასაუბროც გაუწინდათ. ცვატა ქალებთან ლაპარაკისა და ქცევის დიდი მცოდნე არ იყო. ან სად უნდა ესწავლა — ისინი სანადიროდ არ დადიოდნენ და ცვატა კი ერთ ადგილას ცხოვრებას გულს ვერ უდებდა. უფრო მეტიც, ხშირად მათი მორჩილი გამომეტყველება აღიზიანებდა, დამფრთხალ სამიზნეს აგონებდა, შიშისგან გაქცევის თავიც რომ აღარ აქვს. თეკლას თვალებში ზუსტად ამას ვერ ხედავდა, იოტისოდენადაც ვერ ამჩნევდა. არც იყო გასაკვირი, თეკლა დალი იყო, მაგრამ ცვატას მის მტკიცე მზერაში ის ნაპერნკალი უფრო იზიდავდა, რასაც აქამდე ამაოდ ეძებდა.

ცვატას აიას ავადმყოფობა გაუკვირდა. სანადიროდ ეგ არ ყოფილა და თავსხმასა და ქარიშხალში არ მოხვედრილა, მთის მდინარის გაყინულ წყალში არ ჩავარდნილა და წიგნსაცავში გამოკეტილს რა უნდა დამართოდაო. მერე თავად დაასკვნა: გადაიღლებოდა, ერთი კარგი გამოძინება სჭირდება და ჩიტივით იქნებაო.

— მეც ასე ვფიქრობ, — იმედიანად თქვა თეკლამ. — სხვათა შორის, დაბლა ჩასასვლელი კიდევ ერთი კარი ვიპოვე. ან აქამდე როგორ ვერ შევამჩნიეთ. კაისას ოთახთან ახლოსაა. რამდენჯერ ავუარ-ჩამოვუარეთ და ყურადღება არ მიგვიქცევია.

- როგორ აღმოაჩინე? — ცვატამ ახალი რუკებით გრაგნილი დაახვია, გვერდზე გადადო და სმენად იქცა.
- სულ შემთხვევით. დერეფანში წყალი დამექცა და ღრეჩოში მიიმალა. კარი ძლივს გამოვალე, კარგა ხანს ვიწვალე.
- სახელური ჰქონდა?
- კედელში ჩატანებული, თითების გასაყრელით. ჩვეულებრივი რომ ჰქონოდა, თვალში ხომ აქამდეც მოგვხვდებოდა.
- ჰო... — თავი დააქნია ცვატამ, ცოტაოდენი ყოყმანის მერე კი დაამატა, — მე სანადიროდ ხომ არ წავიდე?
- მარაგი გვაქვს. ახალ მოვარეს დაეღოდე. გაიგე, რა ამინდი იქნება და მერე წადი. რა გეჩქარება?
- არც არაფერი. ვიფიქრე, სანამ შენ აიას უტრიალებ, მე მთებში წავიდოდი.
- მით უმეტეს, თუ მე აიასთან უნდა ვიყო, ოკენეს მიხედვა ხომ სჭირდება, — თეკლას ცვატას გაშვება არ უნდოდა.
- ფეხზე დადგომის ნაცვლად აია სულ უფრო ცუდად ხდებოდა. ემჩნეოდა, მაღალი სიცხე ჰქონდა, ბორგავდა. რამდენ-ჯერმე თავი სახლში — რომელი ეგონა და თეკლას, როგორც ნაის, ისე ელაპარაკებოდა. როცა თეკლა შუბლზე ცივ, სველ ნაჭერს დააფენდა, წამიერად მშვიდდებოდა, მიყუჩდებოდა, ერთს ჩათვლემდა და ისევ აბობოქრდებოდა. დალი მთელი ღამე ფხიზლობდა. ქალიშვილისთვის თვალი არ მოუცილებია. გამოწინისას აიას სიცხე უფრო აენია, ბოდავდა, საწოლიდან დგებოდა, გაიძახოდა, ხმალი მიხმობსო. თეკლამ აიას ხმალს რამდენჯერმე გახედა, მაგრამ ძახილის ვერა-ფერი შეამჩნია. აიას კი ვეღარ აკავებდა.

- ხმალი! ხმალი! — გაიძახოდა ქალიშვილი და იარაღისკენ იწევდა.

დალმა ხმალი აიას მიუტანა, იქნებ ასე უფრო დამშვიდდესო. აია დაწყნარების ნაცვლად უფრო გახელდა და ხმლის ქნევა დაიწყო. თეკლამ ძლივს წაგლიჯა ხელიდან. სასწრაფოდ დაალევინა რამდენიმე ფიალა დამამშვიდებელი ნაყენი. აია როდის-როდის დაწყნარდა. თეკლამ ხმლის აღება სცადა, მაგრამ ქალიშვილი ისე იყო ჩაბლაუჭებული, ძვრა ვერ უყო. თან შეეშინდა, არ გავაღვიძოო. ცოტა ხანში აიას სიცხემაც დაუნია. ისე აღარ ხურდა. ავადმყოფს ცვატამ მოაკითხა და აიასთან დროებით დარჩა, თეკლას შეცვლა შესთავაზა. დალი ნაყენების მოსამზადებლად გავიდა და მალევე სამკურნალო სითხიანი თასებით უკან დაბრუნდა.

- მშვიდად სძინავს! — მოახსენა ცვატამ.

— გამთენისას დასაძინებლად ორმაგი ნაყენი მივეცი! — შუბლზე ხელი დაადლო თეკლამ აიას, — თან გაგრილებულა!

— შვებით ამოისუნთქა დალმა.

— ხმლით რად სძინავს? ალება მინდოდა და არ დამანება, — იკითხა ცვატამ.

— აიტეხა, ხმალი მეძახისო. ვერაფრით დავამშვიდე. მოვუტანე და სულ გაგიუდა. ხომ გითხარი, დამამშვიდებელი ორმაგი ნაყენი დავალევინე-მეთქი. ამის მერელა ჩაეძინა. კარგი ახლა, წადი შენ. ისევ მე დავკრჩები. — ცვატა თეკლას უხმოდ დაემორჩილა.

თეკლა აიას საწოლთან ჩამოჯდა. ოთახამდე მოღწეული ტალღების დგაფუნი მის მშვიდ სუნთქვას ფარავდა. არადა, სულ რამდენიმე საათის წინ ზღვა და აია ერთმანეთს ჯიბრში ედგნენ. თეკლას რული მოეკიდა. ძილს გაუძალიანდა და ყურადღების გადასატანად ის წიგნი აიღო, რომელიც აიას თავთან ედო და მისსავე ჩანიშნულ გვერდზე გადაშალა. რამ-დენიმე აპზაცი წაიკითხა.

— მართალია აია, ვერაფერს გაიგებს კაცი. რა მძინარე წყალზეა საუბარი, რა დღისა და ღამის შეყრაზე, ან სტუმრების ჩხუბსა და დავიდარაბას მასპინძელმა შორიდან რად უნდა უცქიროს? ვერაფერი გავიგე, — ჩაილაპარაკა თავისთვის. წიგნი დადო და ისევ აიას სუნთქვას მიაყურადა.

აიას კვლავ ეძინა. თეკლამ ინანა კიდეც, ორმაგი ნაყენი არ უნდა მიმეცაო, მაგრამ მბორგავი ქალიშვილის შემხედვარე მაშინ ასე არ ფიქრობდა.

ღრუბლებმა მზის სხივებს გზა გადაუღობეს, ჩრდილმა ოთახი ნახევრად ჩააბნელა და შუადღისთვის უჩვეულოდ ჩაიბურა. თანდათან აიას სუნთქვა გამოიკვეთა და ოთახს მხოლოდ ის ავსებდა. თეკლამ ყურადღება დაძაბა. ოკშისთვის უჩვეულო გარემოს გრძნობდა, მაგრამ მიზეზს ვერ ხვდებოდა. აიამ ერთი ღრმად ამოიოხრა და წამიერად სუნთქვა შეეკრა. ახლა კი მიხვდა თეკლა, რა აწუხებდა: ოთახში სამარისებური სიჩუმე იდგა. თითქოს ოკშის ძირში მღელვარე ზღვა არც კი ყოფილიყო, რომლის მუდმივად აზვირთებულ ტალღებს წყლის ქაჯები და მაცილნიც გაურბოდნენ. თეკლა დერეფანში გავარდა და აიგნიდან გადაიხედა. მოკრიალებულ ცაზე მზეს მთვარე აფარებოდა და მის დამალვას ლამობდა. ოთახში ჩამობნელების მიზეზიც ეს უნდა ყოფილიყო და არა ღრუბლების ჩრდილი. კლდეს მიბჯენილი ზღვის გაშეშებული ტალღები არც კი ირხეოდნენ — წყალს ეძინა.

— სტუმრები... დაუპატიუებელი სტუმრები!.. — წამოიყვირა თეკლამ.

ჯერ აიას ოთახში შევარდა. შეანჯლრია, მაგრამ საგონებელში ვერ ჩააგდო. ცვატას გასაფრთხილებლად დააპირა გაქცევა, კარებამდე მივიდა, ისევ უკან გამობრუნდა, ვერც აიას ანებებდა თავს.

— თეკლა! — შეუყვირა საკუთარ თავს დალმა.

დალი აიას ოთახთან ახლოს აღმოჩენილი კარისკენ გავარდა. გამოაღო და ისევ უკან შებრუნდა. აია პატარა ბავშვივით აიტაცა და სამალავისკენ გააქანა. შეძლებისდაგვარად მოხერხებულად დააწვინა, კარი მიუხურა და ცვატასკენ

გაქანდა. ცვატა ვერც თავის ოთახში აღმოაჩინა და ვერც დიდი სათავსოში, რომელსაც სამზარეულოდ იყენებდნენ. ჭიშკრისკენ გაექანა, თან მთელი ხმით ეძახდა.

- აქ ვარ! — მოესმა მონადირის ხმა უკნიდან.
- ჭიშკარი... — ძლივს ამოთქვა თეკლამ.
- გავიგე... გავიგე... დავაპინავე უკვე!
- თეკლა ცვატას მივარდა, არც კი ჰარისტა, ვინ დააპინავეო, მკლავში ხელი ჩასჭიდა, გამომყევიო, — შეუძახა და პატარა ბავშვივით წაათრია.
 - თეკლა, რას აკეთებ, — გაუძალიანდა ცვატა, მაგრამ დალმა თვალები ისე დაუბრიალა, მის ნებას მიჰყვა.
 - წიგნსაცავი ჩარაზე! სწრაფად! — უბრძანა მონადირეს დალმა, თავად კი აიას ოთახში შევარდა და ის წიგნი აიღო, რომლიდანაც მძინარე წყლის შესახებ ამოიკითხა.
 - რა მოხდა, აღარ მეტყვი? — ჰარისტა სამალავში ცვატამ ქალს, — ფასისიდან გვესტურნენ, თუთამ ხალხი გამოგზავნა. რას იტყვიან?
 - ფასისიდან? — დაეჭვდა თეკლა.
 - აია აქ რატომ შემოიყვანე, ვის ვემალებით?
 - ახლავე გეტყვი... — თეკლა ცოტა დამშვიდდა და ცვატას ყველაფერი მოუყვა.
 - კი ჩამობნელდა უეცრად, — დაეთანხმა მონადირე, — წყლის დაძინების კი რა გითხრა, ზღვის ხმაური ჩემამდე არც მოდიოდა.
 - ახლა შენ მითხარი, ვინ იყვნენ?
 - ხუთნი იყვნენ. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ადამიანები. ვერაფერი ვიეჭვე. ოკშო შევიყვანე. შენ გიკითხეს, საქმე გვაქვს სასწრაფოო.
 - თეკლა, სად ვარ? — მოისმა აიას ხმა.
 - სამალავში ვართ.
 - რა ხდება? — თავი წამოსწია აიამ.
 - წყალმა დაიძინა, — მხოლოდ ეს უპასუხა თეკლამ.
 - წყალმა დაიძინა... წყალმა დაიძინა... — გაიმეორა ქალიშვილმა, — და დაუპატიუებელ სტუმრებს ვემალებით. — თეკლა, შენც იცოდი ეს?
 - არა. ამ დილით ამოვიკითხე და ის გავაკეთე, რასაც კაისა გვირჩევდა.

დერეფნიდან ბრახუნი მოისმა. რა ხდებოდა, გარჩევა რთული იყო. ბრახუნი ღრიალმა შეცვალა. სამივეს ისეთი განც-და დაეუფლა, ზუსტად მათ კართან ნადირი ერთმანეთს დარეოდა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართათ პირველობისთვის. კარს სულ უმნიშვნელო ჭუჭრუტანაც არ ჰქონდა, რომ გაეხედათ. დრო ისე გაიწელა, სამივეს მოთ-მინების ფიალა ევსებოდა, გაურკვევლობა კი მოლოდინის აუტანლობას უფრო ამძაფრებდა.

— ქაჯები არიან! — დაასკვნა დალმა.

— ჰო, ეგენი არიან! — მონადირე რამდენჯერმე ისე აიტანა ბრძოლის უინმა, იარალის ტარს წაეტანა.

— დამშვიდდი! — თეკლამ მაშინვე იგრძნო მისი მოძრაობა, — აჲ, მეც რა დიდი სიამოვნებით გავუხტებოდი. რა ხა-ნია, აღარსად შემომფეთებიან! — კბილებსშუა გამოსცრა დალმა.

ხმაური ოდნავ მიწყნარდა თუ არა, ცვატამ გასვლა გადაწყვიტა. კარი ოდნავ შეღებულიც არ ჰქონდა, რომ ისეთი გრგვინვა გაისმა, იქაურობა ისე შეზანზარდა, ეგონათ, ოკში თავზე ჩამოექცეოდათ. ოკშელები კედლებს მიეხეთქნენ. ერთმანეთს ეჭიდებოდნენ, დაბლა ჩამავალ კიბეზე რომ არ ჩაგორებულიყვნენ. კიდევ კარგი, რყევა დიდხანს არ გაგრ-ძელდა. გრგვინვასა და ზრიალს ზუზუნი მოჰყვა, რკინის რკინაზე შემორტყმის შემდეგ რომ იცის ხოლმე, ისეთი. ზუზუ-ნის შემდეგ სიჩუმემ დაისადგურა. ერთხანს ოკშელებს მხოლოდ საკუთარი ყურების შიშინი ესმოდათ, შემდეგ კი კაკუნი გაისმა. ზუსტად ისეთი, იმ სიხშირითა და წყვეტებით, როგორიც აიამ თეკლას ძებნისას მთებში მოისმინა.

— ეს მამაა! — წამოიძახა აიამ, — ნიშანს გვაძლევს, როგორც მაშინ. გასვლა შეგვიძლია.

კარი ფრთხილად გააღეს. დერეფანი ქაჯებისა და შაშილების გვამებით იყო სავსე. კიდევ, ბევრი მიწა ეყარა გოროხე-ბად. ოკში, პირველად არსებობის მანძილზე, ავსულთა შემოტევა გადაეტანა.

— კაისამ და ლილემ გადაგვარჩინეს! — ამაყად თქვა თეკლამ.

— აქ მხოლოდ ქაჯთა გვამებია, კი მაგრამ, წინააღმდეგობა ვინ გაუწია?! — გაოგნებული ცვატა აქეთ-იქით იყურებოდა.

— აი ვინ! — აიამ მოზრდილი გოროხი აიღო და მონადირეს გაუწოდა.

მთვარე მზეს მოსცილებოდა. ზღვაში ჩამავალ მნათობს პორიზონტი გაეწიოლებინა. ტალღები უნინდებურად ეხეთქებოდნენ ოკშის კლდეებს და იქაურობას აყრუებდნენ.

— ეს რა ამბავი დაგიტრიალებიათ აქ? — მოისმა ყრანტალი.

— რუფია! — ერთდროულად შესძახეს თეკლამ და აიამ.

სულ რამდენიმე სიტყვით მოიკითხეს ერთმანეთი. რუფიამ დაამშვიდა ოკშელები, საჩქარო არაფერია, ისე მოგიკითხეთ, ჯერ საქმეს მიხედეთო — დერეფნები ავსულთა გვამებისგან იყო გასაწმენდი, დაღამებამდე კი ცოტა დრო რჩებოდა.

ცვატამ და თეკლამ აიას ავადმყოფობის შემდეგ მოსვენება შესთავაზეს, უშენოდაც მოვუვლით საქმესო, მაგრამ პა-სუხად მტკიცე უარი მიიღეს. ჯერ გვამების დაწვა გადაწყვიტეს, მაგრამ ღია ადგილამდე ისე შორს იყვნენ, დერეფანს

დღილამდე ვერ მოასუფთავებდნენ. რუფიამ ოკშელები დაარიგა, გვამები აივნებიდან პირდაპირ წყალში გადაეყარათ. აიას საქმე გაუადვილეს. ცვატა და თეკლა ავსულებს მოაჯირზე დებდნენ, ის კი ზღვაში ყრიდა. აია ამდენ ქაჯს ერთად პირველად ხედავდა. შემზარავი შესახედაობისანი იყვნენ, ადამიანებზე ბევრად მოზრდილები და ბრგეები. ისეთი მძიმე, მოუქნელი ცულები და რკინის ეკლიანი კომბლები ეჭირათ, ბევრ ვაჟკაცს მათი მოქნევა გაუჭირდებოდა. რკინის სამაჯურებიანი, მორებივით მაჯები ჰქონდათ და კუნძივით კისრები. აიას ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს ნადირს ეხებოდა. ერთის გულსაკიდმა აიას ყურადღება მაშინვე მიიპყრო: საოცრად ჰგავდა მის სტიქიონების მედალიონს, მხოლოდ ბევრად დიდი იყო და უხეში ნაკეთობის. აია, სანამ გვამს უბიძგებდა, მისკენ დაიხარა, უკეთ რომ შეეთვალიერებინა. დერეფანში მყოფთაგან ვერავინ დაინახა, როგორ ჩაავლო ქაჯმა მკლავში ხელი, მთელი ტანით მოაჯირიდან გადაიზნიქა, ზღვაში გადავარდა და ქალიშვილიც თან წაიყოლა. აიამ ერთი დაყვირება შეძლო მხოლოდ.

თეკლამ გაიაზრა თუ არა, რაც მოხდა, ქვის განიერ მოაჯირზე ავარდა. ცვატას თეკლას შეჩერება შეძახილითაც არ უცდია. მონადირემ მხარზე გადაკიდებული ქაჯი იქვე დააგდო და დალისკენ გაექანა. თავადაც გადახტომას აპირებდა. თეკლა წამიერად დაყოვნდა, ჯერ დაბლა ჩაიხედა, აქაფებული ტალღები კლდეებს უმოწყალოდ ასკდებოდნენ. რუფიას ხელი რომ არ შეეშალა, წამიც და უფსკრულში გადაეშვებოდა. არა-არას ძახილით ყვავი გაშმაგებით სახეში შეაფრინდა. რუფიას ძალისხმევას არ შეუჩერებია თეკლა, ერთ ყვავს ადვილად მოიშორებდა, მისი შემაკავებელი ნამდვილად არ იყო. იგი იმ აზვირთებულმა ტალღამ გააშეშა, რომელიც ზღვიდან მათ სიმაღლემდე ამოზნექილიყო და დერეფნისკენ მოიწვდა. სარკმელში შემოვარდნილმა წყლის ჭავლმა თეკლა მოაჯირიდან დერეფანში გადააგდო. ნიაღვარმა მკვდარიც და ცოცხალიც თან წაიყოლა. უეცრად მოვარდნილი წარღვნა უეცრადვე ჩაწყნარდა.

- როგორ ხარ?! — ხელი გაუწოდა ცვატამ თეკლას, — რა იყო ეს?
- მე ვიყავი! — წამოადგათ თავზე აია, — ტალღად შემოვვარდი.
- აია, ცოცხალი ხარ! — ძლივს ამოთქვა თეკლამ.
- ცოცხალი ვარ! იროელის დამარცხება არც ისეთი იოლია! არა, რუფია? — გახედა გაწუნულ ყვავს აიამ.
- ვიცი... ვიცი... — ჩახლეჩილი ხმით ამოიყრანტალა წყალნაყლაპმა ყვავმა, — ოღონდ ძალიან კი შეგვამინე! — დააყოლა ბოლოს.

* * *

ყველაფერი რომ მიალაგეს, დერეფანი ავსულთა გვამებისგან გაწმინდეს, ცვატა და თეკლა ცეცხლის გარშემო დასხდნენ. ორივე მთელი ლამის უძინარი იყო, მაგრამ რული არ ეკარებოდათ. ყვავისა და ქალიშვილის საუბარში არც ერთი არ ჩარეულა, მარტოები დატოვეს. მალე აია და რუფიაც შეუერთდნენ.

- გამთენისას აიტეხე, ხმალი მეძახისო, მე ბოდვა მეგონა, სიცხე გქონდა მაღალი და ასე ჩავთვალე, — წამოიწყო თეკლამ.
- მართლა? მე არ მახსოვს. მერე? — მაშინვე დაინტერესდა აია.
- მე ვერაფერი შევამჩნიე, ხმალი თავისთვის ეკიდა. შენ კი მისკენ იწევდი, ძლივს გაკავებდი.
- ხმალმა მოახლოებული საშიშროება იგრძნო ნამდვილად, — თქვა რუფიამ.
- ახლა მეც ასე ვფიქრობ, — დაეთანხმა თეკლა, — მაგრამ მაშინ...
- შენ ადგილას მეც ბოდვად ჩავთვლიდი, — დაამშვიდა აიამ თეკლა.
- ტალღადქცევაზე აიამ არაფერი თქვა და არც თეკლა და ცვატა ჩაეძივნენ. ყველა გაჩუმდა.
- ალბათ მალე ფასისში დავბრუნდებით, — დაარღვია სიჩუმე აიამ.
- ყველაფერი წაიკითხე უკვე? — გაკვირვებით შეხედა თეკლამ.
- არა. აქ მხოლოდ ერთი წიგნია, სადაც ყველაფრის პასუხი წერია და ეს წიგნი ვიპოვე, — უპასუხა აიამ და მხარდა-საჭერად რუფიას შეხედა.
- ასეა! — დაუდასტურა ყვავმა.
- ეგ არის, ამ წიგნში ყველაფერი გამოცანად წერია! — ამოიოხრა აიამ.

რუსულან რუსაძე



ოქროს სარაია

აბათი შაქარყინულისა იყო. ჯერ კიდევ ყველას ეძინა, ძია სეითი ჩემს ფანჯარაზე ლობიოს მარცვალს რომ ამოაგ-დებდა და თვალით მანიშნებდა, ჩამოდიო. კბილის ჯაგრი-სით დერეფნის ბოლოს საპირფარეშოსკენ გავრბოდი, თავს სწრაფად ვიწესრიგებდი და მორიგეობაზე დაუგვიანებლად ვცხადდებოდი. შაბათობით მე ძია სეითს ვემსახურებოდი, ის კი თავის ღმერთს ეთა-ყვანებოდა.

დღის ბოლოს გაწეული შრომის საფასურად შაქარყინულის რამდე-ნიმენატები მერგებოდა, რომელსაც სარაიაში მომპასის ყუთში ვინახავ-დი და მთელი კვირა ვიზოგავდი. დედა ყოველ ჯერზე ერთსა და იმავეს მიმეორებდა, ერთხელაც არ მინახავს სინაგოგაში წასული, რაღა შა-ბათს გაახსენდება ღმერთი და უქმეო. მე კი ძია სეითისთვის მსახურე-ბაზე უარი არასოდეს მითქვამს და შაბათის მოახლოებას მოუთმენლად ველოდი, რომ ახალგაღვიძებული ლია კიდევ ერთხელ მენახა.

ერთ დღესაც ძია სეითი მეუბნება:

- ზურიკო, იმ დღეს მომაგონდა! შენი არ იყოს, ცხონებულ მამაშენსაც იმ სარაიაში თავისი ამბავი ჰქონდა, — მამაჩე-
მის უხსენებლად შაბათი არ ჩაივლიდა.

- ჰო, ვიცი! — ისე გავხედე, თითქოს მემკვიდრეობით სარაია კი არა, სრა-სასახლე მრგებოდა.

- რაც სკოლა დავამთავრეთ, მე იქ აღარა ვყოფილვარ! შენა, ის კუკლა ისევ იქ არის? — ცალი წარბი აწია და ქვე-
მოდან შემომხედა.

- რა კუკლა, ძია სეით? — ტოლჩიდან წყალი ჩამოვისხი.

- აი, ფაიფურისა, ჩავარდნილი თვალებით, — წრედ შეკრული თითები თვალებთან მიიტანა.

- არა, არ მინახავს! — ღიმილი ვერ შევიკავე.

- იმ კუკლას შიგნით ნათურა დაუყენა. აი, რომ აანთებდა, ცეცხლოვანი გველეშაპი გეგონებოდა. ლამით ჩარ-
თულს ტოვებდა, ქურდები უნდა დავაფრთხოო! — სიცილზე დიდრონ თვალებში ცრემლი მოერია.

- ძია სეით, რეები გახსოვს! — თითო საჩემო ამბავი ყოველთვის მზად ჰქონდა.

- როგორ მოიფიქრა მაინც! — საჩვენებელი თითი საფეხულელთან მიიდო — ფირმა გოგოების ფოტოები ჰქონდა
სარაიაში გაკრული. იმათ ყარაულად თუ დააყენა! — ცხვირსახოცის კუთხით თვალები ამოიშრო.

- სულ ზედა თაროზე თუ იქნება, — ჩაფიქრებული კედელზე გაკრულ პანორამას მივაცქერდი.

- კარგად დაძებნე ყუთებში, არ გადააგდებდა, — შვიდრტოიან შანდალს სანთლის ნაღვენთი ფრთხილად ააცალა.

- მოვძებნი, ძია სეით! — ჩაის ტილო მაგიდას გადავაფარე და მორიგეობისთვის მოვემზადე.

- ახლა მიდი, გენაცვალე, ლია გაიღვიძებს და ჩაიდანი შემოდგი ცეცხლზე! — ჩემი მსახურება ყოველთვის
ლიასთვის საუზმის მომზადებით იწყებოდა.

ლია სეითზე ბევრად უმცროსი იყო და მთელ ეზოში ყველაზე ლამაზი კაბები ეცვა. საწოლში მირთმეული ყავის
ლაქებით აჭრელებულ ლეიბებს ყოველ ზაფხულს ამინას არეცხინდებდა. მერე კი ხის ჩრდილში ფარდაგზე ფეხმორთხ-
მული წკეპლას მოიმარჯვებდა, გადათეთრებულ მატყლს თვითონვე გაპენტავდა და ჩემს გულს კიდევ ერთხელ მოი-
გებდა. ლიას ალები აწუხებსო, ერთხელ რაღაცაზე განაწყენებულმა ამინამ თავისთვის ჩაილაპარაკა. ძილის წინ დე-
დას ვკითხე, ეგ რა არის-მეთქი. ქალური ამბავიაო, მოკლედ მომიქრა. ლია, ალები, ქალები — ვიმეორებდი გულში და
ლიაზე ლექსის დასაწერად ორი ღამეც კი გავტეხე, არაფერი გამომივიდა. ის ღამეებიც შაქარყინულის ანგარიშზე
იყოს.

* * *

კვირა კალმახისა იყო. დილით, როდესაც მე და დედა გოგილოს აპანოში წასასვლელად ვემზადებოდით, ქვრივშუშანა მზის ქოლგას გაშლიდა, თავისივე მოქსოვილ იისფერ ბადეს დაიჭერდა და დეზერტირების ბაზრისკენ გაუყვებოდა გზას. დიდი ხნის წინ დამეგობრებული ვაჭრისგან ორ ცალ მოზრდილ კალმახს იყიდდა და „ცარსკი პეროგის“ გამოსაცხობად რამდენიმე ვაშლსაც გამოიყოლებდა. შუადღისთვის სუფრას ორისთვის გააწყობდა და სადილს უჩემოდ პირს არ დააკარებდა. აპანდან მოშიებული ვბრუნდებოდი, ეზოს ჭიშკართან დედას ყელზე ვკოცნიდი და პირდაპირ შუშანა ბებოსთან გავრბოდი.

სანამ სუფრას შემოვუსხდებოდით, შუშანა ერთი ათჯერ მაინც შემოირტყამდა თავში ხელს:

„უი, თავი მომიკვდეს, ტარხუნის გამოტანა დამვიწყებია“, ან „ეს რა პური დამიჭრია?! შავი პური შავი დღისთვისაო. თეთრი დღეა, თეთრი პური მივირთვათ!“ სანამ შუშანა ბებო დაფუსფუსებდა, მე ისევ აპანდან გამოყოლილ ხატებს დავდევდი უმისამართო მზერით. ცხელი ორთქლისგან ანითლებული შიშველი სხეულების, წყლისგან გასწორებული დალალების, ჩემს დანახვაზე ოდნავ შემცბარი, იშვიათად კი ურცხვად მომზირალი ქალების ნარმოდგენა თავგზას მიბნევდა და კიდევ უფრო მაშიებდა. დამატყობდა შუშანა, საითაც გამიტაცებდნენ ფიქრები და თავისებურად შემომაპარებდა ხოლმე: „დიდი ბიჭი ხარ უკვე! რაღა დროს შენი ქალების აპანში წაყვანაა. იმ კვირიდან ეზოს კაცებს გაჰყევი, ჰო, გენაცვალე!“

ქვრივშუშანა პირველ სართულზე, ერთ ვიწრო ოთახში ცხოვრობდა. მთელი ჩვენი ეზო და კარ-მიდამო ერთ დროს შუშანას მამამთილის ყოფილა. მერე კი ბედის უკულმართობას მთელი ოჯახი პირველ სართულზე, ერთ პატარა ოთახში გამოუწყვდევია, უწინ მრეცხავებისთვის რომ ჰქონდათ დათმობილი.

- ეგ ხეც ჩემი მამამთილის დარგულია, — ერთ დღესაც შუშანამ თვითონ წამოიწყო ჩვენი ეზოს თუთის ხეზე საუბარი.
- მეც მაგას არ ვეუბნები?! — ღვინოსავით დავაგემოვნე მსხლის ლიმონათი.
- ჰო, გენაცვალე, ყველა იტყუება, ეს თუთის ხე პაპაჩემის დარგულიაო! — თან ჩემი თეფშისკენ გადმოწეულიყო და კალმახს ფხას აცლიდა.
- შუშანა ბებო, ეგ ხე ყველას უყვარს და მოსაჭრელად ენანებათ, — გამოვექომაგე თუთას.
- შენმა მზემ, ჩემზე მეტად გული არავის ეტკინება, მაგრამ მალე მაგის ფესვები იატაკს ამოამტვრევს და სახლში შემოგვივარდება. ის დები ხო უსახლკაროდ დარჩებიან და შენი სარაიაც ზედ მიჰყვება! — უტყუარობის დასტურად ჩანგლის ბოლო მაგიდას დაჰკურა.
- შუშანა ბებო, ჩემი სარაიის ქვეშ მართლა ოქროს ფულია ჩამარხული? — თვალებანთებულმა კიდევ ერთხელ ვკითხე.

- ჰო, მაშ! სახლის შენება რომ დაუწყიათ, ჯერ ეგ სარაია დაუდგამთ მუშებისთვის. ჰოდა, საძირკველში ოვანესს ნიკოლოზისდროინდელი ოქროს ფული ჩაუტანებია. ვერცხლი უნდაო, მაგრამ ამან ოქრო ჩადო. დიდი ამაყი ვინმე იყო! — ოვანესზე საუბრისას პატივისცემის ნიშნად ხმას იცვლიდა.

- ერთხელაც ოქროს თუთა რომ გამოისხას იმ ხემ, — თვალები ამიციმციმდა.

- უნდა მოიჭრას! შუშანა თანახმაა-თქმ, ყველას უთხარი. — ხელსახოცით მოიწმინდა ტუჩის კუთხეები.

ხანდახან სადილის ბოლოს საჩუქარიც მერგებოდა. ქვრივშუშანა რთახის სიღრმეში სკივრისკენ გამიძღვებოდა, ნაქარგებიან გადასაფარებელს გადააძრობდა და ჯადოქარივით ორივე ხელით ახდიდა თავს. ამოირჩიეო, მეტყოდა და თვალს ჩამიკრავდა, ჩემი თავსატეხიც ეგ იყო. ათასგვარი მუნდშტუკებიდან, მძივებიდან თუ ფერუმარილი ყუთებიდან ერთ ყველაზე ბრჭყვიალა რამეს მოკრძალებით ამოვილებდი და მადლობის ნიშნად გულუხვ მასპინძელს ხმელ მკერდზე მივადებდი თავს. ამასობაში ქვრივშუშანას ფუმფულა ბალიშებისკენ გაეპარებოდა თვალი, ძილმორეული გამიღიმებდა და მეტყოდა, „ცარსკი პეროგს“ აქ არ გავჭრი, ჩაიზე სახლში მიირთვითო. მერე დედაჩემს ასძახებდა და კიბის რიკულებიდან გამოწვდილ დარცხვენილ ხელს, დაღესტნური ვერცხლის სამაჯურით ხელუხლებელ ნამცხვარს მიაწვდიდა.

* * *

ორშაბათი არაუნიანი მაჭკატებისა იყო. გაკვეთილების მერე „ვაენი გარადოკში“ მივდიოდი და საშა სუროვცევს ქართულს ვასწავლიდი. გარადოკს ოთხი შესასვლელი ჰქონდა. მე საბადურის ქუჩიდან ვსტუმრობდი ქალაქს, სადაც მხოლოდ ბავშვები და ქალები დაიარებოდნენ. სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მამაკაცებს კი გათენებამდე ან გვიან საღამოს თუ მოჰკრავდით თვალს. ეს გეომეტრიულად სწორხაზოვანი და მოსაწყენი, სამხედრო წესებს დამორჩილებული „გარადოკი“ მაინდამაინც ნატიფი რიკულების, ორნამენტებიანი ჭიშკრების და წრიული კიბეების უბანში გაეშენებინათ. უკანა გზაზე ამ მკვეთრი სხვაობის გასაფერმკრთალებლად გზას ვიგრძელებდი და შაუმიანის ქუჩით ვუბრუნდებოდი ჩემს ფერად და მხიარულ თბილისურ ეზოს.

სუროვცევები სამხედრო ქალაქის შუაგულში, გენერლების ტუფით მოპირკეთებულ კორპუსში ცხოვრობდნენ. გენერალი სუროვცევი მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილ ფოტოზე მყავდა ნანახი, თუმცა მისი არსებობა სახლში მაინც ყოველთვის იგრძნობოდა. სანამ საშასთან ავიდოდი,

ეზოში მოთამაშე ბავშვებს გამოველაპარაკებოდი და სახლის ნინ ჩამომსხდარ დიასახლისებს ანგარიშს ჩავაპარდები - ვისთან და რატომ მივდიოდი. ყველა კორპუსის ნინ, დაბალი ღობით შემოკავებულ გაზონებში სხვადასხვა ფერის ვარდები და გლადიოლუსები ხარობდნენ. ამ პანია ბაღების პატრონები ძირითადად პირველი სართულის მაცხოვრე-

ბლები იყვნენ. სუროვცევებს კი ასეთი ბაღნარი არ ჰქონდათ, რადგანაც მეორე სართულზე დაედოთ ბინა.

ჩემი და საშას მეცადინეობა თამაში იყო, რომლის დროსაც მხოლოდ ქართულად უნდა გველაპარაკა. სანამ საშა თავის არსენალს სიამაყით მაცნობდა ხოლმე, დეიდა ლადა ტაფაზე მაჭკატებს აბრუნებდა. „ბაკაკებო, ხვაწიტ ზანიმატსა!“ - კარს შემოგვიღებდა ბოლოს და ხელებს პეპლებიან წინსაფარზე გაიწმენდდა.

- ზურიკო, ნაპომნი კაკ პო გრუზინსკი ბლინი, — გარეცხილ ჭურჭელს საშრობზე ჩამოალაგებდა.
- მაჭკატი, წონია ლადა! — დარცხვენით ვეტყოდი და უხერხულობისგან ჩანგალს მივაბჯენდი კბილებს.
- მაჩკატი, მაჩკატი! — იმეორებდა დეიდა ლადა და გულიანად იცინოდა.

როგორც კი იქაურობას მიალაგებდა და დიდ ოთახში ტელევიზორის საყურებლად გავიდოდა, საშას ხმადაბლა ვეტყოდი:

- საშა, გინდა მე ვეტყვი წონია ლადას, ჩემთან გამოგიშვას? — დიდი ოთახისკენ გავაპარებდი თვალს.
- არ გამომიშვებს. ეს „ვაეინი გარადოკია“, თავისი წესები აქვს! — სამზარეულოს კარს მიხურავდა და თავს გააქნევდა.
- ჩემთან ხომ მეგობრობ? ხოდა ჩემი ეზოა! — კიდევ ერთხელ ვცდიდი გადმობირებას.
- მისმინე, მართლა არ კეტავთ ლამით კარს? — საშა სკამს ჩემკენ ახლოს მოწევდა.
- მართლა! — ამენთებოდა თვალები ჩემს ეზოზე საუბრისას.
- მართლა ერთად სადილობთ ხოლმე მეზობლები? — ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა.
- მართლა! — დასტურად თავს მოწყვეტით დავუქნევდი.
- მართლა ყველას თავისი ღმერთი ჰყავს? — კიდევ უფრო ხმადაბლა იკითხავდა.
- ჴო, იქ ყველას თავისი ღმერთი ჰყავს, საპირფარეშო კი საერთო. — გავუღიმებდი და არაუნიან თეფშს ჩანგალზე წამოცმული მაჭკატით მოვასუფთავებდი.

- შენი სარაია მართლა ოქროსია? — დაეჭვებული კიდევ ერთხელ მკითხავდა.
 - მართლა! — თვალს ავარიდებდი და კედელზე დაკიდებულ ხის კოვზებს გავხედავდი ზედ მოხატული ძახველით.
 - შტაბს ვერ დავტოვებ! — მომიქრიდა ბოლოს და თეთრად მოთხუპნულ პირს მოიწმენდდა.
- სუროვცევებმა ისე დატოვეს საქართველო, საშა ერთხელაც არ მსტუმრებია. გამგზავრების წინ სამახსოვროდ ნა-ჩუქარმა ჯარისკაცების ნაკრებმა კი ჩემი სარაიის მეორე თაროზე დაიდო ბინა.

* * *

სამშაბათი ჩაისა იყო — პატარა, გამჭვირვალე ჭიქით და ლამბაქზე ნატეხი შაქრით მორთმეული ჩაისა. ამ ჩაის სულ სხვა გემო ჰქონდა, ვიდრე სახლში, ვერცხლის ბუდეში მოთავსებული დიდი ჭიქით დალეულს. ელმირა და შაჰლა ადრე

დაობლებული დები იყვნენ. იმათ დედ-მამას ჭრელ აბანოში მექისეებად უმუშავიათ. ერთხელ მოულოდნელად მოვარდნილ წყალს აბანოები დაუტბორია და ხალხი დამხრჩალა, მათ შორის ალიცა და ფატმაც. მეზობლებს გოგოები ნათე-სავებისთვის არ გაუტანებიათ — როგორც ჩვენს შვილებს, ისე მივხედავთო. ობლებისთვის ლუკმა-პური გაუყვიათ და არაფერი დაუკლიათ, შაჰლას თვალებისთვის კი ვერაფერი უშველიათ. რომ წამოზრდილან, ელმირას ფრჩხილების გალამაზება უსწავლია და უბნის ქალებთან ბინაზე დაიარებოდა. როცა არ უნდა დაგხეხდა, ცერა ფრჩხილის კიდეზე წვრილ ხაზად სხვისი ნუნებიდან ამოსუფთავებული წითელი ლაკი ემჩნეოდა. ამასობაში კი შაჰლა ლიას ზურგზე მასა-ჟის კეთებაში დაოსტატებულა და საქმეც გაუჩინია.

- აი, რომ ვერ ხედავს, ხელი უფრო მგრძნობიარე აქვს, — იტყოდა ხოლმე მასაჟისგან გათანგული ლია.

- ეგ კი არა, სამზარეულო ოთახის გვერდითა მაქვს და სადილი თუ მიმეწვა, შაჰლა მექახის ეზოს ბოლოდან, — პირზე ხელს აიფარება და ისე იტყოდა ამინა.

- ნოვრუზის ჯეჯილი რომ ჩაჭკნება, აღდგომისას ჩავუტან ხოლმე. ერთი-ორ ღერს თითებით გასრესს და ისე ხარბად დაყნოსავს! — სინანულით თავს გააქნევდა დედაჩემი.

ელმირა კი ამბობდა, სხეულის სიამეების ცოდნა შაჰლას მშობლებისგან გამოჰყოვა, მერე რა, რომ ქისა არ უჭირავს ხელშიო.

მთელ ეზოში ყველაზე მოსაწყენი ხედი შაჰლასა და ელმირას ფანჯარას ჰქონდა — იქიდან მხოლოდ ეზოს ჩიხი და ჩემი სარაია მოჩანდა, სახურავზე გაწოლილი ჭრელი კატებით. ხოლო ის, რისი დანახვაც სარაიდან მათ ფანჯრის მიღმა შეიძლებოდა, სუნთქვას მიჩქარებდა და ამოუცნობ სიამოვნებას მანიჭებდა. სამშაბათობით ფიზკულტურის გაკვეთილს ვაცდენდი და სკოლიდან ადრე ვბრუნდებოდი. სარაიაში შევიპარებოდი, ბინოკულს მოვიმარჯვებდი და შაჰლასთან სტუმრად მოსულ ვარდისფერ ქალს მალულად ვუცქერდი.

გაშიშვლდებოდა ეს ქალი, ტახტზე პირალმა დაწვებოდა და მოკეცილ ხელებს თავს გვერდულად ჩამოადებდა. შაჰლა თითებს გაავარჯიშებდა, ზურგზე სურნელოვან ზეთებს წაუსვამდა და სივრცეში მომზირალი დაჰყვებოდა ხერხემლის მალებს. მერე ხან ხელის გამლილი მტევნებით დაუვლიდა, ხან იდაყვებს მიაშველებდა და ვარდისფერი ქალიც ნეტარებისგან ტერფებს აათამაშებდა. მასაჟის მერე შაჰლა და მისი სტუმარი სავარძლებში მოკალათდებოდნენ, ელმირა ხალი-ჩაზე ფეხმორთხმით დაჯდებოდა, სამოვარიდან ჩაის ჩამოუსხადა და გააბამდნენ ქალები მუსაიფს. თუ დარი იყო და ფანჯარა ღია ჰქონდათ, საუბარს ადვილად ვარჩევდი. ერთხელაც შაჰლა ამბობს:

- თავიდანვე გეთქვა! აი, ჩვენი ლიაც, უშვილოა და იმიტომ ვუკეთებ მასაჟებს.

- შაჰლა, შენ თუ მიშველი! — სავარძლიდან წამოხტა ვარდისფერლოყება ქალი.

- მაშინ მარტო ზურგის მასაჟი არ გეყოფა, — თავი გააქნია შაჰლამ.

- შენ როგორც იტყვი, შაჰლა! — ორივე ხელი აწია ქალმა დანებების ნიშნად.
- სისხლია მთავარი! ის რომ ამოძრავდება, ნაყოფიც მოგეცემა. — მისანივით წარმოთქვა შაჰლამ.
- ლია რომ მაინც უშვილოა? — დაეჭვებით იკითხა სტუმარმა.
- ახლა უკვე სეითმა უნდა ივარგოოს! — ღიმილით წაუმდერა.

ქალები ჯერ კიდევ საუბრობდნენ, ელმირამ სარაიის კარი მოულოდნელად რომ შემომილო. ჩაი გამომიწოდა — ცხლად დალიე, გაგაგრილებსო, ნიშნისმოგებით მითხრა და დოინჯი შემოიყარა. შემცბარმა ხმა ვერ ამოვილე, ბინოკული ზურგსუკან გადავმალე და თავის გასამართლებლად ესლა მოვიგონე:

- დარაბები ლია დაგრჩენიათ და...
- ზურიკო, ზურიკო! — თითო დამიქნია და თვალი ჩამიკრა.

მას მერე მამხილებელი ჩაის გარეშე არც ერთ სამშაბათს არ ჩაუვლია.

* * *

ოთხშაბათი ქიშმიშისა იყო. საღამოთი ლიას მეზობელ ქუჩაზე ვეგზავნებოდი „ზაკაზის“ წამოსაღებად. ძია რუბენს უბანში „ვიტიჩას“ ეძახდნენ. ხან ვის შეპირდებოდა, კაბას ფეშქაშად შეგიკერავო, ხან ვის დააიმედებდა ერთი შარვალი ჩემზე იყოსო, მაგრამ შეკვეთების გადამკიდე დანაპირებს ვერ ასრულებდა. ვიტიჩაში ჩამაკერეო, ეტყოდნენ ხოლმე განაწყენებული უბნელები და რუბენიც თავიდან დათქვამდა დანაპირების ჩაბარების დროს. ლიასთან საქმე სხვაგვარად იყო, „ზაკაზი“ იყო და იმიტომ. იცოდა, ოთხშაბათ საღამოსთვის ლიას მუშტრებისთვის უსიკვდილოდ ორი ჯინსის შარვალი უნდა ჰქონდა შეკერილი. დამინახავდა თუ არა, ახალგაუთოვებულ შარვლებს უბეში ხელს წაავლებდა, კოხტად დაკეცავდა და ცელოფანის პარკში ჩამილავებდა.

- ლიას უთხარი, ბოლო პარტიაა-თქო — ყოველ ჯერზე ერთი და იმავეს მეუბნებოდა.
- ვეტყვი, ძია რუბენ! — თან ქიშმიშისკენ გავაპარებდი თვალს.
- ვახ, კინაღამ არ დამავიწყდა?! — ვერცხლის თასს ჩემკენ გადმოდგამდა — ეგა მშველის. აი, სულ რომ ვზივარ, ბოდიში და, ტუალეტში მიჭირს. სამირას არ უთხრა, იცოდე, მამამისს ეტყვის.
- არ ვეტყვი, ძია რუბენ, — ღიმილით ვუპასუხებდი, მუჭს გავივსებდი და ქარვისფერ ქიშმიშს სათითაოდ შევექცეოდი.
- ერთი კარგად უნდა დაველაპარაკო ლიას, გაძვირდა ხო იცი ესენი! — უჯრას გამოაღებდა და ონგანას მარკებს გადმომიწყობდა ფრთაგაშლილი არწივის გამოსახულებით — ამ ფასად ვეღარ შეკერავს-თქო.
- რომ არ დააკეროთ ჯინსებს ეს არწივები? — საჩვენებელ თითს გადავუსვამდი ოვალურ სპილენძის მარკას.

- რას ამბობ? მაგითა ვჭამ პურს. ეგრე მუშტრები ვერცხლის ქუჩაზე გაიქცევიან. უმარკებოდ იქაური პატრონიცა კერავს.

ძია რუბენი კერვას გააგრძელებდა, მე კი ასჯერ ნანას ნივთების ხელახლა ვათვალიერებდი. ყველაფერი იგივე იყო: საკერავ მანქანაზე დამაგრებული საკითხავი ნათურა, პანია ბალიშში ჩარჭობილი ნემსები, თარგების დახაზვისას ცარ-ცით მოხატული მაგიდა, მუშაბის სანტიმეტრები, სხვადასხვა ზომის მაკრატლები და ღილები, საკიდებზე საპატიოდ ჩამოკიდებული კაბები და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფერადი ძაფები ძია რუბენის კალთაზე. ხანდახან ნემსზე ძაფის აგებას მოხოვდა და დაიწუნუნებდა, მე თვალის ჩინი დამაკლდა, ჩემმა ბიჭმა კი კორპუსში ამჯობინა ცხოვრება და მოხუცი მამა მარტო დამტოვაო.

- შაბათ-კვირამდე ამ ჩემს შურტვანს არა სცალიან, ვექილია! — თავის გვარგადაკეთებულ ვაჟზე იტყოდა ხოლმე — ძნელია მარტოობა, ზურიკოჯან!

- ძია რუბენ, -ს როგორ ანერ ჯიბეებზე? — თავს გადავწევდი და ხელის გულზე დარჩენილ წვრილ ქიშმიშებს პირში ჩავიყრიდი.

- გასწავლი ხელობას, ოღონდ სათითეს თავიდანვე უნდე მიეჩვიო. ნახე, თითები რა დღეში მაქვს! მიდი, შენ მაინც დაუკარი პიანინოზე. — მეტყოდა და თან კედელზე დაკიდებულ გუგულიან საათს ახედავდა.

შუშაბანდიდან დიდ ოთახში შევიდოდი და ერთი ნათურის მოიმედე ბროლის ჭალს ავანთებდი. შავ, დამტვერილ პიანინოს თავს ავხდიდი და საჩვენებელი თითებით „ჩიუკ-პიუკის“ დაკვრას დავიწყებდი. ძია რუბენი ნაცნობ მელოდიას ღილინით აჰყვებოდა, მერე ხმას ჩაიწმენდდა და გამომძახებდა:

- იმ ოთხშაბათს ტარზანზე სომხურად გასწავლი სიმღერას!
- მასწავლე, ხეზე ავალ და ისე ვიმღერებ, — ყელს მოვიღერებდი ხოლმე.
- ზურიკო, შენ აღარ უნდა გაიზარდო, პა? — თავს გააქნევდა და ჩემკენ მობრუნდებოდა.
- რა მეჩქარება, ძია რუბენ! — მხრებს ავიჩეჩავდი.
- შენ როდის შეგიკერო შარვალი? მოვიცლი თუ არა, ოჩერედში პირველი შენა ხარ! — სქელშუშიან სათვალეს ჩამოინევდა და თვალს ჩამიკრავდა.

ძია რუბენს ჯინსი ჩემთვის არ შეუკერავს, ნაჩუქარი ონტანას მარკა კი სკოლის შარვალზე დავაკარი, ოღონდ შიგნიდან.

* * *

ხუთშაბათი კაკლის მურაბისა იყო. დედამ კბილები რომ არ დაგიჭიანდეს, ერთი დღე დავთქვათ და იმ დღეს გაგიხსნი ქილასო. მწვანედ დაფერილ ბროლის ლარნაკში პანია ფურცლები ჩავყარეთ, ხუთშაბათი ამოვიდა. სანამ დილაობით

გამზადებულ კარაქიან პურს და მურაბიან ჩაის გეახლებოდით, დედა სარკესთან დადგებოდა, გიშრისფერ გრძელ თმას გაიშლიდა და მონდომებით ივარცხნიდა. თავს რომ მოიწესრიგებდა, სამნაჭრიანი სარკის გვერდითა ფრთებს ისე აამოძრავდებდა, რომ ყველა მხრიდან დაენახა საკუთარი თავი. მეც, ამ მომენტს ჩასაფრებული, წამოვხტებოდი და ზურგსუკან დავუდგებოდი. ერთბაშად რამდენიმე დედაჩემის დანახვა მაფრთხობდა კიდეც და უზომოდაც მაბედნიერებდა. განასხვა დღეს არ ივარცხნიდა თმას, მაგრამ კაკლის მურაბასთან ერთად ამ ჯადოსნურ სანახაობას სხვა გემო ჰქონდა.

- საფოსტო ყუთის შემოწმება არ დაგავიწყდეს! — შემახსენებდა და მამაჩემის ოდეკოლონების ცარიელ ფლაკონებს თვალდახუჭული დაყნოსავდა.

- წელს მგონი კარგი რთველი გვექნება, — ზურგიდან ჩამეხუტებოდა, ჩემს გატკბილულ ხელებს აირიდებდა და აივნის რიკულებზე აყოლილ ვაზს გახედავდა.

- აბა, იპოვე რომელ ჭიქაშია ბუფეტისთვის ხურდა, — გამომცდელად მეტყოდა და მეც პირლია თევზის ფორმის არყის სირჩებს რიგრიგობით გადმოვაპირქვავებდი.

დედა ყოველთვის გადამეტებულად ზრუნავდა ჩემზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მამა გარდაიცვალა. მეც ყოველთვის მორჩილად ვუახლოვდებოდი, როდესაც დილა-სალამოს შუბლზე კოცნით ჩემი სხეულის ტემპერატურას ამოწმებდა. არც იმას ვუკადრისობდი, სკოლაში წასვლის წინ ძილ-ბურანში მყოფს პერანგის ღილებს რომ მიკრავდა. დიდხანს ვერ შეველიე დედაჩემის ღამის პერანგს, რომლის სურნელიც ჩვილივით უმფოთველ ძილს მგვრიდა. იმ დღეს კი, როდესაც ეზოში თუთის ხეს ჭრიდნენ და თვალებზე ხელი ამაფარა, ზურგსუკან ქვრივშუშანას ხმა მოგვესმა:

- გაუშვი, ნახოს! ხო უნდა იცხოვროს ამანაც?!

მომდევნო ხუთშაბათს დედამ ჩვეულად გამოიღო განჯინიდან კაკლის მურაბა, მინდვრის ყვავილებით მოხატულ ფაიფურის ფიალაზე გადმომიღო და იქვე ჩამომიჯდა.

- ზურიკო, ერთ რამეზე მინდა მოვრიგდეთ. — ღელვისგან თვალებს ხშირ-ხშირად ახამხამებდა.

- რა იყო, დე? - კბილებს შორის გაჩერილი კაკლის უღელი ფრჩხილით მოვიშორე.

- აი, რომ დათბება, სარაია ერთად დავალაგოთ, — ტუჩები მოკუმა და თუთიყუშისთავიანი კოვზი ხელზე მსუბუქად დამარტყა.

- მე თვითონ დავალაგებ! — თავი ჯიუტად გავაქნიე.

- ძველმანები უნდა გადავყაროთ, — მომეალერსა და შუბლზე ჩამოშლილი თმა გამისწორა.

- არ გადავყრი! — თავი განზე უხეშად გავრიე.

- შეეშვი იმ სარაიას! ეზოში ითამაშე ბავშვებთან ერთად და წონაშიც დაიკლებ, — მუცელზე დამადო ხელი.

- ის სარაია ჩემია! — განაწყენებულმა მურაბის ქილა დედაჩემისკენ გადავდგი.

ვერ მოვრიგდით. სარაიის შეჩვეული სუნი, ნახევრადშემინულ კარში შემომავალი მზის ორიოდე სხივი და თაროებზე ჩამოლაგებული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნივთები ყველაფერს მერჩივნა. იმედგადანურულმა დედამ ხელები მკერდზე ჯვარედინად დაილაგა, პირი კედლისკენ იბრუნა და დეკორატიულ თეფშზე გამოსახულ მამაჩემის ფოტოს, როგორც ხატს, ისე მიაცქერდა. დედაჩემის ზურგისთვის თვალი არ მომიშორებია. მხრები ოდნავადაც არ შერხევია, მაგრამ რომ შემობრუნდა, უკვე ნამტირალევი იყო. მე არასოდეს მინახავს დედაჩემის ტირილი, მხოლოდ ანურული წარბები და წყლიანი, წითლად შემორკალული თვალები. ხანდახან მეგონა დედაჩემის საცრემლე არხები დაძარღვულ ყელში ჩაედინებოდა და ამიტომაც ჰქონდა მის ღაწვებს მტკნარი გემო. იქნებ სულაც სხვაგვარად იყო ეს ყველაფერი, ჩემს გულს კი ასე დაამახსოვრდა.

* * *

პარასკევი გრძელი ვახშმისა იყო. ვისაც რა ჰქონდა იმ დღისთვის მომზადებულ-გადანახული, უშურველად გამოჰქონდა, ეზოში დიდი ლურჯი სუფრა იშლებოდა და მთელი სამეზობლო ერთად ვვახშმობდით. უბრად მყოფი მეზობლები ორი ჭიქა ღვინის მერე გულაჩუყებულები ეხვეოდნენ ერთმანეთს, ხუთი ჭიქის მერე კი ხელახლა ჩხუბობდნენ. შუაღამემდე ვმხიარულობდით ბავშვებიც. ვმლეროდით, ვთამაშობდით, უფროსების მონაყოლ ამბებს გაფაციცებით ვუსმენდით:

- როგორ იყო, ალიკას ძალმა რომ უკბინა და ვეტექიმთან წავიდა? — იტყოდა ერთი და მხიარულად აჟყვებოდნენ დანარჩენები.

- ისა? რუბენა ბებიამისის შინიონით ქალების აბანოში რომ შეიპარა? — იტყოდა მეორე და ამბის მოყოლომდე ჯერ თვითონ იჯერებდა გულს სიცილით.

- იმას რად არა ჰყებით, გოგია ჩეხ გოგოებს ჩურჩხელის ნერგს რომ დაპირდა! — იტყოდა მესამე და ვიღაცას გადაცდენილ ლუკმაზე ზურგში წარმორტყმა არ ასცდებოდა.

სუფრას რომ აალაგებდნენ ქალები და დარეცხილი თეფშები თავის პატრონებს დაუბრუნდებოდა, მაგიდის თავსა და ბოლოში ნარდი და დომინო გაიშლებოდა. პატარები მამებს ზურგსუკან ამოუდგებოდნენ და მხურვალედ გულშემატ-კივრობდნენ. ამ დროს მე უკვე სარაიაში გადავინაცვლებდი ხოლმე და ჩემს ძვირფას ნივთებს ხან რაღაც მოსაზრებითა და ლოგიკით, ხანაც თავშესაქცევად ვუცვლიდი ადგილებს.

ერთ პარასკევსაც ეზოში განსაკუთრებული სამზადისი იყო. ამინამ ახლა მინდა, ხალხო, თქვენი დახმარება და გვერდით დგომაო. დილეს გათხოვება გადაეწყვიტათ. დილე ჩემზე უფროსი იყო და ერთი თავით მაღალიც. პატარა ძმასავთ დამიჭერდა ხოლმე და ლოყებზე მკოცნიდა. მე კი ამ ალერსიან თამაშში მისი ხვეული თმის სურნელი მაბრუებდა. იმ სუსხიან დღეს დილეს ლამაზი აბრეშუმის კაბა ეცვა — მგონი სამი ერთად, სულ ფერად-ფერადები. სუფსარქისის

ქარები კარგა ხნის ჩავლილი იყო, მაგრამ ჩვენი სახლის კიბეს მზე ჯერ კიდევ ვერ ათბობდა. დილეს ნაცვლად მე მციოდა, ის კი თითქოს ერთბაშად გაკაუებულიყო და დაქალებულიყო, ჩემთვის არც უკოცნია — როგორც დიდმა გოგოებმა იციან, ისე გადამისვა თავზე ხელი.

- დილე, აქ აღარ იცხოვრებ? — პირველად შევხედე დილეს თვალებში თამამად.
- აღარ, ქორწილი მალე იქნება. — პირველად დაიმორცხვა დილემ.
- ხო მოხვალ ხოლმე? — ქურთუკის საყელოში ჩავრგე გაყინული ცხვირი.
- რომ არ მოვიდე, მამაჩემი ჩუმად იტირებს, — ცრემლი შეერია ხმაში.
- ჩვენთან აღარ ითამაშებ? — კედელზე დაკიდებულ ბადმინტონის ჩოგნებს გავხედე.
- სათამაშოდ სადღა მეცლება?! — დიდი ქალივით გაისწორა უბესთან კაბა.

დილეს დასანიშნად სტუმრები დაფითა და ზურნით მოვიდნენ, სასიძო დილეზე ცოტათი უფროსი იქნებოდა, ასე 17 წლისა. შრაშუნა ქაღალდებში გახვეული საჩუქრები დილეს და-ძმებს და მშობლებს ჩამოურიგეს. დილეს კი საქორწინო ბეჭედი გაუკეთეს და წითელ-ყვითელ ყვავილებიანი თავსაფარი წააკრეს. იმ საღამოს დილეს ხმა აღარ ამოუღია, მე კი პირი არაფრისთვის დამიკარებია. სარაიაში ჩავიკეტე და დიდხანს ვფიქრობდი, მთელი ჩემი ავლა-დიდება რომ გამეტანა, შევძლებდი თუ არა პატარძლის გამოსყიდვას. ზურნის ხმა რომ მიწყნარდა, თითქოს დავმშვიდდი და გული მოვიბრუნე. მოულოდნელად თავში ძია სეითის შეკითხვამ გამიელვა — კუკლაზე. სკამზე შევდექი და ზედა თაროების გადმოლაგება დავიწყე. ერთ დამტვერილ ყუთს მივაგენი, ფრთხილად ჩამოვიდე და გულისფანცექალით ავხადე თავი. შიგნით ის ძველი ფაიფურის თოჯინა აღმოჩნდა. ლურჯი ხავერდის ტილოთი სათუთად გავწმინდე, მაღაზიაში გავიქეცი და ნათურა ნისიად წამოვილე.

სარაია გვიან დავტოვე. ეზოში რომ გამოვედი, სტუმარ-მასპინძლები დაშლილიყვნენ, ქალებსაც მოგროვილი ჭურჭელი ონკანთან დიდ ჯამებში ჩაეღაგებინათ და საქმე ხვალისთვის გადაედოთ. დედა თავის სარწველაში განაწყენებული მელოდა, დღეს მაინც რაღა იყო იმ ბნელ და მტვრიან სარაიაში გამოკეტვაო.

- იმ ღამეს შაჰლას კივილმა გაგვაღვიძა, დედამ ფანჯარა გამოაღო და განწირული ხმით გამომძახა:
- სარაია იწვის!

ლამის პერანგზე ხალათი მოიცვა და ეზოში ჩამავალ ხვეულ კიბეზე სირბილით დაეშვა, მეც დავედევნე. მეზობლებს სათლები და თასები სასწრაფოდ გამოეტანათ, ონკანთან რიგი დაეყენებინათ და სარაიას წყალს მორიგეობით ასხამდნენ. ძველი ხის თაროები და კარადები მალევე დანაცრულიყო, გადარჩენილ ნივთებს კი ერთიანად შავი ფერი დასდებოდა. მზად ვიყავი იმ ნახშირში ისევ თავიდან აღმომეჩინა ჩემი საგანძურო, მაგრამ ვიცოდი, დედა ახლოს არ მიმიშვებდა. ნარეცხმა წყალმა, რომელიც ეზოს დაქანებული შუაგულისკენ მიედინებოდა და დაუანგული ლუკით ჩვენი ქალაქის მინისქეშა სამყაროს უერთდებოდა, უმზეო სარაიის ნათელი დღეები თან გაიყოლა.

ხანძარი რომ მინელდა, ძია სეითმა ხმამაღლა და გადაწყვეტით თქვა: „მოკლე ჩართვის ამბავია!“ ყველამ მე შემომხედა. დილემ თავისი თავშალი მომახურა და ზურგსუკან დამიდგა. დედაჩემის ტირილი ისევ ვერ ვნახე, კვლავ ნამტირალევი თვალებით მიყურებდა და დასველებული ხალათის ბოლოს მუჭში წურავდა. წრეზე ჩამნკირივებულ მეზობლებს თვალი მოვავლე და ძლივს ამოვილუდლუდე: „ის კუკლა ვიპოვე...“. იმის თქმა კი ველარ გავბედე, რომ სარაიის კი არა, დილეს დარაჯად ავანთე იმ ღამეს ცეცხლოვანი გველეშაპი — იქნებ ის მხიარული სტუმრები, განიერი შარვლებითა და მონეტებით შემკული ფერადი კაბებით აღარასოდეს მობრუნებულიყვნენ დილეს წასაყვანად. სანამ მხრებაჩეჩილი მეზობლები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა წამოვროშე, ძია სეითი ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა, დაიჩია, გულში ჩამიკრა და ჩუმად მითხრა: „დაგენაცვლე, მამაშენმა, დიდი ბიჭი ხარო.“

* * *

შაბათს ძია სეითთან მორიგეობაზე აღარ ჩავსულვარ, არც იმას ამოუგდია ჩემ დასაძახებლად ლობიოს მარცვალი. ნაშუადლევს პეტრე-პავლეს ეკლესიაში წასულა და მამაჩემისთვის დიდი სანთელი დაუნთია. იქიდან მობრუნებულს უთქვამს, მე მაინც მგონია, ღმერთი ერთიაო. მერე ლიას მუცელზე მოფერებია — თუ გვისურვა, აბრაამი დავარქვათო.

* * *

კვირას აბანოში ეზოს კაცებთან ერთად წავედი.

ჰიურის სპეციალური პრიზი



შორენა
ლეპანიძე

მანანა ანუა - ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე

(ნაწყვეტი რომანიდან)

რაციკ აიბა

გ

ამა ანდრიას საფლავთან ფსალმუნს ვკითხულობდი.
ნათელი დღე იდგა. მართალია, სადღაც რაღაც ხრჩოლავ-
და და ირგვლივ დამწვრის სუნი ტრიალებდა, მაგრამ შავად
აკვამლებული გაუდაბურებული ნასოფლარის თავზე ცალაშვარდის-
ფრად იყო მოკრიალებული. აღარც ყუმბარები ღმუოდა, აღარც
აფეთქებებისგან ავარდნილი მტვრის ბუღი გმანავდა მზის შუქით გა-
ბრდლვიალებულ სივრცეს. უკვე თავისუფლად შემეძლო სიმშვიდის
ნაჩუქარი წუთებით ტკბობა, ძვალ-რბილში გამჯდარი ფორიაქის მი-
ყუჩება, აღქმა, თუ როგორ დამლივლივებდა სინათლის უხვ ჭავლში
გახვეული ტაძრის ოქროსფერი სილუეტი.

ცხელოდა. მხურვალებისგან გათანგულ მიდამოს თითქოს სუნთქვა შეეწყვიტა. ჰაერი არ იძვროდა. ფოთოლი არ ირჩეოდა. ტაძრის შემოგარენი უჩვეულო სიწყნარეს მოეცვა. და სწორედ ივლისის თაკარა ნაშუადღევს ჩამოვარდნილი გარინდებისას მოულოდნელმა შფოთმა შემიპყრო, განგაშმა ამიტანა. ჯერ ვერ დამედგინა, გამახვილებულ ყურთასმენამდე მოლწეული პირველი ფრთხილი, შემპარავი ჩქამი მოვლენების დინების მაუწყებელი ნიშანი იყო, ვთქვათ, ნაბიჯების ხმა, თუ ბუნების სუსტი, დახშული ფეთქვა, აი, თუნდაც ნიავის ქროლვა, ბალახებში გახლართული მწერების ფუთფუთი. ვითომ აპეზარი კალიების დაძარლვული ფრთხი და სახსრები გამოსცემდნენ ერთ დროს უწყინარ, ახლა კი გამაღიზიანებელ ბგერებს, ყურადღებად ქცეულს, მეხის გრგვინვასავით რომ ჩამესმოდა? ვითომ გულს ტყუილად ვიხეთქავდი და გაზვიადებული ნარმოდგენების, გამძაფრებული მგრძნობელობის მთავარი მიზეზი თვითგადარჩენის ინსტინქტი იყო, შიში, რომელსაც დიდი თვალები ჰქონდა? არა, რა თქმა უნდა, არა.

ჩქამი, რომელმაც სულ რამდენიმე წუთით ჩამოვარდნილი მშვიდობის ილუზია გაფანტა, მიწის სილრმიდან ან ეზოს რომელიმე კუნჭულიდან კი არა, გალავნიდან მოიწევდა. და არა მარტო მოიწევდა, თანდათან მატულობდა, ძლიერდებოდა, რუსულ-აფხაზურ ფრაზებად, ყიუინად, შეძახილად, გინებად, მუქარად ნაწევრდებოდა....

სანამ რაიმეს გააზრებას მოვასწრებდი, ნაცნობმა კადრებმა ელვისუსწრაფესად ჩამიქროლა თვალწინ. გონებამ დაუნდობლად, შემზარავი სიცხადით გააშიშვლა ახლო ნარსულის სურათები:

აი, იპოდიაკვნად ნაკურთხი იური ანუა გაუვალ ტყედ აჯაგრული ჩახმახშეყენებული ავტომატების ფონზე. საკუთარი სისხლის გუბერნი მფორთხავი სონია. სკამის საზურგებელი თავგადაკიდებული, მკერდდაცხრილული ალექსი. თითქოს მდინარიდან გამორიცულ მკვდრებს შორის მობორიალე, არყით და სისხლით მთვრალი ჯარისკაცები. მამა ანდრია, მამა ანდრია...

წუთით ვიფიქრე, იქნებ მეხსიერება მღალატობს, ყური ან თვალი მატყუებს-მეთქი. არა, ნამდვილად ისინი იყვნენ, ნახევრად მხეცები, ნახევრად ადამიანები, ყაყაჩოსფრად გაღვივებული ნაიარევებით, უმოწყალოდ დაჩეხილი სახეებით. ვინც მამა ანდრია დახვრიტა, იური ანუას არსებობის კვალი გააქრო, ალექსის სხეულს ავტომატის ჯერი გადაატარა, სონიას მკლავი მოაგლიჯა, დატყვევებული კომანელები სიცოცხლეს გამოასალმა. მგლის დამშეული ხროვა, თავზე-ხელაღებული თარეშით გაჩანაგებულ მინაზე ახალ მსხვერპლს, ახალ საკბილოს რომ ეძებდა.

– რა შეხვედრაა, არა, ლამაზო?! უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი, – ხორხოცებდნენ, ურცხვი ღრეჭვით მიახლოვდებოდნენ, თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე მსინჯავდნენ, თვალებით მჭამდნენ. მხოლოდ სამმაგ შესამოსელში კი არა, კანში ატანდა მათი ავხორცი, უტიფარი მზერა.

მუხლებზე ჩაჩიქილი, სწრაფად წამოვხტი, წელში გავიმართე, ნაბიჯი უკან გადავდგი, აღმაშენებლის ჭედურ გამოსახულებას ზურგით ავეკარი და, დამფრთხალმა, გასაქცევს დავუწყე ძებნა, მაგრამ თავის დაძვრენა შეუძლებელი იყო. გარს შემომრტყმოდნენ, აღყაში მოვემწყვდიეთ.

– აჰაა, ჩაგიგდეთ თუ არა ხელში?!..

- ვეღარსად წაგვიხვალ...
- დროა, მამაშენის ცოდვები გამოისყიდო...

ვიგრძენი, როგორ გამეყინა სისხლი გაგანია სიცხეში. მუხლი მომეკვეთა. სუნთქვა შემიგუბდა. უკვე დანამდვილებით ვიცოდი, რომ ადრე რეალური განსაცდელის წინაშე მარტო არასდროს ვმდგარვარ. 5 ივლისს, 5 ივლისამდე, შემდგომ ანგარიშსწორება-განუკითხაობისა და ცხელ გულზე ამონთხეული პირველი ემოციის სისასტიკე მოძლვარმა, მამამ, ტაძარს შეფარებულმა ინვალიდებმა, სამხედრო ტყვეებმა, რიგითმა კომანელებმა უშუალოდ საკუთარ ტყავზე იწვნიეს. ფიზიკური ძალმომრეობისგან მამაოს სისხლით შეღებილმა სახემ, სამოსმა, ყოვლისშემძლე გულთამხილავის, გრძნეულის სახელმა მიხსნა. დღემდე უახლოესი ადამიანები დამცავ ფარად მევლინებოდნენ. დღეს კი ჩემი ჯერიც დადგა.

შეიძლებოდა თუ არა, დანდობა მლირსებოდა ჯარისკაცების, უფრო სწორად, გაველურებული არსებების მოდგმის-გან, ვის ყოფასაც მხოლოდ ერთი, ბნელი, მხარე შერჩა და ეს მხარე, ანუ მთელი ცხოვრებისეული უბედურება და ტრაგიზმი, პირმოუკრავ იარებად აღიბეჭდა მათ სახეებზე? არა, რა თქმა უნდა, არა.

მამა ანდრია, მიშველე-მეთქი, წავიბუტბუტე. უძლური ვიყავი, განწირული. ან სასწაულის იმედი უნდა მქონოდა, ან ბედისწერას შევგუებოდი.

* * *

პირველი ბომბი ტაძრის შორიახლო ჩამოვარდა. მეორემ გალავნის ნაწილი მოანგრია. როცა მრავალსართულიანი სახლის სიმაღლეზე ამოტყორცნილი მინის შადრევნები ძირს ხრიალით ჩამოშვავდა, გონსმოსულმა, მტვრის ბუქში მოძრავ, სხვადასხვა მხარეს მიმოფანტულ სილუეტებს მოვკარი თვალი. ჯარისკაცები თავს გაქცევით შეველოდნენ. გარშე-მო არავინ ჩანდა. კედელს მოეწყდი, ტაძარში შევვარდი, მიმოვიხედე, მაგრამ – არ ვიცი, მღელვარების ბრალი იყო, თუ მკვეთრი სინათლიდან სიბნელეში გადანაცვლების – თვალებზე თითქოს ლიბრი გადამეკრა. გარემოს აღქმის უნარი დავკარგე. ხატები გაბუნდოვანდა, მონაცრისფრო ნისლში გაზავდა თუ აითქვიფა. ერთადერთი, რაც არ შეცვლილა, მეტიც, თითქოს განსაკუთრებული ძალმოსილებითა და ბრწყინვალებით გაშუქდა, გასხივოსნდა, წაშლილი კონტურების, გახუნებული ფერების, ჩამქრალი შარავანდედების ბინდიდან სასწაულებრივი სისწრაფით ამოიზარდა და მაგნიტივით მიმიზიდა, ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულის თავზე შუბშემართული მხედრის სახე იყო.

– წმინდა გიორგი! – განწირული ხმით შევლადადე, ხატს მივეჭერი, მუხლებზე დავეშე და, ცრემლად დალვრილმა, აცახცახებულმა, მთელი სასორნარკვეთა, შიშის ზაფრა გულიდან ამომსკდარ მუდარაში ჩავაქსოვე, – ტყვეთა განმათავისუფლებელო, დამეხმარე, გევედრები! გიორგი! გიორგი! გიორგი!

და უცებ მოხდა რაღაც, რისი ახსნა ერთბაშად ვერ შევძელი. ტაძარში რბილი, ხავერდოვანი ბარიტონი შემოიჭრა, სივრცეს მოედო და ექოსავით გაიშალა:

– დაწყნარდი, გოგონი... რა ფერი გადევს?.. ვინ შეგაშინა?.. სინდისს ვფიცავ, ღერი თმა არ ჩამოგვარდება... ამას მე გეუბნები, რაფიკ აიბა...

შევკრთი. მთელი არსება შფოთიან მოლოდინად მექცა, არასასიამოვნო განცდად, რომ ყველანაირი ემოცია იდუმალი სამალავიდან მოდარაჯე უცნობის თვალწინ მქონდა გამოფენილი. მიყურებდა და ვერ ვხედავდი. არ ჩანდა, თავად უმნიშვნელო მოძრაობას, ნაკვთების რხევას ვერ გამოვაპარებდი.

სულ რაღაც ერთ წუთს გაგრძელდა ასე. სულ რაღაც ერთი წუთით მომეჩვენა, თითქოს საკუთარ თავს გავცდი და ცხადად, გარკვევით დავინახე იატაკზე ჩამხობილი, გაფითრებული გოგონა, რომელიც ძრწოლით და რწმენით, ეჭვით და კრძალვით სავსე მზერას აქეთ-იქით აწყვეტდა. შავ ხილაბანდქვეშ მოხაზული მქრქალი ცისფერი თვალები ხან ტაძრის ბნელ ლაბირინთებში ცდილობდნენ გზის გაგნებას, ხან კედლებს ელურსმებოდნენ, ხან საკურთხევლის გასწვრივ დაქროდნენ.

– ვინ ხარ? – წავიჩურჩულე, თუმცა პასუხის მიღების იმედი არ მქონდა. ვფიქრობდი, ნამდვილად მისტიკური ხილვების ტყვეობაში აღმოვჩნდი, შეშლილობის ზღვრამდე მისულს, ყველაფერი მომელანდა-მეთქი.

– რაფიკ აიბა.

– ვინ?

კაცს ნათქვამი აღარ გაუმეორებია, ტაძრის მცირე დარბაზს გამოსცდა, მარცხენა მხრიდან მომიახლოვდა და ორიოდე ნაბიჯის მანძილზე შეჩერდა.

მომეჩვენა, თითქოს სასწაულის მომსწრე გავხდი, ხახადაფჩენილი ურჩეულის თავზე შუბშემართულ კაპადოკიელ დიდებულს უფლის სხივი დაეცა და ხატი გაცოცხლდა, განსხეულდა. კარგა ხანი დამჭირდა გონს მოსასვლელად და გასააზრებლად, რომ წმინდანი კი არა, თოფ-იარაღში ჩამჯდარი ჩვეულებრივი აფხაზი მეომარი იყო, სანთლის ასანთებად შემოსული რაფიკ აიბა. აი, იდგა, მკვეთრი პლასტებით ნაძერწი, ბრინჯაოსაგან ნაქანდაკევი თუ ფოლადისაგან ჩამოსხმული ნაკვთების ფონზე უცარი ღიმილით მზერაგანათებული. გრუზა თმა. ხშირი, შავი ულვაში. მკაცრი პროფილი. მთის ამაყი შვილის ოდნავ ქედმაღლური იერი. სიმტკიცე და სითბო, შეუპოვრობა და ლმობიერება ერთად.

– რა გქვია? – ალერსიანად, დაყვავებით მკითხა. მივხვდი, თითოეულ სიტყვას საგულდაგულოდ სწონიდა, თითქოს სულს მიბერავდა, რომ უნდობლობის ფორიაქი, მიუღებლობა-უარყოფის სიცივე დიდი სიფრთხილით გადაელახა. რატომ მელოლიავებოდა? მხოლოდ სიბრალულის გამო? უცნობს? მტრად მიჩნეულ მძევალს, ვისაც უკიუინებდნენ: მოძღვრის საფლავთან ფსალმუნის კითხვისას სოხუმში მყოფ მონინააღმდეგეს აფხაზური შენაერთების ადგილსამყოფელის შესახებ საიდუმლო მონაცემებს გადასცემ, რისი წყალობითაც მიზანმიმართულად დაშენილი ჭურვები კომანის საგუშაგო-პოზიციებს პირწმინდად აცამტვერებსო? როგორ შეუფასებდნენ თანამებრძოლები „ჯაშუმის“ მფარველობას?.. არაფერი მესმოდა.

– რა გქვია, გოგონი? – დაიხარა, ნიკაპი ამინია, თვალებში ჩამხედა და წყნარად ჩამომიმარცვლა, – სახელი, სახელი მითხარი.

– მა... – წამოვიწყე და გავჩუმდი, მერე ნერწყვი გადავყლაპე და სწრაფად დავასრულე, – მარია... შეგიძლიათ, და მარია დამიძახოთ.

– და მარია? – გაიმეორა, – მორჩილი ხარ?

– ჰო, – ჩავიღაპარაკე.

ჯიქურ შემომხედა:

– მართლა? – ხმას დაუდაბლა, მზერა მოულბა, – თუ...

კრინტი არ დამიძრავს. კერპივით გავქვავდი. რისი თქმა უნდოდა? არ ვიცი, არ ვიცი. ან რიტორიკული შეკითხვა იყო, სიტყვის მასალა, ან ზრდილობის გამო შუაზე შეწყვეტილი ფრაზა. რომელი ფრაზა?.. გულთამხილავი! „მართლა?“ – წამოიწყო და უხმოდ დაასრულა, – „თუ ღვთისმსახურობა დაიბრალე, ძალადობისგან თავდასაცავად, შეურაცხყოფის ასარიდებლად სასულიერო პირის სახელს, ანუ სიცრუის ცოდვას, ამოეფარე?“

სიცრუის ცოდვა...

გახსოვს? – ერთ მოგონებას ჩავებლაუჭე, – 5 ივლისი იყო. ძირს ჩამჯდარ მამა ანდრიას მკლავები სახსარში მოხრილ და მკერდს მიკრულ წვივებზე შემოეჭდო, ნიკაპით მუხლისთავებს ებჯინებოდა, ამბობდა:

– მარადისობას მივუგდოთ ყური. იქნებ უფლის ხმა შემოგვესმას.

– მამაო, – ენა ძლივს მოვაბრუნე, უხერხულ თხოვნას დიდი წვალებით მოვაპითავი, – ვიცი, მაინცდამაინც გამართლებული არ არის, მაგრამ... ვიფიქრე, თუკი დამცირების და შეურაცხყოფის საფრთხე დამემუქრება, ხომ არ ჯობს, ვთქვა, ვითომ მონაზონი ან მორჩილი ვარ?..

მზერა ამარიდა. საუბრის გაგრძელება ვეღარ გავპედე. თემა ამოწურული იყო, საკითხი – განხილული.

მორჩა, დამთავრდა. უპასუხოდ დამტოვა? ესე იგი, შემიბრალა, საკუთარი ბედის გადაწყვეტის უფლება თავად მომანდო, ნათქვამს წაუყრუა, ტყუილს თვალი მოუხუჭა. საშუალება მომცა, დუმილი თანხმობის ნიშნად მიმეღლო.

სიცრუის ცოდვა?

თვითმკვლელობისაც?

მაგალითი – რამდენიც გინდა.

სოხუმელმა დედაოებმა ეპარქიის მთავარეპისკოპოსისგან განსაკუთრებული კურთხევა მიიღეს. გაუპატიურების საფრთხის შემთხვევაში, მათ სამრეკლოებიდან გადმოხტომის წებართვა ეძლეოდათ. თვითმკვლელი მონაზვნები. ქრისტეს პატარძლების სუიციდი უფლის წმინდა სახლში. სასულიერო პირის დასტური სიცოცხლის ხელოვნურად შეწყვეტის, არსებობისთვის ზღვარის დაწესების, ღვთის ნების წინააღმდეგ, საკუთარი სურვილისამებრ თვითგა-

ნადგურების განზრახვაზე. დაუკერებელი კომპრომისია, არა? ცნებების აღრევა. მრავალსაუკუნოვანი წარმოდგენების იძულებითი ნგრევა. მოუნანიებელი ცოდვის სიმძიმე. ღირსება, რომლის დაცვის მიზანი სიცოცხლის წყურვილს, მცნების სიწმინდესაც კი აჭარბებს. ნაბიჯი, რომლის გადადგმამდე კონკრეტულ ისტორიებს მივყავართ. საფრთხეს, რომელმაც საერო და სასულიერო პირი არ იცის.

ჰო, ასეა... იმ დღის მერე, რაც მედავითნე გულნარას ამბავი შევიტყვე, მივხვდი, მამა ანდრიას საზამთრო-საზაფ-ხულო კაბების, სახის გარშემო შავ ჩარჩოდ მოვლებული ხილაბანდის, თვითნებურად შერქმეული „და მარიას“ იმედი ყოველთვის არ უნდა მქონოდა. ომის ტალღას შეიძლებოდა, ნებისმიერ წუთს გადმოესროლა ათასი ჯურის მოძალადე, ვის სულში ჩაბუდებულ მხეცს მონაზვნის სახელითა და სამოსით ვერ შეაკავებდი.

მედავითნე გულნარა ვახსენე. რა დაემართა? შინ შეუცვივდნენ, ღვთისმშობლის ხატი ხელიდან წაგლიჯეს, კაბა შე-მოაფლითეს, გააუპატიურეს, დახვრიტეს, დაწვეს და, საბურავზე მიკრული, ზღვაში გადააგდეს, გაუპატიურებულ, დახ-ვრეტილ, დამნვარ დედამთილთან ერთად.

მეგონა, მონაზვნობა დამიფარავდა. ფუჭი იმედი გამოდგა. წელან, მამა ანდრიას საფლავთან ფსალმუნის კითხვისას, გაველურებული არსებების საზარელი მოდგმა შემომერტყა გარს. აფეთქებამ მიხსნა. წმინდა გიორგიმ. რაფიკ აიბამ.

რაფიკ აიბა.

– მაშ, და მარია, არა? – დათმო ბოლოს, – ასე იყოს. როგორც გინდა, – მიმოიხედა, – მოდი, ჯერ სანთლებს ავანთებ, მერე შტაბში წავალ და პროდუქტს მოგიტან. მარტო ხარ? დედასთან ერთად? ახლა სად არის? არ იცი?.. კარგი. შევთანხ-მდით. წავალ და მალე დავბრუნდები. წუ გეშინია. ყველაფერი კარგად იქნება.

* * *

ოცდათორმეტი წლის რაფიკ აიბამ, დუშმანად წოდებულმა გუდაუთელმა მაჰმადიანმა, დროებითი საცხოვრებელი ადგილი – რუსეთი, ქალაქი როსტოვი – ქართულ-აფხაზურ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის მისაღებად დატოვა. შინ დაბრუნებულს, დედამ უმცროსი ძმის ამბავი დაახვედრა:

ბიჭს ომმა სოხუმში მოუსწორო. ქალაქიდან წასვლა არ ისურვა. მხედრიონელებმა მიაგნეს, დაატყვევეს. გაქცევა მოა-სერხა. ესროლეს. დაჭრეს. ფორთხვით მიაღწია სახლამდე. მეზობლებს მიუკაკუნა. ქართველებს. სანამ კარს გაუღებდ-ნენ, გონი დაკარგა. შეიფარეს.

ბინდდებოდა. გარეთ ყაყანი ისმოდა. უგზო-უკვლოდ გამქრალი აფხაზის ხელში ჩასაგდებად დაგეშილი მხედრიო-ნელები აქეთ-იქით დაძრნოდნენ, ბუჩქებს ჩხრეკდნენ, სარდაფებს ამოწმებდნენ. ცოტაც და, გაქცეული ტყვეს ძებნას სართულ-სართულ შეუდგებოდნენ, სადარბაზოს ჩექმების ბრაგუნით და იარაღის ულარუნით გააყრუებდნენ, ხიზანს მიაგნებდნენ, მასაც მოკლავდნენ და ზედ გულმოწყალე მასპინძლებსაც მიაყოლებდნენ.

მეზობლები შავ დღეში ჩაცვივდნენ. დაბნეულებმა, ტუჩების კვნეტით და თითების მტკრევით გადახედეს ერთ-მანეთს. ყოყმანის დრო არ ჰქონდათ. გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მიეღოთ. ან დაჭრილი აფხაზი გაეწირათ, ან მას-თან ერთად მომკვდარიყვნენ, ან... რა? ვითომ სხვა გამოსავალიც არსებობდა? დიახ, დიახ! გონება გაუნათდათ. თვალები გაუბრნებინდათ. ხიზანს ეცნენ, მხრებსა და ფეხებში მოებდაუჭნენ, ტახტზე დააწვინეს, გულხელი დაუკრიფეს, თეთრი ზენარი გადააფარეს, გარშემო სკამები შემოუწყვეს. სკამებზე ქალები ჩამოსხეს. თვითონ, კაცები, თავჩაქინდრულები და ზურგზე ხელებშემოწყობილები გამწკრივდნენ ღია კართან.

მერე რაც მოხდა, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. ბინაში შეჭრილ ჯარისკაცებს, რომლებმაც, არც მეტი, არც ნაკლები, შეუ „პანაშვიდზე“ ამოყვეს თავი, „მგლოვიარეებით“ გარშემორტყმულ „მიცვალებულის“ დანახვისას ცივი წყალი გადაესხათ.

– რა ამბავია? – იკითხეს.

– აფხაზებმა ვაჟკაცი მოგვიკლეს. იმას დავტირით.

სახელდახელოდ გამომცხვარი ტყუილის შინაარსს, ინსცენირებული რიტუალის დრამატულობას, „ჭირისუფლების“ ცრემლებსა და მოთქმას, „გარდაცვლილისადმი“ რიდსა და პატივისცემას უკვალოდ არ ჩაუვლია. მხედრიონელებს სისხლისლვრის უინი კი გაუნელდათ, გაღიზიანების საფუძველი გამოეცალათ, მაგრამ სადღაც, გულისგულში ეჭვის პანაწინა მარცვალი მაინც უღვიოდათ. ვერც წასვლა მოეფიქრებინათ, ვერც – დარჩენა. არც ოთახების ჩხრეკის თავ-ხედობა ჰყოფნიდათ, არც – მწუხარების გაზიარებისა და თანაგრძნობის გამოხატვის კეთილშობილება. ზღურბლზე ტორტმანებდნენ. იბლვირებოდნენ.

ამასობაში მასპინძლებს შიშისაგან გულები უსკდებოდათ: გონდაკარგული ბიჭი რომ გამოფხიზლდეს, დაიკვნესოს, წამოახველოს, ან შეირხეს, რა გვეშველება? ყველანი დავიღუპებით. მტრის მფარველობის ბრალდება, დედაბუდიანად ამოწყვეტა არ აგვცდება. გამხეცებული ჯარისკაცები ქვას ქვაზე არ დატოვებენ. რა ვიღონოთ, როგორ მოვიქცეთო? თუმცა მღელვარებას ოდნავაც არ იმჩნევდნენ. პირიქით, იმ ადამიანის თავზეხელალებული სიმამაცით აქეზებდნენ, ნამუსზე შემგდები ფრაზებით უტევდნენ მდევარს, ვისაც მსხვერპლად შენირვის, უკიდურეს რისკზე წასვლის გარდა სხვა გზა არ დარჩენია და დასაკარგიც აღარაფერი აქვს:

– რა, არ გვენდობით? გგონიათ, ვცრუობთ და რამეს გიმალავთ? ა, ბატონო, მობრძანდით, ნუ გერიდებათ, შეგიძლიათ, სუდარა გადასწიოთ, საკუთარი თვალით დახედოთ მკვდარს, შეამოწმოთ, დარწმუნდეთ...

მებრძოლები შეყოყმანდნენ. რომელიღაცამ მართლა გადადგა ნაბიჯი წინ, სკამებშემომწკრივებულ ტახტზე დასვენებული „მიცვალებულისკენ“, მაგრამ დანარჩენებმა შეაჩერეს, უკან დასწიეს:

– მაიცა, თუ ძმა ხარ. ახლა მკვდარი გვამოწმებინე კიდე. ვერ ხედავ, რა ხდება? აბა, დავახვიეთ აქედან. წავედით, წავედით.

წავიდნენ. აგვისტო იყო. სექტემბრის შუა რიცხვებში, უკვე საბოლოოდ განკურნებული და ჭრილობამოშუშებული ხიზანი, რომელმაც მეზობლების ჭერქვეშ მთელი თვე დაჰყო, მასპინძლებმა ქვეყნიდან გააპარეს.

— ქართველებთან ვალში ვარ, — თქვა რაფიკ აიბამ, — ძმის სიცოცხლე მაჩუქეს. ვალს კი გასტუმრება სჭირდება. ვიცი, ომია და სხვა გზა არ მაქვს, უნდა ვიბრძოლო. მაგრამ თუ შემთხვევა მოიტანს, ქართველებთან მტრობას დავივიწყებ, ძმის გადარჩენის ამბავს კი — არასოდეს. ყველას დავეხმარები, ვისი ხსნის საშუალებასაც ღმერთი მომცემს. ხოლო როცა რჩეული დუშმანი, სულით ხორცამდე ნამდვილი აფხაზი პატიოსან, კაცურ სიტყვას იტყვის, დამიჯერე, მოკვდება და იმ სიტყვას არაფრის ფასად არ გადავა, ფიცს არ უღალატებს.

* * *

რაფიკ აიბამ მოძღვრის საფლავი შეგვაღობინა. ჯარისკაცებს უმისამართოდ სროლა, ტაძრის რბევა, სარკოფაგის და ხატების არამცთუ დაცხრილვა-წაბილწვა, მათთან მიახლოებაც სასტიკად აუკრძალა. მცველები მოგვიჩინა. ორი ბერძენი ტყვექალი, ამზარელი ვერა და ანფულა, შემოგვისახლა. კვების საკითხი მოგვიგვარა. დილა-საღამოს პური და თევზის კონსერვი მოპქონდა. ხანდახან ჯიბიდან თაფლის სანთელსაც ამოაცოცებდა და დედას გაუწვდიდა, აპა, ზოია, დაანთეთ და ილოცეთო. მარტო იშვიათად გვტოვებდა. გვირჩევდა, ტაძრიდან ფეხი არ გაგვედგა, კარებჩარაზულ დარბაზში, პლედებდაგებულ იატაკზე გაგვეთია ღამე, დღე კი გალავანს არ გავცილებოდით. საკმარისია, გარეთ და-გიგულონ, დამშეული მეომრები შუაზე გაგლეჯენო, გვაფრთხილებდა. როგორც კი დროს გამონახავდა, სასაუბროდ შემოივლიდა. საფლავთან ჩამოვსხდებოდით. მამა ანდრიასა და იური ანუაზე ვუყვებოდი, მაცხოვრის ხატის წინ გვერ-დიგვერდ ჩაჩოქილ ქართველ მოძღვარსა და აფხაზ იპოდიაკვანზე. იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილების პოვნის ადგილას ასაგებ ბაზილიკაზე, სადაც მიწიერ ცხოვრებას სამუდამოდ მოწყვეტილ ორ ბერს, ერისკაცობაში ბალდათელ პაატა ყურაშვილსა და ოჩამჩირელ იური ანუას, დარჩენილი დღეები ერთად უნდა გაეტარებინათ...

რაფიკ აიბა ჩაფიქრებული მისმენდა. მეტწილად დუმდა. დროდადრო 5 ივლისის მოვლენებს უბრუნდებოდა, კითხვებს სვამდა, ვერსიებს აზუსტებდა, ადრე ნაამბობს ახალ დეტალს ამატებდა. თუმცა სათქმელი ძალიან ცოტა ჰქონდა.

თვე იწურებოდა, მომხდართან დაკავშირებით კი თითქმის არაფერი ვიცოდით. ჰო, არაფერი, რაფიკ აიბას მიერ გუდაუთის სამხედრო შტაბიდან მოპოვებული ოფიციალური ცნობის გარდა, რომლის თანახმადაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ძეგლის, იოანე ოქროპირის სახელობის ტაძრის, და ეკლესიაში მყოფი პირების სიცოცხლის ხელყოფა, თურმე, კატეგორიულად იკრძალებოდა. ანუ შენობა უვნებლად უნდა დაეტოვებინათ. მონასტრის მსახურებსა და ხიზნებს (როგორც სასულიერო პირებს, ისე მრევლს) ფიზიკურად არ უნდა შეხებოდნენ. რატომ? ცხადია, იმიტომ, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში ბარბაროსებად არ გამოჩენილიყვნენ. ვინ გასცა განკარგულება? აფხაზურმა სარდლობამ. როდის? არც მეტი, არ ნაკლები, 5 ივლისს. დიახ, აფხაზურ-რუსული ბატალიონების კომანში შემოჭრის დღეს, როცა თვალამოთხოვილმა, ცალ მხარეს ქუთუთოებშენებულმა ახმახმა ეშერელმა იპოდიაკვანი

იური (გიორგი) ანუა კონდახის ცემით გაიგდო წინ, თავსხმა წვიმაში, ტაძრიდან კარიბჭისკენ, სადაც მერი პაკელიანის ნაფლეთებად ქცეული გვამი ეგდო. როცა პატრიარქის რეზიდენციის ერთ-ერთ ოთახში გამომწყვდეულ მამა ანდრიას, უკანასკნელი ლოცვის წარმოთქმისას, მცირე კალიბრის ცენტრდაკარგული ტყვია პირდაპირ კეფაში დაახალეს. როცა ეკლესიას შეფარებულ საბრალო ინვალიდებს საშინელი სამსჯავრო მოუწყეს და კაცისკვლის ცოდვით გაჟღენთილი აპოკალიფსური ღამის სისხლიანი მდუღარება თითებგაშლილი მტევნების წებოვან, ბლანტ ნაკვალევად ჩამომეკაწრა სახეზე. როცა....

– დამშვიდდი, დაო მარია...

ვკანკალებდი. ცივ ოფლს მასხამდა – სამმაგი შესამოსელის ქვეშ, გაგანია სიცხეში. ვკანკალებდი. წყეული ომი! 5 ივლისის ბრძანება. ღმერთო ჩემო! სამხედრო შტაბიდან მოსული განკარგულება ხელშეუხებლობის შესახებ. და შედეგი? ჩახოცილი ადამიანები. დაცხრილული ხატები. სისხლის გუბეში მოტივტივე დაჭეჭყილი მასრები, ცარიელი მჭიდები. მკლავი... მოგლეჯილი მკლავი...

– დაწყნარდი, გთხოვ!..

ნელა, ძალიან ნელა ვუბრუნდებოდი საკუთარ თავს.

– როგორ ხარ?

– კარგად.

– მაშ, მომისმინე.

თურმე, გუდაუთის მთავარი სამხედრო შტაბის მიერ 1993 წლის 5 ივლისს გაცემული დოკუმენტი მოიერიშეებს, უპირველესად, აფხაზი მამულიშვილის – იური ანუას – ცოცხლად შეპყრობას ავალებდა. ნებისმიერი სხვაგვარი, ანუ ძალადობრივი, საქციელი (ტყვეს წამება, დახვრეტა) დაუმორჩილებლობად, დანაშაულებრივ თვითნებობად შეფასდებოდა, რასაც უყურადღებოდ არ დატოვებდნენ. მოძალადეს სამხედრო ტრიბუნალს გადასცემდნენ და კანონის შესაბამისად დასჯიდნენ.

– რა დასკვნის გამოტანა შეგვიძლია აქედან?

თუ აფხაზი მებრძოლები ალალბედზე კი არა, ინსტრუქციის თანახმად მოქმედებდნენ, გამოდის, ტაძარში შემოჭრის უმთავრესი მიზანი იური ანუას დატყვევება იყო და არა მისი წამება ან მკვლელობა. კარგი, ვთქვათ, მკვლელობა განზრაბული არ ჰქონდათ. მხოლოდ ცოცხლად შეიძყრეს და, გარკვეული ბრალდებების საფუძველზე, ციხეში გამოამწყვდიეს. მაგრამ რომელ ციხეში? მამას ხომ ვერც კომანის, ვერც გუდაუთის, ვერც რომელიმე სხვა სოფლის თუ დაბის საპყრობილები მიაგნეს?

დავუშვათ, აფხაზ მამულიშვილად მოხსენიებული ცნობილი ქველმოქმედი, ვისაც, წარსული დამსახურებების გამო, ხელისუფლების მაღალჩინოსნები (ომამდეც, ომის დაწყების მერეც) დიდ ანგარიშს უწევდნენ, უდანაშაულოდ სცნეს

და გათავისუფლეს. მაშინ სადმე ხომ უნდა წასულიყო? იური ანუას გათავისუფლებისა და სავარაუდო ადგილსამყოფელის შესახებ სანდო წყაროებისგან მოპოვებული, წერილობით ან სიტყვიერად დადასტურებული ერთი ცნობა, გადაწყვეტილების ასლი მაინც ხომ უნდა შემოენახა შესაბამის უწყებებს? არა. არაფერი ამის მსგავსი.

რჩება ორი ვერსია. პირველი: იური ანუასადმი გამოჩენილი ხაზგასმული შემწყნარებლობა-ლოიალობის ფონზე, აფხაზური სარდლობის ფარული წაქეზებით გათამამებულმა ჯარისკაცებმა თუ სატუსალოს გუმბაგებმა „საპატიო ტყვეს“ ხელიდან დასხლტომის, გაპარვის შესაძლებლობა მისცეს, ან გაქცევის ფაქტზე თვალი განგებ დახუჭეს. მეორე: მათ, ვინც მამა ტაძრიდან გაიყვანეს, 5 ივლისის განკარგულების შესახებ ძალიან გვიან, დანაშაულის ჩადენის მერე, გაიგეს (გამორიცხული არ არის, ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ ტყვე შემოაკვდათ, ან სამხედრო ხელმძღვანელობის გაფრთხილება არად ჩააგდეს), ბოლოს კი, სასჯელის თავიდან ასარიდებლად, ძალადობის კვალი წაშალეს, გვამი გააქრეს, თანამონაწილებსა და თვითმხილველებს გაჩუმება აიძულეს.

– სულ ეს არის? – სასონარკვეთილი მივაჩირდებოდი რაფიკ აიბას, – რამის დაზუსტება, უტყუარი ფაქტებით, სარწმუნო ცნობებით დასაბუთება გამორიცხულია? მხოლოდ ეჭვების, ვერსიების და ვარაუდების დონეზე ვრჩებით?

– ჰო, სამწუხაროდ...

– კი, მაგრამ ხომ არ შეიძლება, ადამიანი ასე ერთბაშად თვალსა და ხელს შუა აორთქლდეს, ვერც ცოცხალს მივაგნოთ, ვერც მკვდარს, ვერც ამბის მთქმელს? – გულს ვასკვდებოდი.

რაფიკი დუმდა.

– ამიხსენი, – ვემუდარებოდი, – თავად თუ გჯერა, რომ არავინ არაფერი იცის?

– ალბათ, იციან, მაგრამ... – შეყოყმანდებოდა, – ვფიქრობ, დუმილის აღთქმა აქვთ დადებული. პირზე ბოქლომი ადევთ. ტყავიც რომ გააძრო, სიტყვას ვერ დააცდენინებ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მათი სიჯიუტე, შიშის გარდა, ფიცის ძალაზე, ფიცისადმი ერთგულებაზეა დამყარებული.

– აბა, რა ვქნათ?

– ლოდინს უნდა გავუძლოთ. ლოდინს და დროს, რომელიც თანდათანობით ყველაფერს გამოაჩენს, ადრე თუ გვიან საიდუმლოს ფარდას ახდის. სხვა გზა არ გვაქვს, დაო მარია. უნდა დავიცადოთ.

დედა

მარმარილოს იატაკზე წოლისგან ძვლები მტკიცა. სხეული დაბუჟებული მაქვს. თვალს ძლივს ვახელ. ირგვლივ ჯერაც ბინდბუნდია. სარკმლიდან პირქუშად ჩაბურული ცის ნაგლეჯი მოჩანს. გული უსიამოვნო წინათგრძნობით მევსება. შფოთვა მიპყრობს. ნეტა, რას გვიმზადებს დღევანდელი დღე? ალბათ, კარგს არაფერს, რადგან მარტონი ვართ. ტაძრის მცველები წავიდნენ. წუხელ, სოფლის ცარიელ შუკებში დიდხანს ისმოდა ცუგუროვკასკენ საბრძოლველად გაკრეფილი ქვეითების ნაბიჯების ხმა. ნაშუალამევს სიჩუმე ჩამოვარდა, თუმცა შვება კი არ მიგრძნია, პირიქით, ძრწოლამ ამიტანა. მეგონა, მთელ უნუგებოდ გადამნვარ-გაუდაბურებულ ქვეყნიერებაზე ორნიდა დავრჩით. გარს გაურკვევლობით სავსე, მტრული სამყარო შემოგვრტმოდა.

ნაცნობი შეგრძნება იყო. მსგავსი რამ ადრეც მომხდარა. დაზავების ხანმოკლე პერიოდს ბრძოლის განახლება მოჰყვებოდა ხოლმე, რასაც თან სდევდა სოფელში თავმოყრილი სამხედრო შემადგენლობების სწრაფი ცვლა. კომანის გზებზე ურთიერთშემხვედრი მიმართულებით დაუსრულებლად მიმოდიოდნენ ფრონტის ერთი უბნიდან მეორისკენ გადასროლილ-გადმოსროლილი აფხაზურ-რუსული, სომხურ-ჩეჩინური საჯარისო ნაწილები.

5 ივნისის შტურმიდან მოყოლებული, ვინ მოთვლის, რამდენმა შერეულმა დაჯგუფებამ გადმოიარა კომანის ხიდი, საომარი მზადყოფნის გამოცხადებისთანავე რამდენი ქვეითი გაემართა მუდმივად ბრძოლის ცეცხლში გახვეული ცუგუროვკას მთისკენ, რამდენჯერ დაგვემშვიდობნენ რაფიკ აიბას თანამებრძოლები, რამდენჯერ ითხოვა ბათალ ტარნალამ ტყვია-ნამლის მარაგის შესავსებად შტაბში მიბრუნების ნებართვა... „მშვიდობით, მარია“, „ნახვამდის, ბათალ“...

ნაცნობი შეგრძნება იყო-მეტქი. ადრეც არაერთხელ ავუფორიაქებივართ მიუსაფრობისა და დაუცველობის განცდას, ახალ-ახალი შენაერთების წინაშე ღვთის ანაბარა, საკუთარი თავის იმედად აღმოჩენის შიშს. ბრძოლებში ნაცადი, დაუდეგარი ჩეჩინების მოლოდინი ხომ ბოლოს გვიღებდა. რას აღარ ყვებოდნენ მათზე: უმოწყალოდ ამოულეტილი ქართველების თავებით ფეხბურთს თამაშობენო. ყველაზე ფანატიკოსები მონინააღმდეგის დაჯგუფებებისთვის მუსრის გასავლებად თვითმკვლელობასაც არ ერიდებიანო. ცეცხლის შფრქვეველი თვალები გრდემლზე გამომზვარ რკინას მიუგავთ. ძარღვებში სისხლი უდუღლთ. შავნვერმოვლებულ კუშტ სახეებზე ველური მოუხელთებლობა, ურყევი ნება, ჯიუტი შეუვალობა და ამაყი ძალმოსილება ალბეჭდვიათ. ქარიშხალივით შეიტრებიან ხოლმე ბრძოლის ველზე. უხორცოსავით უშიშარნი, ღვთის რისხვად ატყდებიან თავს ქართველებს. მათ ფეხქვეშ მინა გიზგიზებს. წინ ვერავინ აღუდგებათ. ვერაფერი შეაჩერებთო.

რა გასაკვირი იყო, სიკვდილთან პირისპირ შეყრა გვენატრა, ტაძრის სიახლოვეს მათი გაჭაჭანება კი — არა. ამიტომ როდესაც ხმა დაირხა, მოდიან, მოდიანო, მოსვენება დავკარგეთ. თვალი წამდაუნუმ კარიბჭისკენ გაგვირბოდა. უმნიშვნელო ჩეხამსაც კი ვაყურადებდით. გამოჩენენ? სოფლის შემოგარენში მოაბიჯებენ? ტაძრისკენ აიღეს გეზი? არა, ჯერ არა. გამთენისას აპირებენ გუმისთის გადმოლახვას? შუალამისას? ვინ იცის. მოიცათ, მოიცათ... რისი ხმა ისმის? ჩექმების ბრაგუნის? ან რა ბუღია გზაზე? ჯარისკაცების მწკრივს შლეიფივით ფეხდაფეხ ადევნებული მტვრის კორიან-

ტელი ხომ არ დგას? რა მნიშვნელობა აქვს, ძალადობა მოგვიღებს ბოლოს თუ ძალადობის შიში, სასჯელი თუ სასჯელის მტანჯველ, თუნდაც ცრუ მოლოდინში თეთრად დათენებული სამი უსასრულო, ბნელზე ბნელი ღამე!

მოვიდნენ. მეოთხე დღეს გამოჩენის კომანის შემოგარენში. ხიდი გადმოიარეს. სვანების ნასახლარებისკენ დაეშვნენ. ტაძარს გასცდნენ... ჩეჩჩებმა ქართულ სალოცავს, მაჰმადიანებმა ქრისტეს წმინდა სახლს უსიტყვოდ, რიდითა და კრძალვითაც კი, აუქციეს გვერდი.

ხანდახან როგორი საფუძველს მოკლებული, გამაოგნებლად მცდარი — იმედისმომცემიც და იმედგამაცრუებელიც — შეიძლება აღმოჩნდეს წინასწარ შექმნილი განწყობილება. როგორ გადასძალავს ხოლმე ზოგადადამიანური ღირსებები და საყოველთაო ფასეულობები ვიწროეთნიკურ მისწრაფებებს და კერძო ინტერესებს. როგორ ვაწყდებით დანდობას ულმობლობის, გულმონწყალებას შეუბრალებლობის სანაცვლოდ და პირიქით.

პირიქით, რადგან სხვაგვარი დღეებიც გაგვთენებია, სხვაგვარ ადამიანებსაც შევხვედრივართ, დედა.

აფხაზური რაზმის მეთაური გახსოვს? — ბუშლატგალელილი, გაბანჯგვლული, სიმთვრალისაგან თვალებჩაწითლებული და პირზე დუშმომდგარი რომ ტორტმანებდა შუა დარბაზში? სისხლმოწოლილ, ალმურადენილ ლოყებზე ხვითქი ასკდებოდა. ოფლისა და სპირტის სუნად ყარდა. სასმელის ოხშივარს აფრქვევდა. უინმორეული ბურტყუნებდა, გავიგე, ანუას კარგი გოგო ჰყოლიაო, თან უკანდახეულს ბანცალ-ბანცალით მიახლოვდებოდა, ამღვრეულ მზერას არ მაშორებდა. ირგვლივ განწირული ვიხედებოდი, თუმცა ხსნის იმედი არ მქონდა. რაფიკ აიბა საგუშაგოზე მეგულებოდა. ზაალმა და ედგარტმა რამდენიმე წუთის წინ გაიხურეს კარიბჭე, რომელიც სულ მალე, წესით, ბათალსა და ასტამურს უნდა შემოელოთ, კარიბჭე კი არ იღებოდა. ბიჭები იგვიანებდნენ. ვეღარაფერი მიშველიდა.

და სწორედ ამ დროს შევნიშნე, ბუშლატგალელილი მეომრის თავზე დაშნასავით როგორ აღიმართა ოქროთი მოვარაყებული თუჯის ვეება, მძიმე, მრავალსანთლიანი შანდალი. ცოტაც და გალეშილი ოფიცრის თხემისა და კეფისგან ძვლების, ტვინის, სისხლის გულისშემაღლებელი ნაზავის გარდა აღარაფერი დარჩებოდა.

— არ ჩაარტყა, დედა! — დავიყვირე.

მეომარმა, რომლის დაბინდულ გონებას, ჩანს, რაღაც მისწვდა, სასმელისგან გაულენთილი ადამიანის „უგერგილობითა და მოუქნელობით, ტლანქად მიიღრიცა კისერი უკან, ჰაერში ავისმომასწავებლად გამოკიდებული „მახვილისკენ“ და როგორც კი შანდალმოლერებული ქალის მრისხანე, გაალმასებულ მზერას გადააწყდა, ნირი ეცვალა, სისხლმოწოლილი, ალმურადენილი სახე გაუფითრდა.

— ახლავე გაეთრიე აქედან! — შეუტია დედამ, — ახლავე-მეთქი, თორემ იარაღის ამოღებას კი არა, თითის განძრევას ვერ მოასწრებ, სულს გაგაცხებინებ!

არავინ იცის, რა მოხდებოდა, დარბაზში უეცრად ნაცნობი გვარდიელი, თამაზი, მეტსახელად „ჭალარა“, რომ არ შემოსულიყო.

სანამ ტაძარს გაარიდებდნენ, შიშნაჭამი, გულმოსული ოფიცერი დიდხანს ცდილობდა უნიათო წინააღმდეგობის გაწევას, ილანძლებოდა, ჭირვეულობდა, ხელებს გამალებით, უინიანად იქნევდა...

ზოიასთანა მამაცი ქალი არასდროს გვინახავსო, თქვეს მოგვიანებით ბიჭებმა.

ვინც მთელი არსებით მიენდობა უფალს, ღვთის ჭეშმარიტი რწმენა არამცთუ შიშის სენისგან განკურნავს, არამედ მარტვილობისკენ უბიძგებს. უფლისა და რწმენისთვის მონამებრივი აღსასრული, ქრისტესთვის სიკვდილის ძიება, ტანჯვის თმენა უზენაესი ნეტარებააო, განმარტა დედამ.

გამოდიოდა, რომ თუკი მე ტაძრის კედლებს შორის ყოფნის უმთავრეს (და, ზოგადად, ცხოვრებისეულ) საზრისად, ღვთის მსახურების გზით, თვითგადარჩენა მესახებოდა, დედა თვითშეწირვას ესწრაფვოდა. მე ქვეცნობიერად სიცოცხლეს მიველტვოდი, დედა მამა ანდრიას ბედის გაზიარებაზე ოცნებობდა: „როცა მოვკვდებით, მოძღვრის გვერდით დაგვმარხეთ!“ — მოუწოდებდა აფხაზებს. მე უფლისგან დაწესებული ამქვეყნიური არსებობის ვადის ბოლომდე გავლა მსურდა, ის სიცოცხლეზე უარის სათქმელად ზეგარდმო მოვლენილ ნიშანს, ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა. მე განსაცდელს ვუფრთხოდი, ვემალებოდი, ის არ ეპუებოდა, მეტიც, მგზნებარედ იწვევდა და მოუხმობდა:

— როგორ ბედავ მარიას სამოსის ჩაცმას? ახლავე გაიხადე, თავხედო! — ნინ აესვეტა ერთხელ ნაძარცვ ქურქში გამოწყობილ მეომარს, რომელსაც, წესით, ორივენი ადგილზე უნდა დავეცხრილეთ, მაგრამ, არ ვიცი, როგორ ან რატომ, ზოიას ბრძანებას უსიტყვილ დაემორჩილა.

რამდენიმე დღის ნინ კი დაუჯერებელი რამ მოხდა. დედა ძირს დაანარცხეს, ჩახმახშეყენებული ავტომატის ლულა გულზე დააბჯინეს, გინდა თუ არა, გაგვიმხილე, იური ანუას მიერ ქართველებისთვის იარაღის მისაწოდებლად გათხრილი მინისქვემა გვირაბი სად არის, თორემ დაგხვრეტთო.

— არავითარი გვირაბი არ არსებობს, რით ვერ გაიგეთ? ტაძარში იარაღის საცავს რა უნდა? მაგრამ თუ სროლა გაქვთ განზრახული, მესროლეთ, დამხვრიტეთ. ხელს ვინ გიშლით? რაღას უცდით? ახლავე გამოჰკარით სასხლეტს თითო, დაუყოვნებლივ! ოღონდ რაიმე სხვა მიზეზის გამო კი არა, ქრისტესთვის, რწმენისთვის მომკალით! — ისეთი ძალით შეუძახა, დაბნეულმა, შემცბარმა, წუთის ნინ სისხლის დასაღვრელად აღერღილმა ჯარისკაცებმა, მგონი, უსუსურობა იგრძნეს. ცხადი იყო, შიშის გრძნობაზე ამაღლებული ამ უცნაური ქალის ნებისყოფის გასატეხად, თვალებიდან გამოსხივებული ჭეშმარიტი სიმტკიცისა და შეუპოვრობის ნინაშე, დასჯის, ძალადობის მუქარა ვერ გამოადგებოდათ.

საერთოდ, თუკი ზოია ადამიას განრისხება გსურდათ, „მიწისქვეშა კომანი“, „ბუნკერების სისტემა“, „საიდუმლო ლაბირინთი“ უნდა გეხსენებინათ. ბრაზისგან წონასწორობას კარგავდა, ცეცხლი წაეკიდებოდა ხოლმე. აღარც საკუთარ მდგომარეობას დაგიდევდათ რამედ, აღარც გარშემომყოფების სამხედრო სტატუსს, ჩინსა და წოდებას, ანუ ფაქტს, რომ მონასტრის ხიზნების ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაწყვეტა ხშირად სწორედ დატუქსულ-გალანდული თანამოსაუბრის გუნება-განწყობილებაზე იყო დამოკიდებული.

მახსოვს, რაფიკ აიბამ გუდაუთის ფრონტის სარდალს შეგვახვედრა. სარდალმა უგულისყუროდ აგვედ-დაგვხედა და და ორიოდე არაფრისმთქმელი ფრაზის წამოსროლის მერე, არც აცია, არც აცხელა, გვირაბი სად არისო, იკითხა. რაო, გვირაბი? თვალი შევასწარი, როგორ აჰერა სიმწრის ალმურმა დედას. დღესაც არ ვიცი, რა ძალამ შეაკავა, რომ ცდუნებისთვის გაეძლო და გუდაუთელ მაღალჩინოსანს ყელში არ სწვდომოდა.

— როგორ არ გრცხვენიათ, ცილს რომ გვწამებთ? გირჩევნიათ, მიპასუხოთ, რა დამართეთ ჩემს ქმარს, სად გააქრეთ, სად წაიყვანეთ, სად მოკალით?

რაფიკ აიბა გაფითრდა.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ, — სწრაფად გადაუჩურჩულა აჭარხლებულ სარდალს, — დიდი განსაცდელი გამოიარა. ნერვული შეტევა აქვს. ემოციების გაკონტროლება უჭირს. სიფიცე აპატიეთ...

— ერთი სიკვდილი გავათავე, — მითხრა მოგვიანებით რაფიკმა, — ბეწვზე გადავრჩით. დაარწმუნე ზოია, თავი შეიკავოს, საკუთარ სიცოცხლეს თუ არ დაეძებს, სხვა მაინც შეიბრალოს. გაფრთხილდით, მარია, თითოეულ ნაბიჯსა და სიტყვას დაუკვირდით.

— ჰო, მაგრამ... ვერ გამიგია, რატომ აკერია ყველას პირზე ეს მითიური, ყბადალებული, დაწყევლილი და არარსებული გვირაბი?

— არარსებული? — ყურადღებით შემათვალიერა, — მარია, — მითხრა ბოლოს, — მოდი, შენს ალალ თვალებში ჩამახედე და გულწრფელად მიპასუხე, ოღონდ არ მომატყუო, არის გვირაბი თუ არა?

— არა, რაფიკ, არა.

ვნახოთო. წავიდა. შტაბში მოკალათებულ ჯარისკაცებს სულთამსუთავივით დაადგა თავს. წამოყარა. სახლის უკან ფაქიზად ჩაწინიკებული ფიცრებისკენ გაირეკა (სადაც, თურმე, იარაღის საცავი ეგულებოდა), გადაალაგეთ, მიწა გათხარეთ და თუ ვერაფერს აღმოაჩენთ, ბელტები უკანვე ჩაყარეთ, თხრილი ამოავსეთ, ფაქიზად დატკეპნეთ, რომ ბარის და ნიჩბის ნაკვალევი არსად დარჩეს, მერე ფიცრები კოხტად, თანმიმდევრულად გადმოაწყეთ, ძველი წესრიგი აღადგინეთ. დილას რომ ავდგები, ყველაფერი უცვლელად უნდა დამხვდეს, თორემ ტყავს გაგაძრობთო.

— მართალი ყოფილხარ, — შემომლიმა მეორე დღეს, — არ არის.

ეჴ, რაფიკ, რაფიკ...

* * *

ნაშუადღევია. კარს ფრთხილად ვაღებ და ვიწრო ღრიჭოდან ლანდივით ვსხლტები. საფეხურებზე ვეშვები, ერთი, ორი, სამი. ვცდილობ, პარმაღის მოაჯირს, შემდეგ ქვის კედელს აკრულმა, შეუმჩნევლად მივაღწიო ფასადის კუთხემდე, აღმაშენებლის ჭედურ გამოსახულებას ზურგით მივეყრდნო და მამა ანდრიას სამარის გვერდით ჩავიჩოქო.

ვმშვიდდები. ვფიქრობ: აი, მოძღვრის საფლავი, ვრცელი ეზო, ალაგ-ალაგ გაბნეული ფიჭვები, ორი კარიბჭე, რომელთაგან ერთ-ერთისკენ სამანქანო გზა მოემართება, მეორე სოფლის შარას რეინის კიბით უკავშირდება. თუკი ტაძარს გარს შემოვული და აღმოსავლეთის მხრიდან მოვექცევი, ჯერ სენაკს მოვიტოვებ უკან, ბოლოს პატრიარქის რეზიდენციის დაუმთავრებელ შენობას მივადგები. უფლება მაქვს, კიდევ რამდენიმე ნაბიჯით წავინიო წინ, ეზოს მახლობელი კუნძულებისკენ, მერე კი იძულებული ვარ, შევჩერდე. საითაც უნდა მოვატარო მზერა — პირდაპირ, მარ-

ჯვნივ, მარცხნივ, ირგვლივ, ყველგან — გალავნით მკაცრად შემოზღუდულ სივრცეს, გადაულახავ კედლად აღმართულ ბეტონის რკალს ვაწყდები.

ნეტა, რა ხდება იქით? ვინ არის იქით? კომანელებისგან არავინ, საერთო სამარხში ჩაყრილი მიცვალებულების გარდა, რომელიც აფხაზ მკვდრებში გადაცვლის მერე, ალბათ, სოხუმთან ახლოს, სოფელ მაჭარას მიწას მიაბარებენ. საერთო სამარხის ადგილას კი, ნანგრევებს შორის ამოჯაგრული შამბისა და ხვიარის ფონზე, ლურჯი ცის ქვეშ, გულამოთხრილი, ხახადაფჩენილი ვეება, შავი ღრმული დარჩება.

როგორია ცხოვრება ტაძრის გალავანს მიღმა, თუკი ნანგრევების დუმილს შეიძლება ცხოვრება ეწოდოს?

არ ვიცი, არ ვიცი.

სად არის სახლი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ერთი ღამით დავტოვეთ, თუმცა აზრადაც არ მოგვსვლია, რომ დრო დაბინდებასა და განთიადს შორის, ერთი ღამის ნაცვლად, მთელ მარადისობას მოიცავდა?

ვერ ვხედავ. ვცდილობ, ნარმოსახვით გადავდგა აკრძალული ნაბიჯები ეზოს მახლობელი კუნჭულებიდან ბეტონის მკვიდრად შედუღაბებულ ფილებამდე, გამოვხსნა კარიბჭე, ჩავუყვე კიბეს, ვიარო გუმისთის ხეობის გასწვრივ, წმინდა წყლების მიდამოსკენ, სანამ ყაზარმად ქცეულ ნასახლარს არ მივადგები.

არ შემიძლია. თვალებს ვხუჭავ და ვახელ. გინდ მარჯვნივ მიაწყვიტე მზერა, გინდ — მარცხნივ, გინდ — პირდაპირ, გინდ — უკან, არაფერი იცვლება. ცხვირნინ მხოლოდ ზღუდეა, ორ ადგილას კარიბჭედატანებული, თანაბარი სიმაღლის რუხი კედელი, ტაძრისა და დანარჩენი ქვეყნიერების გამყოფი ხაზი, უკიდურესი მიჯნა, ჩაკეტილი წრე, რომელსაც ვერ გავცდებით. რატომ?

თითქმის მთელი თვეა, უმკაცრესი რეჟიმით ვცხოვრობთ. გვინავს ტანგაუხდელად, კარებჩარაზულ დარბაზში, პლედებდაგებულ იატაქზე. ვსაზრდოობთ რაფიკ აიბას თანამებრძოლების მიერ დილა-საღამოს მოწოდებული ჯარისკაცული ულუფით. თავისუფლად ვმოძრაობთ მხოლოდ შენობის შიგნით, გუმბათქვეშა სივრცესა და დერეფან-სათავსოებში. გარეთ გასვლას ვძედავთ ძალიან იშვიათად, მაღვით, ფარულად, როცა უცხო პირთაგან ირგვლივ არავინ გვეგულება. ყოველი ნაბიჯის გადადგმას ვუთანხმებთ რაფიკ აიბას, რომელიც წყვეტს (კი არ გვიბრძანებს, გვირჩევს), როდის და რამდენ ხანს განვმარტოვდეთ მოძღვრის სამარესთან, რა მანძილზე მივუახლოვდეთ გალავანს, დარბაზში ფეხმოუცვლელად გამოვიკეტოთ თუ საკუთარ თავს ხუთი-ათი წუთით სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლება მივცეთ. მთავარია, ტაძრის მცველები გვერდიდან არ მოვიშოროთ, ყურადღება არ მოვადუნოთ, რომ სროლის დაწყებისას ღია ცის ქვეშ, ჭურვებისა და ყუმბარების სამიზნეზე არ აღმოვჩნდეთ.

ვერ ვიტყვი, ჩვენი ყოფა ნებისმიერ წუთს აუტანლად მძიმეა, სიმი დღე და ღამ გასაწყდომად არის დაჭიმული-მეთქი. ხანდახან მშვიდი დილა თენდება, როცა არც ჩექმების ბრაგუნი ისმის, არც კვამლი ადის ცაში, არც მტვრის ბუღი დგას გზაზე, არც ბიჭებს გზავნიან ცუგუროვკას მთაზე საბრძოლველად. როცა ომი გვავიწყდება, ავი წინათგრძნობა და უსიამოვნო მოლოდინი ქრება, მხიარულ გუნებაზე ვდგებით, თითქოს უცნაურად ვიქცევით, ვითარების აღქმის უნარს ვკარგავთ, სინამდვილეში, ძველი ჩვევების აღდგენას ვცდილობთ.

აი, მაგალითად, ფრონტის წინა ხაზიდან მობრუნებული ასტამური, ანკესით ხელში, გუმისთისკენ მიემართება. სახე-ზე ბავშვური ღიმილი დასთამაშებს. უნდა, განწყობილების შესაქმნელად, რამე ღრმააზროვანი და ბრძნული კი არა, ძალიან მარტივი, თუნდაც გულუბრყვილო, სახალისო მითხრას:

— ქრისტესმიერო და მარია, ერთი სათხოვარი მაქვს. ქრისტესმიერ ძმებს, ბათალს, ედგარტს და ზაალს გადაეცი, რომ ქრისტესმიერი ძმა ასტამური მდინარეზე ჩავიდა.

— კარგი, — ვიცინი, — გადავცემ.

ორი-სამი საათის მერე კარზე აკაკუნებს. ვაღებ. სახელობი აუკაპინებია. ლოყები შეფაკვლია. გაბადრული შემომყურებს:

— ქრისტესმიერო და მარია, კალმახი დავიჭირეთ. მოძღვრის სენაკში ქურა, ცხიმი და მარილი ვიპოვეთ. პური მოვი-ტანეთ. თევზი შევწვით. შემოგვიერთდი. სადილზე გეპატიუებით.

ვყოყმანობ. ვფიქრობ.

— არა, — ვამბობ ბოლოს.

სახტად რჩება:

— რატომ?

— ვმარსულობ, — ვიმიზეზებ, სინამდვილეში, ძველი საზრუნავი მახსენებს თავს: არსებობს რაღაც (ერთხელ და სამუდამოდ განაწილებული როლები, აწყობილი ურთიერთობები...), რასაც არ უნდა შეეხო, რომ ხელში არ შემოგემსხვრეს. განწყობილება მეცვლება. სიმსუბუქე ქრება. ბავშვობა მთავრდება. მაგონდება, რომ ომია, ომის მსხვერპლი ვარ, რომ... მოძღვარი დახვრიტეს, მამა უკვალოდ გააქრეს, ხიდის აფეთქებულ ბურჯთან დაურ ზუხბას დანაწევრებული ცხედარი იპოვეს, საერთო სამარხი 5 ივლისს დახოცილი კომანელებით არის სავსე, ჩემ წინ კი, თუმცა ერთგული და მზრუნველი, ალალი და კეთილი, მაგრამ მაინც ჯარისკაცი დგას.

დუმს, თხოვნის გამეორებას ვერ ბედავს:

— კარგი. წავალ. ბიჭები მელოდებიან. თუ რამე დაგჭირდება, არ მოგერიდოს, დაგვიძახე, დაო მარია.

— არ მომერიდება, ასტამურ, აუცილებლად დაგიძახებთ.

* * *

დედა ამბობს:

— თავი მომაბეზრეს. ოჳ, როგორ მომაბეზრა თავი ყველამ. თუ ძალადობას დაგვიპირებენ, ვუპრძანებ, რწმენისთვის, ქრისტესთვის დაგვეხოცონ და აუცილებლად ტაძრის ეზოში დაგვმარხონ, ოლონდ მოძღვრის სამარის გვერდით ჯერ მე გამითხარონ მინა, მერე — შენ. მამა ანდრია, ზორა ადამია, მანანა ანუა. გესმის?

— არ მინდა სიკვდილი, არ მინდა სიკვდილი, — ვევედრები, თან გული მისკდება, რამე საბედისწერო არ ჩაიდონოს, ვთქვათ, სარკოფაგს მიშტერებული მელოტი წვეროსნის ან საკურთხეველთან მობორიალე სახებრტყელი ჩია წითუ-

რის მხარზე გადაკიდებულ ავტომატს არ სწვდეს, კვლავ ოქროთი მოვარაყებულ თუჯის მძიმე შანდალს არ წამოავლოს ხელი და სანამ შეჩერებას აიძულებენ, რომელიმე ჯარისკაცის კეფაზე არ დაუშვას.

— დედა!

სწრაფად მშორდება. აღრიანცელებულ ბრძოში ნიავივით დაქრის. უცებ ჩერდება. იატაკზე გაშოტილ, კედელს მიყრდნობილ, ჭუჭყიანი დოლპანდით შუბლშეზვეულ ორმოციოდე წლის მეომარს დაჰყურებს, სახელოებაკაპინებული გიმნასტურა რომ აცვია, სამხედრო შარვლის ტოტები კი ზონარმოშვებულ, ბინძურ „ბათინკებში“ აქვს ჩატანებული, სიგარეტს ხარბად ეწევა, ღრმა ნაფაზს არტყამს, პირდაპირ მარმარილოს ფილებზე აფერფლებს.

— ჩააქრე! აქ ბაზრის მოედანი ან სოფლის ბირჟა არ გეგონოს. უფლის წმინდა სახლში ხარ, ტაძარში, — ბავშვივით ტუქსავს დედა.

მეომარს ნერვიც არ უტოკავს.

— ჩააქრე!

კაცი დაქანცულ, განურჩეველ მზერას შეავლებს. გაყვითლებულ თითებს შორის მოქცეულ სიგარეტს აუღელვებლად მიიტანს პირთან. მოქაჩავს. ნამწვს იატაკს დაასრესს და კარის ჭრილიდან ეზოსკენ წკიპურტით გასტყორცნის. მერე თვალს თვალში გაუყრის. ხრინნიანად ჩაახველებს, თითქოს განგებ გაჭიანურებული დუმილის დასარღვევად ძალას იკრებს, და ღიმილს გადაჩვეული თხელი, გაცრეცილი ბაგეებით — რუსულ, აფხაზურ, სომხურ, ჩეჩინურ კი არა — ქართულ, დიახ, დიახ, ქართულ სიტყვებს წარმოთქვამს:

— აჲა, ხომ მიიღე, რაც გინდოდა? ახლა წადი. თავი დამანებე.

დედა შეკრთება:

— ქართველი ხარ? — და კვლავ მკაცრად: — მიპასუხე!

— კარგი, ჰო... სანახევროდ.

— მერე?..

— არ დამიწყო ახლა...

— მომისმინე, — ჩურჩულებს. გამალებით უხსნის რაღაცას. ეკამათება. ხან გულს ასკდება, ხან ბრაზს იოკებს, — ღვთის გულისათვის... დედაშვილურად გთხოვ... — ხმა ეცვლება, ცხრება, კვლავ თოფის წამალივით იფეთქებს, — ვერ ამჩნევ, რა ხდება? — ტაძარს მოდებული ჯარისკაცებისკენ იწვდის ხელს, კუთხეში მიყუჟულს, შორიდან რომ მზვერავენ, ნელ-ნელა მიახლოვდებიან, გარს მივლიან, — გაიყვანე, მოგვაშორე, მანანა დაიცავი, დაეხმარე.

კაცი, უარის ნიშნად, თავს აქნევს:

— არა-მეთქი, არა.

— რატომ? გული არ გაქვს?

— არ მაქვს.

- არ გენანება?
 - არ მენანება.
 - ცოდო არ არის?
 - ცოდო, ცოდო, — მოთმინება ღალატობს, — არავინ არ არის ცოდო. არავის და არაფრის გულისთვის არ ვაპირებ თავის შენუხებას. ფეხსაც არ მოვიცვლი. არც კი წამოვდები. ხმას არ ამოვიღებ. თითს არ გავატოკებ. ვინ არის მანანა, რითია ჩემ ცოლ-შვილზე, ჩემ თექვსმეტი წლის გოგონაზე უკეთესი, მთელმა ჯგრომ რომ თვალწინ გამიუპატიურა და ჩამიხოცა? გამაგებინე, ამიხსენი!
 - წამით ჩუმდება. ყველანი ვჩუმდებით. მეომარი ჯიბიდან სიგარეტის დაჭმუჭნილ კოლოფს იღებს, უაზროდ დაჰ-ყურებს, მერე ხელს ჩაიქნევს, კოლოფს უკანვე ჩაიკუჭავს.
 - უცებ კარი ფართოდ იღება. ზღურბლზე ბათალ ტარნალა დგას.
 - ბათალ!
- ყველამ იცის, რომ ბათალი რაფიკ აიბას კაცია. რაფიკ აიბა აფხაზური ჯარის კომენდანტია, გუდაუთელი დუშმანი, რჩეული ვაჟკაცი, მეთაური, ბელადი, ავტორიტეტული, ანგარიშგასანევი სამხედრო ფიგურა. ამიტომ როცა ბათალი — ანუ კომენდანტის, დუშმანის კაცი — შუბლშეკრული იხედება აქეთ-იქით და მკაცრად ამბობს: „რაფიკ აიბა გიბარებთ. ყველანი შტაბში!“, თავს ზევით ძალა არ აქვთ, ბრძანებას უნდა დაემორჩილონ.
- ემორჩილებიან. ფეხარეულები მიიზლაზნებიან: მელოტი წვეროსანიც, ჩია წითურიც, სხვებიც, ჭუჭყიანი დოლბან-დით შუბლშეხვეული ნახევრად ქართველიც, ნახევრად ქართველი ქალის გადასარჩენად თითის გატოკება რომ არ ისურვა, რადგან თავისი ქალი და გოგო კბილებალესილი ნადირების მთელმა ხროვამ თვალწინ დაუგლიჯა, თვითონ კი სხვა ხროვას შეუერთდა შურისსაძიებლად.
- ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, — ამბობს მეორე დილას რაფიკი, — დღემდე სამხედრო დავალებაზე მიმავალს ფეხები უკან მრჩებოდა. სულ მეშინოდა, ბიჭების არყოფნაში რაიმე უბედურებას არ გადაყროდით. ახლა გაცილებით ცუგდად არის საქმე. გუდაუთის შტაბიდან უკვე მოვიდა განკარგულება კომანში დისლოცირებული საჯარისო ნაწილების ცუგურვეკაზე გადასროლის შესახებ, რომლის შესრულებას ვაჭინურებ. ვცდილობ, კომანში ყოფნის აუცილებლობა ათასგვარი მიზეზით დავასაბუთო, მაგრამ, გესმით, ალბათ, სოფლის დატოვება ყოველ მიზეზგარეშე მომიწევს. სხვა გზა არ მაქვს. თვითნებობა, დაუმორჩილებლობა, სამხედრო დავალებისთვის გვერდის ავლა უმკაცრესი ბრალდებებია, რომლებსაც გასამართლება და სასჯელი მოსდევს. უნდა წავიდე. დღესვე წავიდოდი, მაგრამ თქვენ?.. ცხადია, ფრონტის სხვა უბნიდან ვერ გიპატრონებთ. ვერც ვეღარავინ გამოიდებს თავს იური ანუას ცოლ-შვილის დასაცავად. ამიტომ რაღაც უნდა მოვიფიქროთ... უფრო სწორად, მოვიფიქრე, გამოსავალი მოვძებნე, საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე და, თუკი საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, მზად ვარ, უკანასკნელი დახმარება გაგინიოთ. ზოია, მარია, წასვლის დრო დადგა. ვეცდები, სოფლიდან, რაც შეიძლება, მალე გაგიყვანოთ. ჯერ გუდაუთამდე მიგაცილებთ. მერე სოხუმში ჩაფ-

რინდებით. კომანსა და გუდაუთას შორის უამრავი საგუშავოა, მაგრამ გაჩერებას ვერავინ გამიბედავს. ყველა წვრილ-მანი გათვლილია. უსაფრთხოდ მგზავრობის პირობას გაძლევთ. აბა, რას იტყვით? თანახმა ხართ?

* * *

ივლისის ბოლო დღეები სწრაფად წაეწყო ერთმანეთს. ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის სამშვიდობო ხელ-შეკრულების გაფორმების მერე დროებითი ზავი დამყარდა თუ არა, სოფელში, აფხაზ მებრძოლებს შორის, ქართვე-ლი ჯარისკაცებიც გამოჩნდნენ, მაგრამ მათ მოკვლით, წამებითა და დატყვევებით არავინ ემუქრებოდა. პირიქით, მასპინძლობდნენ, ძმობას და მეგობრობას ეფიცებოდნენ. არ გამკვირვებია. ნაცნობი სურათი იყო. მსგავსი რამ ადრეც მომხდარა. ომს მუდამ ახლდა სასიამოვნო, უფრო ხშირად კი, გულსატყენი პარადოქსები, როცა ზავის წყალობით დამეგობრებული ბიჭები საღამოს ლუკმას იყოფდნენ, მომდევნო დილას კი, ცეცხლის განახლებისთანავე, ერთმანეთის უნებური მსხვერპლი ხდებოდნენ.

აგვისტოს დამდეგს ტყვეებისა და მიცვალებულების გაცვლა დაიწყო.

კომანელებს 5 ივლისს დაღუპული და საერთო სამარხს მიბარებული ოცდასამი ახლობლის ცხედრის გადასვენების ნება დართეს.

12 აგვისტოს რაფიკ აიბა ტაძარში სვანებს შემოუძლვა. მერის ძმა, ვახტანგ პაკელიანი ვიცანი. ჩავეხუტე.

— დღესვე ბრუნდებიან სოხუმში, — მიმართა დედას რაფიკმა, — გაყევით.

— არა, — გადაჭრით იუარა დედამ.

ვახტანგი შეცბა:

— რატომ?

— იმიტომ, რომ... — ვეცადე, ზოგადი ფრაზებით შემოვფარგლულიყავი. ვრცელი ახსნა-განმარტებებისა და საკუთარი სულიერი მდგომარეობის შესახებ მსჯელობის დრო არ გვქონდა. ან როგორ გვეთქვა: ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად სულაც არ გვიღირს კომანის, ტაძრის, მამა ანდრიას საფლავის მიტოვება, პიროვნულ ტრაგედიაზე ამაღლებისა და უფლის სიახლოვის განცდის ღალატი. უფალთან ახლოს ვართ. თითქოს მიწაზე კი არ გვიდგას ფეხი, ჰაერში ვლივლივებთ, ღრუბლებში დავცურავთ, წყალზე დავდივართ, პეტრესავით, რაც სიხარულს გვანიჭებს, უცნაური და დაუჯერებელი, აღტაცების მომგვრელი, ლამის საზიმო შეგრძნებით გვავსებს ამქვეყნიურ ჯოჯოხეთშიც კი (მხოლოდ მორწმუნე მიხვდება, რას ვგულისხმობ), რაც არსად გვიშვებს. ტაძარს ვართ მიჯაჭვულები. ხიზნობა გვაქვს მისჯილი, ოღონდ ადამიანების კი არა, უფლის მიერ. ეს უკვე ზღვარს იქითა სამყაროსთან დაბრუნების აღკვეთაზე მეტად თვითალკვეთას, აკრძალვაზე მეტად თვითაკრძალვას ჰგავს. ტაბუს, რომლის დასარღვევად, წასვლის უფლების მოსაპოვებლად საჭიროა ერთადერთი რამ: ნიშანი. მაგრამ ნიშანი არ ჩანს. მიჯაჭვულობის განცდა არ ქრება. ტაძარს ვერ ვცილდებით.

და საერთოდ, თუ განვლილ დღეებს გადავავლებთ თვალს, ადვილად მივხვდებით: ტაძარში ყოფნა მიწიერი საზრუნავისაგან გათავისუფლებისა და სულიერების წინ წამოწევის სასარგებლოდ ჯერ კიდევ ომის დაწყებისას მიღებული გადაწყვეტილებაა. არა თავსმოხვეული უზენაესი ნება, არამედ ამქვეყნიურ და მარადიულ ფასეულობებს შორის ძალდაუტანებლად, ბუნებრივად გაკეთებული არჩევანი. ჩვენი არჩევანი, ვისაც არასდროს განვიხილავს, არც კი დაგვისვამს სოფლიდან გადახვეწის, უფლის სახლისა და მამა ანდრიას დათმობის საკითხი.

— მეეჭვება, სხვა დროს აქედან გაღწევის შესაძლებლობა მოგეცეთ, ზოია...

— მშვიდობით, ვახტანგ!

პაკელიანმა შემოგვხედა, მერე თქვა:

— მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა!

* * *

14 აგვისტოს მამა ანდრიას ორმოცი გადავიხადეთ.

15 აგვისტოს რაფიკ აიბამ გვაცნობა:

— მორჩა, დამთავრდა. ყველანაირი ვადა ამოინურა. რამდენიმე დღეში უნდა გავემგზავრო. თუ ბრძანებას არ შევასრულებ (რის გაკეთებასაც უნებურად მაიძულებთ: კომანიდან ფეხის მოცვლა არ გინდათ, მარტოებს კი ვერ გტოვებთ), დაუმორჩილებლობისთვის სამხედრო ტრიბუნალს გადამცემენ. ორივე შემთხვევაში, ფრონტის სხვა უბანზე გადავალ თუ ღალატის ბრალდებით დამხვრეტენ, შეურაცხყოფა, დამცირება, სიკვდილი არ აგცდებათ. ზოია, საბოლოო პასუხი მჭირდება: მიდიხართ? უარს ვერ მივიღებ. დამთანხმდი. რაკი საკუთარი თავის გარდა შვილიც გაბარია, სიცოცხლე რომც არად გიღირდეს, ვალდებული ხარ, მისი ლირსების დაცვაზე იზრუნო, შვილის გამო დათმო. შეიბრალე. წარმოიდგინე, რა მოელის, როგორც კი შორს დამიგულებენ, როგორც კი გვერდით მფარველი აღარ ეყოლება.

— მისმინე... — წამოიწყო დედამ, მაგრამ რაფიკმა გააწყვეტინა:

— ნუ აჩქარდები. დილამდე იფიქრე, ვითარება კარგად აწონ-დაწონე. გაიაზრე: რა შეიძლება მოჰყვეს უარის თქმას, ხარ თუ არა მზად ნებისმიერი მოსალოდნელი შედეგისთვის, იღებ თუ არა საკუთარ თავზე ყველანაირ პასუხისმგებლობას. ოლონდ გიმეორებ, არ დაივიწყო, რომ სამი ადამიანის ბედი გაქვს გადასაწყვეტი, შენთვის, ჩემთვის, მარიასთვის სასიცოცხლო ან სასიკვდილო განაჩენი გამოგაქვს.

— რაფიკ! — შეკრთა დედა.

— ნახვამდის! დილას დავბრუნდები.



ლიზი ბუდალაშვილი

ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი“

გე ვზივარ ახლა და ვფიქრობ, რამდენად შორს ხარ აქედან.
რთულია...

და ოდესლაც იჯდა თინათინი და ფიქრობდა, თუ რამდე-
ნად შორს იყო ავთანდილი. უჭირდა.

უჭირდა ისე, თითქოს თავად არ გაეშვას.

მე არ გიშვებდი არსად. სიტყვის მჯეროდა. უსიტყვოდაც.

თინათინმა გაუშვა ის. შორს. დიდი დროით.

რატომ დაიტანჯა თავი...

მე არ მინდოდა შენი გაშვება. შენ გინდოდა წასვლა?

ავთანდილს უნდოდა წასვლა? წასვლაც უნდოდა და წაუსვლელობაც.

მე რომ მეთქვა, წახვიდოდი სამი წლით? ის რომ წავიდა? ნუთუ,
არასდროს გინატრია, ავთანდილის ძალა გქონოდა?

მე მახსენდება და ვფიქრობ, რატომ ტიროდა დღეს მეტროში ის
უცნაური გოგო... და სადღაც თინათინს კლავდა ინტერესი უცხო
მოყმის ტირილის მიზეზისა.

უნდა ვთქვათ, რომ არსებობს პარალელები. ყველგან და ყველა დროში.

გახსოვს, მეხუთე კლასში რომ ავთანდილის ანდერძი მოგვცეს საზეპიროდ? როგორ ვიტირეთ სახლში, როგორ გვძულდა. მაგრამ მერე ვითამაშეთ, გახსოვს? შენ ტარიელი იყავი, მე — ნესტან-დარეჯანი. და ვგრძნობდით, როგორ გვიყვარდებოდა ნელ-ნელა „ვეფხისტყაოსანიც“ და ერთმანეთიც.

ქაჯობანას თამაში მიყვარდა ყველაზე მეტად: ციხიდან რომ მიტაცებდით შენ და შენი მეგობრები. გახსოვს, ერთხელ ბეჭედი მოიტანე, ბურბუშელაში ამოგივიდა. ბრჭყვიალებდა და მაჩუქე-მეთქი გითხარი. შენ კიდევ, „მარგალიტი არვის მიჰევდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელადო“, — მითხარი. ბევრი ვიცინეთ მერე ამაზე.

მე ვდგავარ ახლა, სარკეში ვუყურებ საკუთარ თავს და მგონია, მართლა ვგავარ მელიას. მეთანხმები... და ოდესლაც ნესტანი იყურებოდა სარკეში და ალბათ, მართლა ჰგავდა ვეფხვს. ტარიელი ეთანხმებოდა, როგორც ყოველთვის.

მე არ მოგაკვლევინებდი შენ სპარს უფლისწულს. შენ მოკლავდი? ტარიელმა რომ მოკლა? შენ ხომ ყოველთვის გინ-დოდა, ტარიელის ძალა გქონოდა.

კიდევ რა გავიხსენოთ... როსტევანი. გახსოვს, მამაშენს რომ გაეპარე პატარაობაში და წერილი რომ დაუტოვე მა-ცივარზე? მაშინ რა იცოდი, რომ ოდესლაც, როცა ავთანდილი გაეპარა როსტევანს, შენგან ბევრად განსხვავებულად, ანდერძი დაუტოვა.

არსებობს პარალელები.

ასმათზე გიფიქრია? მე მიფიქრია. და ასმათი მიყვარდა ყველაზე მეტად. ქალის ერთგულების სიმბოლო, ჭეშმარიტი ქალი მეგობარი. ბავშვური ახირებები, თორემ მე ასმათი მირჩევნია ნესტანსაც და თინათინსაც. და მაინც უნდა გაგიმ-ხილო, რასაც ამდენ ხანს ვფიქრობდი... მგონია, რომ სადღაც ძალიან სიღრმეში, რომელიღაც კუთხეში, ქალ-ვაჟურად უყვარდა ასმათს ტარიელი. ეს მგონია ამდაგვარი ერთგულების საყრდენი. იქნებ, ძალიანაც ვცდები, რავიცი. შესაძლე-ბელია ყველაფერი.

გახსოვს, ადრე რომ გოგო გიყვარდა და ლექსი დაუნერე?

და ოდესლაც რუსთაველმა საყვარელ ქალს მიუძღვნა პოემა, რომელზეც რვა საუკუნეზე მეტია მსოფლიო საუპრობს.

თლიზაბედ ფირცხალავა



„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის მნიშვნელობა

გ სოფლიოში 5000-ზე მეტი ენაა. აქედან, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნი“, 52 ენაზეა თარგმნილი. რატომ უნდა ითარგნოს „ვეფხისტყაოსნი“?

დღევანდელ სამყაროში, სადაც ადამიანური ღირებულებების დეფიციტია, სადაც ნელ-ნელა ივიწყებენ, რას ნიშნავს სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება, თანასწორობა თუ თანაგანცდა, სწორედ ისეთი ნაწარმოების თარგმნაა აქტუალური და აუცილებელი, როგორიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნია“.

„ვეფხისტყაოსნი“ - ეს არის მეგობრობის და მშვიდობის წიგნი, წიგნი პიროვნულ თავისუფლებაზე, წიგნი, რომელიც იმ ზოგად-საკუცობრიო ღირებულებებს ატარებს, რაც ყველა ერისთვის მნიშვნელოვანია. ეს არის წიგნი ადამიანზე და მის უფლებებზე, ადამიანზე და მის თანასწორობაზე: ფერის, სქესისა თუ სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.

გარდა იმისა, რომ XII საუკუნეში შექმნილი, ქართველთათვის უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი ნაწარმოები ქართული სუ-

ლიერი კულტურის გვირგვინია და საუკუნეების განმავლობაში მას ეყრდნობა ჩვენი კულტურა, ისტორიული ყოფა და ცხოვრება, „ვეფხისტყაოსანი“ ამასთანავე მსოფლიო ლიტერატურის შედევრიცაა.

ამდენად გასაკვირი არაა, მისით უცხოელების დაინტერესებაც.

პოემის თარგმანების ათვლა 1802 წლიდან იწყება, მაშინ, როცა რუსულად ითარგმნა და გამოქვეყნდა მისი პირველი სტროფის ბნეარედი - სიტყვა-სიტყვით თარგმანი (მთარგმნელი ევგენი ბოლხოვიტინოვი). ამავე, 19-ე საუკუნეში პოემა კიდევ რამდენჯერმე თარგმნეს, მათ შორის, ისევ რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და სომხურ ენებზე.

20-ე საუკუნეში ამას დაემატა ინგლისურ, ესტონურ, უნგრულ, რუმინულ, ბულგარულ, პორტუგალიურ, იტალიურ, გერმანულ, იაპონურ, ჩინურ, უკრაინულ და სხვა ენებზე შესრულებული თარგმანები.

იმის გამო, რომ პოემა ძალიან რთული სათარგმნია, უმეტესად გამოიცემოდა ნაწყვეტები და პროზაული თარგმანები.

პირველი ინგლისურენოვანი პროზაული თარგმანიც მარჯორი უორდროპისეულია, რომელიც მკვლევართა შეფასებით, საუკეთესოდ ითვლება. დღეს ამ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ოთხი თარგმანი გვაქვს.

რა თქმა უნდა, პროზაულად ან ბნეარედებით თარგმნილ პოეტურ ნაწარმოებში იკარგება მისი მუსიკა, რითმა, რიტმი, ინტონაცია, ლექსთწყობა და ა.შ. მაგრამ რჩება შინაარსი, ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები, ზოგადსაკაცობრიო აფორიზმები, რითიც ასე მდიდარია „ვეფხისტყაოსანი“. ამდენად, მისი თარგმნა, თუნდაც პროზაულად და თუნდაც ბნეარედებით, მაინც ძალიან მნიშვნელოვანია.

2016 წელი იუნესკომ „ვეფხისტყაოსნის“ წლად გამოაცხადა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ქართული კულტურის გამარჯვებაა, მისი მნიშვნელოვანი მონაპოვარი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო აღიარება.

ძალიან სასიხარულოა, რომ 12-ე საუკუნეში დაწერილი პოემა, ჩვენი დიდი საგანძური, დღემდე ინტერესს იწვევს უცხოები.

ამაზე ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი თარგმანები და გამოცემებიც მიუთითებს.

2013 წელს პოემა გამოიცა დიდ ბრიტანეთში (მარჯორი უორდროპისეული პროზაული თარგმანი);

ამავე წელს გამოიცა საფრანგეთში (სერგი წულაძისეული პოეტური თარგმანი);

2014 წელს გერმანიაში გამოიცა გერმანულენოვანი სასაჩუქრე „ვეფხისტყაოსანი“;

2015 წელს დიდ ბრიტანეთში ინგლისურად გამოიცა ახალი პოეტური თარგმანი (მთარგმნელი ლინ კოფინი);

2016 წელს რუმინეთში გამოიცა (მეორე გამოცემა, რუმინული პოეტური თარგმანი, მთარგმნელი ვიქტორ კერნბახი);

ამავე წელს კორეაში გამოიცა პირველი კორეული, პოეტური თარგმანი (მთარგმნელი ჩო ჯუ კვანი).

ახლა ძალიან ხშირად გამოიცემა მსოფლიო კლასიკის ნიმუშების ადაპტირებული ვერსიები და მათი თარგმანები მოზარდთათვის. რა თქმა უნდა, ამ ვერსიებსა და თარგმანებში ნაწარმოების სიდიადე იყარგება, მაგრამ რჩება მისი არსი. ვფიქრობ, რომ ამ პროცესს „ვეფხისტყაოსანიც“ უნდა შეუერთდეს, ეს ხელს შეუწყობს არამარტო პოემის, არა-მედ ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას ახალ თაობაში.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების თარგმნა, ზოგადად, მხოლოდ ლიტერატურული პროცესი არაა, ეს არის სხვადასხვა ერის კულტურათა ურთიერთობა და ქევეყანათა დაახლოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა.

სწორედ „ვეფხისტყაოსანს“ შეუძლია გააცნოს მსოფლიოს, თუ რა ისტორიული, კულტურული ღირებულებებისა და ფასეულობის მატარებლები ვართ ჯერ კიდევ 12-ე საუკუნიდან.

სწორედ „ვეფხისტყაოსანს“ შეუძლია იყოს ჩვენი ქვეყნის დესპანი, კეთილი ნების ელჩი სხვა ქვეყნებში.

„ვეფხისტყაოსანს“ შეუძლია დაგვაფიქროს იმაზე, რომ სამყაროს ძალადობა და სხვისი უფლებების უგულველყოფა კი არა, სიყვარული, ერთგულება, თანაგანცდა, მეგობრობა გადაარჩენს.

და კიდევ: ჩვენ ძალიან გვახარებს ყველაფერი, რაც უცხოეთში შოთა რუსთაველის სახელს უკვდავყოფს. მაგალითად, გვახარებს, რომ რომის ერთ-ერთ უდიდეს პარკში, მსოფლიო კლასიკოსების მონუმენტებს შორის შოთა რუსთაველის ბიუსტიც დგას, მაგრამ უფრო საამაყო იქნება, თუ ჩვენი ქვეყნის სტუმრებს აქ ჩამოსვლისას მის მუზეუმს დავახვედრებთ, სადაც სხვა ისტორიულ მასალასთან ერთად გამოფენილი იქნება „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი და ყველა გამოცემა.

ეს მუზეუმი ხელს შეუწყობს არამარტო შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“, არამედ ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას.

ეს იქნება იმის მანიშნებელი, თუ რა ღირებულებებით ხელმძღვანელობს და რა კურსის მატარებელია ჩვენი სახელმწიფო.

სოფიო ჯალიძე

„ვეფხისტყაოსანი“ ჩემთვის და ჩემი თანატოლებისათვის

გეყვარებული ვარ? არა, ნამდვილად არა, იმიტომ რომ ჯერ პატარა ვარ, იმიტომ რომ არ ვარ მზად სიყვარულისთვის, იმიტომ რომ კრიტიკული თვალით ვუყურებ ჩემს თანატოლ ბიჭებს და უფროსებსაც, განსჯის საბაბი კი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა“ მომცა, რომელიც წელს ვისწავლეთ სკოლაში. სულ სხვა თვალით შევხედე ყველას და ყველაფერს და, ნუ გაგიკვირდებათ, ბევრი შეკითხვაც გამიჩნდა. დღეს, როცა გაძლიერდა ურთიერთკავშირი მსოფლიოს ყველა კუთხეს შორის, საკომუნიკაციო საშუალებები დაიხვენა და გაფართოვდა მათი ხელმისაწვდომობის არეალი, შეიცვალა ჩვენი მენტალიტეტი, როგორი უნდა იყოს ჩვენთვის მიჯნური, ვის უნდა ჰგავდეს იგი, „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს, ავთანდილსა და ტარიელს, მიგელ დე სერვანტესის დონ კიხოტს, ქარის ნისქვილებთან მეომარ მოხეტიალე რაინდს, დუღსინეაზე, არარეალურ ქალზე შეყვარებულს თუ ფიზიკურად ძლიერ, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ რემბოს (გმირს იმავე სახელწოდების კინოფილმიდან), რომელიც მიზნის მისაღწევად ყველაფერს ანადგურებს თავის გზაზე?! პირადად ჩემთვის იდეალური



მამაკაცი "ვეფხისტყაოსნის" გმირი ავთანდილია, მშვიდი და გაწონასწორებული, მასში თანაბრად არის შერწყმული გარეგნული და სულიერი სილამაზე, მაგრამ რა კრიტერიუმებს უნდა ვაკმაყოფილებდეთ ჩვენ, ქალები, რისკენ უნდა ვისწრაფოდეთ? დღეს ქალისა და მამაკაცის იდეალური წყვილი ასე გამოიყურება: მამაკაცი დაკუნთული სხეულით და ქალი, მშვენიერი მერლინ მონროს მიერ განსახიერებული გმირი, ერთი კინოფილმიდან, მუდამ მომლიმარი და ოდნავ მოსულებლო. აქედან გამომდინარე, რა მიზნებს გვისახავს თანამედროვეობა? მე სრულყოფილ ქალთა შორის დავა-სახელებდი "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟს, წყნარსა და ზრდილ თინათინს, რომელსაც მამის ტახტზე დასაჯდომად თავი არ ეღირსებოდა. იგი თავმდაბლობის და კეთიშობილების სიმბოლოა, გამორჩეული სიბრძნით და სილამაზით. ვართ კი ჩვენ ასეთები, ჩვენი თაობის გოგონები? სვირინგებიანი, ლურჯად, ვარდისფრად, მწვანედ თმაშელებილი, მოკლეკაბი-ანი, ბილნი სიტყვებით მოსაუბრე მოზარდები. მართალია, ყველა ასეთი არ არის, ზოგი ზრდილიცაა და თავმდაბალიც, მაგრამ მაინც ჩვენი შეხედულებები ბევრად განსხვავდება მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრებთა შეხედულებისაგან, ამიტომაც მებადება კითხვა: არიან და უნდა იყვნენ თუ არა ჩვენთვის იდეალები "ვეფხისტყაოსნის" გმირი ქალები: თინათინი, ნესტან-დარეჯანი, ასმათი?!

მიუხედავად ჩვენ შორის დიდი გარეგნული თუ მენტალური განსხვავებებისა, ჩემი აზრით, მაინც ბევრი საერთოა ჩვენ შორის. ჩვენც პატივს ვცემთ მშობლებს, უფროსებს, როგორც თინათინი, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, დიდებს ასე არ ჰგონიათ, რადგან სიყვარულს სხვაგვარად გამოვხატავთ. ამავე დროს ერთგულებაც შეგვიძლია, როგორც ასმათს და ალბათ, თავსაც გავწირავთ მეგობრისთვის. თუმცა ჩვენში ნესტან-დარეჯანის მეამბოხე სული უფრო ცხოვრობს, ვიდრე სხვა პერსონაჟისა, რომელმაც გაილაშერა უსამართლობის წინააღმდეგ, მას არაფერი ჰყითხეს, ისე ათხოვებდნენ უცნობ უფლისნულზე, ჩვენი იდეალებისთვის ჩვენც დავუპირისპირდებით სამყაროს, ვიბრძოლებთ, წინააღმდევობას გავუნევთ ყველას და ყველაფერს, თუმცა ჩვენს ასაკში ჯერ არ გვაქვს გაცნობიერებული, რისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

გვეუბნებიან, უცხოეთისკენ გიჭირავთ თვალები, პატრიოტები არა ხართო. რომ გვეკონდეს პატრიოტიზმი და გვიყ-ვარდეს სამშობლო, უნდა ვიცოდეთ, რა არის სამშობლოს სიყვარული და რითი უნდა გამოვხატოთ ის რა თქმა უნდა, სკოლაში გვასწავლიან პატრიოტულ ნაწარმოებებს, ლექსებს, მოთხოვობებს, ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეული ნეს-ტან-დარეჯანი ტარიელს სთხოვს, დაბრუნდეს თავის ქვეყანაში და მტრისაგან შევიწროებული ინდოეთი გაათავისუ-ფლოს. დღეს სამშობლოსათვის თავგანწირვა თითქოსდა არამოდურია, დღევანდელი სულისკვეთება სულ სხვაა. მა-შინ როდესაც თინათინი ავთანდილს მოუწოდებს საყვარელს საგმირო საქმეები უჩვენოს, ჩვენ არც კი ვიცით, რისკენ მოვუწოდოთ საყვარელ ადამიანებს, იმისკენ ხომ არა, რომ წარმატებული ადამიანის კარიერა გაიკეთოს, რაშიც მატე-რიალური კეთილდღეობა იგულისხმება?! მავანი გვეტყვის, რა ვქნათ, ეპოქა მოითხოვს ამასო თუ საზოგადოებამ დაკარ-გა ის დირებულებები, რომელზეც დგას "ვეფხისტყაოსანი"?! სამწუხაროა, რომ ჭკვიანი და განათლებული ადამიანები დღეს, ხშირ შემთხვევაში, წარმატებას ვერ აღწევენ, რაც სტიმულს უკარგავს ახალგაზრდებს და ისინი თავის გამოჩე-ნის სხვა გზებს ეძებენ. ამიტომაც წინააღმდევობაში ვვარდებით და გვებადება კითხვა, რა საქმის კეთებისკენ უნდა მოვუწოდოთ "საყვარლებს"? ეპოქა სხვა არის და ის სხვა გმირობას მოითხოვსო, გაგვიმეორებენ, მაგრამ მახსენდება

ილიას სიტყვები, რომ დღეს ხმლის ქნევით კი არ უნდა გამოვიჩინოთ თავი, არამედ ცოდნით და განათლებით. დიახ, შეიძლება დღეს, ატომის ეპოქაში, ხმლის ქნევა არ გვჭირდება და ამით ვერც ვერაფერს მივაღწევთ. მაგრამ ჩვენი მოვალეობაა პატივი ვცეთ სწავლულებს, მათი ცოდნა გამოვიყენოთ, რათა ქვეყანას დავეხმაროთ, ცხოვრება გავუადვილოთ მშრომელ, მაშვრალ კაცს. „მიეცით ნიჭა გზა ფართო, თაყვანისცემა-ლირსებას,“ - უთვამთ ჩვენს დიდ წინაპრებს და ჩვენც, სწორედ ამ ვარსკვლავს უნდა მივდიოთ. აი, რა უნდა იყოს ჩვენი საზრუნავი. დიდი შოთა გვასწავლის, იმისთვის ვსწავლობთ, რომ დავემორჩილოთ მსოფლიო წესრიგს და მართალი გზით გავაგრძელოთ ქვეყნად ცხოვრება. ”მით ვის-ნავლებით, მოვვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“ . ცოდნა და განათლება, აი, რა არის ქვეყნის გადარჩენის გზა, იდეალური ქალი და მამაკაცი კი ის არის, ვინც სამშობლოს კეთილდღეობისთვის იბრძვის, რა პროფესიისაც არ უნდა იყოს იგი: ჯარისკაცი თუ მუშა, მეცნიერი თუ მფრინავი, მებალე თუ მხატვარი, მთავარია, თავისი საქმის ოსტატი იყოს.

”ვეფხისტყაოსანში“ მატერიალური კეთილდღეობა მეორე პლანზე დგას, ავთანდილი ყოველგვარი სინანულის გარეშე ტოვებს უთვალავ სიმდიდრესა და ქონებას და მეგობრის დასახმარებლად მიეშურება, მისი გაცემა და ღარიბები-სთვის დარიგება მისთვის გზაა სამოთხეში მოსახვედრად. ტარიელიც ყოველგვარ პატივზე ამბობს უარს და საყვარელი ქალის გადარჩენას ცდილობს. ფრიდონი მეფეა, მაგრამ უზომოდ უყვარს ხალხს, რადგან ის სამეფოს მაცხოვრებელთა კეთილდღეობაზე ზრუნავს, ამიტომაც არის მისი ქვეყანა პატარა, მაგრამ მდიდარი და სავსე. ის თითქოს მომავალი საქართველოს მაკეტია. ასევე თინათინი არ დაინახებს თავის საუფლისნულო მზითევს და გასცემს უანგარიშოდ.

ერთგულება, სიყვარული, მეგობრობა ვეფხისტყაოსნის გმირებისათვის ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე მატერიალური კეთილდღეობა, სიმდიდრე, დღეს კი, როგორც ვხედავთ, პირიქითაა, და ახალგაზრდა თაობაში კი არ უნდა ვეძებოთ დამნაშავე, როგორც ამას ხალხის გარკვეული ნაწილი ცდილობს, არამედ საზოგადოებაში, რომელმაც სულ სხვა ღირებულებებზე გააკეთა აქცენტი. შოთა რუსთაველმა ”ვეფხისტყაოსანში“ დაგვიხატა თითქმის იდეალური სამყარო, სადაც პატივს სცემენ უფროსებს, მშობლებს, მეფე ზრუნავს ქვეშევრდომებზე და მათ თავის ტოლად მიიჩნევს, მიუხედავად ქონებრივი და სოციალური უთანასწორობისა, მდიდარი ღარიბება და ცდილობს მდგომარეობა შეუმსუბუქოს, აგებს ხიდებს, თავშესაფრებს. არ ვიცი, იყო თუ არა მაშინდელ საქართველოში ასეთი ვითარება, მაგრამ ჩანს, რომ ავტორი სწორედ ამ იდეებს უქადაგებდა თანამედროვეებს და მომავალ თაობებსაც, იდეებს, რომლებსაც ფრანგი განმანათლებლები — დიდრო, ვოლტერი ევროპაში მხოლოდ მე-18 საუკუნეში ქადაგებდნენ და ავრცელებდნენ, პიროვნული თავისუფლების, თანასწორობის შესახებ. ამიტომ ჩვენ ჩვენი გადარჩენის გზები და ყველა კითხვაზე პასუხი შოთა რუსთაველის ”ვეფხისტყაოსანში“ უნდა ვეძებოთ. სწორედ მასში ვხედავთ, როგორ უხვად დასაჩუქრდება ასმათი ერთგულებისა და თავგანწირვისათვის, მას ინდოეთის ერთ-ერთი სამეფო უბოძეს, ამით ავტორმა გვანახა, რომ კეთილი საქმეები არ უნდა რჩებოდეს დაუნახავი და დაუფასებელი, რათა სხვებმაც მიბაძონ მათ.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობა აქტუალური თემაა, ”ვეფხისტყაოსანში“. ”ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ გვეუბნება, რომ ქალი ისეთივე პატივცემულია, როგორც მამაკაცი, მას შესტრფიან, კრძალვითა და რიდით ექცევიან, მისთვის თავს წირავენ. ასეთ სიყვარულს დღეს იშვიათად თუ შეხვდებით, ჩვენ კი სწორედ ასეთ სამყაროში გვინდა ცხოვრება და მისკენ უნდა ვისწრაფოდეთ ყველანი.



თოვლის მაფე

უთოვლოდ შემცივდება...
და ვტუქსავ თებერვალს.
მე თოვლის ხელმწიფე ვარ.
მე თოვლის მეფე ვარ.

ვგრძნობ გულის ნაპრალებთან
ფიფქების წამწამებს...
რაც გინდათ მაბრალეთ და
რაც გინდათ დამსწამეთ! -

არ მინდა თავანები -
გზა გულის შეხუთვის...
თოვლს არავის დავანებებს,
თოვლილა მეკუთვნის.

თუმც ელის აორთქლება -
მკვდარ ხსოვნებს ამთელებს.
სულიერ აორტებად
მივიჩნევ ფანტელებს...

სიამე მეცოტავა,
სიმწარე მებევრა...
იცოდეთ მე ცოდვა ვარ! -
მე თოვლის მეფე ვარ.

თოვლს ვიცავ თავდადებით -
ძმა ყველა ფანტელის
და სადაც დაგმთავრდები,
დაწყებაც მანდ მელის.

ვსვამ ღმერთის ღვინოსავით
ყვავილებს ჭერმისას...
და დროის დინოზავრი
ვერაფერს ვერ მიზამს

მე - თოვლის ქამანჩიანს,
სიშიშვლით შეფუთვნილს.

სხვა რაღა გამაჩნია,
თოვლილა მექუთვნის...

მე თოვლის რიკულების
სპექტაკლებს ვესწრები,
თოვლიდან მიყურებენ
კოსმოსის ფრესკები...

თოვლია პროცესია
გარდაცვლილ მიწების,
მე თოვლის კოცონზე ვარ
და ტკბილად ვიწვები.

მე მჭუჭნის უთოვლობა,
დარდებით დარაზმულს
და თოვლით ვუთოვდები,
უთოვლოდ არა მსურს

არც ტანჯვის შემცირება,
არც სულის შებერვა...
მე თოვლის ხელმწიფე ვარ!
მე თოვლის მეფე ვარ!

როინ აპუსელიძე



ჩ ვ ა ნ ე ბ უ რ ე ბ ი

ეძღვნება ტაო-კლარჯეთში მყოფ ქართველებს

- კიდევ ერთხელ მიამბე,
გურჯისტანზე,¹ ეფენდი,²
რატომ მღერის ყარდაში³
ცრემლიანად „ჯილველოს“?
გუშინ შეღამებამდინ,
ჭოროხთან რომ გევედი,
ტაიას⁴ ხმა გევგონე, -
აგზენ⁵ ბავშვებს ჰყიდდნენო.

ყოველ დილით ბაბაი,⁶
რატომ გასცექერს ჩრდილოეთს?
რატომ ახლავს ამ სურათს
ნენეს⁷ ცრემლი ალალი?
ანდაც ყველა სალამოს,
მაინც რომც არ გინდოდეს,

„სულიკოს“ რომ მდერობენ,
რატომ მბურძგლავს ბალანი?

გურჯისტანი შორსაა?
იქ რატომ არ ვბრუნდებით?
ფეხით ჩავალთ იქამდის?
მომიყევი, ეფენდი,
რატომ არ დამასწავლი?
ასე რატომ ჩუმდები?
ნეტა გზები ვიცოდე,
მარტოც მოვაფერებდი.

დავიბენი ეფენდი,
ვინ ვართ? - ან ვინ ვიყავით?

მოდი დღესვე წავიდეთ,
იქნებ კიდეც გველიან,
ბავშვობაში ემიას⁸

გორასთან რომ მივყავდი,
მებნეოდა - გახსოვდეს -
ამის მიღმა ჩვენია...

კიდევ ერთხელ მიამბე,
გურჯისტანზე ეფენდი, -
ისევ იმეორებდა
ბიჭი ტაო-კლარჯელი
და უსმენდა უსიტყვოდ,
ცრემლიანი თვალებით,
თურქ ეფენდის სამოსში,
ოთხმოცი წლის - ქართველი...

1. გურჯისტანი - სპარსელები, ოსმალები, - ქართველებს „გურჯებს“, ეძახდნენ, რაც ქართულად „მგელს“ ნიშნავს, მათ ქვეყანას კი - „გურჯისტანს“, ანუ „მგლების ქვეყანას“, შესაბამისად, ფერეიდანში და ტაო-კლარჯეთში მყოფი ქართველებიც, ასე მოიხსენიებენ საქართველოს.

2. ეფენდი - მამაკაცისადმი ზრდილობიანი მიმართვის ფორმა - „ბატონო“.

3. ყარდაში - ძმა

4. ტაია - ბიძა (დედის ძმა)

5. აგზენ - აქ, ამ ადგილას

6. ბაბა - მამა

7. ნენე - დედა

8. ემია - ბიძა (მამის ძმა)

განრი დოლიძე



თოვლის თარგმანი

ფანჯარა, ჩემი კედლის გაზეთი
მესამე დღეა მაკითხებს ზამთარს.
და რაც დრო გადის როგორც ასეთი,
ვერ გიყოფ ისევ საკუთარ თავთან,
მცივა, ფიქებით ისე მევსები,
რომ ვახარისხებ ტკივილებს ძნებად,
და შენს თვალებში ჩემი ლექსები
მარტის თოვლივით ნაკლებად დნება,
და რაც დრო გადის, კოცნების წყურვილს
უფრო ნაკლები ცეცხლი ედება,
და ალარ სკდება ლექსების ჭურვი,
შენი გულწრფელი ცრემლის წვეთებად,
ალაგებ ჩემი სულის განჯინას,
და ლექსის ნაცვლად ცარიელ გვერდებს,
კეცავ და აწყობ როგორც განაჩენს,
უსათაურო დღეების გვერდით,
გარეთ კი თოვა ვეღარ აჯაზებს,
არ ესინჯება ამინდსაც პულსი,
და ლექსი მიდევს თოვლის მაჯაზე,
და თოვლი მადევს დარღივით გულზე,
და მაინც ვკემსაც ლამის მაქმანით,
რიგითი ზამთრის რიგით კვირის დღეს,
რომ გისახსოვრო თოვლის თარგმანი -
ამ წლის პირველი კოცნის გვირისტი.

ნინო საღლოგალაშვილი

ზღაპარი ფაჯრიდან
დანახულ ხევზე

ჩემო შვილო,
კარგად მოკალათდი მაგ სკაფანდრში,
ზღაპარი უნდა გიამბო
ფანჯრიდან დანახულ ხეებზე.
შენ საიდან უნდა იცოდე,
იყო ეგეთი ფანჯრები,
საიდანაც ხეები ჩანდა,
და იყო ხეებიც,
რომლებიც გვიგზავნიდნენ
პირველ შეტყობინებებს
ამინდის, ღრუბლების,
წელიწადის დროთა შესახებ...
შენ უკვე დიდი ხარ და
ეს ცათამბჯენი გაპატარავებს,
ამიტომ მე შემიძლია ერთდროულად
დიდების ზღაპარიც მოგიყვე და
პატარებისაც,
რა კარგია ცათამბჯენები,
რა დიდებული ჩანაფიქრია —



იცხოვრო ღრუბლებზე მაღლა და
სულ ერთი იყოს, დიდი ხარ თუ
პატარა ბავშვი,
რადგან რაც უფრო მაღლა მიინევ,
მით უფრო აღარ ხარ,
არ ჩანხარ,
სიმაღლე მაისის თოვლივით
გაქრობს,
ჰოდა მე გიამბობ ზლაპარს
ხეებზე,
რომლებიც ცათამბჯენებამდე ვერ
გაიზარდნენ.
მათ ჰქონდათ მკვრივი მკლავები,
და როდესაც ამ მკლავებს შლიდნენ,
სამყაროში რაღაც ხდებოდა,
თითო ფოთლის ზედაპირზე
თითო ტალღას იქოჩიდა
ლურჯი ნიავი
და ჩვენს თავზე
სულ ზვირთებად გადადიოდა,
ქალაქის ბოლოს გაისმოდა
ქალაქის თავში მომლერალი
რომელიმე ჭადარი, ალვა,
ჩიტებსაც ჰქონდათ წაურთმევლად
თავშესაფარი,
ძალებსაც — ჩრდილი
განა მარტო უკუღმართი წესებისათვის!..

ბევრნი იყვნენ, მაგრამ ყველას მაინც
თავისი სახელი ერქვა,
გაარჩევდი ფერით, ზნით და
კიდევ იმით —
რომლის მუჭში უფრო
უხვად მოთოვდა ხოლმე,
რომელთან უფრო დიდხანს
დარჩებოდა თოვლის სტუმარი,
რომ მათი მსუყე ნასუფრალით
გემრიელად გული გვეჯერა!..
შენ საიდან უნდა იცოდე —
ამ ხეების ძირში პოეტებიც ცხოვრობდნენ ადრე,
იყო ეგეთი ძველი კასტა
სევდიანი დინოზავრების,
და მათ მთვრალ და აბდაუბდა
ნაფეხურებს
შინისაკენ სულ ხეები მიაცილებდნენ...
ხანდახან ვინმე მხარზე
თოფს თუ გადმოიღებდა
რომ თავისი აჩრდილისთვის
დაეხალა და დაესვენა,
ეს ხეები შეუშვერდნენ ხოლმე
გულ-მუცელს,
რადგან ხეებმა აჩრდილების ფასიც იცოდნენ!..
ციდან ვიღაც დასცქეროდათ
იმედის თვალით და
თეთრ სხივებს სიზმებივით

ტოტზე ჰკიდებდა...
ვიღაცაზე გამახსენდა
და კიდევ ცაზე —
შენ არ იფიქრო, რომ
რაიმე გაკლია, კარგავ,
მშვიდად ისუნთქე მაგ სკაფანდრში და
ცათამბჯენთან ერთად აიწიე
უფრო ზევითკენ,
რადგან ჩვენი ერთადერთი მოძრაობა
მაინც ასვლაა,
რადგან, რაც უკვე ზევით დაიძრა,
ვეღარაფერი გააჩერებს,
შენ შეგიძლია,
მაგ უთვალავი სართულიდან

გადმოიხედო
და დატკბე იმით, რომ
არც დიდი ხარ და არც პატარა,
რომ არც კი ჩანხარ და
ცოტაც და,
ცაში ღმერთებს მიუკაუნებ!
დედა გიამბობს ზღაპრებს
ხეებზე,
სხვა ზღაპრებსაც გიამბობს დედა,
რადგან ესაც დედის წესია —
ზღაპრებით მაინც გააადვილოს
როცა რაღაც რთულადაა,
რთულად და ძნელად...

მანანა ჩიტიშვილი



ლექსეპის ციცლი

„დღუწეული კონზონის“

ქსნის ხეობაში

ამ ხეობამ,
მხრებით ცას რომ ელტვის
ან ამ მიწამ,
სისხლით რომ ჰგავს ნაბანს,
მამულს
რაღა უნდა მისცეს მეტი,
შალვასი და
ელიზბარის გარდა.
სამუხრანო...
მე გზას ლარგვისს მივდევ,
შორს ჩანს
ქსნის პირს დაფრენილი მტრედი...
სჯულს და რწმენას
რაღა მისცეს კიდევ,
მკერდდაშანთულ
ქეთევანის მეტი...

აღარც ის საქართველო

მთები რომ ჯანდმა მინისლა,
მტერმა სავალი დალახა,
„ვაჟკაცსო გული რკინისა“ –
შენ ის ვაჟკაცი არა ხარ.

მკლავი, ცხენ-კაცის მკვეთელი,
მუხრანს სძრავს ქვიშას ნამიანს,
მახვილი, რკინის მკვნეტელი,
დრო და უამს შეუჭამია.

თუმც ჯიხვთ ხორონი კმა იყო,
ვეფხვს შეულენა ნაწოლი,

იმ მოყმის გული სხვა იყო,
სხვა ძუძუ ჰქონდა ნაწოვი.

ცად ქართველთ სისხლი აშეფდა,
წინამურს მოსკდა ბალახად,
წაგებულ ომში არ შეხვალ,
შენ ის ქართველი არა ხარ.

თითქოს კვლავ ის მთა-ველია,
წყლის პირს იგივე ლელები,
აღარც ის საქართველოა,
აღარც ის არაგველები.

გამოვიდვიძეთ

დღეს კარზე გვიდგას შავი ავდარი,
არც „ოროველა“ ისმის მეგუთნის
და მინა, ქართულ სისხლით დამბალი,
მოძალადეს და უცხოს ეკუთვნის.

არ წავა უამი ასე ბინდებად
და უკანასკნელ სუნთქვით ვიფიცებთ, -
რომ საქართველო თუ გაბრწყინდება,
ჩვენ ყველა ერთად გამოვიდვიძებთ.

პირველად შატილში

კალმახი ფეთქავს, როგორც ლალუმი,
ეს წყალია, თუ საღმრთო მირონი,
მთების სისხლივით მოჩქეფს არღუნი
და ჩემს ძარღვებში ურჟოლად მიმოდის.

რა გოროზი და რა უეცარი,
აქ, ამ კოშკებთან უამი ბერდება
და ქარი, როგორც ქისტი მუცალი,
ღრუბლების რემას მიერეკება.

3 ყიდვი მაგულის სიყვარულს

სიზმრად რომ მაინც მანახა
ნესტანის რიდე-ამბარჩა,
ვყიდი მამულის სიყვარულს,
მაგრამ მყიდველი არა ჩანს.

რა უამური დრო გვიდგას,
ერთობის ამომბზარავი,
ქსნის ერისთავთა სისხლს ვყიდი,
თუმცა მყიდველი არ არი.

რამდენი მტერი გვესევა,
როგორც კალია-სარანჩა,
ხმლებს ვყიდი არაგველების,
მყიდველი მაინც არა ჩანს.

ვყიდი „მერანს“ და „ბახტრიონს“,
ჯავარ-სინაზეს თამარის,
„დავითიანს“ და „განთიადს“,
მყიდველი ისევ არ არი.

არც შენი საზი მინდა და
არც სხვისი ზურნა-ქამანჩა,
ჩემი მამულის ჯავრს ვყიდი,
თუმცა მყიდველი არა ჩანს.

თუ რამ მაქვს, გითმობთ, წაილეთ,
მე დავრჩე დარდის ამარი,
ვყიდი მამულის სიყვარულს,
მაგრამ მყიდველი არ არი.

პოეზია

შორს ცისკარი აღმოხდება გამთენია,
გაანათებს ცის თაღებს და მერიდიანს,
ლექსი თავად სიყვარულის სანთელია,
პოეზია - მარტოობის რელიგია.

ალიონზე ზარებს რეკავს ზეცის მნათე
ტოროლა და შეაფხიზლებს მდუმარ მუხებს,
ლექსი, უფლის უბეში რომ დამეს ათევს,
დრო მოვა და სამუმივით დაიქუხებს.

ზოგჯერ უნდა სიყვარულით გაგვაბრუოს,
გვნახოს, მიჯნურთ რა სიმძაფრით გული გვიცემს,
ნალდი ლექსი დამდორებულ წყალს ვერ ჰგუობს,
ჭეშმარიტ ლექსს გულის სისხლი უნდა მისცე.

ხან მშვიდია, ეფერება ტანთეთრ ვერხვებს,
ხან სურნელობს, ვით ქათქათა მაგნოლია,
გოლგოთაზეც ასულია არაერთხელ,
ეშაფოტზეც მრავალ ჩვენგანს აპყოლია.

ის ყოველთვის გაგლეჯილი მღერის გულით,
უფლის ცრემლი ცის ნამივით დასდენია...
რამდენია იუდასგან გაყიდული,
მარტოობით შეშლილებიც რამდენია.

მან არ იცის დროისა და სივრცის ცნება,
სხვა სიბრძნე და გრძნების ძალა მისცა ღმერთმა...
პოეზიაშ ორი დიდი საოცრება -
სიცოცხლე და სიყვარული შეაერთა.

თუ მსახურებ, უნდა გული მისცე სრულად,
სიტყბოც ბევრი, ტანჯვაც მრავლად მოძალდება,
ავდგეთ ფეხზე, მივეგებოთ ლირსეულად,
დედოფალი -
პოეზია მოპრძანდება!

აღმომხდარა შორს ცისკარი გამთენია,
კვლავ ანათებს ცის თაღებს და მერიდიანს,
ლექსი თავად სიყვარულის სანთელია,
პოეზია - მარტოობის რელიგია.

ჩვენ რომ მამული გვემდეა და...

მგონია, სიზმრად მოგვლანდდა,
დრომ ისე სწრაფად მოლია,
ჩვენ რომ მამული გვქონდა და...
ჩვენ რომ მეფენი გვყოლია...

ძლივსლა მეხსნება ბაგე და
უცხო დგას ცხმორთან, ჰერეთთან,
ჩვენ რომ ციხენი ვაგეთ და...
ჩვენ რომ წიგნები ვწერეთა...

ლომ-ვეფხვნი გვყავდა მორბედად,
ცხრა მხრით მოგვქონდა ალაფი,
ჩვენ ამირანიც ვშობეთ და
მერმე ჯაჭვებით დავაბით.

დრო, სისხლით მიმონამული,
იცვალა, რადლა, გულო, სცემ,
ამირანიც და მამულიც
ყვავ-ყორანს გადავულოცეთ.

ზურგში მახვილი ვადამდე,
ფხიზლად არც ერის გონია,
„ნიკოფისით დარუბანდამდე“ -
ზოგჯერ ზღაპარი მგონია.

იქნება მართლა მოგვლანდდა,
დრომ ასე როგორ მოლია,
ჩვენ რომ მამული გვქონდა და...
ჩვენ რომ მეფენი გვყოლია...

გმადლობთ, მაუჯვე

ნიქოზისა და ცხინვალის
მიტროპოლიტს, ისაია ჭანტურიას

გშვენით მამულზე ფიქრით ზეობა,
მტირალ სულს შვების კალთას აფარებთ,
გმადლობთ, მეუფევ, ჯვარცმულ ხეობას
ქრისტეს აღდგომა რომ მიახარეთ.

თვალებზე ცრემლის მწარე აკიდო,
ბაგე რა ხნიდან ლიმმა დატოვა,
ჩვენგან დათმობილ სახლს და სამკვიდროს
თქვენ გამოუჩნდით მწედ და პატრონად.

ქსნის ძველ ციხეებს გრიგალი თოფავს
და ცივი წვიმა იგლოვს ამ გორებს,
მეუფევ, ქსანზე დღე თქვენი ყოფნა
ყარაყორუმში ყოფნას მაგონებს.

ქარი, თითქოსდა ქვრივი ვინმეა,
ცივ საფლავებთან იმგვარად ოხრავს,

ჯაჭვის პერანგზე უფრო მძიმეა
თქვენი უბრალო ბერული ჩოხა.

სულს თქვენსას ვერამ დაატყო ბზარი,
უფლის თვალივით დაგყურებს ზეცა,
დიდო მეუფევ, ეგ წმინდა ჯვარი
მამულის დამცველ მახვილად გექცათ.

ყრუ ნასოფლარებს სიბწელე დამზერს,
მზეც კი ვერ ათბობს სხივით ამოთი,
მგონია, ყველა ყვავილი ქსანზე
ღვთისმშობლის მბრნყინავ ცრემლზე ამოდის.

გშვენით მამულზე ფიქრით ზეობა,
მტირალ სულს შვების კალთას აფარებთ,
გმადლობთ, მეუფევ, ჯვარცმულ ხეობას
ქრისტეს აღდგომა რომ მიახარეთ.

ვერც რა ტკივილები აგაცილე,
ვერც ავის მოსურნე შევამცირე,
მტერს რომ შენს მამულში გააცინებ,
ეგეთი სიცოცხლე შევარცხვინე.

სამკვიდრო თუ სისხლით დაგიცალეს,
არც ძე, არც ასული შეგარჩინეს,
ამ დროს თუ ლოგინში გარდიცვალე,
ეგეთი სიკვდილიც შევარცხვინე.

თუმცა დღეის დღე
აღარ მიხარის,
სხვა დარდი ღელავს
გულში ლელებად -
ცაო, მაღალო,
ოღონდ მითხარი,
ხვალ მამულს ჩვენსას
თუ ეშველება.
ხომ ვუძლებ
მკერდში მოვარდნილ ალმურს,
ოღონდ სამზეოს
ვიდრე მოვილევ,
ნინაპრის
ნაკვდავ-ნაფერებ მამულს
აკუნულს ნულარ
დამატოვინებ.

ეპა ქვეანიშვილი



მემასტის ცოლის სიმღრა

ამაღამ გვიან მოვა ჩემი კაცი.

ჩემი შებოლილი ქმარი. და მისი კბილები თეთრად გაიელვებს.

კბილებით შემიძლია ჩემი ქმარი სხვებისგან გამოვარჩიო -

როცა გავიცანი, თეთრი კაცი იყო, ახლა რაღაცნაირი მტვრის-ფერი გახდა.

ხმაშიც თითქოს დაფხვნილი რკინა გაერია.

თვალებში გავარვარებული ზეთი უპრიალებს.

იცვლება ჩემი ქმარი, როცა გრძელი გვირაბიდან ამოდის, როცა
სააქაოს ბრუნდება.

აი, სადაცაა მოვა.

ამოგანგლული შემოაღებს კარს და მოიტანს სუნს,

დედამიწის შუაგულიდან წამოღებულს - სხვა მისნაირი დაქანცუ-
ლი კაცების.

მოვა - ცალ ხელში ცარიელი კონტეინერებით, მეორეში გამურუ-
ლი პურით.

პურსაც გადაედო ჩემი ქმარი. ჩემ გარდა, ისიც გააშავა:

გზაში ცოტა ჩამოუტეხავს, ეტყობა, მოშივდა.

დაჯდება მაგიდასთან და ზის.

ელოდება წვნიანიან თეფშს, რომელსაც მოჰყვება ჩემი რამდენიმე მოსასწრები წინადადება ბანკის ვალებსა და მაღაზიის ნისიასა და

მეზობლის ბავშვის ახალ ფეხსაცმელსა და ჩვენი შვილების დაძველებულ ჩანთებზე -
სასოწარკვეთაზე.

დაჯდება და იყურება ფანჯარაში, ცისკენ.

ცა მენატრება - მეტყვის და დადუმდება.

ამაღამ გვიან მოვა ჩემი ქმარი და დაყრის გასარეცხ ტანსაცმელს.

და ზამთრის ყინვაში შეაღებს ფანჯარას.

ჰერო მენატრება, - იტყვის და დადუმდება.

და მე ვეღარაფერს ვეტყვი სახატავ რვეულებსა და შოკოლადებსა და წიგნებსა და ახალ კაბებსა და
აი, იმ ვიტრინაში გამოდებულ ყელსაბამსა და საერთოდ,

ადამიანურად ცხოვრებაზე.

მხოლოდ გავიფიქრებ:

ნეტა ხელი და ფეხი სულ ჰქონდეს ჩემს ქმარს, რომ შახტში ჩავიდეს.

ლელა ცუცქირიძე



მამის სახლი

მას შემდეგ, რაც მამაჩემის ნაჩუქარი სახლი გავყიდე,
რომელშიც ყველა კედელი თავისი ხელით ამოაშენა,
გააკრა შპალერი და ზედ ყვავილივით გადაიყვანა თავისი სული,
იატაკიც თავად დააგო, მყარად რომ მევლო (არავის ენდო),
გააკეთა აბაზანა, სამზარეულო...
ავეჯიც კი, ყველა ოთახში...
და იყო ამაყი, რომ ასეთი სახლი მაჩუქა -
თავისი ხელით გაკეთებული,
სადაც მე აუცილებლად ბედნიერი ვიქნებოდი...
მას შემდეგ, რაც ეს სახლი გავყიდე,
სულ მეშინია, რომ ერთხელაც ვნახავ სიზმარს:

რომ აი, მოდის მამაჩემი,
როგორც მოდიოდა შაბათობით,
ბაზრიდან, დატვირთული.
ლიფტი არ მუშაობს და
ფეხით ამოდის მექესე სართულზე,
ცალ ხელში საზამთრო უჭირავს,
მეორე ხელში ხილით დამძიმებული პარკი და
ერთგული მეგობარი - ხის ყავარჯენი.
ამოდის მხნედ და კარზე ზარს რეკავს.
ელოდება, რომ მე გავაღებ,
საზამთროს და ხილს ჩამოვართმევ,
ჩავეხუტები,
ჩაეხუტება შვილიშვილიც...
ელოდება, სახე უცინის...
მაგრამ კარს აღებს სხვა და ეუბნება, რომ
მისი შვილი იქ აღარ ცხოვრობს.
მე კი ვდგავარ ჩემი სიზმრის ფანჯარასთან,
სირცხვილისგან ფარდის უკან ვიტუზები და ვხედავ,
როგორ დგას შუა ქუჩაში დაბნეული და მხრებში მოხრილი მამაჩემი,
ცალ ხელში საზამთრო უჭირავს,
მეორე ხელში - ხილით სავსე მძიმე პარკი
და ჩემზე მეტად ერთგული ყავარჯენი
და ყველა გამვლელს ეკითხება:
- ჩემი შვილი ხომ არ გინახავთ?!

- ხომ არ იცით, სად არის ახლა ჩემი შვილი?!

და რომ ვერ მპოულობს,
სიზმარშიც კვდება
და იქიდანაც სამუდამოდ მიდის.

სიმღერა



ნინო
ჩაჩავა



„ჩვენ მოვდივართ“

მუსიკა- წინო ჩაჩავა
ტექსტი-თემო საჯაია

შეხედე სამყაროს — რა საოცარია,
ირგვლივ ყველა ჩვენი მეგობარია.
ბავშვობის ყველა წამი ხომ ზღაპარია
და გვიხარია.

რაც მართლა გულით გინდა, მხოლოდ ინატრე
ცისარტყელას ფერებს ზეცა გაგიმხელს,
და თვალებს გაგინათებს შენ მზის სინათლე
ნატვრას აიხდენ!

მისამლერი:

ყველა ერთად დღეს, ვუმლერთ სიცოცხლეს
სიხარულს და მზეს და ულევ სიკეთეს
ჩვენ მოვდივართ, მომავლიდან ვართ
დღეს ავმლერდებით, ბედნიერებით
და იმედებით ჩვენ ერთად ვართ.

ჩვენ გვჯერა სიყვარულს რომ საზღვარი არ აქვს,
ცის კიდესაც შევეხებით ხელებით...
და ერთად ავაშენებთ მშვიდობის ქალაქს
სხვას რომ არა ჰგავს.

მისამლერი:

ყველა ერთად დღეს, ვუმლერთ სიცოცხლეს,
სიხარულს და მზეს და ულევ სიკეთეს.
ჩვენ მოვდივართ და მომავლიდან ვართ,
დღეს ავმლერდებით, ბედნიერებით
ჩვენი ერთად ყოფნით ვხარობთ
ერთად შევცვლით მთელ სამყაროს!
დღეს ვუმლერთ სიცოცხლეს,
სიხარულს და მზეს და ულევ სიკეთეს,
ჩვენ მოვდივართ, მომავლიდან ვართ
დღეს ავმლერდებით, ბედნიერებით
და იმედებით ჩვენ ერთად ვართ.

გიორგი ვარსიაშვილი



A handwritten musical score for piano. The score consists of two staves. The top staff starts with a G major chord (B3, D4, F#4) followed by a rest. It then continues with a series of chords: F (F3, A3, C4), Dm (D3, F#3, A3), Bb (B2, D3, F#3), and C (C3, E3, G3). The bottom staff begins with a Bb (B2, D3, F#3) followed by a C (C3, E3, G3). The score is written on a grid of five-line staves.

„ზეგ“

მუსიკა: გიორგი ვარსიმაშვილი

ტექსტი: გელა კორძაძე, სულხან ნამჩევაძე

ზეგ დარეკავ, ზეგ გამოხვალ ზეგ წახვალ და ზეგ ჩამოხვალ.

ცოლს მოიყვან, შვილს გააჩინ და სამშობლოს გადაარჩინ

ზეგ... ნუ გააკეთებ ზეგ, ხვალ, თუკი შეგიძლია დღეს.

დღეს შეჭამ და დღეს დათვრები, დიეტაზე ზეგ დაჯდები,

სამსახურსაც ზეგ იპოვი, გამდიდრდები ფულს იშოვი.

ზეგ... ნუ გააკეთებ ზეგ. ხვალ, თუკი შეგიძლია დღეს!

ზეგ იშრომებ მამულისთვის! ზეგ იბრძოლებ მამულისთვის!

ზეგ ილოცებ მამულისთვის! ზეგ იზრუნებ მამულისთვის!

ფიალები დღეს ივსება, ივერია ზეგ ბრწყინდება,

ასეთია ეს ცხოვრება, ზეგ ახალი გზა იხსნება

ზეგ... ნუ გააკეთებ ზეგ, ხვალ, თუკი შეგიძლია დღეს.

ზეგ იცინებ, ზეგ იხუმრებ, ბანკის ვალს ზეგ გაისტუმრებ.

ზეგ დაიჭრ თაიგულებს, ყველა სურვილს აისრულებ

ზეგ... ნუ გააკეთებ ზეგ, ხვალ, თუკი შეგიძლია დღეს.

ზეგ გაგიცნობ, ზეგ შეგხვდები, შენც ყველაფერს ზეგ მიხვდები.

შენ ვერაფერს ზეგ ვერ მეტყვი, მე კი მოვალ და შენ გეტყვი

დღეს, მე შენ მიყვარხარ დღეს... ხვალ... და მეყვარები ზეგ...



ეკა პასიანი ნინო გადურაშვილი



„ილენეს“

ვახელ თვალს... ვიცი ამქვეყნად,
მე უკვე, - მყავხარ შენ!..
ვალებ კარს და იღუმალ ხმას,
მოვყვები - შენამდე...
და ახლა ეს სულერთია,
თოვს, წვიმაა თუ მზე,
გული ბედნიერია,
როცა ვამბობ შენ სახელს,
როცა ვხედავ შენს სახეს!

მისამლერი: მე, შენ და სხვა არავინ...
დღეს შენ თვალებში ვხედავ სამყაროს,
ეს შენ ხარ, ლამაზი ზღაპარი
მინდა სულ გაგახარო, სევდა არ მოგაკარო!..

ყოველ დღე, ყოველ წუთს და წამს,
ჩემთან ხარ ფიქრებში...
მომენდე, მე გიჩვენებ სახლს
მოხატულს, - მზისფერი...
და ახლა ეს სულერთია

თოვს, წვიმაა თუ მზე,
გული ბედნიერია,
როცა ვამბობ შენ სახელს,
როცა ვხედავ შენს სახეს!

მისამლერი: მე, შენ და სხვა არავინ...
დღეს შენ თვალებში ვხედავ სამყაროს,
ეს შენ ხარ, ლამაზი ზღაპარი
მინდა სულ გაგახარო, სევდა არ მოგაკარო!..


ისევ გაზაფხულია, რა მალე გადის დრო
ეს ის სიყვარულია,
ყველა თოვლს რომ დაადნობს,
ყველა გულს რომ გაათბობს,

მისამლერი: მე, შენ და სხვა არავინ...
დღეს შენ თვალებში ვხედავ სამყაროს,
ეს შენ ხარ, ლამაზი ზღაპარი
მინდა სულ გაგახარო, სევდა არ მოგაკარო!..

ფრენა




ლიკა შევაცაბაია



„ეცნოდრა ოაზიში“, (ტილო, აკრილი, 100/145 სმ.)

ନୂଆ ପାତାର କବିତାର



„ମିଥିମନ୍ଦିରର ଶରୀରରେ“ (ଫିଲ୍ମ, ୧୦ଟି)





მოქანდაკე გიორგი (გია) ჯაფარიძე
პოლეურსის პრიზი
XII საუკუნის აღმაშენებლის ხოსტის გამოსახულების
სტილიზებული ვარიაციი

განალი ზაქარაია




„0ლია ჭავჭავაძის ფიგურატიული კომპოზიცია“

ერებანება



ფოტოსელოვანა

სალოგ
პედელიანი



„მომვაბული სახლი“

ანი ნიჭაპავლი



„თბილისის
დეტალი —
აგანოთურანი“



ლიზა ოსიარიშვილი-ნეაფოვა




„მოგასანის საუკუნე“



არეიტეპტურა

გიორგი ეოსულიშვილი



„არეიტეპტურული ოფიციალური ფონდი“



გოგა ჩერტია




„Rooms Hotel თბილისი“



გაგა პიცნაძე ლევან გუგულიანი



„ორგაზმით სასახლის რეკონსტრუქცია“



თვითმმორ გეხსენება

აპუსტოლიძის როინი

1994-2005 წლებში დამთავრა ა.წერეთლის სახელობის №22-ე საშუალო სკოლა, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2005-2009 წ.).

პერიოდულად იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში, „ჭოროხი“, „ლიტერატურული პალიტრა“, აჭარისა და საქართველოს პოეტთა ანთოლო-გიებში. გამოცემული აქვს პოეტური კრებული “ოცდაერთის გამოღმა და ოცდაერთის გაღმა” (2010 წ.), ”ა ბ გ დ“. (2011 წ.), “მეცხრე ტალღა”. (2011) და „პოლი“ (2015 წ.).

თარგმნილია სომხურად, რუსულად და ინგლისურად. არის ლიტერატურული ბიბლიოთეკა „ლიტკლუბის“ რედაქტორი. დაჯილდოებულია ფრიდონ ხალვაშის, ზურაბ გორგილაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის პრემიებით, ასევე არის ლიტერატურული კონკურსის „ლექსების გამოფენა“-ს გამარჯვებული.

2016 წელს, როინ აბუსელიძე ღერძით „ჩვენებურები“, გახდა თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი“ პოეზიის ნომინაციის პრიზიორი.

პადურაშვილი ნინი

დაიბადა რეჯისორ ერეკლე ბადურაშვილისა და ქართველი მომღერლისა და მსახიობის — ეკა კახიანის ოჯახში. ექვსი წლიდან ბასტი-ბუჟეს სოლისტი იყო და უამრავ გასტროლზეც ყოფილი. პირველი კლიპი, კერ კიდევ ბავშვობის ასაქში, დათო ევგენიის სიმღერაზე „ნანა ჩემო ბაია-ზე“ გადაიღო. ასევე იყო ჯგუფ „სტეფანე და 3“-ს მონაწილე, ამ ჯგუფის სიმღერამ „We Don't Wanna Put In“ დიდი მოწონება დაიმსახურა და ევროპის დიჯეიების ჩარტებში მეორე ადგილზეც მოხვდა, ამავე სიმღერით ჯგუფი ევროვიზიაზე გამგზავრებას აპირებდა, თუმცა იმ წელს საქართველოს ამ კონკურში მონაწილეობა აღარ მიუღია, რადგან მათ ტექსტის შეცვლა მოსთხოვეს.

ნინი ბადურაშვილი გადაღებულია ფილმებში „თბილისი ჩემი სახლია“ (1993), „კიდევ ერთი ქართული ისტორია“, (2003), „კონფლიქტის ზონა“ (2009), თბილისური Love Story (2009).

2016 წელს, ნინი ბადურაშვილის და ეკა კახიანის თანაავტორობით შესრულებული სიმღერა „ელენეს“ გახდა თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი“ მუსიკის ნომინაციის პრიზიორი.

პენდელიანი სალომე

2015 წელს წარჩინებით დაამთავრა სამხატვრო სკოლა.

სწავლობს წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიაში.

2016 წელს, თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოგნების კონკურსის „თბილისი“ ფოტოგრაფიის ნომინაციაში გაიმარჯვა სალომე ბენდელიანის ფოტომ „მიტოვებული სახლი“.

გუდალაშვილი ლიზი

ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სახელობის კონკურსის პოეზიისა და პროზის სექციაში გრან-პრის მფლობელი, ლიტერატურული კონკურსის „ამირანი“ მესამე პრემიის ლაურეატი, ზ.გორგილაძის და ფრ.ხალგაშის სახელობის პოეზიის კონკურსის „ზღვაური“ გამარჯვებული და ოქროს დიპლო-მოსანი, საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსის „La Rocca Borronea“, ქ. კასორიაში მე-9 საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსის, სიცილიის მე-6 საერთაშორისო პოეზიის კონკურსის, ნეაპოლის „e parole dell'anima“, საერთაშორისო პოეზიის კონკურსის „LAGOGERUNDO.“-ს გამარჯვებული. იტალიის ქალაქ ადრიაში ჩატარდა მისი პერსონალური შემოქმედებითი საღამო „ჩემი მუსიკის ფერები“. არის ქალაქ ტრიესტის „CONCORSO INTERNAZIONALE DI POESIA CASTELLO DI DUVINO“ – სერჯო პენკოს სახელო-ბის სპეციალური პრიზის და საპატიო მედლის მფლობელი. რომის სახელოვნებო კონკურსის პროზის, პოეზიის და სამხატვრო სექციის გამარჯვებული (ახალგაზრდა ტალანტის ჯილდო), ლიტერატურული ფესტივალის „სიკეთის წე“ რჩეული, ქალაქ სიენაში გამართული მე-9 საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსის პრიზიორი, პოეზიის საერთაშორისო ფესტივალის „ცისარტყელა“, პოეზიის სიყმაწ-ვილე“ გამარჯვებული. 2015 წელს ლიზი ბუდალაშვილის ესეისტური ნაწარმოები „ჩემი თბილისი“ ნომინირებული იყო თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“, ხოლო 2016 წელს, ესეისტური ნაშრომი „ჩვენ და ვეფხისტყაოსანი“ გახდა ესეს ნომინაციის გამარჯვებული.

გამოცემული აქვს პოეტური კრებული „მზეს*უმზირა“. ნაწარმოებები შეტანილია ქართულ და იტალიურ ენებზე გამოცემულ ანთოლო-გიებში.

დავითაშვილი ნატო

მიღებული აქვს ტექნიკური განათლება. 1990-იან წლებში იყო სარედაქციო-საგამომცემლო საქმის სპეციალისტი. 2000-იანი წლებიდან ფენტეზის ენტენში წერს.

გამოცემული აქვს წიგნები: "ამბავი ლილე იროელისა", (ფსევდონიმით – ჯორჯი ვაშატელი), "როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან", "ამბავი ლილე იროელისა" (განახლებული გამოცემა), "ნისლებში და ნისლებს მიღმა", "ოთხი მხარე და ოთხი სვეტი", "პატარა დინოზავრი დინდინელა", "ლურჯი სუფრის მოცეკვავე", "აიას გზა".

ქარჩხაძეს გამომცემლობის და ბაზიბანგის მიერ ჩატარებული საბავშვო პროზის კონკურსზე, მიღებული აქვს "ოქროს ბუმბულის" ლიტერატურული პრემია რომანისათვის – "როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან", (2008) ასევე არის ლიტერატურული კონკურსის "გალას" ნომინანტი – "როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან", (2009) გალა (ლიტერატურული პრემია) რომანისათვის "ნისლებში და ნისლებს მიღმა", (2011) ლიტერატურული კონკურსის "გალას" ნომინანტი - "ოთხი მხარე და ოთხი სვეტი", (2012).

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში "თბილისი", ნაწარმოებით "აიას გზა" გახდა პროზის ნომინაციის პრიზიორი.

დანელია ჩათუ

1987 წელს დაამთავრა მ. გორგის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. (მოსკოვი)

გამოცემული აქვს წიგნები: "მთვარის დღესასწაული", (2003), "გადასახედი", (1998), "მარტოობის ზამთარი", (1997), "მოგესალმებით არსაიდან", (1993), "ტიხარი", (1987), "წყნარი ქეჩა", (1986), "ქალაქი ფრთებქვეშ". (1982).

1983 წლიდან ბათუ დანელია არის მწერალთა საერთო ეროვნული კავშირის წევრი.

ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის დაჯილდოებულია ლირსების ორდენით (2016).

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში "თბილისი", ბათუ დანელია ნაწარმოებით "თოვლის მეფე" გახდა პოეზიის ნომინაციის გამარჯვებული.

დოკუმენტის გენერაცია

2006-2010 წლებში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2004 წლიდან არის საქართველოს მთავრობის „გამოცემასის“ მთავარი რედაქტორი და დამფუძნებელი.

2010 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

გამოცემული აქტების მოეტური კრებულები „ა ბ გ დ“, (2010), „დახურეთ ზეცა“, (2011), „სევდიანი სალალობო ბათუმს“, (2013), განახლებული გამოცემა „ა ბ გ დ“, (2016).

დაჯილდობულია იერუსალიმის პატრიარქის მედლით, ასევე ნიკოლოზ ბარათაშვილისა და (2011) ზურაბ გორგილაძის (2015) სახელობის ლიტერატურული პრემიებით.

2010-2011 წლებში მიჰყავდა საავტორო გადაცემა „პოეზიის დილა“ რადიო „საქართველოს წმაზე“. იყო გამომცემლობა „მერანის“ გენერალური დირექტორი.

გენრი დოლიძე არის 40 დოკუმენტური ფილმის ავტორი და რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის პრიზიორი.

მისი ლექსები თარგმნილია სომხურ, ინგლისურ, რუსულ და უკრაინულ ენებზე.

2016 წელს თბილისის საქართველოს ლიტერატურისა და წელოვნების კონკურსში “თბილისი”, ნაწარმოებით “თოვლის თარგმანი” გახდა პოეზიის ნომინაციის პრიზიორი.

დუმპაპი დიგიტრი

ევროპული სკოლის (IB პროგრამა) წარჩინებული მოსწავლე.

მ. კოსტავას სახელობის მე-8 მუსიკალური სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე.

ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 ხელოვნების სკოლის მოსწავლე.

2017 წელს დიმიტრი დუმბაძე იყო დელეგატი ნიუ-იორკის გაეროს მთავარ შტაბინაში და ამავე კონფერენციის ერთ-ერთი ჯგუფის ლიდერი. (რეზოლუციის ხელმომწერი)

4 წლიდან ხატას და დადის ელ. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გაღერებაში.

დიმიტრი დუმბაძე არის მერიის სტიპენდიანტი და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი.

ჰქონდა პერსონალური საქართველოს გამოფენა-გაყიდვა: ამერიკაში, შვეიცარიაში, იტალიაში, მალტაში.

დიმიტრი დაკავებულია სპორტით, პროფესიონალურად ემზადება ჩოგბურთში, კალათბურთში, უკრავს დოლზე და ფორტეპიანოზე.

2017 წელს თბილისში, სავარა ბიბლიოთეკაში, ჰქონდა კლასიკური მუსიკის სიმფონიურ ორკესტრთან სოლო-კონცერტი და პერსონალური გამოფენა.

2016 წელს თბილისის საქართველოს ლიტერატურისა და წელოვნების კონკურსში “თბილისი”, ნაწარმოებით “მიტოვებული სოფელი” გახდა ფერწერის ნომინაციის პრიზიორი.

ვარსიმაშვილი გიორგი

გიორგი დაკვრა 2003 წელს დაიწყო. გიორგის მასწავლებლები იყვნენ დიმიტრი გიგაური, თენგიზ გამიტაძე, რომან გოშაძე და კაკო ვაშალომიძე. 2004 წელს დაარსა როკ-ჯგუფი Made in Georgia, რომელიც 4 წელიწადში გადაკეთდა სოლო ჯგუფად. 2007 წელს გამოუშვა პირველი ალბომი „ზღვარი“, რომელიც მთლიანად ინსტრუმენტალური კომპოზიციებისგან შედგებოდა. 2013 წელს საფრანგეთში გამოუშვა ფრანგული შანსონების და ინსტრუმენტალური კომპოზიციების ალბომი „Particulier a Particulier“. 2016 წელს გამოუშვა როკ-ალბომი „ათი წელი“, რომელშიც ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩაწერილი სიმღერები შევიდა.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“, ნაწარმოებით „ზეგ“ გახდა მუსიკის ნომინაციის პრიზიორი.

ზაქარაია გენადი

საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1983 წლიდან), შპს „საქართველოს მხატვრის“ გამგეობის წევრი. 1980 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში: ეროვნული გალერეა (თბილისი, 1981), საერთაშორისო სიმპოზიუმი (რიგა, ლატვია, 1986), საერთაშორისო სიმპოზიუმი, კომპოზიცია „კორიდა“ (ბათუმი, საფრანგეთი, 1991, 1998), ქანდაკების საერთაშორისო სიმპოზიუმი „a Manche Cerisy La-Foret, Biennale de Sculpture Ouistreham Riva Bella“ (საფრანგეთი, 2005) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს პარლამენტის, თბილისის, გორის, ობოლოს (პოლონეთი), საქართველოსა და უცხოუთის კერძო კოლექციებში. 1983 წელს გადაეცა პირველი პრიზი წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის „ქადაგის ტორსი“, 2000 წელს – პირველი პრემია წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის „ცხენი“, 2002-ში გახდა საერთაშორისო კონკურსის „Humanity Foundation“ (აშშ) გამარჯვებული და იმავე წელს გორში გამართული კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი – ელისაბედ ერისთავის მემორიალური პორტრეტისათვის. 2015 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“ გენადი ზაქარაია იყო წლის საუკეთესო ქანდაკების ნომინაციის პრიზიორი, ხოლო 2016 წელს იმავე კონკურსში ნაწარმოებით „ილია ჭავჭავაძის ფიგურატურული კომპოზიცია“ გახდა ქანდაკების ნომინაციის გამარჯვებული.

თომაზ თემი

1998 წელს დამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქურნალისტიკის ფაკულტეტი.

გამოცემული აქვს ლექსებისა და მოთხრობების კრებული „პიტის კალ“, ზღაპრების წიგნები „პარადის არდაღეგები“, „გასაღვიძებელი ზღაპრები“ და პოეზიის კრებული „ეკოციდი“.

თემა თოვლურია არის სხვადასხვა ლიტერატურული კონკურსების, მათ შორის, „Pen-მარათონის“ (2007), „ოქროს ბუმბულის“ (2008), „საბას“ (2008), „წეროს“ (2006, 2010), „გალას“ (2011) და ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი“ პრიზიორი (2016) და ლაურეატი.

კახიანი ეკა

დაამთავრა ცენტრალური მუსიკაზია და თეატრალური უნივერსიტეტი. 1974-80 წლებში იყო ანსამბლ „მზურის“ წევრი. შესრულებული აქვს მრავალი როლი კინო და ტელე ფილმებში. არის პოპულარული სიმღერების ავტორი და შემსრულებელი. მიღებული აქვს ლირსების ორგანი. ეკა კახიანის ფილმოგრაფიას განვუთვნება: „ავტოპირტრეტი“ (1987), „მარტივი პასიანს“ (1990), „მხოლოდ სიკვდილი მოდის აუცილებლად“ (1992), „ოცნების ქალაქი“ (2009) – „ლიკა“.

2016 წელს, ნინო ბადურაშვილთან თანავტორობით შეასრულა სიმღერა „ელენეს“, რომელიც გახდა თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი“ მუსიკის ნომინაციის პრიზითირი.

კვირტია ჩაჩო

1996 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დრამატურგიის ხელოვნების ფაკულტეტი (თამაზ ჭილაძის სახელოსნო).

1994 წლიდან დღემდე იბეჭდება ქართულ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში („ლიტერატურული საქართველო“, „მნათობი“, „კარი“, „არილი“, „პარნასი“, „24 საათი“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ლიტერატურა – ცხელი შოკოლადი“, „ფოკუსი“, „ცხელი შოკოლადი“, „ქართული მწერლობა“, „ლიტერატურული გაზეთი“ და სხვ.).

2008 წელს „რადიო 106“-ის ეთერში განხორციელდა მისი პიესის „შებინდებიდან გათენებამდე“ – რადიოსპექტაკლის პრემიერა.

1994 წლიდან 2004 წლის ჩათვლით მონაწილეობდა ახალგაზრდა დრამატურგთა ყოველწლიურ სემინარებში.

2003 წლიდან 2010 წლის ჩათვლით, მონაწილეობა მიიღო ყოველწლიურ ლიტერატურულ კონკურსში „Pen-მარათონი“.

2011-2012 წლებში მონაწილეობა მიიღო ლონდონის Royal Court Theatre-ს, საქართველოში ბრიტანეთის საბჭოსა და მთუმანიშვილის ფონდის ორგანიზებით განხორციელებულ 2-წლიან პროექტში New Writing Workshop.

გამოცემული აქვს წიგნები: პროზაული კრებული „მატარებლის მოსვლამდე“ (2007 წ.) პროზაული კრებული „მძინარე ციკლოპის ძახილი“ (2011 წ.) პროზაული კრებული „ტასმანიური ვეფხვი“ (2013 წ.)

ლიტერატურული პრემიები და ნომინაციები: პირველი პრემია ლიტერატურულ კონკურსზე „Pen-მარათონი“ (2007 წ.) პირველი პრემია ლიტერატურულ კონკურსზე „წერო“ (2007 წ.) ლიტერატურული პრემია „საბა“ (ნომინაციაში „საუკეთესო დებიუტი“, პროზაული კრებულისთვის „მატარებლის მოსვლამდე“) (2008 წ.) გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია „ალავერდი“, ნომინაცია: „საუკეთესო მოთხრობა“ (2011 წ.) გამარჯვებული ნომინაციაში „საქართველოს ქულტურისა და მეგლოდა დაცვის სამინისტროს რჩეული“, ლიტერატურულ კონკურსზე „წერო“ (2013 წ.) ლიტერატურული პრემია „საბა“ ნომინაციი, ნომინაცია: „საუკეთესო პროზაული კრებული“ (2014 წ.) მეორე პრემია გოდერის ჩოხელის სახელობის ლიტერატურულ კონკურსზე „ერთგულება“ (2015 წ.)

2016 წელს, ნაწარმოებით „ბაბბის ქულა“ ბათო კვირტია გახდა თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი“ პროზაული ნომინაციის გამარჯვებული.

პიკნიკი გაგა

1986 წელს დამთავრა სპი-ს არქიტექტურის ფაქულტეტი.

1986-1989 წლებში მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტში “საქალაქმშენპროექტი”, 1989-2004 წლებში - არქიტექტორი, პარტნიორი, სტუდია “არსი”, 2004-დან - არქიტექტორი, პარტნიორი, საპროექტო სახელოსნო “არქიტექტორები.ჯი”

რეალიზაციები (ღევან მუშკუდიანთან ერთად):

ურბანული პროექტები და რეაბილიტაციები:

2016 – საცხოვრებელი უბანი “ლისი”; 2012 – პუშკინის და მარჯანიშვილის ქ. რეაბილიტაცია; 2009 – ქუთაისის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაცია. მუზეუმები: 2012 – სვანეთის მუზეუმი; 2011 – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი; თელავის მუზეუმი ბატონის ციხეში, რაჭის მუზეუმი ონში და ბოლნისის მუზეუმი (მშენებლობის პროცესში).

საზოგადოებრივი შენობები და რეკონსტრუქციები:

2015 – ორბელიანების სასახლის რეკონსტრუქცია; 2014 – ივანე მუხრან-ბატონის სასახლის რეკონსტრუქცია და ღვინის ქარხანა მუხრანში; 2012 – ამერიკული აკადემია თბილისში; 2007 – საოფისე ცენტრი “მწვანე შენობა”; 2005 – თბილისი ბანკის სათავო ოფისი; 1998 – შენობა “ბატა”; 1994 – ყოფ. კადეტთა კორპუსის რეკონსტრუქცია; 1996 – თბილისის ცენტრის საპარკო ხედი (გრაფიკა)

პრემიები და ჯილდოება:

2016 – საუკეთესო რესტავრაცია-რეკონსტრუქცია (საცხ. სახლი ციხისძირში); 2015 – საუკეთესო რესტავრაცია-რეკონსტრუქცია ორბელიანების სასახლის რეკონსტრუქციისთვის; 2014 – საუკეთესო საცხოვრებელი ლისის საცხოვრებელი უბნისთვის; 2013 – საუკეთესო რესტავრაცია-რეკონსტრუქცია ახალციხის მუზეუმისთვის; 2010 – საუკეთესო ურბანული რეაბილიტაცია ქუთაისის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციისთვის; 2010 – ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი; 2007 საუკეთესო არქიტექტურული ნაწარმოები საოფისე ცენტრ “მწვანე შენობისთვის”; 2006 – საუკეთესო რესტავრაცია-რეკონსტრუქცია თბილისი ბანკის სათაო ოფისისთვის; 2005 – საუკეთესო რესტავრაცია-რეკონსტრუქცია გასართობ ცენტრ “შეიძანისთვის”; 1998 – საუკეთესო არქიტექტურული ნაწარმოები (საქართველოს არქიტექტორთა კავშირი) “ბატას” შენობისთვის; 1986 – სტუდენტური კონკურსის ლაურეატი (სერეუ-პონტუაზი).

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში “თბილისი”, ღევან მუშკუდიანთან ერთად თანაავტორობით შექმნილი არქიტექტურული პროექტით “ორბელიანების სასახლის რეკონსტრუქცია”, განდა არქიტექტურის ნომინაციის პრიზით.

ლილოკონები მაკა

1989 წელს დაამთავრა თბილისის №3 ექსპერიმენტული საშუალო სკოლა;

1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სრული ქურსი ჟურნალისტიკის სპეციალობით;

2007 წელს დაამთავრა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (GAU) PR -სკოლა ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სპეციალობით;

1992 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში.

არის თვითნასწავლი მხატვარი, გრაფიკისი, ილუსტრატორი. დასურათებული აქვს თანამედროვე ქართველი ავტორების პოეტური და პროზაული კრებულები, საბავშვო წიგნები.

2005 წლიდან თანამშრომლობს სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემებთან. მისი მოთხრობები შესულია: ლიტერატურულ კონკურს „წერო-2006“ და „წერო-2008“ კრებულში (2008 წლის კრებულში შესულმა მოთხრობამ „მისი სახლი“ ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ პრიზი დაიმსახურა); ლიტერატურულ კონკურს „Pen-მარათონი - 2007“ და „Pen-მარათონი - 2010“ კრებულში;

2009 წელს გამოსცა საღებაუტო მოთხრობების კრებული „ქიშმიშიანი ამბები;“

2010 წელს „ლიტ-სახელების“ კონკურსში მისმა მოთხრობამ „ანდერგრაუნდი – საიუბილეო პერფორმანსი“ მეორე ადგილი დაიმსახურა;

2010 წელს წიგნი „ქიშმიშიანი ამბები“ ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსის „საბას“ ლაურეატი გახდა დებიუტის ნომინაციაში.

2011 წელს მისი მოთხრობა „რატომ ჭირობდნენ ჩვენი მოხუცები“ გერმანულ ენაზე თარგმნა და პროექტის „ვენის ლიტერატურული კაფეების“ ფინალისტი გახდა;

2011 წელს გამოსცა მოთხრობების კრებული „ბიშეს ბალიშები“ (ელექტრონული სახით);

2013 წელს გამოსცა მოთხრობების კრებული „ლიტერატურული პროექტი.“

2017 წელს გამოსცა მცირე რომანი „ოციდან ოცდაათამდე ცხენისკუდა.“

მისი მოთხრობები ნათარგმნია ლიტვურ, გერმანულ და რუსულ ენებზე.

2007 წელს იყო ლიტერატურულ კონკურს „პოეტური წეროს“ ჟიურის წევრი;

2010-2017 წლებში სტუდენტური კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა“ ჟიურის წევრი.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში “თბილისი”, ნაწარმოებით “ოციდან ოცდაათამდე ცხენისკუდა” გახდა პრიზის ნომინაციის პრიზიორი.

ლეპანიძე შორავა

1983 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა. 1984-89 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქურნალისტიკის ფაკულტეტზე. 1990-97 წლებში იყო პირველი ქართული დამოუკიდებელი გაზეთის – „7 დღის“ – სარედაქციო კოლეგის წევრი.

წერდა იმ პერიოდში შექმნილი ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ამსახველ პუბლიცისტურ სტატიებს, ნარკვევებს, კრიტიკულ წერილებს, რეპორტაჟებს კონფლიქტის ზონებიდან – აფხაზეთიდან და სამეგრელოდან, აჭარმოებდა ქურნალისტურ გამოძიებებს, ებემაურებოდა ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. მომდევნო წლებში შორენა ლებანიძე მუშაობდა გაზეთ „რეზონანსის“ პოლიტიკის განყოფილების ქურნალისტად, „საქართველოს გაზეთის“ გვერდის რედაქტორად, ტელეკომპანიების – „რუსთავი 2“-ისა და „მედის“ – საინფორმაციო გადაცემების ქურნალისტად, „მეცხრე არხის“ ღამის საინფორმაციო გამოშვების რედაქტორად, თანამშრომლობდა გაზეთებთან – „გვირის პალიტრა“ და „24 საათი“. 2006-2011 წლებში იყო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დოკუმენტური ფილმების განყოფილების სცენარისტი და დოკუმენტური ფილმების შემოქმედებითი ჯგუფის წევრი. 2008 წელს შორენა ლებანიძის ნარკვევა „8848 (ევრესტიზე ასული ქართველი ალპინისტის დღიურები)“ სატელევიზიო ფილმების ფესტივალ „ნიამორის“ ლიტერატურულ კონკურსზე გაიმარჯვა და ქურნალ „ცხელი შოკოლადის“ მიერ დაწესებული მთავარი ჯილდო და ფულადი პრემია მიიღო.

გამოცემული აქტების დოკუმენტური რომანები: „მაქსტროს დაბრუნება“ /დირიჟორ ევგენი მიქელაძის, ცხოვრების ქრონიკები/ (2004), „ეს მე ვარ – ფირსმანი“ (2012), „საშვი კონფლიქტის ზონაში“ (2014), „მანანა ანუა – ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“ – 2016 წლის საბას ნომინანტი.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და სელოვნების კონკურსში “თბილისი” შორენა ლებანიძეს გადაეცა უთურის სპეციალური პრიზი (“მანანა ანუა – ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე”).

მეგრელიშვილი გურამი

გამოცემული აქტები: „10+2“ (2002), „შენ“ (2005), „მრავალჯერადი ბოთლები“ (2008), „ადამიანის ქალაქი“ (2010), „რამდენიმე სიტყვით სიყვარულზე“ (2014), „ანტიგლობალისტები“ (2013), „ევროპელი ხევისბერი“ (2014), „მოდელი 18/12“ (2011). „IRATTA.RU“ (2009). „მკაცრები და ნაზები“ (2010), „როგორ გავაკეთოთ ბიჭი“ (2013), „ნადალატებები ქმართა პირველადი დახმარებისა და მოღალატე ცოლთა რეაბილიტაციის ცენტრი“ (2012), „მდიდარი სოფლელები“ (2014), „სეზონი“ (2009), „პვენტინის საოვალე“ (კინოსცენარი) (2008). „ბუდე“ (კინოსცენარი)

გურამ მეგრელიშვილს თარგმნილი აქტები: „მოდელი 18/12“ (ალბანურად. 2015), „მწერალი“ (შვედურად. 2012), „ნესი“ (იტალიურად. 2011), „IRATTA.RU (ინგლისურად. 2015).

გურამ მეგრელიშვილი არის სხვადასხვა ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული და პრიზიორი:

2003 - განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი - პრეზიდენტის სახელმწიფო პრემია. 2004 - განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი - პრეზიდენტის სახელმწიფო პრემია. 2008 - წლის 15 საუკეთესო მოთხოვა. (ვერცხლის პრიზი) 2009 - წლის

15 საუკეთესო მოთხოვის პრიზი) 2010 - წლის 15 საუკეთესო მოთხოვისა. (ვერცხლის პრიზი) 2011 - ყველა დროის 20 საუკეთესო ქართული მოთხოვისა. 2011 - წლის ორმანი (Iratta.ru) გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემია 2013 - ბან კი მუნის სახელობის გაერთს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციის (UN Women) პრიზი პიესისთვის „როგორ გავაკეთოთ ბიჭი“ 2015 - წლის საუკეთესო 15 მოთხოვისა.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში “თბილისი”, ნაწარმოებით “ალტერნატიული საქართველოს ამბები” გახდა პრიზის ნომინაციის პრიზიორი.

მოსულიშვილი გიორგი

1996-1997 წლებში დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი, ხოლო 1998-2000 წლებში შტუდიარტის (გერმანია) ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი, რის შემდეგ სწავლა განაგრძო დარმშტადტის ტექნიკური უნივერსიტეტში. (გერმანია)

2005 წელს დაფუძნა არქიტექტორული ფირმა „მოსულიშვილი & პარტნიორები“, ხოლო 2011 წელს – სამშენებლო ფირმა Mosulishvili Retail Construction Ltd.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში “თბილისი”, არქიტექტურული პროექტით “არქიტექტურული ოფისი ჭონქაძეზე” გახდა წლის საუკეთესო არქიტექტურული პროექტის გამარჯვებული.

მუშკუდიანი ლევანი

1981-1986 წლებში დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი.

2004 წლიდან არის არქიტექტორი, პარტნიორი, საპროექტო სახელოსნო “არქიტექტორები.ჯი”, ასევე არქიტექტორ-პარტნიორი საპროექტო სახელოსნო “არსი”-ში, “საქალაქმშნაპროექტი” (1986-1989)

რეალიზაციები (გაგა კიქნაძესთან ერთად):

ურბანული პროექტები და რეაბილიტაციები:

2016 – თბილისი, საცხოვრებელი „უბანი “ლისი”, – ლისის ტბის მიმდებარევ, 2013 – ბათუმი, გოგებაშვილის ქ. რეაბილიტაცია, 2012 – თბილისი, პუშკინის ქ. რეაბილიტაცია, 2012 – თბილისი, მარჯანიშვილის ქ. რეაბილიტაცია, 2009 – ქუთაისი, ისტორიული ცენტრის რეაბილიტაცია, ბაკურიანი, კონტის საბაგიროს მიმდებარე ტერიტორიის განაშნიანება (მშენებლობის პროცესში)

მუზეუმები:

2012 – მესტია, სვანეთის მუზეუმის რეკონსტრუქცია, 2011 – ახალციხე, სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, თელავის მუზეუმი ბატონის ციხეში (მშენებლობის პროცესში), რაჭის მუზეუმი ონში (მშენებლობის პროცესში), ბოლნისის მუზეუმი (მშენებლობის პროცესში)

საზოგადოებრივი შენობები და რეკონსტრუქციები:

2015 – ორბელიანების სასახლის რეკონსტრუქცია, 2014 – ივანე მუხრან-ბატონის სასახლის რეკონსტრუქცია და ღვინის ქარხანა მუხრანში, 2013 – რაბათის ციხის არქიტექტურული მოცულობები, ახალციხე, 2012 – მესტიის სასამართლოს შენობა, 2009 – “სილეროუდ ბანკის” სათავო ოფისი, ზარბრიუენის მოედანი, თბილისი, 2009 – რესტორანი “ოზანური” სანაპიროზე, ერეკლე II მოედ. (როსტომ მეფის სტამბა), 2007 – საოფისე ცენტრი “მწვანე შენობა”, 2006 – გასართობი ცენტრი “მეიდანი” სანაპიროზე, მრავალფუნქციური შენობა თბილისში, ჭავჭავაძის 74 (მშენებლობის პროცესში), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები თბილისში, წყნეთში, 1996 – თბილისის ცენტრის საპარო ხედი (გრაფიკა).

პრემიები და ჯილდოებები:

2015 – საუკეთესო რესტავრაცია-რეკონსტრუქცია (ჟურნალი “სტილი”) ორბელიანების სასახლის რეკონსტრუქციისთვის, 2014 – საუკეთესო საცხოვრებელი (ჟურნალი “სტილი”) ლისის საცხოვრებელი უბნისთვის, 2013 – საუკეთესო რესტავრაცია-რეკონსტრუქცია (ჟურნალი “სტილი”) ახალციხის მუზეუმისთვის, 2010 – საუკეთესო ურბანული რეაბილიტაცია (ჟურნალი “სტილი”) ქუთაისის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციისთვის, 2010 – ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (ქუთაისის ცენტრის რეაბილიტაციისთვის), 2007 – საუკეთესო არქიტექტურული ნაწარმოები (ჟურნალი “სტილი”) საოფისე ცენტრი “მწვანე შენობისთვის”, 2005 – საუკეთესო რესტავრაცია-რეკონსტრუქცია (ჟურნალი “სტილი”) გასართობ ცენტრ “მეიდანისთვის”, 1986 – სტუდენტური კონკურსის ლაურეატი (სერეი-პონტუზი).

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში “თბილისი”, გაგა კიკნაძესთან ერთად თანაავტორობით შექმნილი არქიტექტურული პროექტით “ორბელიანების სასახლის რეკონსტრუქცია”, გახდა არქიტექტურის ნომინაციის პრიზიორი.

ნიერადე ანი

2010 წელს დაამთავრა თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საჯარო სკოლა. მოგვიანებით სწავლობდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ინსტიტუტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. მუშაობს მედიაპლატფორმ „კვირაში“ ფოტორეპორტიორად.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში “თბილისი”, ნაწარმოებით “თბილისის დეტალები – აბანოთუბანი” გახდა ფოტოხელოვნების ნომინაციის პრიზიორი.

ოსეაზაიმპილი-ნეაცოვა ლიზა

1993-98 წლებში დამთავრა მოსკოვის ექონომიკის ინსტიტუტი, ხოლო 1999-2001 წლებში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, 2005 წელს ინტერნაციონალური სამსატვრო აკადემია ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში. მოიპოვა გოეთეს ინსტიტუტის და Kulturnkontakte გრანტი; გაიმარჯვე კონკურსში „რტ კოლცოვა“ (ეკატერინბურგი).

2001 წლიდან აქვს პერსონალური გამოფენები: „sibillis red and black“, „Levitation“, „სხეულის ობიექტი, ხელოვნების ეკოლოგია“, „აპოლონია“, „Administrationes of justice“, WORLD PRESS PHOTO, Galerie L'Arbre de Vie (საფრანგეთი), „Stop waiting Georgia“, (საქართველოს ისტორიული მუზეუმი ქარგასლა), ნაუ არტ კაფე contemporary art, ინტერნაციონალური ბიენალე „Alluminium“ (ბაქო), ინტერნაციონალური გამოფენა Casa Museu Bissaya Barreto – Convento Sant'Anna: Portugal, პერსონალური გამოფენა „წერილები პერში“ (გალერეა აკადემია), თბილისის ფოტო-ფესტივალი photographie night, ფრანგულ ინსტიტუტთან ერთობლივი პროექტი „მოპასანის საუკუნე“, „Countries with injection – riven IV epidemics“, Transborder Exclusion inclusion (ვენა).

მონაწილეობდა არტ-პროექტებში, არტისტერიუმის ფესტივალში და ჰქონდა სამოგზაურო კვუფური გამოფენა: საბერძნეთში, საფრანგეთში, ბელგიაში, სან-პეტერბურგში, ატლანტაში, რუსეთსა და სლოვაკეთში.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“, ნაწარმოებით „მოპასანის საუკუნე“ გახდა ფოტოხელოვნების ნომინაციის პრიზიორი.

რუსეთი რუსულანი

პროფესიით ფურნალისტია და 1996 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა გაზეთთან და ფურნალთან თანამშრომლობს.

მისი პირველი პროზაული კრებული - "ჩაისთან მოსაყოლი ამბები" ლიტერატურული პრემია "საბას" 2014 წლის ნომინანტია – საუკეთესო დებიუტისთვის. "ერთი თქვენგანი გამცემს" კი, ავტორის მეორე კრებულია, რომელიც "ინტელექტმა" 2016 წელს გამოსცა და წიგნის საახალწლო ფესტივალზე გამომცემლობის ბესტსელერი გახდა.

რუსულან რუსაძის მოთხოვნები თარგმნილა ინგლისურ, თურქულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“, ნაწარმოებით „ოქროს სარაია“ გახდა პროზის ნომინაციის პრიზიორი.

რჩეულიშვილი მირიანი

მოთხოვები „ასობით მილი და შორს“, „ფერადი ციებ-ცხელება“, „ლედი ინტეგრა“, „მეგი“, „დიდი სანაპირო“ და სხვები დაბეჭდილია ლიტერატურულ გაზეთში, ლიტერატურულ საქართველოსა და უკრაინა „ახალ საუნჯეში“.

თარგმნილი აქვს ქართველი უცხოელი მწერლების მოთხოვები: ვასილ შექშინის „ჩაჭრა“, ირვინ შოუს „გოგონები ზაფხულის კაბებში“, შერვუდ ანდერსონის „ქაღალდის ბურთები“ და რეი ნელსონის „დილის რვა საათი“.

მუშაობდა უკრაინ „აფრის“ ლიტერატურულ გაზეთშე, სადაც დაბეჭდილია თანამედროვე ლიტერატურის მისეული თარგმანები.

გადაიღო სამოყვარულო-დოკუმენტური უნივერსიტეტის ფილმი „მწერალი“, რომლის ჩვენებაც 2017 წელს მოეწყო მწერალთა სახლში.

მისი მოთხოვები ორჯერ იყო ნომინირებული თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“, ნაწარმოებით „დიდი ზღვის სანაპირო“ გახდა პროზის ნომინაციის პრიზიორი.

სადღობელაშვილი ნინო

დაამთავრა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, ლიტერატურული დაოსტატების სპეციალობით; მუშაობდა საპატიოარქოს რადიოს ლიტერატურულ რედაქციაში; 2006 წელს გამოვიდა მისი მოთხოვების პირველი კრებული „ბამბაზის სამოთხე“, რომელიც 2008 წელს რეჟისორ სოსო ნემსაძემ მესხეთის თეატრში დადგა. 2007 წელს, ქუთაისის ლადო მესხიშვილის დრამატულ თეატრში, რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ დადგა მისი პიესა „ბამბაზის სამოთხე“. 2010 წელს, ავთანდილ ვარსიმაშვილის პროდიუსერობით, გადაიღეს ამავე სახელ-წილების ფილმი.

გამოცემული აქვს წიგნები: „ბამბაზის სამოთხე“ (2006), „შუაღამის იავნანა“ (2008), „ორსული“ (2009), „თავშესაფარი“ (2007), „ფრთხი და ხელები“ (2011), „იასამნის სეზონი“, (2013)

2015 წელს, თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურს „თბილისის“ ქოურის სპეციალური პრიზი გადაეცა, ფერწეზის უანრის სათავგადასავლო რომანისათვის „განძის თეატრი (შეიძი სიმღერის საიდუმლო)“, გამომცემლობა Amusing Media Group in Georgia, 2015;

დაჯილდოებულია გურამ რჩეულიშვილის პრემიითა და მწერალთა სახლის პრემიით „ლიტერა“.

ნინო სადღობელაშვილის რომანი „ოავშესაფარი“ გამოსცა თურქელმა გამომცემლობა გვჯერ. წიგნის მთარგმნელია პარუნ ჩიმქე. (2016)

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“, ნაწარმოებით „ზღაპარი ფანჯრიდან დანახულ ხეებზე“ გახდა პოეზიის ნომინაციის პრიზიორი.

ფილატელიაზა ელისაბედი (ლიზა)

თბილისის 47-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე.

არის ინგლისური ოლიმპიადების („ევერესტი“, „კინგსი“, ინგლისურის სასკოლო ოლიმპიადა) გამარჯვებული და ფინალისტი.

2014 წელს მისმა თარგმანმა (ინგლისული მწერლის, ნილ გეიმანის „ქორალაინი“) გაიმარჯვა ამირან სკოლიშვილის სახელობის მოზარდთა ლიტერატურულ კონკურსში „ამირანი“.

ინგლისურიდან ნათარგმნი და გამოცემული აქვს სამი წიგნი. 2015 წელს გამომცემლობა „ელფმ“ გამოსცა მისი თარგმანი, ამერიკელი კლასიკოსის ელეონორ პორტერის მსოფლიო შედევრად აღიარებული საყმაწვილო რომანი „პოლიანა“.

2016 წელს გამომცემლობამ „წიგნები ბათუმში“ გამოსცა მისი მორიგი თარგმანი, ამერიკელი მწერლის, სარა შეპარდის რომანი „პატარა საყარელი მატყუარები“. ამავე წელს გამოიცა რომანის მეორე წიგნიც – „უნაკლო“.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში “თბილისი”, ესეისტური ნაწარმოებით “ვეფხისტყაოსნის თარგმანის მნიშვნელობა” გახდა ესეს ნომინაციის პრიზიორი.

ქვეანიშვილი ეკა

უერნალისტი, 2008 წლიდან რადიო ”თავისუფლების“ რეპორტიორი.

მუშაობდა გაზეობებში ”რეზონანსი“, ”ახალი კერძია“, რადიოში ”მწვანე ტალღა“, ინტერნეტ პორტალ www.humanrights.ge-ს მთავარი რედაქტორი. გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული ”ჭორია“ (2006) და ”აქ ნუ დადგებით“ (2010). არის ლიტერატურული პრემია „საბას“ ორგზის ლაურეატი.

ეკა ქევანიშვილმა რამდენიმე წლის წინ, სრულიად სპონტანურად, ლიტერატურულ ფორუმზე ქართველი პოეტებისა და პროზაიკოსების ლიტერატურული პროფესიონელების გამოქვეყნება დაიწყო. ენთუზიაზმით მუშაობდა, უდედლაინიდ, ავტორებს თავად არჩევდა. ერთ ავტორს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე. შემდეგ ამ პროფესიონელებმა და დიალოგების სერიამ ლიტერატურულ უერნალებში (არილი, ლიტერატურული პალიტრა, საუნჯე) გადაინაცვლა. ასე დაგროვდა სხვადასხვა თაობის და სხვადასხვა მიმართულების მწერალთა ამბები, რომელსაც წიგნში მოუყარა თავი. გამოქვეყნებული აქვს „ევაკუაციის გეგმა“, რომელსაც თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ ერთგვარი მანიფესტი, ლოზუნგების, ამბობისა და ბრძოლისებრ მოწოდებების კრებული. ეს არ გახლავთ ლექსები სიყვარულსა და სიცოცხლეზე, ეს გახლავთ ლექსები სიყვარულის აუცილებლობასა და სიცოცხლის უფლებაზე. კრებულს რამდენიმე პერსონაჟი ჰყავს, ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანები განსხვავებული წინაღობებითა და მათგან განთავისუფლების მეთოდებით, ადამიანები, რომლებიც შიშველი ხელებით თხრიან და დღითიდელ სულ უფრო აფართოებენ იმ გვირაბს, რომლის ბოლოს გამოჩენილი სინათლეც აძლევს მათ ასე აუცილებელ სიყვარულს, ლირსეული სიცოცხლის უფლებასა და სასოწარგვეთაზე გამარჯვებულ იმედს.

ეკა ქევანიშვილმა კრებულისათვის ბოლო სამი წლის განმავლობაში დაწერილი ლექსები შეარჩია. ომი, კონფლიქტი, სოციალური უსამართლობა, ფემინიზმი - ავტორის ლექსები თემების მრავალფეროვნებით ხასიათდება.

როგორც თავად აღნაშავს, ბიოგრაფიები და ჩარჩოები არ უყვარს.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში “თბილისი”, ნაწარმოებით “მეშახტის ცოლის სიმღერა” გახდა პოეზიის ნომინაციის პრიზიორი.

ყურაშვილი ცირა

1987 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგის ფაკულტეტი, ქართული ენის და ლიტერატურის სპეციალობით.

1986-93 წლებში მუშაობდა ჟურნალ „განთიადის“ რედაქციაში კორექტორად, ლიტერატურული გამგედ.

1991 წელს მწერალთა ჯგუფთან ერთად დააფუძნა მწერალთა ასოციაცია „ურანი“ და მისი პასუხისმგებელი მდივანი.

1999 წელს მისი ინიციატივით დაფუძნდა ხელოვანთა კავშირი „მარიოტა“ და ამ ასოციაციის ხელმძღვანელი.

2004 წელს მწერალთა ჯგუფთან ერთად დააფუძნა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი გაზეთი „ენიგმა“, რომელიც 2006 წლიდან ჟურნალის სახით გამოიცა.

1993 წელს მისი ლექსები შევიდა ქართული ახალგაზრდული პოეზიის ანთოლოგიაში.

1996 წელს გამოსცა ლექსების კრებული „ასფალტის ყვავილები“.

1996-2011 წლებში მუშაობდა ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლად.

1998 წლიდან იყო მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პროფკავშირის გაზეთ „დედოზარის“ რედაქტორი.

1999 წელს გამოსცა ზღაპრის წიგნი „ქრისტესია“.

2001 წელს მისი ინიციატივით გამოვიდა საბავშვო ლექსების კრებული „ლილე“.

2002 წელს „კავკასიური სახლის“ ლიტერატურულმა გამოცემამ „აღტერნატივა“, მწერლის მოთხრობა „უკან არ მიიხედო“ წლის საუკეთესო პროზაულ ნაწარმოებად აღიარა.

2005 წელს მოთხრობა შევიდა „კავკასიური სახლის“ მიერ გამოცემულ ორტომეულში – „ქალი, სახე, პრობლემა“.

2006 წელს გამოსცა ლექსების კრებული „ანბანური პერიოდი“

2008 წელს მოთხრობების და მინახურების კრებული.

2011 წელს გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა მისი პროზაული ნაწარმოების კრებული „ხიზნები კომანის მონასტერთან“.

2012 წელს გახდა ლიტერატურულ კონკურს „საბას“ ნომინანტი.

2011-2012 წლებში იყო ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების თანამშრომელი, პირველი კატეგორიის ბიბლიოთეკარი.

2012 წლიდან ბალდათის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის თანამშრომელი, მთავარი სპეციალისტი.

2013 წელს გამომცემლობა „საუნჯემ“ გამოსცა მისი ლექსების კრებული „სამოთხის სარკმელი“.

2014 წელს გამამარჯვა საერთაშორისო პოეზიის კონკურსში ლექსით, – „მამა“

2015 წელს მისი ლექსები თარგმნა და შევიდა ქართველ პოეტთა გერმანულენოვან ანთოლოგიაში.

2016 წელს გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა მისი ნოველების კრებული „უამსა თამაშობისასა“ და წერილების, ესეების კრებული „ვინ გაიტანს თუფშებს“.

2016 წელს თბილისის საქრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“, ნაწარმოებით „სახვეპელი“ გახდა პროზის ნომინაციის პრიზიორი.

შევაცაპაია ლიკა

ძირითადი არსი შემოქმედების ეფუძნება ცხოვრების ოპტიმისტურ ხედვას, მიუხედავად როული და ფრიად წინააღმდეგობრივი სამყაროს, რომელშიც ცხოვრობს. მიაჩნია, რომ კომპოზიციასთან ერთად ფერს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ფერი არის სამყარო, სიცოცხლე და ყოველი დღე.

დაიბადა მოქანდაკის ოჯახში. ბავშვობიდან იზრდებოდა ხელოვნების ატმოსფეროში, რამაც განსაზღვრა მისი მომავალი პროფესია.

1994 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი; იმავე წელს გაემგზავრა სიენის საერთაშორისო უნივერსიტეტი, (იტალია).

1995 წლიდან აქტიურად მონაწილეობს ქართულ-უცხოურ გამოფენებში და არის სამხატვრო კავშირის წევრი.

ამჟამად ცხოვრობს მაღრიდში.

პერსონალური გამოფენები:

2016 – „Vide Sile“ teneo de Madrid, ესპანეთი; 2015 – „Soulroom“ მაღრიდი, ესპანეთი; 2014 – "Madiathek" თბილისი; 2011 – "M გალერეა", თბილისი; 2010 – კაფე „კანაპე“ თბილისი; 2003 – წლის "დიზაინერთა კავშირი" (საგამოფენო დარბაზი) თბილისი; 1998 – საქართველოს მისია, გაერთში, NY

აგუშური გამოფენები:

2017 – „Experiencias“ ბარსელონა, ესპანეთი; 2017 – Premier ARTFAIR Honk Kong 24-26 მარტს; 2017 – Galeria Eka & Moore, მაღრიდი, ესპანეთი; 2017 – Galeria Feel & Flow, მაღრიდი, ესპანეთი; 2017 – „A ti mujer“ Galeria Feedingart მაღრიდი, ესპანეთი; 2016 – "Luces y sueños" Espacio Ronda, მაღრიდი, ესპანეთი; 2016 – "საშობაო კოლექტიური", მაღავა, ესპანეთი; 2016 – "Ventana a Malasaña" Galeria Feedingart, მაღრიდი, ესპანეთი; 2016 – „Efímero“ Galeria Feedingart, მაღრიდი, ესპანეთი; 2016 – ქართველ მხატვართა ჯგუფური გამოფენა, Castello dei conti di Ceccano, იტალია; 2016 – "5 ქალი, 6 ქვეყანა", კულტურული სივრცე, მაღრიდი, ესპანეთი; 2016 – "სერვანტების სამყარო" გალერეა Atalante, მაღრიდი, ესპანეთი; 2016 – eria de Madrid, Palacio Neptuno, მაღრიდი, ესპანეთი; 2014 – "Regalarte" Galeria Sexta expresion, მაღრიდი, ესპანეთი; 2014 – ახუნდოვის გალერეა, "კარგი დღე", თბილისი, საქართველო; 2012 – თბილისი ცენტრალი "დედამიწა შენს გარშემო ბრუნავს"; 2006 – გალერეა "კოპალა", თბილისი; 2005 – "საშობაო გამოფენა" ცისფერი გალერეა, თბილისი; 1998 – გალერეა, "სოჭო", NY; 1995 – გალერეა "L'Arte", Siena, იტალია.

ლიკა შევაცაბაიას ნამუშევრები ინახება კერძო კოლექციებში (საქართველო, საბერძნეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, პოლანდია, იტალია, გერმანია, ესპანეთი, კანადა და აშშ-ში).

2016 წელს თბილისის საქრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში "თბილისი", ნაწარმოებით "შეხვედრა ოაზისში" გახდა ფერწერის ნომინაციის გამარჯვებული.

ჩაჩავა ნინო

1989-1994 – სწავლობდა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში - საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე.

1992-1993 – გადაცემა „ჭორნიუსის“ რეჟისორის ასისტენტი;

1995-2007 – ა. ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის ვოკალის პედაგოგი.

1995-2007 – სტუდია „ბასტიბუბუ“ – ვოკალის პედაგოგი.

2000-დან – სტუდია „ჩიკო“ – ხელმძღვანელი.

2007-2012 – შ.კ.ს. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“

პრევეტები: „ანა-ბანა“ – ვოკალის პედაგოგი, ხმის რეჟისორის ასისტენტი „ჯეოსტარი“ – ვოკალის პედაგოგი, ხმის რეჟისორის ასისტენტი „ვარსკვლავების აკადემია“ – ვოკალის პედაგოგი, ხმის რეჟისორის ასისტენტი „ბრავო“ – მუსიკალური ხელმძღვანელი „მუსიკალური ხელმძღვანელი“ – ხმის რეჟისორის ასისტენტი „ნიჭიერი“ – მუსიკალური ხელმძღვანელი, ვოკალის პედაგოგი, ხმის რეჟისორის ასისტენტი 2011 – სტუდია „ანა-ბანა“, ვოკალის პედაგოგი 2012წ. აგვისტოდან – ტელეკომპანია „იმედი“ – ვოკალის პედაგოგი 2013 – შ.კ.ს. სტუდია „მაქსტრი“ – ვოკალის პედაგოგი – მუსიკალური რეალითი შოუ „მაგთიფანი“ 2013 – საზოგადოებრივი მაუწყებელი – ვოკალის პედაგოგი 2015 – ტელეკომპანია „იმედი“ – მუსიკალური რეალითი შოუ „ერთი-ერთში“ მუსიკალური ხელმძღვანელი, ვოკალის პედაგოგი

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“, ნაწარმოებით „ჩვენ მოვდივართ“ გახდა სიმღერის ნომინაციის გამარჯვებული.

ჩიტიშვილი განანა

1974 წელს დაამთავრა გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. სალიტერატურო მოღაწეობა დაიწყო 1970-იანი წლების ბოლოს.

იბეჭდებოდა უურნალებში „ცისკარი“, „მნათობი“ და გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“.

გამოცემული აქვს ლექსების კრებული: „ქაბუქი“, (1979), „მინდვრის ფერადები“, (1984), „ქართლის გზაზე“, (1988), „მზის მოლოდინში“, (1990), „შენ ჩემი ლოცვა გიშველის“, (1997), „100 ლექსი“ (2001), „მაინც საქართველო ერქვა“, (2010).

მიღებული აქვს გაღაეტიონ ტაბიძის, დავით აღმაშენებლის, კლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის საკავშირო-ახალგაზრდული პრემია და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მისი ლექსები თარგმნილია იტალიურ, ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

2003 წელს ამერიკის ბიოგრაფიის „უნივერსიტეტმა შეიტანა კრებულში „თანამედროვე ეპოქის ცნობილი ადამიანები“.

მანანა ჩიტიშვილი არის საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს საერთო ეროვნული კავშირის წევრი;

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“, ლექსების ციკლით „დღევანდელობის ჰორიზონტიდან“ გახდა პოეზიის ნომინაციის პრიზიორი.

ମେତିର ପରିଚୟ

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრებისთვის, რამდენიმე წელიწადი მუშაობდა სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტებში - „საქალაქოპროექტში“ და „ინტურისტუმენტში“.

ამავე პერიოდის პროექტია - ინტერისტის სასტუმრო ქალაქ ოდესაში და ქალაქ ლევოპში (1987-1988 წწ.).

1991-1993 წლ. მოდგაწეობდა ნიდერლანდებში არქიტექტურულ სახელოსნოში. მომდევნო წლებში მუშაობდა ბულგარეთის და რუსეთის სეკვადასხვა ქალაქებში.

1998 წლიდან შემოქმედით საქმიანობას განავრთობს საქართველოში. მისი პროექტით ხორციელდება შემდეგი ობიექტები: კინოს სახლის რეკონსტრუქცია, საავტორო სტუდიების დეკორი ტელევიზიაში; „სახალხო ბანკი“-ს ოფისი ჭავჭავაძის გამზირზე; შოურუმი ფილარმონიის შენობაში; ასევე საცხოვრებელი სახლებისა და ბინების ინტერიერები თბილისში და ქალაქებარეთ.

2001 წლიდან გოგა ჩეხეთია ხდება „აჭარა არქ. ჯგუფის“ მთავარი არქიტექტორი, წარმოადგენს ცათამბჯენის საპროექტო წინადაღებას 26 მაისის მოედანზე. ასევე აპროექტებს სასტუმრო „აჭარის“ მოცულობაში სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებს: „მიუზიქ-პოლი“ ქალაქ თბილისში, „მიუზიქ-პოლი“ ქალაქ ბათუმში, კაზინო, ტოტალიზატორი, რესტორანი. პარალელურად აკეთებს ისეთ პროექტებს, როგორიც არის: შოურუმი „ნიუ თორენდი“ ჭავჭავაძის გამზირზე, კლუბი „ზენი“-ს ინტერიერი შარდენის ქუჩაზე; ფრანგული რესტორანი „ლექსპრესი“ შარდენის ქუჩაზე, რესტორანი და გასართობი ცენტრი თბილისის გარეუბანში. მისი ბოლო პერიოდის განხორციელებული პროექტებია სასტუმრო „პოლიდეი ინ“ (სასტუმრო „აჭარა“), გასართობი ცენტრი ქალაქ ბათუმში, „რუმს ოტელ თბილისი“ და რამდენიმე ბინისა და რესტორნის ობიექტი.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ღიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში “თბილისი”, არქიტექტურული პროექტით “Room Hotel თბილისი” გახდა არქიტექტურის ნომინაციის პრიზიორი.

ԲԵՐՅԱՅՐԱԿ ՅԱԳՈ

1971 წელს დამტავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1966 წელს, ლექსთა პირველი წიგნი – 1973. მისი კლასიკური ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, გრამატიკულ, ლიტერატურ და ფრანგულ ენებზე.

გამოცემული აქტები: „დრეფანი“ (1999), „ექი“ (1999), „ორი რომანი“ (1991), „წიგნში ჩამარხული ყვავილის სევდა“ (1989), ჩიტები ზამთარში (1986), „გადაფრენა“ (1984), „ორი კაცი“ (1983), „შემოდგომის ბილიკი“ (1982), „სალამი ზამთრის დედოფალო“ (1981), „მტრედი გენერალის გამბათზე“ (1980), „ლექსები“ (1980), „ორი სინათლის წრეში“ (1978), „დაბადება“ (1976), „ნათელება“ (1973).

1985 წელს გადაეცა კომბავშირის პრემია წიგნისთვის, „ორი კაცი“, 1997 წელს – ღირსების ორდენი, ხოლო 1999 წელს – საქართველოს მუნიციპალური პრემია.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში “თბილისი”, ნაწარმოებით “ქულა” გახდა პროზის ნომინაციის პრიზიორი.

ცუცეირიძე ლელა

არის რამდენიმე წიგნის, მათ შორის საბავშვო წიგნების ავტორი.

USAID-ის საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის – G-PriED (წიგნიერების ღონის ამაღლება საქართველოში) საბავშვო ტექსტების შემქმნელი, სხვადასხვა ლიტერატურული პრემიის ლაურეატი. მის ნაწარმოებები თარგმნილი და გამოცემულია რუსულ, ინგლისურ და ლიტერატურულ ენებზე. ამჟამად მუშაობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ბიბლიოგრაფ-პედაგოგად.

2015 და 2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილის“ ლელა ცუცეირიძის ფერწერული ნამუშევარი „სიმღერა სამშობლოზე“ (ფერწერის ნომინაციაში) და „მამის სახლი“ (პოეზიის ნომინაციაში) იყო ნომინირებული.

შეღიძე სოჭიო

ქ. თბილისის 116-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე; ამავდროულად – თბილისის სამხატვრო სასწავლებლის მე-8 კლასის მოსწავლე, საქართველოს ეროვნული აკადემიის „მომავლის აკადემიის“ წევრი.

გაიმარჯვა 2013 წლის ბავშვთა მე-10 საიუბილეო გამოფენა-კონკურსში „ოქროს პალიტრა“ და იმავე წელს გახდა ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ საქართველოში ორგანიზებული სლოგანების კონკურსის „გადაგარჩინოთ ბავშვები“ გამარჯვებული.

2015 წელს სოჭიო ჭელიძის ესეისტური ნაწარმოები „ჩემი თბილისი“ ნომინირებული იყო თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“.

2016 წელს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თბილისის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრმა გადასცა დიპლომი ახალგაზრდა მწერალთა კონკურსში „მერანი“ წარმატებით მონაწილეობისათვის.

2016 წელს თბილისის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში “თბილისი”, ესეისტური ნაწარმოებით “ვეფ-ხისტყაოსანი“ ჩემთვის და ჩემი თანატოლებისთვის” გახდა ესეს ნომინაციის პრიზიორი.

արժուածանե Սյմյամեռցնե
զմթմշմքըն







ე
ო
უ
ნ
ი



დათო ვაგიანი (კომპოზიტორი, მუსიკოსი)



ნიკოლოზ შეგებლაია (მხატვარი)

2 0 1 6

ე
ო
ნ
რ
ი

2 0 1 6



მუსაზ მუსვანიძე (მხატვალი, სცენოგრაფი, მოქადაკი)



პოზე ჯანდიალი (მხარალი, სცენარისტი)

ე
ო
უ
ნ
ი



გოგა ჩაცალის (ფოტოგრაფი)



მარიამ ციკლაური (პოეტი, საპავევო მწერალი, ეთარგმნელი)

2 0 1 6

၅



၆၀၈။ လုပ်ငန်း (အကျင့်အမြတ်)

၆



၇

၂ ၀ ၁ ၆

ს ი მ ღ ა რ ა ც ა



ც ა ც



ს ა ი ტ ი ც ა ქ ლ ე რ ა მ ი ს ი



პ რ ტ ზ ა

ს კ ა მ ა ს ე ბ ი ს



პ რ ე ზ ი ა


ପ୍ରକାଶକ ପତ୍ର ଓ ବ୍ୟାପକ ପରିଚୟ



ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

კ ი ც ხ ე ვ ა მ ა რ ა ნ ა





ერთული მუსიკის განვითარებაში
შეტანილი ღვაწლისთვის ძალიღოვდა
პომპოზიტორები — მარია კვალიაშვილი და რევაზ ლალიძე





2 0 1 6

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ღიგერაფურისა და
ხელოვნების კონკურს „თბილისის“

საორგანიზაციო ჯგუფი განსაკუთრებულ მადლობას უხდის გაწეული მხარდაჭერისთვის
მეხუთე მოწვევის საკრებულოს წევრებს,
აპარატის წარმომადგენლებს
და ოფიციალურ პარტნიორებს:

